Таким образом, в результате широких и углубленных исследований, проведенных А.С.Чикобава, его коллегами и учениками, было сформировано самостоятельное лингвистическое направление – иберийско-кавказское языкознание – представляющее собой систему научных взглядов и знаний о языковой структуре, истории и родстве четырех групп языков автохтонных обитателей Кавказа (картвельской, абхазско-адыгской, нахской и дагестанской).⁵ И вместе с тем А.С.Чикобава создал единую общелингвистическую концепцию, основанную на данных иберийско-кавказских языков, новый, своеобразный материал которых ставит новые проблемы или дает возможность по-новому осмыслить старые проблемы.

И в заключение, несколько слов о педагогической деятельности А.С.Чикобава. Много времени и энергии отдавал А.С.Чикобава подготовке молодых специалистов. Он является воспитателем не одного поколения лингвистов-кавказоведов, представители которых успешно и плодотворно работали и работают и по сей день не только в Грузии, но и за ее пределами. Специально для народов Северного Кавказа в 1946 г. в ТГУ при отделении кавказских языков был открыт русский сектор, на котором учились студенты из Кабардино-Балкарии, Адыгеи, Карачаево-Черкессии, Чечни, Ингушетии, Дагестана, Грузии. Многие, завершая учебу в ТГУ или в других учебных заведениях, поступали в аспирантуру или приезжали на стажировку в ТГУ или Институт языкознания АН Грузии, где под руководством А.С.Чикобава успешно защищали кандидатские и докторские диссертации. К нему часто приезжали и зарубежные специалисты, коллеги. Будучи строгим, принципиальным и требовательным руководителем, педагогом, вместе с тем он всегда проявлял большое внимание к студентам, аспирантам и был готов оказать им моральную и материальную помощь.

Особым уважением пользовался А.С.Чикобава на Северном Кавказе. Его считали Большим Кавказцем, другом и защитником народов Кавказа, ученым и гражданином, внесшим большой вклад в общекавказскую культуру. Одним из проявлений признания его заслуг является присуждение ему почетного звания заслуженного деятеля науки Дагестанской АССР, Кабардино-Балкарской АССР, Абхазской АССР, Чечено-Ингушской АССР.

А.С.Чикобава не только выдающийся лингвист-кавказовед, но и большой ученый-организатор, с именем которого непосредственно связано формирование иберийско-кавказского языкознания – его вчерашний день и перспективы завтрашнего дня*.

Литература:

1. И.А.Джавахишвили, Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков. Тбилиси (на груз. яз.), 1937,78.
2. А.С. Чикобава, Предисловие к "Ежегоднику Грузинского лингвистического общества", т.I - II, Тбилиси, 1923-1924 (на груз. яз.), 1924, V.
3. А.С.Чикобава, К общему мировоззрению. Ежегодник Грузинского лингвистического общества, 1-11, Тбилиси, 1923-1924 (на груз. яз.), 20.
4. А.С.Чикобава, Исследование горских кавказских языков. - Изв. ИЯИМК, ХП (на груз. яз.)1942, 287-288; А.С.Чикобава, Тбилисский гос. университет и иберийско-кавказское языкознание. Ибер.-кавк. языкозн., т.XVII (на груз. яз.), 1970,10-11.
5. Институт языкознания. Сб. "Академия наук Груз. ССР", Тбилиси., 1981,343.

* (Напечатано вместе с Г.В.Топуриа). А. С. Чикобава и языковой мир Кавказа. — сб. „Caucasica“, 2, 1998, с. 198 – 204.

2. არნ. ჩიქობავა – იბერიულ-კავკასიური ენების მეკლევარი

ახლახანს, ამა წლის 20-24 ოქტომბერს, იუნესკო-ს ეგიდით გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი. ეს კანონმომიერია, არნ. ჩიქობავა ხომ მსოფლიო დონის მეცნიერი გახლავთ. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს პრემიერმა ბ-ნ ე. შევარდნაძემ წერილში „არნ. ჩიქობავა – ქართული ენის ქურუმი“ ამ ოთხიოდე თვის წინ ბრძანა:

„ახლა ჩვენ კავკასიურ სახლს რომ ვაშენებთ, სწორედ იმ ბალავარზე ვაშენებთ, რომელიც არნ. ჩიქობავამ ამოიყვანა ქართულ-კავკასიური მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საფუძველზე.

ბოლოს და ბოლოს მას უყვარდა არა მხოლოდ თავისი საქმე, არამედ ის ხალხიც, ვის ენასაც იკვლევდა, ვისაც კადრს უზრდიდა, ვისაც მეცნიერებას უქმნიდა.

იგი მარტო თავისი ნიჭითა და ცოდნით კი არ იყო ძლიერი, არამედ ამ სიყვარულითაც.

არნოლდ ჩიქობავას მეცნიერული და მოქალაქეობრივი ინტერესები მარტო საქართველოს მასშტაბებითა და ქართული ინტერესებით არ იყო შემოფარგლული, რადგან იგი უნიკალური მეცნიერი და კიდევ უფრო უნიკალური პიროვნება იყო, რომელმაც დაიპყრო კავკასია ომებისა და შეტაკებების გარეშე“ (ე. შევარდნაძე, 1998).

მართლაც, ბ-ნმა არნოლდმა „დაიპყრო კავკასია“... კავკასია კი დაუპყრიათ სხვებსაც სხვადასხვა დროს მთლიანად თუ ნაწილობრივ... იარაღითა და ისლამით... ოღონდ, ბ-ნ არნოლდმა ეს მოახერხა თავისი დიდი ინტელექტით, შესაშური მრომისმოყვარეობითა და წინასწარჩაფიქრებული ვრცელი გეგმის განხორციელებით. ამით მან კვლავ ჩვენკენ მომართა ინტელექტუალური კავკასიის ყურადღება. მათ იწამეს ჩვენი და ამაშია ბ-ნ არნოლდის მოღვაწეობის უდიდესი ძალაცა და დამსახურებაც. კავკასიამ აღიარა ბ-ნ არნოლდის დიდი დამსახურება: იგი ერთადერთია და პირველიც, ვისაც სხვადასხვა დროს მიენიჭა საქართველოს სსრ (1946), დაღესტნის (1968), ყაბარდო-ბალყარეთის (1968), აფხაზეთისა (1978) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ (1983) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებანი.

ბ-ნ არნოლდის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მშრალი ნუსხაც რომ წარმოვადგინოთ, იქ თითქმის ყველგან გამოჩნდება სიტყვა პ ი რ ვ ე ლ ი .

მართალია, ჩვენში ჩაგარებულა ქართველურ ენათა დიალექტოლოგიური კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი შეკრება, მაგალითად, 1960 წ. თბილისში გამართული საკოორდინაციო თათბირი (მოხსენებათა თემისები დაბეჭდილია) ამ სახისა გახლდათ, მაგრამ იმ გეგმითა

და თანმიმდევრობით, ახლა რომ გარდება ქართველ დიალექტოლოგთა შეკრება, ამას არნ. ჩიქობავამ დაულო სათავე ქუთაისში ჩატარებულ პირველ შეკრებისას 1970-იან წლებში. აქედან მოყოლებული ვიკრიბებით ამა თუ იმ რეგიონში რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების ჩასატარებლად... გამოქვეყნებული თემისები ათელას სწორედ ქ. გორიდან იწყებს (1980 წ.; II სესია); დღეს XVIII ასეთი სესიაა... გემასპინძლობს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად აქაა, ქ. გორში.

ნიშანდობლივია, რომ არნ. ჩიქობავას პირველი ნაშრომი „ენის რეფლექსები ფერეიდნულში“ უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილი ქართული დიალექტის თავისებურებას ესებოდა (ა. ჩიქობავა, 1923-1924, გვ. 69-87); დიალექტოლოგიური ხასიათისაა მისი სხვა ადრეული ნაშრომებიც: „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (ა. ჩიქობავა, 1924, გვ. 333-348), რომლის ვრცელი ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინგაქსური თუ ლექსიკური თავისებურებანი გამოქვეყნდა სათაურით „მთიულურის თავისებურებანი“ (ა. ჩიქობავა, 1937, გვ. 43-65), „გარეკახეთი დიალექტოლოგიურად“ (ა. ჩიქობავა, 1925, გვ. 57-88). ამ ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა კახური დიალექტის ყოველმხრივ მეცნიერულ შესწავლას... ისევ 1937 წ. არნ. ჩიქობავა აქვეყნებს კახურის ქიმიური მეტყველების ერთი გამორჩეული ფონეტიკური პროცესის შესახებ: $s > e \dots$ სტაგიაში „ს ბგერის დასუსტება ქიმიურში“ (ა. ჩიქობავა, 1937, გვ. 66-77).

არნ. ჩიქობავა არაერთხელ მიბრუნებია ქართულ-ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების დიალექტოლოგიის კერძო თუ ზოგადთეორიულ საკითხებს... 1956 წ. მის მიერ თბილისში წაკითხული „იბერიულ-კავკასიურ ენათა დიალექტოლოგიის ამოცანები“ (ა. ჩიქობავა, 1956, გვ. 28-33) იმ დიდი თემის გაგრძელებაა, რაც მან იმთავითვე დაისახა. ამის შესახებ ჩამოყალიბებული სახით სხვა დროსაც, ადრეცა თუ გვიანაც, ბ-ნ არნოლდს არაერთხელ უბრძანებია.

ბ-ნი არნოლდი „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ ერთგან ხამგასმით აღნიშნავდა ნატურალიზმის ცნობილი წარმომადგენლის, მაქს მიულერის გამონათქვამს: „ენის მეცნიერული განხილვის თვალსაზრისით, ჰომეროსის ენას არც მეტი მნიშვნელობა აქვს და არც მეტი ინტერესი ახლავს, ვინემ ჰოტენგოტების დიალექტებს“. ... ამ დებულების თაობაზე არნ. ჩიქობავამ აღნიშნა: „უმწერლო ენათა და დიალექტთა მნიშვნელობის აღიარება და დასაბუთება (განსაკუთრებით მ. მიულერთან) – ნატურალიზმის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დამსახურებაა: ცხადი ხდება, რომ ამ დებულების წამოყენებას ვერ მივაწერთ ნეოგრამატიკოსებს (გაეისხენოთ ნეოგრამატიკოსთა მრწამსი: 1. ფონეტიკურ კანონებს გამონაკლისი არა აქვთ; 2. ენობრივი ცვლის პროცესში დიდი როლი ენიჭება ანალოგიას; 3. ცოცხალი დიალექტური მეტყველება უნდა იყოს ენათმეცნიერების უპირატესი საგანი, რამდენადაც ასეთ მეტყველებაშია მოცემული ენის ბუნებრივი (შეუზღუდევი)

განვითარება): პრიორიტეტი აქ ნატურალიზმს ეკუთვნის” (ა. ჩიქობავა, 1983, გვ. 63; ხაზგასმა – ა. ჩ.-სია).

ქართულ-ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლაში არნ. ჩიქობავას წვლილი დიდია. მან მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ ცხადყო, რომ მეგრული და ჭანური დიალექტებია ერთი, საერთო მეგრულ-ჭანური ანუ მანური ენისაო: „ცალკე ენებად ჭანურსა და მეგრულს ისევე ვერ მივიჩნევთ, როგორც ხევსურულსა და გურულს“; ესენია „კილოები ქართული ენისა; ჭანურიცა და მეგრულიც კილოებია, ოღონდ ქართული ენისა კი არა, არამედ ცალკე ენისა, რომელიც ქართულთან გაკილებით უფრო ახლოს დგას, ვინემ სვანური“ (ა. ჩიქობავა, 1936, გვ. 5). აღნიშნულ მონოგრაფიასთან ერთად არნ. ჩიქობავას წიგნები „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (ა. ჩიქობავა, 1938), რომელიც ფაქტობრივ ქართველურ ენათა (რაკი მასში საკმაოადაა გათვალისწინებული სვანური ენის სათანადო ლექსემებიც) პირველი შედარებითი ლექსიკონია, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (ა. ჩიქობავა, 1942) და სხვა პირველხარისხოვანი შრომები მთელ ეპოქას ქმნიან ქართულ ენათმეცნიერებაში.

არნ. ჩიქობავამ მნიშვნელოვანი ნაშრომები უძღვნა ქართულ-ქართველურ ენათა შესწავლას სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით. საანალიზო მასალა მოიყავდა როგორც მანურისა და სვანურის, ისე ქართული სამწერლობო ენისა და დიალექტების მასალას, რომელთა მიხედვით დასმული და შესწავლილია ფონეტიკის, მორფოლოგიის, მორფონოლოგიისა და სინტაქსის მნიშვნელოვანი პრობლემები და შესაბამისი საკითხები.

ორიოდე სიგყვით არ. ჩიქობავას ერთი საეგაპო მნიშვნელობის მქონე ნაშრომზე.

ძნელია ზედმეტად შეაფასო არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომელიც მან გამოაქვეყნა 1928 წელს (ა. ჩიქობავა, 1968). ამ ნაშრომის დიდი ღირსებაა მეთოდოლოგიური იმანენტისმის დამკვიდრება, რასაც საფუძვლად უდევს პომოგენურობის პრინციპი: ცნება უნდა შეიყავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია აღსაწერი ობიექტისათვის, შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელიო.

ამ ნაშრომის საფუძველზე სინტაქსი ჩამოყალიბდა მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად და გამოვლინდა ქართული ენის სინტაქსის სპეციფიკა, რაც მკაფიოდ აისახა კოორდინაციის თეორიაში: ქართული ზმნა – კოორდინაციის ცენტრი – დიდად განსხვავებულია ინდოევროპული ენების ზმნისაგან, იგი მ რ ა ვ ა ლ პ ი რ ი ა ნ ი ა , რის საფუძველზედაც ქვემდებარესთან ერთად წინადადების მთავარი წევრებია დამატებებიც (პირდაპირი და ირიბი).

ნაშრომში მკაფიოდ არის გამიჯნული მორფოლოგიური სისტემა და სინტაქსური მექანიზმი, რაც აისახა კოორდინაცია-სუბორდინაციის წესებში.

ზოგადთეორიული თვალსაზრისით ისინი დღესაც მისაღებია და წარმოადგენენ სახელმძღვანელო დებულებებს, თუმცა ზოგი მათგანის რეალიზაციის აუტორისეული ინტერპრეტაცია დღეს შეიძლება სხვაგვარადაც შეფასდეს.

ამ ნაშრომის კონკრეტული დებულებების (რომლებიც ძველი ქართულის მონაცემებს ემყარება) მისადაგება საშუალ და ახალი ქართულის სინტაქსური ანალიზის შედეგებთან საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ ქართული ენის სისტემურ ცვლილებას თითქმის ორიათასწლეულში; ასევე საშუალებას იძლევა, მივაგნოთ ცვლილებათა მიზეზებს.

არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ის ნაშრომია, რომელსაც დროის არ ეშინია; იგი არ არის მხოლოდ ქართული ენის სინტაქსის თეორია – მისი უზოგადესი დებულებები ნებისმიერი ენის სინტაქსური ანალიზისათვისაც გამოდგება. ამიტომაც წერდა გერმანელი ენათმეცნიერი გ. მაიერი ამ ოცი წლის წინ, თუ როგორი როლი შეეძლო ეთამამა ამ წიგნს, იგი რომ დასაუღეთელ ენათმეცნიერთათვის იმთავითვე ყოფილიყო ცნობილი და ხელმისაწვდომიო (გ. მაიერი, 1978).

არნ. ჩიქობავამ შექმნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც დახვეწილი სტრუქტურული ანალიზის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. ამათგან დავასახელებთ რამდენიმეს:

მაგალითად, ასეთია სტატია „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითი დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში“ (ა. ჩიქობავა, 1929, გვ. 107-119). მართალია, მანამდეც კარგად იყო ცნობილი, რომ ამ ობიექტის სიმრავლეს გამოხატავდნენ -ენ და -ნ სუფიქსები (მათ ანტონ პირველის „ქართულ ღრამაგიკამივე“ ვეცნობით), მაგრამ ტიპური სტრუქტურული ანალიზი, სადაც ნაჩვენებია -ენ – -ნ ალომორფთა განაწილების სრული სურათი, პირველად ამ ნაშრომშია ნაჩვენები.

ასევე მნიშვნელოვანია არნ. ჩიქობავას ზემოთ დასახელებული წერილი ვინის რეფლექსების შესახებ, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული უ და ვ ალომორფთა განსხვავებული გავლენა მომდევნო ა-ზე, კერძოდ: ჭა იძლევა ო-ს (ჭა > ო), ვა კომპლექსი კი არ იძლევა ო-ს. მორფოლოგიურ ცვლილებათა თვალსაზრისით ეს წესები მრავალი მოვლენის გასაღებს იძლევა ქართულური ენების მასშტაბით.

ცალკეა აღსანიშნავი არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული ენის დიდი ეროვნული საუნჯე – რვაგომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (განმ. ლექს., 1950-1964), რომლის შექმნას 20 წელი მოუნდა.

ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგი პ. ფოგტი ამ ლექსიკონის შესახებ წერდა, რომ იგი „დაიჭერს ფრიად მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის. ეს არის ძველი, აღმართული ენისა და მისი ათასხუთასწლოვანი ლიგერატურის სადიდებლად და საამაყოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“

(პ. ფოგგი, 1970, გვ. 364).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარ რედაქტორს, სხვა რედაქტორებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია პირველად.

მემოთაც ითქვა, არნ. ჩიქობავას სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ათეულის თარიღიდან სიგყვა პირველი ძალზე ხშირად ფიგურირებსო. ჩამოვთვლით მათ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსდამთავრებულთაგან არნ. ჩიქობავა გახლდათ იმ „ოქროს ხუთეულიდან“ (ა. შანიძე რომ უწოდებდა შ. ამირანაშვილს, კ. ბაქრაძეს, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიასა და არნ. ჩიქობავას), „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ რომ დაგოვეს: მათ განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების აღმავლობასა და განვითარებაში.

არნ. ჩიქობავა პირველი იყო ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან, რომელმაც დაიწყო სადოქტორო დისერტაცია (1929), ერთ-ერთი პირველი იწყებს ლექციების კითხვას თავისსავე მშობლიურ უნივერსიტეტში (1926), უნივერსიტეტის აღზრდილთაგან იგი პირველი პროფესორია (1933). არნ. ჩიქობავა შეჰყავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში (1941), იგი ქართულ მეცნიერთაგან პირველია, ვისაც მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემია (1951), ქართველ მეცნიერთაგან პირველი აირჩიეს ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად (1960) და დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად (1968); 1973 წელს არნ. ჩიქობავას მიენიჭა ი. ჯავახიშვილის მედალი, ხოლო 1981 წელს – მისივე სახელობის პრემია...

1923-24 წლებში ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულში“ ქვეყნდება არნ. ჩიქობავას საპროგრამო ხასიათის წერილები „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ და „წინასიტყვაობა“ (ა. ჩიქობავა, 1923-24, გვ. 12-21; V-VIII), რომლებშიც ნაჩვენებია არამარტო ქართული ენათმეცნიერების საგანი („ქართულსა და მის მონათესავე მეგრულ-სვანურს გარდა, სხვა კავკასიური ენებიც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ“), არამედ დასახულია გზები („ჩვენი გზა არის და უნდა იყოს გზა მკვიდრი პოზიტიური შესწავლისა, ფაქტების შეგროვებისა და მათი ურთიერთობის თანდათანობითი რკვევისა“) და ის თეორიული წინამძღვრებიც, რომელთა მეშვეობითაც უნდა წარმართულიყო და წარიმართა ჩვენში საენათმეცნიერო მუშაობა.

თითქმის ერთდროულად, 1922 წ. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების უდიდესი წარმომადგენელი ა. მეიე ნ. მარის ნაშრომის – „იაფეგური კავკასიის“ – გაცნობის შემდეგ ისტორიულ ენათმეცნიერებას გადაუღებულ ამოცანად უსახავდა „კავკასიურ ენათა გრამატიკის“ შექმნას, ცნობილი კავკა-

სიოლოგი ნ. გრუბეცკოი კი ამის თაობაზე მართებულად შენიშნავდა: ასეთ გრამატიკათა შექმნის წინაპირობაა ამ ენათა შედარებითი ფონეტიკის დამუშავება, რასაც, ბუნებრივია, უნდა მოჰყვეს სათანადო მორფოლოგიისა და სინგაქსის კვლევით (ამის შესახებ: ნ. გრუბეცკოი, 1987, გვ. 233-234). არა და, ამ დროს ყველა იბერიულ-კავკასიური ენა არც იყო გამოკვლეული და, რაც იყო, არც თუ გამოწვლილებით შესწავლილი.

„ისტორიული ენათმეცნიერების გადაუღებელი ამოცანაო“, – ა. მეიერომ ბრძანებდა, – ქართულ მეცნიერებას, ჩანს, ადრევე ჰქონდა გააზრებული და მისი გადასაწყვეტი გზები მართებულად მინიშნებული (იხ. ზემოთ).

ამ პერიოდის შესახებ დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა: თბილისის უნივერსიტეტს „უკვე 1918 წელს, დაარსების პირველი დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“ (ი. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 78; ხაზგასმა ავტორისაა – გ. ბ., თ. უ.).

ამიგომაც არაა გასაკვირი, რომ არნ. ჩიქობავას მეცნიერულ ინტერესთა სფეროში უპირველეს საზრუნავს ქართველურ ენებთან ერთად მთის კავკასიურ ენათა შესწავლა წარმოადგენდა; მათი ნათესაობის, ქართველურ ენებთან ურთიერთობის საკითხი კი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა „...საფუძვლიანი პოზიტიური შესწავლის შემდეგ უნდა დაისვასო“, – ბ-ნი არნოლდი რომ ბრძანებდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ 1923 წელს მიუთითებდა: „სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყენებო (ა. ჩიქობავა, 1923-24, გვ. V).

მართლაც, ჩვენში საფუძველი ჩაეყარა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას ადგილზე, საუკელე პირობებში: ა. შანიძე სწავლობდა ბაყბურს (წოვა-თუმურს), ს. ჯანაშია – აფხაზურსა და ადიღურს, არნ. ჩიქობავა – ხუნძურს, ვ. თოფურიანი – ლაკურს.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების წარსამართავად ჩვენში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო-სასწავლო სტრუქტურული ერთეულები: 1933 წ. არნ. ჩიქობავა აარსებს კავკასიურ ენათა კათედრას თსუ-ში, რომლის გამგე თვით გახლდათ 1960 წლამდე, ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე, კათედრის პროფესორი. იმავე წელს ამ კათედრის თაოსნობით ფილოლოგიის ფაკულტეტზე ყალიბდება „კავკასიურ ენათა განყოფილება“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ლინგვისტ-კავკასიისმცოდნეთა მომზადება კავკასიურ ენათა მასალაზე. ამ განყოფილების ქართულ და რუსულ სექტორებზე ქართველებთან ერთად სწავლობდნენ ახალგაზრდები დაღესტნიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან, აფხაზეთიდან... ასე რომ, ჩრდილო-კავკასიის სამეცნიერო ცენტრში მომუშავეთა დიდი ნაწილი აქ მომზადდა სამეცნიერო საქმიანობისათვის. მათი მეცნიერ-ხელმძღვანელი თუ კონსულტანტი ბ-ნი არნოლდი გახლდათ. იმ რამდენიმე ასეული

ენათმეცნიერ-კავკასიოლოგიდან, აქ რომ მიიღეს სამეცნიერო წრთობა, დიდი ნაწილი კვლავაც ნაყოფიერად განაგრძობს მეცნიერულ მუშაობას მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელების ყველა რეგიონში (არაერთი გვესტუმრა კიდევ ბ-ნი არნოლდისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე).

ამით ხორცი შეესხა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნებას, თბილისის უნივერსიტეტი კავკასიათმცოდნეობის ცენტრად ქცეულიყო.

1936 წ. არნ. ჩიქობავამე მაშინდელ ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიმკი) მისი დაარსების პირველი დღიდანვე დააფუძნა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება, რომელიც შემდეგ შევიდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში. ამ განყოფილების უცვლელი გამგე გარდაცვალებამდე არნ. ჩიქობავა გახლდათ.

თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში კვლევა-ძიება ერთიანი სამეცნიერო გეგმით მიმდინარეობდა და ერთმანეთის მუშაობას აკესებდა.

კავკასიურ ენათა კათედრის პირველ შემადგენლობაში სამი წევრი იყო: ს. ჯანაშიას ებარა აფხაზური ენის კურსი, ვ. თოფურია კითხულობდა ლაკურს, ხოლო არნ. ჩიქობავა – ხუნძურს.

არნ. ჩიქობავამ არა ერთი წერილი უძღვნა ხუნძურს... 1962 წ. გამოვიდა „ხუნძური ენა“ (პროფ. ილ. ცერცვაძესთან ერთად) – „პირველი (არა მხოლოდ ჩვენში) საუნივერსიტეტო კურსი ხუნძური ენისა“ (ა. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962, გვ. VIII). არნ. ჩიქობავას კათედრაზე სხვა კურსებიც მიჰყავდა, რის შედეგად მოგვიანებით გამოვიდა მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (ა. ჩიქობავა, 1965) და „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაჯალი“ (ა. ჩიქობავა, 1979).

უპირველესად არნ. ჩიქობავას უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, მისი კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების მიერ ჩატარებული ფართო კვლევა-ძიების შედეგად შეიქმნა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა ჩამოყალიბდა ქართველ კავკასიოლოგთა მძლავრი სამეცნიერო სკოლა თავისი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებით საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ. ამ სკოლას, რომელიც თბილისური სკოლის სახელით არის ცნობილი, იმთავითვე ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა.

მთის იბერიულ-კავკასიური ენები კი შეისწავლებოდა და დღესაც შეისწავლება როგორც ჩვენში (თბილისსა და სოხუმში), ისე მოსკოვსა და პეტერბურგში, ყაბარდო ბალყარეთში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, დაღესტანში, ამერბაიჯანსა თუ უცხოეთის სხვა ქვეყნებში. მაგრამ ამ სამეცნიერო ცენტრებში სათანადო ენათა შესწავლას არსებითად რეგიონალური ხასიათი ჰქონდა – აქ ძირითადად კვლევის საგანი

ის ენები იყო, რომლებიც მათ გერიგორიაზე იყო გაერცელებული. ყველა მთის იბერიულ-კავკასიური ენა ცალ-ცალკე და ერთმანეთთან კავშირში ერთიანი სამეცნიერო პროგრამით მხოლოდ ჩვენში, საქართველოში შეისწავლებოდა.

დღეს, როცა თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენაა გამოკვლეული (არაერთი თავისი დიალექტებით), გამოქვეყნებულია ცალკე წიგნებად თუ ცალკეულ გამოკვლევათა სახით არაერთი პირველხარისხოვანი შრომა, მეცნიერულად კანონზომიერია ამ ენათა მიმართ მიღებული დასკვნა:

„... ერთობა იქ და დასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს. ამით წყდება ძირითადი საკითხი: იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი: რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 255; დაყოფა და ხამგასმა ავტორისაა – გ. ბ., თ. უ.).

ამდენად, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება დღეს მსოფლიო ენათმეცნიერების პრობლემად იქცა.

ასეთი მუშაობის ჩასაგარებლად აუცილებელია თავისი ბეჭდვითი ორგანოს არსებობა, რომელშიც საკუთარი ან სხვისი კვლევის შედეგები აისახებოდა. და აი, 1946 წლიდან გამოდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (გამოსულია 33 ტომი), სადაც სისტემატურად ქვეყნდებოდა შრომები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საკვანძო საკითხებზე. არნ. ჩიქობავა ამ ეურნალის ან რედკოლეგიის წევრი იყო, ან ტომის რედაქტორი (ტერმინი იბერიულ-კავკასიური ჩვენში პირველად ამ გამოცემაში გაჩნდა და დამკვიდრდა, ისე კი იბერიულს ქართველურ ენათა აღსანიშნავად ხმარობდა ჯერ კიდევ ფ. ბოპი).

1974 წ. არნ. ჩიქობავას მიერ დაარსებული ახალი სამეცნიერო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ (იკეწ) ფაქტობრივ 1923-24 წლებში მისივე რედაქციით გამოცემული „ქართული საენათმეცნიერო სამოვადოების წელიწდეულის“ ორგანული გაგრძელებაა. იკეწ საერთაშორისო ყოველწლიურ სამეცნიერო ორგანოდ იქცა, რომელშიც იბეჭდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა გამოკვლევები (გამოსულია სულ 21 ტომი).

არნ. ჩიქობავას ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა რეგიონში 1965 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სისტემატურად გარდებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიები (ჩატარდა 13 სესია). ეს იყო კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა შეხვედრებისა და პირადი კონტაქტების მშვენიერი შესაძლებლობა, ამრთა ურთიერთგაგებისა და გამოარების აგმოსფერო.

ასეთ დიღსა და მრავალმხრივ სამეცნიერო თუ სამეცნიერო-ორგანიზა-

ციულ მუშაობას, რასაკვირველია, თავისი თეორიული საფუძვლები იმთავითვე ჰქონდა, რამაც განაპირობა არნ. ჩიქობავასა და მისი სკოლის სამეცნიერო მოღვაწეობა. 1942 წ. არნ. ჩიქობავა მთის კავკასიური ენების კვლევის იმ ღონისათვის კიდევ ერთხელ აკონკრეტებს კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა წინაშე დასმულ ამოცანებს:

„მთის კავკასიურ ენათა ისტორიული შესწავლისათვის ძირითადი საშუალებაა შედარება. ეს შედარება უნდა იქნეს დაწყებული ცალკეული ენის კილოებით; შემდეგ უნდა გავრცელდეს ცალკეული ჯგუფის ენებზე და დამთავრდეს კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფების შედარებით. ფონეტიკას, ლექსიკას, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურას შედარებისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს“ (ა. ჩიქობავა, 1942ა, გვ. 284; ხაზგასმა ავტორისაა – გ. ბ., თ. უ.).

ამ პრინციპებზე მდგომი არნ. ჩიქობავა, ბუნებრივია, არ იზიარებდა იმდროინდელ საბჭოეთში გაბატონებულ „იაფეგოლოგიის კოსმოსური პიპოთეზებისათვის მებრძოლი ნ. მარის“ (არნ. ჩიქობავა) თეორიულ შეხედულებებს, რაზედაც იგი წერდა 1926 წ. თავის რეცენზიაში ნ. მარის „ძველი სალიგერატურო ქართული ენის გრამატიკაზე“ (ა. ჩიქობავა, 1926, გვ. 330). 1940 წ. 27 მაისს კი არნ. ჩიქობავა უკვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიგერატურისა და ენის განყოფილების სხდომაზე ლენინგრადში კითხულობს ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოხსენებას „პრობლემა ენისა, როგორც ლინგვისტური საგნისა, საბჭოთა ენათმეცნიერების შუქზე“, სადაც ოფიციალურად პირველად დაიგმო ნ. მარისეული „ოთხელემენტოვანი ანალიზი“. ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა პირად ბარათში სწერდა აკად. ს. ჯანაშიას (რ. ჯანაშია, 1985, გვ. 258):

„ოფიციალური კომუნიკე ასეთია: მიღწეულია სრული თანხმობა ენისა და ლიგერატურის განყოფილებასთან (და მასთან ენისა და ამროვნების ინსტიტუტთანაც), რომ:

ა. ოთხი ელემენტით მუშაობა საბჭოთა ენათმეცნიერებას არ შეუძლია (resp. არა სჭირდება).

ბ. გენეალოგიური კლასიფიკაცია არაა უარსაყოფი.

ღიად ღგას ერთიანი გლოტოგონიური პროცესისა და ენათა სტადიალური განვითარების საკითხი.

თუ ოთხ ელემენტს დაუკავშირდება მათი ბედი, ჩვენ ამას უარყოფთ; თუ ის მიიღებს ენის ფსიქოლოგიის – ისტორიულ ასპექტში – სახეს, პრინციპში სადავო არ იქნება (...) ოთხი ელემენტი ისტორიის კუთვნილებად იქცა. საბჭოთა ენათმეცნიერება გათავისუფლდა ამ უცნაურობისაგან და ამაში ჩვენი ინსტიტუტის წილიც არის...” და სხვ.

ამ საკითხებმა და ზოგმა სხვაგან 1950 წლის იმ ცნობილ საენათმეცნიერო დისკუსიაზე იჩინა თავი, არნ. ჩიქობავას წერილით რომ გაიხსნა (ა. ჩიქობავა, 1950, გვ. 3-5). თ. გამყრელიძის სიგყვებით „არნოლდ ჩიქობავა

ჟაქტიური ინიციატორი და ძირითადი განმარტორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში. ამის შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომელიც დღეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართულ ენათმეცნიერებას აქვს" (თ. გამყრელიძე, 1985, გვ. 220). ამავე თვალსაზრისზე ღვანან სხვა ენათმეცნიერებიც – გ. მაიერი (გ. მაიერი, 1978, გვ. 409-413), ვ. გვეგინცევი (ვ. გვეგინცევი, 1985, გვ. 211-212), გ. ჯაუკიანი (გ. ჯაუკიანი, 1985, გვ. 212-213).

მიუხედავად ამისა, არნ. ჩიქობავა ხაზგასმით აღნიშნავდა ნ. მარის დამსახურებას ქართული ფილოლოგიის, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის სფეროში: ნ. მარის, ვითარცა მკვლევრის, წარმოსაჩენად ბრძანებდა:

ნ. მარს „...ახასიათებდა გაგაცებით მუშაობა, კოლოსალური ენერჯია და სინთეზის ძლიერი ნიჭი, განზოგადება, მთლიანი სურათის მოხაზვა – მისი სტიქია იყო" (ა. ჩიქობავა, 1965, გვ. 373).

ან კიდევ: ნ. მარის „ეტიმოლოგიათა უმრავლესობა მეგად საინტერესოა... ზოგ-ზოგი ბრწყინვალე მიხედვისა და ანალიზის ნიმუშებს იძლევა (მაგ. ქართ. ხუცეს-, მეგრ. უჩაში „უფროსი“) ... და სხვ." (ა. ჩიქობავა, 1965, გვ. 372).

და ბოლოს, არ არსებობს ქართულ-ქართველურ ენების აგებულების, განვითარების არც ერთი მხარე, რომელზეც არნ. ჩიქობავას თავისი ახალი სიკვება არ ეთქვას. ფასდაუდებელია მისი როლი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენაში. არნ. ჩიქობავამ შეიმუშავა ნორმათა დადგენის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ბევრი სადავო საკითხის მოგვარებას.

არნ. ჩიქობავას ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა ქართული ენის სწავლების სხვადასხვა საკითხი – სკოლა ხომ ბატონ არნოლდის ერთი დიდი და ძველი სიყვარულთაგანი იყო. ამიტომაცაა, რომ არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ 30-იან წლებიდან ენერჯიის დაუზოგავად იღვწის სამუშალო სკოლის საჭიროებისათვის. მისი შრომები „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას" (წერილი I-V), „სახელის ანალიზის პრინციპები ქართულში", „მზნის ანალიზის პრინციპები ქართულში", „ტიპიურ შეცდომათა ანალიზი სამუშალო სკოლის მოწაფეთა წერით სამუშაოებში" და სხვ. (ამ წერილთაგან შედგენილი ორი კრებული (ა. ჩიქობავა, 1998; ა. ჩიქობავა, 1998ა) საიუბილეო დღეებში მიიღო მკითხველმა) ჩვენი სკოლების სიკვებიერების მასწავლებელთათვის გახლდათ განკუთვნილი, მათთვის იყო დაწერილი. არნ. ჩიქობავას მონაწილეობაც სასკოლო სახელმძღვანელოთა სარედაქციო კოლეგიის წევრად ჩვენი ეროვნული სკოლის პრესტიჟით გახლდათ შეპირობებული.

არნ. ჩიქობავას მუხლჩაუხრელ შრომას, რაც მას გასწია „ქართული

ენის განმარტებითი ლექსიკონის" შედგენისას, ერთმა ჩვენმა მწერალმა დიდი მოქალაქეობა უწოდა (ბ. ფოჩხუას წერილიდან), ხოლო სულ ახლახან, სიმპოზიუმის ჩატარების წინა დღეებში, თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში გამოსვლისას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა, ბ-ნ არნოლდის მოწაფემ, ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა ნოდარ ანდლულაძემ ბ-ნ არნოლდის ცხოვრებას, პირადად მას, ჩვენი ერის კულტურული გმირი უწოდა.

ყოველივე ამის ასოციაციას ბადებს არნ. ჩიქობავას ერთ-ერთი მასწავლებლის, აკად. შ. ნუცუბიძის გამონათქვამი: „... არნ. ჩიქობავა განსახიერება დიდი შემოქმედებითი ძალის, დაულაღავი შრომისმოყვარეობისა, მოუსვენარი მიზანსწრაფვისა, ალბათ, ასეთმა ადამიანებმა იხსნეს საქართველო" (ვ. ნორაკიძე, 1986).¹

1. (თ. უთურგაიძესთან ერთად). წაკითხულია მოხსენებად ქ. გორში 1998 წლის 30 ოქტომბერს XVIII რესპუბლიკურ დიალექტურ სამეცნიერო სესიაზე (თეზისები დაბეჭდილია), რომელიც მიეძღვნა არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს.

ლიტერატურა:

ე. შევარდნაძე, 1998 - ე. შევარდნაძე, ქართული ენის ქურუმი. - გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 4. VI, № 136, თბ., 1998.

ა. ჩიქობავა, 1923 - ა. ჩიქობავა, ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში. - ჩვენი მეცნიერება, № 2-3, თბ., 1923.

ა. ჩიქობავა, 1924 - ა. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში. - თსუ-ის მოამბე, გ. 4, თბ., 1924.

ა. ჩიქობავა, 1937 - ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი. - ენიმკის მოამბე, გ. 2, ნაკვ. I, თბ., 1937.

ა. ჩიქობავა, 1937ა - ა. ჩიქობავა, VI. ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში. - ენიმკის მოამბე, გ. 1, თბ., 1937.

ა. ჩიქობავა, 1925 - ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი). - არილი, თბ., 1924.

ა. ჩიქობავა, 1956 - ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა დიალექტოლოგიის ამოცანები (ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპული პოზიციებიდან). - საკოორდინაციო თათბირი იბერიულ-კავკასიურ ენათა დიალექტოლოგიის საკითხების შესახებ, 19-21 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1956.

ა. ჩიქობავა, 1983 - ა. ჩიქობავა, მოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, II გამ., თბ., 1983.

ა. ჩიქობავა, 1936 - ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), თბ., 1936.

ა. ჩიქობავა, 1938 - ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ა. ჩიქობავა, 1942 - ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველ

ლურ ენებში, თბ., 1942.

ა. ჩიქობავა, 1968 - ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, II გამ., თბ., 1968.

გ. მაიერი, 1978 - Meier Georg F., Arnold Čikobava zum achtzigsten Geburtstag. - Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaftliche und Kommunikationsforch., Bd. 31, h. 4, 1978, Berlin.

ა. ჩიქობავა, 1929 - ა. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითობის სახელობითი დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში. - ოსუ-ის მოამბე, გ. 9, თბ., 1929.

განმ. ლექს., 1950-1964 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, გ. I-VIII, თბ., 1950-1964.

ჰ. ფოგტი, 1970 - ჰ. ფოგტი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, იკე, XVII, თბ., 1970.

ა. ჩიქობავა, 1923-1924 - ა. ჩიქობავა, ზოგადი თელსამრისისათვის (პრინციპული შენიშვნები). - ქართული საენათმეცნიერო სამოგადოების წელიწადუ-ლი, I-II, თბ., 1923-24.

ბ. გრუბეკოი, 1987 - Н. С. Трубицкой, Избранные труды по филологии. М., 1987.

ი. ჯავახიშვილი, 1937 - ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათერსაობა, თბ., 1937.

ა. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, 1962 - არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.

ა. ჩიქობავა, 1965 - ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

ა. ჩიქობავა, 1926 - ა. ჩიქობავა, რეცენზია წგ.-ზე: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию. 12. Л., 1925. - მიმომხილველი (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოგადოების ორგანო), I, გფ., 1926.

რ. ჯანაშია, 1985 - რ. ჯანაშია, მოგონების რამდენიმე ფურცელი. - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3-4, თბ., 1985.

ა. ჩიქობავა, 1950 - А. С. Чикобава, О некоторых вопросах советского языкознания (Дискуссионная статья), - გამ. „Правда“, 9. V., М., 1950.

თ. გამყრელიძე, 1985 - თ. გამყრელიძე, საქვეყნოდ აღიარებული სწავლული. - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3-4, თბ., 1985.

გ. ჯაუკიანი, 1985 - გ. ჯაუკიანი, კაცი ლეგენდა. - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3-4, თბ., 1985.

ვ. ზევენიცევი, 1985 - ვ. ზევენიცევი, პროფ. ამალლობელს, თბილისის უნივერსიტეტის რექტორს. - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3-4, თბ., 1985.

ა. ჩიქობავა, 1998 - ა. ჩიქობავა, სახელისა და მზნის ანალიზის პრინციპები ქართულში, თბ., 1998.

ა. ჩიქობავა, 1998ა - ა. ჩიქობავა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, თბ., 1998.

ვ. ნორაკიძე, 1986 - ვ. ნორაკიძე, მეცნიერების რაინდი. - გამ. „ლიტერატურული საქართველო“, II. VI, თბ., 1986.

3. „კვლება კაცი, მაგრამ რჩება სახელი“

აკად. არნ. ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში თბილისს მეცნიერთან გამოსამშვიდობებლად არაერთი მისი მოსწავლე ჩამოვიდა მაშინდელი საბჭოეთის სხვადასხვა კუთხიდან. მათ შორის გახლდათ დაღესტნის ერთი მცირერიცხოვანი ხალხის შვილი – ლაკი მეცნიერი ისა აბდულაევი. უამრავ ჩამომსვლელთაგან, ბუნებრივია, ყველას არ ერგო პაგივი პირადად გამოსალმებოდა მოძღვარს. მაშინ ბაგონმა ისამ თავისი გამზადებული გამოსათხოვარი სიგყვა მე გადმომცა, წაიკითხეო. ნაწერი ჩემს არქივს შემორჩა. იგი თითქოს დღევანდელი დღით სუნთქავს. ი. აბდულაევი ბაგონ არნოლდს უწოდებს არა მარგო დიდ ქართველ მეცნიერს, არამედ „მთელი კავკასიის შვილს“, რომლის „მერანი მიქრის პირდაპირ მშისკენ – უკვდავებისკენ“. გამოსათხოვარ სიგყვას ბაგონი ისა ამთავრებდა ქართული ფრაზით: „მსუბუქი იყოს მისი უკანასკნელი გზა“.

დაღესტანში ამბობენო, ბრძანებს ისა: „კვლება კაცი, მაგრამ რჩება სახელი“. წელს ბაგონ არნოლდს დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდა. ვფიქრობთ, უპრიანია ი. აბდულაევის სიგყვის გამოქვეყნება:¹

„Народы Дагестана и дагестанские ученые с глубокой болью в душе восприняли весть о кончине своего давнего и искреннего друга и учителя Арнольда Степановича Чикобава.

Арнольд Степанович был не только сыном и ученым Грузии. Он был сыном всего Кавказа. Он по праву считался и дагестанским ученым и по праву и с достоинством носил почетное звание „Заслуженный деятель науки Дагестанской АССР“. Арнольд Чикобава стоял у истоков дагестанской лингвистики нового времени, был зачинателем и вдохновителем планомерных, всесторонних и глубоких исследований дагестанских языков – как письменных, так и бесписьменных. Его перу принадлежит большое число работ по дагестанским языкам, в том числа одна из фундаментальных работ – монография „Аварский язык“ (в соавторстве с проф. И. И. Цершвадзе). Арнольд Чикобава воспитал большое число лингвистов-дагестановедов и сегодняшний уровень развития дагестанской лингвистики обязан его наутомимой и подвижнической деятельности. Он сам был очень связан с Дагестаном и всегда здесь его ждали как самого желанного кунака. Начиная еще с конца, ныне далеких, двадцатых годов, Арнольд Степанович неоднократно бывал в дальних аулах у носителей дагестанских языков, еще в довоенные годы проводил занятия с учителями родных языков, читал лекции студентам Дагестанского педагогического института, а затем Дагестанского государственного университета. Такие непосредственные связи и контакты с Дагестаном

продолжались вплоть до конца семидесятых годов. Нам всем памятно то активное участие Арнольда Степановича в работе Первой региональной научной сессии по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков, которая состоялась в 1965 г. в столице Дагестана Махачкале. Арнольд Степанович был подлинным руководителем и душой этого общекавказского форума и именно его стараниями и энергией эти форумы стали регулярными и важными факторами в научной, да и вообще интеллектуальной жизни народов Кавказа и лингвистического кавказоведения.

Будучи истинным патриотом своего народа, культуры, языка Арнольд Степанович был одновременно и великим интернационалистом и поборником дружбы народов, выдающимся общественным деятелем и Гражданином.

Арнольд Чикобава своей жизнью и своими трудами блестяще воплощал в себе ту великую идею родства, братства и единства наших народов, которая была характерна еще для древнейшей грузинской историографии и нашла свое отражение и в “Картлис цховреба”.

Наш долг – продолжить его идеи, еще лучше служить своему народу, культуре, родным языкам и всемерно укреплять наши связи.

Сегодня мы повели в последний путь нашего дорогого учителя и мудрого наставника Арнольда Степановича.

Сегодня наш любимый и мудрый модзгвари Арнольд Чикобава отправился в свой последний путь – его Мерани мчится прямо к Солнцу – в бессмертие.

В Дагестане говорят: “Умер человек, но осталось имя”. Имя Арнольда Чикобава вечно как горы Кавкасиона. Имя это будет жить, пока живы будут наши языки и наши народы.

Пусть его последний путь будет легким. მსუბუქი იყოს მისი უკანასკნელი გზა”.

ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს :

1. სახელოვანი მეცნიერი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული საენათმეცნიერო სკოლის აღმავლობა და განვითარება. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით ა. ჩიქობავამ დიდი ამაგი დასდო მშობლიურ ქართველ ერსა და საბჭოთა ენათმეცნიერებას.

არნ. ჩიქობავა დაიბადა 1898 წლის 14 (26 მარტს), ცხაკაიის რაიონის (მამინდელი სენაკის მაზრის) სოფ. საჩიქობაოში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ძველი სენაკის ორკლასიან სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1909 წელს.

1911 წელს არნ. ჩიქობავამ წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდები და ჩაირიცხა ქუთაისის ქართული გიმნაზიის III კლასში; გიმნაზია წარჩინებით დაამთავრა 1917 წელს.

1918 წელს არნ. ჩიქობავა შევიდა ახალგაზსნილ თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე, რომელიც 1922 წელს დაამთავრა. იმავე წელს პროფ. აკ. მანიძის წარდგენით დატოვებულ იქნა „პროფესორობისათვის მოსამზადებლად“.

1924 წელს არნ. ჩიქობავამ ჩააბარა სადოქტორო გამოცდები. 1928 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში“, რომელიც 1929 წელს წარადგინა სადოქტორო დისერტაციად. ეს გამოკვლევა 1968 წელს ხელმეორედ დაისტამბა (პირველ გამოცემას დაემატა „გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები“ და „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი გენდენციები ქართულში“) და აეტორმა მიუძღვნა თავისი აღმზრდელი უნივერსიტეტის 50 წლის საიუბილეო თარიღს.

ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან.

1933 წელს არნ. ჩიქობავა პროფესორად დაამტკიცეს.

1933-1960 წლებში არნ. ჩიქობავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ინიციატივით დაარსებულ კავკასიურ ენათა კათედრის გამგეა, ხოლო 1960 წლიდან – ამ კათედრის პროფესორი.

1936 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს მისი ინიციატივით დაარსებულ მთის კავკასიურ ენათა განყოფილებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

1941 წელს არნ. ჩიქობავა დაამტკიცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსად სხვა 15 სახელმწიფო მეცნიერთან ერთად.

1945 წლიდან არნ. ჩიქობავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თავმჯდომარე და ლექსიკონის მთავარი რედაქტორი იყო. იგი რედაქტორობდა ამ ლექსიკონის I და IV ტომებს (ამ უკანასკნელს რედაქტორობდა მ. ჭაბაშვილთან ერთად).

არნ. ჩიქობავა 1962 წლიდან არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასთან არსებული საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის, აგრეთვე ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის სამეცნიერო საბჭოების წევრი.

1951 წელს მოსკოვის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა ლომონოსოვის სახელობის პრემია.

1960 წელს არნ. ჩიქობავას მიენიჭა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1968 წელს მას ირჩევენ დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად.

1968 წელს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავას მიენიჭა დაღესტნისა და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პირველი სამეცნიერო შრომა „ენის რეფლექსები ფერეიდულში“ არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა 1923 წელს.

1923-1923 წლებში არნ. ჩიქობავა აქვეყნებს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საპროგრამო წერილებს. მათში ნაჩვენებია ქართული ენათმეცნიერების საგანი, ამოცანები, გზები, რომელთა მეშვეობითაც წარიმართა მუშაობა ამ 50 წლის განმავლობაში.

არნ. ჩიქობავას კალამს ეკუთვნის 270-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელთაგან 14 ცალკე წიგნად გამოცემული ვრცელი მონოგრაფიაა. მანვე 1971 წელს გამოსცა „ქართული ენა“ რუსულ ენაზე, ხოლო ფრანგულად – 1972 წელს.

არნ. ჩიქობავას კვლევა-ძიების სფერო მეტად ფართოა. იგი მოიცავს ქართული ენათმეცნიერების თითქმის ყველა დარგს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ეროვნული საუნჯე – 8 ტომიანი განმარტებითი ლექსიკონი. ამ დოკუმენტური ლექსიკონის შედგენა წარმოებდა მის მიერ დამუშავებული პრინციპების თანახმად. პირველ ტომს არნ. ჩიქობავამ წაუმძღვანა შესანიშნავი გამოკვლევა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და გრამატიკული სტრუქტურის შესახებ.

ეს დიდი ეროვნული საქმე, რომლის შესრულებასაც 20 წელი დასჭირდა,

ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ლექსიკონი სიხარულით მიიღო და დააფასა არა მარტო ქართველმა ხალხმა, არამედ მან აღიარება პოვა მსოფლიოში ცნობილ ქართველოლოგებშიც. ცნობილი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი წერდა, რომ ეს ლექსიკონი „დაიჭერს ფრიად მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ერთნოვან ლექსიკონებს შორის. ეს არის ძველი, აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასსუთასწლოვანი ლიგერაგურის სადიდებლად და საამაყო მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“.

სწორედ ამ დიდი დამსახურების აღიარება იყო, რომ ლექსიკონის რედაქტორებს მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია.

არნ. ჩიქობავა არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამგომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ერთ-ერთი შემდგენელ-რედაქტორი.

არ არსებობს ქართული ენის აგებულების, განვითარების არც ერთი მხარე, რომელზეც არნ. ჩიქობავას თავისი ახალი სიგყვა არ ეთქვას.

ჯერ კიდევ გამოკვლევაში „მარგივი წინადადების პრობლემა ქართულში“ არნ. ჩიქობავამ ახლებურად გააშუქა ძველი ქართული ენის არა მხოლოდ სინტაქსური, არამედ მორფოლოგიური მხარეც. მან ნათელყო, რომ ქართული ერთპირიანი მზნით აგებული წინადადებების სტრუქტურა იდენტურია ინდო-ევროპული ენების წინადადებისა, მაგრამ სრულიად განსხვავებულია ორ და სამპირიანი მზნის შემცველი წინადადება. ასეთი წინადადებებისათვის ქართულში საჭიროა ახალ სინტაქსურ ურთიერთობათა დადგენა.

1935 წელს დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკური ნაწილი“, რომელიც ოთხჯერ გამოიცა; უკანასკნელად გადაამუშავებული სახით – 1952 წელს სახელმძღვანელო გამოქვეყნდა რუსულ, პოლონურ, ჩინურ და ჩეხურ ენებზე.

„ზოგადი ენათმეცნიერების“ II ტომში (თბ., 1945) მოცემულია ზოგადი ენათმეცნიერების მიზანი და ამოცანები, ენათმეცნიერების საგანი და სპეციალური მეთოდები.

ცალკე წიგნად გამოსულ ნაშრომში „ენის პრობლემა, როგორც ენათმეცნიერების საგანი“ (მოსკოვი; 1959, რუსულ ენაზე) და გამოკვლევებში „თანამედროვე ენათმეცნიერების გზები“, „ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ“ და სხვა, არნ. ჩიქობავა გვაძლევს ენათმეცნიერების მიმდინარეობათა კრიტიკულ ანალიზს, გვიჩვენებს, რა არის ამა თუ იმ თეორიაში ფასეული და რაა მიუღებელი. მისთვის მთაყარია, რამდენად ასახავს ესა თუ ის თეორია საენათმეცნიერო კვლევის პრაქ-

ტიკას და რამდენად უწყობს ის ხელს კონკრეტულ ენათა კვლევის წინსვლას.

ქართველურ ენათა ისტორიულ-მედარებითი შესწავლით არნ. ჩიქობავამ შექმნა ფუძემდებლური მონოგრაფიები: „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (ტექსტებითურთ, 1936 წ.), „ჭანურ-მეგრულ-ქართული მედარებითი ლექსიკონი“ (1938 წ.), „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენაში“ (1942 წ.), „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (ტ., I, 1948, ტ. II, 1961 წ.).

1965 წელს არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“.

„ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, ავგორის განცხადებით, ემყარება იმ ტექსტებს, რომლებიც მას 1926-1929 წლებში შეუკრებია და მიზნად ისახავს: 1. უფრო ღრმად ჩაგვახედოს ჭანურის ისტორიაში; 2. გაარკვიოს ჭანურის ადგილი ქართველურ ენათა წრეში; 3. ცხადყოს, რა მნიშვნელობა აქვს ჭანურს მეგრულისა და ქართულის ენათმეცნიერული შესწავლისათვის. ამ ნაშრომის ბუნებრივი გაგრძელებაა „ჭანურ-მეგრულ-ქართული მედარებითი ლექსიკონი“, სადაც საკმაოადაა გათვალისწინებული სეანური ენის ლექსიკატ. ამდენად, ეს ლექსიკონი ქართველურ ენათა პირველი მედარებითი ლექსიკონია და საფუძვლიანად ითვლება ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნად.

მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ ავგორმა გაარკვია, რომ ამჟამად მარტივად მიჩნეული ფუძე ისტორიულად ნაწარმოებია. ფუძეს ერთვის დეკერმინანტი სუფიქსი. ამ უკანასკნელის გამოყოფისათვის კი საჭიროა სპეციალური ძიება. მანვე გამოყო ძირს შუბორცებული ან ფუნქციაშეცვლილი პრეფიქსები, რომლებიც ოდესღაც გრამატიკულ კლას-კატეგორიებს აღნიშნავენ.

შრომაში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ ავგორი იხილავს სახელთა ბრუნებისა და მზნის უძველილების საკვანძო საკითხებს.

არნ. ჩიქობავამ დიდი ამაგი დასდო ქართული დიალექტების შესწავლას. შრომები „ვინის რეფლექსები ქართულში“, „ყუ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“, „გრძელი ხმოვნები მთიულურში“, „დიალექტიზმის საკითხსათვის ვეფხისტყაოსანში“ და სხვა წარმოადგენენ დიალექტური კვლევის ბრწყინვალე ნიმუშებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენში დიალექტოლოგიური კვლევის შემდგომ განვითარებას.

ასევე ფასდაუდებელია მისი როლი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენაში. არნ. ჩიქობავამ შეიმუშავა ნორმათა დადგენის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ბევრი სადავო საკითხის მოგვარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი გამოკვლევები, გამოქვეყნებული „თან-

ამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში” (კრებული, I, 1970 წ.).

მკვლევრის ყურადღების ცენტრში მუდამ დგას ქართული ენის სწავლების მეთოდის საკითხები. ასეთი ნაშრომებია: „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“, „რაგომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?“, „სახელის ანალიზის პრინციპები ქართულში“, „მზნის ანალიზის პრინციპები ქართულში“, „ტიპური შეცდომათა ანალიზი საშუალო სკოლის მოწაფეთა წერით სამუშაოებში“ და სხვა.

„იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“ არნ. ჩიქობავა გვიჩვენებს, რა საშუალებებს მიმართავენ მათი კვლევისას, რა შედეგებია მოპოვებული და იმ პრობლემებს, რაც დგას იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე.

1962 წელს მან ილია ცერცვაძესთან ერთად გამოსცა „ხუნძური ენის“ პირველი საუნივერსიტეტო კურსი არა მარტო ჩვენში, არამედ საბჭოთა კავშირში. ამ წიგნში მოცემულია ხუნძური ენის ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის ძირითად ჯგუფთა ანალიზი.

ხუნძური ენის კვლევა არნ. ჩიქობავას აღრევე დაუწყია. 1937 წელს მან გამოაქვეყნა გამოკვლევები: „ინფინიტივის დიალექტური ვარიანტები ხუნძურში (ავარულში)“, „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“, „პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით“ და სხვა. ასეთი მუშაობის საჭიროებაზე ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა „ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომაც, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს. საქართველო უნდა ამ ენების კვლევა-ძიების უმთავრეს ცენტრად ვაქციოთ“.

ამავე მიზანს ისახავდა ჯერ კიდევ 1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნ. ჩიქობავას ინიციატივით შექმნილი კავკასიურ ენათა განყოფილება, სადაც 1946 წლიდან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილების რუსული სექტორი. აქ სწავლობდნენ ადილევლი, ყაბარლოელი, აფხაზი, ხუნძი, ლაკი, ჩაჩანი სტუდენტები.

კავკასიურ ენათა განყოფილება სამასზე მეტმა კაცმა დაამთავრა, რომელთაგან 15-ზე მეტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 80-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

არნ. ჩიქობავას ფუძემდებლურ გამოკვლევათა და სხვა მრავალრიცხოვანი სპეციალისტების შრომების საფუძველზე შეიქმნა ენათმეცნიერების ახალი დარგი – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

არნ. ჩიქობავას უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით 1965

წლიდან ეწყობა (ყოველ ორ წელიწადში ერთხელ) იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიები. პირველი სესიის მასალათა კრებული მიეძღვნა არნ. ჩიქობავას დაბადების 70 წლისთავს.

არნ. ჩიქობავას მთელი ცხოვრება წარმოადგენს იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს ადამიანი თავის მშობლიურ ერს, მეცნიერებას, მეცნიერებას რომლის შესახებაც მან 1965 წელს მახაჩყალაში იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის პირველ რეგიონალურ სესიაზე საბოლოო სიტყვა თქვა „მეცნიერება არაა მიკერძოებული და, თუ იგი ასეთი გახდება, მაშინ ის შეწყვეტს მეცნიერებად არსებობას“.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე მშობლიური ერის მეცნიერებისა და კულტურის სამსახურში.¹

2. უპირველესად აღმზრდელი

თბილისი დღეს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ცენტრს რომ წარმოადგენს, ეს, უეჭველია, არნოლდ ჩიქობავას, როგორც დიდი ენათმეცნიერის, კავკასიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აღმზრდელის დამსახურებაა. ამიგომაცაა, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიგერატურისა და ენის განყოფილების ბიუროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით სწორედ თბილისში, ჩვენს აკადემიასთან, 1974 წელს დაარსდა საკავშირო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“, რომლის მთავარი რედაქტორიც ჩვენი სასიქაღულო მეცნიერი ბრძანდება.

გმა აღიარებამდე ია-ვარდებით მოფენილი როდი ყოფილა.

თბილისის უნივერსიტეტი, ერთი სემესტრის განმავლობაში, კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, იგი მხოლოდ 1918 წლის 3 სექტემბერს გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად. არნოლდ ჩიქობავა მაგერიალურ სიეიწროვეს განიცდიდა, თანაც სწავლის ფული იყო გადასახდელი. ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შვილები თავისუფლდებოდნენ, არნოლდ ჩიქობავა კი ღარიბი ოჯახიდან იყო.

1. (ვ. სომხიშვილთან ერთად). გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 28 მარტი, ცხინვალი, 1973, გვ. 3.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში, უნივერსიტეტის პროფესორის სერგო ჯორბენაძის მიკელევით, მრავალია განცხადება, სადაც მსმენელები სწავლის ქირისაგან გათავისუფლებას ითხოვენ. მათ შორის არ გვხვდება არნოლდ ჩიქობავას განცხადება, თუმცა მას ძალზე უჭირდა. სამაგიეროდ, ამის შესახებ სხვები წერდნენ და ბოლოს, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, იგი გაუთავისუფლებიათ ამ გადასახადისაგან.

არნოლდ ჩიქობავას წილად ხედა ბედნიერება, ჯერ ივანე ჯავახიშვილის სტუდენტი ყოფილიყო, ხოლო შემდეგ – მისი კოლეგა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ არნოლდ ჩიქობავასთვის მეცნიერული და მწეობრივი სისუკეტაკის ნიმუში სწორედ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილია, რომლის პორტრეტი მისი სამუშაო ოთახის მუდმივი ბინადარია. დღეს პატივცემული არნოლდი თვითონაც ასეთსავე პიროვნებას წარმოადგენს მისი მოწაფეებისა თუ კოლეგებისათვის.

არნოლდ ჩიქობავამ, მიუხედავად მოუცლელობისა, ყოველთვის იცის, რა უჭირს ან რა ულხინს მის მოწაფეებს, თანამშრომლებსა და კოლეგებს, იგი მუდამ მზადაა მათ დასახმარებლად და გასამხნეველად.

ცხოვრებაში ასეთი აღამიანი მეგალ მომთხონია მეცნიერებაში. მისთვის მეცნიერება „მეგალ მკაცრი მისიაა“ (ნორბერტ ვინერი), ხოლო მეცნიერებისათვის თავდადება – აუცილებლობა.

ასეთია თვითონ და ამასვე მოითხოვს თავის მოწაფეთაგან.

არნოლდ ჩიქობავა, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, სანიმუშო პიროვნებაა. მისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი მრწამსი კარგად ჩანს მისივე გამონათქვამებიდან: „მეცნიერული ძიება არ გამოორიცხავს შეცდომებს, მხოლოდ ის არ ცდება, ვინც არაფერს არ ეძიებს... საწყენია, როდესაც სპეციალისტს მოუვა მარცხი კელევა-ძიების დროს (მაგრამ ეს არ არის სამარცხვინო: სამარცხვინოა მეცნიერებაში სიცრუე)“.

არნოლდ ჩიქობავას მთელი ცხოვრება, მისი მეცნიერული, პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი საქმიანობა მეცნიერებაში ჭეშმარიტების დადგენისათვის უშეღავათო ბრძოლაა.

1950 წელს გაზეთ „პრადას“ ფურცლებზე გამართული საყოველთაოდ ცნობილი დისკუსიის შემდეგ ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ ფაქტიურად უარყოფილ იქნა. აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა არნოლდ ჩიქობავას მაღალი მეცნიერული ეთიკა. იგი იყო პირველი, ვინც იცავდა და აღიარებდა ნ. მარის სამეცნიერო ნაღვაწში – დადებითს.

ჩემი თაობის სტუდენტობას (ასევე სხვებსაც) ნათლად ეხსომება არნოლდ ჩიქობავას მიერ ლექციებზე თქმული: ნ. მარის მიერ დაარსებულ სერიაში „ტექსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“ ძველი ქართული ენის ძეგლთა გამოცემა იმდენად მაღალ დონეზე დგას, რომ ერთი მეცნიერის სასიციოცხოლო საქმედ ის იკმარება, რაც ამ მხრივ ნ. მარმა ამ სერიაში გამოაქვეყნაო. მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში

„იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ წერია: „იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს ქართულურ და მთის კავკასიურ ენათა შესახებ“.

არნოლდ ჩიქობავას მეცნიერული კონსუფტია მთლიანია, რაც მის მეცნიერულ მოღვაწეობას იმთავითვე მოსდევს. იმავდროულად, მისთვის უდავოა მეცნიერებაში აზროვნების თავისუფლება, თუ, რასაკვირველია, „ამოსავალი პრინციპები და კვლევის პროცესები შეესაბამება მეცნიერების მოგად მოთხოვნილებებს“. ეს მისი ურყევი კრელოა. აქ თქმულიდანვე გამომდინარეობს, რომ „საკითხი იმის მიხედვით კი არ წყდება, თუ ვინ, რომელმა სპეციალისტმა – ცნობილმა თუ უცნობმა – თქვა, სად და რომელ ენაზე თქვა, როდის თქვა.

„საკითხი იმის მიხედვით წყდება, თუ რა მიმართებაშია თქმული ობიექტურ სინამდვილესთან, მის კანონზომიერებათა შეცნობასთან“, – წერს იგი ერთგან.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ერთი ადგილი დიდი მეცნიერის მიერ 1955 წელს დაწერილი პირადი ბარათიდან, რომელიც დადესტნულ ენათმეცნიერ ზ. აბდულაევს მოჰყავს თავისი მონოგრაფიის „ნარკვევები დარგული ენის სინტაქსის შესახებ“ – „წინასიტყვაობაში“: „ნუ ერწმუნებით ნურც ჩემს სიტყვას, ნურც სხვა სპეციალისტისას, თუ ფაქტები ამის ნებას არ იძლევიან: ფაქტები და მათი ჩვენება უპირველესად, ხოლო ამა თუ იმ პირის შეხედულება იმდენად, რამდენადაც ისინი ეთანხმებიან ფაქტებს“.

უკომპრომისო მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენისას, არნოლდ ჩიქობავა გულუხვია იდეების თუ იმ ენციკლოპედიური ცოდნის გაცემაში, რაც მას გააჩნია.

ამიგომაცაა არნოლდ ჩიქობავასათვის ყველაზე სასიხარულო მისი მოწაფეებისა თუ კოლეგების წარმატება. იგი მას ისე აღიქვამს, როგორადაც კარგი მოჭირნახულე – შემოღვომამზე რომ მოიწევეს თავისივე უხვ ნაამაგარს.

ვუსურვოთ, არ მოკლებოდეს ეს ბედნიერება.

ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ენის სექტორის გამგემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ბალოვმა 1975 წელს, ქალაქ მაიკოპში, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისადმი მიძღვნილი VI რეგიონალური სესიის დამთავრების შემდეგ – გამომშვიდობებისას, მეცნიერს მიმართა:

– არნოლდ სტეფანეს ძე! იცოცხლეთ დიდხანს, ძალიან დიდხანს. თუნდაც, ჩვენი გულისათვის.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური ერის, მეცნიერებისა და კულტურის კეთილდღეობა, ამ სურვილს შეუერთდება!

3. უკვდავებასთან ნაზიარები

თავისი დაბადების ორმოცი წლის თავზე ბატონი არნოლდ ჩიქობავა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერდა: „ორმოცი წელი... „გზა ყივის წამაყალისა!“ –

არნოლდ ჩიქობავას გზა მეცნიერებაში კი ამ სამოცზე მეტი წლის წინათ დაიწყო:

1922 წელს ჩვენი უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებულთაგან „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ ხუთი ახალგაზრდა შეირჩა – შალვა ამირანაშვილი, კოტე ბაქრაძე, ვარლამ თოფური, სიმონ ჯანაშია და არნ. ჩიქობავა. ამ „ოქროს ხუთეულმა“, როგორც მათ უწოდა აკაკი შანიძემ, განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების აღმავლობასა და განვითარებაში.

და, აი, ამ ხუთეულის ერთ უწარჩინებულესსა და უკანასკნელ წარმომადგენელსაც ვეთხოვებით...

ბატონი არნოლდი იყო პირველი თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან, ვინაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო ერთი პირველთაგანი, ვინაც ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილთაგან დაიწყო ლექციების კითხვა. 1941 წელს არნოლდ ჩიქობავა დაამტკიცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსად. მას, პირველს ქართველ მეცნიერთაგან, მოსკოვის უნივერსიტეტმა 1951 წელს მიანიჭა ლომონოსოვის სახელობის პრემია. ბატონ არნოლდს 1960 წელს ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება ენიჭება, ხოლო 1968 წელს ირჩევენ დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად...

ამ მოკლე გამოსათხოვარ წერილში შეუძლებელია იმ ნაღვაწის თუნდაც მიახლოებით აღნუსხვაე კი, რაც ბატონ არნოლდს ქართველი ერისა და ქართული მეცნიერების წინაშე აქვს. მხოლოდ რამდენსამე მომენტზე მივუთითებთ:

1933 წელს არნოლს ჩიქობავას თაოსნობით ჩვენს უნივერსიტეტში შეიქმნა კავკასიურ ენათა კათედრა, რითაც ხორცი შეესხა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნებას, თბილისის უნივერსიტეტი კავკასიათმცოდნეობის ცენტრად ქცეულიყო. 1936 წელს მანვე ჩამოაყალიბა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება. ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის (დღეს – ენათმეცნიერების) ინსტიტუტში.

არნოლდ ჩიქობავას, მისი კოლეგებისა და მოწაფეების მიერ ჩატარებული ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად, უპირველესად სწორედ ამ სამეცნიერო-სასწავლო უკრებებში, ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. მისი წარ-

მაგბული განვითარების შედეგია – 1965 წლიდან იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიების რეგულარული ჩატარება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის რომელსაზეც ცენტრში. ბატონი არნოლდი ამ სესიათა ჩატარების ორგანიზატორი და უცვლელი ხელმძღვანელი გახლდათ.

1974 წლიდან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ბიუროსა და ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით დაარსდა კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა საერთო-საკავშირო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“, რომლის მთავარი რედაქტორი ბატონი არნოლდი იყო. მან მოასწრო გაეკეთებინა რედაქცია მორიგი XIII ტომის მასალებისათვის, XII ტომი კი მისი ავადმყოფობის დროს იბეჭდებოდა. დასაბუჭდალ გამზადებულ ფორმათა უმეტესობას რედაქტორის ვიზა ადევს: „ჩასწორდეს და დაიბეჭდოს“.

ბატონი არნოლდი გახლდათ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეაგომეულის კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ლექსიკონისა, რომელიც ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი ქართველოლოგის ჰანს ფოგტის სიგყვებით რომ ეთქვათ, „დაიჭერს ფრიად მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის. ეს არის ძველი, აღმართული ენისა და მისი ძველი ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყო მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“.

ბატონ არნოლდის წერილით გაიხსნა გამეთ „პრაედას“ მიერ 1950 წელს ენათმეცნიერების საკითხებზე მოწყობილი თავისუფალი დისკუსია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მძლავრი იმპულსი მისცა ამ დისკუსიამ ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებას მთელს საბჭოთა კავშირში, ამასთან დაკავშირებით წერდა ცნობილი გერმანელი მეცნიერი პროფესორი გეორგ ფ. მაიერი:

„არნ. ჩიქობავა აღიარებას იმსახურებს აგრეთვე იმიტომ, რომ იგი მეცნიერებაში მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძოდა, რის შედეგადაც შექმნა სინქრონიული და ისტორიულ-შედარებითი ხასიათის მრავალი ნაშრომი, და ბოლოს, მოკლე დროში მან საბჭოთა ენათმეცნიერებას საზღვარგარეთ დაუბრუნა ავტორიტეტი“.

აქ არას ვამბობთ არნოლდ ჩიქობავას თხუთმეტ წიგნზე, ოთხასამდე ცალკეულ ნაშრომზე – ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე, რომელთა ერთი ნაწილი ქართული და საზოგადოდ ენათმეცნიერების ოქროს ფონდში შედის.

და ბოლოს, ბატონი არნოლდი სამეცნიერო კადრების აღმზრდელი.. დღეს იშვიათად ნახავთ კავკასიოლოგიაში მომუშავე ენათმეცნიერს, რომ მისი უშუალო მოწაფე ან მოწაფეთა მოწაფე არ იყოს. ამიტომაცაა, რომ იგი

გახლავთ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისა, არამედ აფხაზეთის, დაღესტნის, ყაბარღო-ბალყარეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა... მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა და მიმდევართა ერთი ნაწილი ამ დღეებში თბილისს ესტუმრა მოძღვართან გამოსათხოვებლად.

ბატონ არნოლდის სამუშაო ოთახში საწერ მაგიდას დიდი ივანეს პორტრეტი დაჰყურებს – მისთვის მეცნიერული და მნეობრივი სისპეცაკის ნიმუში.

ჩვენთვის ასეთი ბატონი არნოლდი იყო!

4. Патриарх грузинского языкознания

Професор Московского университета, известный русский языковед - теоретик В. Звягинцев в 1985 году обратился к ректору Тбилисского государственного университета в связи с кончиной А. Чикобава со следующими словами: “Таковыми учеными, каким был Арнольд Степанович Чикобава, отмечаются основаполагающие этапы развития советской науки о языке”.

Но путь до такого признания был не легким.

Арнольд Степанович Чикобава родился 26 марта 1898 года в селе Сачикобао Сенакского уезда (Цхакаевский район). В 1909 году он окончил двухлетнее училище в Дзвели Сенаки, а в 1917 году – Кутаисскую грузинскую гимназию. В 1918 году он поступил в Грузинский университет, основанный великим Иванэ Джавахишвили, и стал представителем первой плеяды грузинского студенчества. Он учился на языковедческом отделении факультета философии и словесности.

В 1922 году А. Чикобава окончил университет. Вместе с другими выпускниками – Ш. Амиранашвили, К. Бақრადзе, С. Джанашия и В. Топурия – его оставляют “для подготовки профессора” (т.е... в аспирантуре)”. Общеизвестно, какую большую роль сыграла эта “золотая пятерка” (по выражению А. Шанидзе) в становлении и развитии в Грузии гуманитарной науки.

В 1923 году А. Чикобава опубликовал свой первый научный труд “Рефлексы звука в ферейданском диалекте грузинского языка”; с тех пор и до последнего дня своей жизни он не выпускал из рук пера, оставив нам богатейшее научное наследие: пятнадцать монографий (некоторые изданы многократно), около 400 различных исследований на грузинском, русском и иностранных языках. Часть этих трудов вошла в золотой фонд как в грузинской, так и мировой лингвистики.

Арнольд Степанович был первым выпускником нашего университета, защитившим докторскую диссертацию (1929 г.), одним из первых начал читать лекции в своем родном университете (1926 г.), первым получил звание профессора (1933 г.). Чуть позже, в 1941 году, его вводят в первый состав действительных членов Академии наук Грузинской ССР, в 1951 году ему, первому из грузинских ученых, присудили премию МГУ им. М. Ломоносова.

А. Чикобава был первым и единственным из наших ученых, получившем почетное звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР (1946 г.), Дагестанской (1968 г.), Кабардино-Балкарской (1968 г.), Абхазской (1978 г.), Чечено-Ингушской (1983 г.) АССР.

А. Чикобава возглавил научную грузинскую лингвистическую школу кавказоведения, создал новую отрасль языкознания – иберийско-кавказское языкознание.

По воспоминаниям академика А. Апакидзе, видный грузинский ученый, историк С. Джанашия еще полвека тому назад, оценивая заслуги Арнольда Степановича, сравнивал его с Иванэ Джавахишвили – этим гигантом грузинской науки. Он говорил, что А. Чикобава на протяжении полувека был своего рода Джавахишвили в иберийско-кавказском языкознании.

Вот основные события и факты его деятельности, приведенные в хронологической последовательности. В 1933 г. Арнольд Степанович основывает кафедру кавказских языков, первую и единственную в нашей стране.

1933-34 гг. по его же инициативе в ТГУ создается единственное в СССР отделение кавказских языков. На грузинском и русском секторах этого отделения вместе с грузинами учатся юноши и девушки из Дагестана, Абхазии, Кабардино-Балкарии, Чечено-Ингушетии. Можно с уверенностью сказать, что в становлении кадров, создании многих научных центров Северного Кавказа огромную роль сыграл Арнольд Степанович Чикобава.

Впервые на отделении кавказских языков были прочитаны полные университетские курсы по горским иберийско-кавказским языкам, причем курс аварского языка первоначально ввел Чикобава. Ему же принадлежит первый университетский учебник этого языка (в соавт. с И. Цершвадзе).

1936 г. А. Чикобава основал отдел горских иберийско-кавказских языков в Институте языкознания АН ГССР (в то время Институт истории, языка и материальной культуры) – первую научную ячейку в СССР, где основным объектом изучения являются все подгруппы иберийско-кавказских языков. Ученый возглавлял этот отдел до самой смерти.

1945-1946 гг. А. Чикобава возглавлял большое патриотическое дело – был председателем комиссии по изданию и главным редактором “Толкового словаря грузинского языка”. Это восьмитомное издание заслужило признание

не только в Грузии, но и далеко за ее пределами, в кругу зарубежных картвелологов.

В 1971 году редакторы-составители "Толкового словаря грузинского языка" во главе с А. Чикобава были удостоены Государственной премии Грузинской ССР.

Одной из основных сфер научных интересов А. Чикобава было общее языкознание. Именно в этой области он создал свои фундаментальные труды и пособия. Не случайно, что именно со статьи, опубликованной 9 мая 1950 года в газете "Правда", началась свободная дискуссия по вопросам языкознания.... Общеизвестно, какой мощный импульс придала эта дискуссия развитию языкознания в нашей стране. Академик Т. Гамкредидзе в связи с этим отметил: "Арнольд Чикобава был фактическим инициатором того, что в 50-ые годы советское языкознание вернулось в лоно мировой лингвистической, языковедческой науки. Именно, благодаря этому наше советское, в частности, грузинское языкознание, добилось всеобщего признания и авторитета".

Аналогичную оценку дает научной деятельности грузинского ученого и немецкий языковед профессор Георг Ф. Майер: "А. Чикобава заслужил авторитет и признание еще и поэтому, что он упорно боролся против монополии в науке и создал множество трудов синхронного и историко-сравнительного характера. И, наконец, он вернул советскому языкознанию авторитет за рубежом".

Начиная с 1965 года, раз в два года проводятся региогальные научные сессии по вопросам системы и истории иберийско-кавказских языков в одном из научных центров кавказоведения. Арнольд Степанович был душой и инициатором этих мероприятий. В сентябре этого года аналогичная сессия состоится в столице Карачаево-Черкесской АО – Черкесске и будет посвящена 90-летию со дня рождения А. Чикобава. За последние годы иберийско-кавказское языкознание получило такое развитие в нашей стране, что возникла настоятельная необходимость создания специального печатного органа кавказоведов. И вот в 1974 году начал издаваться всесоюзный орган кавказоведов "Ежегодник иберийско-кавказского языкознания", основателем и редактором которого был А. Чикобава. Под его редакцией вышло 14 томов, что касается 15-го тома, издаваемого в этом году, то он будет посвящен памяти его основателя и редактора. Огромной заслугой А. Чикобава является то, что Тбилиси стал признанным центром кавказоведения, а иберийско-кавказское языкознание приобрело всемирное значение. Сейчас в разных регионах м и р а – США, Франции, Англии, Польше, ФРГ, ГДР, Норвегии, Голландии можно встретить ученых-кавказологов.

В разное время А. Чикобава был ученым секретарем государственной терминологической комиссии(1932-1936 гг.), членом редколлегии журнала

“Вопросы языкознания” (1952-1964 гг.), директором Института языкознания (1951-1952 гг.), членом президиума АН Грузинской ССР (1959-1963 гг.), членом постоянной комиссии по установлению норм грузинского языка при Совете Министров ГССР.

А. Чикобава был удостоен высоких наград Родины за свою научную и общественную деятельность, а также других почетных званий.

В 1960 году ему присвоили звание почетного доктора Берлинского университета имени Гумбольдта, в 1968 году избрали почетным членом Британского филологического общества, в 1973 году наградили медалью имени Джавахишвили, а в 1981 году – премией его же имени.

Он был награжден тремя орденами Ленина, орденами Трудового Красного знамени и “Знак Почета”, многими медалями. В 1951 – 1966 гг. Арнольда Степановича четырежды подряд избирали депутатом Верховного Совета Грузинской ССР.

А. Чикобава был одним из виднейших представителей современной грузинской науки, что в известной степени обуславливает его деятельность, как педагога и ученого. Арнольд Степанович всегда уделял школе большое внимание. Он так характеризовал систему образования: “Высшее образование – в е р х н и й этаж, который опирается на среднее образование – нижний этаж, а ф у н д а м е н т о м его является начальная школа.”

Это были не пустые слова – начиная с 30-х годов Арнольд Чикобава, не жалея сил, трудился над укреплением и развитием нашей средней школы. Его труды “Какие особенности характеризуют структуру грузинского языка (статьи I-V)”, “Приципы анализа имени существительного в грузинском языке”, “Принципы анализа глагола в грузинском языке” и другие предназначены учителям словесности наших школ. Его участие в редколлегиях школьных учебников было обусловлено авторитетом, престижем нашей школы. А сохранение, защита престижа национальной школы были, по словам А.Чикобава, первой обязанностью педагогов, ибо “ педагог – это большая сила, когда он своей бескорыстной деятельностью, объективностью, беспристрастностью заслуживает любовь и признание ученика, прежде всего ученика”.

Школа была и осталась одной из первых, давних привязанностей Арнольда Степановича. Поэтому он свои будущие гонорары завещал родной школе в Дзвели Сенаки(она носит ныне его имя, как Институт языкознания АН Грузинской ССР), а также одной из грузинских школ в Сангило.

А. Чикобава принадлежат слова: “Человек уходит, дела остаются”. Сегодня отмечая 90-ю годовщину со дня его рождения, мы можем с уверенностью сказать, что только создание школы иберийско-кавказского языкознания увековечило бы его имя. Ведь не все ученые удостоиваются этой чести – создать

научную школу.

Арнольд Степанович приобщился к бессмертию в 87 лет... Да, природа вроде не поскупилась, щедро отмерила ему годы и все же для тех, кто близко знал его, сотрудничал с ним, он ушел безвременно. Возраст не коснулся ни его огромного интеллекта, ни завидного трудолюбия, да и планы на будущее были у него обширными. И все же, думается, он покинул этот мир счастливым, ибо оставил после себя обширное наследие, нетленную память, многочисленных учеников и, что самое главное, научную школу¹.

5. არნოლდ ჩიქობავა

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შესახებ გვესაუბრება მისი ერთ-ერთი მოწაფე, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გენადი ბურკულაძე.

გენადი ბურკულაძე თავის მასწავლებელს წარმოგიჩენს, როგორც დიდ მეცნიერსა და მოქალაქეს. ამისათვის საუბრის ფორმაც არაორდინალური ირჩია ავტორმა: არნოლდ ჩიქობავას მიერ განვლილი სამეცნიერო გზის შესახებ თხრობა ხშირად შეესებულება იმ მძიმე, გარდასულ დღეთა მოგონებით, რასაც დიდი მეცნიერი, ჩანს, თავის მოწაფეს უზიარებდა.

ქვემოთ წარმოდგენილი ნარკვევი მოგონება-შეხსენებაა იმის შესახებ, თუ რა პირობებში იღვწოდნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები და რას აღწევდნენ, რაკი პქონდათ უდიდესი სიყვარული არჩეული პროფესიისა და არანაკლები პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე.

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა... 95 წლის გახდებოდა დღეს, 26 მარტს, მისი პირველი თაობის ერთი სტუდენტთაგანი – არნოლდ ჩიქობავა.

პირველი, ვინც ჩვენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან დაგოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ (დღევანდელი ასპირანტი), იყვნენ შ. ამირანაშვილი, კ. ბაქრაძე, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია. ეს გახლდათ ის „ოქროს ხუთეული“ (ა. შანიძემ რომ უწოდა მათ), რომლის თითოეულმა წევრმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერების აღმავლობასა და განვითარებაში.

1. Патриарх грузинского языкознания. – ვაზ. „Народное просвещение“, 31.III. 1988, გვ. 1.

ესენი იყვნენ, ვისაც ქართული უნივერსიტეტის საფუძვლის ჩამყრელის, დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა გვერდით უნდა გაემართლებინათ ისტორიულად კარგა ხნის გაწყვეტილი ხაზი, ჩვენში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში რომ დააჩნდა ფაზისის, გულათისა თუ იყალთოს... აკადემიათა არსებობის შეწყვეტის შემდეგ.

ასე რომ, სამკალი დიდი იყო, მომკელნიც – ჩინებულნი...

ერთ-ერთი ამ მომკელთაგანი არნოლდ ჩიქობაევა გახლდათ. იგი დაიბადა 1898 წლის 26 მარტს სენაკის მაზრის სოფ. საჩიქობაოში. 1909 წელს მან დაამთავრა ძველი სენაკის ორწლიანი სასწავლებელი, ხოლო 1917 წელს – ქუთაისის ქართული გიმნაზია. 1918 წლიდან არნ. ჩიქობაევა სწავლობდა ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეცნიერების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილებაზე.

1922 წელს არნ. ჩიქობაევა ამთავრებს სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1923 წელს ქვეყნდება მისი პირველი სამეცნიერო შრომა „ვინის რეჟლექსები ფერეიდანულში“. აქედან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არნ. ჩიქობაევას კალამი ხელიდან არ დაუგდია: 15 მონოგრაფია (ზოგი რამდენჯერმე გამოცემული), ხუთასამდე ცალკე გამოკვლევა ქართულ და უცხოურ ენებზე. ამ შრომათა ერთი ნაწილი ქართული, და სამოგადოდ, ენათმეცნიერების ოქროს ფონდშია შესული.

სიგყვა პირველი და ერთადერთი არ სცილდება დიდი მეცნიერისა და მოქალაქის მიერ განვიღო სამეცნიერო თუ სამოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ ნუსხას.

არნ. ჩიქობაევა პირველი იყო ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან, ვინაც სადოქტორო დისერტაცია დაიცვა (1929 წ.); ერთ-ერთი პირველი იწყებს ლექციების კითხვას თავისავე მშობლიურ უნივერსიტეტში (1926 წ.), უნივერსიტეტის აღმზრდილთაგან იგი პირველი პროფესორია (1933 წ.), მოგვიანებით, 1941 წელს, იგი შეჰყავთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში. არნ. ჩიქობაევა ქართველ მეცნიერთაგან პირველია, ვისაც მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემია (1951 წ.)... არნოლდ ჩიქობაევა პირველი და ერთადერთი მეცნიერია, რომელსაც სხვადასხვა დროს მიაკუთვნეს საქართველოს სსრ (1946 წ.), დაღესტნის (1968 წ.), ყაზბარდო-ბალყარეთის (1968 წ.), აფხაზეთისა (1978 წ.) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის (1983 წ.) ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებანი. ეს ღირსეული აღიარება კი მან მოიპოვა იმ დიდი და, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, გიგანური შრომისათვის, რაც მეცნიერმა გასწია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის სფეროში.

მთის იბერიულ-კავკასიურ და ქართველურ ენათა ერთად კვლევის საჭიროებაზე ნ. მარიც მიუთითებდა (1916 წ.). მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ქართველურ ენათა მყარი მეცნიერული კვლევა შეუძლებელია „მთის

(ივარაუდება მთის იბერიულ-კავკასიური ენები – გ. ბ.) ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე”. ცოგათი ადრე კი, 1923-24 წლებში, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულში“ (გაერთიანებული 1-2 ნომრები) ქვეყნდება არნ. ჩიქობავას საპროგრამო ხასიათის წერილები „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ და „წინასიტყვაობა“. მათში წარმოდგენილია არა მარტო ქართული ენათმეცნიერების საგანი („ქართულსა და მის მონათესავე მეგრულ-სვანურს გარდა სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ“), არამედ დასახულია გზები („ჩვენი გზა არის და უნდა იყოს პოზიტიური შესწავლისა, ფაქტების შეგროვებისა და მათი ურთიერთობის თანდათანობითი რკვევისა“) და ის თეორიული წინამძღვრების, რომელთა მემეოობითაც უნდა წარმართულიყო და წარიმართა კიდევ ჩვენში საენათმეცნიერო მუშაობა.

ამ დროს არნ. ჩიქობავა სულ ოცდახუთიოდე წლისა თუ იყო.

ოციოდე წლის შემდეგ, 1942 წელს, არნოლდ ჩიქობავა უფრო აკონკრეტებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ამოცანებსა და საშუალებებს;

„მთის კავკასიურ ენათა ისტორიული შესწავლისათვის ძირითადი საშუალებაა შედარება: ეს შედარება დაწყებულ უნდა იქნეს ცალკეული ენების კილოებით, შემდეგ უნდა გავრცელდეს ცალკეული ჯგუფის ენებზე და დამრთავდეს კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფების შედარებით. ფონეტიკას, ლექსიკას, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურას შედარებისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. ეს ყველაფერი საჭიროა, თუ გვინდა, რომ კავკასიურ ენათა შესწავლა მეცნიერულ დისციპლინად იქცეს...“

ეს ფაქტობრივ არნ. ჩიქობავას დიდი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის 1937 წელს გამოთქმული ცნობილი დებულების – „ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გარდამავებულ შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს“ – პრაქტიკული განხორციელების გზები.

სწორედ არნ. ჩიქობავას ხედა წილად პაგივი, სათავეში ჩადგომოდა ქართულ კავკასიოლოგიურ საენათმეცნიერო სკოლას და შეექმნა ენათმეცნიერების ახალი დარგი – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

დღეს, როდესაც თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენაა გამოკვლეული (ბევრი თავისი დიალექტებითურთ), გამოქვეყნებულია რიგი განმარტებული ხასიათის ნაშრომი, მეცნიერულად კანონზომიერიცა ამ ენათა მიმართ მიღებული დასკვნა: „... ერთობა იქ დადასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს. ამით წყდება ძირითადი საკითხი: იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი: რაც

უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო”.

ამ დასკვნის მეცნიერული საფუძველი პქონდა არნ. ჩიქობავას; უპირველესად სწორედ მისი, მისი კოლეგებისა და მოწაფეების მიერ ჩატარებული გეგმამომიერი კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აკად. ანდრია აფაქიძის მოგონება, რომ „ს. ჯანაშია ჯერ კიდევ მაშინ, ნახევარი საუკუნის წინ, მიიჩნევდა არნოლდ ჩიქობავას ივანე ჯავახიშვილად კავკასიურ ენათმეცნიერებაში... ჯავახიშვილად ედგა სათავეში არნ. ჩიქობავა ნახევარი საუკუნის მანძილზე იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას – და არა მარტო ამ დარგს”.

არნ. ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი ქრონოლოგიური ფრაგმენტები კი ასეთი გახლავთ:

1933 წელს არნ. ჩიქობავა აარსებს კავკასიურ ენათა კათედრას (მისი პირველი წევრებია: ს. ჯანაშია, ვ. თოფურია და თვით არნ. ჩიქობავა), პირველსა და ჯერჯერობით ერთადერთს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის სინამდვილეში; 1933-34 სასწავლო წელს ჩვენს უნივერსიტეტში მისივე თაოსნობით ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება – ერთადერთი იმდროინდელ საბჭოთა კავშირში.

ამ განყოფილების ქართულსა და რუსულ სექტორებზე ქართველებთან ერთად სწავლობდნენ ახალგაზრდები აფხაზეთიდან, დაღესტნიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ადიღედან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან. ასე რომ, ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო ცენტრებში მომუშავეთა დიდი ნაწილი ჩვენში მომზადდა სამეცნიერო საქმიანობისათვის. მათი მეცნიერ-ხელმძღვანელი თუ კონსულტანტი ბატონი არნოლდი გახლდათ.

კავკასიურ ენათა განყოფილებაზე პირველად იქნა წაკითხული სრული საუნივერსიტეტო კურსები მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, რომელთაგან ხუნძური ენის კურსი თავდაპირველად ებარა არნ. ჩიქობავას (აფხაზურისა – ს. ჯანაშიას, ლაკურისა – ვ. თოფურიას); მასვე ეკუთვნის ამ ენის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (თანაავტორია მისივე მოწაფე, პროფ. ილია ცერცვაძე).

1936 წელს არნოლდ ჩიქობავამ მაშინდელი ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტში (ამჟამად არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) ჩამოაყალიბა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება – პირველი სამეცნიერო უჯრედი არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს მაშინდელ საბჭოეთში – სადაც კვლევის საგანია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფი. ამ განყოფილებას იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა (1936 წლიდან).

1945-1964 წლებში არნ. ჩიქობავა სათავეში ედგა დიდ ეროვნულ საქმეს – თავმჯდომარეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიას, იყო მთავარი რედაქტორი ამ ლექსიკონისა. რეაგომეულმა ლექსიკონმა

აღიარება მოიპოვა არამარტო ჩვენში (მას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაც მიენიჭა 1971 წ.), არამედ მსოფლიოში ცნობილ უცხოელ ქართველოლოგებშიც. მაგ., ამ ლექსიკონის გამოცემის დასრულების აღსანიშნავად ცნობილი დანიელი ქართველოლოგი, პროფ. ჰანს ფოგტი, 1966 წელს საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ იგი „...დაიჭერს ფრიალ მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის. ეს არის ძველი აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყო მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქაღულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“.

მართლაც, სამართლიანად უწოდა ერთმა ქართველმა მწერალმა არნ. ჩიქობავას ამ ნაღვაწს დიდი მოქალაქეობა.

1965 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ეწყობოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისგემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიები ამ ენათა შესწავლის რომელსამე ცენტრში რივრივობით. ბატონი არნოლდი ამ სესიათა ჩატარების ინიციატორი და უცვლელი ხელმძღვანელი გახლდათ გარდაცვალებამდე (უკვე ჩატარდა 13 ასეთი სესია). აღნიშნულ ენათა შესწავლა იმდენად წავიდა წინ, როგორც ჩვენში, საქართველოში, ასევე მოსკოვსა და ლენინგრადში, დალესტანსა და ყაბარდო-ბალყარეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და აღიღეში, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთსა და აზერბაიჯანში, რომ დღის წესრიგში დადგა კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა სპეციალური ბეჭდვითი ორგანოს დაარსება. და აი, 1974 წლიდან გამოსულას იწყებს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა იყო. მისი რედაქციით გამოვიდა 14 ტომი, ამჟამად დასაბეჭდად გადაცემულია XV ტომი.

არნ. ჩიქობავას უდიდესი დამსახურებაა, რომ თბილისი გახდა იბერიულ-კავკასიურ ენათა აღიარებული ცენტრი მთელს მსოფლიოში. ახლა დიდი ივანე ჯავახიშვილის ამ 50-ზე მეტი წლის წინ ნაანდერძევი: „საქართველო უნდა ამ ენების კვლევა-ძიების ცენტრად ვაქციოთ“.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება დღეს მსოფლიო მეცნიერების პრობლემაა. ამიგომაცაა, რომ ამ ენათა მკვლევრებს დღეს შეხედვით, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონებისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, ინგლისსა თუ პოლონეთში, გერმანიაში, ნორვეგიასა თუ პოლანდიაში...

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არნ. ჩიქობავა სხვადასხვა დროს გახლდათ სახელმწიფო გერმინოლოგიური კომისიის სწავლული მდივანი (1932-36 წ.წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1950-1963 წ.წ.), ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1951-1952 წ.წ.), ეურნალ „ეოპროსი იამიკომზანიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (1952-1964

წ.წ.), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული ენის ნორმათა მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი... სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების წევრი, როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ.

არნ. ჩიქობავას მისი სამეცნიერო-პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღმნიშვნელი რეგალიები არ აკლდა. აი, ზოგიერთი:

1960 წელს მას მიენიჭა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. 1968 წელს იგი აირჩიეს დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საპატიო წევრად, 1973 წელს მას მიეკუთვნა ივანე ჯავახიშვილის მედალი, ხოლო 1981 წელს – მისივე სახელობის პრემია...

გზა კი ასეთ აღიარებამდე ხანგრძლივი იყო და არც თუ ია-ეარდებით მოუფენილი... პირიქით:

ამონარიდი არნ. ჩიქობავას მონათხრობიდან:

1928 წელს თუ 1929 წელს მისულან საენათმეცნიერო საზოგადოების შესამოწმებლად. ამ საზოგადოების მდივანი კი ბატონი არნოლდი გახლდათ. შეკითხვიან: რა დამოკიდებულებაშია ენათმეცნიერება მარქსიზმთანო... ბატონ არნოლდს უპასუხია: ჩვენ ჯერ ენობრივი მასალი შეგროვების, შეკრების სტადიაში ვართ, თეორიული განზოგადოებანი შემდგომი საფეხურია კვლევისა და, ამდენად, მარქსიზმი იმდენადაა გამოსაყენებელი ჩვენთან, როგორც, მაგალითად, მინერალოგიაშიო...

ეს ამბავი, ჩანს, მიუტანიათ შემდგომ ინსტანციებში და ამიერკავკასიის ცაკ-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მთავრობის სხდომაზე საჯაროდ უთქვამს: აი, ასე ბრძანებს საენათმეცნიერო საზოგადოების მდივანი და ეს იმიტომ, რომ აქაური ენათმეცნიერები გაურბიან ნ. მარის მარქსისტულ მოძღვრებასო... (აქ ბატონმა არნოლდმა ხელმძღვანელის რუსულად ნათქვამი მოიყვანა)... (ეს მოხდა სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრეო).

ზოგჯერ ბედზეა ადამიანის სიცოცხლე, – დასძინა ბატონმა არნოლდმა და განაგრძო: 1930 წელს წყალტუბოში ისვენებდა ი. სტალინი. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შეკითხვია მას: რა ამრის ბრძანდები ნიკო მარზე. აქ, ჩვენთან, ერთი ახალგაზრდა აკრიტიკებს და ამის გამო ავიწროებენო (მთავრობის ყურამდე ეს მიუტანია ბიძინა რამიშვილს). ი. სტალინს თავისი მკაცრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავს ნ. მარის მიმართ და უთქვამს: Мара дура!

რა თქმა უნდა, ეს სალდაფონური გამოთქმაა და მკრეხელობაც დიდი მეცნიერის მიმართ (არნოლდ ჩიქობავასაგან ლექციებზე არაერთხელ გვსმენია: ნიკო მარის მიერ დაარსებულ სერიაში „ტექსტები და ძიებანი სომხურ ფილოლოგიაში“ ძველი ქართული ძეგლების გამოცემა იმდენად მაღალ ღონეზე დგას, რომ ერთი მეცნიერის სასიცოცხლო საქმედ ისიც კი იკმარებდა, რაც ამ მხრივ ნ. მარმა ამ სერიაში გამოაქვეყნაო, ან კიდევ: „იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახ-

ებ“), მაგრამ ჩანს, ი. სტალინი იცნობდა ან გავიწილი ჰქონდა ნ. მარის ზოგ შრომაზე, ალბათ, შედარებით ბოლოდროინდელზე, როცა მის თეორიაში გაჩნდა ოთხელებენგოვანი ანალიზი და ზოგი სხვაუც. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ი. სტალინი ანალოგიურ გამოთქმებს ხმარობს ნ. მარის ზოგი თეორიული ხასიათის განმარტადობაზე სხვაგანაც... არნ. ჩიქობავას არქივშია მისი ერთი მოხსენების („აკად. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია“) დედანი, რომელსაც ი. სტალინი გასცნობია. ამ მოხსენების გვერდებზე ი. სტალინის ხელითაა მიწერილი შენიშვნები თუ მოწონების სიგყეუბი...

იმ ადვილას, სადაც არნ. ჩიქობავა წერს, ნ. მარის ენათა სტადიური განვითარების კლასიფიკაციაზე, ი. სტალინს ნ. მარისეული კლასიფიკაციის სქემის გასწერივ მიუწერია: „Какая типость“... ნ. მარის ციტირებაზე ენათა გლოგოგონიური პროცესის თაობაზე კი მიწერილია: Чепуха...

ნ. მარის ზოგ იმდროინდელ ნაშრომს, ცნობილია, არაერთი ევროპელი მეცნიერიც ანალოგიურად, მკაცრად უარყოფითად აფასებდა. ისინი „თავიანთ კრიტიკულ წერილებში ნიკო მარს ქართველ ან კავკასიელ ცუნდრუკს (Чудрак) უწოდებდნენ, რომლის შრომებს უფრო ახირებულობის ინტერესი აქვს, ვიდრე მეცნიერული“ (მოგყავს ი. ჯავახიშვილის ერთი საგაზეთო წერილიდან. ამ წერილის თაობაზე იხ: ბალავერი, № 4-6, 1988, გვ. 216-221).

თვით არნოლდ ჩიქობავას, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, 1926 წელს ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკის“ შესახებ დაწერილ რეცენზიაში, მართალია, ბევრად უფრო დელიკატურად, თითქოს იგივე თვალსაზრისი აქვს გატარებული: „იაფუგიდოლოგიის კოსმიური პიპოთემებისათვის მებრძოლ აკად. ნ. მარს მეცნიერება ათასწილ მეტ მადლობას უძღვნიდა, პროტოისტორიული ადამიანის დაუდევარ ცნობიერებაში შეუზღუდავი თარემის ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ – ამ ფაქტებით განსაზღვრული ამრები წარმოედგინა, თუნდაც „ძველ-ქართულის გრამატიკის მსგავსად“.

ეს არცაა გასაკვირი. არნ. ჩიქობავა ხომ ცნობილი გახლდათ თავისი უკომპრომისობით. მან ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნ. მარის ახალი მოძღვრება ენის შესახებ მიჩნეული იყო ენის შესახებ ერთადერთ მაგერიალისტურ და მარქსისტურ თეორიად („ახალი ენათმეცნიერული თეორია არა მარტო რეეოლუციურია, არამედ მაგერიალისტური და დიალექტიკურიც“, – წერდა თვით ნ. მარი 1931 წ.), საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სსდომამე ლენინგრადში, 1940 წლის 27 მაისს, გააკეთა ისტორიული მნიშვნელობის მოხსენება „პრობლემა ენისა, როგორც ლინგვისტიკის საგნისა, საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითად ამოცანათა შუქზე“. აქ არნ. ჩიქობავამ პირველმა საჯაროდ დაგმო ნ. მარის „ოთხელებენგოვანი ანალიზი“ და უწოდა მას „საოცარი, შემზარავი ანტიისტორიზმი“.

ამონარიდი არნ. ჩიქობავას იმ ბარათიდან, აკად. ს. ჯანაშიას რომ გამოუგზავნა 1940 წლის 31 მაისს მოსკოვიდან. ამ წერილს ლენინგრადის იმ დღეთა უშუალო შთაბეჭდილების სურნელი დაჰყვება; იგი დაწერილია არნ. ჩიქობავასეული სტილით: ლაკონურად და მუხლობრივ. ბ-ნი არნოლდი წაკითხული მოხსენების შესახებ წერს:

„ოფიციალური კომუნიკე ასეთია:

მიღწეულია სრული თანხმობა ენისა და ლიგერაგურის განყოფილებასთან (და მასთან ერთად ენისა და ამროვნების ინსტიტუტთანაც), რომ:

ა) ოთხი ელემენტით მუშაობა საბჭოთა ენათმეცნიერებას არ შეუძლია (resp. არ სჭირდება);

ბ) გენეალოგიური კლასიფიკაცია არაა უარსაყოფი;

– ოთხი ელემენტი ისგორიის კუთვნილებად იქცა. საბჭოთა ენათმეცნიერება განთავისუფლდა ამ უცნაურობისაგან და ამაში ჩვენი ინსტიტუტის წვლილი არის...”

ამ ისგორიული სხდომის თავმჯდომარემ, საკაეშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიგერაგურის განყოფილების ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ივ. მემჩანინოვმა მოხსენების გარშემო კამათის დროს ბრძანა, რომ „ენისა და ამროვნების ინსტიტუტი ოთხელემენტოვანი ანალიზის მიხედვით არ მუშაობს და მოსმენილს გამოაქვეყნებენ ლიგერაგურისა და ენის განყოფილების მოამბეშიო“, მაგრამ, სამწუხაროდ, აკადემიკოს-მდივანმა სიკცყავერ, უკეთ არ, შეასრულა (ნაშრომი გამოქვეყნდა ჩვენთან, საქართველოში, 1942 წ.).

სამაგიეროდ 1950 წლის 16 მაისს გაზეთ „პრაედას“ ფურცლებზე მან არნოლდ ჩიქობავა საქვეყნოდ დააბეჭდა: პროფ. არნ ჩიქობავა მარს მიიჩნევს, როგორც ქართულ-სომხური ფილოლოგიის უდიდეს მცოდნეს, მაგრამ ამ მტკიცებით წინა პლანზეა წამოწეული მარის რევოლუციამდელი შრომები, მარის მოღვაწეობის საბჭოური პერიოდი, რომელიც ხასიათდება ჩვენთვის მეტად ფასეული შემოქმედებით, უკვე ჩამოყალიბებული საბჭოთა მეცნიერისა, შეფასებულია მხოლოდ უარყოფითად”.

როცა ამის შესახებ შევახსენეთ ერთხელ ბ-ნ არნოლდს, მან ბრძანა: ეს იყო პოლიტიკური ბრალდება. ისე კი, მეცნიერება არ ფასდება იმით, როდის დაიწერა, არამედ იმით, რაა ფასეული.

ანალოგიური ხასიათის დაბეჭდებანი არნ. ჩიქობავას არც ადრე აკლდა და, სამწუხაროდ, არც ახლა აკლია.

კვლავ არნ. ჩიქობავას მოგონებიდან:

1933 წელს, რამდენიმე წლის პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთებული, კვლავ ადღვა უნივერსიტეტი: მის პარალელურად ქუთაისში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის სასწავლო ნაწილის გამგედ გ. ახელედიანი დაუნიშნაეთ, მას კი ბ-ნ არნოლდისთვის შეუთავაზებია: წაეიდეთ და იქიდან შეეუგითო ნ. მარსო... ბ-ნმა არნოლდმა განაგრძო: არც ახლა ვარ დიპლო-

მაგი და მით უფრო მაშინო და ამიგომაც ბაგონ გიორვისათვის პირდაპირ უთქვამს: ეგ იმას ჰგავს, მენშევიკებმა თბილისი რომ დატოვეს და ამბობდნენ, შორაპნიდან დაებრუნდებითო...

ასეთი იყო იმდროინდელი სიგუაიცა...

იმავე წელს უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს გამოუგანია დადგენილება არნ. ჩიქობავას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. ამას კი სხვა ამბავი უსწრებდა წინ:

ამ დროს უნივერსიტეტთან არსებულა ენის, ლიგერაგურისა და ხელოვნების ინსტიტუტი (შემოკლებით ელხი), სადაც მუშაობდნენ ივ. გიგინეიშვილი და ქ. ლომთათიძე. ერთ დღეს ორივე გაუთავისუფლებიათ სამუშაოდან.

ივ. გიგინეიშვილს დაბრალდა, რომ ის იყო ახალგაზრდა მარქსისტთა წრის წევრი (ყოფილა ასეთი მენშევიკური ორგანიზაცია), ხოლო ეს თითქოს ეთქვას ვალ. რამიშვილს (მაშინ ქართული ენის მეთოდისტი, შემდეგ პროფესორი). ამაზე ვალ. რამიშვილმა სასტიკი უარი განაცხადა და წერილობითაც დაწერა: ე. ი., ის ბრალდება ივ. გიგინეიშვილს მოეხსნა, ქ. ლომთათიძეს კი საერთოდ არაფერი ბრალდებოდა.

ცხადი იყო, ისინი გაათავისუფლეს სამუშაოდან მხოლოდ იმიტომ, რომ არნ. ჩიქობავას მიმდევრები იყვნენ.

ბ-ნ არნოლდს ამაზე ოფიციალურად დაუწერია, დაუბარებიათ პარტკომისიის სხდომაზე და უკითხავთ: ჩვენგან რაიმე შევიწროებას განიცდით? იქვე ბრძანებულა ბ-ნი აკაკი შანიძეც, რომელსაც უთქვამს: აქამდე არაო.

ასე თუ ისე, ივ. გიგინეიშვილი და ქ. ლომთათიძე მაშინ არ აღუდგენიათ.

იმ პერიოდში გამეთ „პრავედაში“ გამოქვეყნებულა ვინმე ალბოროვის ვრცელი სტაგია, რომელშიც ნ. მარის მოძღვრება მიჩნეული იყო მარქსისტულად. ამ სტაგიის გამო გამართულა კამათი და გამოსულან არნ. ჩიქობავას წინააღმდეგ. მისთვის ასეთი კითხვაც დაუსვამთ:

მამ, „პრავედა“ არ წერს სიმართლეს? (წრეგადასული, ურცხვი დემაგოგია!)

არნოლდ ჩიქობავას უპასუხია:

„პრავედა“ საერთოდ სიმართლეს წერს, მაგრამ ნ. მარის ის შეცდომები, რომლებიც მასა აქვს, მიუღებელია და, ამდენად, ალბოროვი არ წერს სიმართლესო.

ღისკუსიის მაგვარი კამათი სამ დღეს გაგრძელებულა; ზოგის გამოსვლა იმდენად ურცხვი ყოფილა, რომ ელხის-ს მაშინდელ დირექტორს უთქვამს, პიროვნების შეურაცხყოფას თავი მაინც ვანებოთო (არადა, დარბაზიდან გაჰკიოდნენ თურმე... არნოლდ ჩიქობავამ გვარებიც ჩამოთვალა, ზოგმა შემდეგ ფაშიზმის მიმდევარიც კი შემარქვაო...).

ამის შემდეგ, მართალია, უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილება ძალაში დარჩენილა, მაგრამ ის ცაქს არ დაუმტკიცებია, იყოდნენ ი. სტალინის შეხედ-

ულეზა ნ. მარზო!
(დასასრული იქნება)

6. არნოლდ ჩიქობავა (გაგრძელება)

არნოლდ ჩიქობავა თავისი მონოგრაფიის – „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ – მეორე გამოცემის „წინასიტყვაობაში“ წერს:

„მარისგები არაერთხელ დასხმიან თავს ამ წიგნს.

იმის დახასიათებლად, თუ რა საშუალებებით იბრძოდნენ მარისგები, საკმარისია ითქვას, რომ გერმინ „იმანენტიზმის“ ხმარება საკმარისად მიიზნიეს, რომ ავტორი „იმანენტური ფილოსოფიის“ (ბურჟუაზიული ფილოსოფიის – გ. ბ.) დამცველად გამოეცხადებინათ, თუმცა ცნობილია, რომ „იმანენტურ ფილოსოფიას“, როგორც გნოსეოლოგიურ მოძღვრებას, შემეცნების პროცესში სიმძიმის ცენტრი გადააქვს სუბიექტზე. მეთოდოლოგიური იმანენტურობა კი ენის შესწავლისას მოითხოვს ობიექტის თვისებებიდან ამოვიდეთ. მოითხოვს გამოვავლინოთ ის ნიშან-თვისებები, რაც ობიექტს შინაგანად ახასიათებს, რაც ობიექტისათვისაა იმანენტური“.

დაბეზღებათა რიგი არ წყდება თვით იმ ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგაც.

ისევე არნ. ჩიქობავას მონათხრობიდან:

1950 წელს საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტრომ არნ. ჩიქობავას დაავალა პროგრამის შედგენა ენათმეცნიერებაში; პროგრამა განუხილავთ და მიუღიათ, სახელმძღვანელოს შედგენა კი დაუვალებიან არნ. ჩიქობავასათვის (ქართული), ლ. ბულახოვსკისა (უკრაინული) და ნ. ჩემოდანოვისათვის (რუსი). ეს უკანასკნელი იმ დროს სამოგზაუროდ ყოფილა მდინარეზე, ვერ უნახავთ და ამ ნაწილის დაწერა შეუთავაზებიათ ვ. ვინოგრადოვისათვის, რომელიც დათანხმებულა (თუმცა შემდგომ დანაპირები არ შეუსრულებია).

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვში ჩასულ არნ. ჩიქობავას სადგურში დახედრია ვ. ვინოგრადოვი და უთქვამს: თქვენი პროგრამა არ მიიღესო.

... ეინაო, შეკითხვია ბ-ნი არნოლდი. ამაზე ვ. ვინაგრადოვს უპასუხია: რომელიდაც კომისია შეიქმნა და იმანო...

ამ საკითხზე არნ. ჩიქობავას განცხადებით მიუმართავს ი. სგალინისათვის, რომელსაც ადრევე გაუფრთხილებია ბ-ნი არნოლდი, თუ რამ გაუგებრობა იქნება ამ საკითხის გარშემო, უშუალოდ მე მაცნობეთო. მართლაც, ი. სგალინმა განცხადება, ჩანს, აკადემიის პრეზიდიუმს გადმოუგზავნა, სადაც განუხილავთ პროგრამა და იგი ძალაში დარჩენილა.

მაგრამ უკვე 1953 წელს, როცა ლ. ბერია აღარ იყო, ვ. ვინოგრადოვს განუცხადებია: არნ. ჩიქობავამ ლ. ბერიას მიმართა საჩივრითო (ე. ი., მისი კაცი იყო და მისივე მხარდაჭერით სარგებლობდაო).

ეს კი რას ნიშნავდა მაშინ, გასაგებია. სამართალი კი გაირკვა, მაგრამ, დასძინა ბ-ნმა არნოლდმა, ვ. ვინოგრადოვის ასეთი საქციელი საშიშროება იყო.

ეს მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თვით აკად. ვ. ვინოგრადოვი თავის დროზე არნ. ჩიქობავამ გადაარჩინა უსამართლო დევნას. ახლა არნ. ჩიქობავას გამოქვეყნებული მოგონებებიდან „როდის იყო და როგორ“ (იკეწ, XII, 1985):

1947 წელს გაიმარჯვა გ. ლისენკოს მცენარეთა განვითარების სტადიურმა თეორიამ; ბუნებრივია, დღის წესრიგში დამდგარიყო სტადიური თეორიის საკითხები ენათმეცნიერებაშიც.

მართლაც, 1949 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა თავის საგანგებო სხდომაზე განიხილა „ენათმეცნიერების ფრონტზე არსებული მდგომარეობა“ და მიიღო სათანადო დადგენილება: „აკად. ნ. მარის „ახალი მოძღვრება“ მიჩნეულ იქნეს ენის შესახებ ერთადერთ მატერიალისტურ-მარქსისტულ თეორიად, დანარჩენი სხვა კი, რომელიც მას არ ეთანხმება, გადაჭრით იქნეს უკუგდებული“.

სხვადასხვა მოამზოვნეთა მიმართ საორგანიზაციო ღონისძიებებს არ დაუყოვნებია...

ერთ-ერთი მათგანი, რომლის შესახებაც დაბეჭდილ მოგონებაში არა არის რა, მაგრამ ბ-ნ არნოლდს კი უამბუნია, გახლდათ ცნობილი რუსი ენათმეცნიერი და ლიგერაგურათმცოდნე, აკად. ვიქტორ ვინოგრადოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი... ის გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან.

ი. სტალინის აგარაკზე პირველი შეხვედრისას (1950 წ. 10. IV) ი. სტალინს უკითხავს არნ. ჩიქობავასთვის ვ. ვინოგრადოვზე, რა კაციაო. ჩანს, მან იცოდა ვ. ვინოგრადოვის დეკანობიდან გათავისუფლება.

ბ-ნ არნოლდს უპასუხია: ნ. მარისა არა სწამდა და იმიტომ გაათავისუფლეს დეკანობიდან. ისე კარგი სპეციალისტია რუსული ენისაო.

ი. სტალინს იქვე მიუმართავს ლ. ბერიასათვის: შეამოწმეთ და, თუ ეს ასეა, ადადგინეთო.

მართლაც, ვ. ვინოგრადოვი დისკუსიამდე აღუდგენიათ დეკანად... ეს ისტორია ვ. ვინოგრადოვმა, ჩანს, იცოდა. ბ-ნი არნოლდისავე მონათხრობით, როცა ერთხელ ის სადილად გახლდათ ვ. ვინოგრადოვთან სახლში, მასპინძელი ყოველ სასმისზე ამბობდა თურმე: „Арнольд Степанович вывел меня в люди“.

„ხალხში გამოყვანილმა“ აკად. ვ. ვინოგრადოვმა კი, უკვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიგერაგურის აკადემიკოს-მდივანმა,

ასე გადაუხადა სამაგიერო არნ. ჩიქობავას...

სულხან-საბას ცნობილი არაკი „მორიელი და კუ“ არ მოგაგონდება, მკითხველო?

უფრო საწყენია, როცა დაბეზლებანი გრძელდება არნ. ჩიქობავას გარდაცვალების შემდეგაც.

ერთი ასაკოვანი მეცნიერი 1991 წლის დასაწყისში, როცა ჩვენში სახელმწიფო პოლიტიკად იყო ქცეული ნამდვილი მეცნიერისა თუ საერთოდ მამულიშვილის ნამოღვაწარის რევიზია და ღვენაც კი, პათეტიკურად ბრძანებს:

„... ნ. მარის წინააღმდეგ რომ წერდნენ და იბეჭდებოდნენ მოსკოვ-ლენინგრადში პოლივანოვი, კოშკინი, ერევანში – ხაფანციანი, თბილისში – არნ. ჩიქობავა და სხვები, რომელი მათგანი დასაჯა მთაერობამ? არც ერთი. ნ. მარის მოწინააღმდეგის წინააღმდეგ გამოდიოდა მარის ზოგი მომხრე, მაგრამ ეს ზოგი მთავრობა იყო?!“

რა, აუცილებლად უნდა დაესაჯათ, ბ-ნო მეცნიერო?

აქ ციტირებულის ქვეგექსტი, ალბათ, შემდეგია: რაკი არ დაისაჯნენ, მამსადადამე, მფარველობდნენ.. ვინ? რაკი გექსტში არნ. ჩიქობავაზეცაა საუბარი (სხვა იმ სტრიქონების ავტორს, დარწმუნებული ვარ, არც აინტერესებდა), რასაკვირველია, ლ. ბერია... და აღვილია სათანადო მსჯელობის გავრძელება (იხ. ზემოთ, ვ. ვინოგრადოვის დაბეზლება...).

ციტირებულ ნაწყვეტში დასახელებული ლინგვისტები და მათნი მსგავსნი, ვინც არ იზიარებდნენ ნ. მარისეულ „ახალ მოძღვრებას“, ცნობილია, რომ „... უბრალოდ ითიშებოდნენ აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობიდან. მათ სიგყვა არ ეძლეოდათ – კონფერენციაზე გამოსულის საშუალებას ართმევდნენ, პედაგოგიურ მუშაობას უშლიდნენ, არ უბეჭდავდნენ წიგნებსა და სტატიებს (პოლივანოვმა 1931 წლის შემდეგ ვერ შეძლო, პატარა რეცენზიის გარდა, თუნდაც ერთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება). მეცნიერისათვის უფრო მტკივნეული და სამინელი რა უნდა იყოს?!“ (მ. გორბანოუსკი, კონსპექტი კორიფეთა მიხედვით, „ლიტერატურნაია გაზეტა“; გადმოუჭდილია „ლიტერატურულ საქართველოში“, 8. VII. 1988).

პროფ. ე. პოლივანოვი 1937 წ. დააპატიმრეს და 1938 წ. დახვრიტეს...

კვლავ მოგონებებიდან „როდის იყო და როგორ“.

აქ მოთხრობილი ეპიზოდის მოწმე არნ. ჩიქობავა გამხდარა ი. სგალინის აგარაკზე. ი. სგალინს გაუგია „... რომ სომხეთში სამუშაოდან მოხსნეს სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი პრაჩია აჭარიანი (ერევნის უნივერსიტეტიდან) და გრ. ხაფანციანი (სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი), რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ნ. მარის „ახალ მოძღვრებას“. ი. სგალინმა დაწერილებით გამოგვიკითხა ამ სპეციალისტების შესახებ“. იქვე ი. სგალინი ტელეფონით დაკავშირებია ერევანში სომხეთის კპ ცკ-ის მდივანს და ამ საუბრის შემდეგ

აკად. პ. აჭარიანი და აკად. გრ. ხაფანციანი აღუდგენიათ სამუშაოზე ჯერ კიდევ საენათმეცნიერო დისკუსიის დაწყებამდე...

მემოთ აღვნიშნეთ, რომ ასევე ითხოვდნენ 1933 წ. სამუშაოდან არნ. ჩიქობავას მოხსნას, მაგრამ ი. სტალინის შეხედულებამ ნ. მარზე, ჩანს, უშველა-

არნ. ჩიქობავას მორიგ შევიწროებას კი მოუსწრო ნ. მარის თეორიულ შეხედულებათა რევიზიამ, თორემ ისიც გახლდათ დაბეზღებული სხვა ენათმეცნიერთა გვერდით, ახლა უკვე კოლექტიურად.

1948 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა ნ. მარის სახ. ენისა და აზროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და სსრკ მეცნ. აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების სხდომა. აქ მიღებულ რეზოლუციაში ეწერა, რომ არნ. ჩიქობავა და ზოგი სხვა ენათმეცნიერი (მაგ., აკად. ვ. ვინოგრადოვი, პროფ. ი. პეტერსონი, პროფ. რ. ავანესოვი და სხვ.) „ებრძოდნენ და ებრძვიან საბჭოთა მაგერიალისტურ ენათმეცნიერებას (იხ. ნ. მარი: „ახალი ენათმეცნიერული თეორია... არა მარტო რეეოლუციურია, არამედ მაგერიალისტური და დიალექტიკური“ - გ. ბ.), ქადაგებენ იდეალისტურ და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ შეხედულებებს“.

რეზოლუცია რეკომენდაციასაც იძლეოდა: შემუშავებულიყო „... კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება რეაქტიული იდეალისტური ლინგვისტიკის განადგურებისაკენ“.

სულზე მიუსწრო, როგორც იცყვიან, ცნობილმა საენათმეცნიერო დისკუსიამ, რომელიც შემობრუნების მომენტი გახდა იმდროინდელი საბჭოური ენათმეცნიერებისათვის. თავისუფალი საენათმეცნიერო დისკუსია 1950 წლის 9 მაისს დაიწყო არნ. ჩიქობავას წერილით გაბეთ „პრავდაში“. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ინტერესთა ერთ-ერთი ძირითადი სფერო მოგადი ენათმეცნიერება გახლდათ - აქაც შექმნა მან ფუძემდებლური ნაშრომები და სახელმძღვანელოები...

ამ დისკუსიას კი შემდეგი მოვლენები უსწრებდა (მოგონებიდან „როდის იყო და როგორ“):

1949 წლის გაზაფხულზე არნ. ჩიქობავამ ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის კანდიდ ჩარკვიანის წინადადებით დაწერა მოხსენება „აკად. ნ. მარის ენათა სტადიური განვითარება“. ჩანს, ინიციატივა საღირეპტივო ორგანოებიდან იყო... მოვლენები შემდეგ ასე წარმართულა:

1950 წლის აპრილის დასაწყისში არნ. ჩიქობავა გაუფრთხილებიათ, მოსკოვში ცკ მდივნებთან იქნება მსჯელობა ენათმეცნიერების საკითხებზე და მოემზადეთო. ... და, აი, 1950 წლის 10 აპრილს, საღამოს, კანდიდ ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და არნ. ჩიქობავა ი. სტალინის აგარაკზე მიუწვევიათ.

გამოქვეყნებული მოგონების მიხედვით, დღის წესრიგში მდგარა ორი საკითხი: 1. ი. სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკო-

ნის” შესახებ (მაშინ გამოსული იყო მხოლოდ პირველი ტომი), 2. ნ. მარის „ახალი მოძღვრების” შესახებ... ბ-ნი არნოლდის მონათხრობით კი, თავდაპირველად დღის წესრიგში იყო მესამე საკითხი – პურის შესახებ. მაგრამ ი. სგალინს უთქვამს: პურის საკითხი ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, დღეს კი მივხედოთ პირველ ორ საკითხსაო... მართლაც, მხოლოდ ენის საკითხებზე უმსჯელიათ...

ბ-ნი არნოლდისავე მონათხრობიდან:

სგალინს უთქვამს: Академики народ ленивый, а Н. Марр был энергичным... და ასე იგდო ხელთ ენათმეცნიერებაში მონოპოლიაო.

სწორედ იქ, აგარაკზე, გადამწყდარა დისკუსიის გამართვა. სადისკუსიო სტაგიის დაწერა არნ. ჩიქობაეას დაევალა. ი. სგალინის სიგყვებია: „დაწერეთ, ენახოთ, თუ გამოდგა, დაებუჭდავთ. თქვენს მოხსენებას (ეს ის მოხსენებაა, სგალინი რომ ადრე გაეცნო და თავისი შენიშვნები გააკეთა – გ. ბ.) კი გიბრუნებთ...” მაგრამ იქვე დასძინა: „თუმცა არა – ჯერ კიდევ დაეიტგოვებ; ვნახოთ, ახლა როგორ დაწერთ ამ საკითხზე. მოხსენებასაც მერე დაგიბრუნებთ”...

სადისკუსიო წერილი ი. სგალინს ორჯერ წაუკითხავს... აქაც დაურთავს თავისი შენიშვნები, რომელთა განსახილველად ი. სგალინთან აგარაკზე არნ. ჩიქობაეა ორჯერ გახლდათ... თითოეული შეხვედრა 2-3 საათს გრძელდებოდაო...

სხვათა შორის, ბ-ნ არნოლდს აქვს მონათხრობი (დაბეჭდილი მოგონებებში ეს არაა), სგალინს მიუმართავს მისთვის: „არ მინდა იცოდნენ ჩემი თვალსაზრისი ამის თაობაზე და ნურც იცყვიტ, თორემ, თუ გაიგეს, მე რომ იმავე აზრისა ვარ, ყველანი ერთნაირად დაიწყებენ მსჯელობასო”.

ყველასთვის ცნობილია, თუ რა მძლავრი იმპულსი მისცა ამ დისკუსიამ ენათმეცნიერების განვითარებას მთელს საბჭოეთში. იგი იქცა საეგაპო მნიშვნელობის მოვლენად, ამიგომაც აღნიშნავენ:

გერმანელი ენათმეცნიერი, პროფ. გეორგ ფ. მაიერი: „არნ. ჩიქობაეა აღიარებას იმსახურებს აგრეთვე იმიგომ, რომ იგი მეცნიერებაში მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძოდა, რის შედეგადაც შექმნა სინქრონიული და ისტორიულ-მედარებითი ხასიათის მრავალი ნაშრომი. და ბოლოს, მოკლე დროში მან საბჭოთა ენათმეცნიერებას სამღვარგარეთ დაუბრუნა ავტორიტეტი”.

ცნობილი რუსი ენათმეცნიერი-თეორიტიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ზევეგინცევი: „მე მუდამ ვამბობდი და ერთხელ კიდევ მსურს გავიმეორო, რომ სწორედ არნ. ჩიქობაეასნაირი მკვლევრებით აღინიშნება საბჭოთა ენათმეცნიერების ფუძემდებელი ეტაპები. მისმა მეცნიერულმა მამაცობამ და პრინციპულმა ურყეობამ გახსნა ახალი და უფრო ნაყოფიერი გზები ენათა კვლევისა და ამასთან ერთად გაკვეთილი მისცა ყველას, ვისაც ჰქონდა უნარი ამის აღქმისა, თავისი მეცნიერების ნამდვილი

და უსამღერო თავდადებისა.

... ცუცხლი ცნობილი დისკუსიისა, რომელიც არნ. ჩიქობავამ წამოიწყო, ჯერ სულაც არ ჩამქრალა. ბრწყინვალე მეცნიერს, რომელმაც თავის შემოქმედებაში ხორცი შეასხა ჩვენი მეცნიერების ყველა პროგრესულ საწყისს, მის მიერ დამსახურებული პატივი სათანადოდ უნდა მიეზღვას“.

და ბოლოს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ენათმეცნიერის, აკად. თ. გა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს გამოსათხოვარი სიტყვები, არნ. ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში თქმული: „არნ. ჩიქობავა ფაქტიური ინიციატორი და განმზახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში. ამის შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომლებსაც დღეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართულმა ენათმეცნიერებამ მიაღწია“.

და, აი, ამ დისკუსიას ზემოთ ციტირებული ასაკოვანი მეცნიერი, ნ. მარის მოწაფე, „ე. წ. ლინგვისტიკურ დისკუსიას“ უწოდებს, ხოლო სხვა ქართველი მკვლევარი ჩვენს დღეებში ამ დისკუსიის სრულ დისკრედიტაციასაც კი ცდილობს:

„ვენახოთ ახლა, რა სახე მიიღო ქართულ ენათმეცნიერებაში 50-იანი წლების შემდეგ (ე. ი. თავისუფალი საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ – გ. ბ.) იმ რეჟიმმა... იღვენებოდა ნებისმიერი დასავლური პროგრესული ლინგვისტური მოძღვრება (აგრეთვე მისი ყოველი მიმდევარი). ამ მოძღვრებათა „ბურჟუაზიული“ ხასიათის მომიზეზებით, რაც საბოლოოდ ჩვენი მეცნიერების იზოლაციასა და ჩამორჩენას განსაზღვრავდა (ხაზგასმა ჩვენია – გ. ბ.) უწყალოდ იღვენებოდა ყოველი სხვაგვარად მოაზროვნე და ენათმეცნიერი“.

რა თქმა უნდა, ამ ავტორისათვის „იმ რეჟიმის“ შემქმნელი და დამნერგავი არნ. ჩიქობავა და მის მიერ შექმნილი იბერიულ-კავკასიური სკოლაა.

მაგრამ განა არ იყის აქ ციტირებულის ავტორმა, თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად „უწყალოდ იღვენებოდა ყოველი სხვაგვარად მოაზროვნე ენათმეცნიერი?“

ზემოთ ამისი არაერთი ნიმუში მოვიყვანეთ...

თუ „ის რეჟიმი... საბოლოოდ ჩვენი მეცნიერების იზოლაციასა და ჩამორჩენას განსაზღვრავდა“, რას ნიშნავს მაშინ ბ-ნი თ. გამყრელიძის გამონათქვამი, რომ დისკუსიის „...შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო თვალსაზრისით, რომლებსაც დღეს... ქართულმა ენათმეცნიერებამ მიაღწია“.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ურწმუნოთათვის კი რენე ლაფონს, ცნობილ სპეციალისტს ბასკური ენისა და ქართულის მკვლევარს, დავესესხები: „საბჭოთა კავკასიოლოგები,

რომელთაგან უმთავრეს ძალას ქართველები შეადგენენ, ენათმეცნიერთა ერთ-ერთი საუკეთესო ბირთვია მსოფლიოში". ქართველი კავკასიოლოგი-ენათმეცნიერები კი იმთავითვე ისტორიული ენათმეცნიერების პოზიციებზე იდგნენ. ამიტომაც საგანგებოდ აღნიშნავდა 1968 წელს ცნობილი ენათმეცნიერი ვ. აბაევი:

„თბილისში აგერ უკვე მრავალი წელია მუშაობს მეცნიერ-კავკასიოლოგების მძლავრი კოლექტივი, რომლის სათავეშია ისტორიზმის ისეთი მგკიცე ერთგული, როგორცაა არნ. ჩიქობავა“.

მართლაც, არნ. ჩიქობავა ისტორიული ენათმეცნიერების მკაცრი მიმდევარი გახლდათ.

ისტორიულ-მედარებითი სახის კვლევა კი ჩვენში მაშინაც წარმოებდა, როცა საბჭოეთში მას ყველგან ვეგო ჰქონდა დადებული, როგორც ბურჟუაზიულ გადმონაშთს ენათმეცნიერებაში.

ახლა კი კვლავ მოვესმინოთ აკად. თ. გამყრელიძეს, რომელმაც 1983 წელს მოსკოვში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების საერთო კრებაზე ბრძანა: „სინქრონიული ენათმეცნიერების თითქმის განუყოფელი ბატონობის შემდეგ ენათმეცნიერებაში ბოლო დროის ლინგვისტური თეორია ხასიათდება ისტორიული ენათმეცნიერებისადმი ინტერესის მრდით, გარკვეული მობრუნებით იმ პრობლემათა დამუშავებისადმი, რაც წარმოიშვა მედარებით ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. ეს ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერული ამროვნების საერთო ტენდენციაა, რომელიც მოვიდა მკაცრი სინქრონიული სტრუქტურალიზმისა და ანტიისტორიზმის ნაცელად, რაც დამახასიათებელი იყო XX საუკუნის პირველი ათწლეულისათვის“.

თუკი „ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერული ამროვნების საერთო ტენდენცია“ არნ. ჩიქობავას უკვე იმთავითვე ჰქონდა გათავისებული (ე. აბაევი), რად ჩავთვლით ამას – მეცნიერული ამროვნების წინასწარჭვრეტად თუ ბოლომდე გააზრებული საკუთარი კონცეფციის ერთგულებად – სულერთია, ორსავე შემთხვევაში ბ-ნი არნოლდის მეცნიერული მრწამსი მართებულია.

ბედის ირონიაა. თუ ადრე, დისკუსიამდე, არნ. ჩიქობავას ისტორიზმის ერთგულებას უთვლიდნენ ბურჟუაზიული ენათმეცნიერების დაცვად... გერმინ „იმანენტისმის“ გამოყენებისათვის „იმანენტური ფილოსოფიის“ მიმდევარი უწოდეს... მას ზოგ ენათმეცნიერთან ერთად თვლიდნენ ლინგვისტებად, რომლებიც „ებრძოდნენ და ებრძვიან საბჭოთა მაგერიალისტურ ენათმეცნიერებას, ქადაგებენ იდეალისტურ და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ შეხედულებებს, საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ თურმე თვით ქცეულა „ნებისმიერი დასავლური პროგრესული ლინგვისტიკური მოძღვრების“ მდენელად, თანაც „ამ მოძღვრებათა „ბურჟუაზიული“ ხასიათის მომიგმებით“...

საოცარია, ღმერთმანი, მკვლევრის ასეთი მეგამორფოზა. ამის მტკიცება, როგორც ამბობენ, სასაცილოა, საგირალი რომ არ იყოს.

არნ. ჩიქობავა 1985 წელს აღესრულა... იგი უკვდავებას 87 წლისა ეზიარა. ახლა, როცა მას დაბადებიდან 95 შეუსრულდა, მის მთავარ „ნამოქმედრად“ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის შექმნაც იკმარებდა... სამეცნიერო სკოლის შექმნა და მისი წარმატებით გაძლოლა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კი მხოლოდ ერთიულ რჩეულთა ხვედრია.

1981 წელს ქ. მაჰაჩყალაში ჩატარებული იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილ LX რეგიონული სესიის დღეებში გაზეთ „დაგესტანსკაია პრავდას“ ფურცლებზე არნ. ჩიქობავა წერდა: ახლა შორს არ არის ის დღე, როცა ასეთი სესიები „დაგვირგვინდება ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფებისა და ენათმეცნიერებ-კავკასიოლოგების კონგრესით“.

ასე რომ, არნ. ჩიქობავა დღეს ცოცხალი რომ ბრძანებულიყო, იგი უთუოდ გამოეხმაურებოდა „ივერია-ექსპრესის“ კეთილშობილურ იდეასა და ინიციატივას, მოამბადოს და ორგანიზაცია გაუწიოს საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარებას, რომელზედაც განხილული იქნება ისიც, თუ „ვინ უართ ჩვენ, ქართველები, საიდან მოვედით, ვინ არის ამ უკიდევანო დუნიამზე ჩვენი მოძმე, თვისტომი და ნათესავი“... ერთი სიტყვით, შევიცნოთ თავი ჩვენი¹.

7. „იცოცხლეთ დიდხანს, ძალიან დიდხანს...“

ქვემოთ მონათხრობი რამდენიმე ეპიზოდი დიდი ენათმეცნიერისა და მოქალაქის, არნ. ჩიქობავას ცხოვრებიდანაა... ზოგი რამ ჩვენ გვეხება, ზოგიც – ჩვენს ჩრდილო-კავკასიულ მეგობრებსა და კოლეგებს... ასე იკინძებოდა ბეირფას მასწავლებელზე მოგონებათა გამა, რომლის მცირე ნაწილსაც ვთავაზობთ გორის კომერციული ინსტიტუტის სალიგერატურო ეურნალს.

არნოლდ ჩიქობავამ, მიუხედავად მოუცლელობისა, მუდამ იყო, რა უჭირდა ან რა ულხინდა მის მოწაფეებს, თანამშრომლებს და კოლეგებს, იგი მუდამ მზად იყო, გაემხნეებინა კაცი, ხოლო, თუ საჭირო იყო, დახმარებოდა კიდევ.

1. გაზ. „ივერია-ექსპრესი“, 27. III, 1993, გვ. 3.

კარგად მახსოვს, 1977 წელს კასპიდან თბილისის მაგარებლით მიმავალი ცუდად შევიქენი და მცხეთის საავადმყოფოში აღმოეჩნდი გულის შეტევის შედეგად. მეორე დღესვე მიწახულეს კოლეგებმა ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან, მოჰქონდათ წამლები... რამდენიმე დღის შემდეგ კი საავადმყოფოში მიწახულეს ბ-ნმა არნოლდმა და მისმა მეუღლემ, ქ-ნმა თამარ ყიასამვილმა. ბ-ნმა არნოლდმა იკითხა მკურნალი და მთავარი ექიმი, გამოკითხა ავადმყოფობის შესახებ, ნახა, რა დანიშნულება მქონდა და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა არნ. ჩიქობავას რჩევით მკურნალებმა ერთი წამალი ამოიღეს დანიშნულებიდან და სანაცვლოდ სხვა დაამატეს.

შემდეგ გავიგე, ბ-ნი არნოლდი მედიცინაშიც კარგად ერკვეოდა.

ბ-ნ არნოლდს ჩვევად ჰქონდა, სტუდენტებს (და სხვათაუც) დახმარებოდა ეკონომიურადაც. ჩემი დაღესტნელი თუ ჩრდილო-კავკასიის სხვა კუთხის მეგობრები ჰყვებოდნენ: როცა საჭმლის ფული შემოგვაკლდებოდა, ბ-ნ არნოლდს ვურეკავდით შინ, შევეთანხმდებოდით, თუ რომელ საათზე მივსულიყავით მასთან თითქოსდა ჩვენთვის საინტერესო საენათმეცნიერო საკითხის „გასარკვევად“. ბ-ნი არნოლდი დაგვიბარებდა, ჩვენც მივიდოდით დანიშნულ დროს და წამოსვლისას, „საკონსულტაციოდ“ მისულთ, უთუოდ ჩუმად ჩაგვიდებდა ჯიბეში გარკვეულ თანხას (ზოგი „საკონსულტაციოდ“ მისულთაგანი დღეს მეცნიერებათა დოქტორია, ზოგიც – მეცნიერებათა კანდიდატი).

ასე ეხმარებოდა ბ-ნი არნოლდი არა მარტო სხვა რეგიონებიდან ჩამოსულთ, არამედ საზოგადოდ. აი, მაგალითად, ამ სტრიქონების ავტორი ასპირანტურაში პირველ წელს დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ჩაირიცხა. ბუნებრივია, თან უნდა მემუშავე, თანაც მესწავლა. შესასწავლი კი უპირველესად იყო ლაკური – დაღესტნის ერთ-ერთი სამწერლო ენა, რაც უსათუოდ მოითხოვდა მივლინებას დაღესტანში. რაკი დაუსწრებელი სწავლების ასპირანტი ვიყავი, უნივერსიტეტი სამივლინებო თანხებს, არსებული წესის თანახმად, ვერ გაიღებდა. ეს, რა თქმა უნდა, იყო ბ-ნმა არნოლდმა და ჩვენი პირველი სამთვიანი მივლინება მთლიანად მან დააფინანსა, ბუნებრივია, თავისი ხელფასიდან. შემდეგ კი მთელი წლის განმავლობაში ვეაძლეევა სტუდენტურ სტიპენდიასაც, სანამ არ გავხდი დასწრებული სწავლების ასპირანტი. ეს, ჩანს, იმისათვის კეთდებოდა, რომ ასპირანტურაში სწავლების პარალელურად საღმე მუშაობა მომაცდენდა ძირითადს – სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას.

შემდეგ, როცა ახლოს გავიყანი ბევრი ჩვენზე უფროსი კოლეგა, განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასიელი, ვისაც ჩვენთან უსწავლია ომის შემდგომ ძნელ პერიოდში, მათგან მსმენია, თუ არა ასეთი უანგარო დახმარება ბ-ნი არნოლდისა, იქნებ, სწავლაც ვერ განგვეგრძო.

შესაძლოა, ეს გრძნობა სხვათა საღმობის განცდისა თუ გამიარებისა ბ-ნი არნოლდს იმიტომ გააჩნდა, რომ პირადად მას ჰქონდა გამოცდილი, თუ

რაა მაგერიალური სიღუბეში. ცნობილია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ერთი სემესტრის განმავლობაში კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო (იგი მხოლოდ 1918 წლის სექტემბრიდან გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად), არნ. ჩიქობავა ღარიბი ოჯახიდან გახლდათ, არადა სწავლის ქირა ჰქონდა გადასახდელი (გადასახადიდან მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შეილებს ათავისუფლებდნენ).

თბილისის უნივერსიტეტში პროფ. ს. ჯორბენაძის მიკვლევით, შემორჩენილია მრავალი განცხადება, სადაც მსმენელები ითხოვენ სწავლის ქირისაგან განთავისუფლებას, მაგრამ მათ შორის არ გვხვდება არნ. ჩიქობავასი, თუმცა მას ძალზე უჭირდა. სამაგიეროდ ამაზე სხვები წერდნენ და აი, 1919 წლის 17 მაისს უნივერსიტეტის გამგეობა იხილავს „თხოვნას სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტისას, დახმარება აღმოუჩინოს ნიჭიერ სტუდენტს ა. ჩიქობავას, რომელიც ხელმოკლეობას განიცდის“. მართლაც, ღიდი ივანე ჯაფარიძის წინადადებით, არნ. ჩიქობავა გაუთავისუფლებიათ ამ გადასახდისაგან.

ამ კონტექსტში გასაგებია ის სიტბო და ყურადღება, რაც მუდამ იყო თანამდევნი არნ. ჩიქობავას დამოკიდებულებისა სტუდენტებთან თუ საზოგადოდ მის მოწაფეებთან (და არა მარტო მათთან). იშვიათად ნახავდით კაცს, ისე გახარებოდა თავისი მოწაფისა თუ კოლეგის წარმატება, როგორც ეს ჩვეოდა ბ-ნ არნოლდს. იგი მას ასე აღიქვამდა, როგორც კარგი მოჭირნახელე – შემოდგომაზე რომ მოიწევს თავისივე უხვ ნაამაგარს.

ბუნებრივია, ამას თან სდევდა მოწაფეთა არა მარტო მოკრძალება და პატივისცემა მოძღვრისა, არამედ ღიდი სიყვარულიც. ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ეპიზოდი ჩამრჩა მეხსიერებაში:

1975 წელს აღიღეს მთავარ ქალაქ მაიკოპში ჩატარდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი VI სამეცნიერო სესია. დამთავრების შემდეგ ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ენის სექტორის გამგემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა პეტრე ბალოემა, რომელმაც სასწავლო თუ სამეცნიერო წვრთნა ჩვენთან მიიღო, გამომშვიდობებისას ასე მიმართა ბ-ნ არნოლდს:

„– არნოლდ სტუფანეს ძე! იცოცხლეთ ღიღხანს, ძალიან ღიღხანს, თუნდაც ჩვენი გულისათვის...“

ეს მაშინ ყველა იქ მყოფის სურვილიც იყო.

ბ-ნი არნოლდი 1985 წელს აღესრულა... 87 წლისა ეზიარა უკვდავებას. ახლა, როცა მისი დაბადებიდან 96 წელი გავიდა, მის მთავარ დამსახურებად იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის შექმნაც იკმარებდა. ცნობილია, რომ სკოლათა შექმნა და მათი წარმატებით გაძლოლა რჩეულ ერთეულთა ხედრია. ალბათ, ამისი გამოხატულების უნიკალური შემთხვევაა, როცა არნ. ჩიქობავას, ერთადერთს იმ დროინდელ საბჭოეთში მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის (1946 წ.), დაღესტანის

(1968 წ.), ყაბარდო-ბალყარეთის (1978 წ.), აფხაზეთის (1978 წ.), ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი.

და ერთი. არნ. ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორმა ლაკმა ისა აბდულაევმა ბრძანა: ბ-ნ არნოლდი „გახლდათ შვილი მთელი კავკასიისა; მისი სახელი მარადიულია, როგორც კავკასიის მთები. ბ-ნი არნოლდის სახელი მუდამ იცოცხლებს, სანამ იცოცხლებს ჩვენი ენები და ხალხები“.

ბ-ნ არნოლდის სამუშაო ოთახში საწერ მაგიდას დიდი ივანეს პორტრეტი დაჰყურებდა – მისთვის მეცნიერული და მწეობრივი სისპეტაკის ნიმუში. ასეთად კი ბ-ნი არნოლდი მის მოწაფეთათვის სიცოცხლეშივე იქცა¹.

8. დამიბრუნეთ პროტესტის ნიშნად!

ამ ოციოდე წლის წინათ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო მზადება მრავალტომიანი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის „მსოფლიოს ენების“ გამოსაქვემად. 1982 წელს გამოვიდა ამ ნაშრომის თეორიული ხასიათის ერთ-ერთი წანამძღვარი კოლექტიური მონოგრაფიის სახით „მსოფლიოს ენების კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები. ნათესაობის პრობლემები“. კრებულში დაიბეჭდა ამ მონოგრაფიის რედაქტორის, აკად. ბ. სერებრენიკოვის სტაგია „ენათა გენეტიკური ნათესაობის ჰიპოთეზათა საკმაო საფუძვლიანობის პრობლემა“. სტაგიის

ის მონაკვეთი, რომელიც ეხებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ზოგ ასპექტს, არა მარტო შორს დგას ჭეშმარიტებისგან, არამედ, იმადეროულად, ტენდენციურიც გახლავთ.

„მსოფლიოს ენების“ რედაქციის თხოვნით, არნ. ჩიქობავას გაგზავნილი ჰქონდა თავისი სტაგია „ქართული ენა“. როცა იგი გაეცნო ბ. სერებრენიკოვის აღნიშნულ სტაგიას, პროტესტის ნიშნად დეკემბა გაგზავნა თავისი სტაგიის უკან დასაბრუნებლად, ხოლო შემდეგ პირადი ბარათიც აახლა „მსოფლიოს ენების“ გამოცემის ჯგუფის ხელმძღვანელს.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ ბარათის სრულ ტექსტს:

„მსოფლიოს ენების“ ჯგუფის ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ვ. იარცევას.

1. დ ა ნ ა ხ ე ს ი . – გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის სალიტერატურო კრებული, გორი, 1995, გვ. 36–39.

ღრმად პატივცემულო ვიქტორია ნიკოლოზის ასულო!

ბ. სერებრენიკოვის შესავალი წერილის გაცნობის საშუალება მე მომეცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე გამოგზავნილი მქონდა „მსოფლიოს ენებისათვის“ ჩემი სტატია „ქართული ენა“.

თუ ვერწმუნებით ბ. სერებრენიკოს, იაფეგურ ენათა ნათესაობას ნ. მარი ადგენდა ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის გზით და რომ ასეთივე არამეცნიერული მეთოდებით სარგებლობდა ივ. ჯაფახიშვილი, როცა ცდილობდა ქართული და სხვა კავკასიური ენების გენეგური ნათესაობის დასაბუთებას („კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები“, 1982, გვ. 17).

ნ. მარი – პალეონტოლოგი, როგორც ცნობილია, საერთოდ არ ცნობდა ენათა გენეგურ ნათესაობას და, ბუნებრივია, არც ცდილობდა იაფეგურ ენათა ნათესაობა დაემტკიცებინა ოთხელემენტოვანი ანალიზის საშუალებით.

ივ. ჯაფახიშვილი „ასეთივე არამეცნიერული მეთოდებით“ – ე. ი. ნ. მარის ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის მეთოდით – არასოდეს მუშაობდა.

ბ. სერებრენიკოვის მსჯელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, ღრმად ტენდენციურია.

ასეთ პირობებში თანამშრომლობის საკითხი იხსნება. ამიგომაც ვთხოვეთ ჩემი სტატიის უკან დაბრუნება.

პატივისცემით, არნ. ჩიქობავა.

6. III. 1983!

9. ფრაგმენტები არნოლდ ჩიქობავას ცხოვრებიდან

არნოლდ ჩიქობავა 1985 წლის 5 ნოემბერს გარდაიცვალა... მას შემდეგ 10 წელი გავიდა.

ქვემოთ მონათხრობი რამდენიმე ეპიზოდი დიდი ენათმეცნიერისა და მოქალაქის, არნოლდ ჩიქობავას ცხოვრების ფრაგმენტებია, რომელთა წილი მას ჩვენთვის უამბნია, მოგსაყ თვით შევსწრებივართ... ასე აიკინძა ძვირფას მასწავლებელზე მოგონებათა გამა, რომლის ერთ ნაწილსაც ვთავაზობთ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს.

„მე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ვარ...“

ამონარიდი არნ. ჩიქობავას მონათხრობიდან:

1950 წლის ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ აკად. ვ. ვინოგრადოვს ბატონი არნოლდისათვის შეუთავაზებია, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში გვსურს თქვენი წარდგენა და რას იცყვითო.

ბატონ არნოლდს ამაზე მოკლედ, მაგრამ ხატოვნად უპასუხია: „მე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია“.

რა თქმა უნდა, არნოლდ ჩიქობავა პატივს, ყოფილიყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრთა შემადგენლობაში არჩეული, ყოველმხრივ იმსახურებდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მის მიერ აკად. ვ. ვინოგრადოვის კითხვაზე პირდაპირი პასუხის არიდება იმით იყო გამოწვეული, რომ შეთავაზებული სურვილი უფრო დისკუსიის შედეგებთან იყო დაკავშირებული (მეორეც, თუ სურდა აკადემიკოსს ბ-ნ არნოლდის საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად წარდგენა, რა კითხვა იყო საჭირო?). არადა, დისკუსიამდე ბევრად უფრო ადრე, 1940 წლის 27 მაისს, არნ. ჩიქობავამ მოხსენებაში „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა...“, რომელიც მან წაიკითხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სხდომაზე, საბჭოური მეცნიერების იმდროინდელ მექაში, ქ. ლენინგრადში, პირველმა საჯაროდ დაგმო ნ. მარის „ოთხელემენგოვანი ანალიზი“ და უწოდა მას „საოცარი, შემზარავი ანტიისტორიზმი“.

ამ დროს კი ჩვენი უნივერსიტეტი დაარსებიდან სულ რაღაც 22 წელს თუ ითვლიდა... მისი აღზრდილის არნ. ჩიქობავას ეს მოხსენება მაშინ მეცნიერული გმირობის გოლფასი გახლდათ, რადგან ნ. მარის ახალი მოძღვრება ენის შესახებ ერთადერთ მაგერიალისტურ და მარქსისტულ თეორიად ითვლებოდა და ეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი მაშინდელ საბჭოურ მეცნიერებაში საზოგადოდ.

„საერთოდ, „პრაედა“ სიმართლეს წერს...“

არნ. ჩიქობავას მოგონებიდან:

1933 წელს უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს გამოუგანია გადაწყვეტილება არნ. ჩიქობავას სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე. ამას კი სხვა ამბავი უსწრებდა წინ.

ამ დროს უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი (შემოკლებით ელხი), სადაც მაშინ მუშაობდნენ ივ. გიგინეიშვილი და ქ. ლომთათიძე. ერთ დღეს ისინი სამსახურიდან გაუთავისუფლებიან.

ივ. გიგინეიშვილს ბრალად ედებოდა ახალგაზრდა მარქსისტთა წრის წევრობა და თითქოს ეს ეთქვას ვალ. რამიშვილს (მაშინ ქართული ენის მეთოდისგს, შემდეგ პროფესორს). ამაზე ბ-ნ ვალერიანს სასტიკი უარი განუცხადებია და ეს წერილობითაც აღუნიშნავს. ე. ი. ბრალდება ივ. გიგინეიშვილს მოეხსნა, ქ. ლომთათიძეს კი საერთოდ არაფერი ბრალდებოდაო. ცხადია, ისინი სამუშაოდან მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ არნ.

ჩიქობავას მიმდევრები გახლდნენ.

იმ პერიოდში გაზეთ „პრავედაში“ გამოქვეყნებულა ვინმე ალბოროვის ვრცელი სტატია (მას გაზეთის მთელი სარდაფი ეჭირაო, – დასძინა ბ-ნმა არნოლდმა), რომელშიც ნ. მარის მოძღვრება მიჩნეული ყოფილა მარქსისტულად. ამ სტატიის გამო გამართულ კამათში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში სამ დღეს გრძელდებოდა და ღისკუსიის ხასიათს ატარებდა, გამოსულან არნ. ჩიქობავას წინააღმდეგ მისთვის ასეთი ღმერთგოგური კითხვაკი დაუსვამთ:

მამ, „პრავედა“ არ წერს სიმართლეს?

არნ. ჩიქობავას პასუხი კი ასეთი გახლდათ: „საერთოდ, „პრავედა“ სიმართლეს წერს, მაგრამ ნ. მარის ის შეცდომები, რომლებიც მასა აქვს, მიუღებელია და, ამდენად, ალბოროვი არ წერს სიმართლესო“.

„არნოლდ სტეფანეს ძემ გამომიყვანა ხალხში...“

არნ. ჩიქობავას გამოქვეყნებული მოგონებიდან „როდის იყო და როგორ“.

1947 წელს გაიმარჯვა აკად. გ. ლისენკოს მცენარეთა განვითარების სტადიურმა თეორიამ, ბუნებრივია, ღლის წესრიგში დამდგარიყო ანალოგიური თეორიის საკითხები ენათმეცნიერებაშიც. მართლაც, 1949 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა „ენათმეცნიერების ფრონტზე არსებული მდგომარეობა“ და მიიღო სათანადო დადგენილება: „აკად. ნ. მარის „ახალი მოძღვრება“ მიჩნეულ იქნეს ენის შესახებ ერთადერთ მატერიალისტურ-მარქსისტულ თეორიად, დანარჩენი სხვა კი, რომელიც მას არ ეთანხმება, გადაჭრით იქნეს უკუგაღებული“.

ამ დადგენილებას კი, ცნობილია, წინ უსწრებდა ნიკო მარის სახ. ენისა და აზროვნების ინსტიტუტისა და რუსული ენის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებული სხდომა, რომლის რეზოლუციაში ეწერა, რომ არნ. ჩიქობავა და ზოგი სხვა ენათმეცნიერი (მაგალითად, აკად. ვ. ვინოგრადოვი, პროფ. ი. პეტერსონი, პროფ. რ. ოვანესოვი და სხვა), „ებრძოდნენ და ებრძვიან საბჭოთა მატერიალისტურ ენათმეცნიერებას, ქადაგებენ იდეალისტურ ცხოვრებისაგან მოწყვეტილ შეხედულებებს“.

ამდენად, გასაგებია, რომ სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ საორგანიზაციო ღონისძიებებს არ დაუყოვნებია... ერთ-ერთი მათგანი, ვის შესახებაც არნ. ჩიქობავას დაბეჭდილ მოგონებაში არა არის რა (აქ საუბარია სომხეთში სამუშაოდან მოხსნილ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების პრაქტია აჭარიანისა და გრ. ხაფანიციანის აღდგენის შესახებ), მაგრამ ბ-ნ არნოლდს ჩვენთვის უამბნია, გახლდათ ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, აკად. ვ. ვინოგრადოვი, მოსკოვის უნი-

ვერსიგეტის პროფესორი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; იგი გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან.

ი. სგალინის აგარაკზე პირველი შეხვედრისას (1950 წლის 10. IV) არნ. ჩიქობავასთვის ი. სგალინს უკითხავს ვ. ვინოგრადოვზე, რა კაციაო, ჩანს, მან უკვე იცოდა ვინოგრადოვის დეკანობიდან გათავისუფლება.

არნ. ჩიქობავას უთქვამს: ნ. მარისა არა სწამდა რა და ამიგომ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ისე კი კარგი სპეციალისტია რუსული ენისაო.

ი. სგალინს იქვე მიუმართავს ლ. ბერიასათვის: შეამოწმეთ, და თუ ეს ასეა, სამუშაოზე აღადგინეთო.

მართლაც, აკად. ვ. ვინოგრადოვი დისკუსიამდე აღუდგენიათ დეკანად... ეს ისტორია ვ. ვინოგრადოვმა, ჩანს, იცოდა. ბ-ნი არნოლდისავე მონათხრობით, როცა ის ერთხელ სადილად გახლდათ ვ. ვინოგრადოვთან შინ, მასპინძელი ყოველ სასმისზე ამბობდა თურმე: Арнольд Степанович вывел меня в люди...

„არ მინდა იცოდნენ ჩემი თვალსაზრისი...“

ცნობილია, რომ ი. სგალინის აგარაკზე, მოსკოვის მახლობლად, გადამწყდარა საენათმეცნიერო დისკუსიის გამართვა. სადისკუსიო წერილის დაწერა არნ. ჩიქობავას დაეუღა. ი. სგალინის სიგყვებია: „დაწერეთ, ენახოთ, თუ გამოდგა, დაბეჭდავთ. თქვენს მოხსენებას (ეს მოხსენებაა არნ. ჩიქობავასი, ი. სგალინი რომ აღრევე გაეცნო და თავისი შენიშვნებიც დაურთო – გ. ბ.) კი გიბრუნებთ...“, მაგრამ იქვე დასძინა: „თუმცა არა – ჯერ კიდევ დავიგოვებ, ენახოთ, ახლა როგორ დაწერო ამ საკითხზე. მოხსენებას მერე დაგიბრუნებთ...“.

სადისკუსიო წერილი ი. სგალინს ორჯერ წაუკითხავს... აქაც დაურთავს თავისი შენიშვნები, რომელთა განსახილველად არნ. ჩიქობავა ი. სგალინთან აგარაკზე ორჯერ გახლდათ... თითოეული შეხვედრა სამ საათს გრძელდებოდაო...

სხვათა შორის, ბ-ნი არნოლდს აქვს მონათხრობი (მის დაბეჭდილ მოგონებებში ამის შესახებ არაფერია თქმული), ი. სგალინს მიუმართავს მისთვის: „არ მინდა იცოდნენ ჩემი თვალსაზრისი და ნურც იცყვიოთ, თორემ, თუ გაიგეს, მეც რომ იმავე ამრისა ვარ, ყველანი ერთნაირად დაიწყებენ მსჯელობასო“.

ცხადია, სახელმწიფოს მეთაურს მართალი სიგყვის მოსმენა სურდა...

„მან საბჭოთა ენათმეცნიერებას საზღვარგარეთ დაუბრუნა ავტორიტეტი“

ამ ისტორიულ საენათმეცნიერო დისკუსიას 45 წელი გვამორებს. ...დღეს უფრო ნათელია, თუ რა მძლავრი იმპულსი მისცა მან ენათმეცნიერების

განვითარებას მთელს საბჭოეთში. ამდენად, ეს დისკუსია იქცა საეგაპო მნიშვნელობის მოვლენად. ამიგომაც აღნიშნავდნენ:

გერმანელი ენათმეცნიერი, პროფ. გეორგ ფ. მაიერი: „არნ. ჩიქობავა აღიარებას იმსახურებს აგრეთვე იმიტომ, რომ... მოკლე დროში მან საბჭოთა ენათმეცნიერებას საზღვარგარეთ დაუბრუნა ავტორიტეტი“.

ცნობილია რუსი ენათმეცნიერ-თეორეტიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფ. ე. ზევეინსკევი: „მე მუდამ ვამბობდი და ერთხელ კიდევ მსურს გავიმეორო, რომ სწორედ არნ. ჩიქობავასნაირი მკვლევრებით აღინიშნება საბჭოთა ენათმეცნიერების ფუძემდებელი ეტაპები. მისმა მეცნიერულმა მამაცობამ და პრინციპულმა ურყეობამ გახსნა ახალი და უფრო ნაყოფიერი გზები ენათა კვლევისა და, ამასთან ერთად, გაკვეთილი მისცა ყველას, ვისაც ჰქონდა უნარი ამის აღქმისა, თავისი მეცნიერებისთვის ნამდვილი და უსაზღვრო თავდადებისა...“

და ბოლოს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ენათმეცნიერის, აკად. თ. გამყრელიძის გამოსათხოვარი სიტყვები, არნ. ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში თქმული:

„არნ. ჩიქობავა ფაქტიურად ინიციატორი და განმახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში, ამის შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომლებსაც დღეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართულმა ენათმეცნიერებამ მიაღწია“.

„ხომ შეიძლება არაბოპეიყ შეცდნენ...“

უკომპრომისო მეცნიერული ჭეშმარიტების ძიებისას, არნ. ჩიქობავა გულუხვი გახლდათ იმ იდეებისა თუ ენციკლოპედიური ცოდნის გაცემაში, რაც მას გააჩნდა.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ, რესპუბლიკის სახალხო არტისტ, რესპუბლიკის სახალხო არტისტ, პროფ. ნ. ანდლულაძის მოგონებიდან, ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე რომ ბრძანა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

ბ-ნ ნოდარსა და ბ-ნ ვივი მაჭავარიანს სემინარულ მუშაობას მათი ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ბ-ნ არნოლდი შინ უგარებდა ხოლმე... ერთხელ ხეესურულ დიალექტურ მასალას აანალიზებდნენ... ბ-ნ არნოლდს შეუნიშნავეს: ასეთ შემთხვევაში ქართულში ხომ არაა საძიებელი კვალი სონანტებისაო?

ქართულში ოდესღაც სონანტთა არსებობა, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ნ. მარმა იგრძნო. ჩანს, არნ. ჩიქობავას ეს ჰიპოთეზა, შემდგომ ასე განვითარებულ გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის ერთობლივ კაპიტალურ

მონოგრაფიაში „სონანტა სისტემა და აბლაუგი ქართველურ ენებში“, შინაგანად ჰქონდა გააზრებული, მაგრამ იგი პირადად მისთვის მიუღებელი იყო.

ბ-ნ არნოლდს შემდეგი ურყევირ წმენა ჰქონდა საფუძვლად:

„ძიებას მიყვართ ხან უდავო, ხან კი უაღრესად სადავო დებულებამდე, ერთი სიტყვით, ამრთა სხვადასხვაობამდე. აუცილებელია გოლერანგობა სხვადასხვა მოაზროვნეთა მიმართ, თუ ამოსავალი პრინციპები და კვლევის პრინციპები შეესაბამება მეცნიერების ზოგად მოთხოვნილებებს“ (ხაზგასმა არნ. ჩიქობავასია – გ. ბ.).

ამ კონტექსტში გვახსენდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო სესიის დღეები ქ. მაჰაჩყალაში 1965 წელს. ამ სესიაზე თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ცნობილმა არქეოლოგმა აკად. ვ. კრუპნოვმა ბრძანა:

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხები ახლოს დგანან ინდოევროპული წარმომავლობის ხალხებთანო და დაიმოწმა ენობრივი მონაცემებიც: აი, ქართველურ და ინდოევროპულ ენათა ნათესაობის საკითხი მოსკოვში დასვეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმაო.

არნ. ჩიქობავამ ამ გამოსვლის შემდეგ თქვა: ქართველურ ენათა კავშირი ინდოევროპულ ენებთან უთუოდ იყო. კარგად ჩანს ეს თუნდაც იქიდან, რომ პრეფიქსაცია იბერიულ-კავკასიურ ენებში შეცვლილა სუფიქსაციით, რის საჭიროებას ამ ენათა შინაგანი განვითარება არ ითხოვდაო და დასძინა:

ისეთი ბრწყინვალე ოსტატი ეგიმოლოგიური ძიებისა, როგორც იყო ფრ. ბოპი (იგი ინდოევროპულ და ქართველურ ენებს საერთო წარმომავლობისად თვლიდა – გ. ბ.), შეცდა, ხომ შეიძლება არაბოპებიც შეცდნენ.

აკად. ვ. კრუპნოვს კი მიმართა: აბრძანდით აულ ჭუხში (ხუნძთა აული, სადაც 1941 წ. ხუნძური ენის მასალებს იწერდა არნ. ჩიქობავა) და იქ ნახავთ ანთროპოლოგიურად ახლოს დგას თუ არა ქართველური და დაღესტური გიპიო.

„მე ძალიან მიყვარს თამამ გამყრელიძე...“

პროფ. გ. მაჭავარიანსა და აკად. თ. გამყრელიძეს ბ-ნ არნოლდი ძალზე დიდ პატივს სცემდა და აფასებდა, როგორც მეცნიერთ, უყვარდა, როგორც პიროვნებანი. ამის თაობაზე ორ მომენტს გავისხენებთ. პირველი – პროფ. ნ. ანდლულაძის მოგონებიდან:

„მე ერთგვარად მუამაყება კიდეეაც, რომ ჩემი მეშვეობით არნოლდ ჩიქობავას სახელი ვოკალურ ხელოვნებასაც დაუკავშირდა. მას ერთგვარი სეედანარევი ღიმილით უთქვამს ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის შესახებ:

„ისე დაწყვილდა გვარებიო: ვამბობდით – მაჭავარიანი და ანდლულაძე (ისინი ხომ ბ-ნ არნოლდის ჯერ ასპირანტები, ხოლო შემდეგ მისი კათედრის წევრები გახლდნენ – გ. ბ.), ახლა ვამბობთ – ანჯაფარიძე და ანდლულაძეო!“

მეორე. 70-იან წლებში უნივერსიტეტში ერთ-ერთი სამეცნიერო სესია გარდებოდა. აკად. გ. ახვლედიანი ძალზე კრიტიკულად, მასთან არაობიექტურად, მიუღბა არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოებს ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში. შემდეგ აღნიშნა, რომ თითქოს არნ. ჩიქობავა, მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილ ენათმეცნიერებს (გ. მაჭავარიანს, გ. გუდავასა და თ. გამყრელიძეს) ხელს უშლიდა, აფერხებდა მათ მეცნიერულ წინსვლას.

მართალია, ბ-ნ არნოლდი ამ სესიას ესწრებოდა, მოხსენებაც წაიკითხა, მაგრამ, ჩანს, რაღაც მიზეზის გამო ამ დროს უკვე წასული გახლდათ.

ბ-ნ არნოლდის სახელმძღვანელოთა ისტორიული მნიშვნელობა და იქ გატარებული ზოგი დებულება პროფ. თ. შარაშენიძემ დაიცვა. კარგად მახსოვს ქ-ნ თინათინის მიერ პირდაპირობით გაცხადებული: მართალია, ბ-ნ გიორგი, თქვენ ჩვენი საერთო მასწავლებელი ბრძანდებოდით, მაგრამ ასეთი აუგის თქმა ბ-ნ არნოლდის ზოგადენათმეცნიერულ ნაღვაწზე მკრეხელობაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენში არნ. ჩიქობავასეული წიგნებით ენათმეცნიერთა თაობები აღიზარდნენ და აღიზრდებიან კიდევ. ასეთი სახელმძღვანელოები ხომ საბჭოეთის მასშტაბითაც კი არა გვაქვსო.

სამეცნიერო სესია მეორე დღესაც გაგრძელდა. ბ-ნ არნოლდს, ჩანს, წინა დღის პერიპეტეიების შესახებ აცნობეს. მან სიტყვა ითხოვა და დაიწყო იმით, რაც მისთვის ადამიანურად ყველაზე უფრო მტკივნეული იყო წინა დღით წაყენებულ „ბრალდებულებათაგან“. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი პირველივე ფრაზა:

„მე ძალიან მიყვარს თამაშ გამყრელიძე, დიდ პატივს ვცემ გ. მაჭავარიანსა და გ. გუდავას...“

ღიახ, მას ძალიან უყვარდა ბ-ნი თამაზი, დიდ პატივს სცემდა გ. მაჭავარიანსა და გ. გუდავას – მით უფრო, რომ ეს უკანასკნელნი ხომ მისი აღზრდილნიც იყვნენ. ამის გარდა, რაც მთავარია, „გოლერანგობა სხვადასხვა მოაზროვნეთა მიმართ“ არნ. ჩიქობავასათვის ხომ შინაგანად იყო დამახასიათებელი, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ამასვე მოითხოვდა იგი სხვათაგანაც და სამართლიანადაც:

„მოგჯერ ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც 2-3 კარგი შრომა დაუწერია და გული ერჩის განიხილოს სამყარო თავისი ნამოღვაწართა და თვალსაზრისით, ამასვე მოითხოვს სხვებისაგან (ხაზგასმა არნ. ჩიქობავასეულია – გ. ბ.). იგი წარმოადგენს ნიმუშს შემზარავი შეუწყნარებლობისა, რომელიც წარმოიქმნება აზრის შეზღუდულობისაგან (და არც თუ იშვიათად იუმორის გრძნობის არქონასთანაა შეთავსებული)“.

ეს საზოგადოება ნათქვამი. რა თქმა უნდა, ამ ციტირებასთან არაფერი აქვთ საერთო ზემოთ დასახელებულ მეცნიერთ.

აკად. თ. გამყრელიძეც, თავის მხრივ, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ნაღვაწს, ზემოთაც ითქვა¹.

10. მოგონებათა ფრაგმენტები

26 მარტი არნოლდ ჩიქობავას დაბადების დღეა... იგი წელს 98 წლისა შესრულდებოდა... მისი სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ერთად ტრადიციულად მართავს შორივ, მეშვიდე „საკითხაუებს“...

პროფ. გ. ბურჭულაძემ ამ დღისათვის შეარჩია არნ. ჩიქობავას მოგონებათა რამდენიმე ფრაგმენტი. რაც მასწავლებელს მისი მოწაფისათვის სხვადასხვა დროს უამბნია. მათში კარგად ჩანს არნ. ჩიქობავა – პირუთენელი და პრინციპული, დიდი მეცნიერი და მოქალაქე.

მარქსიზმი და ენათმეცნიერება

1928 წელს მისულან საენათმეცნიერო საზოგადოების შესამოწმებლად. ამ საზოგადოების მდივანი კი ბატონი არნოლდი გახლდათ. შეკითხვიან:

რა დამოკიდებულებაშია ენათმეცნიერება მარქსიზმთანო.

ბატონი არნოლდის პასუხი ასეთ ყოფილა:

ჩვენ ჯერჯერობით ენობრივი მასალი შეკრების სტადიაში ვართ, თეორიული ხასიათის განზოგადებანი კელევის შემდგომი საფეხურია და, ამდენად, მარქსიზმი იმდენადაა გამოსაყენებელი ჩვენთან, როგორადაც, მაგალითად, მინერალოგიაში...

მარქსიზმის ასეთი „ინტერპრეტაცია“ შეუმჩნეველი, რა თქმა უნდა, არ დარჩებოდა და არც დარჩენიათ, მიუგანიათ იგი შემდგომ ინსტანციებში. ამიერკავკასიის ცაკ-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მთავრობის სხდომაზე საჯაროდ უთქვამს:

აი, ასე ბრძანებს საენათმეცნიერო საზოგადოების მდივანი და ეს იმიგომ, რომ აქაური ენათმეცნიერები გაურბიან ნ. მარის მარქსისტულ მოძღვრებასო.

ეს მომხდარა არნოლდ ჩიქობავას მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე.

ეს ამბავი, ჩანს, სყოდნიათ ა. შანიძესა და ფ. გოგიჩაიშვილს; ეს უკანასკნელი მოსულა ბატონ არნოლდთან და უთქვამს: დისერტაციის დაცვისას თქვენ, ალბათ, თავს დაიცავთო.

1. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 29. XII, თბ., 1995, გვ. 10.

... ზოგჯერ ბეწვებზე ჰკილია ადამიანის სიცოცხლე, – დასძინა ბატონმა არნოლდმა და განაგრძო:

1930 წელს წყალტუბოში ისვენებდა ი. სგალინი. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შეჰკითხვია მას: რა აზრისა ბრძანდებით ნ. მარზე; აქ, ჩვენთან, ერთი ახალგაზრდა ენათმეცნიერი აკრიტიკებს მას და ამის გამო ავიწროვებენო (მთავრობის ყურამღე კი ეს მიუგანია რამიშვილს, რასაც ბატონი არნოლდი მაღლიერებით იხსენებდა).

ი. სგალინს მკაცრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავს ნ. მარის მიმართ და უთქვამს: „Март дурак!“

რა თქმა უნდა, ასეთი გამოთქმა, თავისთავად, მკრეხელობაა დიდი მეცნიერის მიმართ, მაგრამ, ჩანს, სგალინს გაგონილი ჰქონდა ნ. მარის ზოგ შრომაზე, ალბათ, მედარებით ბოლოდროინდელზე, როცა მის თეორიაში გაჩნდა პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზი და მასთან შინაგანად დაკავშირებული სგალიური განვითარების თეორია. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ სგალინი ანალოგიურ გამოთქმებს სხვაგანაც ხმარობს ნ. მარის ზოგი თეორიული ხასიათის განზოგადებაზე...

არნოლდ ჩიქობავას არქივშია ერთი მოხსენების („აკად. ნ. მარის ენათა სგალიური კლასიფიკაცია“) დედანი, რომელსაც სგალინი გასცნობია 1949 წელს. ამ მოხსენების გვერდებზე ი. სგალინის ხელითაა მიწერილი შენიშვნები თუ მოწონების გამომხატველი სიტყვები. მაგალითად, იმ ადგილას, სადაც არნ. ჩიქობავა წერს ნ. მარის ენათა სგალიური განვითარების კლასიფიკაციაზე, სგალინს მარისეული კლასიფიკაციის სქემის გასწვრივ მიუწერია „Какая глупость“... ნ. მარის ციტირებისას ენათა გლოტოგონიური პროცესის თაობაზე კი მიწერილია „Чепуха“ და სხვა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ, როგორცაა არნ. ჩიქობავა იგონებს (წერილში „როდის იყო და როგორ“; დაბეჭდილია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულში“, XII, 1985, გვ. 27), სგალინი ნ. მარს მარქსისგად საერთოდ არ თვლიდა: „მარი ბუერს გაჰყვიროდა მარქსისმის შესახებ, მაგრამ მარქსისტი იგი არ იყო“.

მარი კაპიგულაციას მოითხოვსო...

– აკადემიკოსმა ვიორგი ახვლედიანმა თავისი დაბადების 80 წლისთავზე გაიხსენა, ნ. მარს ვესტუმრე ლენინგრადში და შეეთავაზე თბილისში ჩამოსულა ლექციათა წასაკითხადო. დიდი ენათმეცნიერის პასუხი ასეთი ყოფილა: თბილისში არ ჩამოვალო, იქ ახ ჩ ი თ ო ე ბ ი ა ჩასაფრებულო. იგულისხმებოდა გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...

ბატონი არნოლდი კი იგონებდა: ლენინგრადიდან ჩამოსულმა ბატონმა ვიორგიმ ბრძანა, მარი კაპიგულაციას მოითხოვსო...

უფრო მოგვიანებით კი, 1933 წელს, რამდენიმე წლით შედაგოვიერ

ინსტიტუტად გადაკეთებული კვლავ აღდგა უნივერსიტეტი, ოღონდ ამის პარალელურად ქუთაისში გახსნეს პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის სასწავლო ნაწილის გამგედ გ. ახვლედიანი დაუნიშნავეთ. მას ბატონი არნოლდისათვის შეუთავაზებია: წავიდეთ და იქიდან შევეუტიოთ ნ. მარსო...

ბატონმა არნოლდმა განაგრძო: არც ახლა ვარ ღიპლომარტი და მით უფრო მაშინო, ამიგომაც პირდაპირ უთქვამს ბ-ნი გიორგისათვის: ეგ იმასა ჰგავს, მენშევიკებმა რომ თბილისი დატოვეს და ამბობდნენ, შორაპნიდან დაებრუნდებითო...

მართალია, ბატონი გიორგის ზემოთ მოყვანილი წინადადებების პასუხად ბატონ არნოლდს, როგორც ვნახეთ, ცივი უარი მოუხსენებია, მაგრამ ერთი წელი თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრის გამგედ მაინც უმუშავია (შემდეგ იგი აქ შეცვალა ვ. თოფურიამ), როგორც უნივერსიტეტის მუშაკს. ასე დადიოდნენ ქუთაისში ახალჩამოყალიბებული ინსტიტუტის გასაძლიერებლად სხვებიც, მაგალითად, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე-

„აკადემიკოსები ზანტი ხალხია...“

თავისუფალი საენათმეცნიერო დისკუსია დაიწყო 1950 წლის 9 მაისს გამეტ „პრაეადმი“ გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას წერილით. ამას კი წინ სხვა მოვლენები უსწრებდა. ამაზე მოგვითხრობს ბატონი არნოლდი ზემოთ ნახსენებ წერილში „როდის იყო და როგორ“.

1949 წლის გაზაფხულზე არნ. ჩიქობავამ ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის, კ. ჩარკვიანის წინადადებით დაწერა მოხსენება „აკადემიკოს ნიკო მარის ენათა სტადიური განვითარება“, ჩანს, ინიციატივა სადირექტივო ორგანოებიდან იყო... მოვლენები ასე განვითარებულა:

1950 წლის აპრილის დასაწყისში არნ. ჩიქობავა გაუფრთხილებიათ, მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან იქნება მსჯელობა ენათმეცნიერების საკითხებზე და მოემზადეთო... და, აი, 1950 წლის 10 აპრილს, სადამოს, კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და არნოლდ ჩიქობავა სტალინის აგარაკზე მიუწვევიათ.

გამოქვეყნებული მოგონების მიხედვით, დღის წესრიგში მდგარა ორი საკითხი: 1. ი. სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შესახებ (მაშინ გამოსული იყო მხოლოდ პირველი ტომი), 2. ნ. მარის „ახალი მოძღვრების“ შესახებ. ბ-ნი არნოლდისავე მონათხრობის მიხედვით კი თავდაპირველად დღის წესრიგში იდგა მესამე საკითხი – პურის თაობაზე.

სტალინს უთქვამს: პურის საკითხი ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, დღეს კი მიხედვით მხოლოდ პირველ ორ საკითხსო. მართლაც, მხოლოდ ენის საკითხებზე უმსჯელიათ.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომი სტალინი-

სათვის ძვირფას გარეკანში ჩასმული მიურთმევეიათ, მოხმარებისათვის კი ჩვეულებრივი გამოცემა ჰქონია. უკითხავს, ასეა გამოცემული ყველა?

სტალინს უკითხავს ბატონი არნოლდისათვის: რას ნიშნავს სიტყვასთან მიწერილი „ტექ“?.

ასეთი სიტყვა ტექნიკური გერმინიაო, – განუმარტავთ.

იქვე სტალინს შეუნიშნავს: აი, ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, ბლუზა, ფრანგული სიტყვაა, მაგრამ ქართულში რუსულის გზით უნდა იყოს შესული, თუ არის ეს ლექსიკონში აღნიშნულიო.

ბ-ნ არნოლდს ამაზე მიუვია: როგორ არა, ასეთ სიტყვებს ლექსიკონში მიწერილი აქვთ: „რუს. მემუ“.

სტალინს იქვე შეუმოწმებია და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნევია.

სტალინს უთქვამს: „Академики народ ленивый, а Н. Я. Марр был энергичным...“ და ასე იგდო ხელთ ენათმეცნიერებაში მონოპოლიაო.

„ყველაზე დიდი მარქსისტი ნ. ქარცივაძე იყო...“

... ბატონი არნოლდის მოგონებიდან:

– სტალინი თითქმის მუდამ რუსულად ლაპარაკობდა. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, პოლიტიბუროს სხდომის შემდეგ წასულან საეზხმოდ (ეხშამი ღამის 11 საათამდე გრძელდებოდა). ჩანს, არნ. ჩიქობავაც მიუწვევიათ; იქ, სხვებთან ერთად, ბერიაც ყოფილა.

ყველაზე დიდი მარქსისტი ნ. ქარცივაძე იყო; რაღაცასთან დაკავშირებით უთქვამს სტალინს (ბატონმა არნოლდმა განმიმარტა, ეს ის ქარცივაძეა, მენშევიკების დროს რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო); თან დაურთავს: – რა დაემართა?

ბერიას უპასუხია, მას გადახრები ჰქონდა და ჩვენ გავუსწორდითო.

სტალინს, თითქოს, ეს არ გაეგონოს, გაუმეორებია, ის ჩინებული მარქსისტი და თანაც კარგი ამხანაგი იყო.

შემდეგ სტალინს უკითხავს, ახლა უკვე ქართულად, ალბათ, არნოლდ ჩიქობავას მისამართით: დარჩა ვინმე?

ბატონ არნოლდს მიუვია: შეილები – ერთი მათემაციკოსია, თუ არ ცუდები, მეორე კი...

ბატონმა არნოლდმა დაამატა: პასუხისას ვფიქრობდი, ვაი თუ შეილებმაც მამის ბედი გაიზიარონო, მაგრამ უპასუხოდ სტალინის კითხვის დატოვება, ბუნებრივია, არ ეგებოდა.

ჩანს, სტალინის ის შეკითხვა თუ დაინტერესება ნ. ქარცივაძის მიმართ ჩვეულებრივი ადამიანური ნოსტალგია იყო ახალგაზრდულ წლებზე, რაც მოგჯერ ძლიერთა ამა ქვეყნისათაჲ სჩევიათ.

„საბჭოთა ენათმეცნიერება – ბოლოდან პირველზე...“

ერთხელ აკადემიკოს ვ. ვინოგრადოვს, რომელიც ერთდროულად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივსაც ხელმძღვანელობდა და მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასაც განაგებდა, არნ. ჩიქობავასთვის შეუჩივლია, აღარ შემძლია ორივეგან მუშაობა, იქნებ მირჩიოთ, სად დავრჩეო.

ბატონ არნოლდს უთქვამს: თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ინსტიტუტს ვირჩევდიო.

წარმოიდგინეთ როგორი იქნებოდა ბატონი არნოლდის გაოცება, როცა ვ. ვინოგრადოვის შეკითხვას მოისმენდა:

– „А машина?“ მანქანა აკადემიკოს-მდიენისაო.

კელევიტ ინსტიტუტს სასამსახურო მანქანა არჩია.

აკადემიკოსი ვ. ვინოგრადოვი ჯერ ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან წასულა, ხოლო შემდეგ გაათავისუფლეს აკადემიკოს-მდიენობიდან. იგი ერთხანს ახალგაზსნილ რუსული ენის ინსტიტუტში გადასულა სამუშაოდ, მაგრამ იქ ამხედრებიან მომხრეებიცა და მოწინააღმდეგენიც და იძულებული გამხდარა ემუშავა ლენინგრადში, პუშკინის სახლში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ვ. ვინოგრადოვის შემდეგ აკადემიკოს-მდიენის მოვალეობის შემსრულებლად დაუნაშნავთ ცნობილი ლიტერატურათმცოდნე მ. ხრაპჩენკო.

ერთხელ, ვგონებ, გასაბჭოების 50 წლისთაებზე, ბრძანა ბატონმა არნოლდმა, აკადემიკოსი ვ. ვინოგრადოვი მოხსენებას კითხულობდა საბჭოთა კავშირში ენათმეცნიერების განვითარების შესახებ. ჰქონია ასეთი ფრაზაც: ჩვენ, საბჭოთა ენათმეცნიერები, მსოფლიოში პირველი ვართო...

აქ თავი ვერ შევიკავეო, – ბრძანა ბატონმა არნოლდმა, და მ. ხრაპჩენკოს (რომელიც, ჩანს, მის გვერდით მჯდარა) ჩაეულაპარაკე: ბოლოდან პირველზეო.

აკადემიკოს-მდიენანს ამაზე უცინია!

11. ეთერშია ლიტერატურული პროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული“

„ნებავისიმაია გაზეგას“ ჟურნლებზე გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მეცნიერის რიი მედეველვის ვრცელი წერილი „სტალინი და ენათმეცნიერება“; კომენტარისათვის სტუდიაში მოიწვიეს ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი გენადი ბურჭულაძე.

...როი მეღვედევის სტაგია ასე იწყება: „მეცნიერთა რეპრესიები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლების დაღუპვა და კარიერისგების, ფანატიკოსი დოგმატიკოსების, შარლატანების დაწინაურება – ჩვეულებრივ ამით მთავრდებოდა სამეცნიერო დისკუსიებში სტალინის ჩარევა. მაგრამ წესებში გამოხატვისადმი არსებობს. ასეთი გამოხატვისი გახლდა მოძღვრება ენის შესახებ“.

„...ნახევრად შოგლანდიელი და ნახევრად ქართველი მარი ქალაქ ქუთაისში ქართულ გარემოში გაიზარდაო“, – წერს როი მეღვედევი... მას ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა დიდი ნიჭი ლინგვისტიკაში, ორ ათეულ ენაზე მეტი იცოდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა სტატიები ქართული და სომხური ენების მოგიერთი თავისებურებათა შესახებ“.

„...არნოლდ ჩიქობავამ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნ. მარის ახალი მოძღვრება ენის შესახებ მიჩნეული იყო ერთადერთ მატერიალისტურ და მარქსისტულ თეორიად, ლენინგრადში 1940 წლის 27 მაისს გააკეთა ისტორიული მნიშვნელობის მოხსენება“ ...

„... კავკასიელი ენათმეცნიერები ისტორიული ენათმეცნიერების პომიციებზე იდგნენ მაშინაც, როცა ეს სახიფათო იყო“.

„...1950 წელს აპრილის დასაწყისში ჩიქობავა გააფრთხილეს მოსკოვში გამგზავრების თაობაზე ცკ-ის მდივნებთან შესახვედრად.

...ჩიქობავა, ჩარკვიანი და საქართველოს კიდევ სამი ხელმძღვანელი მიიყვანეს გენერალური მდივნის ქალაქგარეთ აგარაკზე კუნცევოში, სადაც მათ დახვდათ არა ცკ-ის მდივნები, არამედ თვითონ სტალინი. მის დაბეჭდილ მოგონებებში ეს ასეა მოთხრობილი“...

...ბატონმა თამამ გამყრელიძემ არნ. ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში ბრძანა: „არნ. ჩიქობავა ფაქტობრივი ინიციატორი და განმახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში. ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომელსაც საბჭოთა და, კერძოდ, ქართველმა ენათმეცნიერებამ მიაღწია.“

72 წლის წინ, 1925 წლის 23 მაისს ნავთლუდის რადიოსადგურიდან პირველი გადაცემა განხორციელდა. სწორედ ის რიცხვი ითვლება ქართული რადიოს დაბადების დღედ.

ულოცაეთ რადიო მაუწყებლობაში მომუშავე ჩვენს კოლეგებს ერთი რადიო პროგრამის საგამეთო ვარიანტს.

წამყვანი: გამარჯობათ, მეგობრებო!

...ეთერშია ლიგერატურული პროგრამა „ენაა შემკული და კურთხეული“.

თამამ ხმალაძე გვსაუბრებათ.

წამყვანი: პატივსმელო რადიომსმენელებო, დღევანდელი ჩვენი გადაცემა ერთადერთი სიუჟეტით იქნება წარმოდგენილი: გამეთ „ნებავისიძია გამეგას“ წლებანდელი ოთხი აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მეცნიერის როი მეღვედევის მოზრდილი წერილი „სტალინი და ენათმეცნიერება“. ეს პუბლიკაცია იმდენად საინტერესოდ მივიჩინეთ, რომ გადა-

ენწყვიტეთ, თქვენთვისაც გაგვეცნო, კომენტარებისათვის კი სტუდიაში მოვიწვიეთ ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი გენადი ბურჭულაძე.

ბატონო გენადი, ალბათ, რადიომსმენელთა უმეტესობისათვის არ გახდება იმის განმარტება საჭირო, თუ რაგომ მაინცდამაინც თქვენ შეგაწუხეთ და მოგიწვიეთ სტუდიაში, რადგან ემახსოვრებათ ჩვენი დიალოგები, სადაც დაწერილებით იყო საუბარი იმ საკითხებზე, რამედაც თავის წერილში როი მეღველევი მსჯელობს.

ახლა ასე მოვიქცეთ, ბატონო გენადი; მე თანმიმდევრულად გაგაცნობთ თქვენცა და ჩვენს მსმენელებს ამ პუბლიკაციის ქართულ თარგმანს, რომელიც ქალბატონმა ლალი ჩიკვაძემ მოგვიმზადა, თქვენ კი, სადაც საჭიროდ მიიჩნევთ, შემაწყვეტინეთ კითხვა და კომენტარები ჩაურთეთ. მეც ნუ დამძრახავთ, თუ ზოგჯერ თავს ვერ შევიკავებ და ჩემს აზრსაც მოგახსენებთ.

გ. ბურჭულაძე: დაგძრახავთ კი არა, მჯერა, თქვენი საენათმეცნიერო განათლება გულგრილს არ დაგტოვებთ განსახილველი საკითხისადმი.

თ. ხმალაძე: კეთილი, მაშ მივყევთ, ბატონო გენადი. როი მეღველევის სტაგია ასე იწყება: „მეცნიერთა რეპრესიები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლების დაღუპვა და კარიერისტების, ფანატიკოსი დოგმატიკოსების, შარლატანების დაწინაურება – ჩვეულებრივ ამით მთავრდებოდა სამეცნიერო დისკუსიებში სტალინის ჩარევა. მაგრამ წესებში გამონაკლისებიც არსებობს. ასეთი გამონაკლისი გახდა მოძღვრება ენის შესახებ. ენათმეცნიერება, ანუ ლინგვისტიკა ჩვენში წამყვან დარგად არ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ოციანი წლების ბოლოდან ამ დარგში ვნებები დულდა და ისეთი ბრძოლა იყო გაჩაღებული, ჯენტლმენურს რომ ვერ დაარქმევდი. ინერგებოდა მეცნიერებისათვის დამღუპველი ძალაუფლებისა და გავლენიანობის იერარქია, როცა აუცილებელი იყო, მეცნიერების ყველა დარგს თავისი უდავო ლიდერი ჰყოლოდა“...

ბატონო გენადი, როი მეღველევს მეცნიერებაში უდავო ლიდერის წარმოჩენა დამღუპველად მიაჩნდა და ასეთ ლიდერად იმ ხანებში ნიკო მარი ეგულვის.

გ. ბ.: მე კი კოლექტიური ლიდერობისა არა მესმის რა. მეცნიერების ამა თუ იმ დარგს ყოველთვის ჰყავს თავისი ლიდერი, გამოკვეთილი საკუთარი იდეებით, რომლის მიმდევრები შემდეგ სხვები ხდებიან. ოღონდ არ უნდა ხდებოდეს სხვათა დათრგუნვა, აი, ესაა საშიში, თორემ ნამდვილი ლიდერის გარეშე ძნელი წარმოსადგენია მეცნიერების განვითარება.

თ. ხ.: „ნახევრად შოტლანდიელი და ნახევრად ქართველი მარი ქალაქ ქუთაისში ქართულ გარემოში გაიზარდაო“, – წერს როი მეღველევი. ჩვენ კი ვიცით, ბატონო გენადი, რომ ნ. მარის დედა გურული იყო და მის მეტყველებას, როგორც გადმოგვცემენ, ემჩნეოდა ძველი ქართულისა და

გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი ნიშნებიო...

გ. ბ.: დიახ, ასე გახლდათ. ბაგონმა როიმ ნ. მარი მთლიანად ქუთაისელებს გადაულოცა. ნ. მარი დაიბადა 1864 წელს, ზოგი ამბობს, 1863 წელსო. 1870 წელს ის უკვე ოზურგეთშია. სხვათა შორის, ნ. მარი თვითონვე იგონებს, რომ ქართულის კითხვაში იგი დედას გაუწაფავს და პირველი წიგნი, რომელიც წაუკითხეს, ქართული ზღაპრების კრებული ყოფილა.

1874 წელს ნ. მარი ჩარიცხეს ქუთაისის პანსიონატში. მამის გარდაცვალების შემდეგ... მამა 95 წლისა გარდაიცვალა...

ასე რომ, ნ. მარმა სულ ცოტა 1870-74 წლები გურიაში გაატარა, შემდგომშიც არდადეგებზე გურიას ესტუმრებოდა ხოლმე...

თ. ხ.: აი, კიდე რას წერს რ. მედევედი ნ. მარზე: „მას ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა დიდი ნიჭი ლინგვისტიკაში, ორ ათეულ ენაზე მეტი იცოდა და ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა სტატიები ქართული და სომხური ენების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ. მარის იდეები ენათმეცნიერების დარგში მეტად პარადოქსულად ეღერდა, მაგრამ სწორედ ამან გაუთქვა მას სახელი. მაგალითად, მარი ამტკიცებდა, რომ ქართული და სომხური ენები მონათესაეენი არიანო, რომ რუსული ენა უფრო ახლოს დგას ქართულთან, ვიდრე უკრაინულთან და მთიელი სვანების ენა აფეთქების გზით წარმოიშვა გერმანული ენიდან. იგი წერდა, რომ სხვადასხვა წარმომავლობის ენები შეიძლება შეჯვარდეს, რითაც დასაბამი მიეცემა ახალ ენას და ა. შ.“... (ეს, როგორც მოგეხსენებათ, ბაგონო გენადი, ნ. მარის ახალგაზრდობის პერიოდზეა საუბარი, რომელიც მეცნიერმა თვითონვე უარყო). განეაგრძობ წერილის კითხვას: განათლების სახალხო კომისარმა ლუნაჩარსკიმ საჯაროდ უწოდა მარს „ჩვენი კავშირის უდიდესი ფილოლოგი“ და არა მარტო ჩვენი, არამედ „მსოფლიოში ახლა მცხოვრებ ფილოლოგთა შორის უდიდესი“. არა მგონია, ლუნაჩარსკის რამე გაეგებოდა მარის „იაფეგური თეორიისა“ (ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი შვილის – იაფეგის სახელის მიხედვით), მაგრამ მარი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან მეცნიერთა შორის, რომელთაც მხარი დაუჭირეს ბოლშევიკებს 1917 წლის ოქტომბერში. იგი მაშინ პეტროგრადის საბჭოსა და მეცნიერ-მუშაკთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეც კი იყო.

20-იანი წლების ბოლომდე მარის ავტორიტეტი მაინცდამაინც არ უშლიდა ხელს ენათმეცნიერებს სხვა მიმართულებებით მუშაობაში. მხოლოდ 1928 წელს გამოჩნდა მის სტატიებში მარქსისა და ენგელსის ციგატები, აგრეთვე გერმინების „ბურჟუაზიული“ და „პროლეტარულის“ გამოყენება ენასთან მიმართებაში. აკადემიკოსმა განაცხადა, რომ იწყებს მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომების გაღრმავებულ შესწავლას. როგორც მოსალოდნელი იყო, ენათმეცნიერების შეერთებამ მარქსიზმთან მარს საშუალება მისცა ერთმანეთის მიყოლებით მოეხდინა ახალი აღმოჩენები ენათმეცნიერებაში. მაგალითად, მან გამოაცხადა, რომ ენა სხვა არაფერია, თუ

არა ზედნაშენი ეკონომიკურ ბაზისზე, და აქედან გამომდინარე, მას კლასობრივი ხასიათი აქვსო. სოციალურ რევოლუციებს მიეყაყართ ნახტომებთან ენის განვითარებაში და ცხოვრების ახალი სოციალური ფორმები ქმნიან ახალ ენასო. მაშინდელმა გავლენიანმა პარტიულმა იდეოლოგებმა სიამონენებით მიიღეს მარის ეს მოძღვრება. სტალინმაუ მიაქცია ყურადღება მარს. პარტიის XVI ყრილობაზე მარი გამოდიოდა მისასაღმებელი სიგყვით მეცნიერთა სახელით. „სრული თავისუფლების პირობებში, რომელსაც აძლევს მეცნიერებას საბჭოთა ხელისუფლება – ამბობდა მარი, – წარემართავ ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობას, ვავითარებ თეორიულ მოძღვრებას ენის შესახებ. გავაცნობიერე რა პოლიტიკურობის ფიქცია, შორს მოვისროლე იგი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მომენგში. რევოლუციური შემოქმედებით გაახალგაზრდაებული მყარად ვდგავარ სამეცნიერო ფრონგის მებრძოლის პოსტზე პროლეტარული მეცნიერული თეორიისა და კომუნისტური პარტიის მკაფიო გენერალური ხაზის დასაყადალ“. ყრილობის დამთავრებისთანავე მარი პარტიის წევრად მიიღეს, ხოლო „ერთი წლის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეს“.

გ. ბ.: ეს ციტირება არნ. ჩიქობავას წერილშია „როდის იყო და როგორ“; ეს სტატია იკვწ-შია დაბეჭდილი 1985 წ., ამას კი იმიტომ მოგახსენებთ, რომ არა ერთი პასაყია აქედან რთი მერდვედევის ამ საინტერესო წერილში, თუმცა ავტორი წყაროზე არ მიუთითებს.

თ. ხ.: ვიცი, მახსოვს ეს სტატია. უნდა მითითებულებო, სტატია ხომ ქართულის გვერდით რუსულადაც არის დაბეჭდილი...

გ. ბ.: დიახ, ასეა...

თ. ხ.: მაგრამ განეავტოთ წერილის კითხვა, ბატონო გენადი; რთი მედვედევიც მაგ პერიოდზე წერს: „... 1934 წელს დეენის ამ გახურებული კამპანიის დროს აკადემიკოსი ნ. მარი გარდაიცვალა. 1937-38 წლების რეპრესიებს მოჰყვა მარის მრავალი მოწინააღმდეგის დაპატიმრება და დაღუპვა, მაგრამ იმათ მისი ზოგიერთი გავლენიანი მომხრეც მიაცოლეს. დისკრედიტირებულ იქნა მისი ზოგიერთი მაღალჩინოსანი მფარველიც.“

ენათმეცნიერებაში „იაფეტურ სკოლას“ სათავეში ჩაუდგა ივანე მეშჩანინოვი, რომელსაც არც ავტორიტეტი ჰქონდა თავისი მასწავლებლისა, არც კავშირები და არც იმისი ამბიციები. საბჭოთა ლინგვისტიკის ახალი ლიდერი მხოლოდ 1932 წელს გახდა აკადემიკოსი და ამიტომ მას სიფრთხილე და ზომიერება მართებდა“...

გ. ბ.: კარგად არის ნათქვამი, ზომიერება და სიფრთხილე ახასიათებდაო ი. მეშჩანინოვს...

თ. ხ.: რას გულისხმობთ, ბატონო გენადი?

გ. ბ.: აღრეც მითქვამს სხვა კონტექსტში და დღესაც მოგახსენებთ: არნ. ჩიქობავამ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნ. მარის ახალი მოძღვრება ენის შესახებ მიჩნეული იყო ენის შესახებ ერთადერთ მატერიალისტურ და მარქსის-

გულ თეორიად, ლენინგრადში 1940 წლის 27 მაისს გააკეთა ისტორიული მნიშვნელობის მოხსენება — „პრობლემა ენისა, როგორც ლინგვისტიკის საგნისა საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითად ამოცანათა შუქზე“. აქ არნ. ჩიქობავამ პირველმა საჯაროდ დაგმო ნ. მარის „ოთხელემენტოვანი ანალიზი“ და უწოდა მას „საოცარი, შემზარავი ანტიისტორიზმი“.

ამ ისტორიული სხდომის თავმჯდომარემ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელმა ი. მეშჩანინოვმა მოხსენების გარშემო გამართული კამათის დროს ბრძანა, რომ „ენისა და აზროვნების ინსტიტუტი ოთხელემენტოვანი ანალიზის მიხედვით არ მუშაობს და მოსმენილს გამოვაქვეყნებთ ლიტერატურისა და ენის განყოფილების მოამბეშიო“, მაგრამ, სამწუხაროდ, აკადემიკოს-მდივანმა სიგყვა ვერ, უკეთ, არ შეასრულა (ნაშრომი გამოქვეყნდა 1942 წ. ჩვენთან, საქართველოში).

თ. ხ.: განვაგრძობ რთი მედევევის წერილის კითხვას:

... 1948 წლის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, სამწუხაროდ, ცნობილმა სესიამ საფუძველი ჩაუყარა დევნის ახალ კომპანიას არა მარტო ბიოლოგიაში, არამედ სხვა მეცნიერებებშიც. ასეთ პირობებში კვლავ გაჩაღდა ბრძოლა „მატერიალისტებსა“ და „იდეალისტებს“ შორის. ენათმეცნიერებაში მეშჩანინოვის ხელში აღმოჩნდა ყველა ხელმძღვანელი პოსტი, რომელიც მთიპოვებოდა ენათმეცნიერებაში. იგი გახდა მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგე. მისი მოწაფეები და თანამებრძოლები თანდათანობით გახდნენ ქვეყნის ყველა საენათმეცნიერო კათედრების გამგეები. ისინი მოითხოვდნენ სწავლებას მხოლოდ „მარისა და მეშჩანინოვის“ მიხედვით.

ლენინგრადში ამ ექსპანსიას შესამჩნევი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. წინააღმდეგობა წარმოიშვა მოსკოვში, სადაც ყველაზე ავტორიტეტული ლინგვისტი იყო აკადემიკოსი ვიქტორ ვინოგრადოვი, ავტორი ბრწყინვალე შრომებისა რუსი მწერლების ენისა და სტილის შესახებ, აგრეთვე რუსული ენის ისტორიის მკვლევარი.

მაგრამ ყველაზე მედგარი წინააღმდეგობა მარისტების წინსვლას კავკასიაში შეხედა. აქ ლინგვისტთა ძლიერი ჯგუფები ჩამოყალიბდა, რომლებიც არ იზიარებდნენ მარის პრიმიტიულ თეორიებს. სომხეთში, მაგალითად, წამყვანი ენათმეცნიერი იყო ჰრაჩია აჭარიანი, რომელიც სომხური ენათმეცნიერების ფუძემდებლად ითვლებოდა. აჭარიანი უფრო ცნობილი იყო მსოფლიო ლინგვისტიკაში, ვიდრე მარი ან მეშჩანინოვი, მაგრამ იგი უკვე მოხუცებული და ავადმყოფი იყო. სომხეთის კათედრებზე წამყვან როლს თამაშობდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გრიგოლ ხაფანციანი. მარისტების შეტევას სომხეთში შედარებით წარმატება ჰქონდა, რადგან მათ პრეტენზიებს მხარს უჭერდნენ საკავშირო ცკ-ის

იდეოლოგიური სამსახურები. ეს გარემოება გადამწყვეტი აღმოჩნდა სომხეთის ცკ-ის პირველი მდივნის გიორგი არუთინოვისათვის. აჭარიანსა და ხაფანციანს ყველა პოსტი დაატოვებინეს. დაიწყო მათი მომხრეების გარეკვა ერენის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან.

„სხვაგვარად მიდიოდა საქმე საქართველოში, სადაც წამყვან ენათმეცნიერად ითვლებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. კავკასიური ენების ისტორიისა და სტრუქტურის უდიდესი სპეციალისტი“...

მე კარგად მახსოვს, ბატონო გენადი, ერთ-ერთ ჩვენს გადაცემაში თქვენ მოიყვანეთ ვ. აბაევის თქმული 1968 წელს: „თბილისში აგერ უკვე მრავალი წელია მუშაობს მეცნიერ-კავკასიოლოგების მძლავრი კოლექტივი, რომლის სათავეშია ისტორიკოსის ისეთი მგვიცე ერთგული, როგორც არნოლდ ჩიქობავა“.

გ. ბ.: რა თქმა უნდა, ჩვენი კავკასიოლოგი ენათმეცნიერები ისტორიული ენათმეცნიერების პოზიციებზე იდგნენ მაშინაც, როცა ეს სახიფათო იყო.

თ. ხ.: აი, შემდეგ როგორ ახასიათებს რთი მედევედი არნოლდ ჩიქობავას: „... ეს 52 წლის ენერგიული და ნიჭიერი მეცნიერი წარმატებით ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მრავალი მეგობარი ჰყავდა არა მარტო სამეცნიერო წრეებში, არამედ რესპუბლიკის პარტიულ აქტივშიაც. კარგი ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელი საქართველოს ცკ-ის პირველ მდივანთან, კანდიდ ჩარკვიანთან. როცა მარის მოწაფეებმა მოსკოვის მხარდაჭერით დაიწყეს ჩიქობავას შევიწროება, ჩარკვიანმა მას არა მარტო მფარველობა გაუწია, დაარწმუნა კიდევ, რომ მოხსენება-საჩივარი მიეწერა სტალინისათვის“.

გ. ბ.: რატომ შეარქვა ამ მშენიერ მოხსენებას რთი მედევედმა მოხსენება-საჩივარი, ჩემთვის გაუგებარია. ალბათ, მისთვის არაა ცნობილი, რომ ეს მოხსენება, რომელიც 1985 წელს დაიბეჭდა, უცვლელად არის დასტამბული იმ დენდიდან, ი. სტალინის ხელით გვერდზე შენიშვნები რომ აქვს მიწერილი.

თ. ხ.: „ჩიქობავამ მარტივად და დამაჯერებლად აღწერა სიტუაცია ენათმეცნიერებაში და სტალინმა ეს მოხსენება ყურადღებით ჩაიკითხა“, – წერს რთი მედევედი.

გ. ბ.: მართალს ბრძანებს, მაგრამ მას რომ მოხსენების გვერდებზე სტალინის მინაწერები სყოფნოდა და მათ გასცნობოდა, ალბათ, მეგს იტყოდა.

თ. ხ.: რა მინაწერებს გულისხმობთ?

გ. ბ.: აი, მაგალითად, იმ ადგილას, სადაც არნ. ჩიქობავა წერს ნ. მარის ენათა სტადიური განვითარების კლასიფიკაციაზე, სტალინს ნ. მარისეული კლასიფიკაციის სქემის გასწვრივ მიუწერია *Какая причина*. მარის ციტირებისას ენათა გლოტოქრონოლოგიური პროცესის თაობაზე კი მიწერილია:

Ченуха. ერთგან კი ბატონი არნოლდის მოსაზრებაზე მიუწერია: „თქვენ ნაწყენი ხართ, მაგრამ განაწყენება საბუთი არ არის“ და სხვ.

თ. ხ.: შემდეგ, აი, რას წერს როი მედვედევი, ბატონო გენადი: „...სტალინს აღიზიანებდა ის, რომ მთელს მეცნიერებაში მიმდინარე გარდაქმნები უკვე მისი უშუალო ჩარევის გარეშე ხდებოდა. კარგა ხანია, რაც სტალინი, რომელსაც „უდიდეს თეორეტიკოსსა“ და „მარქსიზმის კორიფეს“ უწოდებდნენ, საჯაროდ არ გამოსულა როგორც თეორეტიკოსი. ახალი და მწვავე პრობლემა უამრავი წარმოიშეებოდა ეკონომიკაში, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მსოფლიო პოლიტიკაში. ამ პრობლემაზე გამოდიოდნენ პოლიტიკურის წევრები: ქვანოვი, მალენკოვი, ვოზნესენსკი. მათი სიგყვებისა და სტატიების ციტირება ხდებოდა ყველგან სტალინის ძველი შრომების ციტატებთან ერთად. ყველამ იცოდა, რა თქმა უნდა, რომ სტალინმა პირადად მოიწონა გროფიმე ლისენკოს მოხსენება საკავშირო აკადემიის სესიაზე. მაგრამ ეს იყო ბიოლოგია და სტალინმა თავი შეიკავა ღია გამოთქმებისაგან ამ მეტად სპეციალურ სფეროში.

ენათმეცნიერება უფრო ახლო იყო სტალინის ინტერესების სფეროსთან, რაც აძლევდა საჯარო გამოსვლის საშუალებას. ეს გაამაგრებდა მის რეპუტაციას, როგორც „მარქსიზმ-ლენინიზმის“ კლასიკოსისა. მან სთხოვა თავის მდივნებს, შეერჩიათ რამდენიმე წიგნი ენათმეცნიერების საკითხებზე, ზოგი ამ წიგნიდან მან მხოლოდ გადაათვალიერა, ზოგი კი თავიდან ბოლომდე წაიკითხა. იმ ჩანაწერებისა და აღნიშვნების მიხედვით, რაც სტალინს ჩვეულებად ჰქონდა გაეკეთებინა წიგნში, ეტყობა, რომ ყველაზე მეტად მას მოეწონა კუდრიავსკის „ენათმეცნიერების შესავლის“ პოპულარული კურსი 1912 წელს ქ. ტარტუში გამოცემული. სტალინი იშვიათად ხვდებოდა მისთვის უცნობ ადამიანებს წინასწარი მომზადების გარეშე და მერე აკვირებდა ხოლმე მათ მოულოდნელად ზუსტი შენიშვნებითა და კითხვებით.

1950 წელს აპრილის დასაწყისში ჩიქობავა გააფრთხილეს მოსკოვში გამგზავრების თაობაზე ცკ-ის მდივნებთან შესახვედრად. შეხვედრა დაინიშნა 10 აპრილს. ამავე დღეს საღამოს ჩიქობავა, ჩარკვიანი და საქართველოს კიდევ სამი ხელმძღვანელი მიიყვანეს გენერალური მდივნის ქალაქგარეთა აგარაკზე კუნცეოში, სადაც მათ დახვდათ არა ცკ-ის მდივნები, არამედ თვითონ სტალინი“.

გ. ბ.: ამის შესახებ სჯობს, ბატონ არნოლდს მოეუსმინოთ. მის დაბეჭდილ მოგონებებში ეს ასეა მოთხრობილი: 1950 წლის აპრილის დასაწყისში იგი გაუფრთხილებიან, მოსკოვში ცკ-ის მდივნებთან იქნება მსჯელობა ენათმეცნიერების საკითხებზე და მოემზადეთო. და აი, 1950 წლის 10 აპრილს, საღამოს, კანდიდ ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და არნ. ჩიქობავა სტალინის აგარაკზე მიუწვევიათ.

გამოქვეყნებული მოგონების მიხედვით, დღის წესრიგში ორი საკითხი

იდგაო: 1. სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესახებ“ (მაშინ გამოსული იყო მხოლოდ პირველი ტომი), 2. ნ. მარის „ახალი მოძღვრების შესახებ“. ბატონი არნოლდის მონათხრობით კი თავდაპირველად დღის წესრიგში მესამე საკითხი ყოფილა – პურის შესახებ. მაგრამ სტალინს უთქვამს: პური ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, დღეს კი, პირველ ორ საკითხს მივხედოთო. მართლაც, მხოლოდ ენის შესახებ უმსჯელიათ...

თ. ხ.: მიეყვით რომი მეღვედევის წერილის თანმიმდევრობას: „... საუბარი დაიწყო საღამოს 9 საათზე. პირველად სტალინმა რამდენიმე შენიშვნა და სურვილი გამოთქვა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“, რომლის პირველი ტომიც ეს-ესაა გამოვიდა ჩიქობავას ხელმძღვანელობით. წიგნი სასთუმალთან ელო სტალინს და ჩანდა, რომ იგი ყურადღებით სწავლობდა ლექსიკონს. ამის შემდეგ გადავიდნენ „ახალ მოძღვრებაზე ენის შესახებ“.

ჩიქობავა ფიქრობდა 20-30 წუთში ჩატეულიყო. სტალინი ყურადღებით უსმენდა და დროდადრო ჩანიშვნებს აკეთებდა თავის რეეულში, თან შეკითხვებს უსვამდა. მან, მაგალითად, ჰკითხა: თუ ვინ იყვნენ მარის მოწინააღმდეგეები მოსკოვსა და ლენინგრადში? ჩიქობავა მოუყვა აკადემიკოს ვინოგრადოვზე, რომელიც იმ დროს ძლიერ ბეწოლას განიცდიდა მარისტების მხრიდან.

გ. ბ.: აკადემიკოს ვ. ვინოგრადოვის შესახებ მოგონებაში არა უწერია რა, მაგრამ ბატონ არნოლდს ჩვენთვის უამბია: ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე ეიქტორ ვინოგრადოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ... ის გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან. სტალინს აგარაკზე პირველი შეხვედრისას არნ. ჩიქობავასთვის უკითხავს ვ. ვინოგრადოვზე, რა კაციაო? ეტყობა, იცოდა მისი დეკანობიდან გათავისუფლება. ბატონ არნოლდს უპასუხია: ნ. მარისა არა სწამდა რა და იმიტომ გაათავისუფლეს, ისე კარგი სპეციალისტია რუსული ენისაო. სტალინს იქვე მიუმართავს ლ. ბერიასათვის: შეამოწმეთ და, თუ ეს ასეა, აღადგინეთო.

მართლაც, ვ. ვინოგრადოვი დისკუსიამდე აღუდგენიათ დეკანად.

ეს ისტორია, ალბათ, რუსმა მეცნიერმაც იცოდა, ბატონი არნოლდის მონათხრობით, როცა ის სადილად გახლდათ ვ. ვინოგრადოვთან სახლში, მასპინძელი ყოველ სასმისზე ამბობდა თურმე: Арнольд Степанович вывел меня в люди...

თ. ხ.: რომი მეღვედევის მიხედვით, სტალინმა როცა გაიგო, რომ სომხეთში თავიანთი პოსტებიდან მოუხსნიათ აჭარიანი და ხაფანციანი, გააწყვეტინა ჩიქობავას თხრობა და მოითხოვა ერევანთან დაკავშირება. მინისტრებმა და ცკ-ის მდივნებმა იცოდნენ რა, რომ სტალინი ღამ-ღამობით მუშაობდა, 4 საათზე ადრე თვითონაც არ მიდიოდნენ დასაძინებლად. ტელეფონით შემდეგი დიალოგი გაიმართა:

სგალინი: — ამხანაგო არუთინოვ, თქვენთან რესპუბლიკაში მუშაობს ასეთი ხალხი — აჭარიანი და ხაფანციანი.

არუთინოვი: — ღიახ, ამხანაგო სგალინ, ჩვენ გეყავს ასეთი ხალხი, მაგრამ ისინი ამჟამად არ მუშაობენ, სამსახურიდან არიან მოხსნილი.

სგალინი: — კი მაგრამ, ვინ არიან ისინი?

არუთინოვი: — ისინი მეცნიერები არიან, აკადემიკოსები...

სგალინი: — მე კი მეგონა ბულატრები იყვნენ, ერთ ადგილას მოხსნიან, მეორეზე მოეწყობიან. აჩქარდით, ამხანაგო არუთინოვ, აჩქარდით. და სგალინმა ყურმილი დაუკიდა.

დაფეთებულმა არუთინოვმა გამოიძახა თავისი თანამშრომლები და მეცნიერების განყოფილების გამგე, გადაწყვიტეს ავადმყოფი აჭარიანი არ შეეწუხებინათ. ხაფანციანის მოსაყვანად კი მანქანა გაგზავნეს. მეცნიერი გააღვიძეს, დააწინარეს (მას შეიძლება ეს დაჰატიმრება ჰკონებოდა) და სომხეთის ცკ-ში გააქანეს. არუთინოვმა პატივყრილ პროფესორს აუწყა, რომ იგი დანიშნულია სომხეთის სსრ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად. „ნუთუ არ შეგებლოთ დილაღე მოგეცადათ და ეს ახალი ამბავი მაშინ გეუწყებინათ?“ — უთქვამს გამოუძინებელ ხაფანციანს.

ამასობაში სგალინისა და ჩიქობავას საუბარი, რომელიც 7 საათს გრძელდებოდა, დასასრულს უახლოვდებოდა. მოულოდნელად სგალინმა თანამოსაუბრეს შესთავაზა „პრავდაში“ სტატიის გამოქვეყნება ენათმეცნიერების პრობლემებზე. „მერედა დაბეჭდავენ? — ჰკითხა მეცნიერმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო სიტუაციაში. თქვენ დაწერეთ და ვნახოთ, თუ გამოდგება, იქნებ კიდევ დაბეჭდონ“, — უპასუხა სგალინმა.

სტატია ერთ კვირაში მზად იყო და მისი ტექსტი კვლავ სგალინის მაგიდაზე მოხვდა. ჩიქობავა კიდევ ორჯერ ესაუბრა სგალინს და კვლავ ხანგრძლივად, 2-3 საათის განმავლობაში“.

დისკუსიის გამართვის იდეა, ამ საუბრების დროს ჩასახულა, ბატონო გენადი.

გ. ბ.: სადისკუსიო სტატიის დაწერა ბატონ არნოლდს დაევალა, ეს მისი მოგონებებიდანაა ცნობილი. ეხლა ბატონ არნოლდის მოგონებების ის ნაწილი მსურს გაგაცნოთ, რომელიც ჩვენთვის მოუყოლია. სგალინს მიუძღრთავს ბატონი არნოლდისათვის: „არ მინდა იცოდნენ ჩემი თვალსაზრისი ამის თაობაზე და ნურც იტყვიოთ. თუ გაიგეს, მე რა ამრს ვუჭერ მხარს, ყველანი ჩემნაირად დაიწყებენ მსჯელობასო...“

თ. ხ.: დისკუსიის დაწყებამდეო, — წერს როი მედევევი, — „ამჟამად იყო, რომ სგალინი აგრძელებდა ლიტერატურის გაცნობას ენათმეცნიერების საკითხებზე. იგი შეხვდა აკადემიკოს ვინოგრადოვსაც, თუმცა ამ საუბრის შინაარსი ცნობილი არ არის.

1950 წლის 9 მაისს „პრავდაში“ გამოქვეყნდა ჩიქობავას დიდი სტატია სარედაქციო მინაწერით: „სტატია იბეჭდება განხილვის წესით“. ვინაიდან

სტაგიაში მკვეთრად იყო გაკრიტიკებული „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ და პირადად მემქანინოვიც, მასაც მისცეს წინადადება, ეპასუხა. მუსტაფა ერთი კვირის თავზე „პრაედაში“ გამოჩნდა მემქანინოვის დიდი სტაგია მარის იდეებისა და მოძღვრების დასაცავად“...

გ. ბ.: მემქანინოვის ამ სტაგიაში მარგო ნ. მარისეული იდეებისა და მოძღვრების დაცვა როდია, არამედ, გარკვეულწილად, დასმენაცაა.

თ. ხ.: რა დასმენაზე ამბობთ, ბაგონო გენალი?

გ. ბ.: არნ. ჩიქობავას სადისკუსიო სტაგია 9 მაისს დაიბეჭდა, ი. მემქანინოვისა – 16 მაისს. იგი წერდა: „არნ. ჩიქობავა მარს მიიჩნევს ქართულ-სომხური ფილოლოგიის უდიდეს მცოდნედ, მაგრამ ამ მტკიცებით წინა პლანზეა წამოწეული მარის რევოლუციამდელი შრომები, ხოლო მარის მოღვაწეობის საბჭოური პერიოდი, რომელიც ხასიათდება ჩვენთვის მეტად ფასეული შემოქმედებით უკვე ჩამოყალიბებული საბჭოთა მეცნიერისა, შეფასებულია უარყოფითად“.

თ. ხ.: ბაგონი არნოლდის შეფასება?

გ. ბ.: ამის შესახებ არაერთხელ შევახსენეთ ბაგონ არნოლდს. მან ბრძანა: ეს იყო პოლიტიკური ბრალდება. ისე კი მეცნიერება არ ფასდება იმით, როდის დაიწერა, არამედ იმით, რა არის ფასეული.

თ. ხ.: როი მედვედევის წერილი დასასრულს უახლოვდება. განვაგრძობ კითხვას: „... დაიწყო დისკუსია ენათმეცნიერების თაობაზე, რომელიც დიდხანს არ გაგრძელდება. ყველა სტაგია მხოლოდ „პრაედაში“ იბეჭდებოდა. სხვა გაბეთებს დისკუსიაში მონაწილეობის ნებართვა არ მიუღიათ. ერთმა ჩემმა მეგობარმა იმ დღეებში შენიშნა, რომ ჩიქობავა ძალზე გაბედული აღამიანია, რაკილა გამოწვევა ესროლა მარის მოძღვრებას. მეორე, უფრო ფრთხილმა თანამოსაუბრემ კი თქვა, რომ ნამდვილი სიმამაცე მემქანინოვმა გამოიჩინა, როცა ღიად შეეკამათა ჩიქობავასო.“

ამასობაში სტალინი თავის სტაგიას ამზადებდა, რაშიც მას ვინოგრადოვი და ჩიქობავა ეხმარებოდნენ. სტალინი თვითონ წერდა სტაგიას: ეს ჩანს მისი ლექსიკიდან და სტილიდან, მაგრამ, როგორც სხვა შემთხვევაში, იგი ფარულად იღებდა კონსულტაციებს მის მიერ შერჩეული საქცილისთვისაგან.

სტალინის სტაგია „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ პრაედაში დაიბეჭდა 1950 წ. 20 ივნისს. მე კარგად მახსოვს ეს დღე. ლენინგრადის უნივერსიტეტში საგამოცდო სესიები მიმდინარეობდა. მოულოდნელად ყველა გამოცდა შეწყდა, ჩვენი სასწავლო კორპუსის სტუდენტები და მასწავლებლები ვესტაბილში ჩავიდნენ, სადაც ხმამაღლამოლაპარაკე იდგა. სტალინის სტაგიას ქვეყნის საუკეთესო დიქტორი იური ლევიტანი კითხულობდა. ჩვენ სტუდენტები – ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და ეკონომისტები სრულ სიჩუმეში ვუსმენდით კითხვას, ყურადღებისა და მუხსიერების დაძაბვით. გავირინდეთ, როცა სტალინმა გამოაცხადა, რომ ენა არ არის და არც

შეიძლება იყოს ბაზისი, რომ ენას შეუძლია სიცოცხლე ისე, რომ ძლიერ არ იცვალოს ფერი სხვადასხვა ზედნაშენებსა და ბაზისებში. ჩვენ გავიყინეთ, როცა სგალინმა, კამათობდა რა ენის კლასობრიობის თაობაზე, თქვა: „ნუთუ ფიქრობენ ეს ამხანაგები, რომ ინგლისელი ფეოდალები ინგლისელ გლეხებს თარჯიმნების დახმარებით ელაპარაკებოდნენ და საურთიერთობოდ ინგლისურს არ იყენებდნენ“...

ბატონო გენადი, ხედავთ, რა ხატონად უპასუხია სგალინს კითხვისათვის – არის თუ არა ენა კლასობრივი.

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ, ბატონო თამაზ, საერთოდ, სგალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გამორჩეულია მის სხვა ნაშრომთაგან.

თ. ხ.: სხვა ნაშრომები სხვებმა შეაფასონ... გამორჩეულიაო, რომ ბრძანებთ, რას გულისხმობთ?

გ. ბ.: მოგეხსენებათ, სგალინის ბევრ ნაშრომს რევიზია ჩაუტარდა მათი ავტორის კულტად ქცევის შემდეგ. ეს წიგნები ამოიღეს ბიბლიოთეკებიდან, რაც ვერ შეჰკადრეს მხოლოდ ამ ნაშრომს.

თ. ხ.: ბარემ მიზეზიცა ვთქვათ, ნამდვილი მიზეზი...

გ. ბ.: ბატონ დევი სტურუას, მაშინდელ ცკ-ის მდივანს, ჩვენთან, უნივერსიტეტში შეხვედრია რომან იაკობსონი, თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი ლინგვისტი. იაკობსონს ბატონი დევის სათანადო კითხვაზე პირდაპირ უპასუხია: „ეს აბსოლუტურად ღირსშესანიშნავე შრომაა. გასაოცარია, ადამიანმა, რომელიც სპეციალურად არ მუშაობდა ენათმეცნიერებაში, შეძლო დაეწერა ასეთი წიგნი“.

თ. ხ.: ეგ, ვგონებ, იმ მოგონებიდან არის, ბატონმა დევიმ არნოლდ ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში რომ გამოაქვეყნა.

გ. ბ.: დიახ, იქიდანაა.

თ. ხ.: შემდეგ როი მედვედევი გვიზიარებს იმ რადიოგადაცემიდან მიღებულ შთაბეჭდილებას: „... ჩვენ კარგად დავიმახსოვრეთ სგალინის სიტყვა იმის თაობაზე, რომ „მარმა ვერ შეძლო გამხდარიყო მარქსისტი და მხოლოდ მისი ვულგარიზატორი და გამამარტივებელი გახდა“. სიხარულით გადავხედეთ ერთმანეთს, როცა სგალინმა თქვა, რომ „მეცნიერებას არ შეუძლია იარსებოს დისკუსიის გარეშე, რომ ენათმეცნიერებაში არაკჩევის რეჟიმი იყო დამყარებული, რომელიც კულტივირებას უწევს უპასუხისმგებლობას და აქეზებს თავნებობას. ასეთი რეჟიმი უნდა განადგურდეს“.

ამაზე დისკუსია შეწყდა, თუმცა სგალინმა კიდევ ოთხჯერ გასცა პასუხი შეკითხვებს „პრავდის“ საშუალებით შემოსულ წერილებზე. მეშინინოვმა ყველა თავისი პოსტი დატოვა, ხოლო მისმა მოწაფეებმა ერთხმად, მონანიების შემდეგ სასწრაფოდ იწყეს გადამზადება „ამხ. სგალინის სწავლების შუქზე“. შესაძლებელი გახდა მასობრივი რეპრესიების თავიდან აცილება მეცნიერება-

ში, თუმცა ანგარიშსწორების მცდელობანი შემდეგშიც ხდებოდა. ენისა და ამროვნების ინსტიტუტის დირექტორი გახდა აკადემიკოსი ვ. ვინოგრადოვი. ისევ მეთაურობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას და ხელმძღვანელობდა ჟურნალს „ენათმეცნიერების საკითხები“. ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებში შევიდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინა „ენის სტალინური მოძღვრების შესახებ“. იგი შევიდა, აგრეთვე ყველა პარტიული განათლების სისტემის პროგრამებში და მას ყველაზე დამორებული სასოფლო კომიტეტებშიც კი სწავლობდნენ”.

ბატონო გენადი, როი მედვედევის ამ სტატიას ქვესათაურიც აქვს: „როგორ დანიგრა მარის მოძღვრების ბატონობა“... თქვენი კომენტარების მიხედვით კი, ხუმრობის გარეშე, ხომ არ აჯობებდა დაგვეწერა: „როგორ დაანგრის მარის მოძღვრება არნ. ჩიქობავამ და ი. სტალინმა“.

გ. ბ.: გახსოვთ, რა ბრძანა ბატონმა თამაზ გამყრელიძემ არნ. ჩიქობავას გარდაცვალების დღეებში? „არნ. ჩიქობავა ფაქტობრივი ინიციატორი და განმახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში. ამის შედეგად გახდა შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომლებსაც საბჭოთა და, კერძოდ, ქართულმა ენათმეცნიერებამ მიაღწია“.

ასე რომ, ბატონო თამაზ, თქვენი გამონათქვამი დასათაურების შესახებ მართებულია.

თ. ხ.: გმადლობთ, ბატონო გენადი. რადიომსმენელებს კი შევახსენებ, რომ ჩვენი დღევანდელი გადაცემა მთლიანად დაეთმო ცნობილი რუსი მეცნიერის ვრცელ წერილს „სტალინი და ენათმეცნიერება“, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ დაიბეჭდა გაზეთში „ნეზავისიმაია გაზეთა“.

სტუდიაში მოწვეული გვყავდა ენათმეცნიერი, ცხინვალის სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი გენადი ბურჭულაძე!

12. „ენათმეცნიერების დღესასწაული“

ბ-ნ არნოლდის სამუშაო ოთახში საწერ მაგიდას დიდი ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი დაჰყურებს – მისთვის მეცნიერული და მწეობრივი სის-
 ჟეგაკის ნიმუში.

არნ. ჩიქობავა ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი თაობის სტუდენტთაგანი ვახლდათ; იგი აქ ქუთაისის გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ მოვიდა. თბილისის უნივერსიტეტი კი ერთი სემესტრის განმავლობაში კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო. არნ. ჩიქობავა, რომელიც ღარიბი ოჯახიდან იყო, მაგერიალურ სივნიწროვეს განიცდიდა, თანაც სწავლის ფული იყო გადასახდელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში კი, პროფ. ს. ჯორბენაძის მიკვლევით, მრავალი განცხადებაა, სადაც მსმენელები ითხოვენ სწავლის ქირისაგან გათავისუფლებას, ოღონდ მათ შორის არაა თხოვნა არნ. ჩიქობავასი. არა და, მას ძალზე უჭირდა. სამაგიეროდ ამის შესახებ დაუწერიათ სხვებს და, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, იგი გაუთავისუფლებიათ ამ გადასახადისაგან.

1922 წელს არნ. ჩიქობავა ამთავრებს სახელმწიფო უნივერსიტეტს. მას და უნივერსიტეტის ოთხ სხვა კურსდამთავრებულს – შ. ამირანაშვილს, კ. ბაქრაძეს, ს. ჯანაშიასა და ვ. თოფურიას – ტოვებენ „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ (დღევანდელ ასპირანტად). ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ამ „ოქროს ხუთეულმა“ (როგორც მათ ა. შანიძემ უწოდა) საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერების აღმავლობასა და განვითარებაში.

არნ. ჩიქობავა პირველი ვახლდათ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან, ვინც საღოქტორო დისერტაცია დაიცვა. 1929 წელს მან საპაექროდ წარადგინა თავისი მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში“ (თბ., 1928).

ბ-ნ არნოლდის დისერტაციის დაცვის შესახებ მასალები მეცნიერის არქივში, ალბათ, იქნება, მაგრამ ამჟამად მკითხველს გვსურს ამ ისტორიული დღის პერიპეტეების შესახებ შევახსენო ცნობილი ისტორიკოსის აბელ კიკვაძის წერილის („მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე“) მიხედვით და შევამავრო იგი ერთი ფაქტით, რის შესახებ ბ-ნ არნოლდს ჩვენთვის უამბნია.

ბ-ნ არნოლდის ნაამბობიდან:

1928 წელს მისულან საენათმეცნიერო საზოგადოების შესამოწმებლად, ამ საზოგადოების მდივანი კი ბ-ნ არნოლდი ვახლდათ.

შეკითხვიან: რა დამოკიდებულებაშია ენათმეცნიერება მარქსიზმთანო.

ბ-ნ არნოლდის პასუხი კი ასეთი ყოფილა: ჩვენ ჯერჯერობით ენობრივი მასალის შეკრების სტადიაში ვართ, თეორიული ხასიათის განზოგადებანი კვლევის შემდგომი საფეხურია და, ამდენად, მარქსიზმი იმდენადაა ჩვენთან გამოსაყენებელი, როგორადაც, მაგალითად, მინერალოგიაშიო.

მარქსიზმის ასეთი „ინტერპრეტაცია“ შეუმჩნეველი, რა თქმა უნდა, არ დარჩებოდა და არც დარჩენიათ. მიუგანიათ იგი შემდგომ ინსტანციებში. ამიერკავკასიის ცაკ-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მთავრობის სხდომაზე საჯაროდ უთქვამს:

აი, ასე ბრძანებს საენათმეცნიერო საზოგადოების მდივანი და ეს იმიტ-

ომ, რომ აქაური ენათმეცნიერები გაურბიან ნიკო მარის მარქსისტულ მოძღვრებასო.

ეს მომხდარა არნოლდ ჩიქობაეას მიერ სადოქტორო დისერტაციის დაყვამდე რამდენიმე თვით ადრე.

ეს ამბავი, ჩანს, სკოლინათ ა. შანიძესა და ფ. გოგიჩაიშვილს; ეს უკანასკნელი მისულა ბ-ნ არნოლდთან და უთქვამს: დისერტაციის დაცვისას, თქვენ, ალბათ, თავს დაიცაეთო.

ამ დისერტაციის შესახებ კი ა. კიკეაძე ასე მოგვითხრობს:

„1929 წელს, მგონი აპრილში, სადოქტორო დისერტაციას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ იყავდა არნოლდ ჩიქობაეა. ჩვენს უნივერსიტეტში ეს იყო პირველი დისერტაცია ამ უნივერსიტეტში აღზრდილებიდან. ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი. არაოფიციალურად: შალვა ნუცუბიძე, მოსე გოგიბერიძე და ეარლამ თოფურია. კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. მარტო აკაკი შანიძემ საათზე მეტ ხანს ილაპარაკა, თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „ბატონო არნოლდ, დღევანდელი ჩვენი პაექრობა ენათმეცნიერების დღესასწაულია, რომელსაც მე განვიციდი ორგვარად „როგორც მეცნიერი და როგორც თქვენი მასწავლებელი“.

ოპონენტმა დიდად შეაქო დისერტანტი, მაგრამ შენიშვნებიც ბლომად წარმოადგინა. არ შემიძლია გვერდი აუუარო ერთ მომენტს, რომელიც დისერტანტის პასუხიდან მთავარ პუნქტად წარმოიძღვა:

– თქვენ მიმითითებთ ქვემდებარე-დამატების საკითხზე, თუ რა არ შევიტანე შრომაში. მაგრამ რაც შეტანილი მაქვს, განა ის დასაბუთებული არ არის?

– მართალია, დასაბუთებული გაქვთ.

– მას ჩვენ სადაო არაფერი გვექონია.

ასევე მოხდენილად, ბრწყინვალედ უპასუხა დისერტანტმა შ. ნუცუბიძეს, რომელიც გამოედავა მას ლოგიკურისა და გრამატიკულის დამოკიდებულების საკითხზე. ოპონენტი ალტაცებული იყო. ივანე ჯავახიშვილი თავიდან ბოლომდე ესწრებოდა პაექრობას და პირველმა მიულოცა არნოლდ ჩიქობაეას ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხი, რომელიც მას ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად მიანიჭა. ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო ენათმეცნიერების ზეიმი.

როცა ყველაფერი გათავდა, ხალხი წავიდა-წამოვიდა, ახლანდელი მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩემს გვერდით გაიარეს ალ. ჯანელიძემ და მ. გოგიბერიძემ, რომლებიც გაკვირვებას გამოთქვამდნენ, რომ დისერტაციის დაცვა ასე გაგრძელდაო (დაცვა, როგორც გადმოსცემენ, 9 საათს გაგრძელდებოდა – გ. ბ.). ევროპაში ეს როგორ შეიძლება მოხდესო. პატივცემულ მოსეს მალე დაავიწყდა, რომ დისერტაციის დაცვის გაგრძელების ერთ-ერთი მიზეზი თვით იყო, რომლის გამოსვლამ და დისერტაციის სამაგალითო პასუხმა საკმაო

დრო წაიღო. სწორედ მაშინ წარმოშიდა თვალწინ ივანე ჯავახიშვილი, რომ ის მეცნიერებისათვის დროს არ იშურებდა, რომ ის იყო მაგალითი მეცნიერებისადმი რაინდული სიყვარულისა“.

როგორ ჰგავდა ბ-ნი არნოლდი თავის მასწავლებელს, აკად. ივანე ჯავახიშვილს, ვისაც ახსოვს ბ-ნი არნოლდი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაციებზე... ვისაც ახსოვს ბ-ნი არნოლდი სამეცნიერო სესიებსა თუ სხდომებზე, თანაც სამეცნიერო სესია შეიძლება ყოფილიყო არა მარტო მისი კოლეგებისა, არამედ სტუდენტებისა თუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისა (თუმც სტუდენტს, ბ-ნი არნოლდი, უკვე კოლეგად მიიჩნეოდა)... ის ბოლომდე ესწრებოდა მათ, ისმენდა მოხსენებებსა თუ გამოსვლებს და შემდეგ აძლევდა შეფასებას, ხშირად კი მათი კვლევის მომავალ მიმართულე ბასაც განსაზღვრავდა...

ამიგომაც იყო, როგორც ამას იგონებს აკად. ა. აფაქიძე, რომ აკად. ს. ჯანაშია „... ჯერ კიდევ მაშინ, ნახევარი საუკუნის წინ, მიიჩნეოდა არნოლდ ჩიქობავას ივანე ჯავახიშვილად კავკასიურ ენათმეცნიერებაში... ჯავახიშვილად ედგა სათავეში არნოლდ ჩიქობავა ნახევარი საუკუნის მანძილზე იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას და არამარტო ამ დარგს“¹.

13. „...რედაქციის ტექნიკურ სქემებს ვერ მოერგო...“

1984 წელს გამოვიდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ მე-11 ტომი. იქ დაბეჭდილია ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა ამ ორგანოს დამაარსებლისა და მთავარი რედაქტორის არნოლდ ჩიქობავას ნარკვევი რუსულ ენაზე „ქართული ენა“ (გვ. 9-36).

სქოლიოში ავტორს ჩაუტანია: „სტატია დაწერილია „მსოფლიოს ენების“ (მოსკოვი) რედაქციის წინადადებით, მაგრამ რედაქციის ტექნიკურ სქემებს ვერ მოერგო. აქ იბეჭდება უცვლელად“.

„...რედაქციის ტექნიკურ სქემებს ვერ მოერგო...“, – ბატონი არნოლდის ერთი უიშვიათესი „გყუღია“ ... არადა, აქ ციტირებული სქოლიოს გარეშე სტატიის გამოქვეყნებისას მკითხველისათვის გაჭირდებოდა იმის განმარტება, თუ რატომ არ ბეჭდავს ავტორი ამას იქ, ვისი თხოვნითაც ის დაიწერა. ან: „მსოფლიო ენების“ რედაქციამ ხომ არ დაიწუნა არნოლდ ჩიქობავას წერილი, თუ მართლაც „... რედაქციის ტექნიკურ სქემებს ვერ მოერგო“? ისე კი, სინამდვილეში, ყოველივე ამის უკან ჩანს, ორი პრინციპული საკითხი იდგა. ამიგომაც ჯერ ამის თაობაზე:

1. გაბ. „იბერია-ექსპრესი“, 24-26 ოქტომბერი, 1998, გვ. 7.

ამ ორიოდ ათეული წლის წინ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევალა კრებულ „მსოფლიო ენების“ მომზადება და გამოცემა. ამისათვის ინსტიტუტში შეიქმნა ამ გამოცემის ჯგუფი აკადემიკოს ე. იარცევას ხელმძღვანელობით. ბუნებრივია, ასეთი სამუშაოს შესასრულებლად არა ჯგუფის, არამედ ერთი ინსტიტუტის ძალებიც არ იკმარებდა და ამიგომაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გამოიგანა დადგენილება, რომ ამ

კრებულის მომზადებაში მონაწილეობა მიეღო ყველა რესპუბლიკათა სათანადო კოლექტივებს; ივარაუდებოდა, რომ სტატიებს იმ ენათა შესახებ, რომლებიც მაშინდელ მოკავშირე რესპუბლიკებში იყო წარმოდგენილი, სათანადო რესპუბლიკათა ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკები დაწერდნენ. ბუნებრივია, „ქართული ენის“ დაწერა ეთხოვა არნოლდ ჩიქობავას. გამზადებული სტატია, „მსოფლიო ენების“ რედაქციის სქემით მომზადებული, ჩანს, დროულად გაეგზავნა რედაქციას.

მაგრამ 1982 წელს მოსკოვში გამომცემლობა „ნაუკამ“ აკადემიკოსი ბ. სერებრენიკოვის რედაქციით გამოსცა კრებული „მსოფლიო ენათა კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები (ნათესაობის პრობლემები)“, რომელშიც დაბეჭდილია კრებულის რედაქტორის გამოკვლევაც „ენათა გენეტიკური ნათესაობის ჰიპოთეზათა საკმარ საფუძვლიანობის პრობლემა“ სხვადასხვა ენათა ოჯახის მაგალითზე.

ბ. სერებრენიკოვი ერთგან წერს: ნ. მარის „სხვადასხვა ანტიმეცნიერული დასკვნების გასამაგრებლად იყენებდა ყბადაღებულ ოთხელემენგოვან ანალიზს. ასეთივე ანტიმეცნიერული მეთოდებით სარგებლობდა ივ. ჯაფახიშვილი, როცა ცდილობდა, დაესაბუთებინა ქართული და სხვა კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობა“.

ბ. სერებრენიკოვის გამონათქვამი ნ. მარის მიერ ოთხელემენგოვანი ანალიზის გამოყენების თაობაზე ეხება ნ. მარის თვალსაზრისის იბერიულ-კავკასიურ ენათა შიდა ნათესაობაზე. ეს კი, რა თქმა უნდა, ანაქრონიზმია, რადგან ნ. მარმა თავისი მართებული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ქართველურ ენათა მეცნიერული კვლევა შეუძლებელია „მთის ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე“ ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნა, როცა მისი კვლევის პრაქტიკაში ოთხელემენგოვანი ანალიზი არსად არ გვხვდება. ხოლო, როცა მან კვლევის მეთოდად პალეონტოლოგიური ანალიზი მოიმარჯვა, მაშინ საერთოდ უარყო ენათა გენეტიკური ნათესაობა.

ამავე სტატიაში ბ. სერებრენიკოვი ძალზე გაოცებულია იმით, რომ ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯაფახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიაში“ საუბარია იბერიულ-კავკასიურ ენათა გარენათესაობაზე: „40-იანი წლების ბოლოს საქართველოში სრულიად მოულოდნელად განაცხადეს, რომ ქართული ენა გენეტიკურად უკავშირდება არა მარტო კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფს, არამედ წინა ამიისა და სამხრეთ ევროპის ძველი ხალხ-

ების ბევრ ენას” და რომ ანალოგიური ფორმულირება არნოლდ ჩიქობავას ნაშრომებშიაო. „ესაა ახალი გაგება ნ. მარის ცნობილი ჰიპოთეზისა ე. წ. იაფეგურ ენათა თაობაზე” და ცოცხა ქვემოთ: „ნ. მარის მიხედვით, ძველი იაფეგიდები, რომელთაგანაც წარმოიშენენ თანამედროვე ქართველები, არიან მთელი ევროპული და წინააზიური კულტურის თავდაპირველი შემქმნელები”.

არნოლდ ჩიქობავა ბ. სერებრენიკოვისათვის „მოულოდნელ” პრობლემაზე ჯერ კიდევ 1955 წელს „ეოპროსი იაზიკოზნანიას” ფურცლებზე აღნიშნავდა: „ეს პრობლემა თბილისელ სპეციალისტებს არ წამოუყენებიათ, არც კავკასიოლოგებსა და თუგინდ ენათმეცნიერებს საერთოდ; პრობლემა ორიენტალისტების, ძველი წინააზიის ისტორიის სპეციალისტებმა დასვეს.

დაახლოებით 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ორიენტალისტმა ფ. პომელმა წამოაყენა დებულება ალაროიდიულ ენათა ოჯახის შესახებ; ამ ოჯახში იგი აერთიანებდა წინა აზიისა და ხმელთაშუამდღისპირეთის ენებს და აღნიშნავდა მათ გენეგურ კავშირს კავკასიურ ენებთან, რომელთაც იგი მიიჩნევდა ალაროიდიულ ოჯახის ცოცხალ წარმომადგენლებად”.

ამკარაა, პრობლემა, რომლის სათავეს ბ. სერებრენიკოვი ქართველ ნ. მართან ეძიებს, მეცნიერებაში ბევრად უფრო ადრე ყოფილა დასმული.

ბ. სერებრენიკოვისა და ზოგი სხვა რუსი მეცნიერის ამგვარ შეცდომებსა თუ უზუსტობებზე ენეთმეცნიერების ინსტიტუტის ღია პარტიულ კრებას 1983 წელს მოეახსენეთ; გაეამზადეთ სათანადო წერილი „ლიტერატურულ საქართველოში” გამოსაქვეყნებლად, შეგვიპირდნენ გამოქვეყნებას, მაგრამ, ჩანს, ზემდგომი საღირეპტივო ორგანოების მითითებით, დანაპირები ვერ შეასრულეს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სათანადო განყოფილება მოგვთხოვა მასალები მოსკოვში გასაგზავნად... მივაწოდეთ... ამ მასალის საფუძველზე დაეწერეთ კიდევ „Письмо в редакцию”, რომელსამე სამეცნიერო ორგანოში დასაბეჭდად, მაგრამ, როგორც კი გავიგეთ ამ საკითხებზე სპეციალურ წერილს ამზადებდა პროფ. თ. შარაპენიძე, გამზადებული მასალები და ორივე წერილი ბატონ არნოლდს ვაჩვენეთ... მათი გამოქვეყნების საკითხი კი არ დაგვისვამს... ბატონი არნოლდი გაეცნო მასალებს, წაიკითხა ორივე წერილი; ჩანს, მათ მიმართ დადებითად განეწყო, რამდენიმე შენიშვნაც მოგვცა და სწორედ მაშინ გადმოგვცა იმ წერილის ასლი, რომელიც მას გაეგზავნა „მსოფლიო ენების” ჯგუფის ხელმძღვანელისათვის (როცა ბატონი არნოლდი გაეცნო ბ. სერებრენიკოვის სტატიას, პროტესტის ნიშნად ჯერ დეკემბა გაეგზავნა თავისი სტატიის უკან დასაბრუნებლად, ხოლო შემდეგ პირადი ბარათიც აახლა აკადემიკოს ვ. იარცევას).

აი, ამ ბარათის სრული ტექსტი:

„მსოფლიოს ენების” ჯგუფის ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ვ. იარცევას

ღრმად პატივცემულო ვიქტორია ნიკოლოზის ასულო!

ბ. სერებრენიკოვის შესავალი წერილის გაცნობის საშუალება მე მომეცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე გამოგზავნილი მქონდა „მსოფლიოს ენებისათვის“ ჩემი სტატია „ქართული ენა“.

თუ ვერწმუნებით ბ. სერებრენიკოვს, იაფეგურ ენათა ნათესაობას ნ. მარი ადგენდა ოთხელემენგოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის გზით და რომ ასეთივე არამეცნიერული მეთოდებით სარგებლობდა ი. ჯაეახიშვილი, როცა ცდილობდა ქართული და სხვა კავკასიური ენების გენეგური ნათესაობის დასაბუთებას („კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები“, 1982, გვ. 17).

ნ. მარი – პალეონტოლოგი, როგორც ცნობილია, საერთოდ არ ცნობდა ენათა გენეგურ ნათესაობას და, ბუნებრივია, არც ცდილობდა იაფეგურ ენათა ნათესაობა დაემტკიცებინა ოთხელემენგოვანი ანალიზის საშუალებით.

ივ. ჯაეახიშვილი „ასეთივე არაენათმეცნიერული მეთოდებით“ – ე. ი. ნ. მარის ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის მეთოდით – არასოდეს მუშაობდა.

ბ. სერებრენიკოვის მსჯელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, ღრმად ტენდენციურია.

ასეთ პირობებში თანამშრომლობის საკითხი იხსნება, ამიგომაც გთხოვეთ ჩემი სტატიის უკან დაბრუნება.

პატივისცემით, არნ. ჩიქობავა (6. III. 1983)."

ეს წერილი სათანადო მოკლე კომენტარითა და სათაურით „დამიბრუნეთ პროტესტის ნიშნად!“ გამოვაქვეყნეთ კიდევ გამეთ „ბურჯი ეროვნებისას“ ფურცლებზე 1995 წელს. ოღონდ მაშინ, ჯერ კიდევ არ გვექონდა შენიშნული უშუალო კავშირი ამ წერილსა და ბატონი არნოლდის „წელიწდეულში“ გამოქვეყნებულ სტატიას შორის.

ბატონ არნოლდს ჩვენთვის არც მაშინ და არც შემდეგ ამის თაობაზე არა უთქვამს რა, იმ დროს, ალბათ, ასე სჯობდა... ბატონმა არნოლდმა ამით „წელიწდეულს“ ააყილა ის პოლიტიკური კონფუზი, რაც შეიძლება მოჰყოლოდა „ქართული ენის“ გამოქვეყნებას, თუ იმ სქოლიოს არ აახლებდა სტატიას და სიმართლეს იტყოდა.

ბატონი არნოლდის ზემოთ აღნიშნული „ტყუილი“ სიმართლის შენიღბვის მშვენიერი ნიმუში აღმოჩნდა!

14. მინაწერები წიგნის გარეკანზე

გასულ წელს, 20 ნოემბერს, ქ. გორში გაიმართა ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნის, პროფესორ სოლომონ ხუციშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო გაიმართა ქ. გორის ს. ხუციშვილის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მასში სხეებთან ერთად მონაწილეობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, პროფესორი გენადი ბურჭულაძე, რომლის გამოსვლის ტექსტსაც ვთავაზობთ „ლიტერატურული ცხინვალის“ მკითხველებს.

ახლახანს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 100 წელი ქართველმა საზოგადოებამ სათანადოდ აღნიშნა. საიუბილეო საღამო ოპერისა და ბალეტის თეატრში ქვეყნის პრეზიდენტს მიჰყავდა. ეს ღირსეშანიშნავი დღე ქართული მეცნიერებისა იუნესკოს ეგიდით გარდებოდა. ბ-ნი არნოლდი მარტის თვეში გახლდათ დაბადებული, ბ-ნი სოლომონი კი იანვარში (ძველი სტილით); წელს შეუსრულდა მას დაბადებიდან 90 წელი. და, აი, დღეს როცა აღვნიშნავთ ამ დღეს მის მშობლიურ ქალაქში, გორში, მისი სახელობის საზოგადოების ინიციატივით რომ გარდება მისსავე სახელობის ბიბლიოთეკაში, ეს ორი დღე – ბ-ნ არნოლდისა და ბ-ნი სოლომონის დაბადების დღეები – ერთმანეთს გადაეჯახვა ჩემს მეხსიერებაში. აი, ამაზე მსურს მოგიხსროთ.

1968 წლის 14 ივნისს ბ-ნ არნოლდს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 70 წლის იუბილე გადაუხადეს. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. მე ამ საღამოს ვესწრებოდი, შემომრჩა მოსაწვევე ბარათიც, რომელშიც მოხსენებები და მომხსენებლებიცაა ჩამოთვლილი. სხვა კი თითქოს მიეცა დავიწყებას... მხოლოდ მოგიერთი მომენტი შემომრჩა, ისიც ფრაგმენტულად. ეს მამინ, როცა, ჩვეულებისამებრ, ვიციოდი ხოლმე ჩემთვის ჩანიშნენა... ეს დღე კი რატომღაც არ ჩამინიშნავს – არ ჩამიწერია, ვინ გვესტუმრა, ვინ რა თქვა იმ დღეს და სხვა.

და აი, ამ ორიოდე წლის წინ ბ-ნმა სოლომონის ოჯახმა, მისმა ქალიშვილებმა ქნებმა ნანულიმ და მშიულამ ცხინვალის დეენილ ინსტიტუტს ქ. გორში მამის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი საჩუქრად გადმოსცეს. ჩვენი საინსტიტუტო ბიბლიოთეკა ფაქტობრივად ამ წიგნების ჩართვით იწყებს ფუნქციონირებას, სადაც ბ-ნ სოლომონის ფონდს საპატიო ადგილი უჭირავს. ბუნებრივია, წიგნადი ფონდის აღწერისას ბიბლიოთეკის მუშაკების ყურადღება მიიქცია ერთი წიგნის გარეკანზე მეცნიერის ჩანაწერებმა. მაჩვენეს...

ეთხოვე, ჩემთვის ეთხოვებიანთ – ეს წიგნი გახლავთ თ. შარაშენიძის „არნოლდ ჩიქობავა“, საიუბილეო დღეებში რომ გამოვიდა და ბ-ნ სოლომონმა ის, ალბათ, იმ დღესვე შეიძინა.

წიგნის საცნობარო გვერდებსა და გარეკანზე ბ-ნ სოლომონს, ჩანს, გამოწველილვით, ჯერ აღუწერია მთელი საიუბილეო საღამო, ჩამოთვლილია მომხსენებლები (თ. შარაშენიძე, ი. გიგინეიშვილი, ი. ცერცვაძე, ა. ბოჭორიშვილი, ქ. ლომთათიძე), ხოლო შემდეგ სტუმრები და მომლოცველები: რ. მარგიანი – მწერალთა კავშირიდან, ა. გულისაშვილი – პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, გ. მელიქიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან, გ. ლოლიძე – უმაღლესი განათლების სამინისტროდან, ს. ჯორბენაძე – უნივერსიტეტიდან, ი. დეშერიევი – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან, დ. სტურუა – საქართველოს ეკ მდივანი (აქ ბ-ნი სოლომონი მიუთითებს, რომ ბ-ნ დევი გამოსულა მოგონებით, თუ როგორ მიიღო არნ. ჩიქობავასაგან მან, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტმა, ინგერვიუ ქ. მოსკოვში), მ. მირიანაშვილი – მოსკოვის უნივერსიტეტის გამოყენებითი და სტრუქტურული ენათმეცნიერების კათედრის ადრესი, დ. ჯაგარხანიანი – ერევნის უნივერსიტეტიდან (მიწერილია: რუსთაველის კაბინეტიდან – რუსთაველის შემდეგ გადაშლილია), პ. მურადიანი – სომხეთის აკადემიიდან, ხაჯიალი დანიალოვი – დაღესტნიდან, რ. გაიდაროვი – დაღესტნის უნივერსიტეტიდან, აბუ შარდანოვი და პეტრე ბალოვი – ყაბარღო-ბალყარეთიდან, აფთი თიმაევი – ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან, ხ. დაუროვი და ი. თხარკახო – ადიღეიდან. ბოლოსაა მინაწერი: ყარაჩაელები – подарок с нильшим подаритом... ეს, მახსოვს, დიდი სურა იყო.

მომხსენებელთა ჩამოთვლის შემდეგ ბ-ნ სოლომონს მიუწერია: „თვით იუბილარი – მოკლე, მეცნიერული, ლოგიკური მოხსენებით“.

შემდეგ ბ-ნი არნოლდის მოხსენებიდან, ჩანს, ის ადგილებია მოყვანილი, ბ-ნ სოლომონს ჩანიშვნის ღირსად რომ უყვინია. მე მოვიყვან მათ – ზოგჯერ ჩვენეული კომენტარით.

არნ. ჩიქობავა: „სპეციალისტი წარმავალია, მეცნიერება – წარუვალი. რაც რჩება მეცნიერებაში, ესაა მისი ნაშრომი. ამისათვის არსებითია, მეცნიერს თუ აქვს მუშაობის შესაძლებლობა. სწორედ ეს დადგა კითხვის ქვეშ 30-იანი წლების დასაწყისში. ან თქვენ გაიზიარებთ ამ თვალსაზრისს, ან გადაჩეხილი იქნებით უფსკრულში, – მაშინ ითქვა. ეს ითქვა ამ შენობაში ნ. მარის მიერ. მე არ ვყოფილვარ ნ. მარის მოწინააღმდეგე, მე ვიყავი მოწინააღმდეგე მარის შეხედულებისა“.

აქ მახსენდება ბ-ნი არნოლდის მონათხრობი, რომელსაც ვიწერდი ხოლმე: „1933 წელს უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს გამოუგანია გადაწყვეტილება არნოლდ ჩიქობავას სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე... ამ პერიოდში გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულა ვინმე ალბოროვის ვრცელი სტატია (მას გაზეთის მთელი სარდაფი ეჭირაო, – დასძინა ბ-ნმა

არნოლდმა), რომელშიც ნ. მარის მოძღვრება მიჩნეული ყოფილა მარქსისტულად. ამ სტატიის გამო გამართულ კამათში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში სამ დღეს გრძელდებოდა და დისკუსიის ხასიათს ატარებდა, გამოსულან არნ. ჩიქობავას წინააღმდეგ მისთვის ასეთი დემაგოგიური კითხვა დაუსვამთ:

მამ, „პრაედა“ არ წერს სიმართლეს?

არნ. ჩიქობავას პასუხი კი ასეთი ყოფილა: „საერთოდ „პრაედა“ სიმართლეს წერს, მაგრამ ნ. მარის ის შეცდომები, რომლებიც მასა აქვს, მიუღებელია და, ამდენად, ალბოროვი არ წერს სიმართლეს“.

ბ-ნ სოლომონი განაგრძობს არნ. ჩიქობავას მოხსენების ჩაწერას:

„ეს შეხედულებანი სავალდებულო იყო. ნ. მარის ფასეული, ნაღვაწი გაგებული მაქვს“.

აქვე მინდა გავიხსენო ბ-ნი არნოლდის მიერ ლექციებზე თქმული: „ნ. მარის მიერ დაარსებულ სერიაში „ტექსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“ ძველი ქართული ენის ძეგლთა გამოცემა იმდენად მაღალ დონეზე დგას, რომ ერთი მეცნიერის სასიცოცხლო საქმედ ის იკმარებდა, რაც ამ მხრივ ნ. მარმა ამ სერიაში გამოაქვეყნაო“ ან კიდევ არნ. ჩიქობავას წიგნში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“ დაწერილი: „იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შესახებ“ და სხვ.

კვლავ მივუბრუნდეთ ბ-ნი სოლომონის ჩანაწერს:

ბ-ნ არნოლდს უბრძანებია: „სპეციალისტი შეიძლება შეცდეს, მაგრამ არ უნდა თქვას მეცნიერებაში გყუილი...“ აქ ბ-ნ სოლომონის მრავალწერტილია.

გავაგრძელებთ არნ. ჩიქობავას სიტყვებით: „მეცნიერული ძიება არ გამოორიყხავს შეცდომებს, მხოლოდ ის არ ცდება, ვინც არაფერს არ ეძიებს... საწყენია, როდესაც სპეციალისტს მოუვა მარცხი კვლევა-ძიების დროს (მაგრამ ეს არ არის სამარცხენო; სამარცხენოა მეცნიერებაში სიცრუე)“.

ეს მშვენიერად ეხმაურება კიბერნეტიკის მამამთავრის, ნორბერტ ვინერის ანალოგიურ გამონათქვამს: „საქციელი კაცისა, რომელიც მოწოდებულია ჭეშმარიტების დასადგენად, მაგრამ დალაგობს მას, ჰგავს იმ ოფიცრის დანაშაულს, რომელმაც თავისი ნაწილი ბრძოლის ველზე მიაგოვა და, თუ სამხედრო წესების დარღვევა კანონით მკაცრად ისჯება, სიმართლის მოდალაგე მეცნიერს შეუძლია თავისუფლად და უშფოთვლად ისეირნოს ქუჩებში, სწორედ იმიტომ მისი დალაგა დემერტირის დალაგზე უარესია: ასეთი მეცნიერი იმსახურებს სულ ცოგა იმ სირცხვილსა და სახელის გაგებვას, რაც ღირსებააყრილი ოფიცრის ხვედრია“.

ბ-ნი სოლომონის ჩიქობავასეული მოხსენების ჩანაწერი გრძელდება:

„ი. ჯავახიშვილი მარტო ისტორიკოსი კი არ იყო, არამედ ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა მამამთავარია”.

მართლაც, ბ-ნი ივანე არნ. ჩიქობავასთან ერთად გახლდათ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებელი – ეს ითქვა ბ-ნი არნოლდის საიუბილეო ღღეებში.

ბ-ნ სოლომონს ჩაუწერია არნ. ჩიქობავას თქმული: „პირადად მე შეიძლებოდა უნივერსიტეტის გარედაც დაერჩენილიყავიო...”

ფიქრობთ, აქ გასახსენებელია ერთი ფაქტი: თბილისის უნივერსიტეტი თავდაპირველად, ერთი სემესტრის განმავლობაში, კერძო უმაღლესი სასწავლებელი გახლდათ. არნოლდ ჩიქობავა მაგერიალურ სივიწროვეს განიცდიდა, თანაც სწავლის ფული იყო გადასახდელი... უნივერსიტეტის არქივში ბევრია განცხადება, სადაც მსმენელები ითხოვენ ქირისაგან გათავისუფლებას, მაგრამ არაა განცხადება არნ. ჩიქობავასი. ს. ჯორბენაძის თქმით, იგი ი. ჯავახიშვილის წინადადებით გაუთავისუფლებიათ ამ გადასახადისაგან.

ბ-ნ არნოლდს გაუგრძელებია: „ეს უნივერსიტეტი რომ არ ყოფილიყო, ბევრი დარჩებოდა უმაღლესი განათლების გარეშე... ი. ჯავახიშვილთან არის დაკავშირებული ქართული მეცნიერების აღმავლობა... უნივერსიტეტის გამეთ-ში იყო აღწერილი (ი. ყიფშიძეს ნაკლებ იცნობენ, იგი მალე გამოესალმა სიციცხლეს)... საბარგო მანქანა შემოვიდა ეზოში (უნივერსიტეტის) და შემოსასეულელთან დადგა. მანქანაზე ეწყო წიგნები. მანქანაზე იჯდა... (ი. ყიფშიძე)... შალის თეთრი წინდა უჩანდა. ახლა სტუდენტი ითაკილებდა საბარგო მანქანაზე ჯდომას. მამინ ეს კეთდებოდა...”

აქ წყდება ბ-ნ სოლომონის ჩანაწერი... ოღონდ მიწერილი აქვს (ეს მეც სხვა დროს მომისმენია; არნ. ჩიქობავა ხშირად იხსენებდა): ვარლამ ლეკავა, რომელმაც ის მოიყვანა ქუთაისის გიმნაზიაში... ღომენტი ოყროშიძე – სათნო პედაგოგი, მსურველებს საქართველოს ისტორიას გვასწავლიდა... სამსონ ყიფიანი...

ბ-ნ სოლომონს ისიც აღუნიშნავს, რომ ბ-ნ არნოლდის მამას მარჩენალი ხარი გაუყიდა და შვილის სწავლის ფული ასე შეუგროვებია.

ბ-ნ სოლომონს წიგნის გარეკანი მთლიანად გამოუყენებია; ჩანს, როცა ადგილი არ დარჩა თავისი მთაბეჭდილებების ჩასაწერად, წიგნის ის გვერდიც გამოუყენებია, სადაც თ. შარაძენიძეს წიგნში „შემოკლებანი“ აქვს... აი, ამის ქვეშაა მიწერილი: მაღლობა ღომენტი ოყროშიძეს – სიმონ ქვარიანს... მოვალეობა ხალხს... (აქ ვერ ამოვიკითხეთ – გ. ბ.)... შემდეგ კი ბ-ნ სოლომონს უწერია:

„არა, ღღევანდელმა სადამომ დაადასტურა, რომ, ვისაც სხვისი ენის პატივისცემა არ შეუძლია, იგი საკუთარს ვერ შეიყვარებს”.

ბ-ნი სოლომონი აქ ჭეშმარიტებას ბრძანებს და მახსენდება არნ. ჩიქობავას მიერ თქმული: „ბუნებრივია, რომ ყველა ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს ღღაენა. ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებო-

დეთ: „სხვისი ენა“ აკი ვილაცასთვის დედაენაა“.

ბ-ნი სოლომონის მიერ წინა პლანზე „სხვისი ენის პატივისცემის“ წამოწვევას ის საიუბილეო სადამო მისცემდა სტიმულს... ბ-ნი სოლომონის ჩამონათვალადან მთელი კავკასია იყო წარმოდგენილი... ამან ათქმევინა, ალბათ, ჩვენს პრეზიდენტს, რომ „არნოლდ ჩიქობავამ „დაიპყრო კავკასია ომებისა და შეტაკებების გარეშე““.

მართლაც, ბ-ნი არნოლდმა „დაიპყრო კავკასია“... კავკასია კი დაუპყროთ სხვებსაც სხვადასხვა დროს მთლიანად თუ ნაწილობრივ... იარაღითა და ისლამით... ოღონდ, ბ-ნი არნოლდმა ეს მოახერხა თავისი დიდი ინტელექტის, შესაშური შრომისმოყვარეობითა და წინასწარჩაფიქრებული ვრცელი გეგმის განხორციელებით. ამით მან კვლავ ჩვენსკენ მომართა ინტელექტუალური კავკასიის ყურადღება. მათ იწამეს ჩვენი და ამაშია ბ-ნი არნოლდის მოღვაწეობის უდიდესი ძალაცა და დამსახურებაც. კავკასიამ აღიარა მისი დიდი დამსახურება: იგი ერთადერთია და პირველიც, ვისაც სხვადასხვა დროს მიენიჭა საქართველოს (1946), დალესგინის (1968), ყაბარდო-ბალყარეთის (1968), აუხაზეთისა (1978) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის (1983) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებანი.

მე მაპატიოს ბ-ნი სოლომონის ნათელმა სულმა, რომ მისი დაბადებიდან 90 წლის თავზე ჩვენს საერთო მასწავლებელზე გამომივიდა მეტი საუბარი, ვიდრე თვით მასზე. გამიგეთ, ალბათ, ამისკენ თვით ბ-ნი სოლომონის ჩანაწერებმა მიბიძგეს... მისმა ჩანაწერებმა თუ წარწერებმა ახალნაყიდი წიგნის გარეკანზე. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული მომანიჭა ამ ჩანაწერების ხილვამ, რამდენი ინფორმაცია... რამდენი ცნობა შემოგვინახა იმ დღეზე... ბ-ნი არნოლდის იმ საიუბილეო სადამოზე ბ-ნი სოლომონი 60 წლისა გახლდათ, უკვე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

ამის შესახებ, ალბათ, უპირიანი იყო, არნ. ჩიქობავას საიუბილეო დღეებში მეთქვა, მაგრამ სადღეისოდ შემოვინახე.

ბ-ნი სოლომონი ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის ისტორიკოსი გახლდათ, მაგრამ ვის გაუყვია ენისა და ლიტერატურის სამსახური ერთმანეთისაგან... ორივე თავის ერსა და ენას ემსახურება უპირველესად... მე ვჭვიაკ კი არ მეპარება, რომ ეს ჩანაწერი ბ-ნი სოლომონმა თავისთვის გააკეთა, მის სულთან შემხვედრი ეპიზოდები მოინიშნა მოხსენებიდან – დღეს ეს კი ნამდვილი ისტორიაა, არა ლიტერატურისა, არამედ ენათმეცნიერებისა.

მე, მისი ყოფილი სტუდენტი, თავს ვიხრი ბ-ნი სოლომონის ხსოვნის წინაშე და ახლა მადლობას ვწირავ, როგორც ერთი რიგითი ენათმეცნიერი ამ მშვენიერი ნობათისათვის, წიგნის გარეკანზე მინაწერების სახით რომ შემოგვინახა.

მართალია, ძნელია ჩემთვის შეველიო ამ წიგნს, მაგრამ ეფიქრობ, მისი ადგილი მაინც არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმშია, რასაც გავაკეთებ, თუ,

რასაკვირველია, ბ-ნი სოლომონის ქალიშვილების თანხმობაც იქნება!

15. ასე ზრუნავდნენ...

1. ხელთა გვაქეს არნ. ჩიქობავას ერთი ხელნაწერი ბარათის ქსეროას-ლი. ამ ბარათით მიუმართავეს ბ-ნ არნოლდს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტ ბ-ნ ე. ხარაძისათვის. პირად ბარათში ორ საკითხზეა საუბარი:

ა) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ (ამჟამად დოქტორს – გ. ბ.) ნ. სტურუას პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია ბასკურ ენაზე სამუშაოდ (მიწვევა ი. ბრაუნისა ჩანსო, – დასძენს არნ. ჩიქობავა) იწვევდა... მოსკოვს გაიგზავნა სათანადო დოკუმენტაცია... შედეგი კი არ ჩანდა.

...ჩაიშალოს „...ორი აკადემიის თანამშრომლობა... რა (ვინ) აბრკოლებს?“, სვამდა კითხვას არნ. ჩიქობავა.

ბ) მოარული ხმები დადიოდა, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა თავისი შენობა უნდა გაათავისუფლოს და სანაცვლოდ ქიმიის ინსტიტუტის შენობას სთავაზობენ. ბ-ნმა არნოლდის ბარათმა, ჩანს, იმოქმედა; ამის შემდეგ ამ წინადადებით, რამდენადაც მახსოვს, არ მოუმართავთ.

ქვემოთ სწორედ მოგვყავს ამ ბარათის სრული ტექსტი (ხაზგასმა ყველგან არნ. ჩიქობავასეულია – გ. ბ.). ბოლოსაა მისი დაწერის თარიღი, რომელიც კარგად არ ჩანს – 06.V.1980 უნდა იყოს:

„დიდად პატივცემულო ბ. ევგენი!

ამ პირადი წერილით გაწუხებთ ორი საკითხის გამო.

1. ფილოლ. მეცნ. კანდ. ნათელა სტურუას კარგა ხანია მოუვიდა მოწვევა პოლონეთის მეცნ. აკადემიისაგან. ბასკურზე საერთო მუშაობას სთავაზობდნენ ამ ზაფხულის თვეებში. ხარჯებს კისრულობდა პოლონეთის აკადემია (ინიციატივა პროფ. იან ბრაუნისა ჩანდა).

მოსკოვში მაშინვე გაიგზავნა ჩვენი პრეზიდენტის შუამდგომლობა. პასუხი არა ჩანს.

მიგვიწვიეს – ხარჯებს კისრულობენ. ვერ მივედივართ. ბრალია ჩაიშალოს ორი აკადემიის თანამშრომლობა (ასეთი თანამშრომლობა სასურველად არის ცნობილი ოფიციალურად). რა (ვინ?) აბრკოლებს.

2. ქიმიის ინსტიტუტის შენობაში გადასვლა ენათმეცნიერების ინსტიტუტისა, როგორც ჩანს, სასურველი არაა: ქართული ენის პრესტიჟს უკაუშირებენ (აკადემიისაგან შორს მდგომი პირებიც). უმჯობესია ახლანდელი ვითარებაც კი, ვინემ უნივერსალის მეზობლობა + გაუგებრობა (რემონტიც საკმაო დროს დაისაჭიროებს), დალოდება ჯობს, ერთი სიტყვით მხოლოდ ტექნიკური საკითხი არაა. **„პატივისცემით არნ. ჩიქობავა“.**

2. ახლა არნ. ჩიქობავას მცირე წერილი-დავალების შესახებ, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებისათვისაა განკუთვნილი – ესაა ბ-ნი არნოლდის მიერ შედგენილი ერთ-ერთი დავალების დედანი ლათინურ ენაში.

ვინა და ბატონმა არნოლდმა ძალიან კარგად უწყობდა ლათინური ენის მნიშვნელობა სხვა ევროპული ენების შესწავლის საქმეში. იმ დროს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება ივსება ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებით... მათ რამდენიმე „ძველგაზრდას“ დახვდა და, აი, ბ-ნმა არნოლდმა თვით იკისრა ლათინურის სწავლება (სხვათა შორის, ამ მეცადინეობებს ძველი თაობის ენათმეცნიერებიც ესწრებოდნენ), სამწუხაროდ, ეს დიდი ენთუზიაზმით დაწყებული საქმე შემდეგ შეჩერდა...

ერთ-ერთ მეცადინეობაზე ბ-ნი არნოლდი, ჩანს, ვერ მობრძანდებოდა და, სემინარული მუშაობა რომ არ გაგვედენოდა, ჯგუფისათვის სავარჯიშო-დავლება შეედგინა... თან გამოგვაგანა... აქ ჯერ ლათინურადაა რამდენიმე მოკლე ფრაზა მოყვანილი, შემდეგ ამ ფრაზათა გრამატიკული ანალიზია (გაანალიზებულია სრულმნიშვნელოვანი თუ დამხმარე სიტყვები). **ორიოდე ნიმუში:**

in – ში: სად? abl. in una „в кувшине“.

საითკენ? куда? (ქართ. „დოქი“) accus. in unam „в кувшин“ (ქართ. „დოქი“).
 ჰვერტე „გადაბრუნება“, „перевернуть“ (ფრჩხილებშია, é-vert „вертеть“)
 და ა. შ.

ფურცლის გასწვრივ მინაწერია: შეადგინეთ „ამავე სიტყვებიდან სხვადასხვა ფრაზა და ფრაზის ვარიანტები: ორ-, სამ- სიტყვიანი...“ (სულ 10-15).

ამ დავალება-სავარჯიშოს შედგენის თარიღიცაა აქვს მიწერილი: 7.II.1982.

P. S. ამ ბარათმა გაგვახსენა ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში წინათ არსებული კარგი გრადიცია. ძველად აქ მეცნიერ-მუშაკთა უცხო ენებში გასაწვრთნელად სათანადო სპეციალისტებს იწვევდნენ ხოლმე... ახლა რომ უმეტეს შემთხვევაში ასე ვერ იქნება, სათანადო ინსტიტუტების მწირი ბიუჯეტიც ცხადყოფს... ამ ვითარებაში არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღირექიის გადაწყვეტილება – გააგრძელოს უფროსი თაობის ეს გრადიცია, მისასალმებელია: ინსტიტუტს ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთათვის გამოუნახავს სახსრები უცხო ენათა უკეთ და-

საუფლებლად (ამეამად, ეგონებ, ინგლისურ ენაში).

ეს სხვა დროს არ გაუკვირდებოდა კაცს, რომ არა მეცნიერ-თანამშრომელთა დღევანდელი გაუსაძლისი ყოფა. დღეს უცხო ენები რომ შეისწავლოს კაცმა – ეს მეცნიერ-მუშაკისათვის დიდი ფუფუნება იქნება.

ხშირად გვახსენდება ბ-ნი არნოლდის თქმული: ძველად ახალხარისხ-დაცულს ჯილდოდ სამღვარვარეთ უშვებდნენ უცხოურ ენებში გასაწვრთნელად და სათანადო საპეციალური ლიტერატურის გასაყნობად... ახლა კი რუსულიც ვახდა სანატრელიო... სამწუხაროდ, ბ-ნი არნოლდის გამონათქვამი დღევანდელ დღეს უფრო შეეფერება და ამ კონტექსტში ღირეუქიის გადაწყვეტილება მეტად დროული და ფრიალ იმედის მომცემია¹.

16. ასე იწყებოდა...

(არნ. ჩიქობავა და პირველი რეგიონალური სამეცნიერო სესია)

1. დღეს ასე ცნობილ იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილი I რეგიონალური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თემისეუბის გარეკანზე ეწერა: ჩრდილო-კავკასიის იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიულ შესწავლას ეძღვნება ეს სესიაო; მის ინიციატორებად კი ჩამოთვლილია: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ჰ. წადასას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვისა და კოორდინაციის ჩრდილო-კავკასიის საბჭო. არა ჩანს ჩვენი ინსტიტუტის დასახელება, არადა, მისი წარმმართველი როლი თავიდანვე გამოიკვეთა.

სამეცნიერო სესია ჩატარდა 1965 წლის 14-17 ივნისს; იგი ითვალისწინებდა 25 მოხსენების მოსმენას, მაგრამ რამდენიმე მომხსენებელი არ ჩამობრძანებულა (მაგ., გ. კლიმოვი, ვლ. ფანჩიძე...).

2. შემდეგი რეგიონალური სამეცნიერო სესიიდან, რომელსაც თბილისი მასპინძლობდა, თემისებს მხოლოდ იმ მასპინძელი რეგიონის დასახელება აწერია, სადაც ესა თუ ის სესია გარდებოდა. რადგანაც გადაწყდა სესიების ათვლა მაჰაჩყალიდან დაწყებულიყო, თბილისის სამეცნიერო სესია რიგით მეორე აღმოჩნდა, მაჰაჩყალისა – პირველი (თუმცა იქაურ თემისებს ეს არ აწერია). მაჰაჩყალაშივე გადაწყდა სესიათა ჩატარება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის სხვადასხვა სამეც-

1. არნოლდ ჩიქობავას საკითხაუბი, XII, მასალები, 2001, გვ. 27-29.

ნიერო ცენტრში; შეიქმნა რეგიონალურ სამეცნიერო სესიათა ჩატარების მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი არნ. ჩიქობავას თავმჯდომარეობით.

3. სესიის პირველსავე სხდომაზე არნ. ჩიქობავამ პირველმა წაიკითხა მოხსენება „იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა“, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა ამ სესიის „მასალებში“. მესსიერებაში შემოგერჩა რამდენიმე ეპიზოდი ამ სესიისა.

ამ სესიაზე თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ცნობილმა არქეოლოგმა აკად. ე. კრუპნოვმა ბრძანა:

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხები ახლოს დგანან ინდოევროპული წარმომავლობის ხალხებთანო და დაიმოწმა ენობრივი მონაცემებიც: აი, ქართველურ და ინდოევროპულ ენათა ნათესაობის საკითხი ბოლო დროს მოსკოვში დასვეს თ. გამყრელ-იქემ და გ. მაჭავარიანმაო.

არნ. ჩიქობავამ ამ გამოსვლის შემდეგ აღნიშნა:

„ქართველურ ენათა კავშირი ინდოევროპულ ენებთან უთუოდ იყო. კარგად ჩანს ეს თუნდაც იქიდან, რომ პრეფიქსაცია იბერიულ-კავკასიურ ენებში შეეკელილა სუფიქსაციით, რის საჭიროებას ამ ენათა შინაგანი განვი-თარება არ ითხოვდაო“ და დასძინა:

„ისეთი ბრწყინვალე ოსტატი ეტიმოლოგიური ძიებისა, როგორიც იყო ფრ. ბოპი (იგი ინდოევროპულ და ქართველურ ენებს საერთო წარმომავ-ლობისად თელიდა – გ. ბ.) შეეცა, ხომ შეიძლება არაბოქებიც შეეცნენ“.

აკად. ე. კრუპნოვს კი მიმართა:

„აბრძანდით აულ ჭუნში (ხუნძთა აულია, სადაც 1941 წ. ხუნძური ენის დიალექტურ მასალებს იწერდა არნ. ჩიქობავა – გ. ბ.) და იქ ნახავთ, ანთროპოლოგიურად ახლოს დგას თუ არა ქართველური და დალესტური ტიპო“.

ამავე სესიის გამომსვლელთაგან მოგის დებულება თუ მოსამრება ჩაგვი-წერია „თემისების“ გარეკანზე თუ შიგ (სხვათა შორის, თითქოს თეთთონ „თემისებში“ ადგილია დატოვებული, სადაც შეიძლებოდა შენიშვნის ჩაწ-ერა). ორიოდ შემთხვევას აღენიშნავთ:

პროფ. ე. ბოკარევი (მოსკოვი): ლაკურში ქ, კ პალატალიზაციის ნიადაგ-ზე ა-ს წინ გადადის სათანადო ჩ, ჭ რიგშიო. აქ ხომ არ უნდა ვხედავდეთ ორი რიგის ა-ს: წინა რიგის ა-სთან ქ > ჩ, კ > ჭ პროცესი ხდებოდა, ხოლო სხვაგან არაო (მისი მოხსენება ლეზგიურის ხმოვანთა სისტემას ეხებოდა).

ჩვენ აქ ჩაგვიწერია შენიშვნის სახით: ა) ა-ს შესაძლოა ახლდა იოტაცია, ბ) ა-ს წინ თუ თანხმოვანი ლაბიალურია და, ალბათ, იმიგომ, გ) საჭიროა შევამოწმოთ მაგალითები...

საყურადღებო იყო პროფ. ბ. თალიბოვის გამონათქვამი (მოგეყავს ჩვენი ჩანაწერის მიხედვით): ლეზგიურ ენებში გაქვავებულ ვრ. კლასნიშნების გამოყ-ოფა გვაგონებს ნ. მარის ცნობილ ოთხელემენტოვან ანალიზს... ესეც ისე-

თივე ნებისმიერი.

აქვე დაესძინო, რომ შემდგომ გრ. კლასნიშნის გაქვეყნებასა თუ სხვა ანალოგიურ საკითხზე მას სამართლიანად არაერთხელ უბრძანებია (იხ., თუნდაც მისი მონაკვეთი „ზმნისა“ დალესტნელ მკვლევართა კოლექტიურ მონოგრაფიაში „დალესტნური ენების შედარებით-ისტორიული ლექსიკა“).

4. მაჰაჩყალის ამ სესიამ ნათლად წარმოაჩინა გზები კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა პირადი კონტაქტებისა, მისცა იმპულსი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებას, რისი ერთ-ერთი დასტური გახლდათ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ შექმნა და მისი თბილისში გამოცემა.

5. I სესიის დასასრულს, საბოლოო სიგყვაში, ბ-ნმა არნოლდმა ბრძანა: „მეცნიერება არაა მიკერძოებული, და თუ იგი ასეთი გახდება, წყევტს მეცნიერებად ყოფნას“... დარბაზში ტაში გაისმა.

1981 წ., როცა მახაჩყალამ მეორედ უმასპინძლა რეგიონალურ სესიას (ეს იყო საიუბილეოს წინა IX სესია), მისი დახურვისას მასპინძელთა მოთავემ, პროფ. ჰ. ჰამზათოვმა აღნიშნა:

ტრადიციულდა, ჩვენი სესიების მუშაობას აჯამებდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებელი, ამ სესიათა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე აკად. არნ. ჩიქობავა, მიეცეთ მას საბოლოო სიგყვა:

აქ გაისმა ბ-ნი არნოლდის იმ სიგყვის ჩანაწერი, რომელიც მან წარმოთქვა 1965 წელს მაჰაჩყალაში... სესია ფეხზე აღგომით შეეგება ამ სიგყვას... ბ-ნი არნოლდი, მართალია, ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ამ სესიას, მაგრამ მაღლიერმა დალესტნელმა კოლეგებმა ამ ქესგით არა მარტო სიყვარული და პატივისცემა გამოამჟღავნეს მისადმი, არამედ მეცნიერულ ტრადიციათა ურღვევობაც დაადასტურეს¹.

17. არნოლდ ჩიქობავა და ევგენი ხარაძე

ბატონ არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 105 წელი ახლახანს შესურულდა, ბ-ნ ევგენი ხარაძეს კი – გასულ წელს 95 წელი. ამ ორი გამორჩეული პიროვნების ერთმანეთისადმი პატივისცემის გამოხატვის მრავალი მაგალითიდან ორის შესახებ მოგახსენებთ:

1. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIII, მასალები, 2002, გვ. 35–38.

1. 1978 წლიდან ბ-ნი ევგენი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია... ბ-ნი არნოლდი გელეფონით შეეხმიანა ბ-ნ ევგენის, თქვენი ნახვა მსურს და როდის შეიძლება მოსვლაო... ბ-ნმა ევგენიმ თავაზიანად მოიკითხა ბ-ნი არნოლდი, გამოიკითხა, რომელი დღე იყო ბ-ნ არნოლდისთვის საინსტიტუტო და დასძინა: მე თქვენი ინსტიტუტის თანამშრომლებთან შეხვედრა ისედაც მსურდა და ამიტომ თვითონ გეახლებითო.

რა თქმა უნდა, ბ-ნი ევგენი დანაპირებისამებრ დათქმულ დღეს ესტუმრა ჩვენს ინსტიტუტს, მოინახულა ზოგი განყოფილება და შემდეგ შეხვდა ბ-ნ არნოლდს, ისაუბრეს აკადემიის საჭირობოროტო საკითხებზე...

2. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებაზე ინსტიტუტის 5 მეცნიერ-თანამშრომლის კანდიდატურა შეირჩა: ა. კიბირია, ი. ცერცვაძე, ა. მარტიროსოვი, ო. კახაძე, ა. მაჰომეტოვი... აკადემიის პრეზიდენტმა, ჩანს, ბ-ნ ალექსანდრესა და არამის კანდიდატურებს დაუჭირა მხარი და მათ მიანიჭეს კიდევ ეს საპატიო წოდება; მიანიჭეს, მაშინაც ეამბობდი და ასლაც, და მსახურებულად... მაგრამ ასევე, ოღონდ და უმსახურებულად, სხვებს უარი ეთქვათ.

ბ-ნმა არნოლდმა როცა ეს გაიგო, არ ესიაზოვნა... თუ წარეადგინეთ, თანაც დამსახურებულად, ყველას უნდა მიანიჭებოდა წოდებაო... ეს ინსტიტუტის პრესტიჟის საქმეაო...

იმ დროს ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ბ-ნი ბურაბ ლომიძე, მეტად ზრდილი და კორექტული, ჩვენი ინსტიტუტის მხარში მდგომი... მე მივედი, ავუხსენი საქმის ვითარება და უმაღლესი აღმთქვა თანადგომა, ოღონდ აკადემიის პრეზიდენტმა კვლავ აღძრას საკითხი; ჩემი თანდასწრებით ესაუბრა ცენტრალური კომიტეტის სათანადო განყოფილების გამგეს, ბ-ნ ავთანდილ საყვარულიძეს, და მისგანაც, ჩანს, თანხმობა მიიღო...

ეს ყველაფერი მე ბ-ნ არნოლდს ვუამბე და დავსძინე: ვნახავ აკადემიის პრეზიდენტს, ბ-ნ ევგენი ხარაძეს და ვთხოვ, საკითხი კვლავ აღძრას-მეთქი...

ბ-ნმა არნოლდმა გულთბილად ისაუბრა ბატონების ა. კიბირიასა და ო. კახაძის შესახებ, განსაკუთრებით გამოყო ბ-ნი ილია, ის ხომ თქვენი სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტი გახლდათო, — მომმართა ... შემდეგ მთხოვა, ეს ყველაფერი ჩემს მაგივრად ბ-ნ ევგენის მოახსენეთო.

მეც ევახლე პრეზიდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტში... ველოდები მოსაყდელში... პრეზიდენტი რაღაც საქმეზე გამოვიდა კაბინეტიდან, ქ-ნ ლიას, მის თანაშემწეს, დაელაპარაკა და, რომ დამინახა, მას ველოდებოდი, მკითხა, რაზე შეწუხებულხართო.

მე სიტყვასიტყვით გავიმეორე ის, რაც ერთი თვის წინ (22.II.1985) მოვახსენე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ღია სხდომას, სადაც ჩვენი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე ესაუბრობდით... ბ-ნი ევგენი თვით უძღვებოდა ამ შეკრებას. იქ ვთქვი:

აკადემიის სისტემაში მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო „წოდების მისაღებ ერთ-ერთ პირობად ასახელებენ: მეცნ. დოქტორი უნდა იყოს და 5 მეცნ. კანდიდატი ჰყავდეს აღზრდილი. რამდენადაც ვიცი, ეს დაკანონებული არ არის ოფიციალურად და, თუნდაც იყოს, მას ხომ უნდა ჰქონდეს გამოწვევისი – სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჩვენ ინსტიტუტში, სადაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ისეთი გამოჩენილი მკვლევარები მუშაობდნენ და მუშაობენ, როგორცაა ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა... შეიძლებოდა განა ის ერთი თუ ორი ასპირანტი ინსტიტუტს რომ სანდახან ჰყავდა, საწვრთნელად სხვას მიბარებოდა? მაგრამ იმავე დროს იგივე ო. კახაძე ორი მონოგრაფიის ავტორია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი... ი. ცერცვაძე 2 მონოგრაფიის ავტორია, აგერ უკვე 40 წელზე მეტია ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურება, პროფესორი, არაოფიციალური ხელმძღვანელი და კონსულტანტი ბევრი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციისა... ან. კიბირია რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. მისი უმაღლეს სასწავლებელთათვის განკუთვნილი ერთი დამსმარე სახელმძღვანელო უკვე მეხუთედ გამოვიდა. აღზრდილი ჰყავს რამდენიმე მეცნ. კანდიდატი.

შეიძლება კი ამ უპრეტენზიო, მეცნიერებისათვის თავდადებულ, ჩუმაღ მოღვაწე პირთა შეფასება იმ ოფიციალური საზომით? – ვფიქრობთ, რომ არა“.

თქმულს თან დავსძინე: „ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს ჩვენი მასწავლებლები, მაგრამ, როცა ისინი არ იქნებიან, ბატონი ევგენი, ჩვენს ინსტიტუტს, ქართული ენის უპირველეს მსახურს, შესაძლოა, არცერთი ქართველი მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე არ ჰყავდესო“.

ბ-ნმა ევგენიმ მისმინა და ბრძანა, სადა გაქვთ ინსტიტუტის მოწერილობაო, – ვუპასუხე: მე ახლა საქმის ვითარება გავაცანით, მივალ ინსტიტუტში და შემდეგ მოგართმევთ... ბ-ნმა ევგენიმ მთხოვა, იქვე, მისაღებში, ქალაღმზე, მის სახელზე ჩამომეწერა თქმული და გადამეცა... უბრალო თაბახის ფურცელზე ეს ყველაფერი ჩამოვწერე... მოვაწერე ხელი როგორც პარტორგანიზაციის მდივანმა და მივართვი პრეზიდენტს... მან იქვე, ჩვენს თვალწინ, განცხადებას რემოლუცია დაადო: გაამზადეთ დოკუმენტებიო... თვით მოსკოვში მიბრძანდებოდა: როცა ჩამოვალ, სათანადო დოკუმენტები გამზადებული დამხვდესო...

ასე აღიძრა წოდების მინიჭების საკითხი ხელმეორედ და სამივეს – ბ-ნ ანგონსა და ბ-ნ ი. ცერცვაძეს, ბ-ნ ოგია კახაძეს – ეს წოდება მალე მიანიჭეს–

ბ-ნმა ევგენიმ თავისივე სისტემაში ჩინოვნიკის მიერ შექმნილი დრაკონული წესი თ ვ ი თ ო ნ ვ ე შე ა ს წ ო რ ა .

P. S. ამას წინ, 2002 წელს, ქ-ნ მ. აფრიდონიძის მშენიერი და ყოველდღიურად საჭირო წიგნის – „ჩვენი ენა ქართულის“ – „ბოლოთქმის“ მაღლობის სიყვეები

წამოგივითედა მესხიერებაში. ქნი შუქია იგონებს, რომ ბ-ნი ევეგნი გახლდათ ის, „რომელმაც პირველმა მირჩია ამ წიგნაკის მომზადება და რომლის რეგულარული სატელეფონო ზარიც მუდამ მაგონებდა ნაქისრ მოვალეობას“.

ღიხს, მოვალეობა... სწორედ რომ ჩვენი თაობის ეალია, არ დავეკარგოთ შთამომავლობას ჩვენი გამოჩენილი წინაპრების ნათელი ხსოვნა, გავაყოცხოთ ის თუნდაც მოგონებათა მცირედი ნამცერევის სახით¹.

18. არნ. ჩიქობავას „არშემდგარი საუბარი“ და რეგიონალური სამეცნიერო სესიის 10 წლისთავი

1. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისადმი მიძღვნილ პირველ რეგიონალურ სამეცნიერო სესიის ზოგ საკითხზე ვისაუბრეთ „არნ. ჩიქობავას საკითხაუბებზე. XIII“ მოხსენებაში „ასე იწყებოდა...“ (არნ. ჩიქობავა და პირველი რეგიონალური სესია). აქ ითქვა:

„მაპაჩყალის ამ სესიამ ნათლად წარმოაჩინა გზები კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა პირადი კონტაქტებისა, მისცა იმპულსი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებას, რისი ერთ-ერთი დასტური გახლდათ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ შექმნა და მისი თბილისში გამოცემა“.

მაგრამ ამ და სხვა არაერთ საკითხზე არნ. ჩიქობავასეული შეფასება ამ სესიიდან დანახული, წერილობით ფიქსირებული, ჩვენთვის უცნობი გახლდათ და, აი, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად ცხინვალის სახ. უნივერსიტეტის დოცენტმა და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა ბაბა ცოგნიაშვილმა, „საკითხაუბებში“ დაბეჭდილი მოხსენების გაცნობის შემდეგ გადმოგეცა თავისი მამის (დოც. ა. ცოგნიაშვილი, ამჟამად გარდაცვლილი, გახლდათ ჩვენი კათედრის წევრი) პირად არქივში შემონახული ბ-ნი არნოლდისეული ინტერვიუ სათაურით „ნიჭი და შრომა“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ეისკარში“ 1965 წლის ნოემბრის თვეში. ინტერვიუში რიგი ისეთი საკითხია, თითქოსდა დღევანდელი გადასახედიდან დანახული, მიცემული ინტერვიუ ცინცხალი რომ ეგონება კაცს; მაგრამ ახლა აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ადგილს, რომელშიც ბ-ნი არნოლდის უმუალო შთაბეჭდილება ჩანს:

შეკითხვაზე, „– მკითხველებს აინტერესებთ თქვენი აზრი ქართულის მონათესავე ენების შესახებო“, ბ-ნი არნოლდს ვერცლად გაუცია პასუხი (მოგვყავს ნაწყვეტი ამ პასუხიდან):

„ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი დიდი საკითხია. იგი კულტურის ისტორიის არა ერთ ძირითად საკითხსაა გადაჯაჭვული. ასეთი საკითხები ერთი ხელის მოსმით არ წყდება... ნათესაობის უარყოფელნიც, ბუნებრივია, რომ იყვნენ (და არიან კიდევ – უცხოეთშიც, ჩვენშიც!).“

სწორი დებულება საბოლოოდ თავისას გაიგანს. სწორი დებულება იმისი სწორი დებულებაა, რომ კრიტიკას გაუძლოს (თუ, რა თქმა უნდა, ეს კრიტიკა მეცნიერული წესითა და საშუალებით იწარმოებს, და საჭირო საბუთების უქონლობას სხვა, მეცნიერებისათვის უცხო, საშუალებებით არ შეივსებს).

მიმდინარე წლის ივნისში საგანგებო სამეცნიერო სესია მიეძღვნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას. სესია შედგა მაჰაჩყალაში (დაღესტანში). მონაწილეობას იღებდნენ დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილო-ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ადიღეს, მოსკოვის, ბაქოს, ერევნისა და თბილისის სპეციალისტები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულებამ სესიის მხარდაჭერა ჰპოვა – (სათანადო დასკვნებში ეს აღინიშნა). ამ სესიის მუშაობაზე აქ ვერ შეეჩერდებით (იქნებ როდისმე ცალკე)“.

„იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულებაზე“ ამ სესიაზე თერთონ ბ-ნმა არნოლდმა ისაუბრა ვრცლად, დაიბეჭდა კიდევ იგი მოგვიანებით ამ რეგიონალური სესიისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულში „იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემები“ (მაჰაჩყალა, 1965). ერთ-ერთ შეკითხვაზე კი – „უკანასკნელ წლებში რა ვაკეთდა ასალი ქართველური ენების ისტორიულ-მედარებითი შესწავლის მხრივო“, პასუხი ბ-ნი არნოლდისეული სიცხადითა და პირდაპირობით იყო ნათქვამი:

„ქართველური ენების ისტორიულ-მედარებითს შესწავლაში უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულ შრომათაგან აღსანიშნავია: თ. გამყრელიძის „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959 წ.), კარლ ჰორსტ შმიდტის „ძიუბანი სამხრულ-კავკასიური ფუძე-ენის ბგერითი შედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“ (1962 წ. გერმ. ენაზე), გ. როგავას „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I“ (1962), გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1964 წ. რუს. ენაზე) და თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭაუარიანის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.).“

ყველა ეს შრომა საგულისხმოა: ზოგი – მოპოვებული შედეგებით („ისტორ. ფონეტ. საკითხები“, „სიბილანტთა შესატყვისობანი...“), ზოგი კიდევ ცდით, ახლებურად დაისვას საკითხი („სონანტთა სისტემა...“). კ. შმიდტისა და გ. კლიმოვის შრომები არსებითად ერთსა და იმავე მასალას ეხება, მაგრამ შმიდტის შრომა უფრო საინტერესოა.

ზოგ ამ შრომაზე უკვე დაიწერა რეცენზიები ჩვენშიც, უცხოეთშიც, ზოგის შესახებაც დაიწერება. ვფიქრობთ, ამ შრომების განხილვა ხელს შეუწყობს ჩვენში ისეთ ძირითად ცნებათა მეცნიერული აზრის გარკვევას, როგორცაა „ფუძე-ენა“, რეკონსტრუქციის დანიშნულება და შესაძლებლობანი, საკითხი დივერგენცია-კონვერგენციის ადგილის შესახებ ენის განვითარების პროცესში.

ამ საყრდენი ცნებების ბუნდოვანება შედარებითი ენათმეცნიერების სისუსტის წყარო იყო წინათაც, არის დღესაც”.

მართლაც, ბ-ნი არნოლდის მიერ დანახული ეს „ბუნდოვანება“ თავს ახლაც გვახსენებს.

და ბოლოს. ბ-ნი არნოლდი შენიშნავდა ამ სესიის მუშაობაზე, „იქნებ როდისმე ცალკე“ ვისაუბროთო... არნ ჩიქობაეას ეს საუბარი ცალკე, სამწუხაროდ, არ შემდგარა, სურვილი კი, როგორც ჩანს, იყო.

2. „არშემდგარი საუბრის“ ათი წლის თავზე, 1975 წელს, მეექვსე რეგიონალურ სესიას უმასპინძლა მაშინდელი ადილეს აო-ს ქ. მაიკოპმა. ჩემთვის ეს რიგით მეორე სესია გახლდათ, მონაწილეობას რომ ვიღებდით. აქ უკვე მოხსენება გვეკონდა წარმოდგენილი ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით, სადაც მაშინ ემუშაობდით: „ზოგი მოდალური ნაწილაკის შესახებ ლაკურში და მათი პარალელები ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში“... შემოგვრჩა იმდროინდელი რამდენიმე ფოტოსურათი, სადაც ბ-ნი არნოლდი სესიის მონაწილეთა შუაგულშია გადაღებული.. ზოგი სხვაიც. ბ-ნი არნოლდი აქ მხნედ გამოიყურება... მხნედ იცქირება ის 1977 (სოხუმის მახლობლად, ემერაში) და 1979 წლებში (ჩერკესკი) VII და VIII რეგიონალურ სამეცნიერო სესიებზე გადაღებული სურათებიდან, მაგრამ აქ იგი უკვე ხელჯოხითაა... შემდეგ რეგიონალურ სესიებს კი ბ-ნი არნოლდი უკვე თვით აღარ დასწრებია (IX, X, თუმცა სათანადო მოხსენებით ეხმაურებოდა მათ).

მაიკოპის სესია 9-11 სექტემბერს გაიმართა... 10 სექტემბერს, დილით, ბ-ნი არნოლდი ჩვენი (ნახური და დალესტური ენების) სექციის სხდომას დაესწრო... ჩვენი დელეგაციის წევრებს, ბ-ნ ა. მაჰომეტოვსა და გ. თოფურიას, პირველებს პქონდათ მოხსენება... ჩვენ დღის წესრიგში რიგით მეშვიდედ ვეწერეთ... ბ-ნი არნოლდი პირველად ესწრებოდა ჩემს საჯარო მოხსენებას... უთქვამს: ურიგო მოხსენება არ იყო და მსმენელებსაც სათანადოდ მიაწოდაო... ჩანს, ამის შემდეგ დაისვა ჩვენი თბილისში გადმოყვანის საკითხი... ყოველ შემთხვევაში ამას გვაფიქრებინებს ბ-ნი არნოლდის მიერ ჩემს სასაჩუქრო ეგზემპლარზე (1983 წ. დაბეჭდილ წიგნზე, „მოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბ., (1983) წანაწერი: „პარტორგანიზაციის მდივანს – გენ. ბურჭულაძეს – მაიკოპის სესიის მოსაგონებლად. ავტორი, 16. IX. 1984”.

ძვირფას მოგონებად შემორჩენილი მაიკოპის რეგიონალური სესიის ის დღე ბ-ნი არნოლდისაგან ჩვენთვის „მოსაგონებლად“ მოძღვნილმა წიგნმა,

ფაქტობრივ, გააცოცხლა!

1. არნოლდ ჩიქობავას საკითხავეები, XV, მასალები, 2004, გვ. 21–23.

შენიშვნები:

აქაა გასაერთიანებელი სხვა ჩვენი ნაშრომებიც:

1. შერწყმული წინადადების კლასიფიკაციისათვის ქართულში. – გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 29. III, 1974, ცხინვალი, გვ. 4; წინადადებათა შერწყმა პირმიმართ დამატებათა მიხედვით. – თსუ, ფილოლოგია, III სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1975, გვ. 31–32; ერთგვარმემასმენვლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში. – არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი მასალები, თბ., 1979, გვ. 145–151.

2. ინტერესის მიცემითის შესახებ ქართულში. – კრ. „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978, გვ. 72–86.

3. ბურჯი ქართული ენათმეცნიერებისა. – გაზ. „სახალხო განათლება“, 31.II, 1988, გვ. 3.

4. შეიცან თავი შენი. – „ბალავერი“, №4-6, 1988, გვ. 175–190; მისივე: შეიცან თავი შენი. – 2003, გვ. 1–214;

5. უღვლილების გი ჰების თაობაზე ლაკურში. – ეძღვნება თსუ-ს 75-ე წლისთავს, თემისები, 1993, გვ. 13-14; უკლასნიშნო მზნების უღვლილების ერთი ქვეგვიპის შესახებ ლაკურ მზნებში, – მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები; ეძღვნება ე. თოფურიას დაბადების 100 წლისთავს, თბ., 2001, გვ. 22-24; Об индефинитном типе спряжения в иберйско-кавказских языках. – Тезисы докладов, XI коллоквиума Европейского общества кавказоведов, М., 2001, гв. 24-25.

6. О Casus obliquus в некоторых дагестанских языках. – IX региональный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Посвящается 100-летию со дня рождения акад. А.С.Чиобава, тезисы докладов, Республика Дагестан, Махачкала, 1998, гв. 52.

7. (გ.თოფურიასთან ერთად). არნოლდ ჩიქობავა და მთის კავკასიური ენები. – არნ. ჩიქობავას საკითხავეები. IX, მოხსენებათა გეგმა და მოხსენებათა თემისები, თბ., 1998, გვ. 15-18. იგივე: არნ. ჩიქობავა და ლინგვისტიკური კავკასიოლოგია. – არნ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998, გვ. 22–25.

8. ლექსებათა სესხების რამდენიმე შემთხვევის თაობაზე დაღესტნის ენებში. – ქუთაისური საუბრები, V, ეძღვნება აკად. არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავს, სიმპოზიუმის მასალები, 1998, ქუთაისი, გვ. 33–35.

9. (ე. შენგელიასთან ერთად). აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. – ქუთაისური საუბრები, V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998, გვ. 13–16; იგივე: აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. – ქუთაისი, გვ. 7-13 (რეზიუმე ინგლ. ენაზე).

10. ადამიანი მიღის, საქმე, ნაშრომდარი რჩება. – გაზ. „სამცხე-საათაბაგო“, X, 1998, გვ. 10.

11. (თ. უთურგაიძესთან ერთად). არნ ჩიქობავა, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი. – XVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო

სესია, თეზისები, ეძღვნება აკად. არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს, 1998, გვ. 13–17.

12. ბურჯი ქართული მეცნიერებისა. – გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, № 10, ცხინვალი (გორი), 1998, გვ. 4.

13. იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკის ძიება და ამ ლექსიკის ისტორიულ ცვლილებათა ზოგი ტენდენცია. – ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999, გვ. 58–63.

14. ერთი საკულტო სახელის შესახებ ქართველურ ენებში. – XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ახალციხე, 1999, გვ. 24.

15. (გ. თოფურიასთან ერთად). ჯუარი საკულტო ტერმინი იბერიულ-კავკასიურ ენებში. – ქუთაისური საუბრები, VII სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2000, გვ. 45–46.

სიმონ ჯანაშია

(13. VII, 1900. 5. XI, 1947.)

1. სიმონ ჯანაშია — 100

წელს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადებიდან 100 წელი მეუსრულდა. 15 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა დიდი ისტორიკოსის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა ქუეყნის პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ. მან კიდევ ერთხელ შეახსენა უნივერსიტეტში მისულ სამოგალოებას ს. ჯანაშიას, როგორც დიდი მეცნიერისა და სამოგალო მოღვაწის სახე. მსმენელთა თვალწინ წარმოჩნდა სამოგალოდ ჯანაშიათა ოჯახის დიდი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე. ეს განსაკუთრებით წარმოჩინდა უნივერსიტეტის რექტორის აკად. რ. მეგრეველის სიტყვაში აკად. სიმონ ჯანაშიაზე და სხვათა მოგონებებსა თუ გამოსვლებში (აკად. ა. აფაქიძე, აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. დ. მუსხელიშვილი, აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. პ. ბაქარაია, აკად. წ./კ. თოფურია, პროფესორები ჯ. რუხაძე, ბ. რაჭველიშვილი, გ. გორდანი, ნ. ლომოური, ი. ციციშვილი).

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ამ სხდომიდან ესტაპეთი მიიღო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა. ეს დღე რესპუბლიკის სხვა სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებშიც აღინიშნება. ჩვენი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. გორში), ლექცემბრის თვეში საგანგებოდ დღეს მიუძღვნის ამ თარიღს.

რაკი ბ-ნი სიმონ ჯანაშია არა მარტო დიდი ისტორიკოსია, არამედ — დიდი ენათმეცნიერიც, რესპუბლიკური რადიოს ლიტერატურულმა პროგრამამ „ენაა შემკული და კურთხეული“ სასაუბროდ მიიწვია ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი პროფ. გენადი ბურჭულაძე. გადაცემა შედგა 14 ნომბერს. „ლიტერატურული ცხინვალის“ რედაქციამ ამ გადაცემის წამყვანს, ცნობილ მწერალსა და კუბლიცისგს თამაზ ხმაღაძეს სთხოვა გადაცემის ტექსტი, რაც მან უყოყმანოდ გადმოსცა ჩვენს რედაქციას, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვწირავთ. ამით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რომლებიც ამ უშუქობის დროს ხშირად რადიოსაც არიან მოწყვეტილნი, საშუალება მიეცემათ გაეცნონ სრულად აღნიშნულ გადაცემას.

თ. ხ.: აკად. ს. ჯანაშიას დაბადებიდან 100 წელი მეუსრულდა. მის ისტორიული ხასიათის ნაშრომებზე თაობები აღიზარდნენ და ამას სათანადოდაც იტყვიან. იტყვიან მის დიდ ენათმეცნიერულ ღვაწლზეც. მოგ მათგანზე ჩვენც გვსურს ვესაუბროთ ჩვენს რადიო-მსმენელებს, რისთვისაც სტუდიაში მოვიწვიეთ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, პროფ.

გენადი ბურჭულაძე.

ბ-ნო გენადი, სხვა წიგნებს შორის, მე მაგიდაზე მიდევს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი კრებული, რომელშიც არაერთი ენობრივი ნორმა ბ-ნი სიმონის დადგენილია. აი, მაგალითად, გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში; ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიგყვათაგან - ურ სუფიქსით; მსაზღვრელი სახელის მეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი ღრომის თუ წითელ ღრომის) და სხვები - რომელი ერთი.

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ, ეს არაა შემთხვევითი, რომ ბ-ნ სიმონს ქართული ენის ნორმების დადგენის საკითხები აინტერესებდა. იგი თავის ღრომე ერთ-ერთი იმ პირთაგანი ბრძანდებოდა, სალიტერატურო ენის აღმშენებლობის საკითხებსაც რომ განსაზღვრავდა ჩვენში. ისიც ცნობილია, რომ სხვადასხვა ხასიათის წმინდა ენათმეცნიერული ნაშრომები ბ-ნ სიმონს აღრევე გააჩნდა, მოყოლებული 30-იანი წლებიდან. ქართული ლიტერატურული ენის საკითხებს კი იგი ინტენსიურად იკვლევს 1930-1936 წლებში. ბ-ნი სიმონი აეგორია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი სავალდებულო ნორმების დადგენის პრინციპებისა“, რომელიც მიიღო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა სახელმწიფო კომისიამ. ჩვენს რადიომსმენელებს შევახსენებთ, რომ ბ-ნი სიმონი თვით თავმჯდომარეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ კომისიას.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, თქვენ რომ ბ-ნი სიმონის შრომათა III ტომი მირჩიეთ გასაცნობად, იქ უამრავი მასალაა ამ თვალსაზრისით.

გ. ბ.: დიახ, აქაა თავმოყრილი ბ-ნი სიმონის სხვადასხვა ხასიათის ენათმეცნიერული შრომები, ასევე კონკრეტულ ნორმათა შემუშავების პრინციპები.

თ. ხ.: მართლაც საოცარია. ეს ხომ არა მარტო წმინდა ენათმეცნიერული საკითხებია... ნორმები... ცალკეულ სიგყვათა თუ ფორმის მართლწერის საკითხები. და ეს ყველაფერი იმის გვერდით, რომ იგი ამ ღროს გახლდათ ცნობილი მკვლევარი საქართველოს ისტორიისა, მისი დიდი მასწავლებლის ივანე ჯავახიშვილის ერთგული მოწაფე, თანამოსაგრე.

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ, კარგად შენიშნეთ ბ-ნ სიმონისა და დიდი ივანეს საქმიანობის საერთო ხასიათი. ბ-ნი სიმონი აქაც ჰგავს თავის დიდ მასწავლებელს. ცნობილია ისიც, რომ ბ-ნი ივანე ჯავახიშვილისათვისაც ასევე მახლობელი იყო ენათმეცნიერული საკითხები. საქვეყნოდ ცნობილია, მაგალითად, მისი დაულალავი მუშაობა ქართული სამეცნიერო გერმინოლოგიის სფეროში.

თ. ხ.: და აი, მასწავლებლიდან მოწაფეზე გადადიოდა უდიდესი პასუხისმგებლობა ისეთ ეროვნულ საკითხებზე, როგორიცაა ენა და მისი მოვლა. ახლა ენა და ისტორია - რა მახლობელია ეს ორი სამეცნიერო დისციპლი-

ნა, მაგრამ როგორი სკრუპულოზური მეშაობაა საჭირო მათი ურთიერთ-კავშირის ძიებისას.

გ. ბ.: დიახ, მართალს ბრძანებთ. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მსურს გაეხსენო. 1982 წელს ბ-ნ სიმონის ვაჟმა, ლაშა ჯანაშიამ გამოაქვეყნა კიდევ „მნათობში“ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მიმოწერათა ნაწილი. შესანიშნავი ნიმუში ჩვენს დიდ წინაპართა ეპისტოლარული მემკვიდრეობისა.

თ. ხ.: დიახ, ბ-ნო გენადი, მეც ვიცი ამ მიმოწერებს. სწორედ ამ პუბლიკაციათა შესაყალ ნაწილში ბ-ნი ლაშა პირდაპირ მიუთითებს, რომ ბ-ნ სიმონს ივ. ჯავახიშვილისა და იოსებ ყიფშიძის რჩევით დაუწყია სწავლა ენისა და ისტორიის სპეციალობით. მართალია, მამა ისტორიის კელევას გაჰყვა, მაგრამ საენათმეცნიერო ძიებანიც არ შეუწყვეტიაო და იქვე დასძენს ბ-ნი ლაშა: „ეს ბუნებრივია ივ. ჯავახიშვილის მოწაფისაგან. როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილს, გარდა ისტორიისა, ფუძემდებლური საენათმეცნიერო გამოკვლევებიცა აქვს. ცხადია, აქ პირველ რიგში გვახსენდება მისი ნაშრომი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

გ. ბ.: ჭეშმარიტებაა, – აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ თვით ნიკო ჯანაშია, მამა ბ-ნი სიმონისა, ცნობილი გახლდათ თავისი ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებითაც. ბ-ნ ივანე ჯავახიშვილს ის მოუწვევია ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში აუხაზური ენის ლექტორად, მაგრამ ბ-ნი ნიკო მოულოდნელად გარდაცვლილა 1918 წლის 6 ივნისს.

თ. ხ.: რაკი ნიკო ჯანაშიას არ დასცალდა აუხაზურის გაძლოლა, ვის დაევალა ეს?

გ. ბ.: ჯერ მოწვეული იქნა აუხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია, შემდეგ ეს კურსი მიჰყავდა ს. ჯანაშიას.

სხვათა შორის, 1934-1937 წლებში ბ-ნი სიმონის ასპირანტი, მანამ კი სტუდენტიც, გახლდათ ქ-ნი ქეთევან ლომთათიძე, რომელმაც მეცნიერული ნათლობა ბ-ნი სიმონისაგანაც მიიღო და შემდეგ ბ-ნი სიმონისაგანვე ჩაიბარა აუხაზური ენის კურსიც.

თქვენ ზემოთ, ბ-ნო თამაზ, წერილები ახსენეთ.

რაკი თქვენ მათ იცნობთ, დამეთანხმებით, რომ პირად ბარათებში საზოგადოებრივი, მეცნიერული სჭარბობს პირადულს.

თ. ხ.: მართალს ბრძანებთ, აი, მაგალითად, ბ-ნი სიმონი 1929 წლის 1 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში წერს თავის მასწავლებელს: „მსურს ორი კვირა ყაბარდოელებთან გავაგარო, დანარჩენი ქისტეთში. თუ მოვახერხებ, განზრახვა მაქვს დალესტინისაკენაც გავიარო ზოგიერთი საკითხის დასამუშავებლად (ხუნძურზე სამუშაოდ მიდის არნ. ჩიქობავა)“.

გ. ბ.: მართალია, ბ-ნი არნოლდი პირველად სწორედ მაშინ გაემგზავრა ხუნძურის შესასწავლად. მოგვიანებით, 1933-34 წლებში, ბ-ნმა ვარლამ თო-

ფურიაშაჲ ლაკური შეისწავლა. აფხაზურსა და ადიღეურს ბ-ნი სიმონი იკვლევდა. სხვათა შორის ცნობილია, რომ ს. ჯანაშიამ აფხაზური ბავშვობიდანვე იცოდა. ბ-ნ ლაშა ჯანაშიას ცნობით, ბ-ნ სიმონს ენებისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე დაჰყოლია. მისი ბავშვობისდროინდელი უბის წიგნაკები საესე იყო იმ სიგყეებითა და გამოთქმებით, რომლებიც ბ-ნ სიმონს საინტერესოდ სჩვენებია.

ახლა მიუბრუნდეთ თქვენს მიერ ციტირებულ წერილს. იმ ბარათის საპასუხო წერილში ბ-ნი ივანე ჯერ უქებს თავის მოწაფეს გადადგმულ ნაბიჯს – ენების ადგილზე კვლევისას – და შემდეგ ბრძანებს: „სჯობია ჯერჯერობით მხოლოდ ყაბარდოულით დაეკმაყოფილდეთ“ და შემდეგ კი სამართლიანად შენიშნავს: „ორკვირულ დაკვირებაზე დამყარება ახალენოვანი მასალის შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს არც სასურველია და სახიფათოც გახლავთ“.

ეს, რა თქმა უნდა, ასეა. ბ-ნ ივანეს ამ პირად ბარათში გამოთქმული თვალსაზრისი ენათა შესწავლის თაობაზე სანიმუშოა დღესაც; იმაედროულად საოცრად მუსგადაა ადგილზე ენათა კვლევის ჩვენეული პრინციპი განსაზღვრული.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, უნდა ჩაეიკითხო წერილის ბოლო მონაკვეთი.

გ. ბ.: ინებეთ, ბრძანეთ.

თ. ხ.: ბ-ნი ივანე წერს: „აბა, თქვენ იცით, როგორც თქვენი კვლევა-ძიებით გავცახარებთ, მარად თქვენი ბედნიერების მოყვარული“.

გ. ბ.: დიახ, ბ-ნო თამაზ, ასეთი გახლდათ ჩვენი დიდი წინაპრების მორალური კრელო: ყველაზე დიდი სიხარული ბ-ნი ივანესათვის, როგორც მასწავლებლისათვის, ბ-ნი სიმონის, ანუ მოწაფის, კვლევა-ძიების შედეგებია.

ამავე ბარათში ბ-ნი ივანე საჭიროდ თელის, რომ აფხაზურს გარდა, ჩვენს ფაკულტეტზე უნდა შემოვიდეს სასწავლად ჩერქეზულ და ყაბარდოულ ენათა და ეთნოლოგიის კურსი. შემდეგ კვლევა-ძიების გაფართოებით უნდა ჩამოყალიბდეს აფხაზურ-ჩერქეზული გრამატიკა და ეთნოლოგია.

თ. ხ.: როგორი მწყობრი გეგმაა, მასთან წინასწარგანჭვრეტილი.

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ, დავასრულებ იმ წერილის ციტირებას.

თ. ხ.: ბრძანეთ.

გ. ბ.: „ამით განხორციელებული იქნება იმ მიზნისა და მეცნიერული მოვალეობის ერთი ნაწილთაგანი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს დაარსებისთანავე დასახული აქვს, რომ კავკასიათმცოდნეობის ცენტრად იქცეს. ამ საგნის გაძლოლა ბუნებრივად თქვენ უნდა მოგენდოთ“.

თ. ხ.: მართალია, ბ-ნ ივანეს ეს სურვილი, რამდენადაც ეს ჩემთვის ცნობილია, მაშინ ნაწილობრივ განხორციელდა – ბ-ნ სიმონს მიჰყავდა კურსი აფხაზური ენისა და თბილისიც იქცა კავკასიათმცოდნეობის ცენტრად.

გ. ბ.: პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ, ბ-ნი ივანეს ზემოთ ციტირებული წერილის მოწერამდე ცოგათი უფრო ადრე ბ-ნი ს. ჯანაშია ჩერ-

ქმეტიში თავისი პირველი მივლინების ანგარიშით წარდგა საქართველოს საინგორო-საეთნოგრაფიო სამოგალოების საჯარო კრებაზე 1929 წლის 21 ივნისს. აქ ივ. ჯაქაძის მიხედვით ასე შეაფასა მივლინება და მით მოპოვებული შედეგები: ბ-ნი სიმონის ეს მივლინება „წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როცა ქართველი მკვლევარი გადადის კავკასიონის ჩრდილოეთით აბორიგენი კავკასიური გომების ენისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად. პირველ ცდას საყურადღებო შედეგები მოჰყვა. სასურველი და აუცილებელიაა, რომ მუშაობა განგრძობილ იქნას, რადგან კავკასიური ენათმეცნიერების ამოცანები არავეისთვის ისე მნიშვნელოვანი, ახლობელი და მისაწვდომი არ არის, როგორც ქართველი მეცნიერებისათვის“.

თ. ხ.: ათიოდე დღით ადრე, 10 ივნისითაა დათარიღებული ბ-ნი სიმონის ანგარიში „ქედაგოვიური ფაკულტეტის საბჭოს წინაშე“. იგი ასე იწყება: „აღნიშნული მივლინების მიზეზი იყო ადგილობრივი შეკრება თუ შემოწმება ისეთი მასალებისა ჩერქებთა მოდგმის გომების ენობრივი და ეთნოლოგიური სინამდვილიდან, რომელთა საჭიროება ჩვენ ვიგრძენით საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის დროს“.

გ. ბ.: დიას, კარგად შეგვახსენეთ, ბ-ნი სიმონი თავისი დიდი მასწავლებლის გმას ადგა – საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევა აუცილებლად ითხოვს ამ ენათა და მისი მაგარებული ხალხების ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლასო. გაეიხსენოთ, ბ-ნმა ივანემ თავისი სამგომეული „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ მეორე წიგნად ჩაფიქრებული „ქართული და კავკასიური ენების ბუნება და ნათესაობა“ ყველაზე ადრე დასტამბა, რადგან, მისივე თქმით, „ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემა ყველაზე რთულსა და თანაუ ძირითად ამოცანას წარმოადგენს“.

თ. ხ.: ცხადია, ბ-ნი სიმონის ჩანაფიქრის მასშტაბურობაც. მისი მივლინებათა ანგარიშის უბრალო გაცნობაც ამას გვეუბნება. ბ-ნი სიმონის შრომათა IV ტომში მთლიანადაა შესული 1929 წელს ჩერქებულ (ადილელ) გომებში და ჩეჩენ-დაღესტნელებთან მივლინებისა და 1921 წელს აბუჯაში შეკრებილი მასალაც.

გ. ბ.: მე არას ვამბობ აფხაზურ-ადილურ ენათა შეკრებილი ჩინებული მასალის შესახებ. ეს სპეციალისტათვის ცნობილია, მაგრამ მაოცებს, მაგალითად, ლაკურ ენაზე შეკრებილი მასალის სიზუსტე. ექსპედიციის დღიურში მასალის შეკრების დღეცაა ფიქსირებული – 1.09.1929; მითითებულია მთქმელი და ბუერი სხვაიც.

თ. ხ.: ეს საინტერესოა, მაგრამ, ხომ არ გაეიხსენოთ, მისი მოცულობით მცირე, მაგრამ საყურადღებო გამოკვლევა „კიდეუ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში“.

გ. ბ.: კარგი შემახსენეთ, ბ-ნო თამაზ, საკუთარი სახელი ხახარე, ჩანს, იმ სიგყვათა რიგშია ჩასაყენებელი, ხ-არ, მო-ხ-ვალ, ხ-ერთისი, ხ-უესი

და მისთანანი რომაა ა. შანიძის მიერ გამოკვლეული. ბ-ნი სიმონს გორის რ-ნის სოფ. ღვარებში მოუსმენია საკუთარ სახელად ხახარე. ეს გახარება ზმნიდანაა, მსგავსად მახარა, მახარე, გამიხარდი, მახარებელი, მახარობელი და სხვ. ბ-ნი სიმონი დასძენს:

„ამავე ძირს უნდა ეკუთვნოდეს, ასე გვეგონია, ხახარეც, რომელიც, ქართლს გარდა გვხვდება მთაშიც“ და იმოწმებს ა. შანიძის მიერ გულამაყრულში დადასტურებულ ხახარე-ს: „ხახარემ ნახა სიმზარი, სიმ-მარი იყო მკრიანი“ (129).

თ. ხ.: ეს, რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა. მაგრამ ჩვენი რადიომს-მენელებისათვის საინტერესოა, გარდა სუფთა ენათმეცნიერული ინტერესუ-ბისა, რატომ აინტერესებდა ბ-ნი სიმონს, როგორც ისტორიკოსს ენა? თუმცა ნაწილობრივ ეს ითქვა ზემოთაც, მაგრამ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის იაკობ გრიშის გამონათქვამი: „არსებობს უფრო ცოცხალი მოწმე, ვინემ ძელები, იარალი და საფლაუებია. ეს მათი ენაა“. ამიგომაცაა, რომ ენათმეცნიერული ძიებანი აქ ისტორიის სამსახურშია ჩასაყენებელი, ისტორიის კონტექსტში განსახილველი... ამდუ-ნად, ენა ერთი უპირველესი საყრდენი გამოდის ისტორიისა.

გ. ბ.: სწორად შენიშნეთ, რადგან ენაა ის ფენომენი, რომელშიც მისი მაგარებელი ხალხის ისტორიული განვითარებაა უკუფენილი. ამას ნათ-ლად გრძნობდნენ ჩვენი წინაპრები. ბ-ნი სიმონის ისტორიული სახის გამოკე-ლებებში განსაკუთრებით ძველი ისტორიის მოვლენათა კვლევისას, კარ-გად ჩანს სპეციალისტი – ენათმეცნიერის თვალი. მისი დიდი მასწავლებლის კვალად, ეს მას აძლევდა საშუალებას, ღრმად ჩასწვდომოდა ისტორიულ მოვლენებს. ეს ცხადად წარმოჩნდა მაშინ, როცა ჩვენი მონათესავე ტომებ-ის – ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლებთან ისტორიული ურთ-იერთობების პრობლემებზე მსჯელობდა. ამიგომაცაა საგანგებო კვლევის საგნად მის ნაწერებში სუფთა ლინგვისტური პრობლემატიკა, ქართველური და აღილური ენების ნათესაობის საკითხებს რომ ეხება. აქვე დაესძენ: ბ-ნი სიმონი ქართველ მკვლევართაგან პირველია, ვინც დაღესტნურ ენათა ლაკურ-დარგული ქვეჯგუფის ენობრივი მასალა მოიპოვა ადგილზე და სათანადო მეცნიერულ ხმარებაში შემოიგანა.

თ. ხ.: ამიგომაცაა, ალბათ, რომ ბ-ნი სიმონ ჯანაშია ითვლება ჩვენ-ში იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-აღილური ქვეჯგუფის მეც-ნიერული შესწავლის ფუძემდებლად. აგერ დაღესტნურ ენებზეც ბრძა-ნეთ თქვენ. მისსავე სახელთანაა დაკავშირებული სათანადო კადრების მო-მზადებაა და დაკვალიანებაც. მერედა, ბ-ნი სიმონი 47 წლისა გარდაიცვა-ლა. ეს ხომ მკვლევარისათვის შუადღეც კი არ არის. ინტერესთა ასე ფარ-თო წრე... და რამდენი კიდევ ჩვენ არ გვითქვამს, მაგრამ მე, როგორც მწერალს, ძალზე დამაინტერესა ბ-ნი სიმონის რედაქციით, სპეციალური კულტურულ-ისტორიული ხასიათის ნარკვევი რომ მიედგენა აფხაზთა უკა-

ნასკნელ მთავარს – გიორგი შარვაშიძეს.

თ. ხ.: ამ გამოკვლევასა და თვით გიორგი შარვაშიძის პიროვნებას, და შემოქმედებას ცალკე გადაცემაც შეიძლება მიეძღვნას, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ მინდა გაეხსენო, რომ აფხაზი მთავრისათვის მეორე მშობლიური ენა, გარდა აფხაზურისა, ქართულია. აკი წერდა კიდევ მშვენიერი ქართულით. აქ, თუ შეიძლება, მისი და სულმნათი აკაკის პოეტური გაჰაეჭრება გაეხსენოთ. აი, გადავშალოთ და წავიკითხოთ აკაკის ლექსის ერთი ნაწილი:

„შენი ტკბილი საუბარი მიყვარს, როგორც ქებათ-ქება,
შენი ნახვა ნერვებაშლილს სამკურნალოდ შეერგება!
ეს შენც იცი, მაგრამ, ძმაო, ცოგას მოიაფხაზურებ:
ახალ-ახალს რომ მონახავ, ძველებს აღარც კი უყურებ.
ეს არ არის მოსაწონი, გეფიციები ზენა-არსსა,
ნათქვამია: ნუ დააგდებ ძველ გზასა და მეგობარსა“.

გ. ბ.: სულმნათ აკაკის, „ნერვებაშლილს“, როგორც თვით ბრძანებს, გიორგი შარვაშიძის ნახვა თუ „სამკურნალოდ ერგებოდა“, აფერუმ მას.

თ. ხ.: აი, ახლა ენახოთ გიორგი შარვაშიძის პასუხი აკაკისადმი – მოკრძალებული დიდი პოეტის წინაშე, მაგრამ პირდაპირი:

„შენი ტკბილი მგოსნის ენა, რა ხანია, არ მსძენია,
ფუტკარმაცა იცის კენა, მაგრამ თაფლის გამჩენია,
რაც უნდ მითხრა, მეგობარო, მე, შენს შაგირდს, მაძლევეს ლხენას,
რადგან ვიცი, უკეთ ხარო, მაღლსა ესწირავ ცას და გენას.
მაგრამ შენსა მაღალ ნიჰსა არ შეფერის უმართლობა“.

გ. ბ.: უსაყვედურებს და სამართლიანადაც კიდევ აკაკის.

თ. ხ.: დიახ, განვაგრძობ ლექსს:

„მოჰყოლიხარ ცოგა ჭოროსა, მოგრევი იმერლობა.
სეანი ყანწით გადღეგრძელებს, მე, აფხაზი, წრფელის გულით,
ვით სცოდნიათ ჩვენს ძველებსა ძმობითა და სიყვარულით“.

გ. ბ.: დიახ, გიორგი შარვაშიძე აფხაზი გახლდათ უპირველესად და მან კარგად იცოდა, რომ ჩვენს ძველებს – აფხაზობასა და ქართველობას – ძმობა და სიყვარული ჰქონიათ ოდითგანვე, ამიგომაც ასე ამთავრებს იგი თავის ლექსს-სადღეგრძელოს...

ეს... დაჯუბრუნდეთ ზემოთ თქმულს; ნარკვევის დასასრულს წერია : „ფორმის თვალსაზრისითაც გიორგი შარვაშიძის პოეზია მაღალ დონეზე დგას. მისი სახეები ორიგინალური და მოულოდნელია, რიგში – მომხიბლავი, სიგყვა ნათელი და მეუსვლელი. ქართული მხატვრული სტილის განვითარებაში გიორგი შარვაშიძეს თავისი წვლილი აქვს შეტანილი“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფ. პროკოპი რაგინის მოგონება: 1946 წელს სოხუმში გარდებოდა გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე. ამ კრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოხუ-

მის ინტელიგენციაზე — აფხაზურზე და ქართულზე. „ჩვენთვის მაშინ პირდაპირ აღმოჩენას უდრიდა იმის გაგება, რომ აფხაზმა მთავრებმა შესანიშნავად იცოდნენ ქართული ენა და ოფიციალურ მიწერ-მოწერას ქართულად აწარმოებდნენ. გიორგი შარვაშიძე თავის თავს „ივერიელს“ უწოდებდა და ამბობდა კიდევ თავისი ქართველობით. მისთვის ქართული ენა და საქართველოს ისტორია პირდაპირ გრფიალების საგანი იყო“.

მართალია, საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ აქვე ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ს. ჯანაშიას მოწაფის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ზურაბ ანჩაბაძის აზრით, „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია სამართლიანად უნდა ჩაითვალოს აფხაზეთის ისტორიული წარსულის შესწავლის ფუძემდებლად“ (პ. რატიანის წერილიდან).

თ. ხ.: ჩვენ კი ჩვენი საუბრის ბოლოს, რომელიც მიემდვნა აკად. ს. ჯანაშიას, როგორც ენათმეცნიერს, გვსურს გავიმეოროთ დიდი ივანეს მიერ თქმული: ჩვენში „ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოსებ ყიფშიძის, პროფ. აკაკი შანიძისა და პროფ. გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროო გარდაცვალების გამო, უდიდესი გვირთი ორ უკანასკნელს დააწვა. მოკლე ხანში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნისმეცველების ფაკულტეტის სამეცნიერო დარგზე გაწრთენილი მკვლევარნი ამოუდგნენ: პროფესორები არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია“ (გვ. 79).

გ. ბ.: როგორც ხედავთ, ბ-ნი ივანე ჩვენს უპირველეს ენათმეცნიერთა გვერდით ასახელებს ბ-ნი სიმონს და ეს არაა შემთხვევითი. დიახ, ასეა. ჩვენ კი არაფერი გვითქვამს ბ-ნი სიმონის ბრწყინვალე ნაშრომებზე, როგორცაა „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, „სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“ და რამდენი ასეთი. ხოლო ს. ჯანაშია ისტორიკოსი — ეს ხომ ეპოქაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. შეუდარებელია ს. ჯანაშია როგორც მეცნიერების ორგანიზატორი. მხოლოდ მოგს ჩამოვთვლით:

1935 წლიდან საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და პროფესორი;

1936-41 წლებში ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი;

1939 წ. ის დაინიშნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ;

1941 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებიდან იგი ამ აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტია;

1941 წლიდან ს. ჯანაშია ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების დირექტორია, 1943 წლიდან გარდაცვალებამდე კი — ისტორიის ინსტიტუტისა.

აკად. გიორგი ჩიგაია იგონებდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი აკად. ნ. მუსხელიშვილი ნახევრად ხუმრობით იგ-

ყოდა ხოლმე, რომ ჩვენს აკადემიას ორი პრეზიდენტი ჰყავსო. გულიხსმობდა რომ კუმანიტარულ დარგში ნამდვილი ხელმძღვანელი ს. ჯანაშია იყო.

თ. ხ.: დიახ. როგორც ვთქვით, ბ-ნი სიმონი მეტად ადრე აღესრულა. სულ 47 წლისა. მან იმდენის გაკეთება მოასწრო ქართული მეცნიერებისათვის, რომ მაღლიერმა ქართველმა ხალხმა იგი მთაწმინდის მიწას მიაბარა.

გ. ბ.: ჩვენს მასწავლებლებს, გარდა დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობისა, გააჩნდათ კიდევ ერთი რამ, რაც XIII საუკუნის ერთი ქართველი მოღვაწის საყვარელი გამოთქმა ყოფილა: „დიდ არს ძალი სიყვარულისაჲ“. მეცნიერებისა და თავისი ხალხის ამ სიყვარულმა შეაძლებინა ბ-ნი სიმონსაც დიდი ისტორიკოსის გვერდით, მისი დიდი მასწავლებლის მსგავსად, დიდი ენათმეცნიერიც ყოფილიყო¹.

2. ს. ჯანაშია და დაღესტნური ენები

ბ-ნი აკაკისა და ბ-ნი სიმონის ნაკვლევს ეყრდნობა ჩვენი ზემოთ მოყვანილი შრომა: „ა. შანიძისა და ს. ჯანაშიას ერთი ეტიმოლოგიური ძიების თაობაზე“ (XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003, გვ. 21–22).

1. 1929 წლის 1 აგვისტოს ს. ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის პირად ბარათში აცნობებდა: „ამ დღეებში მივდივარ ყაბარდოში... მსურს ორი კვირა ყაბარდოელებთან გაეატარო, დანარჩენი – ბათალფაშინსკის რაიონში და ქისტეთში. თუ მოეახერხე, განმრახვა მაქვს დაღესტნისკენაც გავიარო, მოგიერთი სპეციალური საკითხების დასამუშავებლად (ხუნძურგე სამუშაოდ მიდის არნ ჩიქობავა)“.

2. ს. ჯანაშიას ამ სურვილსა და გეგმას 12 აგვისტოსვე მასწავლებელი ვრცელი ბარათით უპასუხებს, სადაც მეტად საინტერესო არაერთ მომენტთა შორის შემდეგეცაა: „ჩემს ნატვრასაც მოგახსენებდით: სასურველია თანამედროვე ცოცხალი ენის შემსწავლელმა და მკვლევარმა ენა იმდენად შეითვისოს, რომ ამ ენაზე საუბარი შეეძლოს და უთარჯიმნოდ აწარმოოს კვლევა-ძიება. უცხო ენის დახმარებით ნაწარმოები დაკვირვება, რა თქმა უნდა, უშუალო დაკვირვებას ვერას დროსა და ვერას გზით ვერ შეედრება“.

ასე რომ, ს. ჯანაშიას იმდროინდელი მოგზაურობა წმინდა ლინგვის-

1. გამ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2000, დეკემბერი (№ 13), გვ. 3–4.

ტური ხასიათისა გახლდათ, თუმცა, ჩერქებულ ენაზე დაკვირვებათა გარდა, მეცნიერი დაკავებული იყო ამ კუთხის „ეთნოგრაფიული მასალის შეკრებითაც“. ასეთივე ინტერესი აქვს მკვლევარს დალესტნურ ენათა მიმართ. მაგალითად, როგორც ამას მისივე შეკრებილი მასალა ცხადყოფს, „ჯვარის“ აღმნიშვნელი ლექსემები დაუფიქსირებია იმ ენებში, რომელთა მასალასაც ის გასცნობია. „ექსპედიციის დღიურში“ არაერთია სხვადასხვა ხალხის ადგილობრივი სახელწოდებანი, მათ შორის „ქართველისაც“.

3. დალესტანს ს. ჯანაშიას დაბეგრვითი ხასიათის ექსპედიციამ, ს. ჯანაშიასავე „ექსპედიციის დღიურის“ მიხედვით (22. VIII–1.IX), მოიყვანა რამდენიმე რეგიონი: დარგულებით დასახლებული ლევაში, ხუნძებით დასახლებული აული ღუნიბი და ლაკთა მთავარი აული ყამი-ყუმუხი ანუ ღუმუქი.

მკვლევრის დაკვირვების სფეროში მოქცეულია იმ აულთა მეტყველება, რაც პ. უსლარის ცნობილი მონოგრაფიების ყურადღების მიღმაა დარჩენილი. მაგ., დარგუელი ენის ურახული დიალექტის ნაცულად, ს. ჯანაშიასთან ლევაშური მეტყველებაა დაკვირვების საგანი, რომელიც ახუმურ დიალექტს მიეკუთვნება (თუმცა ჯანაშიამხი-ს მეტყველება, საიდანაცაა მისი მთქმელი, ურახული დიალექტის წარმომადგენელია), ხოლო ლაკური ენის ვიცხიური დიალექტის ნაცულად, ღუმუქური, რომელიც დღეს სამწერლობო ლაკურის საყრდენია. ჩრდილო-ხუნძურს იკვლევდა პ. უსლარი (ასევე ა. შიფნერიც), რომლის ინფორმატორი სოფ. ჰირკეიდან იყო, ამ უკანასკნელის მეტყველება კი ხუნძურ დიალექტს განეკუთვნება, როცა სოფ. ღუნიბში ს. ჯანაშია სოფ. ჰუხ-ის მკვიდრისგან იწერდა მასალას. 1929 წელს არნ. ჩიქობავა ამავე სოფელში იწერდა დიალექტურ ტექსტებს, 1941 წელს კი – აქვე და აულ ჰუხ-ში.

ასე რომ, ს. ჯანაშია ქართველ მეცნიერთაგან პირველია, რომელმაც დალესტნურ ენათა ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფის ენობრივი მასალა (მართალია, მოცულობით მცირე) მოიპოვა ადგილზე.

4. ს. ჯანაშიას „ექსპედიციის დღიურის“ ჩანაწერების ცალკეული ფრაგმენტები ყურადღებას იმსახურებს დარგულისა და ლაკურის ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ ლექსიკის სფეროში. ზოგი ნიმუში:

ა) ძალზე საყურადღებოა ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გამოვლენა დარგუულსა და ლაკურში:

დარგ. კუელ „ორი“, კუავი „კისერი“, მაყუეე „ფესვები“ (შდრ. მაყ „ფესვი“; სალიგ. დარგ. მაყ), დარგუან „დარგუელი“ და სხვა – თითქოს არ უნდა ყოფილიყო ლევაშურში (რომელიც ახუმურ დიალექტს განეკუთვნება და დელაბიალიზაციით უპირისპირდება ყველა სხვა კილო-თქმას), მაგრამ, როგორც შემთხვევით, მისი მთქმელი ურახული დიალექტის წარმომადგენელია, სადაც ლაბიალიზებული თანხმოვნები დღესაცაა.

ს. ჯანაშიას მიერ ღუმუქში ჩაწერილი კუანუ „ადგილი“, გუალი/გუალ-

ლუ „პაგრონი“, ილაქსუ „წინასწარმეგყველი“, ნახუ „მდინარე“ და სხვა ამ რიგისა დღესაც დასტურდება სამწერლობო ლაქურში, რომლის საყრდენი ლუმუქური მეგყველებაა.

ბ) ძ და ჯ ფონემების შემცველი ლექსემები ფიქსირებულია ს. ჯანაშიას ჩაწერილ მასალაშიც: ძი „მარილი“, ცუამაძი „მამაკაის სახელი“, ძიძი „ქალის სახელი“... ჯიმი „ბავშვის (მამრ.) სასქ. ორგანო“, გურჯი „ქართველი“, ჯანგამახი „მიკეპების (ებრაელების) გომია, დარგუელები“, მეღმ. „ჯანგახუგორი“.

გ) ნაეარაუდევია ზოგი ლექსემის წარმომავლობა, ბგერობრივი იგივეობა თუ სემანტიკური სიახლოვე:

ხუნძ. ყუარყ „ბაყაყი“; შღრ. ქართ. მყუარი... (ამ ხმაბაძებით ლექსემათა გვერდით აქვე შემოვა ანდიურ ენათა სათანადო მასალა); ლაკ. ნახუ „მდინარე“; შღრ. ნახურა, ალბათ, ლეხურა „მდინარის სახელწოდება“... (აქვე შემოვა ზოგი დაღესტნური ენისა და ქართულის სათანადო მასალა)... ხუნძ. ბაყ. „მზე“ – ჩაჩნ. მალხ და სხვ. ამ რიგისა.

დ) როგორც ერთ-ერთი შენიშვნიდან ჩანს (შრომები, III. 81), ს. ჯანაშიას მოხსენება გაუკეთებია სიგყვა თამაღ-ის შესახებ (ეს მოხსენება, სამწუხაროდ, მის არქივში არ აღმოჩნდა). დაღესტნურ დღიურებში მოყვანილია რამდენიმე დაღესტნური ენის მასალა: დარგ. თამაღა „პატივსაცემი მოხუცი“, ხუნძ. თამაღა „ქორწილის, ნადიმის გამგე“, ჩეჩნ. თამაღა „უხუცესი, საპატიო პირი“. ვ. აბაევისეული ლექსიკონის სიგყვა-სტაგიაში თამაღა დაღესტნურ ენათა ეს მასალა (და სხვა) გათვალისწინებული არ არის. ამდენად, ს. ჯანაშიასეულ ამ მასალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს¹.

1. (გ. თოფურიასთან ერთად). არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, სესია ეძღვნება ს. ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავს, თბ., 2000, გვ. 24–26.

ვარლამ თოფურია

(8. I. 1901. – 21. VIII. 1966.)

1. ვარლამ თოფურია და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყარო

1. 1933 და 1936 წლები იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაში განსაკუთრებულია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნ. ჩიქობავა აარსებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კათედრას (მამინ კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა კათედრად წოდებულს), ხოლო ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტში – სათანადო განყოფილებას, რითაც ჩვენში საფუძველი ჩაეყარა მთის იბერიულ-კავკასიური ენების გვეგამომიერ კვლევას.

ორსავე შემთხვევაში არნ. ჩიქობავას გვერდით ედგა ვარლამ თოფურია. მან იკისრა თბილისის სახ. უნივერსიტეტში ლაკური ენის კურსის ჩამოყალიბება და გაძღოლა, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სათანადო განყოფილებაში ლაკურის მეცნიერული შესწავლა.

2. ცნობილია, რომ ქართულ ენათმეცნიერთა სამეცნიერო მიეწინება დაღესტანს 1929 წელს შედგა (არნ. ჩიქობავასი – ხუნძურ ენაზე, ხოლო ს. ჯანაშიასი – დაბეურეთი ხასიათისა – ხუნძებით დასახლებულ ღუნიბში, ლაკთა მთავარ აულ ღუმუქსა და დარგულებით დასახლებულ აულ ღევაშში). ცოტა მოგვიანებით ამ მუშაობაში ჩაერთო ვ. თოფურიაც. მამინ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი, ავტორი ცნობილი კაპიტალური მონოგრაფიისა „სვანური ენა. I. გზნა“ (1931 წ.). ვ. თოფურიამ დაკვირვების ობიექტად ლაკური ენის ღუმუქური მეტყველება გაიხადა, რადგან ეს უკანასკნელი გახლავთ სალიტერატურო ლაკურის საყრდენი. ბატონი ვარლამი ღუმუქში შეკრებილ მასალას ამოწმებდა და აესებდა ქ. თბილისშიც, სადაც იმ დროს ბევრი ლაკი ცხოვრობდა.

3. განუზომელია ვ. თოფურიას ღვაწლი ლაკური ენის მეცნიერულ შესწავლაში, თუმცა მისი ნაშრომი ლაკურის შესახებ სულ რამდენიმეა. ამ შრომებში, რომლებიც მან მიუძღვნა ლაკური ენის აგებულების ცალკეუკ მხარეს, ბევრია ახალი, პირველხარისხოვანი და გზამკვლევი ხასიათისა. ამიგომ სრულებით ბუნებრივად გვეჩვენება ხშირად ზოგი მკვლევარის მითითება მის ცოცხალ სიგყვაზე, დაუსტამბავ ნაშრომზე, როგორც დაბეჭდილ შრომაზე. ესაა ნ. ანდლულაძის, ი. აბულაევის, ა. აკიევისა და სხვათა ნაშრომებში.

4. ბატონი ვარლამის შრომათა წყალობით ნათლად წარმოჩნდა, თუ რა კერძო და ზოგადენათმეცნიერული ინტერესი ახლავს ლაკურის შესწავლას. მაგ., ვ. თოფურიამ დამაჯერებლად აჩვენა:

ა) ლაკურში ხმოვანთა სიგრძე მდგომარეობითია (პოზიციური) და არა ბუნებრივი;

ბ) ლაკურში II გრ. კლასი მეორეულია – შედეგი „სოციალური მდგომარეობის გადაფასებისა“;

გ) რამდენიმე ათეული ბრუნვის ფორმიდან ლაკურში ძირითადია, ნამდვილია სამი (ოთხი, თუ წოდებითს ჩავთლით);

დ) ე. წ. „მეორე ფუძის“ მექანიზმი.

თანდებულებიან ბრუნვათა მრავალფეროვნება შედეგია იმისა, რომ ლაკურში გზნისწინი არა აქვს (გზნისწინებს იგივე ფუნქცია აქვთ გზნაში, რაც თანდებულებს სახელებში).

მეტად ფასეულია ე. თოფურიასეული დაკვირვება ამა თუ იმ სახელის (განსაკუთრებით ახალ შემოსულთა) გარკვეული გრამაგიკული კლასისადმი განკუთვნიების შესახებ; ყურადღებას იქცევს სხვა არაერთი საკითხიც.

5. ბაგონი ვარლამის ცნობილი დებულება დ-/თ- გაქვევებული გრ. კლასის ნიშნის თაობაზე ქართულში აღმოჩენათა რანგში ასაყვანი განზოგადებაა; აქ ჩანს შემორჩენილი (დე-გ, თ-ქუ < *დ-ქუ) კლასოვანი უღელილების კვალი (დე-გ გარდაუვალი გზნაში სუბიექტის გრ. კლასი აღინიშნება, ხოლო გარდამავალში (თ-ქუ) – უახლოესი ობიექტისა).

6. ე. თოფურია იბერიულ-კავკასიური თეორიის მიმდევარი და დამცველი გახლდათ. ამიგომაც იყო, რომ იგი მთის იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემებს უხმობდა ხოლმე ამა თუ იმ საკითხის დასასაბუთებლად იქაც კი, სადაც თითქოს წმინდა ქართულ-ქართველური მოვლენა იყო კვლევის საგანი. მაგ, ე. თოფურია ქართველურ ენათა ნ (ლ) ფენას (Vნ, Vლ რიგისას) პარალელურს უძებნის ჩეჩნურ-დაღესტნურ ენებში. ან კიდევ: გრძობა-აღქმის გიჰის გზნებთან სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი რომაა ქვემდებარე, იშველიებდა სათანადო მასალას ლაკურიდან, ხუნძურიდან, ბოთლიხურიდან. . .

7. ყველგან ნათლად ჩანს ე. თოფურია, არა მარგო მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროს დიდი მკვლევარი, არამედ მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობით მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ერთი დიდი მოთავეთაგანი¹.

1. აკად. ვარლამ თოფურიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის მასალები, თბ., 2001, გვ. 5–6.

ბ-ნი ვარლამისადმი მიძღვნილი ჩვენი სხვა შრომებიც:

1. В.Т. Топуриа и лакский язык. – კრ. „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“, თბ., 1980, გვ. 7–14.

2. ინფიქსურ კლასონიშანთა ცვლილებისათვის ლაკურში. – კრ. ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ. 150–156.

3. პირის დაბოლოებანი და გზნის უღელილების გიჰები ლაკურში, – კრ. „საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983, გვ. 227–239.

4. ვარლამ თოფურია და ლაკური ენის შესწავლის მოგი საკითხი. – კრ. „ვარლამ თოფურია“, თბ., 2001, გვ. 62–69.

5. ე. თოფურია – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი, ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2001, № 2, გვ. 33–49.

6. ვარლამ თოფურია – 100. – კავკასიის მაცნე, თბ., 2001, № 4, გვ. 223–224.

2. კვალი წარუმლელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი ივანე ჯავახიშვილის განცხადებით, „დაარსების პირველ დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის შესწავლა ჰქონდა დასახული“.

ამდენად, ბუნებრივად იყო, რომ ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის სფეროში, ქართველურ ენათა გარდა, იმთავითვე მთის იბერიულ-კავკასიური ენებიც შემოვიდა. აკაკი შანიძე იკვლევდა წოვა-თუმურს, არნოლდ ჩიქობავა – ხუნძურს, სიმონ ჯანაშია – აფხაზურს, ვარლამ თოფურია – ლაკურს.

ვარლამ თოფურიას მიენდო საუნივერსიტეტო კურსის შექმნა ლაკურ ენაში: სათანადო გამოცდილება სრულიად არ იყო; ლაკური ენა, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, უმაღლეს სასწავლებელში არასოდეს არ იკითხებოდა.

პროფ. ვ. თოფურია ლაკურს ადგილზე 1933-1934 წლებში სამეცნიერო მივლინებებში ყოფნისას სწავლობდა. აქამომდე არსებული შრომები ლაკური ენის შესახებ ა. შიფნერის, ფრ. მიულერის, რ. ერკერტისა თუ ა. დირისა, პ. უსლარის ცნობილ მონოგრაფიას ეყრდნობოდა, რომელიც ეიცხიურ დიალექტზეა დაფუძნებული, ვ. თოფურიამ კი ღმუჭურის მეტყველება შეისწავლა. სწორედ ეს უკანასკნელია დღევანდელი სამწერლო ლაკური ენის საყრდენი.

ასეთი ინტენსიური მუშაობა აისახა მის მიერ წაკითხულ მოხსენებებში: 1. ზმნის აღნაგობა ლაკურში (1935 წ.), 2. ლაკური ენის ბგერითი სისტემა და ფონეტიკური პროცესები (1937 წ.), 3. ლაკური ენის შესწავლის ისტორია (1938 წ.), 4. ლაკური ენის დიალექტები (1940 წ.) და სხვ.

ამიგომაც გასაგებია, როცა აკად. ივანე ჯავახიშვილი თავისი კაპიტალური მონოგრაფიის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობის“ წინასიტყვაობაში წერს: „მეტადრე 3 მკვლევრის, პროფ. ვ. თოფურიას (ლაკურისათვის), პროფ. არნ. ჩიქობავას (ხუნძურისათვის) და პროფ. ს. ჯანაშიას (აფხაზური და სინდური ენებისათვის) დახმარებით ვარდავალებული“.

1940 წელს დაისტამბა ვ. თოფურიას ცნობილი გამოკვლევა „ბრუნების სისტემისათვის ლაკურს ენაში,“ რომელშიც მყარ მეცნიერულ საფუძველზე (ამ ენის შესწავლის ისტორიაში პირველად) დადგენილია ძირითადი და ადგილობრივი ბრუნებები, მოცემულია ზოგიერთი თანდებულის გენემისი. აქ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ პ. უსლარი ლაკურში 49-50 ბრუნვას გამოყოფდა; აქედან ლაკურში ნამდვილი, ძირითადი ბრუნვა სამია (ოთხი, თუ წოდებითს ჩავთვლით). იმ 12 ბრუნვიდან, პ. უსლარი რომ ძირითად ბრუნვებად გამოყოფდა, რვა – თანდებულიანი აღმოჩნდა.

ამრიგად, როგორც აკად. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, და სამართლიანა-

დაც, „დაიძლია ფანტასტიკური მრავალფეროვნება და თავისი ადგილი იპოვა ბრუნვამაც და მასთან შერწყმულმა თანდებულმაც (თუ გმნისართმაც). ამას თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა (მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლისათვის) და პრაქტიკული ლაკურის სკოლებისათვის (ვ. თოფურიას კვლევის შედეგები საფუძვლად დაუდევთ სასკოლო გრამატიკაში ბრუნების სწავლებისათვის)“.

ფრიად საყურადღებოა ამავე გამოკვლევაში გამოთქმული ერთი მოსაზრებაც: ლაკურში თანდებულიან ბრუნვათა მრავალფეროვნება და მისი ხშირი გამოყენება იმისი მიზეზი, რომ ამ ენაში სრულებით არ იხმარება გმნისწინი. მამასადამე, გმნისწინი გმნაში იმავე მორფოლოგიური დანიშნულებისაა, რაც სახელებში თანდებულებს ჰქონდათ. ამ ფონზე ნათელია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ქართულში ზოგი თანდებულისა და გმნისწინის საერთო წარმომავლობის შესახებ.

მეორე გამოკვლევა „გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში“ გამოქვეყნდა 1942 წელს. ძირითადი დებულება ამ შრომისა ასეთია: ლაკურში გვექონია სამი ძირითადი გრამატიკული კლასი: 1. გონიერი არსების – ადამიანის კლასი (აქედან წარმომობილა შემდეგ: „გონიერი არსების მამრობითი“ და „გონიერი არსების მდედრობითი“), 2. „არაგონიერი არსების – არაადამიანის კლასი“, 3. ნივთის კლასი. გაკეთებულია დასკვნა: ლაკურში მეორე გრამატიკული კლასი მეორეულია – შედეგი „სოციალური მდგომარეობის გადაფასებისა“. მომხდარა საკლასიფიკაციო პრინციპთა აღრევა, რის გამოც ენაში გრამატიკულ კლასთა რაოდენობა გაზრდილა.

ბატონი ვარლამი ლაკურ და, საერთოდ, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებს ხშირად უკავშირებდა ქართულ-ქართველური ენების შესაბამის მასალას. 1941 წელს მან წაიკითხა მოხსენება „ლაკურისა და ქართველური ენათა ლექსიკურ-გრამატიკული პარალელების შესახებ“, ხოლო 1960 წელს – „სინტაქსური კონსტრუქცია ლაკურ ენაში ქართველური ენებთან შედარებით“.

გამოკვლევაში „ქართველური ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (იგი ადრე მოხსენდა მოსკოვში ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესის კავკასიოლოგთა სექციას 1960 წელს) პროფ. ვ. თოფურია პირდაპირ აცხადებს „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური (სამხრული) ჯგუფის ენების – ქართულის, მანურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის...“ შესახებ.

სამწუხაროდ, ვ. თოფურიას შრომათაგან ლაკური ენის შესახებ მხოლოდ ორია დაბეჭდილი¹, რიგი მისი შრომა გამოქვეყნებას ელის. ზოგმა მათ

1. დაიბეჭდა მესამეც: „გმნის აღნაგობა ლაკურ ენაში“ (იქვე, XXX, თბ., 1991, გვ. 107–114.)

შესახებ იყის ცალკეული ძუნწი ანგარიშიდან, მაგრამ საბედნიეროდ, მოსწავლეებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც მისი ლექციები მოუსმენიათ ლაკურ ენაში, ბატონი ვარლამის რიგი დებულება თუ მოსაზრება, ზეპირად წართმობული, შემოუნახავთ და მიუთითებენ მათზე.

ლაკი ენათმეცნიერების ი.აბღულავეისა და ა. აკიევის შრომებში ხშირად ნახავთ მითითებებს ბატონ ვარლამის შეხედულებებზე, იმოწმებენ მის ცოცხალ სიგყვას ისევე, როგორც დაბეჭდილ შრომას და სრულებით ბუნებრივად გვეჩვენა, როცა მათ თავიანთი პირველი მონოგრაფიები, რომლებიც მაჰაჩყალაში დაიბეჭდა, უძღვნეს თავიანთი ძვირფასი მასწავლებლის ნათელ სსოვნას.

ვ. თოფურიბა ლაკი ხალხის დიდი მეგობარი გახლდათ. 30 წელზე მეტი იყო გასული მისი ლაკეთს ყოფნიდან, როცა იქ ჩავედი ლაკური ენის შესასწავლად. ლაკთა უფროსი თაობა განსაკუთრებული სითბოთი იგონებდა მას. ლაკი მეგობრები ბატონ ვარლამს სიყვარულით მეგსახელად კიალა ბაკ „ჭალარა თმიანს“ ეძახდნენ (ბატონი ვარლამი მაშინ მხოლოდ 32 წლისა გახლდათ, მაგრამ უკვე გაჭალარავებული).

დაბოლოს, დღევანდელ დღეს არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონ ვარლამის ერთ-ერთი დამახასიათებელი პიროვნული თვისებათაგანი: მისთვის მეცნიერებაში არ არსებობდა ეგრეთ წოდებული „რანგები“, იგი, ასპირანტთან თუ სტუდენტთან დამოკიდებულებაში, მუდამ გულისხმიერი, ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალული და საოცრად ყურადღებიანი ბრძანდებოდა. არასოდეს არ წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან ერთი ასეთი შემთხვევა:

პირველი კურსის ასპირანტი გახლდით. 1964 წელია. ლაკეთში პირველად ვიყავი მივლინებული ლაკური ენის შესასწავლად (ლაკური ენის კურსი, სამწუხაროდ, ჩვენ იმ დროს არ წაგვიტოხვია). სამიოდე თვე დავყავით ლაკებთან და გვიან ჩამოვედი. ბატონი ვარლამი მივლინების ანგარიშს გაეცნო, სადაც ხმოვანთა სიგრძემეც გვეონდა დაკვირვება. იმ დღეებში ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო. თემისების ჩაბარების ვადა იწურებოდა. თემისები ბოლო დღეს მივიტანე ხელმოსაწერად. ბატონი ვარლამი გაეცნო მათ და ბრძანა: თქვენს ანგარიშში ხმოვანთა სიგრძეზე რიგიანი მასალაა, იქნებ მოხსენება იმაზე წაგვიტოხათო. მე შევცბი, დრო არ ითმენდა, თემისები კი თავიდან იყო დასაწერი, რადგან ძველი — სხვა საკითხს ეხებოდა.

რასაკვირველია, არა მითქვამს რა. ბატონმა ვარლამმა, როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინა, აიღო თაბახის სუფთა ფურცელი და წააწერა: შეიძლება დაიბეჭდოს. თან ბრძანა: როცა თემისებს ჩაწერთ და მიიტანთ, რედაქტორს სთხოვეთ ჩემს მაგივრად, თუ სტილისტური ჩასწორება დასჭირდეს — ჩაასწოროსო (რედაქტორი მისი კათედრის ერთ-ერთი წევრი იყო).

თემისები დაწერე. საკუთარ თავს მაინც ვერ ვენდე და პროფესორ

ილია ცერცვაძეს ვთხოვე, გადაეხედა, რის შემდეგაც იგი გადაწერე ბატონ ვარლამის წინასწარვე ეიზადადებულ სუფთა ფურცელზე.

მოგვიანებით კი მივხვდი: ბატონ ვარლამის ასეთი ნდობა აეანსი იყო, დიდი აეანსი მომავალი ჩემი მუშაობისა და, დაე, ჩვენს თაობას, მის მოსწავლეებსა და მოსწავლეთა მოსწავლეებს გაემართლებინოთ იგი, გაემართლებინოთ ის, რაც ჩვენი მეცნიერული და მორალური ვალია.

ეს იქნება ვარლამ თოფურიას, როგორც დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ხსოვნის პატივისცემა².

3. მესაძირკვლე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში ორ დღეს მიმდინარეობდა უნივერსიტეტისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადების 90 წლისთავს.

როცა დიდი ივანე ჯავახიშვილი ქართულ ეროვნულ უნივერსიტეტს საფუძველს უყრიდა, ბევრი იყო სკეპტიკოსიცა და ხელის შემშლელიც... არ სჯეროდათ, რომ შეიძლებოდა იმ გაწყვეტილი ხაზის გაგრძელება, რაც უმაღლესი განათლების სფეროში იყო ჩვენში. ფაზისის, გელათისა თუ იყალთოს აკადემიათა გახსენება, სამწუხაროდ, მხოლოდ კეთილად მოსაგონარი ჩანდა...

აღბათ, მხოლოდ ისეთ პიროვნებას შეეძლო აუხდენლის ახდენა, როგორც დიდი ივანე ბრძანდებოდა. მას, ჩანს, სწამდა ქართველი ხალხის მინაწინებელი სამკვლევრო ნიჭისა, რომელიც მეცნიერების სამსახურში სათანადოდ გაიშლებოდა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა საუკუნეებს მიღმა არსებული უმაღლესი განათლების ასეთი სწრაფი აღმავლობა ჩვენში. ამის დასტურად კი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეცყველების ფაკულტეტის პირველი თაობის სტუდენტობა იკმარებდა. მათგან გამოიკვეთა ის „ოქროს ხუთეული“ (როგორც მათ ა. მანიძემ უწოდა) – შ. ამირანაშვილი, კ. ბაქრაძე, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა და ე. თოფურია, რომელსაც ხედავწილად პატივი (მასთან უდიდესი პასუხისმგებლობაც), გამხდარიყო ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მესაძირკვლე. სწორედ ესენი იყვნენ პირველნი, ჩვენს უნივერსიტეტში რომ დატოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“.

ბატონი ვარლამ თოფურია, თანაკურსელთაგან ყველაზე უმცროსი იყო; იგი დაიბადა აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოში 1901 წლის 8 იანვარს; დაწყებითი განათლება მიიღო ძველი სენაკის სოფლის სკოლაში, შემდეგ კი –

2. იხ: გამ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბ., 1981, 13X, № 122, გვ. 3.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1918 წელს. ვ. თოფურიამ იმავე წელს განაგრძო სწავლა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე.

იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ქართული უნივერსიტეტის მსახური იყო – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – უწინარესად. სწორედ თბილისის უნივერსიტეტში გაიშალა ვ. თოფურიას, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის გაღანტი. მან წარუშლელი კვალი გააველო ქართული საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების ისტორიაში. ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული მკვლევრის მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა ქართველური ენების, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკვანძო პრობლემები.

პირველი ნაშრომი „სინგაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ 1923 წ. ეურნალ „ჩვენს მეცნიერებაში“ დაბეჭდა. უკვე აქ გამოიკვეთა მისი, როგორც მკვლევარის სახე: ნათელი დებულება და მტკიცე არგუმენტაცია შეჯერებული ფაქტობრივი მასალით. ეს მასალა, მეტწილად, ავტორის საველე მუშაობის დროს იყო შეკრებილი. ამ მიზნით, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მას მოვლილი აქვს საქართველოს რაიონები, აგროვებდა დიდძალ ლექსიკურ მასალას. შემდგომაც, 1923 წ. მარნეულისა და დმანისის რაიონებში, ხოლო 1924 წ. ახალციხის, ახალქალაქისა და გორის რაიონებში სწავლობდა ქართულურსა და ჯავახურ კილოებს, 1958 წ. ამავე მიზნით მოიარა რაჭა-ლეჩხუმი...

ქართულ დიალექტოლოგიაში ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით ჩატარებული მუშაობა შემაჯამებელია „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. I, 1961; ი. გიგინეიშვილისა და ი. ქაეთარაძის თანაავტორობით). ეს 700-ზე მეტკვერდიანი ფუნდამენტური შრომა სამაგიდო წიგნია ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ქართული ენის მდიდარი დიალექტური სამყარო.

ახალგაზრდა მეცნიერი მიუღინებით ყოველწლიურად (1925-1928 წ.) მიემგზავრებოდა სვანეთში და მის სხვადასხვა რეგიონში სწავლობდა სვანურს. ისე კარგად დაუფლებია მას, რომ სვანურის თითქმის ყველა კილოზე შესძლებია თავისუფლად ლაპარაკი... შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფია სვანური ზმნის შესახებ, რომელიც, აკად. ა. ჩიქობავას სიტყვებით, „ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართული ენათმეცნიერების ოქროს ფონდში შედის“.

1959 წ. ვ. თოფურიასა და ა. შანიძის თაოსნობით დაარსდა სვანური ტექსტების გამოცემების სერია, გამოქვეყნდა რამდენიმე ტომი...

სწორედ „სვანური ენა. I. ზმნა“ (პირველად გამოქვეყნდა 1931 წ., მეორედ – 1967 წელს „შრომები. I-ის“ სახით), გახლდათ ვ. თოფურიას სადოქტორო დისერტაციის თემა, რომლის წარმატებული დაცვა შედგა 1935 წელს. ერთი წლის შემდეგ იგი აირჩიეს ქართული ენის კათედრის პროფესორად.

1945 წელს ჩამოყალიბდა ახალი ქართული ენის კათედრა, რომლის

გამგელ ვ. თოფურია მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, 1966 წლის 21 აგვისტომდე.

ქართველურ ენათა (სვანური, მეგრულ-ჭანური, ანუ ზანური, ქართული) ზედმიწევნითი ცოდნა, ძველი ქართულის რეალიების ბრწყინვალედ ფლობა და სათანადოდ მოხმობა ვ. თოფურიას ქართველოლოგიურ ნაკვლევს ყოველი ენათმეცნიერისათვის სამაგიდო ნაშრომებად აქცევს. რა საკითხებს არ შეხებია – ქართველურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიიდან დაწყებული მათი ლექსიკით დამთავრებული და ყველგან – საკვლევი ობიექტის ახლებური კუთხით დანახვა-შესწავლა, ან დაზუსტება-განზოგადება...

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უბაღლო მკვლევარი იყო – არა შემთხვევით. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ჩვენს „უნივერსიტეტს, უკვე 1918 წლიდან, დაარსების პირველი დღიდანვე, თავის მიზნად და მოვალეობად ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიის ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“.

ამდენად, ბუნებრივიც იყო, რომ ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის სფეროში, ქართველურ ენათა გარდა, იმთავითვე შემოვიდა მთის იბერიულ-კავკასიური ენებიც: ა. მანიძე იკვლევდა წოვა-თუშურს, ა. ჩიქობავა – ხუნძურს, ს. ჯანაშია – აფხაზურს, ვ. თოფურია – ლაკურს. იგი, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიის დამკველი და მიმდევარი, გამოკვლევაში „ქართველურ ენათა ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (მოხსენდა მოსკოვში ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესს 1960 წ.) პირდაპირ წერდა „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური (სამხრული) ჯგუფის ენების – ქართულის, ზანურისა (მეგრულ-ჭანურისა) და სვანურის...“ შესახებ.

ბ-ნი ვარლამის ინტერესთა სფეროში ერთი უპირველესი ადგილი სალიგერატურო ქართული ენის ნორმალზაციის საკითხებს ეჭირა. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც. 1943 წ. გამოვიდა ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის ქართული ენის სასკოლო „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ 15000-მდე სიტყვით. II (1940 წ.) და III (1949 წ.) გამოცემებს დაემატა კიდევ 4000-მდე სიტყვა... როცა დასრულდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა (პროფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით), შეიქმნა ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის ვრცელი, სრული „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“; ვ. თოფურიასავე რედაქტორობით (მისი გარდაცვალების შემდეგ) დაისტამბა 1968 წელს¹.

1. რომლის მეორე შეესებული გამოცემა (რედაქცია ეკუთვნის ივ. გიგინეიშვილს) დაისტამბა 1998 წ.

ცალკეა აღსანიშნაეი ვ. თოფურია, როგორც ლექსიკოგრაფი. დიღია მისი ლეაწლი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენაში. ის იყო მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მესამე ტომის რედაქტორი. იგი ერთ-ერთი რედაქტორია ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოშვებული რუსულ-ქართული ლექსიკონისა; შემდგენელია რამდენიმე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონისა.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ვ. თოფურია ღიდ ქედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: თბილისის უნივერსიტეტში მას ებარა ქართული ენისა და მორფოლოგიის კურსები, კითხულობდა ენათმეცნიერების შესავალსა და ქართულ ღიალექტოლოგიას, ასწავლიდა სეანურსა და ლაკურ ენებს... ხეღმძღვანელობდა ქართული ენის სტილისტიკისა და ისტორიის სემინარებს. ბნმა ვარღამმა პირვეღმა მოაბზადა და წაიკითხა ქართული ენის სწავღებს მეთოღიკა, მისი ხეღდასმულია ქართულ მეთოღისტთა პირვეღი თაობა... მანვე ჩაუყარა საფუძვეღი ქართული ენის სწავღების მეთოღიკაში მეცნიერულ კეღევა-ძიებას. განსაკუთრებით აღსანიშნაეია, რომ ვ. თოფურიაღ გამოსცა (პირვეღი გამ., 1939 წ.) „ქართული წერის ღეღანი“ (ი. გოგებაშვიღის „წერის ღეღნის“ მიხეღვით), რომელიც დაწყებითი სკოღის სამაგიღო წიგნია ღღესაც.

ღიღია ვ. თოფურიას დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადებაშიც. არა ერთი მისი აღმრღიღი ღღეს მეცნიერებათა კანღიღაღი და ღოქტორია, ღოცენგი და პროფესორი... მათ შორის არიან სხეა ეროვნების წარმოზადგენღებიც. მაგ, ლაკი ენათმეცნიერები ი. აბღულაევი და ა. აკიევი ვ. თოფურიას თაეის ძეირფას მასწავღებღად თეღიან და ამიგომაეც უძღვნეს მის ხსოვნას თაეიანთი პირვეღი მონოგრაფიები. ესოღენ მრავალმხრივ სამეცნიერო-ქედაგოგიურ საქმიანობას ვ. თოფურია წარმატებით უთავსებღა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობასაც. მაგ., 1943-1949 წღებში იგი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღირექტორია, იზავღროულად 1941-1960 წღებში ხეღმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის ქართულურ ენათა განყოფიღებას. სხეადასხეა ღროს მუშაობღა ქუთაისის, გორის ქედაგოგიური და თბიღისის სამასწავღებღო ინსტიტუტების ქართული ენის კათეღრის გამგეღ და სხე.

1944 წ. აირჩიეს ჩეენი რესპუბღიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1946 წ. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპაგიო წოღება. ვ. თოფურია იყო რიგი სასწავღო თუ სამეცნიერო დაწესებუღებათა სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხეღმძღვანელობდა ქართული ენის პრობღემების საკოორღინაციო სამეცნიერო საბჭოს ღღიღან დაარსებისა. მისი ლექციები, ზეპირი საჯარო გამოსვღები ყოვეღთეის შინაარსიანი და მიმზიღვეღი იყო. მეტყვეღების მაღალი კულტურა, ნათეღი ამროვნება და საქმიანი მსჯეღობა შთამაგონებულ გავღენას ახღენღა მსმენეღებზე.

ასეთ ღიდ სამეცნიერო-ქედაგოგიურ ნაღვაწს ამშვენებღა ბ-ნი ვარღამის კეთიღმოსურნე დამოკიღებუღება თაეისი კოღეგებისა თუ მოსწავღეე-

ბის მიმართ. მისთვის მეცნიერებაში არ არსებობდა ე. წ. „რანგები“. ასპირანტთან თუ სტუდენტთან დამოკიდებულებაში მუდამ გულისსმიერი, ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალული და მდემიწვენი თყურადღებია იყო. ამას ყველა გრძნობდა, ვისაც კი პქონდა პატივი მასთან ურთიერთობისა.

გარეგნულად წარმოსადგ და მომხიბვლელ ადამიანს შევერცხლილი თმა, კეთილმოსურნე გამოხედვა, ღიმილი თავისებურ სილამამეს ანიჭებდა, თავისი შინაგანი სულიერი სამყაროს შესაბამისად – უბრალოება, თავმდაბლობა, მოკრძალება და ღიმი გულისხმიერება... ყველა ეს ერთად აღებული გულითად პატივისცემას, სიყვარულსა და მოწიწებას იწვევდა ირგვლივ მყოფებში.

ადრე აღესრულა ბ-ნი ვარლამი... სულ 65 წლისა. ეს ასაკი ხომ მეცნიერისათვის შუაღლეა და მაინც, მან იმდენი მოასწრო, რომ გეწამს, ბევრი რამ, რაც მის ნაწერებშია, კელავ მიახედებს მეკლეეართა მომავალ თაობებს უკან და ყველას დაარწმუნებს, თუ რამდენად უსწრებდა ბ-ნი ვარლამის მეცნიერული წინასწარ ჭერეგა თავის დროს და რამდენად ფასეულია იგი დღესაც².

4. დიდ წინაპართა გაკვეთილები

ღიმი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „გფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის – პროფ. ი. ყიფშიძის, პროფ. ა. შანიძისა და პროფ. გ. ახელედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი იმათგანის, სამწუხაროდ, უდროვოდ გარდაცვალების გამო, უდიდესი გვირთი ორ უკანასკნელს დააწვა. მოკლე დროში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნისმეცველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგში გაწერთნილი მეკლეეარნი ამოუდგენენ პროფესორები არნ. ჩიქობავა, ვ. თოფური და ს. ჯანაშია“.

ამ ამონარიდმა აკადემიკოს გიორგი ახელედიანის ერთი მონათხრობი გამახსენა. მან თავისი დაბადებიდან 80 წლისთავის დღეებში გაიხსენა: ნიკო მარს ვესტუმრე ლენინგრადში და შევთავაზე თბილისში ჩამოსვლა ლექციათა წასაკითხადო, დიდი ენათმეცნიერის პასუხი ასეთი ყოფილა:

თბილისში არ ჩამოვალ, იქ ახჩითოებია ჩასაფრებულო, ე.ი. გიორგი ახელედიანი, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია.

ესაა ოცდაათიანი წლები, როცა ბატონი ვარლამი და ბატონი არნოლდი სრულიად ახალგაზრდები გახლდნენ, არადა, უკვე ცნობილნი და აღიარებულინი. . . ამის დასტურად ხომ ნიკო მარის განცხადებაც კმარა.

2. (არამ მარტინოვთან ერთად). – გაზ. „თბილისი“, 21.VI, № 119, 1991, ვე. 3.

ახჩითოებიო. . . მართლაც და რა წრეა – მასწავლებელი და მისი ორი მოწაფე იმ თაობის სტუდენტთაგან, რომელთაგანაც გამოიკვეთა სწორედ ის „ოქროს ხუთეული“ (როგორც მათ აკადემიკოსი აკაკი შანიძე უწოდებდა) – შალვა ამირანაშვილი, კოტე ბაქრაძე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია – ვისაც ხვდა წილად დიდი პატივი, გამხდარიყვნენ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის მესაძირკველენი.

ნიშანდობლივია ნ. მარისეული დაწყვილებაც – ჩიქობავა და თოფურია. მართლაცდა, ისინი ხომ განუყოფელი ბრძანდებოდნენ, თითქოსდა ავსებდნენ ერთმანეთს. ასეა იმ ცნობილ ფოტოსურათზეც, რომელზედაც აკაკი შანიძესთან ერთად არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია არიან აღბეჭდილნი. აქაც მასწავლებელი და კვლავ ის ორი განუყრელი მოწაფე, ერთმანეთის დიდად პატივისმცემელი და მოსიყვარული.

ამიგომაც იყო, რომ, როდესაც ბატონი ვარლამი გარდაიცვალა, ოთარ ურიდიას მოგონებით, არნოლდ ჩიქობავა თავისი უახლოესი მეგობრისა და მეცნიერებაში თანამებრძოლის ნემსს ჩოქვითა და ტირილით მიეახლაო.

უფროსი თაობის ენათმეცნიერთაგან გაგონილი:

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამომზე უთქვამს:

მართალია, ჩიქობავა ჩემი მოწაფეა, მაგრამ მეც ვარ მისი მოწაფეო.

ასე რომ, მასწავლებლობა – მოსწავლეობა ჩვენს დიდ მასწავლებელთათვის ჩვეულებრივ დიფერენცირებულიცაა და იმაედროულად შერწყმულიც.

ამიგომაც ამ გადასახელიდან ბუნებრივად ჩანს სულ ახლახანს გარდაცული პროფესორის ილია ცერცვაძის ერთი შეგონება.

ვარლამ თოფურიას ასპირანტთა ბოლო თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლდით, როცა ბატონი ვარლამი აღესრულა., ჩემი ხელმძღვანელობა ილია ცერცვაძეს დაევალა. იგი გაეცნო ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ვარიანტს და ავტორუფერატზე ხელმძღვანელის აღნიშვნის დრო დადგა. განმიცხადა: აქ, ბატონი ვარლამის სახელის გვერდით ჩემი აღნიშვნა უხერხულია და არაა საჭიროო, თანაც, იგავად ერთი ცნობილი შემთხვევა გაიხსენა: დიდი და პატარა კატისათვის ორი ხერული გამოაჭრევიანა ერთმა ცნობილმა პიროვნებამ. დიდი და პატარა ხერული...იგავის ქვეტექსტი ნათელია. არადა, ილია ცერცვაძე უკვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ცნობილი მეგრი გახლდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების კლასიკოსია.

კვლავ ოთარ ურიდიას ნაამბობიდან:

1950 წლის ცნობილ საენათმეცნიერო დისკუსიას საქართველოში დიდი გამომხაურება მოჰყვა. იმართებოდა განხილვა-დისკუსიები მეცნიერებათა

აკადემიასა თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არნ. ჩიქობავა ამ დროს შეუძლოდ გახლდათ, მის დებულებებსა თუ თვალსაზრისს ცხარე პაექრობებში ყველგან ბატონი ვარლამი იცაყდაო.

ესეც მისი მორიგი გაკვეთილი.

უნივერსიტეტში ვარლამ თოფურია ერთ-ერთ საენათმეცნიერო მოხსენებას ესწრებოდა. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი ენათმეცნიერები შემოხვეოდნენ და უხსნიდნენ მას, თუ რამდენად აუცილებელია და საჭირო დისკრიბუციული ანალიზი და სტრუქტურული ენათმეცნიერების სხვა ხერხი თუ მეთოდი...

იღვა ბატონი ვარლამი, თავისი ჩვეული ღიმილით უსმენდა მათ და თან რაღაცას უხსნიდა, პასუხობდა. არადა, ასეთი კვლევის რამდენი ნიმუშია მისი შრომების ციკლში „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“! გაეიხსენოთ, თუნდაც „კ და ხ სიბილანგ-აფრიკატებთან მეზობლობაში“...

ჩემთვის და, ალბათ, ბევრი იქ მყოფისათვის ბატონი ვარლამის ასეთი წყნარი, აუღელვებელი ახსნა-განმარტებანი დაუმსახურებელი მითითებების მიცემის გაკვეთილი გახლდათ.

მორიგი გაკვეთილი მე ჩამიგარდა:

პირველი კურსის ასპირანტი ვახლდით. 1964 წელია. ლაკეთში პირველად ვიყავი მივლინებული ლაკური ენის შესასწავლად. სამიოდე თვე დაეყავი ლაკებთან და გვიან ჩამოვედი. ბატონი ვარლამი მივლინების ანგარიშს გაეცნო, სადაც ხმოვანთა სიგრძემეც მქონდა ჩემეული დაკვირვება. იმ დღეებში ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო. მოხსენების თემისების ჩაბარების ვადა იწურებოდა. თემისები ბოლო დღეს მივიტანე ხელმოსაწერად. ბატონი ვარლამი გაეცნო და ბრძანა: თქვენს ანგარიშში ხმოვანთა სიგრძემე რივიანი მასალაა, იქნებ, მოხსენება ამაზე წაგკითხათო: მე შეეცბი, დრო არ ითმენდა, თემისები კი თავიდან იყო დასაწერი, რადგან ძველი სხვა საკითხს ეხებოდა. რასაკვირველია, არა მითქვამს რა. ბატონმა ვარლამმა, როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინა, აილო თაბახის სუფთა ფურცელი და წააწერა: შეიძლება დაიბეჭდოს.

თან ბრძანა: როცა თემისებს ჩაწერთ და მიიტანთ, რედაქტორს თხოვეთ ჩემს მაგივრად, თუ სტილისტური ჩასწორება დასჭირდეს, ჩაასწოროსო.

პირველად რა თქმა უნდა სიამაყემ შემეპყრო. გავიფიქრე, ხელავეთ, როგორ მენდობიან და თანაც ვინ, თვით ბატონი ვარლამ თოფურია-მეთქი, რომელიც ცნობილი ვახლდათ თავისი პუნქტუალობით. მოგვიანებით კი მივხვდი: ბატონი ვარლამის ასეთი ნდობა აეანსი იყო, ჩემი მომავალი მუშაობის დიდი აეანსი და, იმაედროულად, დიდი გაკვეთილიც.

ამასთან, ცნობილია, რომ ბატონი ვარლამი მეტად მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ უაღრესად სამართლიანი ვახლდათ, როგორც პედაგოგი-ლექტორი. ამონარიდი ქუქუნა ნუფარიძის წერილიდან „სულმნათი“:

ვარლამ თოფურია, „სწავლების უბადლო ოსტატი, არასოდეს მოგავედა

სამუშაო დროს, უცოდინარობას კი არავის აპატიებდა. ჭეშმარიტება იყო მისი გრძნობაც, სიგყვაც და საქმეც. ერთ სტუდენტს (რომელმაც ენაში გამოცდა ვერ ჩააბარა და სტიპენდია მისი საარსებო საშუალება იყო), მართალია, ორიანი დაუწერა, მაგრამ მთელი სემესტრის განმავლობაში თვითონვე უხდიდა იმდენივე თანხას”.

კიდევ ერთი ამონარიდი, ოღონდ უფრო ვრცელი, თამარ ზურაბაშვილისა და ცირა კალაძის წერილიდან „მასწავლებელი“:

„ასპირანტურა რომ დავამთავრეთ და მუშაობა ვერ დავიწყეთ, ეს ჩვენზე მეტად ბატონ ვარლამს აწუხებდა. ამაზე არასდროს ლაპარაკობდა, მაგრამ ეს ვიგრძენით, რადგან რამდენჯერმე ცალ-ცალკე გამოგვიკითხა ჩვენი ოჯახების შემოსავლის თაობაზე. ჩვენც, რასაკვირველია, მომხიბვლელ ფერებში დაეუხაგეთ ჩვენი „მატერიალური უზრუნველყოფა“.

ერთ დღეს შინ დაგვიბარა, რაღაც მარტივი დავალება მოგვცა და კონვერტი გადმოგვცა – ეს ასპირანტის ხელფასზე მეტი არ არის, მაგრამ... სანამ სამსახური მოხერხდება... უჭირდა ლაპარაკი. ჩვენ თავმარი დაგვეცა, როცა მივხვდით, რამიც იყო საქმე და გაეპროტესტეთ. ჯერ დავიწყება, ეცადა დავერწმუნებინეთ, რომ მისი გადაწყვეტილება მართებული იყო, მერე დაგეტუქსა (პირველად და უკანასკნელად: „ბოლოს და ბოლოს, მე მაქვს უფლება გიბრძანოთ“). შვილიც – ჩვენი მეგობარი – მოიხმო მოსაშველებლად, მაგრამ „ჩვენდა სასახელოდ“ უნდა ითქვას (მაშინ ამის გამო ძალიან ამაყები ვიყავით), ბატონ ვარლამის „ბრძანებას“ არ დავემორჩილეთ.

გავიდა ცოტა ხანი და ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაგვიბარეს: ის დაეალება, ბატონმა ვარლამმა რომ მოგვცა, ხელშეკრულებით უნდა გაეაფორმოთ და ხელფასსაც მიიღებთო. ჩვენ სიხარულით, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, ვიღებდით ამ ფულს რამდენიმე თვის განმავლობაში და მხოლოდ გვიან მივხვდით, რომ ეს იყო ბატონი ვარლამის საინსტიტუტო ხელფასი, რომელსაც ჩვენ გვინაწილებდა და ინსტიტუტის სწავლული მდივანი და მოლარეც მისი თხოვნით დიდი გულმოდგინებით ნიღბავდნენ (უწყისი, ხელის მოწერა და ა. შ.) ამ „ავანტიურას“.

რა იყო ეს? მამამშვილური ბრუნვა? – შეიძლება, მაგრამ უნდა ვალიართოთ, რომ ჩვენ ეს გრძნობა მაშინ არ გვქონდა, იმიტომ, რომ ეს უფრო მეტი იყო, უფრო მაღალი, უფრო გამჭმენდი. ქველმოქმედება? ეს და ბევრი სხვაიც ისე ხდებოდა, რომ ქველმოქმედების არსს აღემატებოდა, სხვა აქცენტები კეთდებოდა – მწეობის, სულიერების სფეროში”.

ღიას, მართალი ბრძანდებიან ქალბატონები, როცა ბატონი ვარლამის ამ ჩვევას მწეობის, სულიერების სფეროს უკავშირებენ. დღევანდელ, ძალზე შეჭირვებულ საქართველოს კი როგორ სჭირდება ასეთი მაღალმწეობრივი გაკვეთილები.

და კიდევ ერთი გაკვეთილის თაობაზე, რომელიც აგრეთვე ვარლამ თოფურიას სახელს უკავშირდება:

1979 წლის ივნისში ჩერქესკში ჩაგარდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი VIII რეგიონალური სამეცნიერო სესია, რომლის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ ბესარიონ ჯორბენაძე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი, შემდეგ კი ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

ერთ დღეს მასპინძლებმა დაგვპატიეს სტუმრად ერთ-ერთ აულში. მასწავლებელთა სადღეგრძელო იყო, თუ ბესარიონ ჯორბენაძემ მოითხოვა ეს, კარგად არ მახსოვს, მაგრამ ის კი ნათლად ჩამრჩა გონებაში, თუ როგორი სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა მან ბატონ ვარლამზე და ბოლოს, სასმისით ხელში, მისი ხსოვნის სახელის წინაშე დაიჩოქა... უფრო გუსტად, მოწყვეტით ჩაიჩოქა. აი, ისე, ჩაუქმა მოცეკვავეებმა რომ იციან ხოლმე... ჩვენი ბესო – იმ წუთებში იყო ანთებული, გულწრფელი, მოსიყვარულე და რომანტიკოსი... დიახ, რომანტიკოსი...

აკადემიკოსი შოთა ძიძიგურიც იქ გახლდათ, ჩვენს ახლოს იჯდა და ასე ბრძანა: რა ბედნიერებააო... იმ წუთებში ყველას გვინდოდა, ალბათ, დაგვეჩოქა ჩვენი დიდი მასწავლებლების, გარდაცვლილებისა თუ ცოცხლების წინაშე, მაგრამ ეს მაშინ მხოლოდ ბესარიონ ჯორბენაძემ შეძლო...

და ბოლოს კიდევ ერთი:

ამ თხუგმედიოდე წლის წინ ვარლამ თოფურიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულს ვამზადებდით. ბესარიონ ჯორბენაძესა და მე უნდა დაგვეწერა საერთო წერილი... მე ჩემი ნაწილი ვავამზადე, ბესარიონმაც მოიგანა თავისი ნაწილი. როცა გავეყანი, ვუთხარი: არა, შენი წერილის შეესება ან გაერცობა არ იქნება... ის ცალკე უნდა დაიბეჭდოს (ასეც მოვიქცეით – ჩვენი წერილები ცალ-ცალკე დაიბეჭდა). მაშინ ასგზის მართალი ვიყავი. ვინც იცნობს ამ წერილს, დაბეჭდილს კრებულში „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“ 1980 წელს (წერილი სარედაქციო კოლეგიის სახელითაა, მაგრამ მისი ერთპიროვნული ავტორი ბესარიონ ჯორბენაძეა) დამეთანხმება – წერილი ობიექტურია და ისეთი, დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით გამსჭვალული, მხოლოდ მის ავტორს რომ შეეძლო... მე მუდამ მეჩვენებოდა, და არც უნდა ჩამეთვალოს იგი გადაჭარბებად, რომ ეს წერილი, ქვეცნობიერად ავტორის ავტოპორტრეტიცაა... ვწერ ამ სტრიქონებს და გონებაში წამოგიტვივდა ბესარიონ ჯორბენაძის მოწაფისა და უახლოესი მეგობრის, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის სიტყვები, მის ხსოვნას რომ უძღვნა:

„მე კელავ თქვენი წერილი მიდევს ბატონი ვარლამ თოფურიას შესახებ... როგორც თქვენ ხედავთ, ბატონ ვარლამს, ისე გიყურებთ თქვენ, ბესიკ ჯორბენაძეს, ის თაობა, რომელიც ბატონ ვარლამ თოფურიას ვერ მოესწრო“.

ესეც ხომ მორიგი გაკვეთილია.

ვარლამ თოფურიას ხსოვნას თავის დროზე ბესარიონ ჯორბენაძემ თავისი

პირველი მონოგრაფია უძღვნა წარწერით: „აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ნათელ ხსოვნას უძღვნის ამ ნაშრომს ავტორი“.

ბესარიონის გარდაცვალებით გამოწვეულ გლოვის დღეებში ეწერდი: „გვჯერა, ანალოგიური წარწერით მიეძღვნება ბატონი ბესარიონის ხსოვნას არაერთი ნაშრომი მისი მაღლიერი მოწაფეებისა თუ „კოლეგებისაგან“. და, აი, სულ ახლახანს დაისტამბა მისი ერთ-ერთი მოწაფის კახა გაბუნიას პირველი მონოგრაფია „მზნისართის წარმოება და ფუნქციები ქართულურ ენებში“.

ჩვენი ნათქვამი ახლა: ამ წიგნის „წინასიტყვეს“ მაღლიერი მოწაფის ასეთი წამძღვარება აქვს: „ბესარიონ ჯორბენაძის ნათელ ხსოვნას უძღვნის ამ ნაშრომს ავტორი“.

რა არის ეს, მხოლოდ იმ ცნობილი ფორმულის გამოვლენა, რომ სიციოცხლე გრძელდება? ესაა, რასაკვირველია, მთავარი: მეცნიერის სიციოცხლე გრძელდება უპირველესად მოწაფეებში (რა თქმა უნდა, მის სამეცნიერო ნაღვაწთან ერთად)... მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ესეც იმ გაკვეთილთა შედეგია, ჩვენი სახელოვანი მასწავლებლები რომ გვიგარებდნენ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით.

ბატონი ვარლამის დაბადების დღეს, 8 იანვარს, ქართული ენის კათედრა, რომლის პირველი და უცვლელი გამგე გახლდათ იგი სიციოცხლის უკანასკნელ დღემდე, თავის საჯარო სხდომებს მართადა ხოლმე გრადიციულად – თითქოს ანგარიშს აბარებდა კათედრა თავის მესაძირკვეს... შემდეგ კი ამ კათედრის წევრის, ბესარიონ ჯორბენაძის ინიციატივით ჩამოყალიბებულმა „საენათმეცნიერო საუბრებმა“ გააგრძელეს ეს გრადიცია. წელს ამ დღისათვის მიძღვნილ მოსაწვევე ბარათში მომხსენებელთაგან ვარლამ თოფურიას უშუალო მოწაფეთა გვერდით მისი მოწაფეთა მოწაფეების გვარებიც იყო ან კიდევ სულაც ისეთნი, ვინც მას მხოლოდ შრომებით იცნობს. ადრე ასეთ დღეს საჯარო სხდომაში მონაწილეობა მიუღიათ ენათმეცნიერებს დაღესტნიდან, ადიღედან, ჩაჩნეთიდან... სხვა რეგიონებიდან. ასე რომ, ვარლამ თოფურიას ხსოვნის დღე ერთი კათედრის საჯარო სხდომიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ჩვენი უნივერსიტეტის გაერთიანებულ საჯარო სხდომად რომ იქცა, ეს უპირველესად ბესარიონ ჯორბენაძის დამსახურებაა. სამწუხაროა, რომ ეს ბოლო სხდომა მის გარეშე ჩატარდა, მაგრამ ხომ მაინც ჩატარდა. აქაც სიციოცხლე გრძელდება და მას უპირველესად ბატონი ვარლამის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები აგრძელებენ. ვფიქრობთ, ისაა მთავარი, რომ ვარლამ თოფურიას გაკვეთილები არ წყდება... ისინი დღესაც გრძელდება!.

5. დიდი ქართველი ენათმეცნიერი – სასიქადელო მამულიშვილი

როცა დიდი ივანე ჯავახიშვილი ქართულ ეროვნულ უნივერსიტეტს საუბედობებს უყრიდა, ბევრი იყო სკეპტიკოსიცა და ხელისშემშლელიც. არ ჯეროდათ, რომ შეიძლებოდა იმ გაწყვეტილი ხაზის გამართლება, რაც უმაღლესი განათლების სფეროში იყო ჩვენში. ფაზისის, გელათისა თუ იყალთოს აკადემიათა გახსენება, სამწუხაროდ, მხოლოდ კეთილად მოსაგონარი ჩანდა.

ალბათ, მხოლოდ ისეთ პიროვნებას შეეძლო აუხდენელის ახდენა, როგორც დიდი ივანე ბრძანდებოდა. მას, ჩანს, სწამდა ქართველი ხალხის მინაელებული სამკვლევრო ნიჭისა, რომელიც მეცნიერების სამსახურში სათანადოდ გაიშლებოდა. სხვაგვარად იქნებოდა საუკუნეების მიღმა არსებული უმაღლესი განათლების ასეთი სწრაფი აღმავლობა ჩვენში. ამის დასტურად კი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი თაობის სტუდენტობაც იკმარებდა. ამათგან იყო, რომ გამოიკვეთა ის „ოქროს ხუთეული“ (როგორადაც მას ა. მანიძემ უწოდა) – შ. ამირანაშვილი, კ. ბაქრაძე, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია – ვისაც ხელათ პატივი წილად (მასთან უდიდესი პასუხისმგებლობაც), გამხდარიყვნენ მესაძირკელები ქართული კუმიანიგარული მეცნიერების სხვადასხვა დარგებისა. სწორედ ესენი იყვნენ პირველნი ჩვენს უნივერსიტეტში, რომ დაგოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“.

სულ ახლახანს, 2001 წლის 8 იანვარს, „ამ ხუთეულიდან უმრწემეს, აკადემიკოს ვ. თოფურიას დაბადების 100 წელი შეუსრულდა. ჩვენც ამ დღესთან დაკავშირებით მიემართეთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტს, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს სამეცნიერო დარგში პროფესორ გენადი ბურჭულაძეს და ვთხოვეთ მას, მეგზურობა გაეწია ბ-ნ ვარლამ თოფურიას სამეცნიერო-პედაგოგიურ საუფლოში. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა. მით უფრო, ბ-ნი გენადი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ერთი ბოლო ასპირანტთაგანი გახლდათ. ამ დღეებში თბილისში ჩატარდება ვ. თოფურიასადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, სადაც ბ-ნი ვ. ბურჭულაძე წაიკითხავს მოხსენებას „ვ. თოფურია – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეკლევარი“.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის – პროფესორ ი. ყიფშიძის, პროფესორ ა. მანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო, უდიდესი გვირთი ორ უკანასკნელს დააწვა. მოკლე დროში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგში გაწრთვნილი მეკლევარნი ამოუდგნენ: პროფესორები არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და ს. ჯანაშია“.

ამ ამონარიდმა აკად. გ. ახვლედიანის ერთი მონათხრობი გაგვახსენა. მან თავისი იუბილის დღეებში (80 წლისთავი დაბადებიდან) ერთგან გაიხსუ-

ნა: ნ. მარს ვესტუმრე პეტროგრადში და შევთავაზე თბილისში ჩამოსვლა ლექციების წასაკითხად. დიდი ენათმეცნიერის პასუხი ასეთი ყოფილა: თბილისში არ ჩამოვალ, იქ ახჩითობებია ჩასაფრებულიო. ე. ი. გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია.

ეს ხომ ოცდაათიანი წლებია, როცა ბ-ნი ვარლამი და ბ-ნი არნოლდიო სრულიად ახალგაზრდები გახლდნენ. არადა, უკვე ცნობილი და აღიარებულინი. ამაზე ხომ ნ. მარის ეს განცხადებაც კმარა.

ახჩითობიო... მართლაც და, რა წრეა – მასწავლებელი და მისი ორი მოწაფე, ნიშანდობლივია ნ. მარისეული დაწყვილება არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია. მართლაც და, ისინი ხომ განუყოფელი ბრძანდებოდნენ... თითქოსდა ავსებდნენ ერთმანეთს.

ასეა იმ ცნობილ ფოტოზეც, რომელზედაც ბ-ნ აკაკისთან ერთად ბ-ნი არნ. ჩიქობავა და ბ-ნი ვ. თოფურიაა აღბეჭდილი. აქაც მასწავლებელი და კვლავ ის ორი განუყრელი მოწაფე, ერთმანეთის დიდად პატივისმცემელი და მოსიყვარულე.

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ბ-ნი არნოლდის მიერ ჩვენთან პირად საუბარში თქმული: გურამს (ბ-ნ ვარლამის ვაჟს – ცნობილ კავკასიოლოგ-ენათმეცნიერს) მიეწერე (ბ-ნი გურამი, თუ არ ვცდები, მაშინ სოჭში ისვენებდა): „– გურამ, როგორღა შევხვედ მაშაშენს იმ ქვეყნად – ბ-ნი გურამი სადოქტორო დისერტაციის წარდგენას აგვიანებდა და ბ-ნი არნოლდი ამაზე დიდად წუხდა. ეს არ არის მხოლოდ გურამის საზრუნავი, ამით მთელი ჩვენი მეცნიერება ზარალობს“.

ბ-ნი ვარლამი თავის სახელოვან თანაკურსელთაგან ყველაზე უმცროსი გახლდათ. იგი დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში 1901 წლის 8 იანვარს. დაწყებითი განათლება მიიღო ძველი სენაკის სოფლის სკოლაში. შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1918 წელს. ვ. თოფურია იმავე წელს განაგრძო სწავლა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეცყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე.

ვ. თოფურია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იყო ქართული უნივერსიტეტის მსახური – ამ სიგყვის საუკეთესო გაგებით. ჯერ კიდევ სტუდენტობისას იმუშავა მან „გვილისის უნივერსიტეტის მოამბის“ კორექტორად. შემდეგ, 1926 წლიდან, პროფ. ა. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის შუადმგომლობით ვ. თოფურია მიიწვიეს ლექტორად მისსავე მშობლიურ უნივერსიტეტში (მანამდე კი, 1923 წლიდან, იგი თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა „ენათმეცნიერების შესწავლის“ კურსს).

უპირველესად სწორედ თბილისის უნივერსიტეტში გაიშალა ვ. თოფურიას, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის უბაღლო ტალანტი. იგი ქართული ენის საუნივერსიტეტო კურსის ერთ-ერთი შემქმნელია.

პროფ. ვ. თოფურია მწარულელი კვალი გააელო ქართული საენათ-

მეცნიერო აზროვნების განვითარების ისტორიაში. იგი იყო სახელმძღვანელო მეცნიერი, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული მეკლევარი, რომლის მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების სფეროში მუდამ შედიოდა ქართველური ენების, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკვანძო პრობლემები. მან შექმნა პირველხარისხოვანი ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც ნათელი მოჰყინეს ქართული ენის ისტორიის, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის კარდინალურ საკითხებს.

პროფ. გ. როგავა ვ. თოფურიას შრომების შესახებ წერდა: „მისაბაძი და მომხიბლელია მისი კვლევის ხასიათი – გარკვეული, ნათელი დებულებების წამოყენება და, რაც არსებითია, ამ დებულებათა მისთვის ჩვეული არგუმენტაცია. ყოველი მისი დებულება დასაბუთებულია აუცილებელი და საკმარისი ფაქტობრივი მასალით და გამორიცხულია სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობა“.

ვ. თოფურიას პირველი ნაშრომი „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ დაიბეჭდა 1923 წ. ქურნალ „ჩვენს მეცნიერებაში“. უკვე აქ გამოიკვეთა ვ. თოფურიას, როგორც უნიჭიერესი მკვლევარის სახე – ნათელი დებულებანი მტკიცედ შეჯერებული ფაქტობრივი მასალით. ეს მასალა კი მეტ წილად თვით ავტორისავე საველე მუშაობის დროს შეკრებილი გახლდათ. ამ მიზნით მას მოეწილი აქვს ჯერ კიდევ სტუდენტობისას საქართველოს რაიონები, სადაც აგროვებდა დიდძალ ლექსიკურ მასალას. შემდგომაც, 1923 წ. მარნეულისა და დმანისის რაიონებში, ხოლო 1922 წ. ახალციხის, ახალქალაქისა და გორის რაიონებში. სწავლობდა ქართლურსა და ჯაეახურ კილოებს, 1958 წ. ამავე მიზნით მოიარა რაჭა-ლეჩხუმი... დაესძენდი, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით ჩატარებული მუშაობის შემაჯამებელია „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. 1, 1961, ი. გიგინეიშვილისა და ი. ქავთარაძის თანაავტორობით). ეს 700-ზე მეტგვერდიანი ფუნდამენტური შრომა სამაგიდო წიგნია ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ქართული ენის დიალექტური სამყარო. ვ. თოფურიას შრომებს ზოგად და ქართულ დიალექტოლოგიაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დღესაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ (1963 წ.).

1925-28 წლებში ვ. თოფურია სამეცნიერო მივლინებით ყოველწლიურად მიემგზავრებოდა სევანეთში და მის სხვადასხვა რეგიონში სწავლობდა სევანურს. იგი ისე კარგად დაუფლებია მას, რომ სევანურის თითქმის ყველა კილოზე შესძლებია თავისუფალი ლაპარაკი. შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფია სევანურზე, რომლის შესახებ ოსლოს უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ცნობილი ქართველოლოგი პანს ფოგგი საგანგებოდ აღნიშნაუ-

და: „...ამჟამად სევანურის შესწავლის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. თოფურიას ფუძემდებელი გამოკვლევა, სადაც ამომწურავად წარმოდგენილია სევანური ზმნის ფორმები ამ ენის ყველა დიალექტის გათვალისწინებით“.

ვ. თოფურიასა და ა. შანიძის ინიციატივით 1939 წ. დაარსდა სევანური ტექსტების გამოცემის სერია. ამ სერიით გამოქვეყნდა რამდენიმე ტომი.

სწორედ „სევანური ენა. I. ზმნა“ (პირველად გამოქვეყნდა 1931 წ., მეორედ – 1967 წელს „შრომების“ სახით) გახლდათ ვ. თოფურიას სადოქტორო დისერტაცია, რომლის წარმატებული დაცვა შედგა 1935 წელს. ერთი წლის შემდეგ იგი აირჩიეს ქართული ენის კათედრის პროფესორად.

1945 წელს ჩამოყალიბდა ახალი ქართული ენის კათედრა, რომლის გამგედ ვ. თოფურია მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

სპეციალურად ქართველურ ენათა მელმწივენით ცოდნა, ძველი ქართული რეალიების ბრწყინვალედ ფლობა და სათანადოდ მოხმობა ვ. თოფურიას ქართველოლოგიურ ნარკვევს ყოველი ენათმეცნიერისათვის სამაგვლო ნაშრომებად აქცევს.

რა საკითხებს არ შეხებია ვ. თოფურია – ქართველურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიიდან დაწყებული მათი ლექსიკით დამთავრებული და ყველგან საკვლევი ობიექტის ახლებური კუთხით დანახვა-შესწავლა ან დამუსტება-განზოგადება გვაქვს. მხოლოდ ერთი ნიმუში:

ვ. თოფურიამ დეგ, თქვა ტიპის ზმნებში გამოყო ფუძეს შეხორცებული (თ<დ) პრეფიქსი, რომელიც ისტორიულად ნივთთა გრ. კლასის ნიშნადაა ინტერპრეტირებული. ეს პრეფიქსი უახლოესი ობიექტის გრ. კლასზე მიუთითებდა გარდამავალ თქვა ტიპის ზმნებში, ხოლო სუბიექტისაზე – გარდაუვალ დეგ ტიპის ზმნებში. ეს ანალოგიურია გრამატიკული კლასის მარკირებისა იმ ენებში, სადაც ეს სისტემა დღესაც ცოცხალია და მოქმედი.

ბ-ნ ვარლამის ასეთი ბრწყინვალე მიგნება აღმოჩენის გოლფასია და იგი არ იყო მხოლოდ სხვათა შრომების განზოგადება-განჩხრეკვის შედეგი. იგი თვით გახლდათ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უბადლო მკვლევარი, რაც არ იყო შემთხვევითი.

მართლაც, ი. ჯავახიშვილის თქმით, ჩვენ „უნივერსიტეტს, უკვე 1918 წლიდან, დაარსების პირველი დღიდანვე, თავის მიზნად და მოვალეობად ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“.

ამდენად, ბუნებრივად იყო, რომ ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის სფეროში ქართველურ ენათა გარდა, იმთავითვე შემოვიდა მთის იბერიულ-კავკასიური ენებიც: ა. შანიძე იკვლევდა წოვა-თუმურს, არნ. ჩიქობავა – ხუნძურს, ს. ჯანაშია – აფხაზურსა და ადიღურს, ვ. თოფურია – ლაკურს.

ვ. თოფურია იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიის დამცვე-

ლი და მიმდევარი გახლდათ. გამოკვლევაში „ქართველურ ენათა ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (იგი მოხსენდა მოსკოეში ორიენტალისტთა 25-ე საერთაშორისო კონგრესს 1960 წ.) იგი პირდაპირ წერდა: „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური (სამხრული) ჯგუფის ენების – ქართულის, მანურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის...“ შესახებ.

ბ-ნ ვარლამის ინტერესთა სფეროში ერთი უპირველესი ადგილი ეკავა სალიგერატურო ქართულის ენის ნორმალიზაციის საკითხებს. გადაიღვა პრაქტიკული ნაბიჯებიც. 1941 წ. გამოვიდა ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის ქართული ენის სასკოლო „ორთოგრაფიული ლექსიკონი“. მასში შევიდა 15000-მდე სიტყვა, II (1946 წ.) და III (1949 წ.) გამოცემებს დაემატა კიდევ – 4000-მდე. როცა დასრულდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა (პროფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით), შეიქმნა ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის ვრცელი, სრული „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც ვ. თოფურიასავე რედაქტორობით დაისტამბა 1968 წელს, ბ-ნ ვარლამის გარდაცვალების შემდეგ. მეორე გამოცემა ამ სამაგიდო წიგნისა დაიბეჭდა 1998 წელს და მიენიჭა არნ. ჩიქობავას სახელობის პრემია.

ცალკე აღსანიშნავი ვ. თოფურია, როგორც ლექსიკოგრაფი (იგი 1936 - 1941 წლებში გახლდათ ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე ენის, ისტორიისა და მაგერიული კულტურის ინსტიტუტში). ფასდაუდებელია მისი დეაწლი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენაში. ვ. თოფურია იყო მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მესამე ტომის რედაქტორი. სხვა რედაქტორებთან ერთად ამ ნაშრომისათვის მას მიენიჭა ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და გექნიკის დარგში. გასულ წელს დაისტამბა მისი კაპიტალური ხასიათის 900 გვერდიანი „სვანური ლექსიკონი“ (მაქსიმე ქალდანის თანაავტორობით). ეს ლექსიკონი გამოცემას ელოდა რამდენიმე ათეულ წელს. ჯერ კიდევ 1931 წ. „სვანურ მზნაში“ ვ. თოფურია აღნიშნავდა: „სვანურ-ქართულ ლექსიკონში შევეცდებით ვრცლად წარმოვადგინოთ ყველა თავისებური მზნა ყველა დიალექტის მიხედვით“. მაქსიმე ქალდანმა, ვ. თოფურიას მოწაფემ და თანაავტორმა, გააგრძელა ეს საქმე და ბოლომდე უკვე სხვებმა მიიყვანეს.

ვ. თოფურია ერთ-ერთი რედაქტორია ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ დი რუსულ-ქართული ლექსიკონისა; ივია შემდგენელი რამდენიმე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონებისა (აკად. გ. ახვლედიანთან თანაავტორობით ცალკე და ცალკე ს. ყაუქჩიშვილის თანაავტორობით).

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ვ. თოფურია დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. თბილისის სახ. უნივერსიტეტში მას ებარა ქართული ენისა და მორფოლოგიის კურსები, კითხულობდა ენათმეცნიერების შესაფასა და ქართულ დიალექტოლოგიას, ასწავლიდა სვანურსა და ლაქურ

ენებს... ხელმძღვანელობდა ქართული ენის სტილისტიკისა და ისტორიის სემინარებს. იგი აღგენდა სათანადო დისციპლინათა პროგრამებსაც. ბატონმა ვარლამმა პირველმა მოამზადა და წაიკითხა ქართული ენის სწავლების მეთოდის, მისი ხელდასმულია ქართველ მეთოდისტთა პირველი თაობა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლების მეთოდისტიკის მეცნიერულ კვლევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვ. თოფურიამ გამოსცა (1 გამ., 1939 წ.) „ქართული წერის დედანი“ ი. გოგებაშვილის წერის დედნის ხედვით. ეს „დედანი“ დაწყებითი სკოლის სამაგიდო წიგნია დღესაც (მან გაუძლო რამდენიმე ათეულ გამოცემას).

დიდა ვ. თოფურიას დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადებაშიც. არაერთი მისი აღზრდილი დღეს მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორია, დოცენტი და პროფესორი. მათ შორისაა სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მაგ, პირველმა ლაკმა სპეციალისტმა მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საკანდიდატო დისერტაცია (ს. ჯანაშია); ლაკი ენათმეცნიერები ი. აბდულაევი და ა. აკიევი ვ. თოფურიას თავიანთ ძვირფას მასწავლებლად თელიან და ამიგომაც უძღვნეს მის ხსოვნას თავიანთი პირველი მონოგრაფიები.

უკრაინელი პროზაიკოსი და მთარგმნელი გ. ხალიმომენკო ამ ორმოციოდე წლის წინათ წერდა: „პროფ. ვ. თოფურიამ არა მარტო ქართული ენა, არამედ ნამდვილი ადამიანობაც მასწავლა. სადაც არ უნდა წავედუ, თან წამყვება იმ ხალხის პატივისცემა და სიბო, რომელმაც ღვიძლი შეილიეთით შემეყვარა, ქართულად ამალაპარაკა და საშუალება მომცა მეაზროვნა რუსთაველის ენაზე“.

ბ-ნი გრიცკო შემდგომ გახდა პროფესორი, მისი ინიციატივით კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (სადაც ბ-ნი გრიცკო დეკანიცაა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასაც განაგებს), სადაც შეიქმნა ინგლისურ-ქართული სპეციალობა, რათა უკრაინელმა ახალგაზრდობამ ქართული შეისწავლოს.

ყველაფერი ეს გვაყნობა თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრის მეცნ. მუშაკმა ქნმა ცირა ჩიკვაიძემ. მან იქვე დასძინა: ბ-ნი გრიცკო ამბობს, — სად არ ვყოფილვარ, მაგრამ ბ-ნ ვარლამის დარი მასწავლებელი და მასპინძელი არსად შემხვედრიაო. მას ძალიან სურს, გადაუხდელი ვალის ნაცვლად კვლავ მოუფეროს საქართველოს, მისი მასწავლებლის სამშობლოში მოიდრიკოს მუხლი აღმზრდელის საფლავეზე.

ასე მრავალმხრივ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ვ. თოფურია წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობასაც. მაგ, 1943-1949 წლებში იგი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია, იმავედროულად 1941-1960 წლებში ხელმძღვანელობდა იმავე ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას. სხვადასხვა დროს ვ. თოფურია მუშაობდა ქუთაისის, გორის პედაგოგიური და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტების ქართული ენის კათედრათა გამგედ და სხვ.

1944 წ. ვ. თოფურია აირჩიეს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1946 წ. მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ვ. თოფურია იყო რიგი სასწაულო თუ სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა ქართული ენის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს დღიდან დაარსებისა და სხვა.

გადმოსცემენ, ვ. თოფურიას ლექციები, ზეპირი საჯარო გამოსვლები ყოველთვის შინაარსიანი, მაღალხარისხოვანი და მიზმიდევლი იყო. მეტყველების მაღალი კულტურა, ნათელი ამროვნება და საქმიანი მსჯელობა მთამაგონებელ გავლენას ახდენდა მსმენელებზე.

ასეთ დიდ სამეცნიერო-პედაგოგიურ ნაღვაწს ამშვენებდა ბ-ნი ვარლამის კეთილშობილური დამოკიდებულება თავისი კოლეგებისა თუ მოსწავლეების მიმართ. მისთვის მეცნიერებაში არ არსებობდა ე. წ. „რანგები“. იგი ასპირანტთან თუ სტუდენტთან და თავის თანამშრომლებთან დამოკიდებულებაშია მუდამ გულისხმიერი, ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალული და საოცრად ყურადღებიანი ბრძანდებოდა. ამას ყველა გრძნობდა, ვისაც კი ჰქონდა პატივი ბ-ნ ვარლამთან ურთიერთობისა. ხელთა გვაქვს ბ-ნი ვარლამის მიერ 1949-50 წლებში დატოვებული ბარათი ქველ-ის III ტომზე მომუშავე ქ-ნ ნუნუ საყვარელიძისადმი: „ღიდალ პატ. ნუნუ!

მხოლოდ ის მოვახერხე, რომ 135-141 სექტში შევეუდარე დედანს. კითხვები გაჩნდა, მაგრამ ვერც ვიფიქრე და ვერც შევამოწმე. მოგი რამ დამატებულია და კითხვის ნიშნები საიდანაა? უმის რასაც შესძლებთ, გთხოვთ შეამოწმეთ, თუარადა, გვერდებში ვნახავთ.

პატ. ვ. თოფურია“.

„ღიდალ პატივცემული ნუნუ“, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ამკამად არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფრ. მეცნ. მუშაკია, ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატი, სათუთად ინახავს მაშინდელი ღირუქტორის, „განმარტებითი ლექსიკონის“ III ტომის რედაქტორის ამ ბარათს.

ამ სტრიქონების ავტორსაც კიონდა ბედნიერება ყოფილიყო აკად. ვ. თოფურიას არაჩვეულებრივი ტაქტის თანამონაწილე, აღრუსატი.

პირველი კურსის ასპირანტი გახლდით. 1964 წელია. ლაკეთში პირველად ვიყავი მივლინებული ლაკური ენის შესასწავლად (ლაკური ენის კურსი, სამწუხაროდ, ჩვენ იმ დროს არ წავვიკითხია). სამიოდე თვე დაუყავი ლაკებთან და გვიან ჩამოვედი. ბატონი ვარლამი მივლინების ანგარიშს გაეცნო, სადაც ხმოვანთა სიგრძმეუ გვექონდა დაკვირვება. იმ დღეებში ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო. თემისების ჩაბარების ვადა იწურებოდა. თემისები ბოლო დღეს მივიტანე ხელმოსაწერად. ბატონი ვარლამი გაეცნო მათ და ბრძანა: თქვენს ანგარიშში ხმოვანთა სიგრძმეუ რივიანი მასალაა, იქნებ, მოხსენება იმაზე წავგეკითხათო. მე შევეცი, დრო არ ითმენდა, თემისები კი თავიდან იყო დასაწერი, რადგან

ძველი – სხვა საკითხს ეხებოდა. რასაკვირველია არაფერი მითქვამს რა. ბაგონმა ვარლამმა, როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინა, აიღო თაბახის სუფთა ფურცელი და წააწერა: შეიძლება დაიბეჭდოს. თან ბრძანა: როცა თემისებს ჩაწერთ და მიიგანთ, რედაქტორს თხოვეთ ჩემს მაგიერად, თუ სტილისტური ჩასწორება დასჭირდეს – ჩაასწოროსო (რედაქტორი მისი კათედრის წევრი იყო).

თემისები ღავეწერე. საკუთარ თავს მაინც ვერ ვენდე და პროფესორ ილია ცერცვაძესა და ევგ. ჯივრანაშვილს ვთხოვე, გადაეხედათ, რის შემდეგაც იგი გადავწერე ბაგონ ვარლამის წინასწარვე ვიზადადებულ სუფთა ფურცელზე.

მოგვიანებით კი მივხვდი: ბაგონ ვარლამის ასეთი ნდობა აეანსი იყო, დიდი აეანსი მომავალი ჩვენი მუშაობისა.

გარეგნულად ვ. თოფურია წარმოსადეგი და მომხიბვლელი ადამიანი იყო. შევერცხლილი თმა, რომელიც, როგორც ჩანს, ახალგაზრდობიდანვე შეპარვოდა (ლაკები მას ამიგომაც კალაბაკ „თეთრთავას“ ეძახდნენ ალერსით), კეთილმოსურნე გამოხედვა, ღმილიც კი თავისებურ სილაბამზე აძლევდა მას. გარეგნულ სილაბამზე შესაფერისად ამკობდა მისი შინაგანი სულიერი სამყარო. ახასიათებდა დიდი ადამიანური თვისებები: უბრალოება, თავმდაბლობა, მოკრძალება და დიდი გულისხმიერება. ყველა ეს ერთად აღებული გულითად პატივისცემას, სიყვარულსა და მოწიწებას იწვევდა მისდამი.

ბაგონი ვარლამი ადრე აღესრულა, სულ 64 წლისა. ეს ასაკი ხომ მეცნიერისათვის შუაღება.

და მაინც, მან იმდენის შექმნა მოასწრო, რომ მწამს, ბევრი რამ, რაც მის ნაწერებშია, კვლავ მოახედებს მკვლევართა მომავალ თაობებს უკან და ყველას დაარწმუნებს, თუ რამდენად უსწრებდა ბ-ნი ვარლამის მეცნიერული წინასწარჭერეგა თავის დროს და რამდენად ფასეულია იგი დღესაც.

მართლაც, ჩანს, ასეთია მეცნიერებისათვის ჭეშმარიტი და თავდადებული სამსახურის შედეგი. ბ-ნი ვარლამი ხომ ქართული მეცნიერების უნგარო რაინდი გახლდათ. ამ საიუბილეო წელს სამეცნიერო საზოგადოებამ ქართული საშუალო სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლისათვის მიიღო არაერთი ბ-ნი ვარლამისეული გამოცემა, რომელიც საქართველოს მეცნი. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ოპერატიულად გამოსცა. მას მიეძღვნა მადლიერი მოსწავლეების შრომათა კრებულები.

ამ ოციოდე წლის წინ ბ-ნმა ივანე გიგინიევილიმა წერილი უძღვნა აკად. ვ. თოფურიას ხსოვნას. იკუ-ს 22-ე გომში ბ-ნი ივანეს თავის ცალში ხელთ აქვს ამ სტატიის დამამთავრებელი სტრიქონები შეტანილი. ავტორს, ჩანს, ასე ერჩინა დაემთავრებინა თავისი, სტაგია, მაგრამ, ალბათ, კორექტურას მიბრუნებულს, სტაგია დაბეჭდილი დახვდა და სათქმელი თავის ეგზემპლარს ანდო: „15 წელია, ვარლამ თოფურია ჩვენთან აღარ არის, მაგრამ მისი ნათელით მოსილი და სიკეთით აღსავსე სახე მუდამ ჩვენს თვალწინ დგას და იმას მოგვიწოდებს, რომ (დიდი ილიას შთაგონებული სიგყვები

მინდა გაეიშეორო) „ერი ერობდეს, გული გულობდეს, ვაჟი ვაჟობდეს, ქალი ქალობდეს“ და ყველანი ერთად თავდადებით იღწოდნენ ჩვენი ქართული ენის ყოველმხრივი მოვლისა და განმტკიცებისათვის”.

თქმულს ერთს დაეძენდით: საერთოდ ქართული მეცნიერებისათვის, კერძოდ კი ენათმეცნიერებისათვის¹.

6. აკადემიკოსი ვარლამ თოფურია – დიდი ენათმეცნიერი

1. აკად. ვ. თოფურია ახალი ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ქართული ენის სწავლების აქტუალურ საკითხებს. მის პირველ მეცნიერულ შრომას „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ (1923) მოჰყვა ავტორისა 250-მდე და მისივე რედაქციით გამოცემული 70-მდე ნაშრომი.

2. ვ. თოფურია ჩვენში ერთი პირველთაგანია (ს. ჯანაშიასა და არნ. ჩიქობავასთან ერთად), ვინაც მთის იბერიულ კავკასიურ ენებს სწავლობდა ადგილზე, საველე პირობებში. ასე შექმნა ვ. თოფურიამ პირველი საენათმეცნიერო კურსი ლაკურ ენაში. მისი შრომები ლაკურის შესახებ მნიშვნელოვანია როგორც ლაკურის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხთა კვლევისა და გადაჭრის თვალსაზრისით, ასევე მოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის.

განსაკუთრებულია მისი როლი სვანური ენის მეცნიერულ შესწავლაში (სვანური ენა. I. ზმნა, 1930). მან ა. შანიძესთან ერთად დააარსა სვანური ტექსტების გამოცემათა სერია. გამოიყა: სვანური პოეზია. I. (1939); სვანური პროზაული ტექსტები: I. ბალსემბოური კილო (1939), II. ბალსქვემოური (1957), III. ლენტეხური კილო (1967), IV. ლაშხური კილო (1979). აქ გამოქვეყნებული ტექსტების საგრძნობი ნაწილი ვ. თოფურიას მიერაა ჩაწერილი და სვანურის დოკუმენტაციას წარმოადგენს. მხოლოდ 2000 წ. გამოიყა ვ. თოფურიასა და მისი მოსწავლის, მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონი“, რომელიც გამოსაცემად მზად იყო ჯერ კიდევ 1962 წ. ამ ლექსიკონის აღნაგობის პრინციპები ვ. თოფურიას მიერ იყო შემუშავებული (ლექსიკონში წარმოჩენილი დიალექტოლოგიური მასალის ჩვენებით).

1. გამ. „ლიტერატურული ცხინვალი“, გორი, 2001, № 5, გვ. 4–5.

3. ქართულ და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხებია განხილული შრომათა ციკლში „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (5 ნაწილად; 1926-1941); საგანგებო შრომათა სერია მიეძღვნა ქართველურ ენათა სიგყვაწარმოებას (6 ნაშრომი; 1938-1959). ქართველურ ენათა ისტორიულ-მედარებითი შესწავლის საკითხებია წარმოდგენილი ვ. თოფურიას შრომებში „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“ (1937), „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“ (1946), „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“ (1954), „ქართველურ ენათა მედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (1961) და სხვა.

4. ვ. თოფურია ქართულ დიალექტებს სწავლობს 1922 წლიდან; ეკუთვნის გამოკვლევა „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ (1963). ვ. თოფურიას ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოქვეყნდა „ქართული დიალექტოლოგია. I.“ (1961); დიალექტების მიმოხილვათა მეტი წილი ვ. თოფურიასეულია. ქართულ ეპიგრაფიკას ეძღვნება შრომები „შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები“ (1924), „ქვაჯვარანი საქართველოში“ (1942).

5. ძველი ქართულის საკვანძო საკითხებს ეხება ვ. თოფურიას გამოკვლევები „მზნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში“ (1942), „დ თაესართიანი მზნები ქართულში“ (1942) და სხვ. ბატონი ვარლამის ცნობილი დებულება დ-/თ- გაქვავებული გრ. კლასის ნიშნის თაობაზე ქართულში აღმოჩენათა რანგში ასაყვანი განზოგადება; აქ ჩანს შემორჩენილი (დე-გ, თქუ < *დ-ქუ) კლასოვანი უღვლილების კვალი (დე-გ გარდაუვალ მზნაში სუბიექტის გრ. კლასი აღინიშნება, ხოლო გარდამავალში (თ-ქუ) – უახლოესი ობიექტისა).

სახელთა ბრუნება, ფუნქციები გამოკვლეულია ვ. თოფურიას ნაშრომებში „წოდებითი ბრუნვისათვის“ (1953), „ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებისათვის ქართულში“ (1942), „წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში“ (1965) და სხვ. გამოქვეყნდა ვ. თოფურიასავე თანამედროვე „ქართული ენა“ 5 მონაკვეთად (1932-1933; 2000), „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“ (1967) და სხვა.

6. ვ. თოფურია ქართული ენის სწავლების მეცნიერული მეთოდის საფუძველჩამყრელია; გამოსცა (I გამ. 1933; სულ 50-ზე მეტი) „ქართული წერის დედანი“ – დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის; წერილების სესია „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“ (1953-1960). ვ. თოფურიამ გამოაქვეყნა წიგნები „ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“ (1964), „ქართული ენის მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965). ვ. თოფურიას მიერაა შემუშავებული არაერთი ნორმა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში. I.“ (1970).

7. ვ. თოფურია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის წევრი და III ტომის რედაქტორია (რისთვისაც მას მიენიჭა 1971

წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია), „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“, „რუსულ-ქართული“ და „ქართულ-რუსული“ ლექსიკონების თანაავტორი!

1. ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. გორში) II (LX) სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები ეძღვნება აკად. ვ. თოფურიას დაბადების 100 წლისთავს, გორი, 2001, გვ. 11–13.

II. მენიერები და მათი მონაშენი . . . მასწავლებლები . . . კოლეგები (ანბანთ რიგზე)

— ა —

დიდი ირანისგ-ენათმეცნიერი

ამას წინათ ეურნალმა „ბურჯი ეროვნებისაშ“ დასტამბა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. გორში) პრორექტორის სამეცნიერო დარგში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტის, პროფესორ გენადი ბურჭულაძის სტატია „კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტიკა.“ ეს ყურადღების მიღმა არ დარჩენია რადიო-გადაცემის „ენაშ მეშქული და კურთხული“ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და ეურნალისგ თამაშ ხმალაძეს, რომელმაც სასაუბროდ მიიწვია პროფესორი გენადი ბურჭულაძე. ქვემოთ ამ რადიო-გადაცემის ლიტერატურულ ვარიანტს მოგაწვდით, რომელიც თავიანთად დაგვითმო ბატონმა თამაშ ხმალაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოუახსენებთ.

თანამედროეობის ცნობილ ირანისგ-ენათმეცნიერს ვასილ აბაევს დაბადებულიან 100 წელი რომ შეუსრულდა, მაშინ აღესრულა. მეცნიერულმა საზოგადოებამ გასულ წელს მისი საიუბილეო დღეები ფართოდ აღნიშნა ქ. ვლადიკავკაშში. მსოფიანი მეცნიერი თავად ეერ დაეწრო ამას, შეუძლოდ ბრძანდებოდა.

იუბილის დღეებში ვლადიკავკაშში სტუმრობდა ჩვენი აკადემიის დელეგაცია, მათ იქ წაიკითხეს საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მილოცვაც.

ცხინვალიდან ლგოლვილ ინსტიტუტში, ახლა რომ უნივერსიტეტის მაღალ სახელს ატარებს, თავის პირველ სამეცნიერო სესიის პლენარულ სხდომაზე, პროფ. გ. ბურჭულაძემ დიდ მეცნიერს სპეციალური მოხსენება „ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო“ მიუძღვნა. ეს დღე ვ. აბაევის დაკრძალვის დღეს დაემთხვა და პროფესორ-მასწავლებლებმა, ბუნებრივია, თვალსაჩინო მეცნიერის ხსოვნას ფეხზე აღგომითა და მღუმარებით სცეს პატივი.

ჩვენ სასაუბროდ მოვიწვიეთ ცხინვალის (ქ. გორში) სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფ. გ. ბურჭულაძე, რომელიც ადრე არაერთხელ სტუმრებია ჩვენს რედაქციას და, ამდენად, რადიომსმენელისათვის საგანგებო წარსდგენას არ საჭიროებს.

თ. ხ: ვასილ (ვასო) აბაევი ქართულ მიწაზე დაბადებული და ქართულ წეს-ჩვეულებებს ნაზიარები გახლდათ. იგი დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. კობში მთიელი ოსი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მან აქვე მიიღო, ხოლო 1910-18 წლებში იგი სწავლობდა თბილისის მე-ნ კლასიკურ გიმნაზიაში.

გ. ბ: გიმნაზიის წლები ვ. აბაევს, ჩანს, კარგად ხსომებია. პროფ. ლ. ჩიბიროვის მოგონებით (მაშინდელი ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ამჟამად უღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი), მოსკოვში 1990 წლის 25 დეკემბერს ვ. აბაევს თავის საიუბილეო საღამომე გაუხსენებია: „ჩვეულებრივ თვლიან, რომ მე სამეცნიერო

მოღვაწეობა დაიწყო ჩემი სტაგიით „მახვილის შესახებ ოსურ ენაში“, რომელიც გამოვაქვეყნე „მოამბეში“ (АН СССР). სინამდვილეში კი ის დაიწყო 1917 წელს, როცა მე 16 წლისა ვიყავი... თბილისის გიმნაზიაში სწავლისას გამოვაქვეყნე სტატია „გაუფრთხილდით თავისუფლებას!“ ასე რომ, ლტოლვა თავისუფლებისაკენ ყმაწვილობიდან დაჰყოლია.

თ. ხ: ვ. აბაევმა 1925 წელს დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტი. 1930 წლიდან იგი საქავსირო ენათმეცნიერების ინსტიტუტშია (ყოფილი ნ. მარის სახ. ენისა და აზროვნების ინსტიტუტი). 1929-30 წლებში ვ. აბაევი მოღვაწეობს თბილისში კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში. სამამულო ომის წლებში იგი ცხინვალისა და ელაღიკავკასის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშია.

გ. ბ: ვ. აბაევი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია (მეცნ. კანდიდატი-სა და დოქტორის ხარისხები მას მეცნიერებაში დამსახურებისათვის საძიებელი ხარისხის დაუცველად მიენიჭა, რაც ძალზე იშვიათად ხდება ხოლმე). პროფესორი. იგი საქართველოსა და ჩრდილო ოსეთის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწეა. ვ. აბაევს მინიჭებული აქვს სსრკ სახელმწიფო პრემია 1981 წ. კაპიტალური ნაშრომისათვის „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (აქ სასიამოვნო გამოწაკლისი მოხდა – მეცნიერს ეს საპატიო წოდება ფაქტობრივ დაუსრულებელი შრომისათვის მიენიჭა; ბოლო მე-4 ტომი, 1989 წელს დაისტამბა, როცა მესამე – ათი წლით ადრე, 1979 წელს).

ამ შრომის გამოცემას ავტორმა 40-ზე მეტი წელი მოანდომა (რამდენი მის შედგენას!), რითაც მან უკედავი ძეგლი დაუდგა მშობლიურ ოსურს.

ბ-ნო თამაზ, ბ-ნი არნ. ჩიქობავას გამონათქვამი მახსენდება: „1634 წელს საფრანგეთში – რიშელიეს ინიციატივით – აკადემია დაარსდა. აკადემიას მიზნად დაუსახავს ფრანგული ენის ლექსიკონი შეედგინა და ფრანგული ენის გრამატიკა დაემუშავებინა.

ლექსიკონზე მუშაობას აკადემია 1638 წელს შეუდგა. 1674 წელს, ე. ი. 36 წლის შემდეგ, ლექსიკონი გამოიყა.

საბამ ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს დაიწყო და 1716 წელს „გაასრულა“. ფრანგული ენის ლექსიკონს აკადემია ადგენდა. სპარსეთისა და თურქეთისაგან აწიოკებულ საქართველოში ერთმა პირმა იკისრა იმის გაკეთება, რაც ლუი მე-14-ის საფრანგეთში აკადემიის სამზუნავ საგანს წარმოადგენდა“.

აქ არ გახსენდებათ ვასილ აბაევის გმირული შრომის შედეგი? – ასეთი რამ მხოლოდ გამორჩეულთ ძალუძთ.

თ. ხ: როგორც ამამე საქუციალისტები მიუთითებენ, ლექსიკონის ყოველი სიტყვა-სტაგიის გაენობა ვ. აბაევს წარმოაჩენს არა მარტო როგორც დიდ ირანისტ-ენათმეცნიერს, არამედ როგორც გამორჩეულ ლექსიკოგრაფს, რომელშიც მშვენივრადაა შეხამებული ძიებისას ეტიმოლოგიური და ისტორიული პრინციპები.

გ. ბ: თავად ვ. აბაევი თვით გახლდათ კომპარატივისტიკის ერთ-ერთი

დიდი წარმომადგენელი იმდროინდელ საბჭოეთში. ამიგომ იყო, რომ, როცა საბჭოეთში, თბილისში, დააარსდა საერთაშორისო ხასიათის საკავშირო ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“, იგი ერთხმად იქნა შეყვანილი ამ ჟურნალის რედკოლეგიის დამაარსებელ-წევრად, როგორც ავტორი ირანულ-ოსურ ენათა ურთიერთობის არაერთი საინტერესო შტუდიებისა, ავტორიტეტული მკვლევარი ქართველური ენებისა (იხ. მისი „მეგრულიზმები ოსურ ენაში“, „მოგზაურობა სეანეთში“, „კავკასიური სუბსტრატი“ და სხვა. წიგნი „ოსური ენა და ფოლკლორი“ (1949) ან კიდევ მისი აღმნიშნული გამოხმაურება არმაზის ბილინგვის თაობაზე, რომელიც მიეძღვნა აკად. გ. წერეთლის აღმოჩენას). ცალკეა აღსანიშნავი ვ. აბაევის სპეციელური ნაშრომი „ოსური ენის ელემენტების შესახებ ქართველურ ენაში“ ან „წელიწადულის“ მე-6 ტომში დაბეჭდილი „სამაიას ეტიმოლოგიისთვის“ და სხვა არაერთი.

თ. ხ: საყურადღებოა ვ. აბაევისავე სტატიები „მთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული საფუძვლების შესახებ“ (1966), „პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ“...

გ. ბ: აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. აბაევი ქართულს ბრწყინვალედ ფლობდა. ამას მოწმობს ვ. აბაევისეული მეცნიერული აპარატურა, მის შრომებს რომ ახლავს. იგი არცერთ ქართულად დაწერილ ნაშრომს არ გოვებდა უყურადღებოდ, სათანადოდ ანალიზებდა მათ და იყენებდა. მის მშვენიერ ქართულზე კი მაშინ ცხინვალში მოლვაწე პროფ. შ. ქურდაძისაგანაც გავცივია³.

1985 წელს ვ. აბაევი სწვევია ცხინვალს. მას იქაური ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები და ქართველი სტუდენტობა მეტად გულთბილად დახვედრია. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ, რა თქმა უნდა, ოსებიც. ერთ მათგანს უკითხავს: ამბობენ, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დაეით სოსლანიო... აღელვებულ, გაღიზიანებულ ბატონ ვასოს მოკლედ მოუჭრია: სოსლანიო... „Он вѣн.“... და შემდეგ, ცოტა ხნის შემდეგ, თითქოსდა ამ უხერხული კითხვის პასუხად მხცოვან მეცნიერს „ვეფხისტყაოსნიდან“ ვრცელი ნაწყვეტი, „ანდერძი“, გეპირად და მეტად ემოციურად წაუკითხავს. კითხულობდა სათანადო პაუზით, მახვილითა და ინტონაციით, რითაც მსმენელი ძალზე მოუხიბლავს (ამის შესახებ წერს პროფ. ლ. ჩიბიროვიც თავის წიგნში „შეხვედრები ვასო აბაევთან“).

თ. ხ: ვ. აბაევის მრავალრიცხოვან შრომათაგან დაეასახელებთ მხოლოდ რამდენიმე წიგნს: „ნართების ეპოსი“ (1945), „ოსური ენა და ფოლკლორი“ (1949), „სკვითურ-ვეროპული იმოგლოსები“ (1965), „ოსური ენის გრამატიკის ნარკვევი“ (1970), „რჩეული თხზულებანი“...

ენის საკითხების კვლევა ვ. აბაევთან მისი მაგარებელი ხალხის ისტორიასთანაა დაკავშირებული. მის შრომებში ამა თუ იმ ხალხის ისტორია, ეთნოგრაფია და ფოლკლორი მჭიდრო ურთიერთკავშირშია წარმოდგენილი. ამიგომაა, რომ ოსური და სხვა ირანული ენების კვლევისას მის შრომებში ფართო ადგილი ეთმობა, მაგალითად, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის

ვრცელ ლექსიკურ მასალას. ამაში მას, ალბათ, ხელს შეუწყობდა ის პირადი კონტაქტებიც, რაც ვ. აბაევსა და ქართველ ენათმეცნიერებს ჰქონდათ.

გ. ბ: ვ. აბაევი პირადად სცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული ენათმეცნიერების ისეთ გიგანგებთან, როგორებიც იყვნენ გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფური და სხვები. იგი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველ კავკასიოლოგთა ნაშრომებს, რამედაც საგანგებოდ მიუთითებდა კიდევ საერთო-საკავშირო კრებულში „Теоретические проблемы советского языкознания“ (M; 1968): „თბილისში აგერ უკვე კარგა ხანია მუშაობს მეცნიერ-კავკასიოლოგთა ძლიერი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ისეთი მტკიცე მიმდევარი ისტორიკოსისა, როგორიც არნ. ჩიქობავაა.“

თვით არნ. ჩიქობავა დიდ პატივს სცემდა მის ოს კოლეგას. ვ. აბაევის დაბადებიდან 80 წლისთავზე მას გაუგზავნა მისალმება, სადაც ნათქვამია: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ მთავარი რედაქცია გულითადად ულოცავს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ირანისგს, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტს, თავის თანაწევრს, პროფ. ვ. აბაევს დაბადებიდან 80 წლისთავს. უსურვებს კელავ მრავალ წელს ნაყოფიერ მეცნიერულ შრომას“.

თ. ხ: მართლაც და, საოცრად ნაყოფიერად იშრომა ვ. აბაევმა – მარტო იმის გახსენებაც კმარა, რომ თავისი ლექსიკონის ბეჭდვას ის ოთხმოცდაათიოდე წლისა მორჩა (1989).

ბ-ნ გენადი თქვენ აღნიშნეთ, რომ ვ. აბაევი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრ-დამფუძნებელი იყო. ალბათ, შეხვედრილხართ ერთმანეთს. თქვენც ხომ ამ რედკოლევების წევრი ბრძანდებით.

გ. ბ: კი, ეს ასეა, მაგრამ პირადად, სამწუხაროდ, არ შეხვედრილვარ... თუმცა ერთ-ერთ სხდომაზე, ძველად, დამინახავს, როგორ გულთბილად შეხვდნენ ქართული ენათმეცნიერების ქურუმები ვ. აბაევს.

ისე კი, მისი სტატიის სასტამბოდ გამზადებაში მიმიღია მონაწილეობა. და კიდევ, 1990 წელს დაისტამბა მისი დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სესიის თეზისები „ირანისტიკისა და ალბანოლოგიის საკითხები“, რომელიც დაიბეჭდა ქ. ვლადიკავკაშში. მასში სხვა უცხოელ თუ საბჭოთა მეცნიერთა გვერდით, გამოქვეყნებულია ჩვენიც – „იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკა ვ. აბაევის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“.

თ. ხ: ვ. აბაევს ოსები ხშირად ოსი ხალხის დიდ განმანათლებელ კოსტა ხეთაგუროვს ადარებდნენ. გადმოსცემენ, რომ ამ შედარებისას ვ. აბაევი თავს შორს იჭერდა, მაგრამ იგი რომ მე-20 საუკუნის ოსი ხალხის დიდი და გამორჩეული შვილი გახლდათ, ეს ფაქტია და უეჭველი.

ამიგომაც ის მორალურად ვალდებული იყო, თავისი ხალხისათვის სიმართლედ ეთქვა რამდენადაც მწარე არ უნდა ყოფილიყო ეს მათთვის. მან

თავის ცნობილ მოწოდება-წერილში „ჩემს თანამემამულეებს“ (1990, 9. 11) მოურიდებლად შეახსენა ოსებს: „კავკასიის მთავარი ქელი წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს ოსეთსა და საქართველოს შორის. ცდები, გადალახონ ეს საზღვარი, აუცილებლად თან გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის“.

თ. ხ: გეოგრაფიული და ისტორიული წანამძღვარებით გაჯერებულ ვ. აბაევისეულ ამ შეხსენებას, მართალია, დღეს ზოგი ოსი მეცნიერი „არალოგიკურ განცხადებასაც“ უწოდებს, მაგრამ გეოგრაფია და ისტორია ხომ შეუცვლელია. აქ დიდ ოს მოქალაქესა და მეცნიერს დიდი ილიას სტრიქონებს შევაშეველებდი: „ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მაღავეს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“ ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს - ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

თუ ილიას გამონათქვამის პერიფრაზირებას გავაკეთებთ ოსი ხალხის ისტორიული სიმართლისაკენ მიბრუნებაში, თვით ოსთა დიდი სიყვარულია, არა მარტო ოსი ხალხისა, რა თქმა უნდა, ქართველებისაც.

დიდი ხანია დადგა დრო, ყური დავეგდოთ წინაპართა შეგონებებს.

გ. ბ: ოთხმოცდაათი წლის ვ. აბაევი აფრთხილებდა თანამემამულეებს: „პოლიტიკაში, რამდენადაც მე გამეგება, საჭიროა რეალიზმი, რეალიზმი და კიდევ ერთხელ რეალიზმი. არ უნდა გავვიგაცოს არარეალურმა ამოცანებმა“.

თ. ხ: ვ. აბაევი გარდაიცვალა ისე, რომ თავისი მრწამსის აღსრულებას ვერ მოესწრო. ეს რეალურად ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთ-მიტევებაზეა, ეს ჩვენზეა – მომავალ თაობებზე.

ნუ გადავდებთ ამას სამომავლოდ, მომავალ თაობას სხვა პრობლემებსაც უხვად ვუტოვებთ. ორ მოძვე ხალხს შორის დაძაბული ურთიერთობა უნდა მოიხსნას.

გმადლობთ, ბატონო გენადი, სტუდიაში მობრძანებისათვის და საჭირო, აუცილებელი საუბრისათვის.¹

ლიტერატურა:

* ვ. აბაევის შესახებ გამოქვეყნებული გვაქვს აგრეთვე:

1. Г. Т. Бурчуладзе, Иберийско-кавказская лексика в „Историко-этимологическом словаре осетинского языка“ В. И. Абасва. – Вопросы иранистики и албановедения, Владикавказ, 1990, გვ. 32-33.

2. გ. ბურჭულაძე, ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო. – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის I (IX) სამეცნიერო სესია, გორი, 2000, გვ. 13-14.

3. გ. ბურჭულაძე, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი. – ბურჯი ეროვნებისა, № 5, 2001, გვ. 22-23.

1. დიდი ირანისგ-ენათმეცნიერი. – გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, გორი, ავისტო, 2001, გვ. 4

ვიანორ ახალაია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ა. წ. 28 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგში p.10.02.c.Nr4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ცხინვალის სახელმწიფო უედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) რექტორმა დოც. ვიანორ ახალაიამ საპაექროდ წარმოადგინა ნაშრომი „ზანური პიპოგაქსის ძირითადი საკითხები“. დისერტაციის დასკვა ამ მაღალავოკატივულ სამეცნიერო დაწესებულებაში ვის არ უნახავს და ვინ არ დასწრებია, მაგრამ დეენილი ინსტიტუტის წარმომადგენლის მიერ ასე მაღალმეცნიერულად და პაექრობის სათანადო პატივით წარმართვა მართლაც მისაბაძი იყო. ოპონენტის შენიშვნა – სურვილები და მათი კორექტული განმარტება მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა.

ბუნებრივია, დაეცას ეს წრებოდნენ ბ-ნი ვიანორის კოლეგები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ქონია პატივი ათობით წლების განმავლობაში ეთანამშრომლად მასთან, როგორც კოლეგასთან. მათ შორის – ცხინვალის სახ. უედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, პროფ. გენადი ბურჭულაძე, ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, პროფ. შოთა ქურდაძე, ამავე კათედრის წევრი, უედაგოგიკა-მეთოდის ფაკულტეტის დეკანი, დოც. ვენერა სომხიშვილი.

„ლიტერატურული ცხინვალის“ მთავარი რედაქტორი, ბ-ნი რობერტ ოდიკაძე ესაუბრა მათ.

საუბრის ჩანაწერს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს:

რედ.: ქ. გორში, სადაც ჩვენი დღევანდელი ინსტიტუტია განთავსებული, კარგი მაცნენი ჩამოვიდნენ დედაქალაქიდან – ქართული ენათმეცნიერების ციტადელში, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ცხინვალის სახელმწიფო უედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა. ეს დასკვა არ იყო მარტო პიროვნებისა, იგი მთელი ინსტიტუტისა გახლდათ...

გ. ბ.: ბ-ნი რობერტ, თქვენს ბოლო ფრაზას, კაცმა რომ თქვას, ჩვენი საუბრის სათაურადაც გავიგანდი... ცხინვალის პედ. ინსტიტუტში ოციოდე წელია ვმუშაობ, ვიცი ინსტიტუტის (უკეთ, მისი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის) ისტორიას და ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი კათედრის წარმომადგენელი თავის სადოქტორო დისერტაციას ამუშავებს ინსტიტუტშივე და იცაედეს მას. სხვათა შორის, ეს მე აღვნიშნე კიდევ... ეს დასკვა ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც მიულოცე, რადგან ასეთი დონის დასკვა ე. წ. პერიფერიული ინსტიტუტის წარმომადგენლისა, უდავოდ მისასალმებელია (სხვათა შორის ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა კიდევ ერთი ჩვენი კათედრის წევრის, დოც. ვ. სომხიშვილის სადოქტორო თემა. ასე რომ, ბ-ნი ვიანორის მიერ ყამირის გატეხვას, როგორც

ჩანს, მალე სხვებიც მიჰყვებიან).

შ. ქ.: ბნმა გენადიმ, თითქოსდა, ჩემი სათქმელიც ბრძანა. ეს მართლაც გზის გაკვლევაა, მით უფრო დენილობაში მყოფი ინსტიტუტის წარმომადგენლისათვის... თანაც ინსტიტუტის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც, მეცნიერული კვლევის გარდა, რამდენი წერილმანი თუ მსხვილმანი საქმე აქვს მოსაგვარებელი ინსტიტუტში.

ვ. ს.: ბოლიში ბნო შოთა, რომ გაწყვეტინებთ... ამ დისერტაციას ბნ ვიანორი, ალბათ, ბევრად ადრეც დაიცავდა, რომ არა სწორედ ინსტიტუტის საქმიანობა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ჩახედოს მის ავტორეფერატს და ნახავს იქ, რომ საკითხის კვლევა ადრევე აქვს დაწყებული: „უკაჟ შირო რთული წინადადების კლასიფიკაციისათვის“ მას ჯერ კიდევ 1983 წელს აქვს დასტამბული... არას ვამბობ არაერთ იმ პირველხარისხოვან გამოკვლევებზე, ბნმა ვიანორმა რომ ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებსა თუ რესპუბლიკურ ენათმეცნიერულ შეკრებებს მოახსენა.

შ. ქ.: მართალი ბრძანებაა. გზა ასეთ წარმატებაზე კი, მოგესხენებათ, სრულიადაც არ არის ია-ვარდებით მოფენილი... ბნ ვიანორმა, როგორც გადმოსცემენ, საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. თსუ-ის ფაკულტეტზე სწავლისას კი ყურადღება მიიპყრო მეტად მკაცრი, მაგრამ მეცნიერებაში მეტად ობიექტური მკვლევარის, ბნ ივანე ქავთარაძისა.

რედ.: ბნო შოთა, ასე რომ, ვიანორს მეცნიერული წრთობა დიდი ვარლამ თოფურიას უსაყვარლესი მოწაფისაგან მიუღია. ერთხელ მეც მქონდა ბნ ვიანორთან საუბარი სწორედ მასწავლებელთა თაობაზე და მაშინაც აღუნიშნავს ეს.

გ. ბ.: კარგია, რომ ბნ ვიანორის ამ დღესასწაულის თანამონაწილედ ბნ ივანესაც რომ უხმეთ. მე დღევანდელ დღესავე მახსოვს ბნ ვიანორის პირველად მოსვლა ინსტიტუტში. ერთ ქალბატონს, ჩვენი კათედრისას, თუ არ ვცდები, ოთხთვიანი მივლინება ჰქონდა... საჭირო იყო მისი შეცვლა. იგი კი ძველ ქართულ ენასაც კითხულობდა. ბნ ვიანორმა ბნ ივანე ქავთარაძის სარეკომენდაციო ბარათი მომიტანა. არ ვიცი, ინსტიტუტის ხელმძღვანელის სახელზეც იყო თუ არა, მაგრამ მე კი მწერდა, ყურადღება მიაქციეთ, ძალზე ნიჭიერი ყმაწვილიაო. ბ-ნი ვიანორი მაშინ ძალზე ახალგაზრდა გახლდათ, 25 თუ 26 წლისა, მოხდენილი. საქციელით, სიტყვა-პასუხიცი თით, დასაველეთელ კაცს რომ მოეთხოვება. თუ არ ვცდები, ერთი წლის შემდეგ მე გადმომიყვანეს სამუშაოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტში და ბნმა ვიანორმა დაიკავა ის ადგილი.

ვ. ს.: დიახ, ბნ ვიანორის მიერ განვლილი გზა მართლაც რომ საამაყოა: კათედრის რიგითი წევრობიდან - დოცენტი, შემდეგ ინსტიტუტის პრორექტორი და აგერ უკვე ჩვენი ინსტიტუტის დენილობის დროს - რექტორი.

შ. ქ.: დღიდან ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩვენი გადაყვანისა, ჩვენ შორის დამყარდა კეთილშობილური კოლეგიური ურთიერთობა. ეს

ურთიერთობა ახლაც, სახელწიეროდ, გრძელდება და შეამაყება, რომ ბ-ნ ვიანორ ახალაიას მეცნიერული და მოქალაქეობრივი მომზადება-მომწიფება, თითქმის, ჩემს თვალწინ მოხდა.

რედ.: ბატონებო, ისევ მასწავლებელსა და მოწაფის ურთიერთობაზე უნდა შევჩერდეთ. დღეს ეს თითქმის არ ჩანს. არადა, ეს ხომ მწიფობრივ სფეროს განეკუთვნება.

გ. ბ.: ბ-ნ რობერტ, მართალს ბრძანებთ. სამწუხაროდ, მოგჯერ ივრძობთ ამის ივზორირებას. არადა, ამის დაუნახაობა ხომ მკრეხელობაა. ბ-ნ ივანესადმი ბ-ნ ვიანორის დამოკიდებულება მართლაც ისეთია, როგორც მოძღვარისა და მისი შევირდისა. განსაკუთრებით ბ-ნ ვიანორი, როცა მის შესახებ პყეება, თვალეები თითქოს სიამაყესა და სიყვარულს ასხიეებს. მოუყოლია:

ერთხანს, როცა თბილისის სახ. უნივერსიტეტი დაეამთავრე, პრესაში დაეიწყე მუშაობა. ბ-ნი ვანო ამის წინააღმდეგი არ დყო, პირიქით, მაგრამ ეტყობოდა, რომ მეცნიერებისკენ ჩემს ლტოლვას ამჩნეედა. ერთხელ სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგთან ვარ, ვარჩეე ჩემთვის ლიტერატურას. უყებ ჩემს ხელზე სხვისი ხელი დაემუა, ბარათი მომცა უსიგყოდ. აეიხედე, ბ-ნი ვანო ბრძანდებოდა... ამ ბარათში ჩემი მოძღვარი მსაყვედურობდა, ინერტულობა სამეცნიერო საქმიანობაში დამღუპეულიაო. აქ სხვა რამეც ეწერა... წერილი შენახული მაქეს და ხშირად მამხნეეებს, როცა მეცნიერება მრჩება თითქოს განზე სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ამიგომაც იყო, ამ დისერტაციის დასრულებას თხუთმეტ წელზე მეტი მოვანდომე.

მეორე შემთხვევასაც მოუგონებია:

ბ-ნი ვანოს წინადადებით, წავედი სომხურის შესასწავლად მთელი წელი ერეევანში... მერე როგორ გამომადგა ეს ძველი ქართული ენის კურსის ჩამოყალიბებაში.

მესამეშედაც ბრძანა:

დაწყებითი სკოლის მასწავლებლად ლამარა პაპასკირი (ახლაც ასწავლის) გეყავდა, რომელმაც წიგნი შემაყვარა, მისდამი პატივისცემა ჩამინერგა. და, აი ახლახანს, ჩემი ავტორეფერატი რომ მიუძღვენნი, ვიცი რამდენიმე ცრემლიე ჩამოუგორდებოდა თვალთაგან, სიხარულის ცრემლი.

შ. ქ.: ზემოთ კარგად ბრძანეთ თქვენ, ბ-ნი გენადი. კურსი, რომელიც მიჰყავს ამა თუ იმ ლექტორს, თვით უნდა ჩამოაყალიბოს - თავის თავისთვის მანს.

გ. ბ.: რა თქმა უნდა, ბ-ნ მოთა! ერთ მომენტზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ვისაც ასპირანტურის კურსი გაუვლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყოველ შემთხვევაში ჩვენი პროფილით, იქ სასწავლო გეგმაში აუცილებლად იყო გათვალისწინებული რამდენიმე შესარჩევი ლექციის წაკითხვა... ოღონდ, ისე კი არა, დღეს რომ ვეტყვით წინასწარ, გესწრებითო

და მოგჯერ უკმაყოფილონიც კი არიან, როგორ შემოგვეკადრესო. ლექციის წაკითხვის დღეს იქვე შევირჩევედნენ საკითხს და აი, ერთხელ ბ-ნ ვიანორს პირველი საცდელი ლექცია წაუკითხავს ბ-ნ ივანე ქავთარაძისა და პროფ. ა. კიზირიასათვის, ცარიელ აუდიტორიაში, მთელი ორი საათი... შემდეგ რასაკვირველია, მისი გარჩევა და ბ-ნ ანტონის თქმული დღეს ახსოვს: ძალზე კარგია, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო.

შ. ქ.: არც ერთი მეცნიერია დღეს ცოცხალი და არც მეორე... მაგრამ მათ როცა ასე ვახსენებთ, როცა მათ მეცნიერულ მემკვიდრეობას ასე ფაქიზად ვეპყრობით (ამაში ბ-ნ ვიანორის დისერტაციიდანაც დარწმუნდებით), ამაზე ბედნიერება რაღაა.

გ. ს.: მართალს ბრძანებთ, ბ-ნ შოთა! მე ვიციანობ დისერტაციას. მისი აპრობაცია ხომ ჩვენს კათედრაზე მოხდა. სპეციალური ლიგერატორის ანა-ლიზი აქ ხომ პირდაპირ სანაქებოა. დაცვისას არც ერთ ოპონენტს არ შეუნიშნავეს, კარგი იქნებოდა ესა თუ ის ნაშრომი გამოგვეყენებინაო.

რედ.: ეს სამეცნიერო შრომებისათვის, ალბათ, პირველხარისხოვანია. მართლაც თუ უკვე მოხმობილია და ცნობილი ესა თუ ის ღებულება, მაშინ იმას რაღა მტკიცება უნდა.

გ. ბ.: ბ-ნი რობერტი მართალს ბრძანებს. ჩვენ ამ შრომის თაობაზე ჩვენს აპრობაციაში ვწერდით: „ზანური ჰიპოტაქსის საკითხები ამ ბოლო დროს ინტენსიური კვლევის საგანი გახდა. სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა მას არაერთმა მკვლევარმა, მაგრამ თითოეული მათგანი წარმოაჩენდა ხოლმე ზანურის ერთ-ერთი დიალექტის ვითარებას. ამ თვალსაზრისით ასეა ეს ნ. აბესაძის, ო. ურიდიას, ჯ. ჰიუიგის, მ. ლომიას სპეციალურ ნაშრომებში, სადაც კვლევის ობიექტია მეგრული, ასევეა ჭანურის მიმართაც ს. ჯიქიას და ა. პარი-სის შრომებში. რთულ წინადადებათა საკავშირებელ საშუალებას ზანურში იკვლევს ლ. ფაჩულია. და მაინც, აქამომდე არ გვქონია ისეთი განზოგადებული ნაშრომი ზანურის ჰიპოტაქსის შესახებ, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ის, რაც გამოკვლეულია აქამომდე, დანახულია არაერთი ახალი მომენტი და, რაც მთავარია, ჩამოყალიბებულია ის პრინციპები, თუ როგორ მივიდა ზანურის ჰიპოტაქსის დღევანდელ ვითარებამდე. ასე რომ, სადისერტაციო ნაშრომი არა მარტო წმინდა ქართველურ ენათა სინტაქსის თვალსაზრისითაა საყურადღებო და აქტუალური, არამედ მოვალენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

ავტორი ცდილობს, და არაერთგზის, გვიჩვენოს ზანური სინტაქსის მექანიზმი შიგნიდან და არა ქართულიდან დანახული, თუმცა როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოს, სწორედ ქართული იძლევა გასაღებს ამ შინაგანი ხედვისა”.

გ. ს.: ბ-ნო შოთა, გახსოვთ, გემოთაც ითქვა, რომ შრომის წინასწარი განხილვა კათედრაზე მოხდა. ჩვენ მოგჯერ მზა დისერტაციას გვიგზავნიან სააპრობაციოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ენათმეცნიერე-

ბის ინსტიტუტიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ეს დიდი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. ეს ჩვენ მეტს გვაეალებს.

მ. ქ.: ისევე დაცეას რომ დაეუბრუნდეთ... ბ-ნო გენადი, თქვენი საბჭოს შემადგენლობა, ხომ საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი ენათმეცნიერებია წარმოდგენილი (პროფ. გ. ბურჭულაძე აგერ უკვე თითქმის ოცი წელია ამ საბჭოს წევრია). ამათგან პროფ. გ. გიგოლაშვილმა წინასწარი საექსპერტო დასკვნა წარმოადგინა... არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, პროფ. ქ-ნ იზა ჩანგლაძე ოპონენტობდა. მის მეტად ობიექტურ და ამასთანავე გამოწველილვით ანალიზში ცხადად გამოჩნდა, რა იყო ახალი დისერტაციაში. მიუთითებთ მხოლოდ ერთზე: „ყველაზე მნიშვნელოვნად დისერტაციაში მიგვაჩნია თანწყობიდან ქვეწყობისაკენ მიმავალი გარდამავალ საფეხურთა ძიება არა მხოლოდ ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შიგნით, არამედ პარალელურ მიგნება სლავურ ენებში და საერთოდ, უნივერსალიათა ძიება მიმღეობა – კონსტრუქციანი ფორმების პრელიკატული ფუნქციით აღჭურვის შემთხვევაში“.

ვ. ს.: ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურის უფროსი წარმომადგენელი, გელათის აკადემიის აკადემიკოსის ბ-ნ მ. ჭუმბურიძის რეცენზიაშიც შრომა მოწონებული იქნა. არ დამაიწყდება მის მიერ თქმული: „სადისერტაციო ნაშრომის სახით ჩვენს წინაშეა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკლევა, რომელშიც საფუძვლიანად არის განხილული მანური ჰიპოტაქსის არსებითი საკითხები“.

რედ.: შრომას კიდევ ფილ. მეცნ. დოქტორი ე. ლომთაძე ოპონენტობდა.

გ. ბ.: დიახ, ბ-ნ ელიზბარი, მართალია, ძირითადად კავკასიოლოგია, მაგრამ ვინ გაყო ჩვენში კავკასიოლოგი ქართველურ ენათა სპეციალისტისაგან. მეორეცაა, ბ-ნ ვიანორი სშირად მიმართავედა სტრუქტურულ პარალელებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან. რაც მთავარია, აქ არც ერთი შენიშვნა არ ყოფილა. მაშასადამე, შრომა ამ მხრივაც გამორჩეული გახლდათ.

ბ-ნ ელიზბარმა ისურვა შრომის მალე გამოცემა, ამასთანავე აღნიშნა, რომ ვ. ახალაიამ 'შეგრულ-ჭანურში მეცნიერულად დაძლია რთული ქვეწყობილი წინადადებების ურთულესი სამუშაო და, ვინიცობაა, სენურშიც ვინმე იკისრებს ამ როლის სათანადოდ შესრულებას, გადაწყდება საკითხი ამ პრობლემის გენეზისისა ქართველურ ენათა ფარგლებში“.

იმდღევანდელი დისერტაციის მხილვენი ამბობენ, ოფიციალურ ოპონენტებსა და დისერტანტს შორის უშეღავათო პაექრობა იყო.

გ. ბ.: ენათმეცნიერი გახლავარ და ანალოგიურ დისერტაციებს არაერთს შეესწრებივარ. პაექრობა მართლაც უშეღავათო იყო, მაგრამ აკადემიური ტაქტით წარმართული, პასუხები დისერტანტისა დამაჯერებელი გახლდათ, ამასთან, მეტად კორექტული.

განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენა ჩვენ მსჯელობა ზანურის, როგორც ერთი ენის თუ მისი მეგრულ და ლაზურ (ჭანურ) ენებად დაყოფის შესახებ. აქ მეტად ფასეული გახლდათ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღირეჭკორის, პროფ. გ. კეარაცხელიას გამოსვლა დაყვის ბოლოს. მან ბრძანა: დამაკმაყოფილა დისერტანგის პასუხებმა გერმინებთან და დიალექტურ დიფერენციაციასთან დაკავშირებით. სოციოლინგვისტური მომენტების მოშეელება ჩვენ არას გვარგებს. არ არსებობს ზუსტი კრიტერიუმი დიალექტებად დაყოფის. არსებობს ასეთი კვალიფიკაცია – სოციოლინგვისტური, რომლის მიხედვითაც ქართულის დიალექტებად მიიჩნევა სომხური, რუსული და სხვა. არც პოლიტიკურად, არც სოციალურად, არც მეცნიერულად არ არის გამართლებული და დამტკიცებული, რომ ლაზური ცალკე ენაა. გვჭირდება კი ეს? თუ ლაზური ენაა, მაშინ მეგრულსა და მას შორის ისეთი განსხვავება უნდა იყოს, როგორც მეგრულსა და სეანურს შორის.

შ. ქ.: ასე რომ, დაყვისას არ ჩანდა ის მღვარი, ხშირად რომ იჩენს ხოლმე თავს დისერტანგსა და მის ოპონენტებს შორის. ბ-ნ ვიანორი ამ მეტად ტიტულოვან ოპონენტებს ღირსეულად ეპაექრებოდა.

ვ. ს.: ამიტომაც იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ერთსულოვანი: მათ ბ-ნ ვიანორს ერთხმად მიანიჭეს საძიებელი ხარისხი...

რედ.: გმადლობთ, ბატონებო, ამ დღის ასე ნათლად წარმოჩენისათვის. ცხადია, ეს დიდი გამარჯვებაა არა მარტო ბ-ნ ვიანორ ახალაიასი, არამედ იმ კათედრისა, სადაც ის მოღვაწეობს და მთლიანად იმ დევნილი ინსტიტუტისა, ასე წარმატებით რომ ხელმძღვანელობს იგი.

წინ კვლავ დიდი სამუშაოები ელის დევნილი ინსტიტუტის რექტორს, როგორც სამეცნიერო სფეროს, ასევე უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. ინსტიტუტში დევნილობისას მეცნიერებაში არაერთი დაფრთიანდა, არაერთი გახდა მეცნიერებათა კანდიდატი სხვადასხვა დარგში (აქედან ქ-ნმა თ. კუპრაშვილმა სადოქტორო დისერტაცია ბიოლოგიაში დაიცვა). ჯერი მომავალ დოქტორებზეა. გვჯერა, ასე იქნება და რექტორის ამ გაკვალულ გზას არაერთი გაჰყვება!

ზნეობის დიდი გაკვეთილები

მეირფასო რადიომსმენელებო! გასულ წელს XVIII საუკუნის გამოჩენილ მეცნიერსა და საეკლესიო მოღვაწის, საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსის ანტონ I წელს იყო, საიუბილეო... ამ დღისადმი მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო სესია გაიმართა... ანტონ I ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ზოგ საკითხზე ისაუბრა ქნმა ელენე ბაბუნაშვილმა... ყველანი ამბობდნენ: ძალზე ლაკონური და გვეალი მოხსენება იყო... მე გამახსენდა სწავლის ის წლები, უნივერსიტეტში რომ გავაგარე ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე... იქ ქნი ელენე, ყველანი სიყვარულით ქნელის რომ ეძახიან, ქართული ენის კურსს ვეკითხაედა... დავიგრაბახებ, ქნმა ელენეზე ჩემი ეოდნა ფრიადზე შეაფასა; ვფიქრობ, როგორც ვაქს, შესაძლოა, ნიშანი „წამიმატა“, მაგრამ კვალი იმდროინდელი ჩემი განსწავლულობისა, აი, აქ, მუშაობისას წარმოჩნდება ხოლმე. რამდენმა თაობამ გაიარა ქნ ელენეს ხელში, რამდენი აღზარდა.. ამიგომაც ვინ შეიძლება ბრძანდებოდეს ჩვენი ვადაცემის აღრესატი, თუ არა ქნი ელენე, რომელიც აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია თაობებს მოძღვრავს ჩვენი ქართული ენის სამსახურად... იგი კი მომზიბლავი, დინჯი და საოცრად საქმიანი ნამდვილი ეროვნული მოღვაწეაა – ასეთია ქნი ელენე ჩემი და, რამდენადაც ვიცი, ბ-ნო გენადი, თქვენი მასწავლებელიც... ბ-ნ გენადის, არნ. ჩიქობაეას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვან-მეცნიერ თანამშრომელს, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორს, პროფესორ გენადი ბურჭულაძეს ვთხოვეთ მეგზურობა გაეწია ჩვენი ვადაცემათა ციკლის „დიდი წინაპართა გაკვეთილების“ დღევანდელი სტუმრის, ქნ ელენე ბაბუნაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში...

გ. ბ.: სიამოვნებით, ბ-ნო თამამ... ჯერ რადიომსმენელებს მინდა შევახსენო, რომ ქნი ელენე ბაბუნაშვილი იოსებ ყიფშიძის მიერ დაარსებული ქართული ენის კათედრის განაყოფის – ახალი ქართული ენის კათედრის – ღირსეული ხელმძღვანელი ბრძანდებოდა... თქვენ შემოთ ანტონ პირველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის თაობაზე ბრძანეთ... მე დავესწრებოდი იმ სესიას... მართლაც, ვის უნდა გაეკეთებინა მოხსენება ანტონ პირველის შესახებ ენათმეცნიერთაგან თუ არა ქნ ელენეს, ამ საკითხის ყველაზე უფრო კომპეტენტურ მკვლევარს... ბ-ნო თამამ, დღეს თანა მაქვს ქნი ელენეს მონოგრაფია „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“... აი, ნახეთ...

თ. ხ.: 1970 წელს გამოცემულა... გარეკანზე წარწერაა: „პროფესორ ილია აბულაძისა და პროფესორ ვარლამ თოფურიას ხსოვნას უძღვნის ამ შრომას აეგორი“... ასეთი დაწყვილება... ამისი ისგორია, ალბათ, თქვენ გეცოდინებათ...

გ. ბ.: სხვადასხვა დროს მისაუბრია ქნ ელენესთან... მასაც უამბია ზოგი ცნობილი ეპიზოდი თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან თუ ცხოვრებიდან... ზოგ მათგანზე რადიომსმენელებს მოვუთხრობ... იმედია, ქ-

ნი ელენე არ გვიწყენს... ყოველ შემთხვევაში ჩვენი საუბრებისას არ ყოფილა გრიფი – არაა განკუთვნილი სახალხოდ სათქმელად...

თ. ხ.: კარგად ბრძანეთ... თქვენს საუბარს ქ-ნი ელენეს ვეგო არ დაედება...

გ. ბ.: მაგისი იმედი მაქვს... იმას მოგახსენებდით... ის მონოგრაფია იმ ორი დიდებული მეცნიერის ხელდასმითაა შესრულებული...

როცა ქ-ნი ელენეს სადოქტორო თემა იხილებოდა ახალი ქართული ენის კათედრაზე, იმ სხდომას ესწრებოდნენ გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ილ. აბულაძე...

თ. ხ.: ქართველ ენათმეცნიერთა მთელი კოჰორტა შეკრებილა...

გ. ბ.: ღა, აი, ამ შეკრებაზე გადაწყდა ქ-ნ ელენეს სადოქტორო დისერტაციის თემა, რომლის შერჩევაში კი დიდი წვლილია ბ-ნი ილია აბულაძისა... მას აღრევე უბრძანებია: მხითარ აბა სებასტიელის გრამატიკის, რომლის უშუალო გავლენითა და გამოყენებითაა დაწერილი ანტონ პირველის გრამატიკის პირველი რედაქცია, ენა და სტილი ლელარკნილია... გექსტი რთული გადმოსაღებია ქართულად და მას ჩვენში ქ-ნი ელენეს თუ შეძლებსო... თან უთქვამს თავის დროზე ქ-ნი ელენესათვის: თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მოვა და რომელიმე სომეხი მეცნიერი დაწერს... არკვიე შემდეგ, რაა მართალი და საეჭვოო... ყოველთვის მას უნდა ემყარებოდეთ...

თ. ხ.: ბ-ნი ილია ჩვენთვის უპირველესად „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ ავტორია.

გ. ბ.: რა თქმა უნდა... ეს წიგნი, მისი გარდაცვალების შემდეგ რომ გამოიცა, ბრწყინვალე ლექსიკონია და საერთოდ აღიარებული, მაგრამ მეცნიერებაში მისი ღვაწლი სხვა დარგებშიცაა...

თ. ხ.: არა, ბ-ნო გენადი, ვიცი, ამასაც ფილოლოგის თვალთახედვით შევნიშნავ. მისი „მუშანიკის წამების“ ქართული და სომხური წიგნების გექსტობრივი ანალიზი მაინც რაღა ღირს... ან „მუშანიკის წამების“ გამოძახილის გამოკვლევა ძველ ქართულსა და სომხურ მწერლობაში...

გ. ბ.: ღა სხვა ძალზე ბევრი... კარგია რომ ეს შემახსენეთ... ამაზეც ანალოგიური კვლევის ჩატარება იყო საჭირო... ქ-ნ ელენეს მონოგრაფიაში წამოყენებული ყოველი მოსაზრება სომხური და ქართული გრამატიკების თაობაზე პარალელური გექსტებითაა მოცემული: ჯერ მხითარის გექსტია, შემდეგ – მისი სათანადო თარგმანი... აი, ესაა აქ მთავარი... ფაქტის კომენტარი თუ დებულებათა წამოყენება კვლევის ამ დონის აუცილებელი გათვალისწინებით...

თ. ხ.: მერე და, ამას ხომ სომხურის ჩინებული ცოდნა სჭირდება ენათმეცნიერული განსწავლულობის გვერდით...

გ. ბ.: რა თქმა უნდა, ენათმეცნიერული განსწავლულობა ხომ მან უნივერსიტეტში შეიძინა დიდი ენათმეცნიერების გვერდით სწავლასა და საქმიანობაში, ხოლო სომხურს ქ-ნ ელენე ასპირანტურაში გაძლიერებულად

სწავლობდა თვით ილია აბულაძის ხელმძღვანელობით... ბ-ნი ილია მარგო ქ-ნ ელენესთან 3-ნ საათს უთმობდა სემინარულ მუშაობას...

თ. ხ.: რას ბრძანებთ, ბ-ნო გენალი... ერთ ასპირანტთან...

გ. ბ.: ღიახ... ერთთან... ასე, სხვათა შორის, ქ-ნი ელენესა და ჩემმა ხელმძღვანელმა ბ-ნმა ვარლამ თოფურიამაც იყოლა... გვაშეუადინებდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო მასალის დასაძლევად...

სწორედ ბ-ნმა ილიამ შეასწავლა ქ-ნ ელენეს სომხური... სხვათა შორის, ბ-ნ ილიას IV კურსის სტუდენტები წაუყვანია ერევანში... ქ-ნი ელენე იგონებს: ერევნის უნივერსიტეტში მივედით – რექტორი ქართულად დაეუბრა: პარაკა ბ-ნ ილიას, სხვაგან მივედით – იქაც, ბოლოს ეჩმიაძინშიც კი შემოგვხვდა ლეთის მსახური – ისიც ქართულით შეეგება ბ-ნ ილიასო... ვეიკვირდა, ყველა მისი პატივისცემით ქართულად როგორღა ლაპარაკობსო...

თ. ხ.: დღეს თუ ასეა... არა ვგონებ... ასე რომ, სომხურში ქ-ნი ელენესათვის ბ-ნი ილია მეტრი ბრძანდებოდა...

გ. ბ.: არა მარგო სომხურში... ბ-ნ ილიას თავისი მოწაფის ცხოვრების წესიც აინტერესებდა... ქ-ნ ელენეს უამბზნია: როცა გათხოვდი, ეწყინა... სურდა ერევანში სომხურზე მეტმუშაეო...

თ. ხ.: კი მაგრამ, ვინ ბრძანდებოდა სიძე... ასე რომ გაანაწყენა ბ-ნი ილია...

გ. ბ.: თქვენ, ალბათ, იცნობთ... დღეს ცნობილი თურქოლოგ-ენათმეცნიერი, თსუ-ს თურქოლოგიის კათედრის გამგე, პროფ. ნოდარ ჯანაშია...

თ. ხ.: მაშინ?

გ. ბ.: მაშინ ისეთივე ასპირანტი, როგორც ქ-ნი ელენე... სხვათა შორის, ერთმანეთს გასცნობიან ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე...

თ. ხ.: ბ-ნო გენალი, ამ ორი ასპირანტიდან სადოქტორო დისერტაცია პირველმა რომელმა დაიცვა...

გ. ბ.: ჯერ ბ-ნმა ნოდარმა, 1970 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ – ქ-ნმა ელენემ... როცა ამაზე ქ-ნ ელენესთან ვსაუბრობდი, მან ბრძანა: ქ-ნი ელენე მეტრეველი, აკადემიკოსი, დიდად იყო დაინტერესებული ამ შრომის გასრულებით... ყოველმხრივ ხელს მიწყობდა, მაშინ შეთავსებით ერთ ხანს ხელნაწერთა ინსტიტუტშიც კი ვმუშაობდი...

თ. ხ.: ეს კარგი, ბ-ნო გენალი, მეტად საინტერესო მომენტები გაიხსენეთ ქ-ნი ელენეს ცხოვრებიდან, მაგრამ როგორღა დაიწყო მისი ასეთი წარმატებული სვლა ენათმეცნიერებაში...

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ. ეს აღრევე უნდა მომეთხრო... ქ-ნი ელენე 1944-49 წლებში სწავლობდა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე... მასთან ერთად სწავლობდნენ შემდეგ პროფესორნი მურაბ ჭუმბურიძე და გიორგი კაჭარავა... არც ერთი მათგანი ასპირანტურაში კავკასიურ განყოფილებაზე არ დაუტოვებიათ... არა და, ყველანი ჩინებული სტუდენტები იყვნენ...

თ. ხ.: მერე და რა მოხდა, მაშინ ხომ არნ. ჩიქობავა განაგებდა კავკასიურ ენათა კათედრას, როგორ არ დაიტოვა მან ისინი კათედრაზე სამუშაოდ?

თ. ხ.: აი, აქა ამ უცნაურობის გასაღები... არნ. ჩიქობავას შესახებ ჩვენი რადიოგადაცემიდან შეიძლება გახსოვთ რადიომსმენელებს, რომ სწორედ 1949 წ. არნ. ჩიქობავამ დაწერა მოხსენება-წერილი „აკად. ნ. მარის ენათა სტალიური კლასიფიკაცია“ (1949 წლის 21 აპრილის მოხსენება)...

თ. ხ.: ეს არაა განა, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“ რომ დაიბეჭდა?

გ. ბ.: დიახ... ამ წერილის ისტორია საინტერესოა... იგი ხომ თვით ი. სტალინისთვის ყოფილა განკუთვნილი, მას წაუკითხავს... მოხსენება დიდხანს დააყოვნა თავისთან.. თითქმის ერთი წელი...

თ. ხ.: ჰოო, მახსოვს, რა თქმა უნდა... აი, ნაწყვეტი არნ. ჩიქობავას წერილიდან „როდის იყო და როგორ“: „1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საგანგებო სხდომაზე იმსჯელა „ენათმეცნიერების ფრონტზე არსებული მდგომარეობის“ შესახებ და დაადგინა: აკად. ნ. მარის „ახალი მოძღვრება მიჩნეულ იქნეს ენის შესახებ ერთადერთ მაგერიალისტურ მარქსისტულ თეორიად, დანარჩენი სხვა კი, რომელიც მას არ ეთანხმება, გადაჭრით იქნეს უკუგდებული“.

გ. ბ.: ბ-ნო თამამ, მაშინ მეც წავიკითხავ ერთ ადგილს ამ წერილიდან: „მართალია, ეს არ იყო საღირექტივო ორგანოს დადგენილება, მაგრამ იგი მომდინარეობდა ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულებისაგან. მონოპოლია საბჭოთა ენათმეცნიერებაში ნ. მარის „ახალ მოძღვრებას“ მიეკუთვნა“.

თ. ხ.: მამასადაამე, ბ-ნი არნოლდი გაუფრთხილდა თავის საუკეთესო სტუდენტებს... არნ. ჩიქობავას ასპირანტებს, ახალგაზრდა მეცნიერთ შეიძლება ეს ცუდად დაბეჭდობდათ... ამ, მესმის მასწავლებლის სიფრთხილე... შემდეგ ბ-ნო გენადი...

გ. ბ.: დიახ, აქ ბ-ნი არნოლდის წინდახედულებაა... ამიგომაც მისივე რეკომენდაციით, ქ-ნი ელენე ბ-ნ ვარლამ თოფურიას ასპირანტი ხდება, თუმცა ქ-ნ ელენეს ბ-ნი ვარლაში არც კი ასწავლიდა...

თ. ხ.: მასწავლებლები, ჩანს, თავიანთ ალსაზრდელთა მომავალ მეცნიერულ მოღვაწეობას, ალბათ, წინასწარ ჰკრეჭდნენ...

გ. ბ.: მართლაც... მაგალითად, 1950 წელს თსუ-ს „სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში“ დაიბეჭდა ქ-ნი ე. ბაბუნაშვილის „მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“... შრომა ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით შესრულებული... ამის გვერდით ქ-ნი ელენე ამუშავებს საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც ნაწილაკებს ეხება... ამ დისერტაციის დაცვა შედგა 1954 წელს... თემის ხელმძღვანელი ვ. თოფურია გახლდათ... ოპონენტი, ერთ-ერთი, ბ-ნი სიმონ ყაუხჩიშვილი უნდა ბრძანე-

ბულიყო... ამ დროს, ვგონე, ის უნივერსიტეტიდანაც დაუთხოვიათ და ამიტომაც ოპონენტები ბრძანდებოდნენ ბ-ნი ილია აბულაძე და ივ. ქავთარაძე...

თ. ხ.: ცალკე წიგნად ეს გამოკვლევა არ დაბეჭდილა...

გ. ბ.: არა, ბ-ნო თამაშ და სამწუხაროა, რადგან ქ-ნი ელენესათვის, თავისი მასწავლებლების მსგავსად, დამახასიათებელია საკითხის გამოწველილეთი ანალიზი, ამიტომ ამ ნაშრომის გამოცემა ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, საჭიროა...

თ. ხ.: რა თქმა უნდა... მაგრამ, ბ-ნო გენადი, რამდენადაც ვიცი, ქ-ნი ელენე ბ-ნ თედო უთურგაიძესთან ერთად კვლავ დაუბრუნდა „ანგონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხებში“ დასმულ ზოგ საკითხს ცალკე წიგნად დასტამბულ შრომაში „ანგონ პირველის „ქართული ღრამატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა“ (თბ., 1991).

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ, მოცულობით ამ მცირე წიგნში ბევრი საკითხია წინ წამოწეული და ზოგი ფაქტობრივ პირველად დასაბუთებული... ფასეულია ავგორთა დასკვნა, „ქართული ღრამატიკის“ II რედაქციაში ჩამოყალიბებული, დღესაც ყველასათვის მისაღები: „ნაწარმოების ქანრს მნიშვნელობა აღარ აქვს: სალიტერატურო ენა ერთია და მისი ნორმების დაცვა სავალდებულოა ყველასათვის“ (გვ 7).

თ. ხ.: დიახ, რასაკვირველია... ამ წიგნის „წინასიტყვაობაში“ ხაზგასმითაა ნათქვამი: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გრძელგზაზე სამი დიდი სახელია აღმართული: იოანე პეტრიწის, ანგონ კათალიკოსის და ილია ჭავჭავაძისა“ (გვ. 5), - რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს... ბ-ნო გენადი, ამ წიგნებს გარდა, ქ-ნი ელენეს სხვა, სპეციალური დანიშნულების წიგნებიცა აქვს გამოცემული...

გ. ბ.: დიახ, ქ-ნმა ელენემ ქ-ნ ნათელა ნადარეიშვილთან ერთად ჯერ კიდევ 1974 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების ინიციატივით გამოსცა გერმანულენოვან ქვეყნებში ჩვენი თანამემამულეების დასახმარებლად „ქართული ენის თვითმასწავლებელი“... ავგორებს სათანადო საილუსტრაციო მასალა შეურჩევიათ... აქ ამკარად ჩანს ქ-ნი ელენეს ხელი, ხელი მშობლიური ენისა და ლიტერატურის ქომავისა... აი, მაგალითად, III გაკვეთილის შესწავლისას, როცა ჩვენი უცხოელი თანამემამულეები უნდა გაეცნენ დ. ყ, ძ, წ, ჭ... სპეციფიკურ თანხმოვნებს, სასელმძღვანელოში ხალხური ლექსია მოხმობილი:

„ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია

ყმაწვილსა კარგი სწავლითა დედა გაუხარებია“

თ. ხ.: საუცხოოა... სხვა რა მასალებია შერჩეული...

გ. ბ.: წიგნში სხვა ხალხური ლექსებიცაა: „თებერვალი დადგაო“, „ჰაუ, ჰაუ, ქორო, ქორო, ნუ ფრენ“, „იზარდე, მწვანე ჯეჯილო...“, სოსელოს „დილა“... ქართველ პოეტთა პატრიოტული ლექსები... სულხან-საბას „ძალა

ერთობისა”

თ. ხ.: მართლაც, რა სიყვარულით შედგენილი მასალაა...

გ. ბ.: იცი, ბ-ნო თამაზ, არ ვიცი გასწაველიდა თუ არა შენ ქ-ნ მარიამ თალაკვაძე, დღესაც მახსოვს, როგორი სიყვარულით გვიხსნიდა ი. გოგუბაშვილის „ღეღა ენის“ შედგენის გენიალურობას... აი ია... ცალკე აღებული სიტყვებიცაა და მთელი წინადადებაც... ამით იწყებდა ქართველი ყრმა უცხო სამყაროში სიარულს... ვგონებ, ასე ეძებდა ქ-ნი ელენე სახელმძღვანელოსათვის სათანადო ნიმუშებს... ბოლოს ხუთი გარე ქართველის (ასე უწოდებდა მათ ირაკლი აბაშიძე) პოეზიის ნიმუშებია... ცრემლით სავსე, მაგრამ ქართული მაღლითა და სიამაყით გაჯერებული... აი, მაგალითად, გიორგი ყიფიანის ლექსში „ჩემს შვილს“ მამა მიმართავს თავის შვილს, რომლის ღეღა უცხო ჯიშისა იყო: „ქართული ძუძუ არ გიწოვია, მაინც სისხლი ხარ ჩემი სხეულის“.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, გეთანხმები... დიდი სიყვარულით შედგენილი „თვით-მასწავლებელია“... სანიმუშო... 1974 წელს გამოსულა... მერე არა...

გ. ბ.: არადა, რა რიგ საპიროა... თუმცა 1987 წელს ქ-ნმა ელენემ, ქ-ნ ნათელა ნადარეიშვილმა და ცნობილმა ქართველოლოგმა და კავკასიოლოგმა ჰაინც ფენრიხმა გამოსცეს „ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო“... წიგნი გამოვიდა მაშინდელი გღრ-ის ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტისა და ჩვენი უნივერსიტეტის ხელშეკრულების თანახმად...

თ. ხ.: ახლა ცოტა ცხოვრებისეულ მომენტთა შესახებ გვითხრათ ეგებ რაიმე, თუ ვიამბოთ ქ-ნმა ელენემ რაიმე კურიოზული შემთხვევის შესახებ... დიმილით რომ გაიხსენებს კაცი...

გ. ბ.: ერთხელ ქ-ნმა ელენემ გაიხსენა: დასავლეთ ევროპულ ფაკულტეტზე ქართული ენის კურსი მიმყავს... II სერიის მწკრივებს ეუხსნი: ლექციას ბ-ნი ვარლამ თოფურია ესწრება... მე შევნიშნე, საცდელი ლექცია ხომ არ იყო-თქო, – არაო, – ბრძანა ქ-ნმა ელენემ და განაგრძო, მაგრამ რაღაცა დამემართა, ვერ ვიხსენებ სათქმელს... ალბათ, წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი იყო... რა ექნა, ბარამდე 10-15 წუთი კიდევ რჩება და თავში მომივიდა შემდეგი გადაწყვეტილება... ვეუბნები ჩემს სტუდენტებს: აი, ახლა თქვენ ბ-ნ ვარლამს მოუსმინეთ, ჩემს მასწავლებელს, ის გააგრძელებს ლექციას... ის მოგახსენებთ ზოგ ისეთ საკითხზე, რაზეც მე არა მითქვამს რაო.

თ. ხ.: მერე, მერე... საინტერესოა, ბ-ნმა ვარლამმა შეწყვეტილი ლექცია ისე დასრულდა, თუ რა იყო...

გ. ბ.: ბ-ნი ვარლამი დინჯად ამდგარა... თავისი განუმეორებელი დიმილით, მარტო მას რომ სჩუვოდა და უბრძანებია: ჩემო კარგებო, ასეთი მწყობრი, მშვენიერი ლექციის შემდეგ, თქვენმა ახალგაზრდა ლექტორმა რომ ჩააგარა, მე რა მეთქმის... მე მხოლოდ იმის შესახებ მსურს გესაუბროთ, რისთვისაა თქვენთვის, დასავლეთ ევროპული ფაკულტეტის სტუდენტთათვის, ქართული ენის შესწავლა.

თ. ხ.: ალბათ, ეს ლექცია ყველასათვის იქნებოდა საინტერესო...

გ. ბ.: რა თქმა უნდა... იმ 10-15 წუთს შესვენებაც დამატებია და, ქ-ნი ელენეს თქმით, პირადად მანაც ერთი დიდი და კარგი გაკვეთილი მიიღო მისი დიდი მოძღვრისაგან...

თ. ხ.: და, ალბათ, მასწავლებელთა გაკვეთილები გრძელდება დღესაც...

გ. ბ.: კარგად ბრძანეთ... ბ-ნო თამაზ, არასოდეს დამაიწყებდა, როცა ჩემი პირველი სტუდენტური მოხსენება გავაგზავნი, იგი ბ-ნი ივანე გიგინეიშვილს მივუტანე ენათმეცნიერების ინსტიტუტში... გაეცნო და რამდენიმე დღის შემდეგ რომ მივედი, მითხრა, ეს თქვენი სემინარული მუშაობის ხელმძღვანელს გადაეცითო... ქ-ნი ელენეს დრო და ენერჯია არ დაუზოგავს შრომის იმ კონდინციამდე მიყვანაში, თემისების სახით რომ გამოყენებულიყო... მაგრამ საუბრეელი ამას ბ-ნმა ივანემ ჩაუყარა... ასე რომ, მართალია, ჩემი ნათელია მეცნიერებაში ქ-ნი ელენე ბრძანდება...

თ. ხ.: ნათლიები მშვენიერი გყოლიათ, მაგრამ ნათლულსაც არ შეურცხვენია-

გ. ბ.: ღმერთმა ქნას... ერთი რამ მინდა მოვეუბნო ჩვენს რადიომსმენელებს... ბ-ნი ივანე გიგინეიშვილი თავის დროზე ქ-ნი ელენეს ლექტორი გახლდათ, მოგივანებით ჩვენიც... მახსოვს, ქ-ნი ელენე მის ლექციებს ისევე ესწრებოდა, როგორადაც ჩვენ, არადა ის უკვე დოცენტი გახლდათ... გავიდა ხანი... ქ-ნი ელენე უკვე მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბრძანდებოდა და იგი კვლავ სემინარულ მუშაობას ატარებდა ბ-ნი ივანესთან, ბ-ნი ივანე კი მაშინ კვლავ დოცენტი იყო... ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში... რა იყო ეს, ბ-ნი ივანეს პატივისცემა, როგორც ბრწყინვალე მეცნიერისა და ლექტორისა, თუ სხვა რამ... ვფიქრობ, ესეუ იყო... ბ-ნი ივანე ეტალონი იყო მეცნიერ-ლექტორისა და საერთოდ ადამიანობისა, მაგრამ აქ ამით ქ-ნი ელენე მნეობის დიდ გაკვეთილებს უტარებდა თავის გარშემო მყოფთ, უპირველესად მის სტუდენტებსა და ასპირანტებს, ჩვენ ყველას, ვინც მას ვიცნობთ... და ბოლოს და ბოლოს თავის ორ ქალიშვილსა და შვილიშვილებს... ერთი სიტყვით ყველას... დღეიდან, ალბათ, ჩვენს მრავალრიცხოვან რადიომსმენელებს...

თ. ხ.: დიდი მადლობა, ბ-ნო გენადი, მეგზურობისათვის, თქვენ რომ გაუწიეთ რადიომსმენელებს, ქ-ნი ელენეს სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გასაცნობად... ბოლოს რას იგყოფით?

გ. ბ.: იცით, ბ-ნო თამაზ, ქ-ნი ელენეს ერთ ჩვევაზე მსურს ვუამბო რადიომსმენელებს ეს ქ-ნი ელენეს, ჩანს, თავის დიდ მასწავლებელთა მსგავსად ახასიათებს...

თ. ხ.: სიამოვნებით მოგიხმენთ, ბრძანეთ...

გ. ბ.: ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენს ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაციას იცავდა ქ-ნი ლეილა კვანტალიანი... ოპონენტებად გამოყოფილი იყვნენ თელაველი პროფესორი როინ ჭიკაძე, მე და მთავარი ოპონენტი გახლ-

დათ, რა თქმა, უნდა ქ-ნი ელენე... ჩვენ თითქოს მას ვაბარებდით გამოცდას, რაკი ერთად ვიყავით ჩვენს ძვირფას მასწავლებელთან ოპონენტებად... მასწავლებელი და მოსწავლენი... ხოდა, ქ-ნი ელენეს უნდა დახვედროდნენ და მოეყვანათ ინსტიტუტში, ასე იყვნენ შეთანხმებული... ჩანს, რაღაც გაუგებრობის გამო ეს ვერ მოხერხდა... ქ-ნმა გუჩა კვარაცხელიამ, ჩვენი ინსტიტუტის დირექტორმა და საბჭოს თავმჯდომარემ, შენიშნა ჩვენკენ მომავალი ქ-ნი ელენე... მე, რა თქმა უნდა, შევხედე და შემოვედით შენობაში, ყველას გაგვიხარდა მისი ღრობე მობრძანება... შემდეგ დაცვის დროს გადმომილაპარაკა: გენადი, როცა შეხვედრა მაქვს სტუდენტთან და ასპირანტთან, დანიშნულ ღრობე ერთი ათი წუთით ადრე ყოველთვის მოვდივარ... არ დამაგვიანდესო... ეს ხომ გაკვეთილია ჩვენი აჩქარებული ცხოვრებისათვის... პატივი უნდა სცე მას, ვინც შენი შემცველია მომავალში, პატივი უნდა მას, რადგან ის უპირველესად პიროვნებაა...

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, მესმის, რომ ჩვენი საუბარი ქ-ნი ელენეს შესახებ სრულებითაც ვერ ამოწურავს იმას, რაც მის შესახებ გვინდოდა გეთქვა... მაგრამ იმ მცირედისთვისაც გმადლობთ თქვენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მადლობა მას, ჩვენს მშვენიერ ქალბატონს... თაობათა აღმზრდელს, ქ-ნი ელენე ბაბუნაშვილს... ვუსურვებთ ერთადერთს – ხანგრძლივ სიცოცხლეს, მის თანამედევ სამეცნიერო, პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად!

ორი ბაგონის მსახური

იან ბრაუნმა, ცნობილმა ბასკოლოგმა და ქართველოლოგმა, თავისი მოხსენება „ბასკური და ქართველური ენების ლექსიკური შეხვედრები“¹ წაიკითხა 1954 წელს, როცა იგი თბილისის სახ. უნივერსიტეტში სწავლობდა ასპირანტურაში ძველი ქართული ენის საეციალობით (1955 წელს კი მან თბილისში დაიწვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული მზნის მრავალპირიანობა“).

ამის შემდეგ იგი ფაქტობრივად ხდება „ორი ბაგონის მსახური“ – ბასკურისა და ქართულ-ქართველურისა... ასე მიიწურა ეს 50 წელი და ბაგონი იანი, უკვე 78 წლისა, კვლავ და მერამდენედ ესტუმრა თავის საქართველოს მოხსენებათა ციკლით – ამჟამად ქართულ-ბასკურ ენებს შორის არსებულ ბგერათმესაგყვისობაზე... ამ სტუმრობისას ბ-ნმა იანმა მოინახულა მცხეთის სანახები, კუთხე-კუთხე მოიარა მესხეთის მიწა...

1. გადაიყა საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით 1997 წლის 28 და 30 ოქტომბერს (გადაყმა მიჰყავდა ლიტერატურულ დრამატული პროგრამის რედაქციის მთავარ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს თამაზ ხმაღაძეს).

1976 წელს ი. ბრაუნმა თბილისის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების კურსი „ბასკოლოგიის შესავალი“ რუსულ ენაზე, რაც ჩაწერილი იქნა მაგნიტოფონზე; ქართული ტექსტი დასაბუქდად გაამზადა გელათის აკადემიის აკადემიკოსმა, ბნ იანის სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა, პროფ. ზ. ჭუმბურიძემ; წიგნი გამოვიდა აკად. არნ. ჩიქობავას წინასიგყვაობითა და რედაქციით 1984 წლის აპრილში. ამ რამდენიმე წლის წინ, 1998 წელს, ვარშავაში დაიბეჭდა ბნ იან ბრაუნის წიგნი „ბასკურ-კავკასიური, ქართველურ-ბასკური ისტორიულ-მედარებითი მგულები“ სახით¹. ამ კრებულში თავმოყრილია ბასკურ-კავკასიური პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველისათვის განკუთვნილი ი. ბრაუნისეული ცალკეული გამოკვლევები – აქაა რჩეული სტატიები, რაც უწერია ავტორს ამ სფეროში (ბგერათმეცნიერების დარგით დაწვებული და ლექსიკის ცალკეული საკითხებით, ბრუნვათა და ქართველურ ტომთა კონტაქტებით დამთავრებული).

ამავე დროს იგი ცნობილი სპეციალისტია შუმერულისა, იკვლევდა აგრეთვე ამიანიკური ენების მედარებითი გრამატიკის საკითხებს, „იკვლევდა ძველ აღმოსავლურ ენათა და კულტურის ისტორიის პრობლემებსაც“.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ შეფასდა: იან ბრაუნი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად და გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა ბასკურის წარმომავლობასა და მის ადგილზე ენათა ოჯახებს შორის.

ჯერ კიდევ 1869 წელს ა. შლაიხერი წერდა ამის შესახებ:

„დღევანდელ დღეს ბასკური ენობრივი ხილიდან შემორჩენილა მხოლოდ ერთი შგო, მართალია, რამდენიმე დიალექტად დაყოფილი, და ჩვენ არ ვიცით არც ერთი სხვა ენა, რომელიც მასთან (ე. ი. ბასკურთან – გბ.) ნათესაურ კავსირს ამკლავებდეს“².

არადა, საფრანგეთისა და ესპანეთის სამღვარზე, პირინეის მთების დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ეს ხალხი „ . . . არ მიეკუთვნება არც რომანულ ენათა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან მეზობელ ხალხთა ენები – ფრანგული და ესპანური, არც ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვა რომელიმე ჯგუფს“³.

უფრო ადრე კი გერმანელი მეცნიერი ვ. ჰუმბოლდტი (1767-1835 წწ.), რომელმაც იმოგზაურა ბასკეთში და შექმნა „ბასკური დღიურები“, ბასკებს იბერიული წარმოშობის ტომად თვლიდა და ვარაუდობდა, რომ ისინი კავკასიის იბერიიდან გადასახლებულან იქ. ვ. ჰუმბოლდტის ეს შეხედულება „იბერიული თეორიის“ სახელითაა ცნობილი.

ვ. ჰუმბოლდტის ეს თვალსაზრისი ცარიელ ადგილას არ წარმოშობილა... „ოცი საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში გრიალებს აზრი, რომ ესპანეთის პირენეული ძირითადი მოსახლეობა ქართველებს ენათესავენა“⁴.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბასკურს უკავშირებდნენ ურალურ-ალა-

თაურ და ჩრდილო ციმბირის ე. წ. პალეო-აზიურ ენებს, უნგრულ-ფინურ თუ ინდო-ევროპულ ენებს...

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ფრ. მიულერის ცნობილი თეორია, რომლის თანახმადაც, „კავკასიური ენები არ უკავშირდებიან ინდო-ევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალათაურ ენათა ოჯახს მივაკუთვნებთ. ჩანს, კავკასიური ენები – მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში – წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით უფრო დიდი ენათა ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით მანამ, სანამ იქ სემიტური, არიული და ურალურ-ალათაური ტომები გავრცელდებოდნენ“ (დაყოფა ჩვენია – გ. ბ.)⁷

მიულერისაგან დამოუკიდებლად ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა პ. უსლარმაც იმავე 1864 წელს.⁸

თუ პ. უსლარმა არაერთი მთის იბერიულ-კავკასიური ენა შეისწავლა პირველად, რათა შექმნილიყო „თითქმის სრული სერია Caucase polygletteსი“ („მრავალენოვანი კავკასია“)⁹, მეორე უცხოელმა მკვლევარმა ლ. ბონაპარტემ კარგად იგრძნო, რომ „მრავალრიცხოვანი დიალექტების დეტალური შესწავლისა და კლასიფიკაციის გარეშე ბასკური ენის მეცნიერული აღწერა შეუძლებელია“.¹⁰

ამიგომაც ბრძანა ი. ბრაუნმა, რომ ლ. ბონაპარტემ „...ისეთივე გაელენა მოახდინა ბასკოლოგიის განვითარებაზე, როგორც პეტრე უსლარმა კავკასიურ ენათმეცნიერებაზე“.¹¹

მცირერიცხოვან ხალხებს აქვთ კულტურული აკუმულაციის უნარი... ასეთად წარმოიდგინა ბ-ნმა ბრაუნმა ლ. ბონაპარტის ნაღვაწი და განსაკუთრებით დე ასკუეს დიდი ორგომიანი ლექსიკონი ბასკური ენისა (1905-1906 წ.წ.)... „ეს არის ჩვენი საუკუნის დამდევის ბასკურის სამეცნიერო ენის ლექსიკონი“, რომელიც „დღეს პირდაპირ გაოცებას იწვევს, როგორ შეძლო ერთმა კაცმა ასეთი ლექსიკონის შექმნა, რომელიც თავისი სიმზუსტითა და დოკუმენტაციის სიმკაცრით იმ გიჟისაა, როგორც არის, ვთქვათ, ქართული ენის რეაგომეული განმარტებითი ლექსიკონი... ეს ლექსიკონი მრავალრიცხოვან თანამშრომელთა კოლექტივის მიერ არის შექმნილი, ბასკური ლექსიკონი კი ერთი კაცის შრომის ნაყოფია“ (დაყოფა ჩვენია – გ. ბ.)¹²

ასე დანახვა სხვისი ნაშრომისა, ალბათ, მხოლოდ მშობლიურ ენაზე შეყვარებულ კაცს შეუძლია... პოლონელმა ლინგვისტმა ეს შეძლო, რადგან მან ბასკური თავისად გაიხადა (ასევე ქართულიც)...

აი, რას ნიშნავს კულტურული აკუმულაცია, მისი უნარი... მან მოგვაგონა ჩვენი სულხან-საბას გაკეთებული „სიგყვის კონა“ (1716 წ.) რომელიც „პირველი განმარტებითი ლექსიკონია იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდელიეში“ (დაყოფა ავტორისაა - გ. ბ.)¹³

ბასკურს, ჩანს, ბელად დაპყობილი ავტორიტეტულ ენათმეცნიერთა ყურადღება... ამათ შესახებ ძალზე შეკუმშულად მოგვითხრობს ი. ბრაუნი¹⁴, მათ შორის მოხსენებულია ნ. მარი¹⁵.

ნ. მარი იყო პირველი ენათმეცნიერი ჩვენში, ვინაც ბასკური იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროს დაუკავშირა; მან ბასკური გააერთიანა იაფეტურ ენათა წრეში (იაფეტური თეორიის მესამე, მედიტერანისტულ, ეტაპზე).

ნ. მარი ბასკურით მამინ დაინტერესებულა, როცა ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. მოგვიანებით კი მან რამდენჯერმე იმოგზაურა ბასკეთში. ამ მოგზაურობათა ანგარიში გამოქვეყნებულია.

ნ. მარის არაერთ შრომაში გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური სახის შეხვედრები ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის.¹⁶ ასე რომ, ბასკურისა და კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის დასაბუთების ცდა უკვე ნ. მართან გვაქვს.¹⁷

„აი ამ თეორიის მიმდევარია რ. ლაფონი. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მსგავსებები ამ ენებს შორის (იგულისხმება ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენები – გ. ბ.) ვერ აიხსნება ვერც შემთხვევითობით, ვერც სესხებით; ისინი გენეტური ურთიერთობის არსებობას გულისხმობს. ბასკური, მომდინარე აკეიტიკურისა და ბასკონურისაგან, და კავკასიური ენები ერთად ქმნიან ოჯახს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ეუსკარო-კავკასიური. ასეთია ჰიპოთეზა, რომელსაც იტავენ დიუმევილი, ბოუდა და ლაფონი“ (დაყოფა ჩვენია – გ. ბ.).

ამ ჰიპოთეზის ყველაზე უფრო თანმიმდევრული დამყველია კ. ულენბუკი, ხოლო დღეს ამასვე იზიარებს ცნობილი კავკასიოლოგი და ბასკოლოგი, პოლონელი ენათმეცნიერი იან ბრაუნი.

კ. ულენბუკმა ერთ თავის ადრინდელ წერილში ანატომიურ ტერმინებში გამოყო გაქვეყნებული პრეფიქსი ბ-. ი. ბრაუნი მას უკავშირებს, ერთი მხრივ, დაღესტნურ ენათა შესაბამის მონაცემებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველურისას. აქ საყურადღებოა ისიც, რომ პრეფიქსული წარმოება აღმოაჩნდა სახელებსაც (რაც უძველესი მოვლენა ჩანს), მსგავსად ზმნებისა. პოლონელმა ენათმეცნიერმა ეს დაუკავშირა არნ. ჩიქობავას იდენტურ დებულებას, გამოთქმულს ქართველურ ენათა მიმართ.

საინტერესოა კ. ულენბუკის სხვა წერილიც, რომელშიც ბასკურის ძირეულ მორფემათა ანალიზია მოცემული. მკვლევარს ბასკურში დაუდასტურებია CV და CVC ტიპის ძირეულმორფემიანი სახელები. აღსანიშნავია, რომ ამ სქემის მიხედვით სიგყვის თავში არ შეიძლება გეჟონდეს რ; CVC ტიპის ძირეულ მორფემათა ბოლოკიდური თანხმოვანი კი არის ვ, ლ, ნ ან დ. ი. ბრაუნის აზრით, აქაც თვალში საყვამია ბასკურისა და ქართველურ ენათა შესაბამის მოდელთა (რაც არნ. ჩიქობავამ დაადგინა) მსგავსება. ე. ი. ბასკურის ძირეულ მორფემათა უძველესი მოდელი ამ თვალსაზრისით ძალიან ახლოსაა კავკასიურთან, ხოლო ასეთი სტრუქტურული სახის

მსგავსებანი, სხვა მომენტებთან ერთად, მეტად საგულისხმოა, – დაასკენის ი. ბრაუნის.

კ. ულენბექსავე ეკუთვნის გამონათქვამი: „ბასკოლოგიის მომავალი მის კავკასიურ ენებთან შედარებაშია“.

ეს არაა მხოლოდ კ. ულენბექის თვალსაზრისი. ამასვე იზიარებდა რ. ლაფონი. ამ მხრივ სიმპტომატურია მისი ზოგი ნაშრომის სათაურის უბრალო ჩამოთვლაც კი, რაც მოცემულია მისსავე შედგენილ ბიბლიოგრაფიაში (გვ. 76-84): „მორფოლოგიური ფარდობანი ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“, „ბასკური და კავკასიური გამოკვლევები“, „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“, „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის. I: პირის ნიშნები ბასკურ უღვლილებაში“.

როგორც ჩანს, ეს ბიბლიოგრაფია სრული არ არის. ამიგომავ, რომ მას თვით შემდგენელი უწოდებს „ზოგად ბიბლიოგრაფიას“. აქ არაა შეტანილი, მაგალითად, რ. ლაფონის „ბასკურ-კავკასიური შესაბამისობანი“ („Correspondances basques - caucasiques“, 1948); სადაც ავტორი ცდილობს დაადგინოს ბგერათმეცნიერების ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის. ამ ნაშრომში რ. ლაფონს გარკვეული ენობრივი კანონი ჩამოუყალიბებია²⁴, რის საფუძველზეც ბასკურში აღმდგარა აბრუპტივები, რაც ბასკურს არ გააჩნია, მაგრამ ისტორიულად უნდა პქონოდა.

თვით ი. ბრაუნის ხომ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას მეტად დამაჯერებლად მიიჩნევს; ამიგომაც გამოყოფს იგი ბასკურს, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთ წევრს, სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილ ამ ენათა სხვა ქვეჯგუფების გვერდით.

რაც მეტად ანგარიშგასაწევია, რადგან ი. ბრაუნის სახით, როგორც ეს აღნიშნა ი. ბრაუნის მოხსენების შემდეგ სიგყვით გამოსულმა არნ. ჩიქობავამ, „ჩვენ გვყავს მკვლევარი, რომელიც ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავს ცალკე კავკასიოლოგი და ცალკე ბასკოლოგი, ესაა ის ბედნიერი შემთხვევა, როცა ბასკოლოგი კარგად, დამოუკიდებლად აანალიზებს ორივეს – ბასკურსა და კავკასიურ ენათა მონაცემებსო,“ – დასძინა არნ. ჩიქობავამ მაშინ.

არნ. ჩიქობავას ამ ზეპირი განცხადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულში“ დაბეჭდილ სტატიაში „ბასკური და კავკასიური“ ი. ბრაუნმა განაცხადა:

„დღეს სპეციალისტთა წინაშე ამოცანაა – იძლევა თუ არა ამ ენებში ლექსიკური თანხედომანი ისეთი რეგულარული ბგერათმეცნიერების ფორმათა დადგენის საშუალებას, როგორც ჩვეულებრივ გვხვდება მონათესავე ენათა შორის“.²⁵

საილუსტრაციოდ მკვლევარმა მოგვაწოდა, ერთი რ. ლაფონისეული ფორმულა²⁶ და სხვა საკუთარი – ი. ბრაუნისეული.²⁷

ანალოგიური კვლევის ნიმუშებს არაერთს ნახაეთ ზემოთ აღნიშნულ კრებულში „ბასკურ-კავკასიური“; აქ ისიც ნათლად ჩანს, რა კოლოსალური მუშაობა ჩაუტარებია მკვლევარს ბასკური მასალის გამოსავლინებლად. არას ვამბობთ სათანადო ქართველურ ენათა მასალის შერჩევაზე. ერთსაც დავსძენთ: ბ-ნ იანის შრომებში, „ბასკურ-კავკასიური“ კრებულის მიხედვით, შეირჩევა ახალი მასალის გამოვლენა და კელაე დამუსკება ბგერათ-შესაგყვისობის ფორმულებისა (მაგ., ქართვ. - რყ-: ბასკ. -რყ; ქართვ. - რყ-ი: ბასკ. -რყი და სხვ.)²¹ თუ აქამომდე საილუსტრაციო მასალად მეტწილად სახელური ფუძეები იყო წარმოდგენილი, ამ ბოლო დროს ი. ბრაუნმა საგანგებოდ გზნური ფუძეები (სულ 80) წარმოაჩინა.

ასე რომ, ძიება ამ თვალსაზრისით გრძელდება... ბ-ნი ი. ბრაუნი, როგორც მაშინ, 50 წლის წინ, ახლა სავსე ენერგიითა და იდეებით, გვწამს, კელაე შეავსებს ქართულ-ბასკური ურთიერთობის გადაუშლელ ფურცლებს (იმედით, რომ მას გვერდში დაუდგებიან ქართველი ბასკოლოგები).

ლიტერატურა:

1. Я. Браун, Словарные сходства баскского и картвельских языков, თსუ ასპირანტა VII სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1954.
 2. თბილისი, 1984.
 3. Philologia Orecntalis. 4. Warszawa, 1998.
 4. ციტირებულია ა. შლაიხერის ნაშრომიდან „ვერმანული ენა“, რომლის ერთ-ერთი ნაწყვეტის რუსული თარგმანი მოცემულია ე. გვევინცუვის წიგნში: „История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях, часть III, М., 1960, გვ. 94.
 5. ი. ბრაუნი, ბასკოლოგიის შესავალი, გვ. 8.
 6. შ. ძიდიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975, გვ. 163.
 7. F. Müller, Über die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen, II Bd.. 1864, გვ. 53. ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 218-219.
 8. გ. ბურჭულაძე, შეიყან თაუი შენი. – ბალაეარი, 4-6, თბ., 1988, გვ. 176.
 9. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 191.
 10. ი. ბრაუნი, ბასკოლოგიის შესავალი, გვ. 34.
 11. იქვე, გვ. 33.
 12. იქვე, გვ. 36.
 13. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 56.
- აქ არნ. ჩიქობავა გვახსენებს მისი შექმნის ისტორიას:
 „1634 წელს საფრანგეთში – რიშელიუს ინიციატივით – აკადემია დაარსდა, აკადემიას მიზნად დაუსახეს ფრანგული ენის ლექსიკონი შედგინა და ფრანგული ენის გრამატიკა დაემუშაებინა.
 ლექსიკონზე მუშაობას აკადემია 1638 წელს შეუღვა. 1674 წელს, – ე. ი. 36 წლის შემდეგ, – ლექსიკონი გამოიცა.

საბამ თავის ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს დაიწყო და 1716 წელს „გაას-რულა“. ჟრანველი ენის ლექსიკონს აკადემია ადგენდა, სპარსეთისა და თურქეთისაგან აწიოკებულ საქართველოში ერთმა პირმა იკისრა იმის გაკეთება, რაც ლუი XIV-ის საფრანგეთში აკადემიის სამზრუნავ საგანს წარმოადგენდა” (იქვე, გვ. 79).

14. ი. ბრაუნი, ლექსიკოლოგიის შესავალი, გვ. 30-41.

15. იქვე, გვ. 46.

16. ამის შესახებ იხ. ვრცლად ჩვენი რეცენზია წიგნზე „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური პიპოთეზა“, თბ., 1977, გვ. 165-166.

17. იქვე, გვ. 166. ქვემოთ მოგვყავს ვრცელი ამონაწერი დასახ. რეცენზიიდან (გვ. 166-168): კ. ულენბეკისა და მოგ სხვათა დებულებას (ი. ბრაუნის კომენტარებითურთ) წარმოვადგენთ იმ მოხსენების მიხედვით, რომელიც ი. ბრაუნმა წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1976 წლის 1. ივნისს.

18. იქვე, VIII, თბ., 1981, გვ. 204.

19. იქვე, გვ. 204-205.

20. იქვე, გვ. 205-207.

21. J. Braun, Euscaro-caucasica, გვ. 23-27.

- 8 -

ჩვენი სტუმარია დოც. რუსუდან გაგუა

ჩვენი რედაქციის სტუმარია ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი, პროფ. გ. ბურჭულაძე- ჩვენს რადიომსმენელებს ახსოვთ, ვასულ წელს ჩვენ დავიწყეთ რადიო-გადაცემათა ციკლი „დიდ წინაპართა გაკვეთილები“. ამ რუბრიკის რამდენიმე გადაცემა მიეძღვნა არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და ს. ჯანაშიას. ბ-ნ გენადის შეუთავაზებთ ამ ციკლის ერთგვარ გავრძელებად მოეთხრო ჩვენს უნივერსიტეტელ მასწავლებლებზე- იმათზე, ვინაც კვალი დატოვა და გოვებს ჩვენს მეცნიერებაში- ბ-ნმა გენადიმ შემოგვთავაზა საუბარი ქ-ნ რუსუდან გაგუაზე - ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკსა და თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის დოცენტზე- რითი ავხსნათ, ბ-ნო გენადი, თქვენი არჩევანი?

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ, მაღლობელი ვარ, რომ კვლავ შემიძლია თქვენი გადაცემების მეშვეობით ვესაუბრო რადიო-მსმენელებს ჩვენს მასწავლებლებზე, რომელთაც კვალი გაავლეს ჩვენს მეცნიერად და საერთოდ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში... სწორედ ქ-ნი რუსუდანის მსგავსნი ბრძანდებიან ასეთნი... დღევანდელი ჩვენი გადაცემა სწორედ მასთან გასაუბრების საშუალებად მესახება...

თ. ხ.: ქ-ნი რუსუდანი მეც კარგად მახსოვს, ჩვენც გვიკითხავდა ბაცბური ენის კურსს... ახლაც ასწავლის, ალბათ...

გ. ბ.: ქ-ნი რუსუდანი ამჟამად არ კითხულობს ლექციებს, არც ჩვენთანაა, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ცოტა ჯანმრთელობამ უღალატა...

მაგრამ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას ადევნებს თვალს... ჩვენი გადაცემების აქტიური მსმენელიცაა...

თ. ხ.: აქტიური მსმენელი, რომ ბრძანეთ, რას გულისხმობთ?

გ. ბ.: გახსოვთ, გადაცემების ციკლი რომ გვქონდა „მეიციან თავი შენი“... ქ-ნი რუსულად არამარტო ისმენდა მათ, არამედ სისტემატიურად მეზმარებოდა და მაძლევდა რჩევა-დარიგებასაც... არა და, ვის უნდა სცოდნოდა ჩვენში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბება, თუ არა მას... ერთ-ერთ მონაწილეს ამ პროცესისა...

თ. ხ.: მახსოვს, ბ-ნო გენადი, ბ-ნმა არნოლდ ჩიქობავამ თავისი „ზოგადი ენათმეცნიერების“ მეორე ნაწილი, მეორედ რომ გადმოსცა 1983 წელს, იგი უძღვნა „ამ კურსის პირველი მსმენელის – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ბიძინა ფოჩხუას და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. თინათინ შარაშენიძის ხსოვნას“... გამიგია, ქ-ნი რუსულად მათი თანაკურსელი ბრძანდებოდა...

გ. ბ.: მაღლობელი ვარ, ბ-ნო თამაზ, ეს რომ გამახსენეთ... მართლაც ქ-ნი რუსულად ბ-ნ ბიძინასა და ქ-ნ თინათინთან ერთად სწავლობდა კავკასიურ ენათა განყოფილებაზე 1935-1939 წლებში... ქ-ნი თინათინი და ქ-ნი რუსულადი მუდამ მეგობრობდნენ ერთმანეთთან... აქ ნახსენები სამეუღლიდან ქ-ნი რუსულადის შემდგომი მეცნიერული ძიებანი მუდამ იყო დაკავშირებული მთის კავკასიურ ენებთან...

თ. ხ.: გახსოვთ, ბ-ნო გენადი, 1942 წელს ენიმკი-ს XII ტომში გამოქვეყნებულ „მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის ჩვენში“ ბაცბური ენის გვერდით მითითებულია რუსულადი გაგუა – III კურსის ასპირანტი...

გ. ბ.: ასეა... 1939 წელს დაამთავრა ქ-ნმა რუსულადმა კავკასიურ ენათა განყოფილება.

თ. ხ.: ამავე სტაგიას ახლავს „სია იმ შრომებისა, რომლებიც შესრულებულია მთის კავკასიურ ენათა განყოფილებაში და კავკასიურ ენათა კათედრაზე ჩვენს უნივერსიტეტში“, სადაც მითითებულია, რომ ქ-ნ რუსულადის ნაშრომი „ერთ- და ორ-ფუძიან სახელთა ბრუნება ბაცბურში“ მუშავდება როგორც საკანდიდატო დისერტაცია...

გ. ბ.: დიახ, ბ-ნო თამაზ... ეს თემა სათაურის ოდნავი ცვლილებით „ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ბაცბურში (წოვა-თუმურში)“ ქ-ნმა რუსულადმა 1943 წლის ივლისის თვეში დაიცვა როგორც საკანდიდატო დისერტაცია და სექტემბრის თვიდან მიენდო ლექციების კითხვა ბაცბურ ენაში, ხოლო 1947 წლიდან იგი ამ კურსს კითხულობს დოცენტის წოდებით... სხვათა შორის, ბ-ნ თამაზ, თქვენ რომ ბრძანეთ ქ-ნ რუსულადის შრომაზე, იმის გვერდით ნ. ქადაგიძის „ბაცბურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ ხელნაწერ ვარიანტზე მითითებული... დღის სინათლე კი 50-ზე მეტი წლის შემდეგ ეღირსა, რაშიც ქ-ნი რუსულადის დიდი დამსახურებაა.

თ. ხ.: ამას მამა-შვილის, დავით და ნიკო ქადაგიძეების მიერ შედგენილ ლექსიკონზე ბრძანებთ, ალბათ, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა რომ გამოსცა 1984 წელს, არა?

გ. ბ.: დიახ, ბ-ნო თამაზ... ეს ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა ქნმა რუსულანმა ბ-ნ არნოლდ ჩიქობავას რედაქციით... ამ გამოცემის მოკლე „წინასიტყვაობაში“ ქ-ნი რუსულანი გვაცნობს ლექსიკონის ავტორებს: „წოვა-თუშურის ენის მეცნიერულ შესწავლას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიათმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტმა დავით ქადაგიძემ (1861-1937) და მისმა ვაჟმა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, გერმანული ენის კათედრის გამგემ ნიკო ქადაგიძემ“.

თ. ხ.: რადიომსმენელებს დამატებით მინდა შეეახსენო, რომ წოვა-თუშური (იგივე ბაცბური) ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს განეკუთვნება... ამჟამად წოვა-თუშები ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში... ასე რომ, ეს თითქმის 1000 გვერდიანი ლექსიკონი ამ ერთ სოფელში წარმოდგენილი ენისაა...

გ. ბ.: დიახ, ამ ლექსიკონში 7500-მდე სალექსიკონო ერთეულია, რომელიც გამოირჩევა „საილუსტრაციო ფრაზების სიმდიდრით, ილუსტრაციებში ვრცლად არის წარმოდგენილი წოვა-თუშურის ონომასტიკა და გოპონიმიკა, აგრეთვე, ზოგი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობა“...

თ. ხ.: იმაედროულად აღსანიშნავია, რომ წოვა-თუშური უდამწერლობო ენაა და მისთვის გამოყენებულია ქართული ანბანი, მიწერილი აქვს ლათინური გრანსკრიპცია, თარგმანი ქართულ და რუსულ ენებზე, მოცემულია გრამატიკული კვალიფიკაცია და სხვა, – წერია ლექსიკონის ანოტაციაში.

გ. ბ.: დიახ, ქართული ანბანია გამოყენებული, რომელიც ყველაზე ადექვატურია ამ ენისათვის და არა მარტო ამ ენისათვის... მაგალითად, პ. უსლარის ნაშრომებში, როცა რომელიმე ენის ანბანია გადმოცემული, ქართული ასოებიცაა... ახლა მახსენდება, მაგალითად, ლაკური და ხუნძური ენების ანბანში წ, ჭ ასოებიცაა, ლეზგიურ ენისაში კი ჯ-ცაა შეტანილი...

თ. ხ.: საინტერესოა, მართლაც, როცა რომელიმე ენას არა აქვს თავისი ანბანი, იგი ხმარობს იმას, რომელიც მისთვის მოსახერხებელია და პრაქტიკულად გამოსაყენებელი... მაგალითად, დალესტურ ენებში ლათინური ანბანი თავის ღრობე შეცვალეს რუსულით და ეს გასაგები უნდა იყოს...

გ. ბ.: ამ ლექსიკონის შედგენისას სალექსიკონო ერთეული გრამატიკულადაცაა დახასიათებული. მაგ, მზნა გადმოცემულია მასდარით, მითითებულია გარდამავლობა-გარდაუვალობა, სტატიკურობა, კლასის ნიშანი და სხვ. ერთი სიტყვით, ამ ლექსიკონის მთავარი მომზადებლის (მთავარისა, რადგან, როგორც ქ-ნი რუსულანი წერს, ლექსიკონის გამოსაცემად დაკავშირებულ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ ფილ. მეცნ. კანდიდატები ლ. სანიკიძე

და ი. ჯოლბორდი) დიდი ლექსიკოლოგიური გამოცდილება ჩანს... მართლაც, ქ-ნი რუსუდანი იღებდა მონაწილეობას 8 ტომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მომზადებაში – ეს ეხებოდა როგორც სიტყვათა განმარტებას, ასევე ასეთი მასალის შედარება-შესწორებას, სადოკუმენტაციო სიტყვა-სტატიების შევსებას, ტომის რედაქტორისათვის მასალის ძირითადი ნაწილის შემზადებასა და სხვ.

თ. ხ.: დიახ, ამ ლექსიკონზე მუშაობა მართლაც დიდ გამოცდილებას შესძენდა ქ-ნ რუსუდანს...

გ. ბ.: სხვათა შორის, აქვე მსურს შევნიშნო, რომ არაერთი კავკასიოლოგი მუშაობდა ანალოგიურად, თავისი ძირითადი მეცნიერული კვლევის პარალელურად ამ სამეილიშვილო საქმეს ანდომებდა დიდ დროს... ამათ შორის ერთი გამორჩეულთაგანია ქ-ნი რუსუდანი... ის წლების განმავლობაში მუშაობდა როგორც ლექსიკოლოგიის, ასევე თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში... იგი გახლდათ 3 ტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ შედგენის ერთ-ერთი მონაწილე, შემდეგ კი ამ სამგომეულის საფუძველებზე შექმნილი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი... წლების განმავლობაში იგი მუშაობდა აგრეთვე მთის კავკასიურ ენათა განყოფილებაშიც...

თ. ხ.: და მაინც, ქ-ნ რუსუდანს ასეთი ინტენსიური ლექსიკოლოგიური მუშაობის პარალელურად არასოდეს შეუწყვეტია მთის კავკასიურ ენათა კვლევა.

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ... ქ-ნი რუსუდანი გახლავთ ბაცბური ენის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი... აქვე მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი. როდესაც მოსკოველმა ენათმეცნიერმა იუნუს ლეშირიევმა ქ. მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (ეს, ვგონებ, 1952 წელს იყო) ოპონენტებად საქართველოდან აკად. ვ. თოფურია და ქ-ნი რუსუდანი გაგუა გახლდნენ... მესამე ოპონენტი კი ყოფილა აკად. იოსებ ორბელი, სომხეთის აკადემიის პირველი პრეზიდენტი, ლენინგრადის ერმიტაჟის დირექტორი... აი, ამ სახელმოსვეპილ და ბევრისა მნახველსა და მსმენელს უთქვამს ბ-ნ ვარლამისათვის: აი, ასეთი რეცენზიები უნდა იწერებოდესო (ეს რეცენზია შემდგომ დაიბეჭდა კიდევ „ვოპროსი იაზიკობნანიე“-ს (№4) ფურცლებზე 1954 წ. ი. დემურიევის გამოსულ მონოგრაფიაზე „Научный язык“).

ეს ბ-ნ ვარლამს უამბია ბ-ნი არნოლდისათვის და ჩვენც აქედან გავიგეთო, – ბრძანა ქ-ნმა ნუნუ საყვარელიძემ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნ. მუშაკმა, ფილოლ. მეცნ. კანდიდატმა. მანვე განაგრძო: მოსკოვში ბ-ნ ვარლამს თან ხლებია მეუღლე ქ-ნი თამარი. დაცვის შემდეგ ბანკეტი გაუმართავთ, რასაც ქ-ნი თამარი არ დასწრებია. თამალობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი აკად. ვ. ვინოგრადოვი. ჩანს, იგი დაცვას არ დასწრებია... და, აი, მას ბ-ნი ვარლამის სადღევრძელო შეუსვამს, მის გვერდით მჯდომი ქ-ნი რუსუდანი მეუღლე ჰგონებია და სადღევრ-

ძელოც სათანადოდ წარუმართავს... აკადემიკოსს გვერდით მეუღლე ეჯდა, მას ჩუმად შეუნიშნავს, – ეგ ხომ ოპონენტი... ღირექტორი ძალზე შემცბარა, მაგრამ უხერხულობისაგან თავის დასაღწევად შეუცვლია თავისი ნათქვამი და უბრძანებია: განსაკუთრებით სასიამოვნოა მიიღო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ამ მშვენიერი ქალის ნაზი ხელითაო...¹

თ. ხ.: გამიგია, ქ-ნ რუსუდანის ხელდასმული მეცნიერებაში არაერთია არა მარტო ქართველი, არამედ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ბევრი წარმომადგენელიაო...

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ... ქ-ნი რუსუდანი გახლდათ ოპონენტი, მაგალითად, ბ. კიკვაძისა და კ. ჭრელაშვილის საკანდიდატო დისერტაციები-სა... ა. თიმაეის, ჩოკაევისა თუ დოლაქოვასი ჩეჩნეთიდან... იგი კონსულტაციებს უწევდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის სამეცნიერო თუ სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებებიდან მოვლინებულ პირებს. ასევე იგი გახლდათ კონსულტანტი უცხოელი სწავლულებისა, რომელთაც აინტერესებდათ ნახური ენები, განსაკუთრებით კი ბაცბური. მაგალითად, მე მახსოვს, თუ როგორი ინტერესით ისმენდა ქ. რუსუდანის ლექციებს ბაცბურ ენაში ჰაინც ფენრიხი – ახლა ცნობილი გერმანელი ქართველოლოგ-კავკასიოლოგი... ამერიკელ ენათმეცნიერ დი ენ ჰოლისკთან (რომელიც მივლინებული იყო ეაშინგტონის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან) დამუშავდა ბაცბური ენის ლექციების კურსი და ითარგმნა ინგლისურ ენაზე... ივარაუდება გამოსაქმად... დამუშავებულია 96 ტექსტი – რეეულის 300 გვერდის მოცულობისა; ქ-ნი რუსუდანი აქ ჩამოსულ მაძიებლებს ეხმარებოდა თავიანთი ნაშრომების სათანადო კონდინციაშივე აყვანაში – აქ სადოქტორო დისერტაციებიცა და საკანდიდატოც... ფ. ომლოევისა და ა. ქურქიევის სადოქტორო დისერტაციები, ოვხადოვისა, ჰუსეინოვისა და სალამოვას საკანდიდატო დისერტაციები და სხვ.

1. მეორე მშვენიერი დღის შესახებ 1996 წელს, ისევე სხვათა ცნობით, ბუნებრივია, ვადაცუ მაში ვერ შევიღოდა.

ქ-ნი ანა კალანდაძე თავისი ახალი ბრწყინვალე ორგომეულის მეორე წიგნში, არხოგოსადმი მიძღვნილ თავში, იმორწმებს ქ-ნ თინათინ ოჩიაურის „ხევესურეთსა და ხევესურებში“ მოთხრობილ ამბავს:

1947 წელს ქ-ნ რუსუდანს არხოგში ყოფნისას შეხედრია ცნობილი პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური; პოეტს თბილისი და თბილისელი მეგობრები მონატრებია და თავისი ძველი ნაცნობის, ქ-ნი რუსუდანისათვის ლექსი მიუძღვნია, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„შენს მთაში მოსვლას, ქალო, მშვიდობა,
ქალო, წყალობა ჩვენი ხატისა“.

1969 წელს არხოგს ქ-ნი ანაც სწვევია. იგი იგონებს: „გაბრიელ ჯაბუშანურის ამ ლექსით აპირებდა თურმე ციქქნა ჯაბუშანური (გაბრიელ ჯაბუშანურის ძმა – გ. ბ.) ჩემთან შეხვედრას არხოგში“.

ოც წელზე მეტს ელოდა იმ დღეს ათი შეილის მამა, ხევესური, თავისი ძმის ეს ლექსი მუნასობად ქ-ნი ანასათვის რომ ეთქვა... თითქმის ოცდაათიოდე წლის შემდეგ ქ-ნმა ანამ ეს გაიხსენა. ვისაც რაიმე სმენია ამ ორი მშვენიერი ქალბატონის მეგობრული ურთიერთობის შესახებ, უთუოდ იცყვის: რა ბედნიერი თანხედრაა აღრესატებისაო.

თ. ხ.: თქვენ ბრძანეთ, ოპონირება, რეცენზირება თუ კონსულტაციები სალოქტორო დისერტაციებისა, არა და, ქ-ნ რუსუდანს თვით, ვგონებ, არ დაუყავს სალოქტორო დისერტაცია... რას უნდა მივაწეროთ ეს?

გ. ბ.: ქ-ნი რუსუდანი იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებიც ქმნიდნენ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას, როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინას ბ-ნ არნოლდ ჩიქობაეას ხელმძღვანელობით... შემოთაყ ითქვა, დროის ღომის წილი მიჰქონდა ლექსიკოლოგიურ მუშაობას... აქეთ ოჯახი – ორი შვილის დედა... მეუღლე ბ-ნი ბორის ჩიგაიასი, ფეხბურთელი გახლდათ ახალგაზრდობაში, სპორტის ოსტატი... ბუნებრივია, ისიც ითხოვდა მეუღლის განსაკუთრებულ ყურადღებას... უნივერსიტეტში ლექციების კითხვასაც თავისი დრო მიჰქონდა... აქეთ სტუდენტები, მათთან მუშაობა... ქ-ნი რუსუდანი სტუდენტთა უსაყვარლესი ლექტორი გახლდათ... ამიგომაც იყო, ისინი მუდამ ულოყავდნენ ქ-ნ რუსუდანს ახალ წელსა თუ სხვა დღესასწაულებს და დროც გადიოდა... ბ-ნი არნოლდის დაეინებულ მოთხოვნით ქ-ნმა რუსუდანმა 1983 წელს იკეწ-ში გამოაქვეყნა „ბაბუური (წოვა-თუშური) ენის ფონეტიკისა და სახელის მორფოლოგიის ძირითადი საკითხების“ პირველი ნაწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ნაწილი ჯერჯერობით არა ჩანს, თავი იჩინა ქ-ნი რუსუდანის ავადმყოფობამაც... ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ნაწილის მიხედვითაც კი მისი ავტორი უდაოდ იმსახურებდა დოქტორის ხარისხს... თუმცა ეს მას უამნამრომოდაც ეკუთვნის – არაერთი პირველხარისხოვანი შრომების ავტორს, შრომებისა, რომელთაგან ბევრი გამოქვეყნებულია...

თ. ხ.: რა თქმა უნდა, საჭიროა ქ-ნ რუსუდანს ეუსურვოთ მალე გამოჯანმრთელება და იმ სამუშაოს დასრულება და გამოქვეყნება, რასაც მისგან მოელოდა მისი მასწავლებელი აკად. არნ. ჩიქობაეა...

გ. ბ.: რასაკვირველია. ისე კი, ბ-ნ თამაზ, ქ-ნ რუსუდანი დღესაც ძველბური ინტერესით ეცნობა სიახლეებს მეცნიერებაში... აი, ახლაც, 8 ავვისტოს საღამოთი დამირეკა, აინტერესებდა მიმღეობის საკითხი ლაკურში... მითხრა, ჩანს, ჩემს ბოლო წიგნს ეცნობოდა და ბაბუურში მიმღეობის ანალოგიურ შემთხვევებზე მესაუბრა. შემდეგ დასძინა: აბსოლუტივზე თქვენმა დაკვირვებამ ჩემი ანალოგიური ხასიათის გამოკვლევა გამახსენა, ვწუხვარ, ვერ გამოვაქვეყნო... მე ვიცოდი ამ გამოკვლევის არსებობის შესახებ, პროფ. ევ. ჯეი-რანაშვილის წიგნის მიხედვით, სადაც ავტორი მას იყენებს და უთითებს... შევახსენე... ქ-ნი რუსუდანიც იმ ბედნიერ დროს დაუბრუნდა, როცა ის ისმენდა ბ-ნი ვარლამის საოცრად დახვეწილ, მწყობრ კურსს ლაკურ ენაში... ძალიან მიხარია, თქვენ რომ თანმიმდევრულად განაგრძობთ თქვენი მასწავლებლის საქმეს ამ სფეროშიო და ბევრიც სხვა...

თ. ხ.: მართალი უბრძანებია ქ-ნ რუსუდანს... კარგად დაწყებულ საქმეს მუდამ სჭირდება გაგრძელება და გამგრძელებელიც...

გ. ბ.: მართალი ბრძანებია... საჭიროა იმ დიდებული საქმის გაგრძელება,

რასაც ჩვენმა მასწავლებლებმა ჩაუყარეს საფუძველი... ამის სათავეში დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად იყვნენ არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია... ქნ რუსულანი ხომ მათი ერთი ნიჭიერი მოწაფეთაგანი გახლავთ – დიდებული დედა და ბებია ორი შვილიშვილის, ჩინებული მეცნიერი, მეცნიერი-მოქალაქე... ახლახანს, 24 აგვისტოს, ქნ რუსულანი ტელეფონით კელაე შემეხმინა... გახარებული გახლდათ კონსტიტუციის მიღებით... ყველას ვურეკავ, ვისმედაც ხელი მიმიწვდება და ვიცი, ეს დღე გაეხარდებაო... ვისაუბრეთ სხვა საკითხებზე... ქნ რუსულანი ისევ ის გახლდათ... მხნე, გახარებული, თითქოს ენერგიით სავსე... აი, ისეთი, მის კეთილ მსურველებს დიდხანს რომ გვინდა ვიხილოთ... მისი ასეთი შეხმინება უპირველესად იმაში გვარწმუნებს, რომ ჩვენ ბედნიერნი ვართ, როცა ისეთი მასწავლებლები გვყავს, როგორც ქალბატონი რუსულანია.

თ. ხ.: რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი მასწავლებლების მოწაფეებად ვრჩებით მუდამ... ქნ რუსულანი ჩვენს გადაცემას, ალბათ, ისმენს... ასევე გვისმენენ ჩვენ სხვა ქალბატონები თუ ბატონები – ჩვენი და სხვათა მასწავლებლები, რომლებსაც უპირველესად მიუძღვენი საპირველსეჭემბროდ ეს შეხვედრა ქნ რუსულანთან... გვაპატიოს ქნ რუსულანმა, თუ ყველაფერზე ისე ვერ მოვუთხრეთ რადიო-მსმენელებს, როგორადაც ამას იმსახურებდა ის – ჩვენი მასწავლებელი...²

2. გადაიცა საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით 1995 წლის 25 სექტემბერს და 7 ოქტომბერს (გადაცემა მიჰყავდა რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამის რედაქციის მთავარ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და ეურნალისტ თამაზ ხმალაძეს).

ქნ რ. გაგუასაღმი მიძღვნილი რამდენიმე პუბლიკაცია გააქვს გამოქვეყნებული:

1. თვალსაჩინო ენათმეცნიერი. – გაზ. „ქალთა გაზეთი“, 4 (71), თბ., 1997, გვ. 3.
2. ორი ლამაზი დღე. – გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, №4 (21), თბ., 1997, გვ. 13.
3. იბერიულ-კავკასიურ ენათა თვალსაჩინო მკვლევარი. – გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №13 (1853), თბ., 1999.

აკად. თ. გამყრელიძე და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

ბ-ნი არნოლდის სამი სარეცენზიო ნაშრომიდან პირველი ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკას“ ეხება (ნ. მარი „იაფეგოლოგიის კოსმიური პიპოთემებისათვის მებრძოლი“, – წერდა აქ ნ. მარზე არნ. ჩიქობავა¹⁾, მეორეში გაზ. „ზარია ეოსტოკაში“ ივ. ჯავახიშვილის დაწერილ წიგნზეა საუბარი (ისეთი როგორცაა „ფუნდამენტური მონოგრაფია (მხედველობაშია ივ. ჯავახიშვილის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ – გზ.) ქართული და სხვა კავკასიური ენათა შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის განსაკუთრებულ დამსახურებას კავკასიის ხალხთა, საბჭოთა მეცნიერების წინაშე“²⁾, მესამე კი ჩვენს დღეებშია დაწერილი და მკითხველების მიერ დასმულ კითხვებზეა მეცნიერის პასუხი (იხ.: ინტერვიუ „ნიჭი და შრომა“ ჟურნალ „ციცკარში“, 1965, № XI). აი, ამ პასუხის ნაწილი:

„ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი დიდი საკითხია. იგი კულტურის ისტორიის არაერთ საკითხთანაა გადაჯაჭვული. ასეთი საკითხები ერთი ხელის მოსმით არ წყდება – ნათესაობის უარყოფილი, ბუნებრივია, რომ იყენენ (და არიან კიდევ, – უცხოეთშიც, ჩვენშიც!).“

სწორი დებულება საბოლოოდ თავისას გაიგანს. სწორი დებულება იმის სწორი დებულებაა, რომ კრიტიკას გაუძლოს (თუ, რა თქმა უნდა, ეს კრიტიკა მეცნიერული წესითა და სამშალებებით იწარმოებს და საჭირო საბუთების უქონლობას სხვა, მეცნიერებისათვის უცხო სამშალებებით არ შეივსებს) ...”

ჩვენში ქართველური ენების ახალგამოსულ ლიტერატურაზე მსჯელობისას ბ-ნი არნოლდი ჩვეული სიციხადითა და პირდაპირობით განაგრძობს:

„ქართველური ენების ისტორიულ-მედარებითს შესწავლაში უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულ შრომათაგან აღსანიშნავია თ. გამყრელიძის „სიბილანტა შესაგყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959), კარლ შმიდტის „ძიებანი სამხრულ-კავკასიური ფუძეების ბგერითი შედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ“ (1962, გერმ. ენაზე), გ. როგავას „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, I (1962), გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (1964, რუს. ენაზე) და თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა „სინანტთა სისტემა“

და აბლაუგი ქართველურ ენებში" (1965).

ყველა ეს შრომა საგულისხმოა: ზოგი მოპოვებული შედეგებით („ისტ. ფონეტიკა საკითხები“, „სიბილიანტო შესატყვისობანი...“), ზოგი კიდეც ცდით, ახლებურად დაისვას საკითხი („სონანტოა სისტემა“). კ. შმიდტისა და გ. კლიმოვის შრომები არსებითად ერთსა და იმავე მასალას ეხება, შმიდტის შრომა უფრო საინტერესოა.

ზოგ შრომაზე უკვე დაიწერა რეცენზიები ჩვენშიც, უცხოეთშიც, ზოგის შესახებაც დაიწერება“.

ბ-ნი არნოლდის შეფასებული ოთხი შრომიდან ერთის ავტორი უშუალოდ ბ-ნი თამაში გახლავთ (შრომა საგულისხმო ყოფილა “მოპოვებული შედეგებით”, ხოლო მეორის – თანაავტორია (რომელიც გამოირჩევა „ცდით, ახლებურად დაისვას საკითხი“)..

აქ არ უნდა დაგვაიწყდეს ბ-ნი არნოლდის თავთ გადამხდარი ერთი პასაჟი, რომელიც რამდენამდე თვით უსწრებდა მის ამ შეფასებას. 1965 წლის 14-17 ივნისს მაჰაჩყალაში ტარდება ფაქტობრივ იბერიულ-კავკასიურ ენებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, პირველი.

სიტყვით გამოსულმა აკად. ე. კრუპნოვმა აქ ბრძანა იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხებზე, რომ ისინი ერთი წარმოშობისანი არიან, მსგავსად ინდოევროპული ხალხებისა, და ამას მხარს უჭერს თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ ამ ბოლო დროს დასმული ენობრივი საკითხიო.

ბ-ნმა არნოლდმა ამის პასუხად ამავე შეკრებაზე შენიშნა:

„ქართველურ ენათა კავშირი ინდოევროპულ ენებთან უთუოდ იყო. კარგად ჩანს ეს თუნდაც იქიდან, რომ პრეფიქსაცია იბერიულ-კავკასიურ ენებში შეცვლილია სუფიქსაციით, რის საჭიროებას ამ ენათა შინაგანი განვითარება არ ითხოვდაო“ და დასძინა:

„ისეთი ბრწყინვალე ოსტატი ეტიმოლოგიური ძიებისა, როგორც იყო ფრ. ბოპი (იგი ინდოევროპულ და ქართველურ ენებს საერთო წარმომავლობისად თვლიდა – გ.ბ.), შეცდა, ხომ შეიძლება არაბოპებიც შეცდნენო“.

აქ გვახსენდება უფრო გვიანდელი მოგონება რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ფილ. მეუნ. კანდიდატ ნ. ანდლულაძისა, რომელმაც ერთ-ერთ თავის გამოსვლაში გ. მაჭავარიანის მოგონებისას ბრძანა: მე და ბ-ნი გივი მაჭავარიანს სემინარულ მუშაობას ასპირანტურაში სწავლისას ბ-ნი არნოლდი შინ გვიგარებდა ხოლმე... ერთხელ ხევსურულ დიალექტოლოგიურ მასალას აანალიზებდნენ... ბ-ნი არნოლდს შეუნიშნავს: ასეთ შემთხვევებში ხომ არაა საძიებელი კვალი სონანტებისაო.

ქართულში ოდესღაც სონანტოა არსებობა ჯერ კიდევ ნ. მარმა იგრძნო,

ჩანს, არნ. ჩიქობავას ეს პიპოთემა, შემდგომ ასე განვითარებული თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივ კაპიტალურ მონოგრაფიაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ მინაგანად გააზრებულიც კქონდა, მაგრამ პირადად მისთვის მიუღებელი იყო” (შდრ. არნ. ჩიქობავას შეფასება „... ახლებურად დაისვას საკითხი..“).

ბ-ნი თამაზი მოგვიანებით ამის შესახებ იტყვის: „შესაძლებელია მოგი რამ, რაც ამის შემდგომ გაკეთდა, არნ. ჩიქობავასთვის მეცნიერულად მიუღებელი ყოფილიყო, მაგრამ ეს არ არის ამ შემთხვევაში არსებითი და მთავარი“.

მისთვის არსებითია ის, რომ „არნ. ჩიქობავა ფაქტიური ინიციატორი და ძირითადი განმახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში. ამის შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომელსაც დღეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართულ ენათმეცნიერებას აქვს“⁶.

აკად. ე. კრუპნოვს კი მაშინ მიმართა ბ-ნმა არნოლდმა:

„აბრძანდით აულ ჭუხში (ხუნძთა აულია, სადაც 1941 წ. ხუნძური ენის დიალექტოლოგიურ მასალას იწერდა არნ. ჩიქობავა) და იქ ნახავთ, ანთროპოლოგიურად ახლოს დგანან თუ არა ქართველური და დაღესტნური ტიპი!“⁷

ბ-ნი თამაზი კი, თითქოსდა ამის პასუხად, ბ-ნ არნოლდზე მისი გარდაცვალების დღეებში წერდა:

„ჩემთვის პირადად უადრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ერთ-ერთი ბოლო წიგნთაგანი, რომლებსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ეცნობოდა, ჩვენი წიგნი იყო ინდოევროპელების შესახებ. აქაც, ალბათ, მისთვის საკამათო ბევრი რამ იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ უდაოა: არნ. ჩიქობავა ყოველი ჩვენგანისათვის იყო ერთგვარი „მინაგანი ცენზორი“, რომელიც „აკონტროლებდა“ ყოველივე იმას, რასაც ექმნიდით; ავტორი ცდილობდა თავისი ნაშრომისათვის არნ. ჩიქობავას თვალით შეეხედა. ბევრ ენათმეცნიერს მოაკლდება ახლა ბ-ნი არნოლდის „თვალი“, რომ არაფერი ვთქვათ მის მიერ შექმნილ იბერიულ-კავკასიურ-კავკასიურ სკოლაზე“.

არნ. ჩიქობავას „მინაგანი ცენზორობა“, მისი მომწესხველი „თვალი“ ყველას უგრძნია, ვისაც მასთან კქონდა ურთიერთობა, მაგრამ იმაედროულად იგი გახლდათ სხვათა გამოსვლების წინააღმდეგ მედგარი, მოუსყიდველი... გავიხსენებთ ერთ ეპიზოდს, რომლის შემსწრეც ჩვენ გახლავართ: 1984 წელია... ბ-ნ არნოლდის მარადიულობას, ჩანს, წერტილი ესმება... ჩვენ ვებჭდავთ მიმოხილვითი ხასიათის სტატიას „ხალხთა ისტორიის ცოცხ-

ალი მოწმე”, სადაც ეწერთ:

„აკად. თ. გამყრელიძის კონცეფციის თანახმად, ახალი პერსპექტივები ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში სწორედ ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების საფუძველზე გადაიშლება. ამიტომაც, მკვლევრის ამრით, ინდოევროპული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, ასევე საზოგადოდ თეორიული ენათმეცნიერებისათვის, აუცილებელია ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინება“.

ბ-ნი არნოლდი, რა თქმა უნდა, გაეცნო ჩვენს სტატიასაც.

ახლა მახსენდება დაახლოებით იმდროინდელი შეგონება ქ-ნ თინათინ შარაძენიძისა, რომლის უშუალო მოწმეც მე გახლდით. ბ-ნი არნოლდი, თუ არ ველებით, კითხულობდა მოხსენებას „სახელობითისა და მიცემითის სინტაქსური როლის ერთი თავისებურებისათვის ძველ ქართულში“¹⁰.

თბილისის სახ. უნივერსიტეტში, 70-იან წლებში, ერთ-ერთი სამეცნიერო სესია გარდებოდა... აკად. გ. ახვლედიანი ძალზე კრიტიკულად, მასთან არაობიექტურად, მიუდგა არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოებს ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში. შემდეგ აღნიშნა, რომ თითქოს არნ. ჩიქობავა, მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილ ენათმეცნიერებს (გ. მაჭავარიანს, გ. გუდავასა და თ. გამყრელიძეს) ხელს უშლიდა, აფერხებდა მათ მეცნიერულ წინსვლას. მართალია, ბ-ნი არნოლდი ამ სესიას ესწრებოდა, მოხსენებაც წაიკითხა, მაგრამ, ჩანს, რაღაც მიზეზის გამო ამ დროს უკვე წასული გახლდათ. ბ-ნი არნოლდის სახელმძღვანელოთა ისტორიული მნიშვნელობა და იქ გატარებული ზოგი დებულება პროფ. თ. შარაძენიძემ დაიცვა. კარგად მახსოვს ქ-ნი თინათინის მიერ პირდაპირობით გაცხადებული: მართალია, ბ-ნი გიორგი, თქვენ ჩვენი საერთო მასწავლებელი ბრძანდებით, მაგრამ ასეთი აუვის თქმა ბ-ნ არნოლდის ზოგადმეცნიერულ ნაღვაწზე მკრეხელობაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენში არნ. ჩიქობავასეული წიგნებით ენათმეცნიერთა თაობები აღიზარდნენ და აღიზრდებიან კიდევ.. ასეთი სახელმძღვანელოები ხომ საბჭოეთის მასშტაბითაც კი არა გვაქვსო.

სამეცნიერო სესია მეორე დღესაც გაგრძელდა. ბ-ნ არნოლდს, ჩანს, წინა დღის პერიპეტეიების შესახებ აცნობეს. მან სიგყვა ითხოვა და დაიწყო იმით, რაც მისთვის ადამიანურად ყველაზე უფრო მტკივნეული იყო წინა დღით წაყენებულ „ბრალდებათაგან“. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი პირველივე ფრაზა: „მე ძალიან მიყვარს თამაზ გამყრელიძე, დიდ პატივ ვცემ გ. მაჭავარიანსა და გ. გუდავას... დიახ ... მას ძალიან უყვარდა ბ-ნი თამაზი, დიდ პატივს სცემდა გ. მაჭავარიანსა და გ. გუდავას – მით უფრო, რომ ეს უკანასკნელნი ხომ მისი აღზრდილნიც იყვნენ“.

არნ. ჩიქობავას სიციოცხლის ბოლო წლები თითქოს შეგნებულად ბასკურს მიეძღვნა (იხ. წგ.-ში: „ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“; „ბასკურის ნათესაობის საკითხი პროფ. ანტ. გოვარის წიგნში „ბასკური ენა“; „წინასიტყვა“¹²), როცა აკად. თ. გამყრელიის სამეცნიერო თემატიკაში, ალბათ, ეტრუსკულმა იჩინა თავი, როგორც ქართველოლოგიის საგანმა (მისი რედაქციით 1980 წ. გამოვიდა რ. გორდემიანის „ეტრუსკული და ქართველური“, ხოლო 1985 წელს მისივე „წინაბერძნული და ქართველური“); რედაქტორის ღვაწლზე ამ წიგნებზე და, საერთოდ, ნათქვამია: „დიდ მადლობას უძღვნიტ ჩვენი წიგნის რედაქტორს აკად. თ. გამყრელიძეს, რომელიც ჰომეროლოგიაში და ეგვიპტოლოგიაში ჩვენი გაწეული შრომის უაღრესად გულისხმიერი მსაჯულია და რომლის ამრს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის“¹⁴.

შემთხვევითი არაა, რომ განსაკუთრებით ბ-ნი თამაზის ყურადღების ქვეშაა ქართველური და სხვა ენების მიმართება. მაგალითად, გასული წლის ბაზუხულში იგი დაესწრო აკად. იან ბრაუნის საჯარო მოხსენებებს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში და, ბასკურის გვერდით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მის განსწავლულობას შუმეროლოგიაში. ასე რომ, ქართველოლოგია და ეტრუსკული, ქართველოლოგია და ბასკური, როგორც ჩანს, ჩვენი დიდი მეცნიერების ყურადღების ქვეშ იყო იმთავითვე.

ბ-ნი რისმაგიც აკი ამბობს იქვე: „ქართველური და საერთოდ კავკასიური მასალის გათვალისწინება სავსებით აუცილებელი გახდება ხმელთაშუა ზღვის ისეთი ცივილიზაციის შესწავლისათვის, რომელნიც ღღემდე იმდენ საიდუმლოს ინახავენ: შუმერულის, ეგეოსურ-ბერძნულის, ეტრუსკულის და ა. შ.“.

ამ უკანასკნელ დროს ბ-ნმა თამაზმა დაწერა მშვენიერი სტატია „ქართულ თანხმოდანთა „განდასება“ (ველარი ყ და პოსტველური კ სპირანტები ქართულში)“¹⁵, სადაც მან ცხადყო, „ფარინგალური „ყ“ ბგერა დისტრიბუციულად ღ და ხ სპირანტების რიგში დგება. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია ყ ბგერის ფონეტიკურ-ფონოლოგიური იდენტოფიკაციის თვალსაზრისით“, – წერს კ. ჰრელაშვილი და სათანადო წოვა-თუმური „ენის ფონოლოგიურ სისტემაში გამოიყო სამეულთა მეექვსე სისტემა: ღ - ხ - ყ“¹⁶.

ცხადია, ღ - ხ სპირანტოიდული ბუნებისაა. ამ თვალსაზრისით კვლევა სამეულთა რიგში, რა თქმა უნდა, ახალ პარადიგმას მოგვეცემს, რაც, ალბათ, დამატებით საკვლევი იბერიულ-კავკასიურ ენებში.

აქ ბუნებრივად გვახსენდება ამავე მკვლევრის გამონათქვამი საკავ-

შირო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1983 წ.: „საბჭოთა ენათმეცნიერთა ნაშრომები საზოგადოდ ასახავენ განვითარების იმ ტენდენციებს, რაც შეიმჩნევა ბოლო ათწლეულში მსოფლიო ლინგვისტურ მეცნიერებაში... სინქრონული ენათმეცნიერების თითქმის განუყოფელი ბატონობის შემდეგ ენათმეცნიერებაში ბოლო დროის ლინგვისტური თეორია ხასიათდება ისტორიული ენათმეცნიერებისადმი ინტერესის ზრდით, გარკვეული მობრუნებით იმ პრობლემათა დამუშავებისადმი, რაც წარმოიშვა შედარებით ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. ეს ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერული აზროვნების საერთო ტენდენციაა, რომელიც მოვიდა მკაცრი სინქრონული სტრუქტურალიზმისა და ანტიისტორიზმის ნაცვლად, რაც დამახასიათებელი იყო XX ს. პირველი ათწლეულისათვის”.

დღეს, მართალია, არც ერთი რუსი ენათმეცნიერი თითქოს აღარ იზიარებს იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის იდეას, მაგრამ ასე არ იყო წინათ; ისინი, ვინც უღობიარად საკვლევ მასალას, ასე, ჩანს, არ ფიქრობდნენ (ე. ბოკარევი, ი. დეშერიევი, მ. კუმახოვი). უფრო მეტიც, აკად. თ. გამყრელიძის აზრით, თავის დროზე, „მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს I საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კონგრესში, რომელიც ოქტომბერში თბილისში უნდა გაიმართოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით, სადაც თანათავმჯდომარეებად მრავალი სპეციალისტია მოწვეული აგრეთვე ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან. ეს იქნება კონგრესი, რომელიც კავკასიოლოგიურ პრობლემათა ფართო სპექტრს განიხილავს. აქ წარმოდგენილი იქნება ენათმეცნიერება, ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ეკოლოგია, პოლიგლოგია და სხვა დარგები კავკასიის რეგიონთან მიმართებაში”.

სამწუხაროდ, ეს კონგრესი არ ჩატარებულა, თორემ აქ ცხადად გამოვლინდებოდა აკად. თ. გამყრელიძის აზრი. „ის დიდი მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა, რაც ქართულ ენათმეცნიერებაში აკადემიკოს არნოლდ ჩიქობაიას ხელმძღვანელობით შექმნილ იბერიულ-კავკასიურ თეორიას ენიჭება ინდოევროპულ და საზოგადოდ თეორიული ენათმეცნიერების განვითარებისათვის საერთაშორისო მასშტაბით. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენში წარმომოხილმა ახალმა თეორიამ ინდოევროპული ენების წინარე სამშობლოს შესახებ, რომელიც, ჩვენ მეცნიერებაში შექმნილი თვალსაზრისის მიხედვით, წინააზრის გარკვეულ არეალში უნდა მოთავსდეს ქართველური და სემიტური ენების სიახლოვეს. ამით აიხსნება ის ენობრივი კავშირები, რაც ინდოევროპულ-კავკასიურ და სემიტურ ენებს შორის არსებობს. ეს თვალსაზრისი მთლიანად ცვლის კლასიკურ მეცნიერებაში არსებულ წარმოდგენებს ძველი ინდოევროპული

ხალხების (ბერძნებისა და რომაელების, გერმანიკული ტომების, კელტების) მიგრაციებისა და გადაადგილებების შესახებ, სანამ ისინი თავიანთ ისტორიულ ადგილსამყოფელში მივიდოდნენ. ირკვევა, რომ უძველესი მოდგმის ქართველურ-კავკასიური ტომები და უძველესი ინდოევროპელები, რომელთაგან ისტორიულად წარმოიშვნენ შემოთაღნიშნული ინდოევროპელი ხალხები, უძველეს ეპოქაში ერთმანეთის მემობლად ცხოვრობდნენ და მათ ჰქონდათ მჭიდრო ისტორიულ-კულტურული და ეკონომიური ურთიერთობანი, რაც სათანადოდ აისახა უძველეს ქართველურ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში. ამ თეორიის მიხედვით, ქართველურ-კავკასიური ენები და მათზე მოლაპარაკე ტომები უძველესი ცივილიზაციის მქონე სემიტურ და ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომებთან ურთიერთობდნენ. ამით ქართველურ-კავკასიური ენათმეცნიერება მჭიდროდ უკავშირდება ინდოევროპულ და სემიტურ ენათმეცნიერებას და ქართველური და კავკასიური ენების მონაცემები აუცილებელი ხდება ინდოევროპული და სემიტური ენების შემდგომი შესწავლისათვის. ამით გასაგებია, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ქართულმა ენათმეცნიერებამ ინდოევროპული და სემიტური ენათმეცნიერების განვითარების საქმეში¹⁸. ეს მოხდა 20 აგვისტოს, 1993 წელს.

სულ რაღაც ათზე მეტი წლის წინ აკად. არნ. ჩიქობავა პირდაპირ წერდა გამ. „Дагестанская правда“–ს ფურცლებზე (იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილი LX რევიონალური სესიის დღეებში): ახლა შორს არ არის ის დღე, როცა ასეთი სესიები „დაგვირგვინდება ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფებისა და ენათმეცნიერ-კავკასოლოგების კონგრესით“¹⁹.

ეს გამონათქვამები კვლავ გვახსენებს იმ დაუეიწყარ დღეებს, როცა პროფ. ვ. შიმშარიოვი და პროფ. არნ. ჩიქობავა ბრძანებდნენ (არნ. ჩიქობავა – ბასკოლოგიაზე): „ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება. ჰიპოთეზა კვლევადიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია, თუ ამ კვლევა-ძიებაზე მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გარკვევა, რასაც მანამდე მეცნიერული ამრი ვერ ხედავდა, თუ ახალი პერსპექტივები დასახა“²⁰.

1940 წელს აკად. ვ. შიმშარიოვი ბასკოლოგიის მიმართ ბრძანებდა: ის მსოფლიო მეცნიერების ბრობლემას წარმოადგენსო. ამასვე აღნიშნა და კავკასიოლოგიის მიმართ ჩვენს დღეებში არნ. ჩიქობავა.

ეს, მართალია, წარსულია, გარკვეულწილად რომანტიზმის გამოხატეული; დღევანდლობაა, ბ-ნი თამაზის პირით რომ მეტყველებს, მაგრამ ესეც ისევე კავკასიურიდან მოდის – ისევე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებაა ამოსავალი. ამჟამად გვახსენდება ისევე ბ-ნი თამაზის და ბ-ნი ვი-

აჩესლავის სკრუპულოზური ხასიათის მონოგრაფია, ორგომეული – უმაღლო ნიმუში ღრმა მეცნიერული კვლევისა. როგორც ადრე ვწერდით: „ჩვენც ამ გზას უნდა დაეადგეთ, თუ გვსურს ნამდვილი მეცნიერული პასუხი გაეცეს კითხვას – ვინ ვიყავით, ვინ გვენათესავეობდა ან ვისთან ვემზობლობდით. ერთი სიგყვით, შევიცნოთ თავი ჩვენი“²¹.

ლიტერატურა:

1. რეც. წგ.–მე: Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы яфетического языкознанию. 12. 1. – მიმოხილველი, I, თბ., 1926, გვ. 330.
2. А. Чикобава, Ценный вклад в советскую науку. – Заря Востока, 1939, 5 фенр., გვ. 2.
3. არნ. ჩიქობავა (ინგერევი), ნიჭი და შრომა. – ჟურნ. "ცისკარი", XI, 1965.
4. გ. ბურჭულაძე. შეიყან თავი შენი. – თბ., 2003, გვ.66.
5. გ. ბურჭულაძე, ფრაგმენტები არნ. ჩიქობავას ცხოვრებიდან. – „ლიტერატურული საქართველო“, 29.XII, 1995, გვ.10.
6. თ. გამყრელიძე, საქვეყნოდ აღიარებული სწავლული. – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3-4, თბ., 1985, გვ. 220.
7. გ. ბურჭულაძე, შეიყან თავი შენი, გვ. 66.
8. თ. გამყრელიძე, დასახ. შრ., გვ. 220.
9. გ. ბურჭულაძე, ხალხთა ისტორიის ცოცხალი მოწმე. – "საქართველოს კომუნისტი", № 12, თბ.,1984, გვ. 73.
10. არნ. ჩიქობავა, სახელობითისა და მიცემითის სინგაქსური როლი ენათა თავისებურებისათვის ძველ ქართულში. – თსუ-ს ფილოლოგიური ფაკულტეტის II სამეცნ. სესია, თბ., 1967, მოხსენების თემისები, გვ.7-8.
11. გ. ბურჭულაძე, ფრაგმენტები არნ. ჩიქობავას ცხოვრებიდან, გვ.10.
12. წიგნში „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური პიპოთეზა“ (არნ. ჩიქობავას წინასიგყვაობით და რედაქციით. – თბ., 1976); წიგნში ანტ. გოვარი „ბასკური ენა“ (არნ. ჩიქობავას წინასიგყვაობით და რედაქციით. – კრ. „ბასკურის ნათესაობის საკითხი პროფ. ანტ. გოვარის წიგნში „ბასკური ენა“, იქვე, გვ. 5-15); წიგნში ი. ბრანუნი, „ბასკოლოგიის შესავალი“ (აკად. არნ. ჩიქობავას წინასიგყვაობით და რედაქციით), წინასიგყვა. – თბ., 1984, გვ. 3-6.
13. რ. გორდემიანი, ეგრუსკული და ქართველური. – თბ., 1980. რ. გორდემიანი, წინარებერძნული და ქართული ენა. – თბ., 1985, გვ.171.
14. რ. გორდემიანი, იქვე, გვ. 170.
15. თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები. – შრ. „ქართულ თანხმონანთა „განდასება“ (ველარი ყ და პოსტველარი კ სპირანტები ქართულში)“. – თბ., 2000, გვ. 249-256.
16. კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუმური ენა. – თბ., 2002, გვ. 91.

17. Т. В. Гамкрелидзе, Из выступления на общей собраний АН СССР. – М., 1983.

18. თ. გამყრელიძე, ვუყუროთ სამყაროს სიკეთით და ოპტიმიზმით. – გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 20.VIII, 1983. თბ., გვ. 7.

19. გ. ბურჭულაძე, შეიყნ თაეი შენი, გვ. 196.

20. არნ. ჩიქობავა, ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები. – კრ. „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური პიპოთეზა“, გვ. 109.

21. გ. ბურჭულაძე, შეიყნ თაეი შენი. – ჟურნ., „ბალაეარი“, 4-6, თბ., 1988, გვ. 175-190; იგივე, თბ., 2003, გვ. 196-197.

შოთა გაფრინდაშვილი და ცხინვალი

ბ-ნი შ. გაფრინდაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში ცხინვალი ერთი, მაგრამ არც თუ უმნიშვნელო ეპიზოდია. მაგალითად, როგორც ცნობილია, „1952 წ. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრამ დიალექტოლოგიური ექსპედიცია მოაწყო ქსნის ხეობაში (ახალგორის რაიონი). ექსპედიციის მიზანი იყო ამ ხეობის ენობრივ თავისებურებათა შესწავლა და მისი ადგილის დადგენა ქართული ენის კილო-თქმათა შორის. ამ ექსპედიციის შედეგად იქნა შემუშავებული ტერმინები ზემოქსნური და ქვემოქსნური, რომელსაც ვიყენებთ ჩვენს შრომაში. – ქვემოქსნური ეწოდა ქსნის ხეობის ბარის მოსახლეობის მეტყველებას, ზემოქსნური კი - მთის ზონისას.“¹

იმავე წელს დაიბეჭდა ცხინვალის (მაშინდელი სტალინირის) პედაგოგიური ინსტიტუტის ოსური და ქართული ენების კათედრათა სამეცნიერო სესიის თემისები, რის შემდეგ სამეცნიერო მიმოხილვაში დამკვიდრდა სათანადო ტერმინები: ზემო ქართლური, ქვემო ქართლური.²

სხვათა შორის, პირველი ნაბეჭდი შრომა სწორედ ქართლურ დიალექტს ეხებოდა, შ. გაფრინდაშვილმა რომ გამოაქვეყნა.³

პროფ. შ. გაფრინდაშვილს 1950-57 წლებში ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის თანამდებობა ეჭირა, თანაც პარალელურად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მართალია, ბ-ნი შოთა უფრო ცნობილია როგორც ექსპერიმენტალური ფონეტიკის გამოჩენილი მკვლევარი, ამ სფეროში შექმნილმა შრომებმა მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვეს, მაგრამ იგი გამორჩეული სპეციალისტი გახლავთ დალესტნურ ენათა ლაკურ-დარგული ქვეჯგუფისა. მან სწორედ დარგული ენის მასალის კვლევის საფუძველზე დაიკვა როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაციები.

სწორედ ცხინვალში მოღვაწეობისას დაისტამბა ცხინვალის პედაგოგიური

ინსტიტუტის შრომებში მისი არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი „Образование и функции основных падежей в диалектах даргинского языка“ (1956), „Образование и функции направительных и местных падежей в диалектах даргинского языка“ (1957), დარგულის მასალებს რომ ემყარება, და ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობის მქონე „ი. სგალინის მოძღვრება ენის, როგორც სამოგადოებრივი მოუღენის შესახებ“ (1952), „ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების ობიექტურობის საკითხისათვის“ (1955). ცხინვალშივე დაიბეჭდა თემისების სახით „აფრიკატთა და აფრიკატიზაციის პროცესის ბუნებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (1956) და სხვა.

არნ. ჩიქობავა ერთგან აღნიშნავდა: „მართალია, ი. გულდენშტედტს არაფერი უთქვამს იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის ურთიერთობაზე, მაგრამ ჯგუფებად დაყოფა და დებულება ცალკეული ჯგუფის წევრთა ნათესაური ურთიერთობის შესახებ პირველად ი. გულდენშტედტმა წამოაყენა და არსებითად – სწორადაც.“

მართლაც, ლაკურ-დარგუელი ერთად რომაა ი. გულდენშტედტთან, ეს დებულება მეცნიერულად პირველად დაასაბუთა შ. გაფრინდამვილიმა თავის „ბგერათმესატყვისობისათვის ლაკურსა და დარგულში“ (1954).⁴

ამდენად, სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა, ბ-ნ შ. გაფრინდამვილის მიერ შექმნილი პირველხარისხოვანი კავკასიოლოგიური შრომების შექმნა. აქ წარმოჩნდა ნათლად მისთვის ესოდენ დამახასიათებელი ფაქიმი ენობრივი ანალიზი და ვიგყოლი – ღრმა ინტუიციაც, რომელსაც ამ ბოლოს რატომღაც არ სკეპენ სათანადო პატივს... არა და, მეცნიერება ამის წყალობით კარგავს იმას, რითაცაა ის მომხიზვლელიც და მიმზიდველიც.

იმ ღროს, როცა თავისი ინტელექტუალური გაფურჩქენის ხანაში იყენენ ჩვენი მეცნიერების პატრიარქები, ბ-ნმა შოთამ შესძლო შემოეკრიბა თავის გარშემო წრე მოწაფეებისა, რომელთა წილი ღღესაც წარმატებით განაგრძობს კვლევას. მერე და, რა ღღეები იყო... იქ, აკადემიის კომპლექსი რომაა ღღეს, ცირკის მოპირდაპირე გორაკზე, ერთი სახლი იღგა, ეგონებ, აღრე იქ კომუნალური ბინა გახლღათ. იმ ოთახებში მეკრებილი ახალგაზრღები მთელი ღრე იქ იმყოფებოღნენ... ისე მახსოვს, შესვენებაზეც არ გაღიოღნენ ხოლმე.

მე მქონღა ბეღნიერება ბ-ნ შოთას ლაბორაგორიაში, მისივე კაბინეტში მემუშავა ჩემი საკანღიღაგო ღისერგაციის დასასრულებღად... აქ იგი, ჩვეულებისაშებრ, ასპირანტებსა და ახალგაზრღა მეცნიერ-მუშაკებთან მუშაობღა. იქვე გამომიყო სამუშაო მაგიღა – მასზე ვშლიღი ხოლმე საილუსტრაციოდ ამოწერილ ბარათებს. რაც მთავარი, ამ ოთახში ემუშაობღი შაბათ-კვირასაც – გვიანობამღე... ლაბორაგორიის გასაღებს ბ-ნი შოთათან მიგოვებღა ხოლმე. ურთიერთობა ბ-ნ შოთასთან პროფ. თ. უთურგაიღის მემუეობით მოხღა... თ. გამყრელიღისა და გ. მაჭავარიანის ცნობიღი მონოგრაფიიღან საილუსტრაციო მასალებს ვიწერიღით... გასამრჯელო, მახ-

სოუს, ასპირანტის კეალობაზე კარგი იყო...

ბ-ნი ვაჟა შენგელია და მე ბ-ნ შოთას სტუდენტები არ ვყოფილვართ, არც მასთან გვიმუშავია, თუმცა პროფ. გ. როგავამ, ჩვენი კათედრის გამგემ, ჯერ კიდევ სტუდენტებს აღრევე ვვირჩია გაცნობოდით [მაშინ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი] ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებს ბ-ნ შოთასთან.

ასეთი გაცნობა არ შემდგარა – ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაგრამ ბატონ შოთას პირადად კი ვიცნობდით, ჩანს, ისიც აღევენებდა თვალყურს ჩვენს მუშაობას ასპირანტურაში სწავლისას. იგი გბილი და ყურადღებიანი გახლდათ ყოველდღიურ ურთიერთობაში.

არ დამავიწყდება ბ-ნ ვაჟას შესახებ რომ ბრძანა, მისი დისერტაციის დაცვის შემდეგ გამართულ ვახშამზე 1967 წელს: ვაჟას სურვილი რომ პქონდეს, ჩემთან, ლაბორატორიაში მუშაობისა, მივიღებდი სამუშაოდო. ბ-ნი ვაჟა ამ დროს კი, ასპირანტურა დამთავრებული, კარგა ხანს იყო უმუშევარი (მე იმ დროს გორში ვმუშაობდი უფროს მასწავლებლად).

ბ-ნი ვაჟას დაცვიდან ერთი წელიც არ გასულა, როცა ბ-ნ შოთა გარდაიცვალა... გარდაიცვალა მოულოდნელად... საავადმყოფოში ვინახულეთ იგი მე და ბ-ნმა ჰაინც ფენრიხმა, მაშინ ახალგაზრდამ, ჩვენში გასაწერთენელად მოვლინებულმა, ამკამად ჩვენი აკადემიის საპატიო წევრმა... ბ-ნი შოთა აქეთ მოგვეფერა, ყურადღებით მოიკითხა ჩვენი საქმიანობა, თურმე დღეები უნდა ეცოცხლა მხოლოდ... მაგრამ ასეთი ადამიანი ქვეცნობიერად ცოცხალია მაინც... „ძვირფას გენადის - ავტორისაგან“ აწერია ბ-ნ შოთას ნაჩუქარი მონოგრაფიას „Фонетика даргинского языка“...რამდენს ასეთ მონოგრაფიას დაწერდა, რომ დასცლოდა... იგი ძალზე ადრე წაეიდა ჩვენგან... თან გაიყოლა ბევრი ნაფიქრიც და გასაკეთებელიც ... ეჭვი არაა, რომ ბევრს შესძენდა ნამდვილ ექსპერიმენტულ ფონეტიკას, რომლის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ითვლებოდა ჩვენში, და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას საერთოდ.

ბ-ნო შოთა! ასე მიემართავდით მას ყველანი: უმრწემესნი და, თუ არ ვცდები, უფროსნიც – მისი თანაგოლნიც – იგი 52 წლის გარდაიცვალა.. მის ასაკს კი ჩვენ უკვე კარგა ხანია გადავაცილეთ და დღეს განსაკუთრებით მტკივნეულია მისი ასე ადრე წასვლა... მაგრამ ბ-ნ შოთას მთავარი მის ნაღვაწში რჩება – ესაა მის მიერ სამეცნიერო კვლევისას წამოყენებული ცალკეული დებულებანი... ისინი კვლავ ელიან მკელევეართა ყურადღებას.

ლიტერატურა:

1. ვ. სომხიშვილი, ლიახვისა და ქსნის ხეობის ქართლური, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ. 9. აგრეთვე, მისივე: ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968, გვ. 3; ქსნის ხეობის ქართლური, ცხინვალი, 1981, გვ. 6.

2. 1952, სტალინირი, გვ. 5-11.

3. ანგარიშები 1937 წლის საზოგადოებრივი მივლინებისა ქართული კილოს შესასწავლად და ქართული დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად: წითელქალაქი (ქასპის რაიონი). – ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, თბ., 1937 (ეს თითქოს 15 წლის წინ დაწყებული შრომის ფრაგმენტია).

4. გ. ბურჭულაძე, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა ცხინვალში. – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი(ქ. გორში), მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გორი, 2002, გვ. 13.

ბაქარ გივინეიშვილი – კავკასიოლოგი

1922 წელს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების უდიდესი წარმომადგენელი ანტუან მეიე ნიკო მარის ნაშრომის „იაფეტური კავკასიის“ გაცნობის შემდეგ ისტორიულ ენათმეცნიერებას გადაუღებულ ამოცანად უსახავდა „კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შექმნას“. ცნობილი კავკასიოლოგი ნიკოლოზ ტრუბეცკოი ამის თაობაზე მართებულად შენიშნავდა, რომ ასეთი გრამატიკა ცალკე უნდა დაიწეროს ქართველურ ენათა შესახებ, ცალკე – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართ. ამის წინაპირობა კი ამ ენათა შედარებითი ფონეტიკის დამუშავებაა, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს სათანადო მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევა.

ეს მაშინ, როცა ყველა მთის იბერიულ-კავკასიური ენა არც კი იყო გამოკვლეული და, რაც იყო, არც თუ ყველა სათანადოდ და გამოწვლილვით შესწავლილი. ამიტომაც უფრო რეალური იყო გზა, რაც არნ. ჩიქობავამ ქართულ ენათმეცნიერებას დაუსახა 1923-24 წლებში: „ჩვენი გზა არის და უნდა იყოს გზა მკვიდრი პოზიტიური შესწავლისა, ფაქტების შეგროვებისა და მათი ურთიერთობის თანდათანობით რეკვიზიას“.

ეს თითქმის ერთდროულადაა ნათქვამი. ამას კი უსწრებდა დიდი ივანე ჯავახიშვილის ცნობილი განცხადება 1918 წლის 2 მაისს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე: „... ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთიელთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროს“.

ამიტომაცაა, რომ ამის ასრულება უნივერსიტეტში თავთ იდეს პირველკურსდამთავრებულებმა, ა. მანიძე რომ „ოქროს ხუთეულს“ უწოდებდა იმათგან – არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია და ვ. თოფურია.

მით უფრო, რომ მთის იკ ენათა შესწავლა იმთავითვე ქართველოლოგიის შესწავლის უპირველეს საგნად იქნა მიჩნეული: „ეგრე ერთი მოგადი პრობლემა, რომელიც ჩნდებოდა ამა თუ იმ დასახლებულ სპეციალობაში (ე. ი. ქართველოლოგიასა და არმენისტიკაში – გ. ბ.), არ შეიძლებოდა სწორად ყოფილიყო დასმული და მით უფრო გადაწყვეტილი მოგადკავკასიური პერსპექტივების გარეშე, კერძოდ, მთის ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავ-

ლის გარეშე (ივ. ჯაფახიშვილი)“.

ერთი სიგყვით, მეიე, გრუბუეკო, ნ. მარი... ი. ჯაფახიშვილი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია... აი, ისინი, ვინც ამ პრობლემით იყვნენ დაკავებულნი...

ბ-ნი ბაქარი თავისი დაბადების 50 წლისთავზე მიცემულ ინტერვიუში (1983 წ. 19 მარტი) ერთგან იტყვის საზგასმით: „უფრო მნიშვნელოვანი კი, ალბათ, მაინც ის იყო, რომ ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, არნ. ჩიქობავა“.

მან ბ-ნმა ბაქარმა 1956 წ. დაამთავრა თსუ-ს კავკასიურ ენათა განყოფილება და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. თავდაპირველად ბ-ნი ბაქარის საკვალიფიკაციო ნაშრომი უდიურ ენას ეხებოდა – ასპექტს; გამოაქვეყნა კიდევ სოლიდური სახის გამოკვლევა იკე-ში (1959), მაგრამ, ჩანს, იძალა საკვლევი თემის მასალის უკმარისობის გრძნობამ ან სხვა რამ, მაგრამ ამ კუთხით კვლევა რომ შეწყდა, ფაქტია.

ამის შემდეგ მისი კვლევის სფეროში თავდაპირველად შემოვიდა ლაკური ენა, რომელიც „თავისი ბუნებით იგი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის უნიკალურის; აქაა:

ერთმანეთის გვერდით სადა და სათანადო ფარინგალიმებული ხმოვნები თავიანთი გრძელი სახეობანით... ინტენსიურ თანხმოვანთა გვერდით პრერუპტივითა სისტემა...

ერგატივ-ნათესაობითისა და ზოგჯერ მოქმედებითი ბრუნვის ფორმათა გაუდიფერენცირებლობა და სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციათა ვარიაციები...

განსაკუთრებით ყურადსაღებია ერთი ენის ფარგლებში იბერიულ-კავკასიურ ენათა უღელილების სამივე ტიპის – ოღენ კლასოვანის, კლასოვან-პიროვანისა და ოღენ პიროვანის – ერთმანეთის გვერდით თანაარსებობა და ბევრი სხვაე.

ასე რომ, ლაკურის საგანგებო, გამოწვლილვითი შესწავლა აქტუალურია როგორც იბერიულ-კავკასიური, ასევე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც“ (გ. ბურჭულაძე).

ლაკურის კურსი თსუ-ში კავკასიურ ენათა დაარსებიდან მიჰყავდა ვ. თოფურიას... ის ერთ-ერთ ძირითად საგნადაც ითვლებოდა: ქ-ნი თ. შარაშენიძე იკეწ-ში გამოქვეყნებულ მოგონებაში წერდა: ლაკურს, როგორც სახელმწიფო საგანს, ვაბარებდიო...

კავკასიურ ენათა განყოფილებასთან არსებობდა და არსებობს რუსული სექტორი, სადაც ჩამოსული დაღესტნელებიც სწავლობდნენ... მათ შორის იყვნენ ლაკებიც: ი. აბდულაევი, ა. აკიევი და ნ. ჯიდალაევი...

ეჭვი არ მეპარება, რომ ბ-ნი ბაქარი მათ იმთავითვე პირადად სცნობდა, ყოველ შემთხვევაში მე ბ-ნი ბაქარი გაეიყანი ლუმუქში, ლაკთა ისტორიულ ცენტრში 1964 წელს... ჩემს დღიურში, რომელსაც იმთავითვე ვაწარმოებდი,

მიწერია: 18 ივლისს, ესაა 1964 წელი, ალიო აკიევა, ღუმუქელმა, დამირეკა (ლაკური თეატრის დირექტორის ოჯახს ესტუმრობდი), აქ, ჩემთან ოჯახში ბ-ნი ბაქარია და შენი ვაცნობა სურსო...

ბ-ნმა ბაქარმა იმ წელს, 1964 წელს, დაიცვა დისერტაცია „ლაკური ენის კონსონანტიზმი“ (ოპონენტები იყვნენ ვ. თოფურია, ი. ცერცვაძე... (12. II. 64).

ის წლები ლაკურის შესწავლაში სამოგალოდ უხვმოსავლიანი იყო. იცავენ საკანდიდატო დისერტაციებს: ისა აბდულაევი – 1963, ალი აკიევი - 1964, ნურისლამ ჯიდალაევი (1965).

ამას მოგვიანებით მოჰყვა საკანდიდატო დისერტაცია აწ განსვენებული ფ. გაიდაროვისი, ჩვენი თანაკურსელი, ქართული სექტორის კურსდამთავრებული ლაკი, ჩვენისა და მოსკოველი ლაკის სადოქტორო დისერტაციები... და სხვათა შორის, მსურს გავიხსენო ისიც, რომ ბ-ნი ს. ჯანაშია 1937 წელს აღნიშნავდა საგანგებოდ, რომ ქართველი სპეციალისტები ჯერ კიდევ მაშინ „აქტიურს, პრაქტიკულს, მეცნიერულ და პედაგოგიურ დახმარებას უწევენ სათანადო ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებს როგორც კადრების საქმეში (ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით მომზადდა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაჯილდოებულ იქნა ლაკური ენის პირველი ლაკი სპეციალისტი), ისევე კულტურულ მნიშვნელობაში“.

ასე რომ, ბ-ნ ბაქარს ლაკურის შესწავლის გარკვეული ტრადიცია დახვდა (პ. უსლარი, ვ. თოფურია, ს. მულყელინსკი...), დაწყებული იყო ლაკურის დიალექტოლოგიური შესწავლა... ბ-ნმა ბაქარმა ახალი მასალა მოიპოვა ადგილზე... განსაკუთრებით აულების ხოსრების, ვაჩი-კულის, სუმბათის, ღუმუქისა და სხვა – ეციხიური პ. უსლარის კვლევის საგანი გახლდათ... ეს აულები და ზოგი სხვა (სხვათა შორის, ბ-ნ ბაქარს თავის ექსპედიციებში ახლდა დედა, ქ-ნი მარიამი, რომელიც ბ-ნ ბაქარის ჯანმრთელობას აღევენებდა თვალს, უადვილებდა კვების საკითხს და სხვა). მან, როგორც იცყვიან, ფეხით მოიარა, დაკვირვებას აწარმოებდა აულ-აულ... ეს მშვენივრად ჩანს, მისი ამონარიდიდან და სტაგიაში „ლაბიოველარული საკითხისათვის ლაკურ ენაში“; იგი სქოლიოში წერს (გვ. 213): „ქვემოთ მოყვანილი სუმბათური ფორმები ლაკურის სხვა თქმათა სათანადო ფორმებს ემთხვევიანო“ და იქვე: ეს ფაქტი ჩვენ გამოწველილვით შევაპოწმეთ აულ სუმბათში მაფხულში, 1964 წელსაო...

გემოთ აღვნიშნე, ბ-მა ბაქარმა 1964 წ. თებერვალში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მაგრამ იგი კვლავ ლაკეთშია... ფაქტია, იგი განაგრძობს არა მარტო ლაკურის ინტენსიურ კვლევას, არამედ, იმპედროულად, მომავალი დისერტაციის მასალებს აგროვებს... დაცვის დღიდანო, როგორც ამას ამბობენ. აქ კარგად იკვეთება ბ-ნი ბაქარის ხასიათის ერთი შტრიხი... მიზანსწრაფულობა.

რაკი მისი ხასიათის ერთ შტრიხზე მოვახსენეთ, ბარემ მეორეზეც.

ბ-ნი ბაქარი თავისი თვალსაზრისის ერთგულია, სულერთია, ვინ იქნება

მისი შეხედულების არგამზიარებელი.

1990 წელი გაზეთ „სახალხო განათლებაში“ დაიბეჭდა პროფესორ გ. ნებიერიძის „იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზა და აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის საკითხი“... მე ამას ვამბობ იმ საკამათო საკითხებზე, აქ რომ იჩენს თავს. ჩვენი ყურადღება მიიქცია თითქოსდა ამის საპასუხოდ დაწერილმა ბ-ნ ბაქარის სტატიამ „ჩრდილო-კავკასიურ ხალხთა ისტორიული განსახლების პრობლემა ენობრივ მონაცემთა მიხედვით“, რომელშიც ბ-ნი ბაქარი სამართლიანად არ იზიარებს ს. სტაროსტინის თვალსაზრისს, რომ ჩრდილო-კავკასიური ენები ენისეის ჯგუფის ენათა მონათესავეა, რასაც იზიარებს ბ-ნი გ. ნებიერიძე, სწორედ ს. სტაროსტინზე დაყრდნობით.

არადა, ბ-ნი გივი ნებიერიძე, თავად მშვენიერი ლინგვისტი, ს. სტაროსტინის მეტად საეჭვო, თითქოსდა დადგენილ ბგერათშესაბამისობებს ეყრდნობა. ბ-ნი ბაქარი მეტად მკაცრია, მაგრამ სამართლიანი: „ეტიმოლოგიური დაკავშირებანი და რეკონსტრუირებული ფორმები სრულიად ფანტასტიკურია და შორს სცილდება როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, ისე საზოგადოდ მეცნიერული ანალიზის მეთოდებს. შედარებითი ენათმეცნიერება ეტიმოლოგიურ შეპირისპირებებს ემყარება, მათს ბაზაზე ადგენს იგი ბგერათშესაბამისობათა ფორმულებს. ხოლო დასაკავშირებელი ფორმათა ანალიზი თუ თვითნებურია, სემანტიკური მხარე კი მხოლოდ ასოციაციებზე დაფუძნებული, კარგს ვერას მივიღებთ. პირიქით, ენათმეცნიერების ეს უზუსტესი დარგი მეცნიერების სრულ პროფანაციად იქცევა. სწორედ ასეთი სურათი იხატება ჩვენს წინ. ს. სტაროსტინის ნაშრომთა (რომელთა უმრავლესობა თემისების სახითაა) გაცნობისას. საოცარი არეულობა და ქაოსი შეიგანა მან ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითს შესწავლაში, რომელთაგან რამდენადმე კარგად არცერთს არ იცნობს“.

დავუბრუნდეთ პირველთქმულს ლაკურის მიმართ. ბ-ნმა ბაქარმა ლაკურში მკვეთრად გამოიჩინა ერთმანეთისაგან პრერუპტივები და გემინატები (ეს უკანასკნელი სპირანტებში კი გვაქვს)... სამწურობო ლაკურში კი ესენი გაუმიჯნავია (ვთქვათ, ფა და სა-ს)... ბ-ნ ბაქართან ეს აღნიშნულია წერისას თავზე მახვილით (თ', ქ...)... ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ეს მხოლოდ ლაკურზე უშუალო დაკვირვების შედეგია, თორემ ფონოლოგიურად აბსოლუტურად ერთნაირი ქვევა ახასიათებს პრერუპტივებსა და გემინატს... ფონეტიკურად კი ისინი სხვადასხვაა: „სპირანტ გემინატთან განსხვავებით, ისინი არ ხასიათდებიან ორმავე ხანგრძლივობით. ისინი (ე. ი. თა, ჰა, ქა და ა. შ.) სულ სხვა თანხმოვნებია“... – წერს ბ. გიგინეიშვილი (გვ. 42).

აქ ფაქტიურად შემჩნეული და აღწერილია ლაკურის ერთი თვალმისაცემი თავისებურებანი: სპირანტი შეიძლება იყოს გემინანტიცა და არაგემინანტიც, ხმულები პრერუპტივი – არაპრერუპტივი. წერისას ორივეს ერთი ნიშნით გადმოსცემენ, არ უნდა კი.

კვლევის სფეროში თანდათანობით შემოდის სხვა დადესტინური ენები. აქ ბ-ნ ბაქარს დახვდა ბ-ნ გოგოს ფუნდამენტური გამოკვლევა „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“... ბ-ნ გულავესავე შრომები ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში, პირველხარისხოვანი ფუნდამენტური ქართული გამოკვლევანი არნ. ჩიქობავასი, ი. ცერცვაძის, დ. იმნაიშვილის, ა. მაჰომეგოვის, ო. კახაძის, ზ. მაჰომადბეკოვისა, ე. ლომთათიძისა და სხვათა და, რაც მთავარია, ცალკეული შტუდიები ნ. ტრუბეცკოისა... თითქოს ყველაფერი გაკეთდა იმ გეგმის ასასრულებლად, რაც მეიემ დასახა. ჩამოვთვლით მხოლოდ ნ. ტრუბეცკოისებულ შოგ ნაშრომს:

„ლატერალური თანხმოვნები ჩრდილო-კავკასიურ ენებში“, „გამოკვლევა ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკის სფეროში“, „ჩრდილო-კავკასიურ ენათა სიტყვათმედარებანი“, „აღმოსავლეთ-კავკასიურ ენათა თანხმოვნათა სისტემები“...

ბუნებრივად იდგა საკითხი „დადესტინურ ენათა შედარებითი ფონეტიკის“ შექმნისა, რაც მშვენიურად აასრულა ბ-ნმა ბაქარ გიგინიევილიმა თავის სადოქტორო დისერტაციაში. ოპონენტები იყენენ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ისეთი აღიარებული სპეციალისტები, როგორცაა ბ-ნი ტ. გულაეა და ჩვენნი თ. გამყრელიძე, ი. მეგრელიძე – დილოურ ენათა ადგილობრივი კვლევის პიონერთაგანი ჩვენში. ვინც ესწრებოდა იმ დაცვას, ემახსოვრება – შეფასება ერთსულოვანი გახლდათ, უმაღლესი.

ბევრი სიახლე იყო შრომაში, მაგრამ ვიგყვით ერთზე: ე. წ. დუბლეტურ ფორმებზე. ამას მსოფლიოს კავკასიოლოგები თავდაპირველად გაეცნენ ბ-ნ ბაქარის სტატიის წყალობით: „შედარებითი რეკონსტრუქცია და ფუძეენაში ვარიანტების შესახებ“ (БЯ, № 4, 1972); შდრ. სოსიური – „ფონეტიკური დუბლეტები არ არსებობს“ (სოსიური, გვ. 162-163). შემდეგ ეს მთლიანად შევიდა მის სადოქტორო დისერტაციაში (დაცვა, დაგვაიწყდა გვეთქვა, შედგა 1973 წ.), რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა თსუ-ს გამომცემლობამ 1977 წ. წიგნის ანოტაციაში ნათქვამია: „წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთა, კომპარასტივისტებისა და კავკასიოლოგებისთვის“...

ეჭვიც არ გვეპარება, რომ ჩვენს სტუდენტობას სათანადო საკითხზე კვლევისას ამაზე მიუთითებენ კოლეგა-ლექტორები, მაგრამ რამდენს მოიგებდა ჩვენი საერთო საქმე, ეს რომ თვით ბ-ნ ბაქარს გაეკეთებინა. იმ ინტერვიუში, რომელზედაც თავში აღვნიშნეთ, ბ-ნი ბაქარი სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინის შემოღებას ან განახლებას მოითხოვდა. ის ბრძანებდა: „ფილოლოგიის ფაკულტეტზე არ იკითხება შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერების კურსი, თუმცა, სპეციალისტების ნაკლებობას ვერ დავემდურებით. არ იკითხება აგრეთვე აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თუმცადა არსებობს სპეციალური კავკასიურ ენათა განყოფილება და არსებობს წიგნები, რომლებიც სახელმძღვანელოდ გამოდგება“.

კარგი იქნება, ადრე წასულ ბრწყინვალე მეცნიერს – კავკასიოლოგის ხსოვნის პატივისცემის დასტურად, ნიშნად, სათანადო კათედრებმა ეს და სხვა ჩვენი მეცნიერებისათვის საჭირო სურვილი ბ-ნი ბაქარისა გაითვალისწინონ. ბ-ნი ბაქარის წიგნი თვითაა ჩინებული სპექტრისის წყარო; მორფოლოგიაში გამოდგებოდა, მაგ., ბ-ნ გ. თოფურიას მშეენიერი მონოგრაფია „ბრუნების მორფოლოგია დალესტურ ენებში“ და სხვ.

ხედავთ, ბატონებო და ქალბატონებო, მოგონება, გახსენება ისეთი გამოჩენილი ლინგვისტისა, როგორც ბ-ნი ბაქარია, რამდენს ვეაძლევს თვით ჩვენ, მის მომსწრეთა და კოლეგებს... ბ-ნი ბაქარი ისევე ჩვენთანაა თავისი ფიქრებით... (გაიხსენეთ, თუნდაც ამ ბოლო დროს გამოსული წიგნი „მოგადი ენათმეცნიერების კურსი“ სოსიურისა, რომლის რედაქტორიც ის გახლდათ). როგორც ამ წიგნის მთარგმნელი ქ-ნი ცისანა ბიბილეიშვილი ბრძანებს, ბ-ნ ბაქარს სურდა, „ენათმეცნიერებით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის შეექმნა ცნობილ ენათმეცნიერთა თხზულებების ქართულენოვანი სერია და ამ მიზნის განხორციელება 80-იანი წლების ბოლოს, ფერდინანდ დე სოსიურის „მოგადი ენათმეცნიერების კურსით“ დაიწყოს“.

ყველაზე დიდ სიხარულს ბ-ნ ბაქარს, ალბათ, ამ სურვილის ასრულება მიანიჭებდა, ხოლო მის გვერდით „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის“ რეგულარული გამოცემა და მომავალში, სასურველია, სათანადო კავკასიოლოგიური სერიის დაარსებაც, უდაოდ დიდი საჩუქარი იქნება ქართველ ლინგვისტათვის, და არა მარტო მათთვის.

ბ-ნ ბაქარს უყვარდა კავკასიოლოგია და უმურველად ემსახურა მას; ეს უკანასკნელიც სათანადო პატივს მუდამ მიაგებს ადამიანს, რომელიც სამოგადოდ ენების შემსწავლელი მეცნიერებით ცხოვრობდა!

1. 2003 წლის 21 მარტს მოხსენდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ღია სხდომას, რომელიც მიეძღვნა ბ. გივინიშვილის დაბადებიდან 70 წლისთავს.

ივანე გიგინეიშვილი - 90

(რადიოგადაცემა სტუმრად „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე)

რადიოგადაცემა... რამდენჯერ მოგვისმენია ის - მოგვწონებია, ზოგჯერ ალტაცებაში მოვსულვართ, ბევრი რამ ახალი გაგვივია... მაგრამ გადის დრო და იგი იკარგება, რადიო-უთერი ამდენად წარმავალია. მართალია, არსებობს რადიოს ე. წ. „ოქროს ფონდი“, სადაც ზოგ გადაცემას ინახავენ სამომავლოდ, მაგრამ ასეთი მცირეა.

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. ვორში) პრორექტორის, პროფესორ გენადი ბურჭულაძის რადიო-ლიალოგი არაერთხელ მოგვისმენია მწერალ თამაზ ხმალაძესთან (იგი გადაცემათა სერიის „ენაი შემკული და დიდებული“-ს მთავარი რედაქციის რედაქტორიყაა). ერთ-ერთი ასეთი გადაცემა მიეძღვნა ქართული ენის დიდ ქომავსა და მსახურს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ივანე გიგინეიშვილს დაბადებიდან 90 წლისთავზე.

ბ-ნ გენადის ვთხოვეთ ამ გადაცემის ლიტერატურული ვარიანტი მოეწოდებინა „ლიტერატურული ცხინვალის“ რედაქციისათვის, რაც შეგვისრულა და ვაქვეყნებთ უცვლელად.

თ. ხ.: ძვირფასო რადიომსმენელებო! დღევანდელი გადაცემა უჩვეულოა, უჩვეულოა თუნდაც იმიტომ, რომ გვინდა წარმოგიდგინოთ ადამიანი თავისი ავტობიოგრაფიის მიხედვით. ეს ავტობიოგრაფია 1977 წლის 10 ოქტომბერსაა დაწერილი, ეგონებ, ბოლო ვარიანტია... გულმა უღალატა, იმ გულმა, რომელიც მოყვასისათვის მუდამ იყო ღია, იმ გულმა, რომელმაც ბევრი ნაღველი ატარა და სიხარულიც, იმ გულმა, რომელსაც მრავალი სიხარულის მოტანა შეეძლო მისი კოლეგებისა თუ მრავალრიცხოვან მოწაფეთათვის. მის შესახებ 1982 წლის 10 თებერვალს გაზეთ 'სახალხო განათლების' ფურცლებზე წერდა საქ. მეც. აკად. წევრ-კორესპონდენტი ქ-ნი თინათინ მარამენიძე:

„დღეს ბატონი ვანო ჩვენს შორის აღარ არის და არც არასოდეს იქნება. როგორი მძიმეა ამის გადატანა! როგორ საჭიროა ის ყოველდღე, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყველგან, სადაც ქართული ენის, ქართული კულტურის განვითარებისა და აღმავლობისათვის იღვწიან: ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც, უნივერსიტეტშიც, ქართულ ენციკლოპედიაშიც, „ეფუხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაშიც, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ კომისიაშიც“.

ღიას, ბ-ნი ივანე გიგინეიშვილი გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერია. მისი მოღვაწეობის სფერო სხვადასხვაა: მეტყველების კულტურა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი და ამ ენის მიმართება საერ-

თო სახალხო ენასთან, მწერლის როლი ენის განვითარებაში, ქართული დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ტექსტოლოგია, რუსთველოლოგია და სხვ.

ი. გიგინეიშვილის „ავტობიოგრაფია“ და ზოგი სხვა დოკუმენტი თავაში ანაღ გაგეაქონო ქ-ნმა ნუნუ საყვარელიძემ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა, ბ-ნი ივანეს მეუღლემ. შუამავლობა, ჩვენი გადაცემის ხშირმა სტუმარმა წარსულში (იმედია, სხვა დროსაც ითანამშრომლებს ჩვენთან) არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარმა სპეციალისტმა, ცხინვალის სახ. პედინსტიტუტის (გორში) პრორექტორმა, პროფ. გენადი ბურჭულაძემ გაგვიწია. იმედია, ის არ მოგვაკლებს თავის კომენტარსა თუ მოგონებას მისი, უკეთ, ჩვენი საერთო მასწავლებლის ავტობიოგრაფიული მომენტის წარმოჩენას.

გ. ბ.: ეს მისია, მე რომ დამაკისრეთ, ბ-ნო თამაზ, სასიამოვნოა, მაგრამ ძალზედ საპასუხისმგებლო. ბ-ნი ივანე, როგორც თქვენს წინათქმაში ბრძანეთ, მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ, მაგრამ უპირველესად ის ენათმეცნიერი იყო, დიდი ენათმეცნიერი.

თ. ხ.: უპირველესად, რომ ბრძანეთ, რას გულისხმობდით?

გ. ბ.: ის რომ, ბ-ნი ივანესათვის ენა, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურისა, არა მარტო ენათმეცნიერის კვლევა-ძიების ობიექტი გახლდათ, არამედ ესთეტიკური ტკბობის წყარო.

ერთი თანაკურსელი გვეყავდა, ერთხანს ენათმეცნიერებით გატაცებული, ბ-ნი ელგუჯა გიუნაშვილი. იგი ჩვენ, მაშინდელ სტუდენტებებს, გვიამბობდა: ბ-ნი ივანე სახლში მოვიწახულო (ბ-ნი ვანო მაშინ მძიმე ავადმყოფობის გამო შინ იწვა). სულ ქართული პოეზიით სუნთქავდა და განსაკუთრებით ვაჟათი, მთელ სტრიქონებს გეპირად წარმოთქვამდაო.

მისი კოლეგები იგონებენ, ბ-ნმა ივანემ ქართული მწერლობიდან მთელი პასაჟები გეპირადაც კი იცოდაო. ქ-ნი თინათინ შარაშენიძის მოგონებით, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონზე“ მუშაობისას მას ხსირად მიმართავდნენ, ამოწერილი მასალა რომელი ავტორისააო. ერთი წინადადების მიხედვით ბ-ნი ვანო შეუსდომლად განსაზღვრავდა რომელი ნაწარმოებიდან იყო, იშვიათად თუ გაუძნელდებოდა ამისი ამოცნობაო.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, ეს რა ფენომენალური მეხსიერება და, რა თქმა უნდა, გემოვნება ჰქონია ბ-ნი ივანეს.

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ, ქ-ნი ნუგეშა მაყაშვილს, ცნობილი პოეტის კ. მაყაშვილის ქალიშვილს, უამბნია ჩემთვის: მამა 1927 წ. გარდაიცვალა; იგი ორი წლის გარდაცვლილი ყოფილა, როცა ი. გრიშაშვილს კ. მაყაშვილის მეუღლისათვის გადაუცია ბ-ნი კოტესადმი მიძღვნილი ლექსი. ქ-ნი თამარს ეს წაუღია ხელოსნისთვის, რათა მას ეს ხელნაწერი ჩარჩოში ჩაესვა. რამდენიმე დღის შემდეგ იქ მისულ ქალბატონს არც ხელოსანი დახვედრია და არც ხელნაწერი. ასე რომ, ხელნაწერი დაკარგულა.

შემდეგ, ასე 60-იან წლებში, ი. გრიშაშვილს თავის კრებულში ამ ლექსის გამოქვეყნება მოუნდომებია, მაგრამ რაკი ხელნაწერის პირი არ გააჩნდა, ქ-ნ ნუგეშასათვის შეუჩივლია. ქ-ნ ნუგეშას ეს ბატონ ვანოსთვის უთქვამს. ბ-ნ ვანოს კი უბრძანებია: დაჯექი, აიღე ფურცელი და დაწერეო. ი. გრიშაშვილის ეს დაკარგული ლექსი ზეპირად წარმოუთქვამს. გაკვირვებულ მაყამვილის ასულს ღიმილით მოუყვა: იმ წლებში თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ესწავლობდი. ერთხელაც აუვლია იმ სახელოსნოსკენ. ვიტრინაში ჩასმული ეს ლექსი წაუკითხავს, მოსწონებია. ფურცელი და კალამი თან არ ჰქონია, რომ ჩაეწერა. კი უფიქრია, მეორე დღესვე მოვალ გადასაწერადო, მაგრამ მაინც მეორედაც წაუკითხავს. მეორე დღეს, იქ მისულს, არც ის ხელოსანი უნახავს და არც ის ლექსი, მაგრამ ეს ისე მტკიცედ დამახსოვრებია, რომ ოცდაათი წლის შემდეგ აღადგინა. ქ-ნ ნუგეშას ეს ჩანაწერი მიუტანია ი. გრიშაშვილისათვის და მასაც იგი თავის ლექსების კრებულში შეუტანია.

როცა ამის შესახებ ქ-ნ ნუნუს ეუამბე, მან მითხრა: ეს ასეა, კარგა ხანია ვიცი, მაგრამ ერთი ფაქტი ორიოდე დღეა გავიამბრეო.

თ. ხ.: რას გულისხმობდა ქ-ნი ნუნუ?

გ. ბ.: ი. გრიშაშვილის ის კრებული 1962 წ. გამოიცა. ბ-ნ ვანოს ეგზემპლარიში ლექსზე „კოტე მაყაშვილს“ ბ-ნ ივანესული ხელით მინაწერია:

„და ორი წელი დაგვრჩა იგავად,
ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი,
გულიდან გრძნობა კელაე აღიგავა,
როგორც საფლავი შენი მაროსი“.

ეს სტროფიც ახლდა იმ ლექსს, მაგრამ, ბუნებრივია, 1929 წელს არაეინ დაუბეჭდავდა ფრაზას, რომელიც მაროს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეწირული კოტე მაყაშვილის ასულს ეხებაო და თანაც – „სხვა ტაროსი“...

თ. ხ.: ასე რომ, ეს ი. გვიგინიშვილისეული სტროფი უთუოდ შესატანია ი. გრიშაშვილის ამ ლექსში. ამას ლიტერატურათმცოდნეები გააკეთებენ, ალბათ. მართლაც საინტერესოა, თქვენ რომ ახსენეთ, ბ-ნი ივანე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდაო. აი, რას წერს ამის თაობაზე თვით ბ-ნი ივანე: „საშუალო განათლება მივიღე ქუთაისში, სადაც 1925 წ. დავამთავრე ცხრაწლიანი შრომის სკოლა, ხოლო 1927 წელს პოლიტექნიკური ტექნიკში. 1927 წ. შემოდგომაზე შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. შემდეგ კი, როდესაც ეს ფაკულტეტი შეუერთდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ესწავლობდი ამ ინსტიტუტში. 1930 წლამდე ესწავლობდი თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე 1933 წ.“

გ. ბ.: ბ-ნი ივანე მაშინდელ ქართული ენის კათედრის გამგეს, პროფ. ა.

შანიძეს წარუდგენია საასპირანტოლ. ბ-ნ ივანეს მისაღები გამოცდები „ფრიადლებზე“ ჩაუბარებია, კონკურენტულ არაეინ ჰყოლია, მაგრამ არ ჩაურციხ-ათ.

თ. ხ.: ღიახ, ამის თაობაზე თვით ბ-ნ ივანე ბრძანებს: „ასპირანტურაში არ მიმიღეს იმ არანორმალური ვითარების გამო, რომელიც მაშინ უნივერსიტეტში იყო შექმნილი ნ. მარის მიმღეუართა მიერ. 1933 წელსვე დანიშნული ვიქენი უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების („ელხი“) ენის სექტორის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, მაგრამ 1934 წლის გაზაფხულიდან ამ ინსტიტუტიდანაც დამითხოვეს ზემოთაღნიშნულ პირთა დანაშაულებრივი მოქმედების გამო“.

გ. ბ.: აქ, ბ-ნო თამამ, მოგონების ერთი ფურცელი შეაფესებს აქ თქმულს – ბ-ნი არნოლდის მოგონებიდან, რომლის შესახებ ამ რამდენიმე წლის წინ ვესაუბრეთ ჩვენ რადიომსმენელებს:

1934 წელს უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს გამოუგანია დადგენილება არნ. ჩიქობავას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. ამას კი სხვა ამბავი უსწრებდა წინ.

არნ. ჩიქობავა განავრძობს: ამ დროს უნივერსიტეტთან არსებობდა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების („ელხი“) ინსტიტუტი, სადაც მაშინ მუშაობდნენ ივ. გიგინეიშვილი და ქ. ლომთათიძე. ერთ დღეს სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. ივ. გიგინეიშვილს ბრალად ედებოდა ახალგაზრდა მარქსისტთა წევრობა და თითქოს ეს ეთქვას ვალერიან რამიშვილს (მაშინ ქართული ენის მეთოდისგ, შემდეგ ცნობილ პროფესორს). ამაზე ბ-ნ ვალერიანს სასტიკი უარი განუცხადებია და წერილობითაც აღუნიშნავს. ე. ი. ბრალდება ივ. გიგინეიშვილს მოეხსნა, ქ-ნ ლომთათიძეს კი საერთოდ არაფერი ბრალდებოდაო. ცხადია, ისინი სამუშაოდან მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ არნ. ჩიქობავას მიმდევრები იყვნენო.

თ. ხ.: და მაინც, ბ-ნი ივანე განავრძობს თავის მეცნიერულ საქმიანობას და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1934 წლიდან იგი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კითხულობს ქართული ენის კურსს. 1936 წლიდან 1941 წლის ივნისამდე იგი მუშაობდა ქართველურ ენათა განყოფილებაშიც. განყოფილებას ხელმძღვანელობდა პროფ. ა. შანიძე. ალბათ, ბ-ნ აკაკის ინიციატივით 1938 წელს მას იწვევენ თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის უფრ. მასწავლებლად. კათედრის გამგე ბ-ნ აკაკი გახლდათ. 1938 წელს მას საკანდიდატო მინიმუმის საგნები ჩაუბარებია.

გ. ბ.: საგნების ჩაბარებაყა და ჩაბარებაყ. ბ-ნ ივანეს ფრიალებზე ჩაუბარებია: ქართული ენა (პროფ. ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა), მოგადი ენათმეცნიერება (პროფ. არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია), ჭანურ-მეგრული (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა), დიალექტური და ისტორიული მატერიალიზმი (ვ. თოფურია, პროფ. კ. ბაქრაძე, დოც. ა. მახარაძე).

თ. ხ.: ბ-ნი ივანე მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს

არმიის რიგებში. 1941 წელსვე დემობილიზაციით ბრუნდება და განაგრძობს მუშაობას ქართული ენის კათედრაზე თსუ-ში, ენის ინსტიტუტში კი – სწავლულ მდივნად.

გ. ბ.: 1944 წ. იელისში ბ-ნი ივანეს დაუყავს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სიყვავთწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“. ორიოდე წლის შემდეგ კი ირჩევენ და ანიჭებენ დოცენტის წოდებას.

თ. ხ.: „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული ბ-ნი ივანეს ადრევე დაჰხედებია.

ბ-ნი გენალი, თქვენ, ალბათ, კარგად გახსოვთ, ბ-ნი ივანეს ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემა „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და გეჟსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ 1975 წ., რა დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ნათელი გახდა, რომ პოემის კრიტიკული გეჟსტის დასადგენად, ეს კი მთავარი ამოცანაა, აუცილებელია ცალკეულ გამოკვლევათა გამოქვეყნება.

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ, ბ-ნი თამაზ, მეტსაც მოგახსენებთ: ამ წიგნში შესული გამოკვლევები თავის დროზე მოხსენდებოდა ხოლმე წინასწარ სამეცნიერო შეკრებებს, მხოლოდ ამის შემდეგ ქვეყნდებოდა იკე-სა თუ „მაცნეს“ სათანადო სერიებში.

თ. ხ.: ისიც არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ პოემის გეჟსტის აკადემიური მრავალტომიანი გამოცემა მზადდებოდა. ამიტომაცაა, რომ ივ. გიგინეიშვილის ამ მონოგრაფიის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნარკვევები პოემის გეჟსტის დადგენის საჭირობორგო საკითხებისადმი მიძღვნილი. ეს საკითხები გადაწყვეტილია. ერთი მხრივთ, კულტურულ-ისტორიული რეალიების ანალიზის მოშველიებით, ხოლო, მეორე მხრით, საკუთრივ ენობრივი ანალიზის საფუძველზე“.

გ. ბ.: დიახ, აქ, რა თქმა უნდა, პოემის ენის ფილოლოგიური საკითხებია წინ წამოწეული, ოღონდ არანაკლებადაა ენათმეცნიერულიც. პოემის თითოეული სტროფის გეჟსტის ვაგება სხვა სტროფებთან ერთიანობაშია წარმოდგენილი.

თ. ხ.: რადიო-მსმენელებს შევახსენოთ, რომ ჩვენში დაარსებული იყო სპეციალური კომისია „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გეჟსტის მოსამზადებლად, რომელთანაც ფუნქციონირებდა მთავარი რედაქცია. ორივე უჯრედის წევრი გახლდათ ბ-ნი ივანე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ის ხომ ცნობილი რუსთაველოლოგია.

გ. ბ.: „ვეფხისტყაოსნის“ გეჟსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ანგარიშში, რომელიც „მაცნეს“ ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა, კარგად ჩანს ბ-ნი ივანეს აქტიური მონაწილეობა ამა თუ იმ საკითხის განხილვაში. ერთი მომენტიც მინდა შევახსენო ჩვენს რადიომსმენელს... ბ-ნი ივანე ჯერ კიდევ 1936 წ. ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის მომამზადებელი კომისიის დამხმარე მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფს,

რომელიც პოემის ხელნაწერებიდან ვარიანტების სხვაობების ამოწერას აწარმოებდა.

თ. ხ.: ამ დროს ბ-ნი ივანე კი მხოლოდ 27 წლისაა. იგი ხომ 1909 წ. 27 ივლისაა დაბადებული. ბ-ნი ივანეს ავტობიოგრაფია ასე იწყება: „დავბადებულეარ 1909 წლის 27 ივლისს (ძველი სტილით; ახალი სტილით 9 აგვისტოს) ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში.“ დავბადებულეარ... ეს სტილია ბ-ნი ივანესი.

გ. ბ.: იცით, ეს ამაღლებული სტილი მის ბუნებას შეეფერება. ბ-ნი ივანე, არ ვიცი, თუ თვით წერდა ლექსებს, მაგრამ ქართული პოემიის უბადლო მცოდნე და დამფასებელი გახლდათ.

თ. ხ.: აი, ბ-ნი გენადი, თქვენ ხომ ზოგი ფოტოც კი მოიტანეთ. ერთზე ბ-ნი ვანოა მოხსენებული (წერილის შესაუღალში ვაქვეყნებთ – რედ.); დაფაზე კი, ჩანს, საანალიზო ტექსტია:

„აწ ამას გკადრებთ ორნივე ხვეწნით და შემუდარებით,
 აუთანდილ დამდევა წამალი მისგან თავისი დადებით,
 დაჰვიწყდეს, რომე პატიენი სჭირდეს ჩვენთავე დარებით,
 არ გაწყენ, გრძელი ამბავი არს ჩემგან მიუხედარებით“.

გ. ბ.: ბ-ნი თამაზ, მოხსენების წაკითხვას უნდა დასწრებოდით, როგორი დიქცია ჰქონდა, გამოკვეთილი, ნამდვილად სადიქტორო, უზადო ქართული. მის მიერ წარმოთქმული თითოეული ფრაზა თითქოს საგანგებოდ იყო შერჩეული. ნამდვილი მჭერმეტყველი გახლდათ. მაშინ, ვფიქრობდი, დიდხანს გეექნებოდა პატივი მისი მოსმენისა, მაგრამ უეცრად გარდაიცვალა. არადა, ამ პიროვნებაში შერწყმული იყო ბრწყინვალე მეცნიერი და მოქალაქე, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო. მოყვარული დიდისა თუ პატარისა, ამას ყველა გრძნობდა, მის გვერდით მდგომიყა და უბრალოდ ნაცნობიყ კი.

ბ-ნმა ვანომ უმცროსი მეცნიერ-მუშაკიდან მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტობამდე ყველა საფეხური განვლო: იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი; 1950-1952 წლებში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, (დირექტორი მაშინ არნ. ჩიქობავა გახლდათ); 1952-1953 წლების განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია. შემდეგ კვლავ დირექტორის მოადგილეა. იმავე წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დააარსა „ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართული სალიგურაგურო ენის ნორმათა განყოფილება, განყოფილების ხელმძღვანელი (უხელფასო), ერთი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ორი უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის შემადგენლობით“. განყოფილების ხელმძღვანელად ბ-ნი ივანე დაინიშნა.

თ. ხ.: მამასადამე, ბ-ნი ივანე უხელფასო ხელმძღვანელი ყოფილა... თუმც დირექტორის მოადგილე. ამ განყოფილებას შემდგომ ეწოდა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელსაც ბ-ნი ივანე სიცოცხლის

უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა.

გ. ბ.: ეს ის განყოფილებაა, რომელიც ფაქტიურად დღეს პრემიერდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სამეცნიერო აპარატია.

თ. ხ.: აქ მახსენდება ქ-ნ ქეთევან ლომთათიძის წერილი „მშობლიური ენის მესაიდუმლე“, რომელიც ბ-ნი ივანეს ხსონას მიუძღვნა. პატივცემული მეცნიერი წერდა: ბ-ნი ივანეს გარდაცვალება „ეს დანაკლისია ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის. ძნელია წარმოვიდგინოთ ეს ინსტიტუტი ივანე გიგინეიშვილის გარეშე. იგი თავიდანვე მის ბურჯთა რიგებში იდგა“.

გ. ბ.: კარგადაა ნათქვამი. ბ-ნი ივანე მართლაც თავის მასწავლებელთა – ვ. თოფურიას, არნ. ჩიქობავას, ა. შანიძის – გვერდში იდგა თავისი მეცნიერული ღონით. არადა, არ დაგვაუწყადეს, ბ-ნი ენათმეცნიერების თავისადმი დიდი მოთხოვნის გამო გვიან, 1975 წელს გახდა მეცნიერებათა დოქტორი, შემდგომ კი 1979 წ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი დიდი ავტორიტეტის გამო იყო, რომ იგი 1951 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორის (ეს კი აკადემიის პრემიერდენტის) მოადგილეა. ბ-ნი ივანეს რედაქტორობით გამოიცა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (1970 წელს და შემდგომ ხუთი კრებული – სახელწოდებით „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ 1972-1983 წწ.).

თ. ხ.: საოცარია, ბ-ნი გენადი, ამდენი პირველხარისხოვანი საქმის სულისჩამდგმელი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი და ასე გვიან სალოქტორო დისერტაცია.

გ. ბ.: აქ ერთი ისტორიის შესახებ მოუყვებთ რადიომსმენელებს, რომელიც ქ-ნ ნუნუს მონათხრობით, ლიკანში მომხდარა 1965 წელს. ბ-ნი ივანე გააცნეს ვიდაც პიროვნებას და ასე წარუდგინეს: ცნობილი დოცენტი. ბ-ნი ივანემ მისთვის ჩვეული იუმორით ამის შესახებ ვრცელი ლექსი დაწერა, სადაც შემდეგი სტრიქონებია:

„ჩემთვის გიტულს ეძებენ, ხან დამარქვენ ქებული,

მაინც არ ჩანს შედეგი გაწეული ჯაფისა,

ბოლოს გამოინახა ეპითეტის საფერი...

ამ ეპითეტს მხარს უჭერს ზოგი ჩემი ძმობილი (იგულისხმება პროფ. ვრ. კიკნაძე),

დოცენტი რა არისო, სრულიად არაფერი,
მოდი, დავემატოთ განმსაზღვრელად ცნობილი
და ცნობილი შემერქვა, თუმცა მიცნობს არაეინ“.

თ. ხ.: ეს ხომ თვითირონიაა. სხვა რა წერია იმ ლექსში?

გ. ბ.: ბ-ნი ივანე თითქოს თვით სცემს პასუხს თავისსავე დასმულ კითხვაზე – რატომ ხდება ასე:

„იმიტომ მიმიჩნიეს კანდიდატად ნულობის,
რომ არასდროს ვყოფილვარ გიტულების მპარაიე...“

და შემდეგაა თავის თავზე ნათქვამი:

„ეს რამ დააგლახაო, ერთი თემა ამისთვის რად ვერ მოინახაო...“

ბ-ნ ვანო დიდ მოთხოვნილებით უყურებდა ასეთ ნაშრომებს, თორემ მისთვის დოქტორობა, თუ ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა, მხოლოდ იმის ოფიციალური დადასტურება იყო, რასაც იგი კარგა ხანია იმსახურებდა.

თ. ხ.: დიდ მოთხოვნილებას, თქვენ რომ ბრძანეთ, ბ-ნი ივანე სალიგერაგურო ენის ნორმების დადგენისა და მისი გავრცელების, დანერგვისა თუ სალიგერაგურო ქართულის სიწმინდის დაცვისათვისაც იჩენდა; ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ იგი სისტემატურად კითხულობდა ლექციებს გლევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთათვის. ან რა დაგვაიწყებს მის მიერ შემოღებული საუბრების ციკლს, შემდგომ რომ განაგრძეს ქ-ნ შ. აფრიდონიძემ, ბ-ნ ბ. ჯორბენაძემ, ბ-ნ გ. გოგოლაშვილმა და თქვენც, ბ-ნ გენადი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ – ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის – ერთად შექმნილი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“. ეს ვრცელი ლექსიკონი 1968 წ. გამოვიდა და აგურ, გასულ წელს, მისი მეორე შევსებული გამოცემაც ვიხილეთ (აქვე სურათზე ბ-ნ ივანე ბ-ნ ვარლამ თოფურიასა და პროფ. გ. როგავასთან ერთად – რედ.).

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ, ეს ლექსიკონი სამაგიდო წიგნია არა მარტო ფილოლოგთათვის, არამედ საერთოდ, ყველასათვის. იგი სცილდება წმინდა ორთოგრაფიული ლექსიკონის ფარგლებს. მართალია, ეს მეორე შევსებული გამოცემულია 1998 წ., მაგრამ იგი ბ-ნ ივანეს სიცოცხლეში გამზადდა გამოსაცემად. ამ წიგნს ახლავს „ენათმეცნიერების ინსტიტუტისაგან“, სადაც წერია, რომ „რთულ სარედაქციო-საკორექტურო სამუშაოებს, გარდა გამოცემლობის რედაქტორისა და გამოცემის ტექნიკური ხელმძღვანელისა, ასრულებდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლები (ხელმძღვანელი შუქია აფრიდონიძე), რომელთაც პროფესიულთან ერთად თავიანთ მორალურ მოვალეობად მიიჩნიეს ძვირფასი მასწავლებლების მიერ განძად და ანდერძად დანატოვარი საქმის ბოლომდე მიყვანა“.

თ. ხ.: მასწავლებელი და მოსწავლე, მათი ურთიერთობა – უხსოვარ დროთაგან დგას ეს საკითხი. მასწავლებლის დიდება თუ სახელი ხომ მის ნაღვაწის გვერდით თავის მოსწავლეებშია. მახსოვს, როცა დიალექტოლოგიის კურსს გვიკითხავდნენ, სახელმძღვანელოდ გვითითებდნენ ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის „ქართულ დიალექტოლოგიაზე“ – ვ. თოფურია და მისი მოსწავლეები – ივანე ქავთარაძე და ივ. გიგინეიშვილი.

გ. ბ.: ამ კამიგალურ მონოგრაფიას უწერია: 1 ნაწილი, დიალექტთა განხილვა, ტექსტები. ლექსიკონი – სულ 736 გვერდი. ბ-ნი ივანე „ავტო-

ბიოგრაფიაში”:

„ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციაში: 1937, 1938 და 1939 წლებში – ქართლის დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში, 1940 წელს – კახეთის დიალექტოლოგიურ ექსპედიციაში, 1949 წელს ვხელმძღვანელობდი კახეთისავე დიალექტოლოგიურ ექსპედიციას; 1944–1946 წლებში სამჯერ ვიმოგზაურე ფშავსა და გუდამაყარში ფშაური და გუდამაყრული კილოების შესასწავლად”.

თ. ხ.: მართლაც რა კოლოსალური სამუშაო ჩაუტარებია ბ-ნ ივანეს დიალექტოლოგიაში. მემთ რუსთველოლოგია... სალიტერატურო ენა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

გ. ბ.: ბ-ნო თამაშ! ჩვენ მემთ, მართალია, ჩამოეთვალეთ ის საკითხები, რომელთა გადაჭრაში ლომის წილი მიუძღვის ბ-ნ ივანეს, მაგრამ მინდა კიდევ სალიტერატურო ქართულთან დაკავშირებით ერთი კერძო ბარათი გავაყნოთ ჩვენს რადიომსმენელებს (ესეც ქ-ნ ნუნუ საყვარელიძემ გადმოგვცა, რომელსაც უღრმეს მადლობას ვწირავთ).

ბარათი 1970 წლის 10 თებერვალსაა დაწერილი. ავგორი ბარათისა არნ. ჩიქობავაა, აღრესატი ბ-ნ ივანე გიგინეიშვილი (მასწავლებელი ზღვაზე ისვენებდა და იქიდან წერს თავის მოწაფესა და კოლეგას):

„კარგი ჯანი, დიდი გამძლეობა კორექტურასთან ბრძოლაში – დიდად პატივცემულ ივანეს.

სალიტერატურო ქართულის შესახებ გამოსვლას ნუ გადაადებინებთ, უჩემოდაც კეთილად ჩაგარდება. ჩაგარება კი საჭიროა საქმისათვის („თვალ-იმუ დაუდგება ყველა შურიანსა და საქმის ორგულს!”).

და კიდევ: წამოსვლის წინ ვერ გნახეთ, რომ მეთხოვა „სალიტერატურო ქართულის წარმატებთა შესახებ” წერილი ვინძლო დაამთავრებინო.

თქვენს ესკიზს რომ ხორცი შეესხას, ქართული ენის წინსვლა ხელშეწყობებად დაჩნდება. დაინტერესებული მკითხველი წაიკითხავს და მიხვდება: მხოლოდ გრძობა არ ყოფილა, რასაც წერენო.

თქვენ იცით.

პატივისცემით არნ. ჩიქობავა.

გულითადი სალაში ნუნუს. პატივისცემით მოკითხვა უფროსებს”.

P. S. სანატორიუმში კარგი პირობები გვაქვს. ამინდი წვიმიან-ქარიანი. მღელვარე ზღვა ეზოში.

თამარმა (არნ. ჩიქობავას მეუღლე – რედ.) ოთხიოდე დღე წაიავადმყოფა. ახლა ფეხზეა.

მე ვეჩვევი დასვენებას და ვმკურნალობ (ხაზგასმა ჩვენია - რედ.).

თ. ხ.: ასეთი უშუალო ბარათი, ბ-ნო გენადი, იმას მოწმობს, თუ რა მეცნიერული ძალა გახლდათ ბ-ნი ივანე ისეთი პიროვნებისათვის, როგორც ბ-ნი არნოლდი იყო. თუმცა ეს არც გვიკვირს, ბ-ნ ივანეს იმდენად რომ

აკავშირებდა თუნდაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონთან“. აი, მართლაც, ამის თაობაზე ჩავეითხოთ ადგილი „ავტობიოგრაფიიდან“:

„1949 წლიდან (დაარსებიდან) ვიყავი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი, ხოლო 1953 წლიდან მთავარი რედაქციის წევრი. ვიყავი რედაქტორი განმარტებითი ლექსიკონის VIII ტომისა (ბ. ფოჩხუასთან ერთად). სწორედ ამ „ლექსიკონის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით, 1971 წელს, სხვა ამხანაგთან ერთად, მომენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია“.

გ. ბ.: ასე მოკლედ იმ მუშაობაზე, ერთი მეცნიერის სასიცოცხლო საქმე რომ იყო, მხოლოდ ბ-ნ ივანეს მსგავსს შეეძლო ეთქვა. არა და, ვინც იცის იმ დაუეწყარი დღეების შესახებ, ჩვენი ინსტიტუტის უფროსი თაობის წარმომადგენლებს რომ ახსოვთ, მართლაც ღირდა ერთ ცხოვრებად.

თ. ხ.: ბ-ნო გენალი, თქვენ ვერ მოესწრებოდით ამ დღეებს, მაგრამ შემდეგ ხომ გქონდათ ურთიერთობა წმინდა ადამიანური. რას გაიხსენებდით ბ-ნ ივანესთან ურთიერთობიდან, თქვენს ან სხვისას.

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ! ბ-ნ ივანეს პირველად 1958 წ. შევხვდი, თუმცა არ ვიცოდი, ვინ ბრძანდებოდა. ვგონებ, მისაღები კომისიის თავმჯდომარე გახლდათ, რადგან ის ანაწილებდა გეპირ გამოცდაზე, ვინ ვისთან გავიდოდა საპასუხოდ. მე ომურგეთელი გახლდით. ქართული წერის შედეგი, ბუნებრივია, ვიცოდი, საგამოცდო ფურცელში ფრიალი მეწერა და გარკვეული იყო გამომცდელის ხელმოწერა – ილ. ცერცვაძე. მეც მივედი ბ-ნ ივანესთან და ვთხოვე, ცერცვაძესთან გავეშვი. რატომო, მკითხა და რომ გაიგო მიზეზი, გაიცინა, თან დაამატა: აი, იმ ორ ლექტორთან მიდი, ახლა მათ შეამოწმონ, ბეპირშიც თუ ასე მარჯვე ხარო.

თ. ხ.: ვინ იყვნენ ისინი?

გ. ბ.: ისინი გახლდნენ ბ-ნები აკაკი ურამაძე და ივანე ქავთარაძე. აქაც ფრიალი დამიწერეს.

შემდეგ ბ-ნმა ივანემ დაიწყო ჩვენთან ქართული ენის მორფოლოგიის კურსის წაკითხვა. ამ დროს ერთხანს იაველმყოფა და მამინ ბ-ნ ვარლამი გვიტარებდა ლექციებს. ბ-ნ ივანეს ლექციები მართლაც გამორჩეული იყო.

ისე ნათლად ხსნიდა ქართული მზნის რთულ კატეგორიებს, რომ აგერ 30 წელზე მეტია და ისე ნათლად მახსოვს, ჩემს სტუდენტებსაც იმ საილუსტრაციო მასალას ეაწვდი, როგორსაც ჩვენ ჩვენი მასწავლებელი. გახსოვთ, ალბათ, ბ-ნ თამაზ, სამუალ-მოქმედებითი გვარის მზნები... დულს წყალი...

– ამისი პარადიგმის დაწერით დაფაზე და მისი ანალიზით ხდებოდა ასეთი მზნების ბუნების გარჩევა.

თ. ხ.: ბ-ნო გენალი, ბ-ნ ივანეს, ბედის ნებით, თქვენს სტუდენტად გახდომამში მიუღია მონაწილეობა.

გ. ბ.: რა თქმა უნდა. აქ მინდა მოგიტხროთ, თუ როგორ დამილოცა

გზა მან მეცნიერებაში.

თ. ხ.: ესეც ბედის ნებით, თუ როგორ?

გ. ბ.: ხუმრობის გარეშე – აბა, რა შეეარქვა ამას... ბ-ნ თამაშ, არასოდეს და არასდროს მაიწყდება, როცა ჩემი პირველი სტუდენტური მოხსენება გავამზადე, იგი ბ-ნ ივანე გიგინეიშვილს მიეუტანე ენათმეცნიერების ინსტიტუტში. გაეცნო და რამდენიმე დღის შემდეგ რომ მოვედი, მითხრა: ეს თქვენი სემინარული მუშაობის ხელმძღვანელს გადაეცითო. სემინარს ქ-ნი ელენე ბაბუნაშვილი გვიგარებდა. ქ-ნ ელენეს დრო და ენერჯია არ დაუზოგაეს შრომის იმ კონდიციამდე მიყვანაში, თემისების სახით რომ გამოქვეყნებულიყო. ასე რომ, მართალია, ჩემი ნათლია მეცნიერებაში ქ-ნი ელენე ბრძანდებოდა, მაგრამ საფუძველი ამას ბ-ნმა ივანემ ჩაუყარა.

თ. ხ.: ნათლიები მშვენიერი გყოლიათ, მაგრამ ნათლულსაც არ შეურცხვენია.

გ. ბ.: ღმერთმა ქნას. ერთი რამ მინდა მოეუთხრო ჩვენს რადიომსმენელებს: ბ-ნი ივანე გიგინეიშვილი თავის დროზე ქ-ნი ელენეს ლექტორი გახლდათ, მოგვიანებით ჩვენიც. მახსოვს, ქ-ნი ელენე მის ლექციებს ისევე ესწრებოდა, როგორადაც ჩვენ. არა და, ის უკვე დოცენტი გახლდათ. გავიდა ხანი. ქ-ნი ელენე უკვე მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბრძანდებოდა და იგი კვლავ სემინარულ მუშაობას აგარებდა ბ-ნ ივანესთან, ბ-ნი ივანე კი მაშინ კვლავ დოცენტი იყო. ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში. რა იყო ეს, ბ-ნი ივანეს პატივისცემა, როგორც ბრწყინვალე მეცნიერისა და ლექტორისა, თუ სხვა რამ. ვფიქრობ, ესეც იყო. ბ-ნი ივანე ეტალონი იყო მეცნიერ-ლექტორისა, და საერთოდ აღამიანობისა, მაგრამ აქ ამით ქ-ნი ელენე მნეობის დიდ გაკვეთილებს უგარებდა თავის გარშემო მყოფთ, უპირველესად მის სტუდენტებსა და ასპირანტებს, ჩვენ ყველას, ვინც მას ვიცნობთ.

თ. ხ.: სტუდენტობის წლებში კიდევ რა გაკავშირებდათ მასთან?

გ. ბ.: უპირველესად ის რომ, თუ არ ვცდები, პირველ კურსზე დავამუშავეთ მისი ბრწყინვალე წერილი „ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთოსახალხო ენისა და დიალექტიკის შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“.

თ. ხ.: თქვენ ჩემთან ერთხელ ბრძანეთ, თუ როგორ გახდით თანაავტორი თქვენი მასწავლებლისა. ეგებ, ეს რადიომსმენელებსაც მოუთხროთ.

გ. ბ.: სიამოვნებით. ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა ქ-ნ ქლომთათიძის დაბადებიდან 70 წელს აღნიშნავდა 1981 წ. იწერებოდა წერილები ქ-ნ ქეთევანის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე და უცებ, ბ-ნმა ვანომ შემომთავაზა ერთად დაგვეწერა იგი. დავწერეთ და ჟურნალ „ციცკარში“ გამოვაქვეყნეთ. მაშინ, მოგახსენებათ, ჟურნალებს არც თუ ურიგო პონორარი ჰქონდათ და დარეკეს ენათმეცნიერების ინსტიტუტში... ბ-ნმა ვანომ თავისი მინდობილობა დაწერა და ორივეს პონორარი მე ავიღე. როცა

მოვიგანე მისი წილი, ასე ბრძანა: ეს ნაწილი თქვენ პრემიის სახით გეკუთვნი-
თო და ისე გაიღიმა, ეერაფერი ვერ უუთხარი. ყველაზე საყურადღებო ის
იყო, რომ ჩვენი საერთო წერილი „ენისა და ლიგერატურის სერიის“ „მაყ-
ნემ“ გადმობეჭდა. აქ კი უკვე, ალბათ, ბ-ნ ვანოს დამსახურება იყო მთლი-
ანად, მისი მეცნიერული ავტორიტეტისა.

თ. ხ.: მართლაც საინტერესოა. მე თქვენგან თავაზიანად მოწოდებულ
ამ მასალას გავეყანი, იქ წერთ: „ჩვენს იუბილარს „ძალი შესწევს ქაღილ-
ისა“. იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭიერებისა და ინტელექტუალურ შესა-
ძლებლობათა ხანაშია და, ბუნებრივია, ქართული მეცნიერული საზოგა-
დოებრიობა მისგან ახალ გამოკვლევებსა და ახალ წარმატებებს მოელის“.

ამ სიტყვების მიძღვნა თვით ბ-ნ ივანესაც შეეფერებოდა, მაგრამ იგი ამ
სტრიქონების გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

გ. ბ.: რა თქმა უნდა. ბ-ნ ვანოს კიდევ რამდენის გაკეთება შეეძლო
მეცნიერების და ქართული კულტურისათვის.

თ. ხ.: ბ-ნო გენალი, ჩვენ არაერთი კუთხე გამოგვრჩა ბ-ნ ვანოს მეც-
ნიერული მემკვიდრეობიდან, მაგრამ ეს შეიძლება შევავსოთ სხვა დროს.
მის საიუბილეო დღეს, 18 სექტემბერს რომ ჩაგარდა თბილისის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტში, რამდენი რამ თქვეს და იქაც დარჩა, ალბათ, ბევრი
უთქმელი. ჩვენს ამ გადაცემაში არცაა გასაკვირი, რომ ყველაფერზე ვერ
ვისაუბრეთ.

გ. ბ.: ბ-ნო თამამ! ერთი რამ მინდა მოეუთხრო ჩვენს რადიომსმე-
ნელებს: ბ-ნმა ივანემ თავისი მასწავლებლის პროფ. ვ. თოფურიას დაბადე-
ბიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერე-
ბაში“ (გ. 22, 1980) გამოაქვეყნა წერილი „ვარლამ თოფურიას ღვაწლი
თანამედროვე სალიგერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში“. მოს-
წაყლე თავისი მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის ღვაწლს ნათლად
წარმოაჩენს და წერილს ამთავრებს ვ. თოფურიას მიერ 1965 წ. გამოცემუ-
ლი წიგნის „ქართული ენა და მართლწერის ზოგადი საკითხი“ შეფასებით:
„ვ. თოფურიას ეს ნაშრომი ერთ უკეთესთაგანია იმათ შორის, რაც კი
ოღესმე დაწერილია ქართული მართლწერის საკითხებზე პოპულარულად.
იგი ეტალონად უნდა იქცეს ამ ხასიათის სხვა ნაშრომებისათვის მომავალ-
ში“.

იმედი მაქვს, რომ ბ-ნ ივანეს ნაშრომები ერთად შეიკრიბება და გამ-
ოიცემა, მაშინ ამ წერილს დაემატება ბ-ნი ვანოსეული მიწერილი თავისი
ნაშრომის ბოლოს. როგორც ჩანს, ეს მან კორექტურის შემდეგ ვერ მოახ-
ერხა. არადა სურდა, ასე დაემთავრებინა. ჩვენ, მის მოსწავლეებს, მან ეს
ანდერძად დაგვიტოვა.

„თხუთმეტი წელია ვარლამ თოფურია ჩვენთან აღარ არის, მაგრამ
მისი ნათელით მოსილი და სიკეთით აღსავსე სახე მუდამ ჩვენს თვალწინ
დგას და იმას მოგვიწოდებს, რომ (დიდი ილიას შთაგონებული სიტყვები

მინდა გავიმეორო) 'ერი ერობდეს, გული გულობდეს, ვაჟი ვაჟობდეს, ქალაი ქალობდეს' და ყველანი ერთად თავდადებით იღვწოდნენ ჩვენი ქართული ენის ყოველმხრივი მოვლისა და განმარტებისათვის".

თ. ხ.: ასე რომ, ბნ გენალი, ჩვენ რადიომსმენელებს შეეპირდით, ბნ ივანეს შესახებ მოგიტსრობთ მისეული ავტობიოგრაფიის მიხედვითო, მაგრამ ბოლომდე ნათქვამი ვერ ავასრულეთ. გვინდოდა თუ არა, ჩვენი საუბარი იმ რიგისა გამოგვივიდა, ჩვენს გადაცემათა სერიაში „დიდ მასწავლებელთა გაკვეთილები“ რომ გვექონდა და ეს ბუნებრივია. ბნ ივანეს მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, თავისი დიდი მასწავლებლის დარად, ქართული ენის ყოველმხრივ შესწავლა-მოვლაში მდგომარეობდა. აქ მას გოლი არ დაედებოდა¹.

— თ —

გურამ თოფურია — არნოლდ ჩიქობავას პრემიის ლაურეატი

1922 წელს დასტამბული ნ. ტრუბეცკოის ნაშრომი „ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატრალური თანხმონები“ იწყება ა. მეიეს ციტირებით: ისტორიული ენათმეცნიერების გადაუღებელი ამოცანაა „კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შექმნა“. ეს ინტერესი კი ა. მეიეს აღუძრა ნ. მარის ბროშურის „იაფეტური კავკასიის“ გაცნობამ. თვით ნ. ტრუბეცკოი თავის ნაშრომს თვლიდა პირველ ნაბიჯად ასეთი გრამატიკის შექმნის გზაზე და მართებულად დასტენდა, „მისი დაწერის წინაპირობაა ამ ენათა შედარებითი ფონეტიკის დამუშავება, რასაც ბუნებრივად მოჰყვება სათანადო მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევაო“.

აქ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, რომ არა ერთი საკითხი: იმ დროს მთის ყველა იბერიულ-კავკასიური ენა არ იყო გამოკვლეული და, რაც იყო, არც თუ ყველა სათანადოდ და გამოწვლილვით. ამიტომაც არნ. ჩიქობავამ ადრევე ივარაუდა (1923-24 წ.წ.) და შედარებით მოგვიანებით (1942 წ.) დააკონკრეტა, რომ „მთის კავკასიურ ენათა ისტორიის შესწავლისათვის ძირითადი საშუალებაა შედარება. ეს შედარება დაწყებულ უნდა იქნეს ცალკეული ენის კილოებით, შემდეგ გავრცელდეს ცალკეული ჯგუფის ენებზე და დამთავრდეს კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფის შედარებით. ფონეტიკას, ლექსიკას, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურას შედარებისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს“. ეს პრინციპულად უფრო ადევკატური აღმოჩნდა იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რაც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე იდგა და დღესაც დგას.

1. გამოქვეყნებულია გაზ. „ლიტერატურული ცხინვალში“, დეკემბერი, 1999. გორი, გვ. 3-4.

დღეს, როცა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფია ამ თვალსაზრისით შესწავლილი, ბუნებრივია, შეუდარებლად უფრო მეტია ენობრივი მასალა ისეთი ფუნდამენტური პრობლემის დასამუშავებლად, როგორცაა, მაგალითად, დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა. სწორედ ასეთი გრამატიკის დიდი ნაწილია წარმოდგენილი გურამ თოფურიას მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრიფით 1995 წელს დასტავბა გამოცემლობა „მეცნიერებაში“ (გამოცემის სპონსორია ბონის უნივერსიტეტის პროფესორი კ. კ. შმიდტი).

ამ მონოგრაფიისათვის გ. თოფურიას 1997 წელს მიენიჭა არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია.

გ. თოფურია იბერიულ-კავკასიურ ენათა ცნობილი სპეციალისტია; სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს მის ცალკეულ გამოკვლევებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის სფეროში, რომლებიც დაბეჭდილია როგორც ჩვენში, ასევე სხვაგან - საზღვარგარეთის არაერთ სამეცნიერო ცენტრში. ასე რომ, გ. თოფურიას ეს მონოგრაფია მისი მრავალწლიანი წარმატებული შრომის ნაყოფია.

ქვემოთ წიგნის ორ არსებით მომენტზე შევჩერდებით.

1. მონოგრაფიაში ყველა დაღესტნური ენაა (სულ 26) სისტემატური დაკვირვებისა და განზოგადების საგანი. ეს დღემდე შექმნილ არცერთ ნაშრომში არ ყოფილა ამრიგად წარმოდგენილი (თუ არ ჩაეთვლით ორიოდე ლექსიკოლოგიურ ნაშრომს), თუმცა, ტრუბეცკოიდან მოყოლებული, არაერთი გამოკვლევა არსებობს დაღესტნურ ენათა ფონეტიკასა და მორფოლოგიაში.

ამდენად, გასაკებია ასეთ საილუსტრაციო მასალაზე დამყარებული დასკვნა-განზოგადებათა მნიშვნელობა.

2. თავის დროზე არნ. ჩიქობავას მიერ დადგენილი უღვლილების სამიტი და მათი ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასიკურ აღმოჩენათა რიგში დგას. ცნობილია, რომ ჩვენს ენებში კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიული ურთიერთმიმართების დადგენით ამ ენათა მორფოლოგიის არაერთი კარდინალური საკითხი მართებულად გადაწყდა.

გ. თოფურიას მონოგრაფიაში წამოყენებული ერთი დებულება პრინციპულად არნ. ჩიქობავას აღნიშნული დებულების შემოქმედებითი განვითარება და გაგრძელებაა - დაღესტნურ ენებში ბრუნებისას იგივე გენდენცია მელავნდება, რაც უღვლილებისას გმნაში: კლასოვანი ბრუნება იცვლება არაკლასოვანით, ძირითადად, ნაცვალსახელოვანი ბრუნებით (შდრ. გმნაში კლასების მიხედვით უღვლილება ნაცვალსახელოვანი ელემენტებით ნაწარმოებმა პიროვანმა ფორმებმა შეცვალა).

არნ. ჩიქობავას ინტერესთა სფეროში ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგი

შედიოდა – აქ შექმნა მან არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი, მაგრამ მაინც, მისი ღვაწლი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის შექმნაში განუზომელია. ამიტომაც ამ სფეროში შექმნილი ისეთი სოლიდური და მრავალმხრივი პერსპექტიული ნაშრომისათვის, როგორც გ. თოფურიას მონოგრაფიაა, არანაა ჩიქობავას სახელობის პრემიის მინიჭება არა მარტო უპრიანი, არამედ კანონზომიერიც.¹

გურამ თოფურიას

პროფ. გიორგი გოგოლაშვილმა, ჩვენი გადაცემის ხშირმა სტუმარმა და „ბურჯი ეროვნებისას“ მთავარმა რედაქტორმა ამას წინათ მითხრა: ბატონ ვარლამ თოფურიას ეახს, ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გურამ თოფურიას, დაბადებიდან 70 წელი უსრულდება და ჩვენი ჟურნალიც გამოეხმაურება ამ ღღესო-სპეციალური წერილის დაწერა პროფ. გ. ბურჭულაძეს უნდა შევთავაზოთ... იგი ხომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების წევრია, ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, ბატონი გურამი კი ამავე განყოფილებას ხელმძღვანელობს...

ბატონ გურამის შესახებ ბევრი რამ ჩვენც გვსმენია – იგი ხომ ქართული კავკასიური სკოლის ერთი წამყვანი სპეციალისტია, გამგეა იმ განყოფილებისა, რომელიც არანაა ჩიქობავამ დააარსა 1933 წელს და ხელმძღვანელობდა მას 1985 წლამდე, გარდაცვალებამდე... შემდეგ ორიოდე წელი იმუშავეს ამ თანამდებობაზე აკად. ქ. ლომთათიძემ და უკვე 1987 წლიდან გურამ თოფურია ხდება ამ მეტად საპასუხისმგებლო განყოფილების ხელმძღვანელი.

ჩვენც ეთხოვეთ ბატონ გენადი ბურჭულაძეს, არანაა ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტს, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) პრორექტორს, შეეხსენებინა ბატონ გურამის მიერ განვლილი სამეცნიერო გზა, თუნდაც სქემატურად...²

გ. ბ.: თქვენ, ბატონო თამაზ, კარგად ბრძანეთ... მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება მეტად საპასუხისმგებლოა და, აი, 1987 წლიდან ბატონი გურამი განაგებს ამ სამეცნიერო უჯრედს...

1. ვაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, №6 (11), 1996, გვ. 13.

2. ჩაიწერა (15. II. 2000) და გადაიცა საქართველოს რადიოთი (გადაცემა მიჰყავდა ლიტერატურ-დრამატულ პროგრამის რედაქციის მთავარ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს თამაზ ხმალაძეს).

თ. ხ.: ერთი გამონათქვამი მინდა შევახსენო ჩვენს რადიომსმენელებს; ბატონი ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ჩემი ღრმა რწმენით რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე გომთა ენები ყოფილა“ ან კიდევ: „კვლევა-ძიების დაწინაურებასთან ერთად თანდათან ირკვეოდა, რომ ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროვესად მონათესავე ენები ყოფილაო“... აი, ამ დებულების დასაბუთება, ერთი უპირველესი საზრუნავია მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილებისა...

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ და არა მარტო ეს... საქვეყნოდ ცნობილია, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი ედგა ჩვენში სათავეში ჰუმანიტარულ დარგთა აღმოცენებასა თუ განვითარებას. თქვენ ბრძანეთ, ბ-ნი გურამი ჩაუდგა სათავეში არნ. ჩიქობავას მიერ დაარსებულ განყოფილებასო... ეს თითქოს ბუნებამ ინება ასე... ბ-ნ გურამის მამა, აკად. ვარლამ თოფური ახომ იმ სამეულის წევრი გახლდათ, აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. არნ. ჩიქობავასთან ერთად, ჩვენში საენათმეცნიერო მოღვაწეობის სიმძიმე რომ გადაინაწილეს პროფ. ი. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ ა. შანიძისა და გ. ახელედიანის მხრებიდან.

თ. ხ.: ეს ჩემთვის ცნობილია, შეც ხომ კავკასიურ ენათა განყოფილების აღმრდელი ვარ... ბ-ნი ვარლამი ქართველურ ენათა უდიდესი სპეციალისტი რომ გახლდათ, ასევე საქართველოში მთის იკეთა კვლევის სათავეებთანაა... ის ხომ ლაკური ენის უბადლო მკვლევარი გახლდათ... ხომ არ ბოჭავე და ბ-ნ გურამს ეს... ძნელია დიდი მამის შვილობა.

გ. ბ.: ამ კითხვაზე სშირად მიფიქრია... მართლაც, ძნელია, ძალზე ძნელი, ალბათ, ... მაგრამ ბ-ნმა გურამმა სწორი, საკუთარი გზა ირჩია... მიჰყვა მას, ყველაფერს იკვლევდა გამოწვლილვით და, როგორც კავკასიოლოგს, კავკასიურ ენათა წამყვან სპეციალისტებს შორის ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს... ოლონდ, ბ-ნ გურამმა ლაკურის ნაცვლად, ბ-ნი ვარლამი რომ იკვლევდა, ლებგური და, საზოგადოდ, დადესტნური ენები ირჩია...

თ. ხ.: თქვენ სამართლიანად ბრძანეთ, ბ-ნმა გურამმა თავისი გზა მეცნიერებაში ნათლად გამოკვეთა და გამორჩეულ კავკასიოლოგად იქცაო... საინტერესოა გზა, დასაწყისი ამ აღიარებისა...

გ. ბ.: ერთხელ საუბრისას ბ-ნ გურამს ვკითხე: როგორ აირჩიე ენათმეცნიერება... მამის გავლენა ხომ არ იგრძნობოდაო. ბ-ნმა გურამმა მაშინ ბრძანა: არა, ასე, უშუალო არა, მაგრამ ჩემი პროფესია თითქოს თავიდან იყო განსაზღვრული... გარემო იყო ასეთიო...

თ. ხ.: რა თქმა უნდა, გარემო... ბ-ნი არნ. ჩიქობავა და სიმონ ჯანაშია კმაროდნენ ამისათვის, რომ თვით ბ-ნ ვარლამზე არა ვთქვათ რა... ბ-ნ გურამს თავისი ახალგაზრდული წლებიდან, ალბათ, გამორჩევით უყვარს სასკოლო ასაკი, - როგორც ყველას... გახსენება თანაკლასელებისა...

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ. როცა ბ-ნ გურამი თავის ყოფილ თანაკლა-

სელებს იხსენებს, თვალეში სითბო ჩაუდგება ხოლმე...მის თანაკლასელთაგან ზოგი უდროოდ წავიდა ამ წუთისოფლიდან, მაგალითად, ლაშა ჯანაშია – ბ-ნ სიმონ ჯანაშიას სახელოვანი ვაჟი... ზოგნი მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში... ძლიერი კლასი იყო, ხშირად უთქვამს ბ-ნ გურამს.

თ. ხ.: მასწავლებლები... სკოლის მასწავლებლებზე არაფერი უთქვამს ბ-ნ გურამს?

გ. ბ.: როგორ არა... ქართულს ასწავლიდა სულმნათი ვარო ვარდიაშვილი (იგი კლასის დამრიგებელიც ყოფილა)... მიხეილ მანდუკელი ციხიდან რომ გამოსულა, უნივერსიტეტში საათები არ მიუციათ და ჩვენ გვასწავლიდა რუსულსაო... განსაკუთრებით იგონებს ეორა მგალობლისვილს – ისტორიას გვასწავლიდა XI კლასში, ხოლო თვით მასწავლებელი სულ 26 წლისა გახლდათო...

თ. ხ.: სკოლას, ბუნებრივია, მოჰყვებოდა უნივერსიტეტი... სწავლა კავკასიურ ენათა განყოფილებაზე... ასპირანტურა... და შემდეგ ჩაყურყუმალება მეცნიერებაში.

გ. ბ.: ჩამოთვლა მართებულია, მე მხოლოდ წლებს დაეასახელებ: 1954-1957 წლებში ბ-ნი გურამი აკად. არნ. ჩიქობავას ასპირანტია... შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკი (1957-1960)... სწავლული მდივანია 1960-1965 წლებში, უფროსი მეცნიერ მუშაკია 1965 წლიდან 1973 წლამდე... დირექტორის მოადგილე 1973-1987 წლებში, 1987 წლიდან მთის კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე. 1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია... 1997 წლის 3 ივლისს აირჩიეს აკადემიის წევრ-კორესპონდენტად...

თ. ხ.: მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევა, ალბათ, მთელი თქვენი კოლექტივისათვის სასიხარულო დღე იყო და, რასაკვირველია, თვით ბ-ნ გურამისათვისაც.

გ. ბ.: ბ-ნ გურამი წევრ-კორესპონდენტის რანგში ცოტა ადრეც უნდა წარდგენილიყო... მაგრამ მოგეხსენებათ რა წლები იყო... ისე კი, ბ-ნი გურამის ყველაზე ბედნიერი დღე შვილიშვილ ვიკას დაბადების დღეა – 1997 წ. 21. III... ამას ერთი წლის შემდეგ შეემატა ქეთი... ყველაზე დიდი სიხარული ესააო, – არაერთგმის უთქვამს...

თ. ხ.: ეგების, ბ-ნ გურამის მამასთან ურთიერთობის ზოგ მომენტზე მოვეუხროთ რადიომსმენელებს... განსაკუთრებით უნივერსიტეტის წლებზე-

გ. ბ.: სხვათა შორის, ბ-ნ გურამის ქართულ ენაში გამოცდის შესახებ სხვადასხვა ვარიანტი მომისმენია... შემდეგ ერთხელ შევეკითხე: რაა ამ გადაცემაში მართალი-მეთქი. მან მიპასუხა: გენადი, შენ იცი, მამაჩემისა და ბ-ნ ივანე გიგინეიშვილის შორიგეობით მიჰყავდათ ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის კურსი... ჩემთან სალექციო საათები მამაჩემს ებარა, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობის პროფ. ა. კიბირია გვიგარებდა. და, აი, ვაბარებ

გამოცდას ქართულ ენაში, რაც რაღაც დიდხანს გაგრძელდა... მე კარგად ვპასუხობ, მაგრამ მამაჩემი დამატებით კითხვებს მაძლევს და არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა კიდევ გამოცდა, რომ იმდროინდელი რექტორი, პროფ. ნიკო კეცხოველი არ შემობრძანებულიყო გამოცდაზე... ასე რომ, მამა ბ-ნ ნიკოს შემოსვლამდე აგრძელებდა გამოცდას... ასე დამრთაფ და ჩემი ყველაზე ხანგრძლივი გამოცდა...

თ. ხ.: როგორ შეაფასა ბ-ნმა ვარლამმა თავისი ეაეი, მომავალი წევრ-კორესპონდენტის ცოდნა?

გ. ბ.: ნიშანი მაგრიკულში ბ-ნ ვარლამს არ შეუგანია, გაუფორმებია ბ-ნ ანტონ კიშირიას – ფრიალი. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოუწერია ხელი ბ-ნ ვარლამს მაგრიკულში...

თ. ხ.: სხვა მომენტები მათი ურთიერთობიდან?

გ. ბ.: ერთ ფაქტზე მოგასხენებთ მხოლოდ... ბ-ნმა გურამმა სტუდენტობისას დაწერა ბრწყინვალე მოხსენება „რ თავსართიანი ზმნები ქართულში“, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში 1955 წ. დაიბეჭდა. აქ ბ-ნი გურამი არ იზიარებს ვ. თოფურიას ერთ ცნობილ დებულებას. კერძოდ, წყალი - რ-წყავს... გიპის ზმნებში რ ბ-ნ ვარლამს მიაჩნდა „მამზნაეებელ“ რ-დ (ბადალი აფხაზური რ- პრეფიქსისო), როცა ბ-ნი გურამი ფიქრობდა, რომ ეს „რ პრეფიქსი გრამატიკული კლასის გამომხატველი ნიშანი უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში“.

თ. ხ.: ბ-ნ ვარლამის რეაქცია?

გ. ბ.: ალბათ, გაეხარდა, რომ შეილი თავისი დიდი მამის ავტორიტეტს არ შეუშინდა... და მერე... ვისაც ბ-ნ ვარლამთან ჰქონია ურთიერთობა, ყველამ იცის, თუ როგორი იყო ის ცხოვრებაში... ერთხელ, ბ-ნო თამამ, წიგნებს ვათვალიერებდი ბ-ნი გურამის ბიბლიოთეკაში და ი. გრიშაშვილის თხზულებებს, 1955 წ. დაბეჭდილს, მოეკარი თვალი... გადავშალე და რა წერია: „ვარლამ თოფურიას – ერთადერთი ნაკლი აქვს – ნამეტანი კარგია! ვუძღვნი სიყვარულით და სიხარულით“ – ავტორი.

თ. ხ.: ბიბლიოთეკა ბ-ნ გურამისა, ალბათ, ძალზე მდიდარი იქნება...

გ. ბ.: რა თქმა უნდა... ამ წიგნებით ჩვენც გვასარგებლებს ხოლმე... იქვეა ბ-ნ გურამის მიერ თითქმის გამზადებული ბიბლიოგრაფია იბერიულ-კავკასიური ენათა შესახებ არსებული საენათმეცნიერო ლიტერატურისა...

თ. ხ.: ალბათ, იმის გაგრძელებაა, კავკასიურ ენათა კათედრის შრომით რომაა გამოცემული „ბიბლიოგრაფია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ არსებული საენათმეცნიერო ლიტერატურისა“... 1958 წელსაა გამოცემული... სტუდენტობისას ესარგებლობდი ამით... ბ-ნ გიორგი კაჭარავას თანაავტორობითაა... (რედ. არნ. ჩიქობავა).

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ... ძალზე საჭიროა არსებითად მეორე ნაწილის გამოცემა – 1957 წლის გამოცემები კია შესული, მაგრამ აქედან დღემდე კი – გამოუცემელია, არადა ასეთი დიდი შრომა ბ-ნ ვარლამს უკვე დასრულებული

აქვს... სასტამბოდ გამზადებაა საჭირო...

თ. ხ.: და, ალბათ, სპონსორისაც...

გ. ბ.: სპონსორზე ვამახსენდა... ბნმა გურამმა სადოქტორო დისერტაცია 1988 წელს დაიცვა... მისი წიგნად გამზადებული „ბრუნების მორფოლოგია დალესტნურ ენებში“ ვარიანტი კი დიღხანს ილო გამოუცემელი... მაგრამ ბონის უნივერსიტეტის პროფ. კარლ პ. შმიდტმა, რომელიც კარგად იცნობს ბნ გ. თოფურიას, როგორც კავკასიურ ენათა გამოჩენილ მკვლევარს, გაუწია გამოცემას სპონსორობა და 1995 წელს ვიხილეთ ეს მონოგრაფია...

თ. ხ.: კარლ პ. შმიდტი ხომ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი და ჩვენივე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორიცაა. მეცნიერის მიერ მეცნიერის გვერდით დღომაც ამას ქვია...

გ. ბ.: მართლაც ბრძანებთ, ეს ის კარლ პ. შმიდტია, რომელიც 1985 წლიდან ბონის უნივერსიტეტში ატარებდა სამეცნიერო სესიებს თემამე „კავკასიის ენობრივი პრობლემები“... 1995 წლამდე ის ხელმძღვანელობდა ამ მეტად საჭირო საქმიანობას – ბ-ნი გურამი (მოგჯერ პროფ. ალ. მაპომეტოვიც) სესიათა მონაწილე იყო. კერძოდ: 1985 წ. – ბონი, 1990 წელი – ბონი, 1995 წლიდან, შმიდტის პენსიაზე გასელასთან დაკავშირებით, მისი ფუნქცია ვინფრიდ ბოედერმა იკისრა ოლდენბურგის უნივერსიტეტში... აქ უკვე ენათმეცნიერთა სხვა ჯგუფი იღებს მონაწილეობას...

თ. ხ.: ასეთი ურთიერთობა კ. პ. შმიდტთან, ალბათ, მეცნიერთა მეგობრობაშიც გადაიზრდებოდა...

გ. ბ.: რა თქმა უნდა, მათ გულთბილი ურთიერთობა აქეთ ერთმანეთთან... რამდენადაც ვიცი, ისინი ოჯახებით იცნობენ ერთმანეთს... ბ-ნი გურამი გერმანიაში ხშირად გახლდათ მისი სტუმარი, აქ კი კარლ პ. შმიდტი სტუმრობდა ბატონ გურამთან... ასაკითაც ისინი თითქმის გოლნი არიან... პ. შმიდტი 1929 წელსაა დაბადებული...

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, თქვენი გადაცემიდან ჩვენთან ხშირად მოგვისმენია: იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის რეგიონალური სამეცნიერო სესიები ყოფილ საბჭოთა კავსირსი სხვადასხვა რეგიონს შორის მეცნიერთა კონტაქტებსაც უწყობდა ხელსაო... ბ-ნი გურამი, ალბათ, აქაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა?...

გ. ბ.: რა თქმა უნდა, ბ-ნი გურამი ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელიც ყველა სესიას ესწრებოდა, გარდა 1992 წ. მაიაკოპში მოწვეული სესიისა... ამ დროს იგი გერმანიაში იყო მიწვეული ლექციების წასაკითხად... სხვათა შორის, სხვა დროსაც მიუწვევიათ იგი უცხოეთში ამ მიზნით...

თ. ხ.: ჩვენს უნივერსიტეტში ჩემს დროს ბ-ნი გურამი ლექციებს თითქმის არ კითხულობდა...

გ. ბ.: არც ახლა კითხულობს...

თ. ხ.: რატომ, ამ მამბების მკვლევარი და...

გ. ბ.: არა... ალბათ, საუნივერსიტეტო გეგმა არ ითვალისწინებდა ამას,

თორემ გურამ თოფურიას მონოგრაფია „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“ ბრწყინვალედ გამზადებული სპეცკურსია... სხვათა შორის, ჩემი ასპირანტურაში სწავლისას კარგად მახსოვს, ბნმა არნ. ჩიქობავამ რამდენჯერმე აღძრა საკითხი, მოვიწვიოთ... ლემგიურის კურსს წაიკითხავსო... თუმცა კათედრამ რაგომდაც არ გაუწია ანგარიში არნ. ჩიქობავას...

თ. ხ.: ლემგიური ხომ ბ-ნ გურამის საჯილდაო ქვა გახლდათ...

გ. ბ.: რა თქმა უნდა... ლაკური ბ-ნ ვარლამისაა დაღესტნურ ენებში, ლემგიური - შვილისა... ბ-ნ გურამი 1955 წელი, 1956 და 1958 წლებში სწავლობდა ლემგიურს ადგილმე... საილუსტრაციო მასალას კრებდა არა მარტო კიურული და ახგის დიალექტების მიხედვით, არამედ აზერბაიჯანულ ლემგებთანაც (ხაჩმასის რ-ნი)... ასე შეიქმნა „ლემგიური გმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“, რომელიც 1959 წ. დაისტამბა და იმავე წელს, 22 დეკემბერს დასული იქნა როგორც საკანდიდატო დისერტაცია... სხვათა შორის, მომავალ წელს შემდეგ დაიბეჭდა ბაგონ ე. ჯეირანიშვილის რეცენზია ამ შრომამზე; იგი ერთ-ერთი ოპონენტი გახლდათ დისერტაციისა... მართალია, იკე-ში (გ. XIII) დაბეჭდილ ამ მეტად მაღალ კვალიფიციურ რეცენზიას 6 გვერდი დაეთმო, მაგრამ ბ-ნი ეეგენი სქოლიოში შენიშნავს: „იბეჭდება შემოკლებულად“...

თ. ხ.: მაშ, სრული ტექსტი რამდენი იქნებოდა... ალბათ, საგრძნობლად ბუერი... ბ-ნი ეეგენი ხომ სკურპულიზმური ანალიზის გამტარებელი იყო ყოველთვის, ასევე, იქნება, ალბათ, ამ სრომის მიმართაც...

გ. ბ.: თქვენ კარგად ბრძანეთ, ბ-ნო თამაზ, ეს იგრძნობა ამ რეცენზიაშიც, დასკვნაა: გ. თოფურიას წიგნი „ლემგიური გმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ არის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის, კერძოდ ლემგიურ ენათა სტრუქტურის შესწავლისათვის, მეტად საჭირო, მაღალხარისხოვანი მეცნიერული გამოკვლევა“.

თ. ხ.: მართლა, ბ-ნო გენადი, ხელმძღვანელი ვინ ბრძანდებოდა თემისა?

გ. ბ.: ბ-ნი არნ. ჩიქობავა... თავდაპირველად თემა ითვალისწინებდა ერგატივის საკითხის გამოკვლევას იბერიულ-კავკასიურ ენებში... შემდეგ ბ-ნ გურამის მიერ შეკრებილმა მასალამ იძალა და სადისერტაციო თემამ სახე იცვალა... ეს მოგჯერ ხდება ხოლმე, მაგალითად, ჩემი საკვალიფიციაციო თემა, რომლის ხელმძღვანელი ბ-ნი ვარლამი, იყო ასეთი „ღუმუქური და ვიცხიური დიალექტების შედარებითი ანალიზი“... დაყვით კი დავიცავე „სახელთა ბრუნების საკითხები ლაკურში“.

თ. ხ.: ხომ, . . . მაგრამ ბ-ნი არნოლდი რაგომ დაეთანხმა ამ ცელილე-ბას...

გ. ბ.: მე ვფიქრობ, რომ ერგატივის საკითხმა სამერმისოდ გადაინაცვლა... ერგატივის საკითხი ხომ ბ-ნი გურამის სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია... ბ-ნო თამაზ, ერთხელ ბ-ნ გურამის წიგნებს ვათვალისწინებდი... დამძლია ცნობისმოყვარეობამ და ბ-ნ არნოლდის „იბე-

რიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი” ავიღე ხელთ... მაინტერესებდა, რა წარწერა ჰქონდა ავგორის ნაჩუქარ წიგნს...

თ. ხ.: თქვენც გეწინებთ, ალბათ, თქვენსას რა წარწერა ჰქონდა?

გ. ბ.: ჩემსას უბრალოდ „გენადი ბურჭულაძეს, კეთილი სურვილებით... ავგორი... 29. VIII. 79... ბ-ნ გურამის წიგნის წარწერას ეს რიცხვი უმის, მაგრამ გექსტია მეტად საინტერესო:

„გურამ თოფურიას

„იმ“ (წინწკლებშია – გ. ბ.) შრომის დამთავრების მოსურნე, პირველყოელისა” – ავგორი.

ეს „იმ“ კი ერგატვივის პრობლემა გახლდათ... საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელს ეს 20 წლის შემდეგაც არ დავიწყებია...

თ. ხ.: მართლაც, რა საინტერესო დეტალია... ბ-ნ არნოლდსა და მის მოწაფეს შორის ურთიერთობიდან კიდევ რამეს ხომ არ იგყოფით...

გ. ბ.: ახლა ერთ სალალბო შემთხვევაზე მოგიტხრობთ, ბ-ნ გურამს რომ არაერთგზის მოუყოლია...

თ. ხ.: ბრძანეთ, ბ-ნო გენადი...

გ. ბ.: ბ-ნი გურამი 1960-66 წლებში სწავლული მდივანი გახლდათ... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ღირექციაში იმ დროს ღირექტორი, ღირექტორის მოადგილე, სწავლული მდივანი და კანცელარიის გამგე ერთ ოთახში მსხდარან... ბ-ნი გურამი ეწეოდა „ყაზბეგს“... დაუღები მაგიდაზე კოლოფს... იკარგებოდა. ვისზე შეიძლებოდა ეჭვის მიგანა... ძნელი სათქმელი იყო... ერთ დღეს დამიძახა ბ-ნმა არნოლდმა... მიმიხმო თავისსავე სამუშაო პაგარა ოთახში, გახსნა მაგიდის უკრა და რას ვხედავ... ჩემი „დაპატიმრებული“ პაპიროსები იქ არ აღმოჩნდა... ბ-ნ არნოლდს უთქვამს: ეგების, ერთად მოწიო და ამით დაამთავროთო...

რა თქმა უნდა, თავი სიგარეტის წეეას ვერ დავანებე, მაგრამ მაინც მისგან მალულად ვეწეოდიო...

თ. ხ.: რა მშობლიური ზრუნეაა...

გ. ბ.: თქვენს ამ ფრაზასთან დაკავშირებით მახსენდება ბ-ნ არნოლდის ნაამბობი... საერთოდ ყოველგვარ ადმინისტრაციული სამუშაოს დიდი დრო მიაქვს... ბ-ნი გურამი სწავლული მდივანი გახლდათ, მერე კარგა ხანს ინსტიტუტის ღირექტორის მოადგილე... (1973-1987) წესიერი კაცისათვის ამას დიდი დრო მიაქვს და, ბუნებრივია, საღოქტორო დისერტაცია უგვიანდებოდა... ბ-ნმა არნოლდმა ჩემთან საუბარში ერთხელ ბრძანა: გურამს წერილი მიეწერე... აგარაკიდან ეწერდი, თუ შენ დისერტაციას არ დაასრულებ, მა-მაშენს როგორღა შეეხვედე პირნათელი იმქვეყნადო...

თ. ხ.: არადა, ბ-ნ არნოლდისა და ბ-ნ ვარლამის მეგობრობა ხომ სანაქებო გახლდათ... მახსოვს, თქვენს წერილში „დიდ წინაპართა გაკვეთილები“ წერდით, რომ ბ-ნი არნოლდი თავისი უახლესი მეგობრისა და მეცნიერებაში თანამებრძოლის ნემსს ჩოქვითა და გირილით მიეახლაო...

გ. ბ.: ღიახ, ასე იყო, ამის შემსწრე აწ გარდაცვლილი ღოც. ოთარ ურიღია იხსენებდა...

თ. ხ.: თითქოს სიმბოლურია, რომ ბ-ნ გურამ თოფურია არნ. ჩიქობავას სახელობის პრემიის ლაურეატია... ეს ხომ მას მიენიჭა უკვე ზემოთ ნახსენები წიგნისათვის „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში“.

გ. ბ.: სიმბოლურია, მაგრამ მეტად კანონზომიერი... ჯერ ერთი, მონოგრაფიაში ყველა დაღესტნური ენაა (სულ 26) სისტემატური დაკავშირებისა და განზოგადების საგანი. ეს დღემდე შექმნილი არცერთ ნაშრომში არ ყოფილა წარმოდგენილი... თუმცა ნ. გრუბეცკოიდან მოყოლებული არა ერთი გამოკვლევა არსებობს დაღესტნურ ენათა ფონეტიკასა და მორფოლოგიაში... მეორეც, თავის დროზე არნ. ჩიქობავას მიერ დადგენილი უღვლილების სამი ტიპისა და მათი ისტორიული ურთიერთმიმართების დადგენით ამ ენათა მორფოლოგიის არა ერთი კარდინალური საკითხი გადაწყდა მართებულად...

თ. ხ.: გ. თოფურიას მონოგრაფიაში წამოწყებული ერთი დებულება პრინციპულად არნ. ჩიქობავას აღნიშნული დებულების შემოქმედებითი განვითარება და გაგრძელებაა – დაღესტნურ ენებში ბრუნებისას იგივე გენდენცია შედარდება, რაც უღვლილებისას გმნაში: კლასოვანი ბრუნება იცვლება არაკლასოვანით, ძირითადად, ნაცვალსახელური ბრუნებით...

გ. ბ.: ბ-ნო თამაზ, ვიცი, რომ კავკასიოლოგი ბრძანდებით, მაგრამ ასეთი გამოწველილვითი ანალიზი...

თ. ხ.: ჰა, ჰა... ბ-ნო გენადი, აი, ეს სტრიქონები ერთი მოკლე იმფორმაციიდანაა: „გურამ თოფურია – არნ. ჩიქობავას პრემიის ლაურეატი“... აქ, დახედეთ, ცნობილი სურათია: ბ-ნი არნოლდი ხელჯოხზე დაყრდნობილი ესაუბრება ახალგაზრდა გურამ თოფურიას... სურათს მინაწერი აქვს: ჩერქეზეთის გმაზე, 1979...

გ. ბ.: სიმბოლურიაო, ესაა სწორედ... ბ-ნი არნოლდის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ითქვა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას აკად. ქ. ლომთათიძე ორიოდ წელს უძღვებოდა, შემდეგ კი ბ-ნ გურამია ამ განყოფილების ხელმძღვანელი...

თ. ხ.: ბატონო გენადი, ეგების ორიოდ სიტყვა თქვენს ურთიერთობაზეუ გეთქვათ.

გ. ბ.: ჯერ ერთი, ბ-ნი გურამი ჩემი საკანდიდატო დისერტაციის მკაცრი, მაგრამ მეტად კეთილისმოსურნე ოპონენტი გახლდათ... ესაა 1970 წელი... 1979 მე სადოქტორო დისერტაცია წარმოვაღვინე... ბ-ნი გურამი დირექტორის მოადგილე გახლდათ და ერთხელ მასთან შესვლისას მითხრა: გენადი, თუ რამესი ჩემი დახმარება გჭირდება, არ მომერიდოო... ბ-ნ გურამი იმავდროულად სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანიც გახლდათ. ეს ჩემთვის მეტად ბევრს ნიშნავდა.

თ. ხ.: რა თქმა უნდა, სხვა ამას, ალბათ, არც გეცოდათ... ის აღრე

თქვენი ოპონენტი იყო და ახლა დისერტაცია მასზე ადრე წარმოადგინეთ... არის აქ ადამიანურად სუსტი მხარეც...

გ. ბ.: ბ-ნ გურამს სუსტი მხარე არა აქვს... მისი სისუსტე თუ რაიმეშია ეს ისევე მის კეთილშობილებაშია საძიებელი... იგი ტკბილია, ისევე როგორც მისი გვარის ეტიმოლოგიურად (თოფურია „თაფლია“), რაც ბ-ნ ვარლამის მიმართ ასოციაციურად აღიძვრებოდა ხოლმე... ბ-ნი გურამი სხვათა მიმართ მზრუნველია... როცა გაიგო, მისი დაბადების 70 წლის აღსანიშნავად ამ გადაცემის მოწყობას ეაპირებდით, სასტიკ უარზე დადგა: პროფ. ზურაბ ჯაფარიძეს უსრულდება 70 წელიო... პროფ. თ. უთურგაიძესაც რომ შეუსრულდა, ის არ აღგვინიშნავსო და სხვა. მაშინ ვუთხარი: ბ-ნო გურამ, ამ დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენთვის – უმცროსი და საშუალო თაობის ენათმეცნიერთათვის... მათ უნდა იცოდნენ მეტი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელზე... იმ საქმეების განგრძობაზე, რის სათავეში არნ. ჩიქობავა ბრძანდებოდა...

თ. ხ.: ბ-ნ გურამის ინტერესთა სფეროში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შედის არა ერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი ქართველოლოგიაში...

გ. ბ.: რა თქმა უნდა, მაგალითად, მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში (მაცნე, 1977), ერთი ჰიპოთეტიური ფორმის რეალობისათვის ზანური ენის არეალიდან (მაცნე, 1970), ლინგვისტური გეოგრაფია, გოპონომია და ენის ისტორია (ქართველურ ენათა მასალაზე) (1985) და სხვა არაერთი ნაშრომი...

თ. ხ.: მე გამიგია, რომ ბ-ნი გურამი გახლდათ ევროპის კავკასიოლოგთა სამოგადოების ვიცე-პრეზიდენტი...

გ. ბ.: ღიახ, ორჯერ გახლდათ არჩეული (1988-1990; 1990-1992...); არჩეულია იმავე თანამდებობაზე ახალი ვადით 1996 წლიდან. ბ-ნი გურამი რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრია (იკე, იკეწ, მაცნე, ეტიმოლოგიური ძიებანი)... აქ რომ ბ-ნ გურამის მიერ გაწეულ დახმარებაზე ვილაპარაკოთ, ბევრი რამ, ითქმება, ამით კი დღევანდელ იუბილარს ვაწყენინებთ...

თ. ხ.: ვასრულებთ ბ-ნ გურამის თხოვნას, მის შესახებ ცოცხალი თქმულიყო. ბევრი კი გვეთქვა იმ საქმეებზე, რასაც მან და მისმა კოლეგებმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა მიუძღვნეს... პაგარა გადაცემაში მეტი ვერ მოხერხდა... უფრო ვრცლად სხვა დროს, სხვა საიუბილეო თარიღების აღნიშვნისას... რადგან გეჯერა, რომ 70 წელი ბ-ნი გურამისათვის მხოლოდ შუადღეა... ამის სემდეგ კი დიდი დროა მეცნიერისათვის... მომავალ შეხვედრაზე ბ-ნო გურამ.

გურამ თოფურია – 70 წლისაა

გაზეთ „ბურჯი ეროვნებისაში“ 1996 წელს დაიბეჭდა საინფორმაციო ხასიათის წერილი „გურამ თოფურია – არნ. ჩიქობავას პრემიის ლაურეატი“... იქვეა სურათი ხელჯოხზე დაყრდნობილი ბ-ნი არნოლდი და ახალგაზრდულად მაქცერალი გურამ თოფურია. სურათს მინაწერი აქვს: ჩერქეზეთის გზაზე, 1979 წელი.

ამ სურათში არნ. ჩიქობავას ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მონოგრაფიის („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“) სასაჩუქრო წარწერის გექსტი გაგვასსენა:

„გურამ თოფურიას

„იმ“ („იმ“ წინწკლებშია - გ. ბ.)

შრომის დამთავრების მოსურნე, პირველყოელისა - ავგორი“.

29. 29 XIII. 79.

„ის შრომა“ კი ერგატივის პრობლემა იყო, ბ-ნ გურამს რომ უნდა ეკვლია საგანგებოდ... გ თოფურიას საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელს ეს ოცი წლის შემდეგაც არ დაეიწყებია.

ბ-ნი გურამი დიდი ვარლამ თოფურიას შეილი ბრძანდება... ძნელია დიდი მამისშვილობა... მაგრამ ბატონმა გურამმა მეცნიერებაში თავიდანვე სწორი გზა ირჩია... მიჰყვა მას, ყველაფერს გამოწველილვით იკვლევდა და, როგორც კავკასიოლოგს, კავკასიოლოგი ენათმეცნიერებს შორის ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს... ოღონდ ბატონმა გურამმა ლაკურის ნაცულად, რომელიც მისი მამის საჯილდაო ქვა გახლდათ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ლემბიური და, სამოგადოდ, დადესტური ენები ირჩია.

ეს არავის გაპკვირვებია. მით უფრო იმათ, ვინც იცნობდა მას სიჭაბუკიდანვე... ბ-ნი ვარლამი ხომ იმ სამეულის წევრი გახლდათ, აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. არნ. ჩიქობავასთან ერთად, პროფ. ი. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენში ა. მანიძისა და გ. ახვლედიანის მხრებიდან საენათმეცნიერო მოღვაწეობის მთელი სიმძიმე, რომ გადაინაწილეს. ბუნებრივია, გ თოფურიას მომავალი პროფესია თითქოს თავიდანვე გახლდათ განსაზღვრული... გარემო იყო ასეთიო, უთქვამს ბატონ გურამს.

საშუალო სკოლის დამთავრებას (1949) მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი... კავკასიურ ენათა განყოფილება. შემდეგ გ. თოფურია ბატონი არნ. ჩიქობავას ასპირანტია (1954-57)... ამას მოჰყვა ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-მუშაკობა (1957-1960)... ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანია 1960-1965 წლებში. უფროსი მეცნიერ მუშაკია 1965 წლიდან 1973 წლამდე... დირექტორის მოადგილე – 1973-1987 წლებში. 1987 წლიდან დღემდე კი – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე. გ. თოფურიამ სადოქტორო დისერტაცია და-

იყუა 1988 წელს... 1997 წლის 3 ივლისს აირჩიეს ჩენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ბატონი გურამი 1955-58 წლებში დალესტანში სწავლობდა ლემგიურ ენას, ადგილზე – საველე პირობებში; საილუსტრაციო მასალას კრებდა ამერ-ბაიჯანის ლემგებთანაც. ასე შეიქმნა „ლემგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“. რომელიც ცალკე წიგნად დაისტამბა 1959 წელს და მისმა ავტორმა იგი იმავე წელს დაიცუა წარმატებით, როგორც საკანდიდატო დისერტაცია.

არადა... თავდაპირველად საკვალიფიკაციო თემად იბერიულ-კავკასიურ ენებში ერგატეის საკითხის კვლევა ივარაუდებოდა... ჩანს, იძალა ბატონი გურამის მიერ შეკრებილმა და გამოკვლეულმა მასალამ ლემგიურში და სადისერტაციო თემამაც სახე იცუალა, თუმცა ხელმძღვანელის საბოლოო სურვილი, ჩანს, უცუელელი იყო „იმ“ შრომის დამთავრების მოსურნეო“, ბნი არნოლდი, რომ ბრძანებდა, მის მოწაფეს არ დაეიწყებია.

1988 წელს დაცული სადოქტორო დისერტაცია ცალკე წიგნად მოგვიანებით გამოვიდა, 1995 წელს – „ბრუნების მორფოლოგია დალესტნურ ენებში“ (დაიბუქდა იგი ბნი გურამის უცხოელი მეგობრისა და კოლეგის, ბონის უნივერსიტეტის პროფ. კარლ კ. შმიდგის სპონსორობით). ეს მონოგრაფია წარმოადგენს დალესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკის ერთ დიდ ნაწილს. სწორედ ამ მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფიისათვის მის ავტორს, გ. თოფურიას, 1997 წელს მიენიჭა არნ. ჩიქობაეას სახელობის პრემია.

სპონსორს ელის მის მიერ თითქმის სასტამბოდ დამზადებული ბიბლიოგრაფია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ არსებული საენათმეცნიერო ლიტერატურისა; იგი ბუნებრივი გავრძელება იქნება მის მიერე შედგენილი (გ. კაჭარაეა თანაავტორი) და გამოცემული (1958) მონოგრაფიული ხასიათის შრომის „ბიბლიოგრაფია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ არსებული საენათმეცნიერო ლიტერატურისა“.

აქ განხილული მონოგრაფიების გარდა, გ. თოფურიას ეკუთვნის რამდენიმე ათეული სტატია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის სფეროში, აგრეთვე ქართულურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ძიებანი, ქართული ენის დიალექტოლოგიის, გოპონიმიკის ზოგადი თუ კერძო საკითხი, ცალკეული ეტიმოლოგიური ნარკვევები.

ყველა ამ ნაშრომში ცხადად ჩანს მკვლევრის ფართო ლინგვისტური ინტერესები, რომლებიც ურთიერთკავშირშია.

გ. თოფურიას სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე. ეს შრომები იბუქდებოდა ლონდონში, ნიუ-იორკში, პარიზში, ბერლინსა და იენაში, ლაიფციგში, ასევე – მოსკოვში, ლენინგრადში, ღუშამბეში, სვერდლოვსკში, მაჰაჩყალაში, ნალჩიკში, გროზნოში, მაიკოპსა და ჩერქებთში...

გ. თოფურია მონაწილეობდა ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების კოლოქვიუმებში – კითხულობდა მოხსენებებს: IV–პარიზში (1988); V–ლონდონში (1990); VI–მაიკოპში (1992); VII–მარბურგში (გერმანია, 1994); მას მონაწილეობა აქვს მიღებული ლინგვისტთა მე-14 საერთაშორისო კონგრესზე ბერლინში (1987) და ონომასტიკის XV საერთაშორისო კონგრესზე ლაიფციგში (1984); მიწვეული იყო ბონის, ბოხუმისა და მიუნხენის უნივერსიტეტში და წაიკითხა მოხსენებათა ციკლი.

გ. თოფურია აქტიურ მონაწილეობას იღებს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნიერო სესიებზე. კავკასიოლოგიაში საყურადღებო მეცნიერული დამსახურებისათვის იგი ორჯერ აირჩიეს ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

დღეს გ. თოფურია არის სხვადასხვა გამოცემათა რედკოლეგიების წევრი: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწადული“, „ეტიმოლოგიური ძიებანი“ და სხვ.

და ბოლოს:

პროფესიონალურ თვისებებთან ერთად გამორჩეულია გ. თოფურიას ორგანიზატორული ჩვევები – მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო მუშაობის სათანადო წარმართვის უნარი (რასაც იგი ჩვენს ინსტიტუტში წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას ავლენდა). დღეს თავისი დაბადების 70-ე წლისთავს ბატონი გურამ თოფურია ხედება ხელხვაიერად... მაგრამ ვინც იცნობს მას, იცის, რომ მისი ყველაზე სანუკვარი ოცნებაა. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მეცნიერული ნაღვაწი მუდამ იმ დონეზე იყოს, როგორადაც ეს ესახებოდა ბ-ნ გურამის მასწავლებელს, ამ განყოფილების დამაარსებელს, აკად. არნ. ჩიქობავას. ამ სურვილის წარმატებით დასრულება ბატონ გურამს ნამდვილად ძალუქს.

მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესებით საესე მკვლევარი, ყველასათვის ძვირფასი და ტკბილი ადამიანი (თოფური „თაფლი“ მეგრულად) ბატონი გურამ თოფურია თავის მომავალ ათწლეულებს, გვჯერა, ისევე ამ ენერგიითა და მეცნიერებაში ხელდამშვენებული შეხედება.¹

დავით იმნაიშვილი - 80

ბ-ნ დავით იმნაიშვილს, ფილ. მეცნ. დოქტორს, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფრ. მეცნ. მუშაკს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა... იგი დაიბადა 1914 წლის 18 მარტს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მუხუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1922-29 წლებში დავითი სწავლობდა მუხუთის შეიღწლიან შრომით სკოლაში, რომელიც დაასრულა 1929 წელს. იმავე წელს მან სწავლა განაგრძო ლანჩხუთის პედაგოგიური განხრის ათწლედში, სადაც ორ წელს სწავლობდა. 1931-32 წლებში დ. იმნაიშვილი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1933 წლიდან დ. იმნაიშვილი სწავლობდა თსუ-ში, რომელიც წარჩინებულად დაამთავრა 1937 წელს; იმავე წელს ჩაირიცხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ასპირანტურაში.

ასე რომ, ბ-ნი დავითი თვითმხილველია და შემდეგ მონაწილე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისა და განვითარებისა. ცნობილია, რომ 1933 წელს დაარსდა თსუ-ში კავკასიურ ენათა კათედრა, ხოლო 1936 წელს ჩამოყალიბდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება მაშინდელ ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტთან - ორივე სამეცნიერო უკრედს არნ. ჩიქობავა ედგა სათავეში. ბ-ნ არნოლდი წერილში „მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის ჩვენში“ (ენიმკი, XII, 1942, გვ. 235) წერდა: „უნივერსიტეტის კათედრისა და ინსტიტუტის განყოფილების მუშაობა ერთიმეორეს ავსებს“.

ამ დროისათვის მთის იბერიულ-კავკასიურ ენების მკვლევართა პირველი თაობაა მისული - ცნობილია, რომ ა. შანიძე იკვლევდა წოვა-თუმურს, ს. ჯანაშია - აფხაზურს, არნ. ჩიქობავა - ხუნძურს, ვ. თოფურია - ლაკურს, - უკვე ნაყოფიერად მუშაობს. მით უფრო, რომ მათ შეემატნენ გ. როგავა, ელ. ჟანჩიძე, თ. გონიაშვილი, გ. ჩხენკელი, ქ. ლომთათიძე... შემდეგი თაობის კავკასიოლოგთან ბ-ნ. დ. იმნაიშვილიცაა - შ. გაფრინდაშვილს, გ. გუდავას, ე. ჯეირანაშვილს, ი. ცერცვაძის, რ. გაგუას, ე. ლომთაძის, ო. კახაძის, მ. მაპომეღბეკოვასა და ალ მაპომეგოვის გვერდით.

* მოხსენდა დავით იმნაიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას (მოხსენება სათაურით: „დავით იმნაიშვილი - იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი“) 1994 წლის 8 ნოემბერს.

ამას მოწმობს არნ. ჩიქობავას ზემოთ ციტირებულ წერილში მოყვანილი ცნობაც იმის თაობაზე, რომ დ. იმნაიშვილს დაუსრულებია საკანდიდატო დისერტაცია „ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში“ 1940 წ., ხოლო 1941 წ. დაუმუშავებია „მრავლობითის წარმოება ინგუშურსა და ჩაჩნურში“.

მართლაც, დ. იმნაიშვილი 1961 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას და იმავე წლის სექტემბრიდან მოყოლებული სიციოხლის უკანასკნელ დღემდე იგი თავისი მშობლიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

ბ-ნი დავითის მეცნიერული მოღვაწეობის ამ პერიოდის დასახასიათებლად კმარა მისი ხელმძღვანელის, არნ. ჩიქობავას გამონათქვამი 1941 წელს: ინგუშურის „შესწავლის მიზნით მან ჩაატარა სამი ექსპედიცია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ. ინგუშურზე მუშაობისას დ. იმნაიშვილმა გამოამკლავნა დაკვირვების უნარი და შეძლო ფაქტების დამოუკიდებელი ანალიზის შედეგად საყურადღებო დასკვნები წამოეყენებინა. დღემდე ჩატარებული მუშაობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ დ. იმნაიშვილის სახით მთის კავკასიურ ენათა კოლექტივს შეეძინა სერიოზული სპეციალისტი ინგუშურისა“.

ამ გამონათქვამის გავრცობა მთლიანად შეიძლება სხვა ნახურ ენებსა და დაღესტნური ენების დილოური ქვეჯგუფის ენებზე.

ბ-ნი დავითს ღრმად სწამდა, რომ მთის იბერიულ-კავკავკასიურ ენათა ნაყოფიერი კვლევისათვის აუცილებელი პირობაა საველე მუშაობა – საკვლევი ენის ადგილზე შესწავლა, მისი მატარებელი ხალხის ყოფითი რეაქციების გაცნობაც. ამიგომაც იყო, რომ იგი 1933 წლიდან მოყოლებული სისტემატურად აგროვებდა ენობრივ მასალას ჩაჩნეთ-ინგუშეთში, დაღესტანში.

ბ-ნი დავითის შრომებში ყურადღებას იმსახურებს პრობლემათა დასმა და მათი გადაწყვეტა. მე ვიხმარე სიგყვა პრობლემები პირდაპირი მნიშვნელობით. ამის დასადასტურებლად კი მოვიყვან ნიმუშებს ბ-ნი დავითის ადრეული შრომებიდან.

1945 წელს სმამ-ში იბეჭდება ბ-ნი დავითის „რთული დამოკიდებული წინადადების ერთი კავშირის გენეზისისათვის ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში“. აქ აღნიშნულია, რომ დახმე, როგორც მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების კავშირი, შემჩნეული აქვს ჯერ კიდევ ა. შიფნერს („რადგან“ კავშირის ფუნქცია), ოლონდ „იგი ამ კავშირის გენეზისის საკითხს არ არკვევს“, – დასძენს ბ-ნი დავითი და თავად გენეზისსაც გვთავაზობს: დახმე-ში და III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელია, -ხ- ქართ. რომ გამო თანდებულების ფუნქციითაა, -მე კი მაქვემდებარებელი კავშირია დამოკ. წინადადებისაო (დამატ., განსამ., ვით. გარემოება).

და აქვეა: ბაცბურსა და ჩაჩნურ ენას პანკისის ხეობაში ჩამოყალიბებულია რთული დამოკიდებული წინადადება ქართული ენის გავლენითაო (გვ. 737).

სამიოდე წლის შემდეგ ამ პრობლემას იგი კვლავ უბრუნდება შრომაში

„პიპოტაქსის საკითხისათვის ჩაჩნური ჯგუფის ენებში” (იკე, II, თბ., 1948).

ძირითადი დებულება: „პიპოტაქსის ჩამოყალიბება ბაცბურსა და პანკისის ქისტურში ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას”. (გვ. 83) – იგივე დებულება, რაც მან 3 წლით ადრე გამოთქვა დახმე სუფიქსის ანალიზისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში.

საინტერესოა თვით გავლენის მექანიზმის დ. იმნაიშვილისეული ახსნა: ბაცბურისა და პანკისის, „... ენობრივი კოლექტივის წევრი ცდილობს ქართული ამროვნების მიხედვით მოაწყოს თავისი ენის ფორმები. სხეანაირად რომ ეთქვათ, საშენი მასალა ბაცბური და ქისტურია, სტილი – ქართული. (გვ. 83-84). ან:

„კალკის მაგალითები ბაცბურში სხვა შემთხვევაშიც შეინიშნება, მაგალითად, ქართულის გავლენით ბაცბურში ჩამოყალიბდა უარყოფითი ნაცვალ-სახელები და უარყოფითი მზნისართები” (გვ. 8).

აქ ჩამოთვლილია რამდენიმე ნიმუში კალკისა და დასკენაა:

„ესეც კალკის კარგი მაგალითია” (გვ. 84):

სტაგია ამ ფრაზით მთავრდება: – ფრაზა გვეადი და მეტად გამომხატველია – კარვად ასახავს სტაგიის აეგორის ამრსა და პასუხს სათაურშივე მოცემული პრობლემებისა:

პიპოტაქსი მართლაც კალკია ქართულისა აღნიშნულ ენებში.

პირის საკითხის ჩამოყალიბების საკითხებსაც ბ-ნმა დაეთმა არაერთი სტაგია უძღვნა. მათ იმოწმებენ სათანადო საკითხის რკვევისას, მაგრამ შეუმჩნეველი დარჩა თითქოს ამ თვალსაზრისით მისი „თურმეობითები ქისტური ჯგუფის ენებში” (იკე, VI), რომელიც მას წაკითხული პქონია აღრევე, 1946 წელს. ამ სტაგიაში, გარდა ძირითადი საკითხის გაშუქებისა, ერთი დაკვირვებაა:

„პანკისის ქისტურში მზნას აწმყოსა და ნამყო უწყვეტელში შეუძლია პირის გამოხატვა: I და II პირისათვის ერთი ფორმა გვაქვს, მესამისათვის – მეორე. ეს მოვლენა თურმეობითებშიც განირჩევა” (გვ. 333).

მამასადამე, დღის წესრიგში დგას ახალი პრობლემა – პირთა გარჩევა, რომელიც, ჩანს, აქ ბ-ნმა დაეთმა გამოაუვლინა პირველად.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ზოგჯერ სპეციალურ ლიტერატურაში უთითებენ ბ-ნ დაეთის მოგვიანო სტაგიაზე. სპეციალურად პირის კატეგორიას რომ ეხება ჩაჩნურ ენებში: „პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათა მზნაში” (იკე, XVI).

აი, მაგალითად, სულთან გუმაშვილის „კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბებისათვის ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში” მითითებულია, რომ ქისტურ „მზნაში გარჩეულია I და II პირი, რომლებიც როგორც კონკრეტული პირები, უპირისპირდებიან მესამე პირს, როგორც უფრო არაკონკრეტულს, განუსამღვრელს”.

ესაა ამონარიდი ბ-ნ დაეთის გვიანდელი შრომიდან, მითითებულია მასზე,

მაგრამ თითქოს ვერ ვხედებით მინიშნებას, რომ პირის გარჩევა აქ ბ-ნ დავითმა უფრო ადრე აღნიშნა.

ქართულიდან შესულ ლექსიკაზე ნახური ჯგუფის ენებში ადრევე იყო ყურადღება გამახვილებული. მაგ, ი. ღემურიევის შრომაში „ბაცბური ენა“, სადაც ბაცბურ ლექსიკაში შესული ქართული სიტყვებია სპეციალური ანალიზის საგანი. როგორადაც ქ-ნი რ. გაგუა მიუთითებდა თავის რეცენზიაში ამ წიგნზე, „...სხვა ენათა გრამატიკის ანალიზისას არ გეჭონია ასეთი გამოწველივითი გარჩევა ლექსიკისაო“.

ანალოგიური ხასიათის გამოკვლევა ლექსიკის თვალსაზრისით წარმოადგინა ბ-ნმა დავითმაც. მან სტაგიაში „ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერებისათვის პანკისის ქისტურში“ (იკე, XI, 1959) წამოაყენა მნიშვნელოვანი დებულება: ქისტურში შემოსული სიტყვები ქართულიდან ექვემდებარება მოცემული თქმისა და ჩაჩნური ენის ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ სისტემებს.

სხვაეც არაერთი საყურადღებო ნაშრომი შექმნა ბ-ნმა დავითმა ნახურ ენათა ფონეტიკასა, მორფოლოგიასა თუ სინტაქსში (მაგ, „ერგატივის წარმოების ისტორიისათვის ნახურ (ჩაჩნური) ჯგუფის ენებში“, იკე, XII, 1960; „ხმოვანთა ასიმილაციის ზოგი სახე ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენებში“ იკე, XIII, 1963). ამ ნაშრომთა ერთგვარ განზოგადებას წარმოადგენდა მისი მონოგრაფია „ნახური ჯგუფის ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (თბ., 1974), რომლისთვისაც გამოყენებული ჰქონდა „...საკუთარი მასალები, შეკრებილი წლების განმავლობაში ადგილზე ნახურ ენათა ჯგუფის ენებისა და მათი დიალექტების შესწავლისას“ (გვ. 6). ...ეს ნაშრომი მას ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც „ნახური ჯგუფის ენათა შედარებითი გრამატიკის“ I ნაწილი.

ვაგლახ, რომ ვერ დასცალდა ბ-ნ დავითს შენაპირების ასრულება. არადა, მონაკვეთები ამ გრამატიკისა მას დამუშავებული ჰქონდა: „ერგატივის წარმოება ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენებში“ (იკე, XII, 1960), „თურმეობითები ქისტური ჯგუფის ენებში“ (იკე, VI), „დროული მიმდევრობის ფორმანგთა გენეზისისათვის ქისტურ ენებში“ (იკე, V, 1953), „სტატიკური მზნები ნახური ჯგუფის ენებში“ (იკე, XVIII, 1973), „ასპექტისა და დროთა წარმოების ისტორიული ურთიერთობისათვის ნახური ჯგუფის ენებში“ (იკე, XIX, 1974), „დროთა წარმოების სისტემა ნახური ჯგუფის ენებში“ (იკე, XXI, 1979), „გარდამავლობისა და პოტენციალისის წარმოების შესახებ ნახურ ენათა ნასახელარ მზნებში“ (იკეწ, IV), „დროთა წარმოების სისტემა ნახური ჯგუფის ენათა თავისებური უღელილების მზნებში“ (იკეწ, III...) და სხვ. მამსადადამე, თითქოსდა უნდა ჰქონოდა ეს მეორე ნაწილი გამზადებული ბ-ნ დავითს, მაგრამ იგი მის ნაწერებში არ აღმოჩნდა.

ბ-ნი დავითი სამეცნიერო წრეებში ცნობილი ვახლდათ, აგრეთვე, როგორც დაღესტნურ ენათა ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი. არას ვამბობთ დ.

იმნაიშვილის ცალკეულ გამოკვლევებზე, რომლებშიც დიდოურ ენათა ფონეტიკურისა თუ მორფოლოგიისა სხვადასხვა საკითხია განხილული, მაგრამ ისეთი კაპიტალური მონოგრაფიის შესახებ, „დიდოური ენა ჰინუხურ და ხვარშიულ ენებთან შედარებით“ რომაა, რომელიც მისი სალოქორო დისერტაციის გახლდათ, ორიოდ სიტყვა რომ არ ითქვას, არ ეგების.

ი. გიულდენშტედტისეული დიდოური ლექსიკის ნიმუშებიდან ამ წიგნის შექმნამდე არაერთ მკვლევარს შეუსწავლია დიდოური ენები. რ. ერკერტის, ა. ღირისი, ი. მეგრელაძის, გ. გულაეას, ე. ლომთაძის ნაშრომებში, განსაკუთრებით კი ე. ბოკარევის მონოგრაფიაში „დალესტის ცეზური (დიდოური) ენები“, ვრცელი მასალაა კვლევის საგანი, მაგრამ მაინც, მის მონოგრაფიაში, როგორადაც ამას ბრძანებს წიგნის რედაქტორი არნ. ჩიქობავა, „მოცემულია სრული ანალიზი დიდოური ენის გრამატიკული სისტემისა, თანაც ხვარშიულ და ჰინუხურ პარალელებთან ერთად, იმავე დროს გათვალისწინებულია ყველა დიალექტისა თუ თქმის ჩვენებანიო“ (გვ. V).

ჩვენ აღვნიშნავთ ზოგ დებულებას ამ მონოგრაფიიდან:

ერგ. ერთ-ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში შეიძლება შემდეგი გზით იყოს მიღებული: თანდებულიანი ფორმა (კერძოდ, თანდებული, რომელიც გამოხატავდა შეთავსებას...) – ინსტრუმენტალისი – ერვატივი.

და დასძენს: „მოცემული ფორმულა საჭიროა შემოწმდეს რიგი იბერიულ-კავკასიური ენის მასალაზე“. (გვ. 136).

ან კიდევ: გარდამავალი გზის ფუძის ნეიტრალურობის მაჩვენებელი კონსტრუქციის ლაბილურობა... თუმცა გარდამავალგზისანი კონსტრუქცია დიდოურ, ჰინუხურსა და ხვარშიულ ენებში უფრო სტაბილურია, ვიდრე, მაგალითად, ხუნძურში (გვ. 157)...

კონსტრუქციის ლაბილურობა ამ ენებში უკეთ ჩანს, თუ შეეუპირისპირებთ ერთმანეთს გზის ერთგვისა და მრავალგზის ფორმებს: გზის ერთგვისი სახე აწარმოებს ჩვეულებრივ ერგ. კონსტრუქციას, ხოლო მრავალგზისი სახის დროს რეალური სუბიექტი სახელობითშია, ხოლო რეალური ობიექტი საერთოდ არ არის (გვ. 257)...

ეს დაკვირვება საინტერესო პარალელურს აჩენს ლაკურსა და მეგრულში, სვანურში.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ვეჭვობთ, ჩანს, ბნ დავითის ინტერესთა სფერო... მის მიერ წამოყენებულ დებულებათა მნიშვნელობა საერთოდ, კერძოდ კი, იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებისათვის... ბნ დავითი უკვე სახელმძღვანელო მუცნიერი გახლდათ, როცა თავისი კადრების აღრიცხვის ფურცელში, ბარათის გრაფიაში „რა მეცნიერული შრომები გაქვთ“, მოკლედ პასუხობდა: მაქვს სამეცნიერო შრომებიო.

ამ მეტად ძუნწი ფრაზის უკან იმალებოდა ბნ დავითის 5 ათეულზე მეტი შრომა, დაბეჭდილი მამინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გამოცემაში, მრავალგზის მონაწილეობა სხვადასხვა რანგისა და ხასიათის სამეცნიერ-

რო სესიებში...

ბ-ნი დავითს გარდაცვალებიდან 70 წლისთავეზე ვწერდით:

თვითონ უპრეგენზიო ცხოვრებაში მეცნიერებისთვის მთლიანად შეწირული გახლდათ; აქ იგი ანთებული და მუდამ მომართული იყო. მუდამეამს ზრუნავდა თავის ახალგაზრდა კოლეგებზე, განსაკუთრებულად ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან ჩამოსულ თავის ასპირანტებსა თუ უბრალოდ სტუმრად ჩამოსულებზე. ბატონ დავითის არც თუ დიდი ბინა მათთვის საკუთარი ხლებოდა. თავისი გულის სითბოს ყველას უზიარებდა; ამიგომაც წერდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი ბატონ დავითის გარდაცვალების გამო: „დ. იმნაიშვილს უყვარდა ჩეჩნეთ-ინგუშეთი, როგორც ჭემშარიგ მეგობარს, გული შეტკიოდა მასზე. ის გახლდათ არა მარტო ერთი აქტიურთაგანი იმათ შორის, ვინც მყარ საფუძველს უყრიდა ჩვენში სამეცნიერო კადრების მომზადებას, არამედ ის, ვინც სიყვარულით მთრთოლვარე გულით, მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ზრდიდა ნახურ ენათა სპეციალისტებს, რითაც ცდილობდა აღემართა ენათმეცნიერების მყარი შენობა ჩეჩნეთ-ინგუშეთში.“

არასოდეს დაგვაიწყლება მისი ხშირი სტუმრობა ჩეჩნეთ-ინგუშეთში. იგი ჩამოდიოდა არა მარტო ენობრივი მასალის შესაკრებად, არამედ იმისთვისაც, რომ ჩვენ გვესწავლა მისგან და ჩვენც ვსწავლობდით, ვსწავლობდით არა მარტო ენის შესახებ მეცნიერების სიყვარულს, არამედ უპირველესად ვსწავლობდით იმ მეცნიერების სამსახურს, რომლის გამოც იგი უშურველად არ მოგაედა თავის თავს.

ბევრი რამ გააკეთა დ. იმნაიშვილმა ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად. მან აღზარდა ორი მეცნიერებათა დოქტორი, ათზე მეტი – კანდიდატი. რესპუბლიკაში არაა ნახურ ენათა არც ერთი ისეთი სპეციალისტი, რომელსაც თავის თავზე არ გამოეცადა მისი კეთილმობილური გავლენა, რომელიც არ იყო მისგან დავალებული მეცნიერების გზაზე დაყენებით“.

დავსძენდით, ბატონმა დავითმა ჩეჩნეთ-ინგუშეთს სამი მეცნიერებათა დოქტორი აღუზარდა: ერთმა მისმა მოსწავლემ, ვახა თიმაევემა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სადოქტორო დისერტაციების ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს (რომლის წევრიც თავის დროზე დ. იმნაიშვილიც გახლდათ) სხდომაზე ახლახანს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. დისერტანტმა მადლიერებით კიდევ ერთხელ გაიხსენა თავისი ძვირფასი მასწავლებელი.

დ. იმნაიშვილისა უსაზღვროდ მაღლობელია ყველა, ვისაც მასთან რაიმე მეცნიერული კონტაქტი ჰქონია. აქ უმჯობესია მოუესმინოთ რამდენსამე მათგანს. გაზეთ „კომუნისტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აი, რას წერდნენ გროზნოელი ენათმეცნიერები 1891 წელს:

ლიდა მალსაგოვა (ჩაჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე): „შეიძლება არც

დაიჯეროთ, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განეაცხადო — პირადად მე აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასა და პროფესორ დავით იმნაიშვილის კონსულტაციებმა მეერად მეტი მომცა, ვიდრე ყველა იმ სახელმძღვანელომ, რომლებიც მე მანამდე მქონდა წაკითხული.”

იბრაგიმ ალიროევი (ჩაჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „ჩემთვის ძვირფასია ჩიქობავას, იმნაიშვილისა და სხვათა სახელები.”

ვახა თიშაევი (იმავე უნივერსიტეტის ვაინახური ფილოლოგიის კათედრის გამგე): „მე გახლდით პროფესორ დავით იმნაიშვილის პირველი ასპირანტი. მას გულწრფელად უყვარდა ჩაჩნეთ-ინგუშეთი, ეს იყო ერთი პირველთაგანი, ვინაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ეროვნული სამეცნიერო კვრების მომზადებას. იგი ხშირად ჩამოდიოდა ჩვენს რესპუბლიკაში მასალების შესაკრებად. ყოველი მისი ჩამოსვლა ძვირფასი იყო ჩვენთვის. მისგან ვსწავლობდით როგორც მეცნიერების საფუძვლებს, ისე იმასაც, თუ როგორ უნდა უერთგულო მეცნიერებას, რომელსაც ასე თავდადებით ემსახურებოდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე”.

თამარ ვაგაპოევა (იმავე უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი): „თბილისში სამი წელი დაყავი, ასპირანტურის კურსი იქ გავიარე. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი დავით იმნაიშვილი. სხვებთან ერთად მეც უზომოდ დამწყვდა გული ამ ბრწყინვალე მოქალაქისა და მეცნიერის უდროოდ გარდაცვალებამ.”

აი, ასე გამოეხმაურნენ ბ-ნ დავითის გარდაცვალებას ჩვენი ჩეჩენ-ინგუში მეგობრები.

და „აი, ახლა, კელაე მახსენდება 1984 წელი... ბ-ნ დავითს მაშინ 70 წელი შეუსრულდებოდა... წინასწარ შევატყობინეთ რაიონის ხელმძღვანელობას, რომ ხსოვნის დღეს ლანჩხუთს ვეწვეოდით, საიდანაც მუხუთში უნდა წავსულიყავით. ამასთან დაკავშირებით მივწერე ადგილობრივი გაზეთის რედაქტორს, პატარა ნარკვევიც ვაახელი ბ-ნი დავითის შესახებ და ჩემი ბარათიცა და ნარკვევიც დაბეჭდილი დაგვხვდა.¹ გაზეთი იტყობინებოდა:

„10 აპრილს ჩვენი დედაქალაქიდან წერილი მოვიდა რედაქციაში. აი, მისი შინაარსი:

თქვენი რაიონის მკვიდრს, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოფილ თანამშრომელს, ფილ. მეც. დოქტორს დავით იმნაიშვილს ა. წ. 18 მარტს დაბადების 70 შეუსრულდებოდა. იგი გარდაიცვალა 1978 წელს, დაკრძალულია სოფ. მუხუთში.

1. იხ. ჩვენი „კვალი ნათელი“. — გამ. „კომუნისტური შრომა, № 45, ლანჩხუთი, 1984.

ჩვენი ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ, ღირეციისა და პროფკომიტეტთან ერთად გადაწყვიტა 14 აპრილს, როცა მთელი საქართველო აღნიშნავს ხსოვნის დღეს, მოინახულოს ბ-ნი დაეითის საფლავი სოფ. მუხუთში, მიაგოს მის ნათელ ხსოვნას პატივი.

ამათთან დაკავშირებით გაახლებთ მცირე ნარკვევს ბ-ნი დაეითის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თაობაზე. ვფიქრობთ, რაიონის ახალგაზრდობისათვის, და არა მარტო მათთვის, ურიგო არ იქნება კიდევ ერთხელ გაიხსენონ მათი რაიონის ერთ-ერთი სახელოვანი მკვიდრი. მოგვხსენებათ, შოთას ბრძნულად თქმული: არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიბაშს ზიანსო”.

14 აპრილს ლანჩხუთელები დაგვხვდნენ... შეხვედრა, ჩანს, ორგანიზებული იყო... მიგვიღეს კარგად მუხუთშიც... ბ-ნი დაეითის საფლავი მოეღილი იყო... მოვიგონეთ, მის სახელს პატივი მივაგეთ და უკან დაბრუნებულებმა ჩამოსვლისას გავიგეთ, რომ ბ-ნი არნოლდი ძალიან გაჯაერებულა ჩვენს „ექსკურსიაზე“. ასე უწოდა მან ჩვენს სვლას მუხუთისკენ. იმ დროს ჩვენს ერთ-ერთ კოლეგას გარდაეცვალა მამა, ფრიალ პატიესაყეში კაცი. ლანჩხუთში გამგზავრების წინ მივუსამძიმრეთ კოლეგას, აუხსენით ჩვენი წასვლის მიზეზიც და ასე წავედით... როგორ მიუტანეს ეს ჩვენი გამგზავრება ბ-ნი არნოლდს, არ ვიცი, მაგრამ ჩამოსვლისას ბ-ნი გ. სიხარულიძეს მოუწია ბ-ნი არნოლდთან გასაუბრება და მოუყოლია ბ-ნი გარიელს ყოველივე... გამეთიცი აჩვენა... როცა ვუყვებოდი საფლავზე გასვლასა თუ სკოლაში ჩვენს მისულაზე და იქაურ პერიპეტიებს, თვალებზე ცრემლი შევნიშნე, – მითხრა მაშინ გარიელმა. თბილად ახსენა ეს მგზავრობა ბ-ნი არნოლდმა ჩვენთანაც ცოტა მოგვიანებით. დიახ, მიხვდა მაშინ ბ-ნი არნოლდი, რომ საჭირო იყო ასეთი „ექსკურსია“ ... თუნდაც იმათთვის, ვინაც არ იყო . . .

ასეთი „ექსკურსიის“ ჩატარება დღეს მართლაც ჭირს... „ვეების მომავალში შეუძლოთ... მე მთელი ჩვენი განყოფილებისა და ბ-ნი გენადის დიდი მადლობელი ვარ, რომ შედგა იგი დღეს აქ... ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან გაუსვლელად..

10 წელზე მეტი გავიდა ამ პირველი „ექსკურსიიდან“ და კვლავ ჩამესმის ერთი ხნიერი, შავკაბიანი მანდილოსნის ნათქვამი, მე რომ მომმართა: შეილო, დათიკო თქვენ გააცოცხლეთ, გააცოცხლეთ“...

ვფიქრობ, ბ-ნი დაეითი კვლავ გაგვიცოცხლდა დღეს... მოგვხედავს ისევ და ერთხელ ბ-ნი როსტომ ფასეულიძეს რომ ასწავლა კითხვაზე, როგორ მოვიქცეთ, გვეტყვის: ყველას მოუსმინე– მაგრამ შენ რომ გრძნობ და ფიქრობ, ისე გააკეთეო.

სამწუხაროდ, ისე გააკეთე, შენ რომ გრძნობ, ჩანს, არ გვექონდა გათვითცნობიერებული, თორემ არაერთი ჩვენი სახელოვანი წინაპარი, ჩვენს გვერდით რომ მოღვაწეობდა და ცხოვრობდა, ისე არ წავიდოდა, როგორც წავიდა – თითქოსდა, ჩვენგან დაუნახავი.

არადა, ვხედავდით, ვუსმენდით, ვკითხულობდით... გარდაცვალების შემდეგ ვეუბნებით იმას, რაც სიცოცხლეში მისთვის ერთხელაც რომ გვეთქვა, შეიძლება მას სიცოცხლე გახანგრძლივებოდა კიდევ... ამას ვამბობდით კიდევ-

დღევანდელმა დღემ დაგვანახა, რაოდენ ჩინებული მკვლევარი დაგვიკარგავს... დღევანდელმა დღემ ისიც უნდა მიგვანიშნოს, ჩვენს გვერდში რომ დღესაც მოღვაწეობენ და ჩვეულებისამებრ ვხვდებით, გამორჩეულნი არიან თავიანთ სამეცნიერო მოღვაწეობით... ეგების, დღევანდელმა დღემ ისიც დაგვანახოს, თუ რაოდენ საჭიროა არა მარტო გარდაცვალების სათანადოდ გახსენება, არამედ იმათი დანახეაც, ცოცხლები რომ არიან, და ჩვენდა გასახარად, ახლაც მოღვაწეობენ ჩვენს გვერდში... ნუ დაგვაგვიანდება მაღლობის თქმა მათთვის, ვინაც ეს უცილობლად დაიმსახურა თავისი მრავალწლოვანი მოღვაწეობით ჩვენს ინსტიტუტსა თუ მის გარეთ...

აი, ესეც რომ მათქმევინეთ, ბ-ნ დავით, ამისთვისაც გმაღლობთ².

— კ —

იბერიულ-კავკასიურ ენათა მესაიდუმლე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორს ოგია კახაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ოგია კახაძემ გყიბულის საშუალო სკოლა 1936 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სკოლის წლებში ქვანახშირის მაღაროებშიც მუშაობდა სამთო ოსტატად და იქვე დაამთავრა სამთო-სამრეწველო კურსები. შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი მეორე მსოფლიო ომის დაწყებას დაემთხვა და 1941 წლის შემოდგომაზე მეხუთე კურსის სტუდენტი ოგია კახაძე მოქმედ არმიამი გაიწვიეს. 1941-1942 წლებში ქერჩში იბრძოდა. შემდგომ კი, როგორც ქვანახშირის მრეწველობის ყოფილი მუშაკი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანების შესაბამისად მოქმედი არმიიდან 1942-1944 წლებში საქართველოში ბრუნდება და მუშაობს გყიბულის საწარმოებში. ამიგომაც იყო, რომ ოგია კახაძემ უნივერსიტეტი გვიან, 1945 წელს დაასრულა. რომ არა 1944 წელს მისი მასწავლებლების არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას მიწერილი წერილები, სადაც სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში დაბრუნებას ურჩევდნენ, ვინ იცის, გყიბულელი ტექნიკური უსაფრთხოების ცვლის ოსტატი, პარალელურად რუსულსაც რომ ასწავლიდა საშუალო სკოლაში, იქნებ მხოლოდ ამით შემოფარგლულიყო.

2 მოხსენდა დავით იმნაიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას (მოხსენება სათაურით: „დავით იმნაიშვილი – იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი“) 1994 წლის 8 ნოემბერს.

პროფესორ არნოლდ ჩიქობავას, ჩანს, სტუდენტობიდანვე ახსოვდა და მოსწონდა თავისი ბეჯითი სტუდენტი. ოგია კახაძის პირველი მოხსენება „ოკრიბულის ზოგი თავისებურებანი“ 1941 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაშუშავდა. ნაშრომი შემდგომ მოგვიანებით გამოქვეყნდა. 1945-1948 წლებში სწავლა ასპირანტურაში განაგრძო, 1948 წელსვე ენის მაშინდელი ინსტიტუტის (ამჟამად არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად იწყებს მუშაობას.

1949 წელს ოგია კახაძე იყავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „პურეულის ლექსიკა ქართულში“. ნაშრომი 1987 წელს გადაშუშავებული სახით ცალკე წიგნად გამოვიდა.

1951 წელს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიის თავმჯდომარემ და ამავე ლექსიკონის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ ახალგაზრდა ოგია კახაძეს მეტად საპასუხისმგებლო დავალება მიანდო: მას სიმონ ვაჩნაძესთან ერთად უნდა ერედაქტორა ლექსიკონის მე-2 ტომისათვის და გამოსაცემადაც მოემზადებინა (ტომი დაიბეჭდა 1958 წელს). ამ რვატომეული ლექსიკონის გამოცემა 1964 წელს დასრულდა. ეს იყო ქართული ფილოლოგიის მეცნიერების ნამდვილი გამარჯვება – შეიქმნა და გამოიცა დიდი ეროვნული საუნჯე, რომელსაც ცნობილმა ნორვეგიელმა ქართველოლოგმა პანს ფოგტმა უწოდა „ბეგლი აღმართული ენისა და მისი ბეგლი, ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მომზადებამ და გამოცემამ ორი ათეული წელი მოითხოვა, ამან ქართველ კავკასიოლოგთაგან ყველაზე უფრო, თუ არ ჩავთვლით მთავარ რედაქტორს, ოგია კახაძე „დააბარალა“. მეორე ტომიდან მოყოლებული ბოლო ტომის გამოცემამდე იგი უშუალოდ მონაწილეობდა ლექსიკოლოგიის განყოფილების ამ სამვილითწილილო საქმიანობაში. ამიგომაც იყო, რომ მას სიმონ ვაჩნაძესთან ერთად, როგორც ლექსიკონის მეხუთე ტომის რედაქტორს, სხვა რედაქტორ-შემდგენლებთან ერთად, 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მართალია, ოგია კახაძე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში მხოლოდ 1962 წლიდან მუშაობს, მაგრამ, არნოლდ ჩიქობავას წინააღიდეგობით, იგი ჯერ კიდევ 1951 წელს ადგილზე იწყებს დალესტნის ერთ-ერთ საინტერესო ერთაულიანი ენის – არჩიბულის – შესწავლას, სადაც შემდეგაც წლების მანძილზე სისტემატურად სწავლობდა და იკვლევდა არჩიბის სხვადასხვა უბნების მცხოვრებთა მეტყველებას. ასე შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფია „არჩიბული ენა და მისი ადგილი დალესტნის მონათესავე ენათა შორის“ – მისი სადოქტორო დისერტაცია. ეს სქელტანიანი გამოკვლევა 1979 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა.

ამავე დროს მისი გამოკვლევების შესანიშნავი ციკლი მზადდება თანხმობითა ერთი სპეციფიკური კლასის შესახებ: „ლატერალური თანხმობენობი არჩიბულში“ (1958 წ.), „მოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმობენობის შესახებ“ (1959 წ.) და სხვა. ცნობილი ფრანგი ბასკოლოგი და კავკასიოლოგი რენე ლაფონი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ტომებისადმი მიძღვნილ თავის რეცენზიებში საგანგებოდ გამოყოფს ოგია კახაძის ამ შრომებს. მეცნიერმა შექმნა ასზე მეტი ნაშრომი მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველურ ენათა დიალექტების, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის შესახებ.

1981 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“ (ტ. VIII) დაიბეჭდა მისი მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევა „ხმოვანთა ასიმილაციის მოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში“.

ოგია კახაძე კარგა ხანია კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების ქართულსა და რუსულ სექტორებზე. აწ მას აბარია საენათმეცნიერო კურსები – „ლემგიური ენის გრამატიკა“ და „ლემგიურ ენათა შედარებითი გრამატიკა“. ამდენად, მისი კვლევის სფეროში ახალი თემატიკა, ახალი მასალა შემოვიდა, რომლის ანალიზის შედეგად შეიქმნა ისეთი გამოკვლევები, როგორცაა: „ნაცვალსახელური წარმოშობის ერთი რიგის სუფიქსების თაობაზე ლემგიურ ენაში“ (იკეწ, XVII); „ლაბიალიზებული კომპლექსისა და Φ ბგერის თაობაზე ლემგიურ ენებში“ (იკეწ. XVIII–XIX); „გრამატიკული კლასების თაობაზე ლემგიურ ენებში“ და სხვ. სწორედ ეს უკანასკნელი გაერცობილი სახით ცალკე წიგნად – „გრამატიკული კლასები ლემგიურ ენებში“ – 1984 წელს დაიბეჭდა. ეს არის ისტორიულ-შედარებითი ხასიათის გამოკვლევა, რომელიც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთერთ ძირითად მორფოლოგიურ კატეგორიას ეძღვნება, რაც დღეს სწორედ ლემგიურ ენებში მომლის გზაზეა და, ამდენად, მისი ისტორიის კვლევა მოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოც არის და მნიშვნელოვანიც.

ამ ბოლო დროს ოგია კახაძემ კრებულში „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული გერმინოლოგია“ (1993 წ.) გამოაქვეყნა საყურადღებო სტატიები გერმინ „ევრისისა“ და „აფხაზ-/აფხაზა“ ფუძის შესახებ. ასე რომ, ჭარმაგი იუბილარი თავისი დაბადების 80 წლისთავს ხელხეარეულად ხვდება. იშვიათია ენათმეცნიერების ინსტიტუტსა თუ უნივერსიტეტში ჩატარებული სესია, რომ მან თავისი ახალი ნააზრევი არ წარმოადგინოს.

ოგია კახაძეს სამოგადობრივი და სამეცნიერო რეგალიები არ აკლია: იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ერთი პირველი ლაურეატთაგანი, საერთაშორისო ჟურნალის „იბერიულ-კავკა-

სიური ენათმეცნიერების წელიწდეულის” სარედაქციო კოლეგიის წევრი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალოქორო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი და სხვ. მაგრამ ყველაზე მთავარი ის სიყვარულია, რასაც მის მიმართ მის გვერდში მყოფნი გრძნობენ. ამიტომაც გვსურს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ მას. ჩვენი ღრმა რწმენით, მისი შრომები საპატიო ადგილს დაიჭერს იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორიაში.¹

მინაწერი: გამოსათხოვარი

ამ ხუთი წლის წინ, ბ-ნ ოგიას დაბადებიდან 80 წელი რომ შეუსრულდა, ბ-ნმა გურამ თოფურიამ და მე ბ-ნ ოგიას წერილი სათაურით „იბერიულ-კავკასიურ ენათა მესაიდუმლე“ მიუძღვენით... წერილს რომ ვამზადებდით, ქ-ნ მაყვალას მიემართეთ რამდენიმე დეკალის დასამუსგებლად ბ-ნ ოგიას ბიოგრაფიიდან... ქ-ნი მაყვალა გულუხვი აღმოჩნდა: 6 გვერდზე ჩამოწერილი „მასალები ოგია კახაძის ბიოგრაფიისთვის“ მოგვართვა... წერილი უკვე გადაცემული იყო რედაქციაში დასაბეჭდად და ეს მოეახსენე ქ-ნ მაყვალას: მან ბრძანა: სხვა დროს გამოგადგებათო...

და „გამოგვადგა“; დღეს მხოლოდ ამ მონათხრობის დასაწყისს ჩაეკითხავ: ბ-ნი ოგია „დაიბადა 1918 წ. 28 მარტს ქ. ტყიბულში. 1920 წლის შემოდგომაზე მშობლებს მიჰყავთ საცხოვრებლად კვარცხანაში, რომელიც მაშინ საქართველოს შემადგენლობაში იყო, შემდეგ კი (1921 წელს) გადავიდა თურქეთის მფლობელობაში, ასე აღმოჩნდნენ სამღვარეულოთ. იქ მამამისი მუშაობდა სიმენსის ცნობილი ფირმის ერთ-ერთ საწარმოში ეკონომისტად. როცა სასკოლო ასაკისა გახდა, ფირმის ხელმძღვანელობამ მშობლებს შესთავაზა – ბავშვს სასწავლებლად გაგიგზავნით გინდ პარიზში, გინდ სტამბულში (კონსტანტინეპოლში), გინდა გრაპიზონში, სადაც ისურვებთო. მშობლებმა ითათბირეს: ბავშვს სამშობლოს ვერ დაუქარგავთო და 1927 წელს დაბრუნდნენ საქართველოში...

1928 წელს მესამე კლასში ჩარიცხეს ხონის საშუალო სკოლაში (სხვათა შორის, გენადი ბატონო, ამავე სკოლის პირველ კლასში ვსწავლობდი მეც და ორივე ერთად დავესწარით ილიკო ქურხულის მიერ გამართულ კონცერტს – გავიდა ამის შემდეგ 16 წელი და კვლავ შევხვდით ერთმანეთს ქ. ტყიბულში და დავექორწინდით კიდევ 1950 წელს) – აი, ესაა ამონარიდი ამ ბარათიდან.

1. (გ. თოფურიასთან ერთად). გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12. XI, № 294, 1998. აქედან გადაბეჭდილია ქ. ტყიბულის „ოკრიბაში“, № 6 (32), ტყიბული, 1998.

1936 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო თსუ-ში... სწავლის პერიოდში დაიწყო II მსოფლიო ომი, იგი მოქმედ არმი-
აშია და 1944 წელს ბრუნდება შინ. აქ იწყებს გყიბულში სხვადასხვა საწარ-
მოში მუშაობას... მასწავლებლები, ბ-ნი არნოლდი და ბ-ნი ვარლამი, არ
იფიწყებენ მას (სხვათა შორის, I მოხსენება, სტუდენტობისას რომ წაიკითხა
1941 წ., „ოკრიბულის ზოგ თავისებურებას ეხებოდა, დაიბეჭდა შემდეგ
მოხსენების სახით)... ბ-ნი ოგია ამთავრებს თსუ-ს, შემდეგ ასპირანტურას
და იწყებს მუშაობას ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამ-
შრომლად

1951 წელს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიის თავმჯ-
დომარემ და ამავე ლექსიკონის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა
არნოლდ ჩიქობავამ ახალგაზრდა ოგია კახაძეს მეტად საპასუხისმგებლო
დაეალება მიანდო: მას სიმონ ვაჩნაძესთან ერთად უნდა ერედაქტორა
ლექსიკონის მე-5 ტომისათვის და გამოსაცემადაც მოემზადებინა (ტომი დაიბე-
ჭდა 1958 წელს). ამ რეაგომეული ლექსიკონის გამოცემა 1964 წელს დას-
რულდა. ეს იყო ქართული ფილოლოგიის მეცნიერების ნამდვილი გამარ-
ჯვება-შეიქმნა და გამოიცა დიდი ეროვნული საუნჯე.

არას მოგახსენებთ ბ-ნ ოგიას სხვა პირველხარისხოვან შრომაზე მთის
იბერიულ-კავკასიურ ენებზე; ცალკეულ მათგანს, მაგალითად, ლატერალების
შესახებ, გამოკვლევებს უცხოელი მეკვლევარებიც კი იცნობენ და საგანგე-
ბოდაც აღნიშნავენ (რენე ლაფონი)... იმ მონოგრაფიის გარდა, ბ-ნმა ოგიამ
დაბეჭდა „გრამატიკული კლასები ლებგიურ ენებში“ (1984). მან ამ წიგნის
გარდა, დასტამბა „პურეულის ლექსიკა ქართულში (1987 წ.).

ბ-ნმა ოგიამ ჩამოაყალიბა და ლექციებს კითხულობდა „ლებგიური ენის
გრამატიკასა“ და „ლებგიური ენის შედარებითი გრამატიკაში“. ეს კურსები
მას სიყოცხლის უკანასკნელ დღემდე მიჰყავდა... უკანასკნელ დღემდე, რომ
ვამბობ, პირდაპირი მნისუნელობით ეხმარობ. ბ-ნ ოგიას გარდაცვალების
დროს თსუ-ში ვიყავი, ქ-ნმა ნ. იოსავამ მითხრა, ბ-ნ ოგიას ლექცია არა-
სოდეს არ გაუცდენია, დღეს არ ჩანს და, თუ ენათმეცნიერების ინსტიტუტში
ნახავთ, გადაეცით, საასპირანტო მისაღები გამოცდები 29-30 ოქტომბერსაა
და მობრძანდესო... უნივერსიტეტიდან ინსტიტუტში მოსულს კი ეს ამბავი
დამხვდა. პირველად ეს ამბავი მაინო ქ-ნმა მანანა ტაბიძემ, გუშინწინ რომ
მშეენიერად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და რასაც, ბ-ნ ოგია უთუოდ
აღნიშნავდა კიდევ, ცოცხალი რომ ბრძანებულებიყო... ჩვევად ჰქონდა, ასე.

ახლაც თვალწინ მიდგას სატელევიზიო ეთერში დაფიქსირებული ბ-ნი
ოგიასა და ქ-ნი მაყვალას გადაღლილი, გატანჯული მაგრამ მაინც იმედი-
ანი სახეები ჩვენი გამწარებული ყოფის ფონზე... გადაიღალენ... ქ-ნმა მაყ-
ვალამ თითქოსდა უღალატა ბ-ნ ოგიას... ადრე წავიდა... მიაშურა სულეთს,
მაგრამ ბ-ნ ოგიას დაღლილმა გულმა, რომელიც, ალბათ, ბევრს საფიქრალს
იკევედა, ვერ გაუძლო და ინება იმ ქვეყნად წაბრძანება... თქვენთან წამოვი-

და, ქ-ნო მაყვალა... მანდ, მჯერა, თქვენთან მოვიდა. მან დაგოვა ბ-ნი კარლო... ვაეი... რომელზეც დღენიადაგ ზრუნადა და ფიქრობდა. მიგვაგოვა ჩვენს, მისი თანამეგობრები, უმცროსი და სულ ახლახან მეცნიერებაში შემობიჯებული უმცროსი თაობა... მერედა, რა ყურადღებიანი გახლდათ მათ მიმართ... ჩვენს საბჭოს სხდომებზე იგი წინ იჯდა, მუდამ ყურადღებაგამახვილებული და ნაშრომს აფასებდა ობიექტურად, თანაც ამ დროს გულუხვი გახლდათ... ერთი მათგანი მეც გახლდით, მისგან ყურადღება არასოდეს გვაკლდა. ვაი რომ, ასეთები გვეყლებიან ხელიდან... გათითოკაცდნენ... ჩვენ ვიძარცვებით, თვითონ კი... ბ-ნი ოგიას – დიდი მეცნიერის, მასწავლებლისა და მოქალაქის სახეს მომაეალი კიდევ უფრო წარმოაჩენს².

დიდი ადილელი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი

1998 წლის 21-24 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა აკად. არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. სწორედ სიმპოზიუმის დღეებში გახდა ცნობილი არნ. ჩიქობავას სახელობის პრემიის ახალ ლაურეატთა სახელები. მათ შორის გახლდათ ადილელი მანდილოსანი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი, პროფ. ბენიანო კერაში, რომელიც ამ აღიარებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, პროფესორი გენადი ბურჭულაძე მოგვითხრობს პირველ ადილელ ქალბატონზე, რომელსაც მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჩვენთან, თბილისში მიენიჭა.

გასულ წელს, 1998 წლის 19 თებერვალს, გარდაიცვალა გამოჩენილი ადილელი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, მასთან სათნო პიროვნება, პროფესორი ბენიანო კერაში (კერაშევა). მას 1998 წლის 24 იანვარს 75 წელი შეუსრულდა და ვერ მოესწრო მის საპატივცემულოდ გამართულ საიუბილეო სამეცნიერო სესიას, ქ. მაიკოპში რომ გაიმართა მოგვიანებით (ამ სესიაში მონაწილეობა მიიღო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, აფხაზურ-ადილურ ენათა ცნობილმა სპეციალისტმა, დოცენტმა ვ. შენგელიამ).

2. „გამოსათხოვარი“ სიტყვა პროფ. ო. კახაძის დაკრძალვის დღეს 2003 წ. ოქტომბერს, რომელიც წარმოთქვა გ. ბურჭულაძემ.

ქ-ნი ზეინაბი ვერც თავისი სათაყვანებელი მასწავლებლის, აკად. არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს მოესწრო. არა და, ამ საიუბილეო დღეებში ზ. კერაშს, სხვა სახელმწიფო მუშაკებთან ერთად, არნ. ჩიქობავას სახელობის პრემიის ლაურეატობა მიეკუთვნა (სიკვდილის შემდეგ). ეს ქ-ნი ზეინაბისათვის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქისათვის, ალბათ ყველაზე მაღალი ჯილდო იქნებოდა, ამ დღეს რომ მოსწრებოდა.

გვახსენდება არნ. ჩიქობავას თქმული: „არავის ძალუქს წაართვას მეცნიერს ის, რაც მან შექმნა ჰუმანიტარულად ღირებული, ობიექტურად მნიშვნელოვანი მეცნიერებაში. არავის ძალუქს მიაწეროს მეცნიერს დამსახურებები მეცნიერების წინაშე, როცა ისინი სინამდვილეში არ არსებობს. ადრე თუ გვიან ყველას მიეგება ის, რასაც იმსახურებს“.

თითქოს და, არნ ჩიქობავას ნათქვამის კიდევ ერთხელ შეხსენება ვახლდათ გასული წლის 24 აპრილს „კავკასიური სახლის“ მიერ მოწყობილი ხსოვნის საღამო, რომელზედაც შეიკრიბნენ ზ. კერაშის კოლეგები, ისინი, ვინც იცნობდნენ და ჰქონდათ მასთან უშუალო მეგობრობა თუ მეცნიერული კონტაქტები, მისი დიდი ნიჭის თავყვანისმცემლები. ქ-ნი ზეინაბი ხომ ჩვენთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე სწავლობდა 1946-1950 წლებში. შემდეგ მან აქვე განაგრძო სწავლა ასპირანტურაში და ჩვენთანვე დაიწყო საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ადილური ენის შაფსულური დიალექტის თავისებურებანი“ (შემდეგ მან იგი გამოცა ცალკე წიგნად 1957 წელს).

ამ საღამოს მიგვიწვიეს ჩვენც და, ბუნებრივია, ზოგმა მოგონებამაც იჩინა თავი.

სტუდენტობისას ლექციებს რომ ვიწერდი, რატომღაც ლექციის ჩატარების დღესაც ენისწაღი... ეს „პედანტობა“ ხშირად გამომდგომია კიდევ შემდეგ და აი, გადავხალე ჩემი ძველი „დავთარი“ (ლექციებს სქელ, ზოგჯერ საკანცელარო გიჟის საერთო რეუელში ვიწერდი ხოლმე) და ვკითხულობ, ლექციაზე „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში“ 1960 წლის 21 დეკემბერს ბ-ნ არნოლდს უბრძანებია: „ადილეს აო (მაიკოპი) ენის, ლიგურატურისა და ისტორიის კვლევით ინსტიტუტში მუშაობა წარმოებს ადილური ენის გრამატიკის შედგენაზე. ძირითადი მუშაკია ზეინაბ კერაში და პროფ. გ. როგავა, დამუშავდა ადილური ლექსიკონი (იბეჭდება)... (ამიგომაცაა, ალბათ, რომ ბატონ არნოლდს შემდეგ, ცალკე წიგნად 1965 წელს დასტამბულ სახელმძღვანელოში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, ლექსიკონის გამოცემის წლად 1961 წელი აწერია; არადა, ლექსიკონს 1960 წელი უმის გამოცემის თარიღად. იქვეა: გადაეცა ასაწყობად 1960, 3. III, ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 09. 1960); საილუსტრაციო გამოთქმები: „იგი განმარტებითი ლექსიკონის გიჟის შრომა“. ამ ლექსიკონის შედგენის პრინციპები კი შეუდგენიათ პროფ. გ. როგავასა და მაშინ ჯერ

კიდე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ზ. კერაშს არნ. ჩიქობავას მონაწილეობით, – წერია „ადილეური ენის განმარტებითი ლექსიკონის“ „შესავალში“.

„ადილეური ენის განმარტებით ლექსიკონში“, როგორც ამის შესახებ თავის წიგნში არნ. ჩიქობავა მოგვიანებით წერს, „სიტყვები თარგმნილია რუსულად; ერთვის საილუსტრაციო გამოთქმები (უთარგმნელად); მოცემულია ადილეური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი საგნების ჩანახატებით“ (გვ. 381).

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათათვის, ფაქტობრივ, ეს პირველი განმარტებითი ლექსიკონია, თანაც საკმაოდ ვრცელი – შეიცავს 696 გვერდს.

აქვე აღსანიშნავია, რომ იმავე წელს გამოქვეყნდა ვრცელი 1057 გვერდიანი „რუსულ-ადილეური ლექსიკონი“ (შემდგენელთა რიცხვი შეიღს აღწევს; რედაქტორია ხ. ყოდოედოკოვი), რომელსაც თან ახლავს ზ. კერაშის „ადილეური ენის მოკლე გრამატიკული ნარკვევი“.

„ადილეური ენის განმარტებით ლექსიკონში“ „მოცემულია ადილეური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი საგნების ჩანახატებით“, – ბ-ნ არნოლდი რომ ბრძანებს, ეს ცალკეა აღსანიშნავი; მხოლოდ ორიოდ ნიმუშზე მოვახსენებთ:

გვ. 12 ჩანახატია „საომარი, მეომრის ჯაფუნისა“, გვ. 15 „ქალის ვერცხლის ქამარია, სარტყელი“, გვ. 20 „ყანწია, საპირისწამლე“ – გვ. 144 მეტად საინტერესოა კაკლისაგან დამზადებული ალაში, მათრახი (მოლგი) და ქული... გვ. 161 სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია ჯორა „თამამობა“; იქვეა განმარტებული: „ადრე გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც ბაყაყი იწყებს ყიყინს, ბიჭები მინდორში კოცონს ანთებენ; ორკაპიან ჯოხს, გოგს მიამაგრებენ ჩალას, ნამჯას ისე, რომ ის ჯვარს გვაგონებს... მოუკიდებენ კოცონიდან ცეცხლს და ეს ანთებული ორკაპა ჯოხი ხელში უჭირავენ, გრიალებენ და თან დასძახიან „ჯორა“, „ჯორა“ – ე. ი. „ჯვარიო“. რა ბრწყინვალე ილუსტრაციას იმ ძველი ყოფისა, როცა ჯვარი და მასთან დაკავშირებული რიტუალი ადილელთათვისაც მახლობელი ყოფილა... და რამდენი ასეთი ეთნოგრაფიული თუ ზოგადკულტურული თვალსაზრისით საინტერესო მომენტი.

ამ ლექსიკონის შემდგენელები კი ა. ხაგანოვი და ზ. კერაში გახლდნენ. ქ-ნი შეინაბი ამის პარალელურად, ბ-ნ გიორგი როგავასთან ერთად „ადილეური ენის გრამატიკას“ ამუშავებდა. „გრამატიკა“ და „ადილეური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მთლიან წარმოდგენას ვეიქმნიან ადილეურ ენაზე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის ამ შრომათა მნიშვნელობა ძნელად შესაფასებელიაო, – ბრძანებდა არნ. ჩიქობავა, რომელიც „ადილეური ენის გრამატიკის“ რედაქტორი გახლდათ.

ეს წიგნი 1966 წელს გამოვიდა და მისმა ერთ-ერთმა ავტორმა, ქ-ნ გეინაბმა მისახსოვრა წარწერით: „კეთილსახსოვრად გ. ბურჭულაძეს“.

გასაგებია ჩემი სიხარული ამ წიგნითა და მასზე გაკეთებული წარწერით. მაშინ ჯერ კიდევ ასპირანტი ვახლდით...

მეორე წიგნი 1984 წ. მისახსოვრა: „საუკეთესო სურვილებით...“ ეს მონოგრაფია ჩვენთან, თბილისში დაიბეჭდა სათაურით „ფინიგურ და ინფინიგურზმნებთან წინადადებანი აღიღურ ენებში“. ეს წიგნი ფაქტიურად მისი სადოქტორო დისერტაცია ვახლდათ, რომელიც ქ-ნ ზეინაბმა ჩვენთან დაიცვა 1969 წელს – იგი იყო პირველი აღიღელი ქალი, მეცნიერებათა დოქტორი.

ამ წიგნში ზ. კერაშმა სინგაქსური კავშირის კიდევ ერთი სახე გამოყო – კოორდინაცია. ეს კი, როგორადაც ეს აღრევე დაადგინა პროფ. გ. როგავამ, აღიღური ზმნის პოლიპერსონალიზმითაა შეპირობებული და პირველად ქართულის მიმართ არნ. ჩიქობავამ წამოაყენა და დაამტკიცა.

ღირსეულმა მოსწავლემ თავისი დიდი მასწავლებლის თეორიის მართებულობა სხვა ენათა მიმართ რეალურად დაადასტურა.

როცა ქ-ნ ზეინაბს პირადად გავეყანი, იგი უკვე ცნობილი ენათმეცნიერი ვახლდათ, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა... საოცარი მოკრძალებული იყო – დიდთანაც და პატარასთანაც. ვხედებოდი მას თბილისში, მის მშობლიურ მაიკოჰსა თუ სხვა ქალაქებში, სადაც ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა რეგიონალური სესიები გარდებოდა.

მას ხშირად იწვევდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტში დისერტაციითა დაცვისას ოპონენტად. კარგად მახსოვს სოხუმელი ენათმეცნიერის, შოთა არისთავას მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვისას 1986 წელს ქ-ნ ზეინაბთან ერთად პროფ. მ. ციკოლია (ესეც სოხუმელი ენათმეცნიერი ვახლდათ) და მეც ვახლდით იმ დისერტაციის ოპონენტი.

შემომრჩა რამდენიმე ფოტო-სურათი, სადაც ქ-ნ ზეინაბთან ერთად ვართ... ერთი სურათი სოხუმში 1977 წელს მეშვიდე რეგიონალური სესიის დღეებშია გადაღებული... ეშერა... ბ-ნ არნოლდ ჩიქობავა და გ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიგურატურისა და ისტორიის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ძიძარია სხედან; დგანან ქ-ნი ზეინაბ კერაში, გენადი ბურჭულაძე და ჩერქეზი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი ქ-ნი თამარ ყუაშევა; ქ-ნი ზეინაბი ბერეგითაა, ოღნავ მომღიმარი იცქირება.

მომღიმარი მახსოვს ის მუდამ... მაშინაც, როცა ჩვეულებრივ პირად საკითხზე ვესაუბრებოდა, თუ წმინდა მეცნიერულზე... მავრამ ბოლო დროს, ქ-ნი ზეინაბი როცა გვესტუმრა 1991 წელს კავკასიოლოგთა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე, იგი თითქოს შემოთებული ჩანდა, თითქოს შეწუხებულიც იყო, როცა ხედავდა ჩვენს მაშინდელ ყოფას, მდგომარეობას. ყველაფერი აინგერესებდა, კითხულობდა... შემდეგ კი ქ-ნი ზეინაბი აღარ მინახავს...

რამდენიმე ოფიციალური ცნობაც:

ზ. კერაში 1974 წლიდან, დაარსების დღითგანვე, იყო საერთაშორისო

(მამინ საკაემირო) ეურნალის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ რედკოლეგიის წევრი; ეეროჲელ კავკასიოლოგთა საზოგადოების წევრი; მას მინიჭებული ჰქონდა რესეთის ფედერაციის დამსახურებული მოღვაწის წოდება; იყო ადილეს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აგრეთვე ყოველთა ჩერქეზთა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი...

ცხადია, მთელმა ადილელმა ხალხმა დაკარგა დიდი მეცნიერი და მოქალაქე, ჩვენ კი ამასთან ერთად საქართველოს ერთგული და მის საუკეთესო მერმისზე ჩაფიქრებული. აუნამღაურებული დანაკლისი განიცადა მთელმა ადილემ, მაგრამ არანაკლებ ჩვენ – ქნი ზეინაბი ხომ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ერთი წარჩინებული წარმომადგენელი გახლდათ.

„კავკასიის სახლში“ იმ დღეს ბევრმა გაიხსენა ქნი ზეინაბი... იხსენებდნენ გულისტკივილით, რომ მან დატოვა აქაური საუფლო, მაგრამ ხომ არსებობს ხალხის ხსონა... ადილელი (ჩერქეზი)ხალხი არასოდეს დაივიწყებს მას, ხოლო, ჩვენ, ქართველებს, მუდამ კეთილმოსაგონებლად გვექნება, რომ ამ ქვეყნად ცხოვრობდა ერთი ჩინებული მანდილოსანი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი, რომელსაც იდეალად (გარდა მეცნიერებისა და თავისი ხალხის სამსახურისა, რასაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა) ქართველი და აფხაზურ-ადიღური მოღვმის ხალხთა, ერთმანეთის გვერდიგვერდ დგომა ესახებოდა.¹

— ლ —

ქეთევან ლომთათიძე-70

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა გამორჩეულ მკვლევარს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფ. ქეთევან ბესარიონის ასულ ლომთათიძეს დაბადების 70 და სამეცნიერო-ჲედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

ქ. ლომთათიძე დაიბადა 1911 წ. 9 თებერვალს ჩოხაგაურის რაიონის სოფ. ხიდისთაეში, გლეხის ოჯახში; ჲირველდაწყებითი განათლება მიიღო ხიდისთავის შვიდწლიან შრომის სკოლაში, 1924 წ. კი გადმოვიდა თბილისის მე-8 შრომის სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1926 წ.

1. გადმობეჭდილია გამ. „ლიტერატურული ცხინვალიდან“, გორი, 1999, გვ. 4.

1927 წ. ქ. ლომთათიძე ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ენათმეცნიერების დარგზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1931 წელს.

1931-32 წ. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნაბეჭდ წიგნთა განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო 1932-34 წ. ამავე თანამდებობაზეა მაშინდელი ქართული ღიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციამში.

ქ. ლომთათიძე 1934 წ. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში კავკასიური ენების (აფხაზურის) სპეციალობით. მან წარმატებით გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. 1937 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია. ამ დროიდან მოყოლებული ღვამდე ქ. ლომთათიძე კითხულობს აფხაზური ენის კურსს (რომელიც მანამდე ებარა პროფ. ს. ჯანაშიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

1938 წ. ქ. ლომთათიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ძირითად ღრთა წარმოებისათვის აფხაზურში“, ხოლო 1945 წ. – სადოქტორო დისერტაცია. სადოქტორო დისერტაციად მეცნიერმა წარადგინა მონოგრაფია „აფხაზური ენის ტაქსონომიური ღიალექტი“.

ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია ჩვენში – დაცული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალაზე, ხოლო დისერტანტი – პირველი ქალი, რომელსაც წილად ხედა პატივი საქართველოში სადოქტორო დისერტაციის დაცვისა ენათმეცნიერებაში.

ქ. ლომთათიძე 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია, ხოლო 1952 წლიდან – პროფესორი.

1953-63 წ. ქ. ლომთათიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია. ამ წლებში დაიბეჭდა პროფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით III-VIII ტომები ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯის – რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი“ ლექსიკონისა, რომლის მთავარი რედაქციის წევრი და VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორიც იგი არის. სწორედ ამისათვის მიენიჭა მას სხვა რედაქტორებთან ერთად 1971 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ქ. ლომთათიძე იყო რედაქციის თავმჯდომარე სამტომიანი აკადემიური ლექსიკონისა, რომელიც 1956-59 წ. გამოცხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. იგი იყო სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1967 წ. ქ. მოსკოვს გამოცემული „იბერიულ-კავკასიური ენების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და თანარედაქტორი. მისივე რედაქტორობით გამოვიდა და გამოდის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ რიგი ტომი. ქ. ლომთათიძე კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა საერთო საკავშირო ორგანოს – „იბერი-

ულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდულის” მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

ქ. ლომთათიძე, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, დიდ ყურადღებას აქცევს ქართული მეტყველების კულტურის ამალღების, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგებისა და დაცვის სახელმწიფოებრივ საქმეს.

ქ. ლომთათიძე მუდმივი კონსულტანტია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისა. მასთან საკონსულტაციოდ ჩამოდიან არა მარტო სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ – უცხოელი ლინგვისტო-კავკასიოლოგები საფრანგეთიდან, პოლანდიიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან...

ქ. ლომთათიძე დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდას. სად არ ნახაეთ მის აღზრდილებს, მოსკოუსა თუ ლენინგრადში, სოხუმსა თუ მაიკოპში, ჩერქესკსა და ყარაჩაევსკში... ქ. ლომთათიძის აღზრდილებს შორის 20 მეცნიერებათა კანდიდატი და 3 დოქტორია. ამიგომაც აქვს მას მინიჭებული საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ქ. ლომთათიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოვებულია ლენინის (1960 წ.), ოქტომბრის რევოლუციისა (1981 წ.) და საპატიო ნიშნის (1953 წ.) ორდენებით, ოთხი მედლითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით (1961, 1965 წ.).

ქ. ლომთათიძემ თავის პირველ ნაშრომში „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“ ნათლად წარმოაჩინა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენების ნაშთები აღნიშნულ დიალექტთა ცოცხალს მეტყველებაში. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მკვლევარმა გამოაქვეყნა ასოცზე მეტი შრომა, ამათგან – სამი მონოგრაფია: „აფხაზური ენის ტაპანტური დიალექტი“ (1944 წ.), „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954 წ.), „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1976 წ.).

ქ. ლომთათიძე აფხაზურ და აბაზურ ენებს იკვლევს 1935 წლიდან. მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა იგი ამ ენებს ადგილზე – დიალექტების, თქმებისა და კილოკავების მიხედვით. მას აღნიშნული ენები სოფელ-სოფელ აქვს ნაკელევი; გათვალისწინებულია ამ ენათა მეტყველება ასაკობრივი თვალსაზრისითაც. ამიგომაცაა მის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული გაბმული მეტყველების ნიმუშები მეტად ფასეული – იქ ფიქსირებული ენობრივი მოვლენები ხშირად თანამედროვე დიალექტებში არცაა ხოლმე

შემონახული. ამდენად, ქ. ლომთათიძის მიერ ამ ორმოცდახუთიოდე წლის წინ ჩაწერილი ტექსტები დღეს აფხაზური ენის ისტორიული დოკუმენტაციაა.

ქ. ლომთათიძემ გამოიკვლია აფხაზური ენის როგორც სამხრული დიალექტები (აბჟური და ბზიფური), ასევე – ჩრდილოური (ტაპანთური და აშხარული), მამინ როცა პ. უსლარის მონოგრაფია აფხაზური ენის შესახებ მხოლოდ ბზიფურ დიალექტს ეყრდნობოდა. მკვლევარმა ცალკე აწარმოა გაფანტვით მოსახლე აშხარელთა მეტყველებაზე დაკვირვება. ამ სახის კვლევა კი აუცილებელი წინაპირობაა უმწერლობო და ახალი დამწერლობის მქონე ენათა მეცნიერული შესწავლისა და მათი ნამდვილი ისტორიის დადგენისათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მთის იბერიულ-კავკასიური ენა ასეთი გამოწველილვითი შესწავლის საგანი ჯერ არ გამხდარა.

ქ. ლომთათიძემ აფხაზური და აბაზური ენები გამოიკვლია როგორც სინქრონიული, ასევე დიაქრონიული თვალსაზრისით. არ არსებობს აფხაზური და აბაზური ენების ფონეტიკის, ფონოლოგიის, გრამატიკისა ან ლექსიკის კერძობითი თუ ზოგადი საკითხი, რის შესახებაც მას გადაამწყვეტი სიტყვა არ ეთქვას.

ჯერ კიდევ 1938 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“ მკვლევარმა ნათლად წარმოაჩინა, რომ აფხაზურში გზნა ეს მორფოლოგიის ღერძია: „აფხაზური გზნა არის მთელი წინადადება“ და რომ იგი „იმდენად მორფოლოგიური კატეგორია არაა, რამდენადაც რთული სინტაქსური მთლიანობა, მთელი წინადადება“. ამ ნაშრომიდან მოყოლებული ქ. ლომთათიძემ დაადგინა ან დაამზუსტა აფხაზურ და აბაზურ ენათა გზნისა თუ სახელის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორცაა: სტატიკურობა და დინამიკურობა, ფინიტობა და ინფინიტობა, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა სახელებში, გარდამავლობისა და გვარის საკითხები, რთულფუძიან გზნათა აგებულება, გზნის უარყოფით ფორმათა წარმოება და ბევრი სხვა.

ხუთიოდე წლის წინ დასტამბული მონოგრაფია „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ სპეციალისტთა მიერ სამართლიანადაა აღიარებული არა მარტო როგორც დიდი მოვლენა აფხაზურ-ადიღურ ენათა შესწავლაში, არამედ მიჩნეულია საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო მიღწევად. სწორედ ამ სახის გამოკვლევები განსაზღვრავენ დღეს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მაღალ დონესა და ავტორიტეტს.

მეტად საყურადღებოა აღნიშნულ მონოგრაფიაში წამოყენებული ზოგადი სახის დებულება: აფხაზურ-აბაზურში „ხმოვანს ცალკე ფონემური მნიშვნელობა არ ჰქონდა; იგი თანხმოვნის თანმხლები იყო“. იქვე ნაჩვენებია ხმოვნის,

როგორც ფონემის, ჩამოყალიბების გზაც. ასევე მეტად საინტერესოა ავტორის მიერ დადასტურებული სპონტანური ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ახალი ფონემა (და არა მისი ვარიანტი), როცა მისსავე გვერდით შემონახულია ამოსავალი ფონემა. აქ გამოთქმულ მოსაზრებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, კერძოდ, თეორიული ფონოლოგიის რიგი პრობლემის გადასაწყვეტად.

აქვე უნდა ითქვას, ქ. ლომთათიძის ზოგადენათმეცნიერული ხასიათის ნაკვლებებზეც (იგი 1951-57 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში განაგებდა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას), რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტულ ენათა მასალის ანალიზზეა დაფუძნებული. ასეთებია: „ენის განვითარების კანონზომიერების შესახებ“, „ბგერათმესაყვეისობათა საკითხისათვის ყველაზე მცირე ენობრივი კოლექტივის მეტყველებაში“, „დიალექტთა გამოყოფის კრიტერიუმთა საკითხისათვის“, „სახელთა განსაზღვრული ფორმის ისტორიიდან აბაზური ენის აშხარულ დიალექტში“ და სხვ.

აფხაზურ-ადიღურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა ქ. ლომთათიძისათვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. იგი იმავე თვალსაზრისზე დგას, რაც ჯერ კიდევ ამ ორმოცდახუთი წლის წინ წამოაყენა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა: „ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულს კვლევაძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომაც, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს“. ამიტომაც, რომ იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც ქ. ლომთათიძემ ქართველურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის საკითხებს უძღვნა, ხშირია აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო მოვლენებთან პარალელები.

ნაშრომებში „ლ/რ-ს მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში“, „წინაენისმიერ სპირანტთა უძველესი სისტემისათვის ქართველურ ენებში“, „ხმულ-ლაბილურ კომპლექსთა შერწყმით მიღებული ბ ფ ქართველურ ენებში“ და სხვ. ქართულისა და ქართველური ენების ფონემატურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებანი გაანალიზებულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა (განსაკუთრებით აფხაზურ-ადიღურ ენათა) სათანადო მასალის გათვალისწინებით. აქ მიღებულ დასკვნებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო კონკრეტულ ენათა ფონოლოგია-ფონეტიკის საკითხთა რკვევისას, არამედ საერთოდ – იბერიულ-კავკასიური ენების ფონოლოგია-ფონეტიკისათვის.

ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზური ენის გრამატიკული სტრუქტურის გარკვევამ ისიც ცხადყო, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამას იბერიულ-კავკასიურ ენებში რიგი საკითხის დასმისა თუ ახსნისათვის. ეს განსაკუთრებით წარმოჩნდა ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ისტორიულ-გენეზისური საკითხების ურთიერთმიმართებათა კვლევისას. ამ რიგის საკითხები

ასახულია ნაშრომებში: „თბება ტიპის მზნათა ისტორიისათვის ქართულში“, „მზნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში“, „სუპლექტურ მზნათა წარმოება-გამოყენების საერთო პრინციპი ქართულსა და აფხაზურში“ –

ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენათა ურთიერთმიმართება სხვადასხვა ასპექტშია წარმოდგენილი შრომებში: „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების მოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“, „პოტენციალის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში“, „ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან: ქართ. წბ: აფხ. შბ“ და ბევრი სხვა.

ქ. ლომთათიძის ამ სახის გამოკვლევები იმისი ნათელი ნიმუშია, თუ როგორ უნდა ვიკელიოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთაშორისი მიმართებანი. ასეთ მიმართებათა კვლევა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ რაც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი თვით ჯგუფებში შემავალი ენები. დღეს კი, როცა ქართველ კავკასიოლოგთა მიერ თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენაა შესწავლილი, სხვა ჯგუფებს შორის მიმართებათა კვლევაც რეალურია.

ამ ოცდახუთზე მეტი წლის წინათ ეურნალ „ვოპროსი იამიკომნანიეს“ ფურცლებზე გამართულ დისკუსიაში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ მოგმა მკვლევარმა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა სარწმუნოდ არ მიიჩნია. ამ ენათა ნათესაობისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პრინციპების ერთ-ერთი დამყველი მაშინ ქ. ლომთათიძეც იყო. მან სტატიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მოგი საკითხი“ ნათლად აჩვენა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა რეალობაა იმ მუშაობის შედეგად, რაც ჩატარდა ქართველურ, აფხაზურ-ადილურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა მასალის მიხედვით. მართლაც, კვლევის შემდგომმა წლებმა მეცნიერულად დასაბუთებული ეს თეალსაზრისი კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

1975 წლიდან ქ. ლომთათიძე კვლავ უღვას სათავეში ენათმეცნიერების ინსტიტუტს. იმ დიდ ამოცანათა განხორციელებაში, რაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივს ეკისრება დღეს, თვალნათლივ ჩანს და, უეჭველია, მომავალში გაათქეცებული ძალით გამოჩნდება ქეთევან ლომთათიძის დიდი მეცნიერულ-ორგანიზატორული როლი და დიდი ნიჭი და ფართო ენათმეცნიერული ერუდიცია. ჩვენს იუბილარს „ძალი შესწევს ქადილსა“. იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭიერებისა და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გაფურჩქენის ხანაშია და, ბუნებრივია, ქართული მეცნიერული სამოგადოებრიობა მისგან ახალ გამარჯვებებსა და ახალ წარმატებებს მოელის¹.

1. (ვ. გივინეიშვილთან ერთად). მანუ, ენისა და ლიტერატურის სურია, №4, 1981, გვ. 138-191. დაიბეჭდა ავრეთვე ეურნალ „ცისკარში“. „სასიქადულო მეცნიერი“ (№8, 1981, გვ. 143-147).

გამოჩენილი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს ელიზბარ ლომთაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. იგი იმ ფეხბედნიერი თაობის კავკასიოლოგებს განეკუთვნება, რომელთა ხელში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ფაქტობრივ დამოუკიდებელ საენათმეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა.

1918 წლის 2 მაისს ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი პროფ. ივანე ჯავახიშვილის მიერ მოხსენებაში გამოთქმულ მოსაზრებას: კავკასიის ენათა და ფოლკლორის, აგრეთვე, მზე-ჩვეულებათა შესწავლა თვით ჩვენი, ქართული ენის, მწერლობისა და წარსულის მეცნიერული კვლევის აუცილებელი წინაპირობაა და რომ „... ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთიელთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროსო“. ამის აღსასრულეზღად კანონმომიერი გახლდათ, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზოგი კურსის წაკითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმთავითვე დაევაღათ დ. გულიას – აფხაზურში, ა. შანიძეს – წოვა-თუმურში.

ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ არნოლდ ჩიქობავა 1923-24 წლებში წერდა, „ქართულისა და მისი მონათესავე მეგრულ-სვანურის გარდა, სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენო“. ამით მან ფაქტობრივ დიდი ივანეს გაკვალული გზის განგრძობა ითავა, თავისი და თანამოსაგრეების მომავალი მუშაობის გზებიც განჭვრიტა და დასახა.

1929 წლიდან იწყება ახალი თაობის ენათმეცნიერთა ექსპედიციები აფხაზურ-ადიღურ და დაღესტნურ ენათა ადგილზე, საველე პირობებში გასაცნობად: ს. ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა და ვ. თოფურია პირველნი იყვნენ, რომლებიც ა. შანიძესთან ერთად ჩაებნენ ამ მუშაობაში. ა. შანიძე იკვლევდა წოვა-თუმურს (ბაცბურს), ს. ჯანაშია – აფხაზურსა და ადიღურს, არნ. ჩიქობავა – ხუნძურს, ვ. თოფურია – ლაკურს.

ამასთან ერთად 1933 წელს არნ. ჩიქობავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აარსებს კავკასიურ ენათა კათედრას, რომლის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას, გარდა სათანადო სამეცნიერო კადრების მომზადებისა, მთის კავკასიურ ენათა მონოგრაფიული შესწავლა წარმოადგენდა. მანვე ამ მიზნით 1936 წ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოაყალიბა მთის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1942 წელს ენიშკი-ს მოამბის XII გომში დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას „მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის ჩვენში“, რომელშიც აღწერილია, თუ რა გაკეთდა თსუ-სა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1933-1941 წლებში: „უნივერსიტეტის კათედრისა და ინსტიტუტის განყოფილების მუშაობა ერთი მეორეს აესებს“. ამ დროისათვის მთის იბე-

რიულ-კავკასიური ენების მკვლევართა პირველი ბირთვი ჩვენში (ესენია, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, გ. როგავა, ელ. ფანჩვიძე, თ. გონიაშვილი, ქ. ლომთათიძე...) უკვე ნაყოფიერად მუშაობს. ბ-ნი ელ. ლომთაძე ერთ-ერთი წარმომადგენელია ჩვენში კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა იმ თაობისა (შ. გაფრინდაშვილი, ტ. გულაბა, დ. იმნაიშვილი, ევ. ჯეირანაშვილი, ი. ცერცვაძე, რ. ვაგუა, ო. კახაძე, შ. მაპომეღბეკოვა, ა. მაპომეგოვი), რომელნიც შემდეგ შემოემადგენნენ ზემოთ დასახელებულ მკვლევარებს.

არნ. ჩიქობავას აქ ციტირებულ წერილს თან ახლავს სია იმ შრომებისა, რომლებიც შესრულებულია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში და კავკასიურ ენათა კათედრაზე 1933-1942 წლებში. აქაა სულ 87 დასახელების ნაშრომი – დალაგებული პრობლემათა და ენებისდა მიხედვით. სიმბოლურია, რომ ამ სიას აბოლოებს ბ-ნ ე. ლომთაძის, კავკასიურ ენათა კათედრის მაშინდელი III კურსის ასპირანტის შრომა „სახელთა ბრუნება კაპუჭურში“ (საკანდ. დისერტაცია), მაგრამ ბატონ ელიზბარის ამ ნაშრომს კარგა ხანს არ ეწერა დაცვა, რადგან დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, სადაც იგი იბრძოდა ომის დამთავრებამდე... მხოლოდ 1949 წელს შეძლო ამ დისერტაციის დაცვა. დისერტაციის თემა უკვე უფრო გაფართოებული იყო: „სახელის მორფოლოგიური კატეგორიები ხევანურ (კაპუჭურ-ჰუნზიბურ) ენაში“.

აი, ამ ნაშრომსა და ზოგ სხვას გულისხმობდა მისი ხელმძღვანელი არნ. ჩიქობავა, როცა 1947 წ. 16 სექტემბერს წერდა: ელიზბარ ლომთაძემ „... მუშაობის პროცესში გამოყო გრამატიკული კლასების საკითხი კაპუჭურში და მას - შედეგების მიხედვით – საინტერესო ნარკვევი უძღვნა (შრომა მოხსენდა ასპირანტთა კონფერენციას)“.

ელ. ლომთაძემ შეძლო ჩაეწერა დიდი რაოდენობის ტექსტები კაპუჭურ ენაზე, რომელიც პატარა, მაგრამ ენათმეცნიერულად საინტერესო, სრულიად შეუსწავლელი დაღესტნური ენაა და რომლის ერთადერთი სპეციალისტიც ელ. ლომთაძეა. ეჭვი არ არის, ის სათანადოდ გააგრძელებს ამ ენაზე მუშაობას. საამისოდ სპეციალური მომზადებაც, ნიჭიცა და ენერჯიაც ელ. ლომთაძეს მოეპოვება“.

ელ. ლომთაძე დაიბადა 1913 წლის 14 სექტემბერს ღარიბი გლეხის ოჯახში. 1921 წელს შეიყვანეს ძველი-სენაკის 2-კლასიან სასწავლებელში. 1923-დან 1932 წლამდე სწავლობდა ქ. ახალი-სენაკის ჯერ შვიდწლიან, ხოლო შემდეგ ცხრაწლიან სკოლაში და აქვე 1930 წელს შევიდა პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1932 წელს სასწავლებლად გადავიდა ქ. თბილისში და სწავლა გააგრძელა მესამე პედაგოგიურ ტექნიკუმში, რაც 1933 წელს დაამთავრა.

1935 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური და აღმოსავლური ენების განყოფილებაზე, რაც წარჩინებით დაამთავრა 1939 წელს. სტუდენტობის დროსვე დაიწყო საენათმეცნიერო მუშაობა.

1940 წლის იანვარში ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტად (კავკასიური ენების კათედრა). 1941-1946 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში, როგორც ოფიცერი. მონაწილეობდა ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე (ჩრდილო-ოსეთი, ყაბარდო, ბალყარეთი...).

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რაც დაასრულა 1947 წელს.

ბ-ნი არნოლდი ე. ლომთაძის ზემოთ ციტირებულ სამეცნიერო დახასიათებას დასძენდა: „ეჭვი არაა... ანდიურ-დილოური ჯგუფის ენათა შესწავლის საქმეს ჩვენში უთუოდ წაადგებოდა, თუ ამხ. ელ. ლომთაძეს ინსტიტუტის თანამშრომლად ჩავერიცხავდით“.

მართლაც, ბ-ნმა ელიზბარმა 1947 წ. სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში) უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1947 წლიდან 1952 წლის სექტემბრამდე, დროდადრო, შეთავსებით მუშაობდა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერების კურსს, სპეც. კურსს ქართულ ენაში, დიალექტოლოგიასა და ორთოგრაფიაში. ელ. ლომთაძე 1952 წლიდან არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1972 წლიდან მუშაობს ფონეტიკის ლაბორატორიაში.

1992 წლის ოქტომბერში ელ. ლომთაძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „დილოურ ენათა ეოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი“, რის შემდეგ მიიღო წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება.

ელ. ლომთაძე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების ერთ-ერთი თვითმხილველი და მონაწილე ბრძანდება სხვა მის სახელოვან კოლეგებთან ერთად.

ბ-ნი ელიზბარი ერთ-ერთი იმ ენათმეცნიერთაგანია ჩვენში, რომლის ნაშრომთა გაცნობას მომავალი კავკასიოლოგი, და არა მარტო კავკასიოლოგი, სტუდენტობის წლებიდან იწყებდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენი თაობის წარმომადგენლებს კარგად ეხსომება, როცა ჩვენ ვეცნობოდით ქართველ ენათმეცნიერთა იმ შრომებს, რომლებშიც 1950 წლის ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის შედეგებია ასახული, უთუოდ ყურადღებას იპყრობდა ბ-ნ ელიზბარის სტატიაც „ენის განვითარების ბუნების შესახებ“, იკუ-ის III ტომში რომ დაისტამბა არნ. ჩიქობავას, შ. ვაფრინდაშვილის, ი. გიგინეიშვილის, დ. რამიშვილის, გ. როგავას, თ. შარამენიძისა და ქ. ლომთათიძის შრომათა გვერდით.

ე. ლომთაძის ნაშრომებში ბევრგანაა გაფანტული იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკის გამოვლენის ცალკეული მახვილგონივრული და მეცნიერულად დასაბუთებული ძიებანი... მკვლევარს ამ საკითხისადმი მიძღვნილი აქვს ცალკეული გამოკვლევანიც და შანიც, მის საგანგებო ყურა-

დღეობას მუდამ იპყრობდა დიდოურ ენათა პრობლემატიკისადმი მიძღვნილი შრომები. ბ-ნი ელიზბარი ასამდე ასეთი სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთაგან 7 ცალკე მონოგრაფიის სახით არის დასტავებული:

1) Гинухский диалект диоидского языка, 212 გვ., თბ., 1963; 2) სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში (შედარებით-ისტორიული ანალიზი), 252 გვ., თბ., 1984; 3) დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი, თბ., 401 გვ., 1994; 4) სახელის მორფოლოგიური კატეგორიები ბეეტიურ ენაში, 185 გვ., თბ., 1996; 5) ხეარშიული ენა, I. ფონეტიკა, 378 გვ., თბ., 1998; 6) მზნა და ნაზმზარი სახელები ბეეტიურ (ბეეტიურ-ჰუნზიბური) ენაში (შედარებით-ისტორიული ანალიზი), 375 გვ., თბ., 2000; 7) ბეეტიური (ბეეტიურ-ჰუნზიბური) ენის სინტაქსი და ტექსტები, 388, გვ., თბ., 2003.

აღსანიშნავია, რომ ბოლო, თითქოსდა საიუბილეო, მონოგრაფია ბეეტიური ენის სინტაქსს რომ ეხება, ჩვენში დასტავებული დაღესტნურ ენათა სინტაქსისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფიაა. ესა და საზოგადოდ ყველა მონოგრაფია, უპირატესად მკვლევარის მიერ საველე პირობებში შეკრებილ და მოპოვებულ საილუსტრაციო მასალებს რომ ეყრდნობა, ბ-ნი ელიზბარის მიერაა ფიქსირებული 1937, 1940-41, 1947-53 წლებში. ცხადია უმწერლობო ენათა მასალა, რომელიც შეკრებილია ამ 50-60 წლის წინათ, დღეს დოკუმინტირებული წყაროს სტატუსს იძენს და ამ მხრივაცაა ფასეული. აქვე დაეძენთ, რომ ვისაც ადგილზე, საველე პირობებში, ენის შესასწავლად უმუშავია, მან კარგად იცის ამ მუშაობის სირთულე, ფასი და მნიშვნელობაც.

ე. ლომთაძე დიდოურ (და სხვა დაღესტნურ) ენათა აღიარებული მკვლევარია, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა (და დღესაც სარგებლობს) სპეციალისტთა ფართო წრეებში.

ბ-ნი ელიზბარი თავის ბოლოდროინდელი მონოგრაფიის „ბოლოსიტყვაში“ დანაწევრებით ბრძანებს: „ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი გერჩება საკვლევი ენის ლექსიკა. ვფიქრობ, მისი დიდი ნაწილი შევა ახლო ხანებში გამოსაცემ ნაშრომში – „დიდოურ ენათა შედარებითი ლექსიკონი“. ღმერთმა ქნას, მოვასწროთ!“

ჭარმაგი მეცნიერის ამ საიუბილეო ნატვრას ჩვენც სიამოვნებით შევაწვედით ჩვენს ხმას¹.

1. (გ. თოფურიასთან ერთად). გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 320, 27. XI, 2003, გვ. 6.

თვალსაჩინო ენათმეცნიერი

1998 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა თვალსაჩინო ენათმეცნიერი, საქართველოს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არამ მარტიროსოვი. ბ-ნ არამს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშიც უმუშავია.

მისი გარდაცვალების დღეს ცხინვალის პედინსტიტუტის პრორექტორს გენადი ბურჭულაძეს გამოსათხოვარი სიგყვა უნდა ეთქვა. გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ეს ვერ მოხერხდა.

ბ-ნ გენადის თავისი უფროსი მეგობრისა და კოლეგის გარდაცვალების წლისთავზე სურს მოიგონოს იგი იმ გამოსათხოვარი სიგყვით, იმ დროს რომ უნდა წარმოეთქვა – ქართული ენისა და საზოგადოდ ქართული კულტურის ამ დამამერალი მეცნიერის მიმართ.

დეკემბერი აქამომდე ბ-ნი არამის ოჯახისათვის სასურველი თვე უნდა ყოფილიყო... 23 დეკემბერი ბ-ნი არამის დაბადების დღეა (იგი დაიბადა სიღნაღში, 1912 წ.); 1984 წლის 23 დეკემბერს მას მიანიჭეს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება – სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის უმაღლესი ჯილდო ჩვენში; 1997 წელს ბ-ნი არამი 85 წლისა გახდა და სულ 5 დღის შემდეგ, კვლავ 28 დეკემბერს, უკვე მის შვილიშვილს, ჩვენი ერის საამაყო ხელოვანს, ბ-ნ ალექსანდრე კორსანტიას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის პრემია – საკონცერტო მოღვაწეობისათვის 1995-1997 წლებში.

ასე რომ ბაბუა-შვილიშვილისათვის დეკემბრის დღეები, ვფიქრობ, ბედნიერი იყო. მივეულოცეთ კიდევ ეს ბ-ნ არამს რადიოს მეშვეობით და ისიც შეგვეხმიანა, ნახევრად ხუმრობით ბრძანა: გენადი, ეგების გამოსათხოვარი სიგყვა თქვენ მითხრათ, როცა ამ წუთისოფელს დაეგოვებო. წინათგრძნობამ ხომ არ იძალა, თორემ ყველა, ვინც მას იცნობდა და იყოდა, ბ-ნ არამის 85 წელი შეუსრულდა, მას 60-65 წელზე მეტს არ მისცემდა.

თითქოს გუშინ იყო. გასული წლის 27 იანვარს ბ-ნი არამის ერთ-ერთმა ასპირანტმა დისერტაცია დაიცვა. ჩვენ ვეწეოდით ოპონენტობას. დისერტაცია ძალზედ კარგი იყო, ბ-ნი არამის ხელმძღვანელობით მომზადებული არაერთი ნაშრომის მსგავსად ბ-ნ არამს, როგორც თემის ხელმძღვანელს, სიგყვა მისცეს. მან დაახასიათა დისერტანტი ღინჯად, აუჩქარებლად, ნათქვამი უნეტარობრივ ჩამოაყალიბა. ჩვენს თვალწინ ისევე ეს ბ-ნი არამი ბრძანდებოდა, ვისავე ჩვეული ვიყავით ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ბ-ნ არამს შეთავსებით სად არ უმუშავია – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტსა (სადაც იგი განაგებდა სომხური ენისა და ლიგერაგურის კათედრას განაგებდა) თუ გორისა და

ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა, მაგრამ სულ სხვაა მისი მეცნიერული მოღვაწეობა ჩვენს, ენათმეცნიერების ინსტიტუტში. აქ ხომ ბ-ნი არამი ფაქტობრივ 1937 წლიდანაა, როცა მან დაასრულა თსუ-ის კაეკასიურ-აღმოსავლური განყოფილება და ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას რეკომენდაციით ჩაირიცხა ასპირანტურაში ქართველურ ენათა სპეციალობით.

აქედან მოყოლებული პროფ. არამ მარტიროსოვმა განვლო მეცნიერული კვლევის სახელოვანი გზა ასპირანტობიდან მეცნიერებათა დოქტორ-პროფესორამდე (საკანდიდატო დისერტაცია მან დაიცვა 1941 წ., ხოლო სადოქტორო 1963 წ., პროფესორია 1965 წლიდან), ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტამდე.

აკად. ვარლამ თოფურია ასე ახასიათებდა ბ-ნ არამის შრომებს: სერიოზული ლინგვისტური მომზადება, ენების საფუძვლიანი ცოდნა, ენობრივი მოვლენების ღრმა ანალიზისა და მიღებული შედეგების განზოგადების უნარი მას საშუალებას აძლევს გამოაქვეყნოს პირველხარისხოვანი შრომები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში.

ბ-ნი არამი გახლდათ 120-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, რომელთაგანაც 5 ცალკე წიგნად არის გამოქვეყნებული.

1946 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ერცელი გამოკვლევა „თანდებული ქართულში“. მომდევნო წლებში ამ ნაშრომს მოჰყვა „წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში“, „გმნისწინების შემადგენლობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში“ და სხვ.

ბ-ნი არამი ღიდი ყურადღებით სწავლობდა XII-XVIII საუკუნეების საერო ლიტერატურას. მან ერცელი გამოკვლევა მიუძღვნა „ვისრამიანის“, „ამირან-დარეჯანიანის“, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების, „თამარიანის“, „სიბრძნე - სიცრუისას“, „რუსუდანიანის“ ტექსტებისა და თეიმურაზ პირველის, არჩილის, თეიმურაზ მეორის, ვახტანგ მეექვსის, ბესიკისა და დავით გურამიძევილის პოეტურ ქმნილებათა ენობრივ მიმოხილვას.

1977 წელს მისი თანაავტორობით და აკაკი შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოიცა პიზნოგრაფიული ლიტერატურის უნიკალური ძეგლი „ჭილ-ეგრატის იადგარი“ – საგალობელთა კრებული, რომელთა უმრავლესობა VII-VIII საუკუნისაა. ძეგლის ერთი ნაწილი დაწერილია ჭილზე (პაპირუსზე), მეორე კი ეგრატზე (პერგამენტზე), რაც იშვიათი მოვლენაა.

1972 წელს დაიბეჭდა ა. მარტიროსოვის მონოგრაფია „ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის“, რომელშიც შეჯამებულია ჩვენში ქართულ დიალექტოლოგიაში 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევა-ძიება.

თვით ბ-ნი არამი იკვლევდა ქართულის დიალექტებს ადგილზე. აი, მაგალითად, 1945-1947 წლებში იგი ფართო საველე დიალექტოლოგიურ მუშაობას ეწეოდა ახალქალაქისა და ასპინძის რაიონებში, რომლის შედე-

გები აისახა წიგნში „ქართული ენის ჯაეახური დიალექტი“ (1984). აქ წარმოდგენილია სოფელ-სოფელ შეკრებილი დიალექტური ტექსტები, რომლებიც პირველ რიგში საინტერესოა ენობრივად, მაგრამ გარკვეულ ინტერესს აღძრავენ ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის თვალსაზრისით.

უფრო ადრე, 1956 წ. გრიგოლ იმნაიშვილთან ერთად, ა. მარტიროსოვმა დაბეჭდა მონოგრაფია „ქართული ენის კახური დიალექტი“.

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს ეხება მისი შრომა „დიალექტიკები XV-XVIII ს. ს. კახურ ისტორიულ საბუთებში“. აქ წარმოდგენილი მდიდარი ენობრივი მასალა საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ქრონოლოგიურად თვალყური ვადევნოთ კახურ დიალექტურ მოვლენათა განვითარებას სამი საუკუნის მანძილზე და, მეორე მხრივ, თავი მოვეყაროთ იმ მნიშვნელოვან ენობრივ ფაქტებს, რომელთაც განსაკუთრებული ღირებულება აქვთ ისტორიულად კახური დიალექტის ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართების თვალსაზრისით. ამ ბოლო წლებში ბ-ნი არამი სისტემატურად და მისთვის ჩვეული ინტერესითა და გატაცებით მუშაობდა ქართული ლინგვისტური ატლასის შედგენის საკითხებზე.

ასეთი ინტენსიური კვლევის გვერდით ბ-ნი არამი დიდ დახმარებას უწევდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტებს. ამჟამად და ასპირანტებს ქართულ-სომხური ენების გიპოლოგიური კვლევის დარგში. აი, ახლა მახსენდება მისი ასპირანტი ბაგრატ ნერსესიანი, რომელმაც მშვენიერი დისერტაცია დაიცვა თემაზე „შედარებით-გიპოლოგიური ანალიზი ძველი ქართული და სომხური ენების ბრუნების სისტემისა“. მახსოვს, ჩვენი ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმუშაკმა ქ-ნ ლატავრა სანიკიძემ და მე გამოსხაურება გავაგზავნეთ ერევანში.

აქ უსათუოდ ისიცაა სათქმელი, რომ ბ-ნი არამი მონაწილეობას იღებს ჩვენში სომხურენოვანი სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენაში, არის VII, VIII, IX და X კლასების სახელმძღვანელოების ერთ-ერთი გამოცემის თანაავტორი, აქვეყნებს მეთოდური ხასიათის სტატიებს უმაღლესი სკოლების ორპროლოვან სპეციალობებზე, აგრეთვე სომხურენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ.

ასე ხელხვაფრიელი ბრძანდებოდა ბ-ნი არამი მეცნიერებაში, ცხოვრებაში კი გულგაშლილი, არაფერს დაიმურებსდა. რჩევას თუ თხოვდი, გირჩევდა – ბრძნულად, მამა-შვილურად. ერთხელ ბ-ნი არამს მოვეუთხრე:

ერთ მოსკოველ კოლეგას, ხნით ჩემზე ბევრად უფროსს, მკაცრი რეცენზია დაუწერე წიგნზე, ის გარდაიყვალა და ახლა კი გულს მაწიქს თითქოს დარდადო... ჩაიღიმა და მიაშბო.

1934 წელს გამოიცა მელიქსეთბეგის ნაშრომი „სომხური ლიტერატურის პერიოდიზაცია“. რატომღაც მოვიწინაოთ და რეცენზია დაეწერე (ამ დროს ბ-ნი არამი სულ 22 წლისა გახლდათ), მივიგანე „ლიტერატურულ გამოთქმაში“ დასაბუქდა; იგი დაიბეჭდა. იმ დღეებში ბ-ნი არნოლდ ჩიქობავას ლექციები

გვექონდაო. ლექციის შემდეგ ბ-ნ არნოლდს მოუხმია ბ-ნ არამი და დარიგების გონით უთქვამს: „ამგვარ რთულ თემაზე რეცენზიების წერა, ისიც ასეთი შენიშვნებით, ჯერ ნაადრევიაო“. მე, რა თქმა უნდა, ბოდიში მოვიხადე, – განაგრძო ბ-ნ არამმა, – მაგრამ ეს გაკვეთილი გახლდათ, მოცემული არნ. ჩიქობავას მიერო.

როგორ სურდა ბ-ნ არამს მონაწილეობა მიეღო გასულ წელს თავისი ერთ-ერთი მასწავლებლის, არნ. ჩიქობავას საიუბილეო საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში. რამდენჯერმე შევეხმიანე ტელეფონით. ძალზე წუხდა.. გაუსაძლის ავადმყოფობას უჩიოდა.

გემოთ თქმული, ეს გაკვეთილი გახლდათ, ბ-ნ არამმა რომ ბრძანა, მენიშნა. ბ-ნ არამთან ურთიერთობაც კოლეგებთან ხომ ხშირად უმრწემეს მეცნიერ-მუშაკათათვის გაკვეთილი იყო, გაკვეთილი სასარგებლო და მისაბაძი.

მართალია, მომავალი თაობები, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, ბ-ნ არამს წიგნებითა და მისი პირველხარისხოვანი შრომებით გაიცნობენ, მაგრამ მათ დააკლდებათ ბ-ნ არამთან ურთიერთობის ხიბლი, მისეული ყურადღება და სიყვარული. ის სიყვარული, რაც მან თავის ოჯახს დაუტოვა და დაგვიტოვა ჩვენც – მის გამეჩხერებულ უფროს მეგობართა წრესა თუ ჩემს თაობას, რომელიც მოესწრო ბ-ნი არამის სამეცნიერო-სასწავლო თუ საზოგადოებრივ საქმიანობას, მის ადამიანურ ყურადღებას. ამ დიდ დანაკლისს, ალბათ, წლების შემდეგ უფრო შევიცნობთ.!

გივი მაჭავარიანი – 75

ბ-ნ გივის დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა... დიდი ენათმეცნიერი კარგა ხანია აღესრულა 1968 წელს უნგრეთის ქ. სეგედში, მაგრამ მისმა „ქართულურ ენათა შედარებითმა გრამატიკამ“ ახლა იხილა დღის სინათლე, მხოლოდ ამ საიუბილეო დღეებში... ის ლექციების კურსის მიხედვით (ქნების რ. ჯანაშიას, დ. მელიქიშვილისა და ი. ჩანგლაძის) აღადგინა ბ-ნი გივის უერთგულესმა მოწაფემ და თავად ბრწყინვალე ენათმეცნიერმა, ბ-ნმა მ. სარჯველაძემ.

აქ ჩამოთვლილთაგან, გარდა ქ-ნ დ. მელიქიშვილისა, ყველა კავკასიურ ენათა განყოფილების კურსდამთავრებულნი გახლდნენ... ბ-ნ გივის იცნობდნენ უპირველესად როგორც ლექტორს... ჩვენთანაც მას რამდენიმე დისციპლინა ებარა. მაგ., 1961-63 წლებში, „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის“ გარდა, გვიკითხავდა „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას“ და მიჰყავდა სემინარული მუშაობა მთის კავკასიურ ენაში – გვამუშავებინებდა ნ. ტრუბეცკოის ცნობილ ნაშრომს „ჩრდილო კავკასიურ ენათა სიგყვათშედარებანს“... ასე რომ, ბ-ნი გივი მთის კავკასიურ ენათა სამყაროს (მაგ., აფხაზური და ქართული ზმნის ძირითად კატეგორიებს მან უძღვნა თავისი სადიპლომო შრომა) „მიგნიდან“ იცნობდა... ძალზე კარგად ერკვეოდა ამ ენათა სტრუქტურაში... დღეს ამის შესახებ კი სიგყვაც არ თქმულა; არადა, საკმაოა ჩაეხედოთ მის „შრომათა ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას“, რომ მასში 15 შრომაზეა მითითება – დაბეჭდილსა და ხელნაწერზე. აქაა სტატიებიც წარმოდგენილი და რეცენზიებიც სხვადასხვა დისერტაციებსა თუ სადიპლომო ნაშრომებზე. მათ შორის ჩვენს სადიპლომო შრომაზე – რომელიც გ. მაჭავარიანის „ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში“ ვერ მოხვდა, რაკი რეცენზიის დედანი ჩვენთან ინახებოდა... დედანს უცელელად წარმოვადგენთ, სიგყვაში იგი მეტად ფრაგმენტულად წარმოჩნდა, ოღონდ ნაბეჭდ გეჟსტში რეცენზია სრულად წარმოვადგინეთ (იხ.: რეცენზია, ხელნაწერი გვ. 1-5).

მართალია, ბ-ნი გ. მაჭავარიანის „ქართველურ-კავკასიური ინტერესები იმთავითვე გამოიკვეთა, მაგრამ მისი შემდგომი მუშაობა ძირითადად ქართველური ენების შესწავლის ხაზით წარიმართა, თუმცა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებზე მუშაობა არასოდეს შეუწყვეტია. „ეს ენები მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში სიცოცხლის ბოლომდე შემოდიოდა“ (გ. თოფურია).

ამბობენ, ბ-ნ გივის არა სწამდა მთის კავკასიური (ჩრდილო-კავკასიური) ენებისა და ქართველურის ნათესაობა, განსაკუთრებით მისი ცხოვრების ბოლო წლებში – 1963 წლიდან, ალბათ, როცა ის კავკასიურ ენათა კათედრიდან გადადის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე. სწორედ იმ დროს ბ-ნი გივი თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VIII სამეცნიერო სესიაზე მოხსენებაში „საერთო ქართველური ფუძე-ენის ტიპოლოგიური დახასიათებისათვის“ ბრძანებს:

„საერთო ქართველური ფუძე-ენის ანალიზი ავლენს ტიპოლოგიურად განსხვავებულ ორ სტრუქტურულ ფენას: პირველი ფენა ტიპოლოგიური თვალსაზრისით უახლოეს პარალელებს პოვებს ინდო-ევროპულ ფუძე-ენასთან (ვოკალიზმი, სონანტთა სისტემა, აბლაუტის ტიპები). მეორე ფენა ტიპოლოგიურად „კავკასიურია“, პირველ რიგში „აფხაზურ-ადიღური“ (კონსონანტიზმი, პრეფიქსაცია, ზმნური პოლიპერსონალიზმი, ბრუნების მოდელი, ერგატიული კონსტრუქცია).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით „კავკასიური“ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ფენა წინ უსწრებს „ინდო-ევროპულს“.

თუ ეს ასეა, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ არქაული „კავკასიური“ ფენის არსებობა საერთო-ქართველურში არის გამოვლინება ამ ენის გენეგური ნათესაობისა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან*.

მეორე თემისებში, რომელიც 1967 წ. დაბეჭდილი, ბ-ნი გივი საუბრობს იმის თაობაზე, რომ „ბრუნების საერთო-ქართველური სისტემა ტი-პოლოგიურ პარალელებს ამჟღავნებს მთის კავკასიურ (ნაწილობრივ აგრეთვე ინდოევროპულ) სისტემებთან: კერძოდ, ოთხბრუნვიანი ქართველური მოდელი ტიპოლოგიურად იზომორფულია ნახურ-დაღესგურ ენებში ფართოდ გავრცელებული მოდელისა (მდრ., მაგალითად, ხუნძურის ოთხი ძირითადი ბრუნვა), ხოლო ბინარული მოდელი ტიპოლოგიურად შეესაბამება ადიღურ ენათა სათანადო მოდელს“ („ბრუნების საერთო-ქართველური სისტემის რეკონსტრუქციისათვის“). ასე რომ, „ამკარად მიუღებელი თვალსაზრისების დაძლევა“, რომელიც „ქართველური და ჩრდილო-კავკასიური ენების ნათესაობას“ შეეხება და ამ ბოლო დროს გამოთქვამენ, გადაჭარბებულად და არაკორექტულად გვეჩვენება.

მაშინაც კი, როცა „გ. მაჭავარიანი აღარ იზიარებს დებულებას ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ, მაგრამ არ იზიარებს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამ პრობლემის არსებობას უარყოფს, პირიქით, ასეთ შესაძლებლობას იგი არ გამორიცხავს“ (გ. თოფურია).

ახლა პოეტურსა და ჩვენს ერთ სურვილზე:

ამ ხუთი წლის წინ, როცა ბ-ნი გივის 70 წელს აღვნიშნავდით, მისმა „მეწყვილემ“ ახალგაზრდობისას მეცნიერებაში, ნ. ანდლულაძემ გაიხსენა:

„მე ერთგვარად მუამაყება კიდეც, რომ ჩემი გვარის მეშვეობით არნ. ჩიქობავას სახელი ვოკალურ ხელოვნებასაც დაუკავშირდა. მას ერთგვარი სევდანარევი ღიმილით უთქვამს ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის შემდეგ: „ისევ დაწყვილდა გვარებო: ვამბობდით – მაჭავარიანი და ანდლულაძე (ისინი ხომ ბ-ნი არნოლდის ასპირანტები გახლდნენ, ხოლო შემდეგ – მისი კათედრის წევრებიო), ახლა ვამბობთ – ანჯაფარიძე და ანდლულაძეო!“

მეცნიერებაშიც დაწყვილდნენ და ამბობდნენ: მაჭავარიანი და გამყრელ-იქო...-

ერთია, დღეს გამოსულთაგან არავის გახსენებია არნ. ჩიქობავა – მასწავლებელი და გ. მაჭავარიანი – მოსწავლე... არადა, ეს ხომ ასე იყო... ნუ მივეცემთ დაეიწყებას ამ კეთილ მოგონებას!.

1. სიკვება მოხსენდა 2002 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ღია სხ-ლომას, რომელიც მიეძღვნა გივი მაჭავარიანის დაბადების 75 წლისთავს.

დადესტინალი – ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

1921 წლის 21 ივნისს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფო სამოგზაუროების საჯარო სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა სიმონ ჯანაშიას ჩერქეზეთში პირველი სამეცნიერო მივლინების ანგარიშის მოსმენისას ბრძანა: „...კავკასიური ენათმეცნიერების ამოცანები არაეისტების ისეთი მნიშვნელოვანი, ახლოებული და მისაწვდომი არ არის, როგორც ქართული მეცნიერებისათვის“.

იფიქრებდა კი დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომ ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა ჩვენში ისე წავიდოდა წინ, რომ ჩვენი მოძმე ტომების წარმომადგენლები ჩვენთან ჩამოყალიბებულ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში გაიწვრთნებოდნენ. აქვე მიიღებდნენ სამეცნიერო ხარისხს, შემდგომ კი თვითვე გახდებოდნენ ქართული მეცნიერების მსახურნი და სხვათა მასწავლებელნი და მოღვაწენი... ერთი ასეთი სახელოვანი მეცნიერთაგანია პროფ. ალექსანდრე მაპომეტოვი, ჩვენი ბაგონი ალექსანდრე, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი უსრულდება 12 ივნისს.

პროფ. ა. მაპომეტოვი დადესტინის აულ კუბაჩში დაიბადა 1917 წლის 12 ივნისს. ოქრომჭედელ დიდოსტაგთა მექაში... იმ კუბაჩში, ლეგენდის მიხედვით, ევროპელთა მონათესავე ერთი მუჭა ხალხი რომ ცხოვრობსო... ამანაც მეუწყო ხელი თვალსაზრისს, კუბაჩური ცალკე, დამოუკიდებელი ენააო... ბნმა ალექსანდრემაც მშობლიური აულის, თავისი დედა-ენის მიმართ ვალი მშვენიერად მოიხადა – მას მიუძღვნა 1963 წელს დასტამებული ბრწყინვალე მონოგრაფია „კუბაჩური ენა“ (სათაურშიც ხომ იმ გრადიციის კვალია, ზემოთ რომ აღვნიშნეთ), თუმცა ნათლად აჩვენა, რომ იგი ისეთივე დიალექტია დარგული ენისა, როგორც, მაგალითად, ახუშური, ურახული და წუდახარული – ერთი შეხედვით დიდი სხვაობა რომაა, ის მძლავრად განვითარებული ფონეტიკური პროცესების შედეგაო.

გმის გამკვლევა ა. მაპომეტოვის „მეჭებური დიალექტი დარგული ენისა“ (თბ., 1982) – გამოკვლევა დარგული ენის ერთ-ერთ კუნძულოვან დიალექტზე, რომელიც „ლინგვისტურად დიალექტია დარგულისა, რომელიც შედარებით ახლოა ურახულ დიალექტთანო“ (გვ. 4).

ასევე საყურადღებოა ა. მაპომეტოვის გამოკვლევათა, ლაკურისა და ლაკურ-დარგულის ენობრივი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხს რომ ეხება და მაინც, ცალკეა აღსანიშნავი ა. მაპომეტოვი, როგორც ლემბიურ ენათა წამყვანი სპეციალისტი.

1970 წ. დაიბეჭდა ა. მაპომეტოვის „აღლური ენა“ – მონოგრაფია დადესტინის ერთ-ერთ უდამწერლებო ენაზე – შედეგი 1955-1965 წლებში ატორის მრავალწლიანი საველე მუშაობისა და მეცნიერული კვლევისა.

ხუთი წლით ადრე, 1965 წელს, კი დაისტამბა ა. მაპომეტოვის მონოგრაფია „თაბასარანული ენა“. ბევრად ადრე კი ბნმა ალექსანდრემ ა. გენკოს არქივში მიაგნო პ. უსლარის მეშვიდე, გამოუქვეყნებელ მონოგრაფიას

თაბასარანული ენის შესახებ. ეს შრომა დაკარგულად ითვლებოდა... მოსკოვის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ა. მაპომეტოვს დააეხილა პ. უსლარის ამ მონოგრაფიის სასტამბოდ გამზადება... ბ-ნმა ალექსანდრემ წიგნი გამოსაცემად მოამზადა 1954 წლისათვის, მაგრამ მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა. არა და, პ. უსლარის მთელი მასალა ა. მაპომეტოვმა შეამოწმა აულ ხანაგში, სადაც პ. უსლარი იკვლევდა თაბასარანულს. ეს მონოგრაფია გამოიცა მოგვიანებით (1979 წ.) თბილისში ა. მაპომეტოვის კომენტარებითა და შესავალი წერილით (რედ. არნ. ჩიქობავა).

პ. უსლარის ამ მონოგრაფიის გამოცემის შემდეგ კი უფრო ცხადი გახდა, რამდენად გველია ა. მაპომეტოვის „თაბასარანული ენა“, რომელიც შეიცავს თაბასარანული ენის ორივე დიალექტის მდიდარ ენობრივ მასალას, მის მეცნიერულ ანალიზს.

ა. მაპომეტოვს მონოგრაფიისათვის „თაბასარანული ენა“ 1965 წ. მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი... ამის შემდეგ მას იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ლექციათა წასაკითხად და 1968 წლიდან იგი კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორია... ა. მაპომეტოვი კითხულობს ლექციებს არა მარტო რუსული განყოფილების სტუდენტთათვის, არამედ ქართულ სექტორზეც – ქართულად.

ესაა პირველი შემთხვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სინამდვილეში, როცა დაღესტნელი კაცი ხდება ქართული უნივერსიტეტის პროფესორი... სწორედ მისი მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლის აღიარება გახლდათ მისთვის 1984 წ. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული წოდების მინიჭება. 1981 წ. კი ანალოგიური წოდება მას მიანიჭა მისმა სამშობლომაც – დაღესტანმა (სხვათა შორის, ბ-ნ ალექსანდრეს და – მანაბა მაპომეტოვა – ჩვენში მოღვაწე ხელოვანია, საქართველოს სახალხო მხატვარი). ცალკეა აღსანიშნავი ა. მაპომეტოვის გამოკვლევა „პ. უსლარი – დაღესტნურ ენათა მკვლევარი“ (მაჰაჩყალა, 1979), რომელშიც შესულია პ. უსლარის რამდენიმე პირადი ბარათიც. აქ საყურადღებოა პ. უსლარის წერილი ვ. ფრანლინისადმი (1874 წ.), სადაც წერია: „კავკასია წარმოადგენს დამოუკიდებელ ინდივიდუმს ენათმეცნიერულ სამყაროში“. ამ პასაჟის რეპლიკაა ა. მაპომეტოვის გამოკვლევაში „პ. უსლარი-კავკასიოლოგი“ (პ. უსლარის „თაბასარანული ენას“ რომ ახლავს): „სამართლიანი თემისი (თუმცა არა სავსებით კონკრეტული) იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართებაში“.

სწორედ იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეგური ერთობის ძიებასთანაა დაკავშირებული სახელოვანი მკვლევარის მეცნიერული წარმატებანი.

ა. მაპომეტოვის ეს წარმატებანი კი არნ. ჩიქობავას სახელთანაა დაკავშირებული.

ბ-ნი ალექსანდრე პროფესიით ინჟინერია – 1940 წ. დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი; 1940-1945 წლებში მუშაობდა ინჟინერ-კონ-

სტრუქტორად ეორონეისა და მოსკოვის საავიაციო ქარხნებში. ა. მაჰომე-ტოვი 1945 წ. ბრუნდება თბილისში. ხდება არნ. ჩიქობავას, რამაც გადაწყვიტა კიდევ მისი ბედი... 1945-1948 წლებში იგი უკვე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტია, სადაც 1948 წელს იცავს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში განვლო მან გზა ასპირანტიდან მთავარ მეცნიერმუშაკამდე.

ბ-ნი ალექსანდრე მუღამ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების ცხოვრების შუაგულში იდგა. იგი გახლდათ იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიების გამმართავი მუღამიეი საორგანიზაციო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი. ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო ჟურნალ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ პასუხისმგებელი მდივანი და შემდეგ რედაქტორის მოადგილე...

პროფ. ა. მაჰომეტოვი ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების არაერთი კოლოკვიუმის მონაწილეა – კითხულობდა მოხსენებებს პარიზში, ლონდონში, მარბურგში, ლაიფენში... მიწვეული იყო ბონისა და ბოხუმის უნივერსიტეტებში ლექციათა წასაკითხად...

ბ-ნი ალექსანდრე არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტია, ხელმძღვანელობს ასპირანტებსა და მაძიებლებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში... იგი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას... მას არაერთი ჩანაფიქრი აქვს, რომელთა შესრულებაში, ვინც ბ-ნი ალექსანდრეს იცნობს, არავის შეეპარება ეჭვი.

დადის მაღლიან ქართულ მიწაზე ერთი დაღესტნელი კაცი, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ნაწილი სიცოცხლისა ქართული მეცნიერების სამსახურში დაუხარჯავს, თუმც არც თავისი მშობლიური მიწა ავიწყდება... იგი ხომ დაღესტნისა და საქართველოს შორის გადებული ცოცხალი და ლამაზი ხილია.

იმედია, მის კვალზე ივლიან მომავალში მისი მოწაფეებიცა და მოწაფეთა მოწაფენიც!

1. ტექსტი გადაიყა საქართველოს რადიოს პირველი გადაცემის ციკლში „ლილი წინაპარის გაკეთილები“, 1997 წ. 18 და 20 ოქტომბერს; ის, აგრეთვე: Он был живым мостом. – გამ. „Кавказский Акцент“, № 14 (111), 16. VII–31. VII, Т6, 2004, გვ. 9.

შიხაბუდინ მიქაილოვი

მიქაილოვი შიხაბუდინ ილიასის ძე (5.XII. 1899-2. XI. 1964), ხუნძი ენათმეცნიერი, დალ. ასსრ მეცნ. დამს. მოღვაწე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ხუნძური ენის მკვლევარი, ავტორი შრომებისა „ხუნძური დიალექტების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა“ (1958), „ხუნძური დიალექტოლოგიის ნარკვევები“ (1959), „ხუნძური დიალექტების ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგია“ (1964) და სხვ. დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Микаилов К., Седова Л. (сост.), Ш. И. Микаилов. Персональный указатель литературы, Махачкала, 1974.

ეს მწირი ცნობები ახლავს ცნობილი ხუნძი ენათმეცნიერისა და ფოლკლორისტის ჩვენულ სიტყვა-სტატიას ქართულ ენციკლოპედიაში; არადა, მის შესახებ ბევრს გეტყვიან. თუნდ მასზე შექმნილი „პერსონალური ლიტერატურის მაჩვენებლის“ ავტორები. კერძოდ, იქაა ნათქვამი, რომ „პროფ. არნ. ჩიქობავასთან ინტენსიური შემოქმედებითი კონტაქტების შემდეგ განისაზღვრა შ. მიქაილოვის შემდგომი მეცნიერული ინტერესები...“ ბედმა მარგუნა მასთან ნაცნობობა, ხოლო მის ოჯახის წევრებთან მეგობრობა... ამის შესახებ მსურს მცირედ გესაუბროთ:

ენათმეცნიერული ოჯახი

პირველი წიგნი, რომელიც საჩუქრად მივიღე ცნობილი ენათმეცნიერისაგან (და საერთოდ, მეცნიერისაგან) ხუნძი შიხაბუდინ მიქაილოვი გახლდათ, თანაც პერსონალური მოძღვნით (შვილის ხელით მისახსოვრა):

„ჩემს შვილთან ძმური მეგობრობის ნიშნად გრუქნი შენ ამ წიგნს“ – შიხაბუდინი (20. V. 59, მახაჩყალა)“.

მეორე ანალოგიური წიგნი ჩემი მასწავლებლების, ბ-ნი არნ. ჩიქობავასა და ბ-ნი ილ. ეკრცვაძის „ხუნძური ენა“ გახლდათ ბ-ნი ილია ეკრცვაძის წარწერით: „ამხ. გენადი ბურჭულაძეს – ავტორებისაგან“ (5. V. 64).

მესამე წიგნი, ისიც საჩუქარი, ოღონდ პირადად, ისეუ ბ-ნ შიხაბუდინისა იყო და ხუნძურის დიალექტოლოგიას ეძღვნებოდა („ხუნძური დიალექტოლოგიის ნარკვევები“, მოსკოვი, 1959 - რუს. ენაზე):

„ძვირფასო გენადი!

ყველაზე ნამდვილი და გულწრფელი მეგობრობა ისაა, შრომაში რომ ემყარება საერთო ინტერესებს, შრომითი მეგობრობაა, მხოლოდ ასეთი მეგობრობა გოვებს იმ კვალს, რასაც პატივს სცემენ მთაპომავლები. ამ წიგნს შენ გჩუქნი სახელდობრ ასეთი მეგობრობისათვის ჩემს შეილთან, სხვაგვარ მეგობრობას მე არაად ეთელი, რადგან ის არაა საიმელო.

მიხაბუდინი. 15. IX. 64”

ეს მაშინ იყო, როცა აულ ღუმუქიდან (ლაკეთი) ვბრუნდებოდი, ლაკური ენის შესასწავლად პირველად მივლინებული, და ჩემს მეგობარ ყაზბეგ მიქაილოვს გზად გამოვეუარე გამოსამშვიდობებლად.

ხომ არ უგრძობო ჩემი მეგობრის მამას გულმა რამე? ძალზე თბილი და პირდაპირია... მოძღვნაყ ანდერძს წააგავს... 1964 წლის სექტემბერის თხუთმეგია... ბ-ნი მიხაბუდინი რადაც ორ თვეში გარდაიცვალა მოულოდნელად – სამსახურიდან რადაცაზე შინ მიბრუნებულს, გულმა უღალატა.

ასე რომ, ხუნძური ენისა მე ვალი მმართებს... ვალი მმართებს მე—XX საუკუნეში ხუნძური ენის უდიდესი სპეციალისტებისა – ხუნძისა და ქართველებისა... ქართველებზე თუ სამეცნიერო სამოგადოებისათვის ცოგა მაინც მომიხსენებია, ძია მიხაბუდინზე (ასე ვეძახდი მას მახაჩყალაში სტუმრობისას, როცა მისი მდიდარი ბიბლიოთეკით 15 დღე ვსარგებლობდით) არა მითქვამს რა, იმ ბუნწი ენციკლოპედიური სტრიქონების გარდა. ქვემთ მინდა შევავსო იმ ნაწილით, რაც გადავეყით რადიოთი 1992 წელს და ეხებოდა მის ენათმეცნიერულ ოჯახსაყ.

მოგვეყავს ნაწყვეტი ამ გადაყემიდან!

ბ-ნო თამაზ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორი თბილი, მადლიერებით საესე დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მეგობრებს ჩენითიდან, დაღესგნიდან თუ ყაბარდო-აღიღეიდან ქართველთა მიმართ. ამას ყოველთვის იგრძნობდით მათთან სტუმრობისა თუ სხვაგან, სადაც კი ერთმანეთს ვხედებოდით.

თ. ხ.: ხედებოდით კი თქვენ, როგორც ეს მე ვიცი, ხშირად თბილისსა თუ სხვა ქალაქებში... უფრო, ალბათ, სამეცნიერო სესიების დროს.

გ. ბ.: დიახ, გახსოვთ ალბათ, ადრე გადაყემაში “შეიყან თავი შენი” მე მოუუთხრე რადიომსმენელებს ჩვენი რეგიონალური სესიების თაობაზე, რომლებიც 1965 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის რომელსაყე ცენტრში.

თ. ხ.: ეგები შევახსენოთ რადიომსმენელებს ამ სესიების გეოგრაფია.

1. ამ რადიო-გადაყემის ლიგერატურული ვარიანტი დაიბეჭდა წელს „ლიგერატურულ ცხინვალში“ (იენისი, გორი, 2004) სათაურით „მოგყუებული თაობა“.

გ. ბ.: სიამოვნებით, პირველ სესიას მაპაჩყალა მასპინძლობდა 1965 წელს.
 თ. ხ.: თქვენც ხომ არ მონაწილეობდით ამ სესიაში?

გ. ბ.: ვმონაწილეობდი. მაშინ კავკასიურ ენათა კათედრის ასპირანტი ვიყავი და მაპაჩყალელმა ახალგაზრდა ენათმეცნიერებმა მიმიპატივეს. ესენი იყვნენ ყაზბეგ მიქაილოვი, ისა აბდულაევი, ყაზბეგის ძმა ელდარი, ალი აკიევი და სხვანი.

თ. ხ.: ასე ახლოს იცნობდით მაშინ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები ერთმანეთს?

გ. ბ.: რა თქმა უნდა, ისინი ხომ ადრე ჩვენთან სწავლობდნენ. ზოგმა კავკასიურ ენათა განყოფილება დაამთავრა, ზოგიც ასპირანტურის კურსს გადიოდა ჩვენთან. ბ-ნი არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია ხომ მათი უსაყვარლესი მასწავლებლები იყვნენ.

თ. ხ.: თქვენს ძველ მეგობრებსა და კოლეგებზე ეგებ ორიოდ სიტყვა გეთქვათ?

გ. ბ.: სიამოვნებით, ოღონდ მხოლოდ ერთი ენათმეცნიერული ოჯახის შესახებ ვიამბობთ. სწავლობდა ჩვენთან დალესტენელი, ხუნძი – ჩემზე ორი კურსით წინ – ყაზბეგ მიქაილოვი. მას მე მუდამ ქართველების წრეში ვხვდებოდი. დავმეგობრდით. თავისი და კისანაც გამაცნო, ისიც ჩვენთან სწავლობდა, ოღონდ ყაზბეგზე წინ. როცა დაუუახლოვდით ერთმანეთს, გავიგე, რომ მის ძმას, ელდარსაც, ჩვენთან გაუვლია ასპირანტურის კურსი ბ-ნ არნ. ჩიქობავასთან. ყველანი ენათმეცნიერები გახდნენ. საფუძველი ამისა კი მათი მამის, ცნობილი დალესტენელი ენათმეცნიერის, პროფ. შიხაბუდინ მიქაილოვის ჩაგონება გახლდათ: ქართველ ენათმეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტის, მათთან სამეცნიერო ურთიერთობის გარეშე ნამდვილი კავკასიოლოგი ვერ გაიზრდებოდა და, ბუნებრივია, თავისი შვილები რომ სასწაულებლად ჩვენთან გამოგზავნა. ამ სულისკვეთებით იყვნენ ისინი დამუხტულნი.

თ. ხ.: ასე რომ, მთელს ოჯახს ჩვენთან გაუვლია სამეცნიერო ნათლობა.

გ. ბ.: დიახ, ბ-ნმა შიხაბუდინმაც ჩვენთან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ვესწრებოდი ამ დაცვას და როგორ უხაროდით ქართველ კოლეგებს, რომ ხუნძი ხალხის წარმომადგენელი იყავდა სადოქტორო დისერტაციას. ხუნძებში პირველი ენათმეცნიერ-დოქტორი გახლდათ ბ-ნი შიხაბუდინი. შემდეგ მისმა ვაჟებმა – ყაზბეგმა და ელდარმაც ჩვენთან დაიცვეს ერთ დღეს საკანდიდატო დისერტაცია. სამწუხაროდ, ელდარი და კისანა ადრე გარდაიცვალნენ. უფრო ადრე გარდაიცვალა ბ-ნ შიხაბუდინი და დარჩა მარტო ყაზბეგი – უნიჭიერესი, ღრმად ერუდირებული ენათმეცნიერი.

თ. ხ.: და ეს მშვენიერი ოჯახური გრადიცია ირღვევა, არა?

გ. ბ.: თითქოს არ უნდა დარღვეულიყო. ყაზბეგმა თავისი ვაჟი, რასული, ჩვენთან გამოიკვამუნა. იგი ჩვენი უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტი იყო.

თ. ხ.: მერე, მერე როგორ წარიმართა მისი ბედი?

გ. ბ.: ბ-ნო თამამ, თან წამოღებული მაქვს ზოგი ფოტო-სურათი, მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის ჩვენი რეგიონალური სესიის მონაწილეები. უბრალოდ მომეთხრო მათ შესახებ რადიომსმენელთათვის. აი, ნახეთ...

თ. ხ.: ეს თქვენთან ერთად რომაა, ალბათ...

გ. ბ.: ყაზბეგია, ყაზბეგ მიქაილოვი. სურათი მაპაჩყალაშია გადაღებული, როცა მას ვესტუმრე 1962 წ. ჩემი სადი პლომო ნაშრომის დასრულების მიზნით. სადი პლომო შრომა ხუნძური ენის კონსონანტიზმს ეხებოდა.

თ. ხ.: ეს ვისი ძეგლია, ან ვინაა თქვენთან ერთად?

გ. ბ.: ეს სულეიმან სგალსკია... ჩემს გვერდით კი თაბასარანელი ენათმეცნიერი კიმ შალბუშოვია. მამამისი თაბასარანელთა ერთ-ერთი განმანათლებელი გახლდათ.

თ. ხ.: კი, მაგრამ ამ ჩვილის სურათს აქ რა უნდა, საიდან გაჩნდა?

გ. ბ.: გადააბრუნეთ სურათი და წაიკითხეთ მიძღვნა.

თ. ხ.: „ჩემს ძვირფას ნათლიას, სახსოვრად რასულისაგან, მაპაჩყალა, 1963 წ.“ მშვენიერი ქართული კალიგრაფიითაა მიძღვნა დაწერილი.

გ. ბ.: ყაზბეგმა კარგად იცის ქართული, წერს კიდევ. სხვათაშორის, ყველანი, ვინც კავკასიურ ენათა განყოფილებაზე სწავლობენ ან ასპირანტურის კურსს გადიოდნენ ჩვენთან, სწავლობდნენ ქართულს. დაეუბრუნდეთ ამ ფოტოს. აი, ეს ჩვილი გახლავთ რასული. ყაზბეგის ვაჟი, ჩვენთან რომ სწავლობდა.

თ. ხ.: ისიც პაპისა და მამა-ბიძის კვალს გაჰყვა, ალბათ.

გ. ბ.: არა, ბ-ნო თამამ, რასულმა ოჯახის გრადიციას საბოლოოდ უღალაგა, მაგრამ იგი დღეს დაღესტანში ცნობილი პოლიტიკოსია, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ეს ის რასულ მიქაილოვია, რამდენიმე წლის წინ რომ იყო ჩამოსული საქართველოში რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამკაციან დელეგაციისთან ერთად აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გასაცნობად. მას ეს, ალბათ, ორმაგად აინტერესებდა: როგორც რუსეთის პოლიტიკოსს, და როგორც ქართველთა ჭირ-ვარამის გამზიარებელს – რასული ხომ მათ ოჯახში გატარებული გრადიციების გამზიარებელია.

სამწუხაროდ, მისი ჩამოსვლა მხოლოდ ტელევიზიით გავიგე და ვერც კი ვნახე. ის კი მიკვირს, თვითონ როგორ არ შემეხმინა. ყურადღებიანი ახალგაზრდაა საერთოდ, თუმცა მათი ვიზიტი მეტად ხანმოკლე იყო.

თ. ხ.: ვხედავ, აქ თქვენ უამრავი ფოტო-სურათი გაქვთ.

გ. ბ.: აქაა თითქმის ყველა რეგიონალური სესიის ფოტო-მაგიანე, ორიოდ სესიის გარდა, რომლებსაც ვერ დავესწარი. ჩამოვთვლი იმ ქალაქებს, რომლებმაც უმასპინძლეს ჩვენს რეგიონალურ სესიებს. მაპაჩყალის შესახებ უკვე ვთქვი: შემდეგ მასპინძელი თბილისი გახლდათ. ამას მოჰყვა ვროზნო, ნალჩიკი, ორჯონიკიძე, მაიკოპი, სოხუმი, ჩერკესკი, კვლავ მაპაჩყალა.

თ. ხ.: ალბათ იმიტომ, რომ მეორე წრე დაიწყო არა?

გ. ბ.: დიახ, 1983 წელს კვლავ გროზნომ გვიმასპინძლა, შემდეგ ნალჩიკი, ყარაჩაე-ჩერქესკი და კვლავ მაიკოპი.

თ. ხ.: თქვენი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ სესიებით არ შემოიფარგლება.

გ. ბ. : არა, რა თქმა უნდა, არა. გვაქვს მიმოწერა, ლიტერატურის ურთიერთგაცვლა, სტუმრობა ერთმანეთთან. უბრალოდ, ადამიანურად, ხშირად გვიწვევენ ლექციათა წასაკითხად ან სხვა საჭიროებისათვის. მაგალითად, ჩვენი უნივერსიტეტის პროფ. კ. ჰრელაშვილი სახელმწიფო კომისიას თავმჯდომარეობდა წლების განმავლობაში გროზნოს უნივერსიტეტში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყ. მეცნ. თანამშრომლები, პროფ. ა. მაპომეტოვი და მ. მაპომედბეკოვა კითხულობდნენ ლექციებს დალესტნის უნივერსიტეტსა თუ პედაგოგიურ ინსტიტუტში. მეც მივიღე მიწვევა ჩეჩნეთის უნივერსიტეტიდან, წამეკითხა იქ ლექციების ციკლი ქართველოლოგიურ დისციპლინებსა და ლაკურ ენაში. იმაედროულად მიწვევდნენ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედაც. სამწუხაროდ, ვერ მომიხერხდა ჩასვლა, რადგან ეს დრო დაემთხვა ჩვენში ეროვნულ მოძრაობას. შემდეგ იყო 9 აპრილი და, ბუნებრივია, ვერც ჩავედი.

თ. ხ.: მაინც, ბ-ნო გენადი, ვისურვოთ, რომ ასეთი ურთიერთობანი კვლავ უნდა გაგრძელდეს. მოიმუშებს ჩვენი სამშობლო, საქართველო, ტკივილებს და მოვა ამის დროც.

გ. ბ.: ღმერთმა გისმინოთ, ბ-ნო თამაზ.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, იქნებ კვლავ შევხვდეთ დია ეთერში. თქვენს მიერ აქ, სტუდიაში მოგანილი სურათები ბევრს გვეტყვიან და დავარქვათ ჩვენს მომავალ შეხვედრას „ფოტოები მოგვითხრობენ“.

გ. ბ.: არ იქნებოდა ურიგო. მაშინ მე სხვა მასალებსაც გაახლებდით.

თ. ხ.: მამ, მომავალ შეხვედრამდე ეთერში – რუბრიკით: ფოტოები მოგვითხრობენ.

— ქ —

ს. ჟღენტი და ქართული ხალხური სიმღერების ენის საკითხები

1. ს. ჟღენტი თავის უკანასკნელ წიგნში „ქართული ენის რიგმიკულ-მელოდიური სტრუქტურა“ საგანგებოდ შენიშნავდა, „ქართული ხალხური სიმღერების ენის შედარება ქართული დიალექტების თავისებურებებთან გვიჩვენებს, რომ მათ შორის განსხვავება მართლაც შეინიშნება. რამდენადაც სიმღერების ენა სცილდება ამა თუ იმ დიალექტის ფარგლებს, ხშირად იგი ინტერდიალექტური უფროა.

ზოგი სიმღერის ლექსი ლიტერატურული ენითაა შესრულებული"; (აქ და ქვემოთ დაყოფა ჩვენია – გ. ბ.).

ბ-ნი სერგი ცოტა ქვემოთ ტერმინის – ინტერდიალექტურის – თავისუფალ დეფინიციასაც იძლევა: „სიმღერების ენას ინტერდიალექტურს იმიტომ ვუწოდებთ, რომ მასში წაშლილია ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი სპეციალური თავისებურებანი, მაგრამ ამ სიმღერის ენა ქართულ სალიტერატურო ენამდე მაინც ვერ ამაღლებულა“ (2, გვ. 37).

2. „ინტერდიალექტის შექმნას ხელს უწყობს სიმღერების არაჩვეულებრივი მიგრაცია ერთი კუთხიდან მეორეში“ ... ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ჩვენს ენობრივ სინამდვილეში ხდება „...სიმღერების ენიდან ვიწრო დიალექტური (ფონეტიკური და მორფოლოგიური) ფორმების განდევნა“ (3).

ამიტომაც, რომ პროფ. გ. ჩხიკვაძის „ქართული ხალხური სიმღერა I“, შეიცავს სულ 207 სიმღერას. ამათგან ხვესურულია 16, თუშური – 5, ფშაური – 7, მოხეური – 9, მთიულური – 6, ქართლური – 80, კახური – 78, მესხური – 6... „დიალექტურ ფორმებს მხოლოდ 22 სიმღერა ასახავს, დანარჩენი სიმღერების ტექსტი ინტერდიალექტურია“ (4).

მართალია, ქართული ხალხური მუსიკალური დიალექტები, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით (გრ. ჩხიკვაძე) (5), თითქმის სრულად ემთხვევიან ქართულ-ქართველურ ენათა დიალექტობრივ დიფერენციაციას, ოღონდ „სიმღერების ენაში ეს დიალექტობრივი დიფერენციაცია უმეტეს შემთხვევაში მოშლილია“ (6).

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გვერდით სიმღერების ენაში ჩვენ არა გვაქვს არქაიზმები, არქაული მოვლენები შემორჩენილია.

3. ქართველურ ენობრივ სინამდვილეში ეს გვაგონებს სვანურის დიალექტებში შემორჩენილ ფაქტს: სვანური სიმღერების ენაში „... და ცუღია, ერთი მხრივ, ფუძისეული ხმოვნები, ამჟამად უკვე რედუქციის ძალით ამოღებული სვანურის სამ დიალექტში (ბალსშემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში) და, მეორე მხრივ, ის უძველესი ფორმები სახელებისა და გმნებისა, რომლებიც უნდა ყოფილიყო ადრინდელ სვანურ მეტყველებაში“ (7).

ანალოგიურია ხმოვნების შემონახვა რედუქციის შემცველ სეგმენტში მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის რედუქციებული ხმოვანია დამახასიათებელი: ხმლები (ქართლ.), ქმარები (თუშ)... თუ შევადარებთ სიმღერების ენას, ენახავთ, „ხალხურ სიმღერებში რიტმიკულ-მელოდიკურობა და ლექსის მეტრული ზომა ფუძისეულ ხმოვნებს იცავს რედუქციისაგან“ (8): ხმალები, ქმარები...

ეს არქაული მოვლენა ჩანს როგორც სვანურში, ისე ქართულის დიალექტებში.

ოღონდ, იმავე ქართლურის ზოგ დიალექტში გრძელი ხმოვნების წარ-

მოჩენა, მაგ., მთიულურში, ინოვაცია – ამჟამად მეორეული მოვლენაა. ასეა სხვა ქართველურ ენებშიც.

მეგრულ დიალექტში დასტურდება ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვანი (ღუჭარუ „დაუწერია“)... ჭანურ დიალექტში კი იმ რიგის გრძელ ხმოვნებზე მიუთითებენ, რაცაა მთიულურში (9).

გრძელი ხმოვნები, მაგრამ აღნიშნულისაგან განსხვავებული, სვანურშიცაა; ის უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ქართულ-ზანურის სივრცე, მაგრამ არა უძველესი; „სვანურ ლექსებში სადა და გრძელი ხმოვნები გარჩეული არაა“... ისინი ლექსებში ისევე არა გვაქვს „... როგორც არ ისმის გრძელი ხმოვნები მთიულურ ლექსებში, მაგრამ ეს ე. წ. „საწინადადებო ინტონაციის (ტონური მახვილის) გამოვლენა უნდა იყოს“ (10).

4. განსხვავებით სასაუბრო ენისაგან (ე. წ. გაბმული მეტყველებისაგან), სიმღერის ენისათვის საზოგადოდ უფრო დამახასიათებელია:

„ხმოვანთა იოგაციისაღმი ძლიერი გენდენცია“, რომელიც, როგორც ჩანს, ეფუონიურობის მიზნით ჩნდება...

რიტმიკული მახვილი, რომლის ერთ-ერთი გამოვლენა ცალკეულ სიტყვათა ან სიტყვათა კომპლექსებთა გამოვლენაა... სიტყვის განმეორება ექსპრესიულობის ფუნქციით... პროსოდიური ხმოვნების ა, ო (IIვლ) მელოდიკური დაგრძელება... მისი მელოდიკური კავშირი ე. წ. ემფატიკურ ხმოვნებთან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს რიტმიკული მახვილის ექსპრესიულობას...

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სიმღერების მელოდიკურ აგებულებაში შორისდებულებს, რომლებიც გადმოცემულია სხვადასხვა ინტონაციით, მასთან სათანადო ეესკითა და მიმიკით... აქ საინტერესოა ე. წ. გაუგებარ სიტყვათა თამაში მისამღერებში დასხვ.

5. თუნდაც იმიტომ, რომ „ქართული მუსიკალური ინტონაციური თავისებურება პირდაპირ კავშირშია მეტყველების ინტონაციურ თავისებურებასთან“ (11), მათი შესწავლაც ერთობლივ უნდა ხდებოდეს მუსიკალური ეთნოგრაფიული თავისებურებების მასალის მოხმობითა და გათვალისწინებით.

ამ თხუთმეტი წლის წინ დაისტამბა ნ. მაისურაძის „ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები“. ქ-ნი ნინო დაასკვნის:

„კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის შექმნაში ძირძველ, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეღო მონაწილეობა. მუსიკალური მონაცემების მიხედვით, ვფიქრობთ, რომ ქართველურმა, იბერიული მოდგმის ტომებმა, სუბსტრატის როლი შეასრულეს იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებაში, რამაც ამ კულტურის ერთობა განაპირობა“ (12).

6. ბ-ნ სერგის მიერ ქართული ენის რიტმიკურ მელოდიკური სტრუქ-

ტურის შესწავლას მოპყვებოდა, ალბათ, ანალოგიური სახის გამოკვლევა ქართველური ენებისა და იმ საკითხთა წინ წამოწევა, რისი ცალკე მონოგრაფიული შესწავლის საჭიროება კვლევის დროს წარმოჩნდებოდა. ამან გაგვახსენა 1985 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ჩვენი რეცენზია, სადაც ეწერდით, რომ „ნ. მაისურაძის გამოკვლევაში წარმოდგენილი განზოგადება-დასკვნები საერთო კავკასიური მუსიკალური კულტურის თაობაზე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი დებულების – აღნიშნულ ენათა გენეტიკური ნათესაობის – ერთ-ერთი არაალინგვისტური გამოვლენაა“ (13).

ლიტერატურა:

1. ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963, გვ. 34.
2. იქვე, გვ. 37.
3. იქვე.
4. იქვე.
5. მოგვეყვას ს. ელენტის დასახ. შრომის მითითებით, გვ. 36.
6. ს. ელენტი, დასახ. შრ., გვ. 41.
7. ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია, I, 1939, გვ. VIII.
8. ს. ელენტი, დასახ. შრ. გვ. 38.
9. არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, თსუ, IV, თბ., 1924, გვ. 333-348.
10. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 50-51.
11. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989, გვ. 4.
12. იქვე, გვ. 72.
13. გ. ბურჭულაძე, რეც. „საუკუნეთა მიღმა გაცხადებული ერთობა“. – „ლიტერატურული საქართველო“, № 37, 13. IX, თბ., 1985, გვ. 11.

P. S. თემისების ბოლო უქმტთან დაკავშირებით ჩვენს ზემოთ აღნიშნულ რეცენზიიდან კვლავ ერთ ამონარიდს მოვეხმობთ:

„ნიმანდობლივია ერთი ფაქტი. ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულ ტერმინს – იბერიულ-კავკასიური ენები – ემყარება ამ ბოლო დროს შექმნილი მარჯვე ადვოკატური ტერმინი: იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მითოლოგია [იხ. „მსოფლიოს ხალხთა მითები“ ტ. I, 1980; ტ. II - 1982]: ამჯერად, ხომ არ აჯობებდა აქაც გვეხმარა ტერმინი საერთო იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურა, ენა (ნაცვალდ საერთო კავკასიურისა, რადგან ქართული ეთნომუსიკათმცოდნის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგები აღნიშნულ ცნების რეალურ საფუძველს იძლევა“).

მართლაც, ნ. მაისურაძის მონოგრაფიაში უკვეა „იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურა“ – გვ. 72-ზე ორჯერ.

დარწმუნებული ვარ, ბ-ნი სერგი რომ ნ. მაისურაძის ნაშრომს მოსწრებოდა, გამოეხმაურებოდა როგორც სპეციალისტი და ახლო მდგომი მუსიკალურ კულტურასთან... მართალია, იგი ქართველურ ენათა ცნობილი სპეციალისტი გახლდათ, უპირველესად ფონეტიკი, მაგრამ მისთვის სხვა ახალი კულტურულ-ისტორიული ღირებულების საკითხები, უმაღლესედა ყურადღებას... ამ რიგის მოქმედებად იყო ქვეული გასული საუკუნე 60-70 წლებში ჩვენში ბასკურთან ურთიერთობის საკითხი... ბ-ნი სერგი ჩემი მასწავლებელი იყო, კავკასიურ ენათა განყოფილებაზე გვიკითხავდა მეგრულ-ჭანურს... ჩვენი ურთიერთობა ინტენსიური გახდა ერთი შემთხვევის შემდეგ:

1962 წლის ბოლოსა თუ 1963 წლის I ნახევარში, როცა პროფ. ი. ტაბაღუა (მამინ, თუ არ ეცდები, დოცენტმა) სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებით სავე უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში საფრანგეთის ბასკებთან ხანგრძლივად ყოფნის თაობაზე და ბასკურ-ქართულის ურთიერთობაზე საჯაროდ გვესაუბრა... მოხსენების შემდეგ ბევრი გამოვიდნენ სიკვით... მათ შორის მეც, მამინ V კურსის სტუდენტი... ამას ისმენდა ბ-ნი სერგი ელენტი, რომელიც შემდეგ გამომესაუბრა... მე იმ დროს (IV კურსზე) დოც. ე. ოსიძის სემინარისათვის მომზადებული მქონდა ბასკურ-ქართულის მიმოხილვითი ხასიათის მოხსენება. ვის შრომებს არ ვავეყანი - დაწყებული ნ. მართა და დამთავრებული ი. შიმშირით... მართალია, პრობლემის გარშემო დადებითი შეხედულებისა გახლდით, მაგრამ, როგორც ახალგაზრდას, მაგალითად, ნ. მარის მშვენიერ ნაშრომში „Из пиринейской Гурьи“ - ის მონაკვეთი გაგვახსენდა, როცა მეცნიერი იგონებდა: აქაც ისევე არის, როგორც გურიაში... მე ეს აღვნიშნე და ბ-ნმა სერგიმ იმ ჩვენი პირველი საუბრის დროს შემნიშნა: აქ კი მართალი ხართ... იქაც მღვაა და აქაც... მაგრამ ეს ნ. მარის უშუალო შთაბეჭდილებები იყო და არა მეცნიერული საბუთიანობა... აი, სხვა კუთხით შეხედეთ ნ. მარს და ნახავთ, რა პერსპექტივაა საკითხის ამ თვალსაზრისით განხილვა... მეც, რა თქმა უნდა, ამ აზრისა ვიყავი და უმაღლესედა...

შემდეგაც არაერთხელ შეხვედი ბ-ნი სერგის და, ჩანს, ჩემი სამუშაოდ მიღება თავის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში გადაეწყვიტა. ჩანს, ამ პერიოდისაა ბ-ნი გ. ჭარელიშვილის სახელდახელო ბარათი, უთარილო, რომელიც შემომენახა:

„გენადი, გუმინაც ვიყავი მენთან (სტუდენტობაში, სადაც იმ დროს ვცხოვრობდი - გ. ბ.) და ვერ გნახე. სერგის უნდა სასწრაფოდ შენი ნახვა“.

გ. ჭარელიშვილი“.

ბ-ნი სერგის სურდა, ამ დროს მე ბასკურზე მეშუშავა. ამას უნდა მოწმობდეს ის რამდენიმე ბარათი, ბ-ნი გ. ნებიერიძის მოწერილი პრალიდან (პროფ. გ. ნებიერიძე, მამინ პროფ. ს. ელენტი, ჩეხოსლოვაკიაში სპეციალდებოდა: ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ბოგუსლავ პალასთან, მოგად ენათმეცნიერებაში - ელადიმიერ სკალიჩასთან, ფონოლოგიაში - იოსებ ვახუცთან):

„ბ-ნი სერგის განზრახული აქვს ბასკურზე გამუშაოს. ბასკურს ჯერ-ჯერობით ხელი მოკიდე, იქნება ადგილი გამოვინის... როგორც ჩანს, წყლის ნაყვა იქნება რადაც საერთო მასალის ძებნა ბასკურსა და ქართულს შორის“ (III, 1963).

ბ-ნი გივი ნებიერიძე თავის ხელმძღვანელს კურორტ კარლოვივარში შეხვედრია, ჩემზეც უსაუბრიათ... ბასკურზე ჩემი მუშაობის სურვილი იქედან ყოფი-

ლა.

მართლაც, ბ-ნმა სერგიმ მაშინ ვადმოძეა გასაცნობად კარლ ბოუდასეული ბასკური ტექსტები XX საუკუნის ოციან წლებში გამოცემული... ლაბურული და სულეტური დიალექტის შემეყველი 2-2 წიგნაკი, თითო ქვემონავარული და სულეტური დიალექტებისა... (ეს ტექსტები მოვეიანებით ქ-ნ ნათელა სტურუას გადაეცი გამოსაყენებლად... ახლა კვლავ ჩვენთანაა)...

იმ დროის ერთი ეპიზოდი ბ-ნ სერგისთან ურთიერთობისა, ნათლად შემორჩა მესხიერებას:

ბ-ნი სერგი მაშინდელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამეცნიერო მივლინებით გახლდათ... გაეცნო იქაური ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის მუშაობას. მაგ., დრემლენის ტექნიკური უნივერსიტეტის „მორს მუყყებელი ტექნიკის ინსტიტუტში“ 1962 წ. ოქტომბერში მოუსმენია სპეციალური აპარატით ჩვეულებრივი მეტყველების ტექსტი, შემდგომ იგივე ტექსტი მელოდიკა წართმეული (ე. წ. „მონოტონური მეტყველება“) და შემდეგ იგივე ტექსტი გამრდილი სიმღერის მელოდიკით... სხვაობა იმის მიხედვითაა, თუ როგორია მელოდიკის ხასიათი... ბ-ნი სერგი დააკვირდა: „ასეთ ექსპერიმენტს ღიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერისა და მეტყველების მელოდიკის შესწავლისათვისო“ (გვ. 29)...

ბ-ნ სერგიმ ეს, იმ დროისთვის უნიკალური ხელსაწყოები, ჩამოიგანა თავისი ლაბორატორიისათვისაც... ეს იმდენად ნაყოფიერი მივლინება გახლდათ, რომ ბ-ნი სერგის ანგარიში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, მეცნიერულმა სამოგზაღობამაც მოისმინა. ბ-ნმა სერგიმ, რაკი აღნიშნულ ლაბორატორიაში მიპირებდა დასაქმებას დაუსწრებელ ასპირანტურაში სწავლასთან ერთად, მიაბზო: ამ მეცნიერთა შორის ბრძანებულა ბ-ნი არნოლდი; მას ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებით უსაუბრია და შემდეგ ჩვენმედაც რამდენიმე კომპლემენტი უთქვამს... ბ-ნ სერგის უხაროდა, თქვენი ასპირანტურაში დატოვებისათვის მადლობაც მითხრაო (იმ დროს, ჩანს, კავკასიურ ენათა განყოფილებაში ამის საშუალება არ იყო. ვადმომცეს, როცა ბ-ნმა არნოლდმა იკითხა კათედრის სხლომაზე, გ. ბურჭულაძის საქმე როგორააო, უთხრეს: ეს საკითხი არც დამდგარაო)... ერთსაც დაესძენ, ბ-ნი სერგი, როცა V კურსზე ვსწავლობდი, უკვე მაშინ მიპირებდა დასაქმებას ლაბორატორიაში, მაგრამ ურჩიეს, რამდენიმე თვე რჩება, სტუდენტის შტატში აყვანა უხერხულია და თავი შეიკავეთო... შემდეგ, სამწუხაროდ, ბ-ნი სერგი მოულოდნელად გარდაიცვალა (ასპირანტურაში მისაღები გამოცდების წინა დღეს) და ის ადგილი ლაბორატორიაში, ჩვენთვის განკუთვნილი, დაიკარგა... რამდენჯერმე გაეიკითხე, სათანადო ინსტანციებში მივაკითხე, მაგრამ ის სამშაგო ერთეული საღლაც გაქრა... ასპირანტურაში კი ჩაეაბარე, სპეციალობაში ფრიადმე (კონკურსში მეტოქეც არა მყავდა), მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო დაერჩი ასპირანტურის გარეშე... (რომ არა შემდეგ ბ-ნი არნოლდის ღიდი ყურადღება, რომლის მოთხოვნითაც ეს ადგილი ასპირანტურაში არ დაიკარგა და კავკასიურ ენათა კათედრას გადმოეცა...).

სხვათა შორის, ბ-ნი არნ. ჩიქობავა ბ-ნ სერგის პატივს ცემდა არა მარტო როგორც პიროვნებას, არამედ – მეცნიერსაც. პროფ. ი. ეერცვაძე იგონებდა:

როცა საენათმეცნიერო დისკუსია დასრულდა და მის შედეგებს იხილაეღენ, მათ შორის ჩვენთანაც, ბ-ნ არნოლდს ერთგან საჯაროდ უბრძანებია:

მარისტა უმრავლესობა გატაცებული იყო უსარგებლო ძიებებით, პოზიგურს თითქმის არაფერს ქმნიდნენ, გარდა ს. ელენგისაო (და მიუთითებია აუდიტორიაში მჯღომ ბ-ნ სერგიზე).. მართლაც, ამ დროს იწერებოდა ბ-ნ სერგის მეტად მაღალფასეული მონოგრაფიები, რომელთა ფასი, სამწუხაროდ, დღეს ნაკლებაა ცნობილი მეცნიერული საზოგადოებისათვის (გურული კილო, 1936 წ.; ჭანურის ტექსტები, არქაბული კილოკაეი, 1938; სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949; და შემდეგ: ჭანურ-მეგრული ფონეტიკა, 1953; ქართული ენის ფონეტიკა, 1958; ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, მარცელის ავტებულების პრობლემა, 1960-; ქართული ენის რიგმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1963 და სიკვდილის შემდეგ რჩეულ შრომათა სახით „ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“, 1965).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული ექსპერიმენტული ფონეტიკის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიაში ჩატარებულმა ინტენსიურმა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობამ, პროფ. ს. ელენგის დასახელებული ნაშრომების საერთაშორისო აღიარებამ სიცოცხლის ბოლოს დამსახურებული პატივი მოუტანა მას – იგი პირველად მამინ იქნა არჩეული ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საენათმეცნიერო ეურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად.

იგი, შუა ხანს მიტანებული, თითქოსდა ახალი ენერჯითა და შესაშური შემართებით საესე შეუდგა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისა და ასპირანტების მორიგი ცელის აღმზრდას, მაგრამ ვაი, რომ არ დასცალდა ბოლომდე მიყვანა სიყვარულით დაწყებული საქმე...

უმირობა დაეგყო როგორც მის უშუალო მოწაფეებს, ისე ყველას, ვისაც ბ-ნი სერგი უშურველად უწვდია ხელს სამეცნიერო ასპარეზზე გამოსულთ... ბ-ნი სერგი, როგორც გამოჩენილი ქართველოლოგი-ფონეტიკი, ახალგაზრდა თაობათა ღირსეული აღმზრდელი – ასეთიუ დარჩა ყველას მეხსიერებაში, არადა, გარდაიცვალა სულ 51 წლისა – თითქოს კვლავ ახალგაზრდული ენერჯით საესე. რომ არა ეს მუხთალი ბედი, რამდენს შესძენდა ის ქართულ ენათმეცნიერებას.

– რ –

გიორგი როგავა – 90

ერთ ჩვენს ნაშრომს ასეთი შენიშვნა ახლავს:

„ეს მცირე ნარკვევი 1996 წელს მოხსენდა პროფ. გ. როგავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას (თემისები დაბეჭდილია) და იგი ციკლის „ლინგვისტური პარადოქსები ლაკურში“... მესამე გამოკვლევაა. პირველი „ლაბიალიზებულ კომპლექსთა პოზიციური „შეუძლებლობა“ დაიბეჭდა პროფ. მ. ჭუმბურიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში (თბ., 1997), ხოლო მეორე „პრერუბტივი ლაკურში ფონემათა თუ მისი ვარიანტი“ კი გამოქვეყნდა კრებულში „საენათმეცნიერო ძიებანი“ (1998 VII, თბ., 1998)“.

ტექსტი ამ მოხსენებისა „უახლოესი ობიექტის მიერ ზმნის პირში მართვა – „უცნაურობა“ თუ კანონზომიერება“ – ნაკლები სახით დაისტამბა: მას აკლდა ის ნაწილი, რაც საიუბილეო დღეებში მოხსენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიას, რასაც ახლა სრულად წარმოვადგენთ:

ამ ოცზე მეტი წლის წინ, როცა ჩვენ სადოქტორო დისერტაციას ვიყავდით, ბნმა გიორგიმ თავის რეცენზიაში, როგორც საჯარო პაექრობის ოპონენტმა, ბრძანა:

„დისერტაციაში დადგენილია გარდამავალ ზმნაში, როდისაა პირის დაბოლოება სუბიექტისა და როდის უახლოესი ობიექტისაო“.

ბ-ნი გიორგის ამ დასკვნას ჩვენთვის მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს საკითხი ერთი ცენტრალურთაგანი გახლავთ ლაკური ზმნის ფენომენის გარკვევაში. ზმნის ურთულეს კატეგორიებში ბ-ნი გიორგის განსწავლულობა ხომ ცნობილი გახლდათ. რად ღირს თუნდაც მისი კაპიტალური სახის გამოკვლევა „პოლიპერონალიზმში ქვემო-ადილური ენის მშენებში“ (გ. როგავა, 1942) ... ბ-ნმა გიორგიმ აქ ბრწყინვალედ განსაზღვრა და კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რატომაა ქართველურ ენათა ზმნა მაქსიმუმ ორპირიანი – ზმნაში მორფოლოგიურად შეიძლება აისახოს მხოლოდ ორი პირიო... (გ. როგავა, 1942, გვ., 128-129)... და რამდენი ასეთი...

ბ-ნი გიორგის დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა... იგი ჩვენს შორის არ ბრძანდება... სიცოცხლეში კი მისმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა საჯაროდ ვერასოდეს გამოეხატა მისდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა. ბოლოს და ბოლოს უბრალო მაღლობაც ვერ ეუთხარით იმ უზარმაზარი წვლილისათვის, რაც მას მიუძღვის იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში სამოგადოდ. ბ-ნი გიორგი ისე აღესრულა, რომ თითქოს ამის ნებას არ გვრთავდა... თვით გარშემომყოფთათვის მუდამ კეთილის მსურველი და მთესველი ერთხელაც არ გათქმეიწებდათ მაღლობას.

არა და, ჩვენ, მის უნივერსიტეტულ მოსწავლეებს, თუ საზოგადოდ მის გაწვრთნილთ ენათმეცნიერებაში, მხოლოდ ახლა შეგვიძლია ამის თქმა...

რა დაგვავიწყებს მე და ბ-ნი ვ. შენგელიას, ბ-ნმა გიორგიმ, ჩვენი კათედრის გამგემა და ლექტორმა, ჯერ კიდევ სტუდენტებს ადრევე გვირჩია, გავცნობოდით ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ექსპერიმენტული კვლევის მეთოდებს ბ-ნი შ. გაფრინდამვილთან... იზრუნა კიდევ, მაგრამ ასეთი გაცნობა, სამწუხაროდ, არ შემდგარა... ბ-ნი გიორგი თვით წუხდა, განიცდიდა ამას...

ბ-ნი გიორგი ჩემი სტუდენტობისდროინდელი ძიებების ხელმძღვანელი გახლდათ... ერთი ასეთი მოხსენება „სახელთა ოდენ პრეფიქსული წარმოებისათვის ქართულში“ სწორედ მისი რჩევით და წარდგინებით დაიბეჭდა მოგვიანებით ჟურნალ „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“...

მერე კიდევ ჩემი ცხოვრების მძიმე წლებში, როცა ყველაზე უფრო მჭირდ-

ებოდა თანადგომა, იგი უჩუმრად კვლავ ჩემს გვერდით გახლდათ მუდამ... ბოლოს კი, როგორც ეთქვი, ოპონენტიც ბრძანდებოდა ჩვენი სალოქორო დისერტაციისა... ორი ფოტო შემომჩაბა იმ დღისა – ერთზე ბ-ნი ილია ცერცვაძე მილოცა და მის გვერდით დგას ბ-ნი გიორგი თავისი განუმეორებელი ღიმილით... თვალებში ჩამდგარი სითბოთი, ხოლო მეორე ფოტო ბ-ნი არნოლდი და ბ-ნი გიორგი გახლავთ ერთად... ბ-ნი არნოლდი ზის, მისკენ თავდახრილი საუბრობს ბ-ნი გიორგი, კვლავ გახარებული... ესაა პაექრობის შემდგომი წუთები...

სწორედ ამ დაცვის ერთი წლის თავზე თბილისში გვესტუმრა ბ-ნი გიორგის მიერ ხელდასმული ენათმეცნიერებაში, ცნობილი მოსკოველი კავკასიოლოგი, წარმოშობით ყაბარდოელი პროფ. მუჰაღინ კუმახოვი... სასტუმრო ოთახი ვაკის პარკის მიმდებარე სასტუმროში დაეკავებინა... ბ-ნი გურამ თოფურია, ბ-ნი ვაჟა შენგელია და მე შეეხვდით, შემდეგ იქვე რესტორანში სასაღილოდ შევიპატივეთ... სუფრის ხელმძღვანელობა მე დამევალა... ბ-ნი სიმონ ჯანაშიასა და ბ-ნი ვარლამ თოფურიას ხსოვნის სადღეგრძელო შეისვა... ცოცხალთაგან ჩვენი საერთო მასწავლებელი ბ-ნი არნოლდი ვადღეგრძელეთ... კლასიკოსები ქართული მეცნიერებისა და იქვე დავამატე, საჯაროდ, ალბათ, პირველად: რაკი ენათმეცნიერებზე ვამბობთ, განა კლასიკოსები არ ბრძანდებიან ბ-ნი გიორგი და ქ-ნი ქეთევანიო. ეს ყველამ ერთხმად გაიმეორა და ითქვა: ქ-ნ ქეთევანსა და ბ-ნ გიორგის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ცოცხალ კლასიკოსებს, გაუმარჯოსო...

მე დღესაც არ ვიცი, ცნობილი იყო ეს ბ-ნ გიორგისათვის თუ არა; ვინ შეჰკადრებდა და ეტყოდა ამას... ვგონებ, ვერ ეტყოდნენ და თუნდაც, ეთქვათ, ბ-ნი გიორგი, ალბათ, ხელებს გაასაფხავებდა და იტყოდა: მე, მე... არაო.

მაგრამ იქ, ჩვენს ვიწრო წრეში თქმული რომ ჭეშმარიტება გახლდათ, დღეს ამაში ყველა დამემოწმება... დიახ, ბ-ნი გიორგი კლასიკოსია ქართული ენათმეცნიერების... კლასიკოსი სიცოცხლეშივე და არა შემდეგ, აგრე რომ გვჩვევია ხოლმე.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, გავლენ წლები და ბ-ნი გიორგის ნამუშაოები, რომელთა არა ერთი წილი ქართული ენათმეცნიერების „ოქროს ფონდშია“ ხოლმე შესული, კვლავ არაერთგზის შეგვახსენებენ თავს... დიახ, არაერთგზის, რადგან ასეთია ნამდვილი მეცნიერული შრომისა და მეცნიერის ბედი*.

* მოხსენდა პროფ. გ. როგავას დაბადების 90 წლის იუბილეს.

თ. უთურგაიძე – ენათმეცნიერი

ბ-ნ თედოს, რომელსაც სულ ახლახანს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, სამეცნიერო რეგალიები არ აკლია: მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის აკადემიის აკადემიკოს-ფუძემდებელი... შეიძლება კაცმა გაიფიქროს, ასეთ პიროვნებაზე საუბარი ძნელიაო, მაგრამ არა, ბ-ნი თედო ღია კაცი ბრძანდება ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც, რაც იცის ან რამედაც უფიქრია, ადვილად შეუძლია გადმოგვცეს, შენად აქციოს... მასთან საუბარი ამიგომაც ყურადღების მობილიზებას მოითხოვს შენგან... არ გინდა, რაიმე გამოგვჩეს და დაგვჩეს შემდეგ შეუცნობი...

როცა მისმა კოლეგებმა და მეგობრებმა ამ სესიის მისდამი მიძღვნა გადავწყვიტეთ, ერთი წინაპირობა დაეთქვიოთ: არ სცოდნოდა მას ამის შესახებ, მაგრამ, ჩანს, ეს მთლიანად ვერ მოგვიხერხდა... მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მე დამევალა, მომეხსენებინა... როგორც ჩანს, სათაურში ერთი უზუსტობა გავგეჰარა – „თ. უთურგაიძე – დიალექტოლოგია“, რომ წერია, უნდა იყოს: თ. უთურგაიძე – ენათმეცნიერი.

აგერ რამდენი წელია ბ-ნი თედო ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ, ხაზგასმით ვიგყვი, ადამიანურ, დიახ, ადამიანურ მოღვაწეობას და ერთხელაც ვერ შევებმინანე მის თუნდაც ნაწერებს... არადა, ამისი სურვილი არაერთხელ მქონდა... მიწერია რეცენზიები, ალბათ, არც თუ ურიგო, თვით ჩემი მასწავლებლების შრომათა შესახებაც, მაგრამ ბ-ნი თედოს გამოკვლევანი თითქოს განზე მრჩებოდა... განზე არა, რა თქმა უნდა... ბ-ნი თედოს შრომებს ვეცნობოდი, ვიწერდი ჩემთვის საჭირო და საინტერესო საკითხებს, მაგრამ ის, რაც მის ნაწერებს ეკადრებოდა, ჩამჯდარი ანალიზი, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე... არადა, ბ-ნი თედოს ცალკეული გამოკვლევებისა თუ წიგნების გაცნობისას მათ გვერდებზე მიწერილი არაერთი ჩანიშნა თუ გამომხაურება კელავ საჭიროებს მიბრუნებას მისი ნაშრომებისაკენ... ამას გააკეთებენ, ალბათ, მომავალში ჩვენზე ბევრად უკეთ, მაგრამ დღეს მინდა გადავშალო თქვენთან ერთად ბ-ნი თედოსეული ზოგი ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემულ ჩანიშნას და მათ შესახებ მოკლედ, ფრაგმენტულად ვისაუბრო... გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება ზოგი მისი ნაშრომის გამო...

თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, ეგების ჩვენი საუბარი არ იყოს ქრონოლოგიურად აგებული, რადგან ინტერესების ის სფერო, რაც ბ-ნი თედოს გააჩნია, ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ თავსდება. ინტერესების ეს სფერო მეტად ვრცელია: ახალი და ძველი ქართული, ქართული დიალექტოლოგია, ქართველური ენები... ქართული ენათმეცნიერების ისტორია, ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი... ენათმეცნიერების თეორიული საკითხები... მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა პრობ-

ლემბაგია...

ინტერესთა ასეთი მრავალმხრივი გამა დამახასიათებელი გახლდათ ჩვენი დიდი მასწავლებლისათვის... მათ შორის ბ-ნი თედოს უპირველესი მოძღვრის, ბ-ნი აკაკი შანიძისათვის...

ბ-ნმა თედომ, თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1950 წელს, სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ბ-ნ აკაკისთან... იცავს საკანდიდატო დისერტაციას 1954 წ. და იქვე, ბ-ნ აკაკის რედაქტორობით 1960 წ. გამოდის მისი პირველი მონოგრაფია „თუშური კილო“. მასში შესწავლილია თუშური დიალექტის ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები, გათვალისწინებულია სხვა დიალექტების, ძველი და ახალი ქართულის სათანადო მონაცემები... გამოვლინდა საერთო სხვა დიალექტებთან, გამოიკვთა ფშაურის დამახასიათებელი თავისებურებანი... იქვეა პროზისა და პოეზიის ნიმუშები, ჩაწერილი 1950-51 წლებში ჩალმისა და გომეწრის ხეობაში, ნაწილობრივ კი – პირიქითის ხეობაში... სწორედ ამ კვლევის შედეგებს ასახავდა ძირითად დებულებათა სახით წარმოდგენილი მისი ავტორეფერატიც...

ახლა ორიოდე სიტყვა იმ ადამიანებზე, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ბ-ნ თედომე.

პირველი სამეცნიერო თემა „თხოვნითი კილო თუშურში“ ბ-ნი ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით დაეამუშავე, პირველი სამეცნიერო მივლინება მისი ხელმძღვანელობით მოხდა, პირველი ჩემი ნაშრომიც – „დროის მზნიშვლა ქართულში“ – ბ-ნი ვარლამის რეკომენდაციით დაიბეჭდა: ახლაც მახსენდება ბ-ნი თედოს ადრე მონათხრობი... ბ-ნი ვარლამი რომ საპროფესოროში მარტო მოსულიყო, არ მახსოვს, მუდამ მიჰყვებოდა სტუდენტობა, ყოველ მათგანს რაღაც დაეალება პქონდა მიცემული მისგან... ბ-ნ ვარლამს ჩვევად პქონია, თუ კურსზე ვინმე გამორჩეულ ინტერესს იჩენდა საენათმეცნიერო დისციპლინებისადმი, იმათ დამატებით, ქართული ენის კაბინეტში, უნიშნავდა მეცადინეობას... კურსზე ასეთი იმ დროს 3 ნოღარი ყოფილა – ნოღარ პირველი, ნოღარ მეორე, ნოღარ მესამე...

ბ-ნი თედოს მეორე სახელი, სტუდენტური ნოღარი გახლდათ... ჰოღა, ისინი ბრძანებულან: აწ გარდაცვლილი ნოღარ აღანია (ცნობილი ლიტერატორი, მაშინ ენის გრფიალი, ალბათ), ნოღარ ანდლულაძე (დღეს სახალხო არტისტი რესპუბლიკისა, ცნობილი მომღერალი და თვით მომღერალთა აღმზრდელი) და ჩვენი ბ-ნი თედო...

როგორ ემზადებოდნენ მოხსენების წასაკითხად... შევიკრიბებოდით ჯგუფის სტუდენტები... მომხსენებელი წაიკითხავდა მოხსენებას... მისცემდნენ შეკითხვებს... გაიმართებოდა კამათი; ბ-ნი ვარლამი იმ დროს კი ჩუმაღ იჯდა... შემკითხველ-მოქასუხეს დროღადრო შეუსწორებდა, თითქოს უნებურად და შემდეგ, როცა მოხსენებას ვკითხულობდით, უკვე საჯაროდ, თვით გვიკვირდა, საიღანაა მზა ქასუხები ან ასეთი სითამამე... ასე რომ, ის თითქოს

გენერალურ რეპეტიციას გვიტარებდაო...

ასე იწვრთნებოდნენ მომავალი ენათმეცნიერები და არა მარტო ისინი... სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ბ-ნი ვარლამი ენათმეცნიერებაში ანდრო ეორდანიას ბრძანებულა... როგორ არჩევა მომავალ კადრებს... საინტერესოა ბ-ნი აკაკის წვრთნის სისტემა... ბ-ნი აკაკი მეტად თავისუფალი და, იმავდროულად, მკაცრი ბრძანდებოდა... ასპირანტურაში სწავლისას ბ-ნი თედოს დააყვალა, გადაეწერა იოანე ოქროპირის გექსიკა... სქოლიოში შესწორებათა ჩატანა იყო საჭირო... ბ-ნმა თედომ ბრძანა: ბ-ნი აკაკი ჩემს გადაწერილ გექსტს ქ-ნი ქსენია სიხარულიძის, ცნობილი ფოლკლორისტი რომ გახლდათ, გადაწერილ გექსტს უდარებდაო... ქ-ნი ქსენიას გადაწერილი, ალბათ სანიმუშო იყო... 9-10 რვეულს რომ გადაეწერდი, შემდეგ სხვას მაძლევა გადასაწერადო და სხვ. იმავდროულად, თავისუფალი მუშაობის ნებასაც იძლეოდაო... მივსულვარ არაერთხელ ბ-ნი აკაკისთან, უკითხავს, რა გინდა, თუშორო... არაფერიო, ვეცყოდი; თან მოვახსენებდი, თუ რა გავაკეთე და მეცყოდა: წადი, სახლში იმუშაეო... ბ-ნი აკაკის სამუშაო ხომ დილის 5 საათზე იწყებოდა... ერთხელ მითხრა: ეპ, დამძინებია და დილის 6 საათზე ავდექი, კარგა გამოძინებული ვარ ახლაო... ბ-ნი აკაკის ფიზიკური თვალი ჰქონდა, გაწვრთნილი, ალბათ, კორექტურაში... ჩემს მშობლიურ თუმურ კილოში უმაღ იპოვიდა უმუსტობას... 4-5ჯერ წაიკითხა გექსტი, რამდენიც ნახა, ისეე დამიბრუნა... ბ-ნმა თედომ განაგრძო: ივანე ბუქურაულის ჩანაწერი გექსტები გამოირჩევა სიზუსტით, – მოვახსენე ერთხელ... ბ-ნმა აკაკიმ თვალეები მოჭუტა და ღიმილით დაუმატა: აბა, რა იქნებოდა, „ძველი საქართველოს“ (ამ ქურნალში იბეჭდებოდა ის გექსტები) რედაქტორი ხომ ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

ორიოდე სიგყვით დაუბრუნდეთ ბ-ნი თედოს ასპირანტურაში ჩარიცხვის ისტორიას... მასთან ერთად ასპირანტურაში აბარებდა ბ-ნი ფარნაოზ ერთელიშვილი, შემდეგ ცნობილი ენათმეცნიერი, აწ გარდაცვლილი... ბ-ნი თედო და ბ-ნი ფარნაოზი თურმე ერთად მეყადინებოდნენ იმიტომ, რომ ჩაბარებისას უპირატესობა არ ჰქონოდა რომელიმეს... მართლაც ორივე ჩაირიცხა... ამის შესახებ ბ-ნი ა. ჭინჭარაული გვიამბობს ვაგეთ „ბურჯი ეროვნებისას“ ფურცლებზე და დასძენს: „მე მოგვიანებით შევეურთდი ფ. ერთელიშვილის, გ. მაჭავარიანის, ნ. ანდლუაძისა და თ. უთურგაძის საქმოს. დიდი ბედნიერება იყო ამ ხალხის გვერდზე დგომა. როგორც მეცნიერული კეთილსინდისიერების, ისე უბრალო ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით“.

ადამიანური ურთიერთობა... მეცნიერული კეთილსინდისიერება კარგად წარმოჩნდა ბ-ნი ფ. ერთელიშვილის მონოგრაფიის „სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“ გამოსაცემად მომზადებისას... მონოგრაფია ბ-ნი თედოს რედაქტორობით გამოიცა 1980 წელს. არადა, მოგეხსენებათ, როგორ ჭირს, განსაკუთრებით ამ ქვეყნიდან

წასულთა შრომების გამოცემა... თავად დიდი ივ. ჯავახიშვილის შრომათა გამოცემა არ დასრულებულა... ბ-ნი ვარლამ თოფურისას შრომების გამოცემაყვერ ხერხდება...

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში პირადულზე წინ სხვა რამ დააყენო, უპირველესად მეცნიერული კეთილსინდისიერებაა საჭირო...

ბ-ნი თედო წლების განმავლობაში მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში... თუ თვალს გადავაყვებთ მამინ გამოქვეყნებული თემისებისა თუ სტატიების ნუსხას („ფშაური კილო“ (1958), „მესხურ-ჯავახურის ფონეტიკის გრამატიკული მიმოხილვა“ (1956), მთის კილოთა (ფშაურის, ხევსურულის, მთიულურის, მოხურის) ლექსიკონისათვის (1960), „მთიულური კილოს ფონეტიკური თავისებურებანი“ (1961), „ბაბურ-ჩაჩნური ენებისა და ქართული ენის მთის კილოების ურთიერთობისათვის“ (1959), ნათელი ხდება, რომ მკვლევარი ემზადებოდა დიდი სამუშაოსათვის – მართლაც, შეიქმნა და გამოქვეყნდა მონოგრაფია „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ (1966), რომელიც საფუძვლად დაედო ბ-ნ თედოს სადოქტორო დისერტაციას „ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით“... დაცვა შედგა 1969 წლის 4 მარტს.

ამის შემდეგ ბ-ნი თედო წერს ჩინებულ გამოკვლევას „ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი“ (მეცყვ. კულტ. საკითხები, IV, 1973), რასაც მოჰყვა ცალკე წიგნად დასტამბული „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა (1976)... ეს არის მეტად მაღალხარისხოვანი ფონოლოგიური გამოკვლევა, სადაც ქართული ენის ფონემატური სისტემა შესწავლილია დიასისტემური მეთოდის საშუალებით: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დროს ჩვენ გვაქვს „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ გ ახველიანისა... არაერთი პირველხარისხოვანი გამოკვლევა ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხებზე, კ. ფოტის ცნობილი მონოგრაფია „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (1961)... ბ-ნი თედოს მონოგრაფიაში დასმულმა და გადაჭრილმა არაერთმა საკითხმა იმთავითვე მიიქცია სპეციალისტთა დიდი ყურადღება... ამის დასტურია ის, რომ მონოგრაფიის დიდი ნაწილი გამოსვლისთანავე ითარგმნა რუსულად და გამოვიდა 1978 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“. ვინც იცნობდა ან უმუშავია ბ-ნ არნოლდთან, მან იცის ასეთი არჩევანის ფასი... მხოლოდ ერთხელ იყო, რომ დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას 300-ზე მეტგვერდიანი სახელმძღვანელოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალის“ შესახებ: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი: ძირითადი პრინციპები და ზოგადი დასკვნები“ – სულ 30-ოდე გვერდი.

ბ-ნ თედოს მონოგრაფიის რუსულ ვარიანტში დამატებულია თავი „ქართული ენის თანხმოვან ფონემათა სინტაგმატური შესავლის ისტორიისათვის „მზარდი ნაპრალოვნობის“ პრინციპთან შედარებით, რომელიც

წარმოადგენს ავტორისეული კვლევის შედეგს.

ამ მონოგრაფიასთან დაკავშირებით ერთი დელიკატური საკითხის შესახებ ორიოდ სიტყვა. ცნობილია, რომ ზოგჯერ ცნება ასწრებს გერმინს. ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა ერთგან წერდა: პ. ფოგება მოგვცა ქართულ ფონემათა დისკრიმბუკული ანალიზი ქართულში და რომ „ასი წლით ადრე ა. მიუნერმა ბაცბურ ფონემათა დისკრიმბუკული ანალიზი მოგვცა: ცნებამ დაასწრო გერმინს“ (იხ. მისი: იკე-თა შესწავლის ისტორია, გვ. 176)... მაგრამ უფრო ხშირია ის ბედნიერი შემთხვევები, როცა ორივენი თანაარსებობენ – ცნებაცა და გერმინიც. თავში „სახელის ფუძის კუმშვისათვის ქართულში“ ბ-ნი თედო საგანგებოდ აღნიშნავს „მსჯელობაში გამოყენებულ გერმინთათვის“, სადაც ჩამოთვლილია და განმარტებული რედუცირებული სეგმენტი, მარედუცირებული სეგმენტი, რედუქციის საყრდენი თანხმომიანი და ხმოვანი, რედუქციის საყრდენი სეგმენტი... და იქვე მიმიწერია: აქედანაა ჩვენში ახლა ფართოდ გავრცელებული ამა და ამის საყრდენი ფუძე და მისთანანი... სამწუხაროდ, წყაროზე თითქმის მიუთითებლად.

ერთგან ბ-ნი თედოს უწერია: „რაც შეეხება ფოცხვერ ფუძეს, იგი დაიმარცხდება ასე: ფოც-ხვერ...“ და შემდეგ: „ეს ფუძეები უთუოდ შედგენილია“ (გვ. 146)... მე იქვე მიმიწერია: ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა პ. ფენრიხი – ოლონდ სხვა გზით: იგი გამოყოფს ხვერ და უკავშირებს სეან. ხვირ „ხვალი“, ხვირა „ხვალი კატა“ (ლექსუმური) და სხვ.

1969 წელს დასტამბულ სტატიაში „ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან შედარებით“ ბ-ნი თედო სწავლა, სწრაფი, სწორი და მისთანათა ანალიზის შედეგად დაასკენის, რომ ს- ასეთ შემთხვევაში პრეფიქსია (ს-წრაფი... იწრაფე, იწრაფა... და ა. შ.)... აქ გვაგონდება არნ. ჩიქობავას ერთი შენიშვნა გ. ლეეტერსის ცნობილ სტატიაზე „გუქონდა თუ არა ყველა კავკასიურ ენაში გრამატიკული კლასები“. ბ-ნი არნოლდი ბრძანებს: „გ. ლეეტერსი უარყოფით პასუხს იძლევა, თუმცა ფორმანტების ფარდობა (შეპირისპირება) რომ გვაქვს, ამას ის არ უარყოფს. სხვა ფარდობა-შეპირისპირებაზე უფრო არსებითი კრიტერიუმი კი ენის სისტემის აღწერისას ცნობილი არაა“ (იგი წგნ., გვ. 133).

ქართულში მ-კეთებული და სა-კეთებული, სეანურში, ვთქვათ, მეყვრ-ე „მწოლიარე“ - ლა-ყვრ-ა „საწოლი“ ტიპი რომაა, იქ მ- და სა-, ლა- და მისთანანი ცხადად გამოიყოფა... მათი ინტერპრეტაცია კი კვლევის შემდგომი ეტაპია. აი, ამიგომაც მიგვაჩნია ნოვაგორულად ბ-ნი თედოს მიერ დადგენილი „სმ/რძ, სყ/რც, სჩ/რთ, სწ//რწ, სჭ/რჭ... ს- კომპლექსებში ისტორიულად დამოუკიდებელი მორფემა“... ის, რაც აქამომდე უფრო მორფოლოგიური ძიებით დასტურდებოდა, მას გვერდით ამოუდგა ფონოლოგიური დაკვირვება.

ბ-ნი თედო, რა თქმა უნდა, ფაქტის კონსტატაციაზე ჩერდება: ს- პრეფიქსია, ოლონდ რა დანიშნულებისა, ეს კვლევის სხვა დონის საქმეა, მაგრამ

უთუოდ გასათვალისწინებელი.

1960 წ. გორის პედ. ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა „ზოგიერთი ნასესხები და საერთო წარმოშობის სიგყვა ბაცბურ-ჩაჩნურსა და ქართველურ ენებში“. აქ განხილულია ლექსემები, „რომელთა ნაწილი ნასესხები ჩანს ბაცბურ-ჩაჩნურისაგან; მათ ძირითადად ვხვდებით მთის კილოებში; ნაწილი, ჩვენი აზრით, საერთო წარმოშობისაა ბაცბურ-ჩაჩნური და ქართველური ენებისათვის“ (გვ. 87), — წერს ბ-ნი თედო.

ბ-ნი თედო კარგად იცნობს ნახურ ენათა სამყაროს... ბაცბური ხომ მისთვის დედის ენაა, მშობლიური... იგი არაერთხელ ოპონენტობდა ან ხელმძღვანელობდა დისერტაციებს ნახურ ენებში (კ. ჭრელაშვილის სადოქტორო დისერტაცია, ხელმძღვანელი რ. ფარულაძის ნაშრომისა და სხე)... ამიგომ ბუნებრივად იყო, რომ ბ-ნმა არნოდღა იგი მოიწვია სამუშაოდ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში, მაგრამ ბ-მა თედომ თავზიანი უარი მოახსენა... ჩვენც გვისაუბრია მასთან ამასთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩანს, და გასაგებიცაა, ქართველურ ენათა კვლევის სფეროში მთლიანად გადართულს, გაუჭირდებოდა, ალბათ, პროფილის შეცვლა და ზოგი სხვა რამეც...

ბ-ნ თედოს სხვადასხვა დროს მიჰყავდა და მიჰყავს ძველი ქართული ენის, ქართული დიალექტოლოგიის, თანამედროვე ქართული ენისა და სხვა კურსები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში... ამიგომაც მის ფონოლოგიურ ნაკვლევებს მოჰყვა „ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი“ (1968). ეს მონოგრაფია ორგანული შედეგია მკვლევრის მრავალწლოვანი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისა... მასში წარმოდგენილია „...ის მორფოლოგიური ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სახელთა ბრუნებაში ქართული ენის განვითარების ისტორიულ მანძილზე...“, ბოლოს კი განხილულია „...სახელთა ბრუნების დღეს მოქმედი სისტემა“ (გვ. 6).

შრომში ფართოდაა მოხმობილი, როგორც ძველი, ასევე ახალი ქართულის, ასევე დიალექტოლოგიური მონაცემები, რომელთა ანალიზი ხდება სტრატეგიკაციული თვალსაზრისით.

გამოკვლევა დაწერილია ნათელი, სტუდენტათვის გასაგები, მეცნიერული ენით. აი, მაგ., თავში „სახელთა თანდებულებიანი ფორმები“ ვხვდებით დებულებას: „ბრუნვის ფორმა აქეთ მხოლოდ აქტანტებს, გარემოებებში ბრუნვის ნიშანი თეორიულად არის დაუშვებელი: სახელთა ფორმები სწორედ ბრუნების პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან გზნიგდებად, ანუ გარემოებებად“ (გვ.91)... იქვეა: „ამ თვალსაზრისით უდავოა, რომ „ლოკატიური ბრუნების“ შეგანა ბრუნების პარადიგმაში სრულიად გაუმართლებელია და ამ გამოთქმასთან სქოლიოგება მითითებული, სადაც წერია: „ადრე ლოკატიურ ფორმებს ვიხილავდით გრადიციული თვალსაზრისით: მათ ბრუნების პარადიგმაში ვაანალიზებდით“ (იქვეა მითითებული არნ. ჩიქობაეას 80 წლის თავზე მიძღვნილ კრებულში დაბეჭდილ სტა-

გიაზე).

ღიას... ესაა ბ-ნი თედოს მეცნიერული სახე... შეიძლება კაცმა გამოიყვალო შეხედულება, მაგრამ ამის აღნიშვნის რიდი არ უნდა გქონდეს, არ სჭირდება ამას მალვა... მთავარია, ეს ცვლილება შეხედულებისა ჭეშმარიტების დადგენით იყოს განპირობებული.

ღღეს აქ მყოფთათვის ნათელია იმ ღიდი კვლევის ფასი, რასაც ბ-ნი თედო ქართული დიალექტოლოგიის განვითარებისათვის ეწეოდა და ეწევა... იგი, როგორც ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, მეტად ღიდ ყურადღებას აქცევს დიალექტოლოგიური კვლევის უფრო ფართოდ წარსამართავად სხვადასხვა რეგიონში სამეცნიერო ცენტრების ჩამოყალიბებას... მისი ინიციატივითაა, რომ ასეთი ცენტრები შეიქმნა თელავში, ახალციხესა და ზუგდიდში... უფრო იზრდება ქართველურ ენათა დიალექტური კვლევა საზოგადოდ (ამას მოწმობს თუნდაც იმ თემისებში წარმოდგენილი მასალაც)... ბ-ნი თედოს ხელმძღვანელობით ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ საველე ექსპედიციებში შეკრებილი მასალა უნიკალურია და ამდირებს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტოლოგიურ არქივს. ბ-ნი თედოს მონაწილეობით შედგა „კითხვარი ქართული დიალექტოლოგიური ატლასის მასალისათვის“ (1984; ა. კიბირიასთან, ივ. ქაეთარაძესა და მ. ჭაბაშვილთან ერთად)... ფაქტურად მისივე ხელმძღვანელობით გამოდის „დიალექტოლოგიური კრებული“... იგი უმურველად ეხმარება ყველა რეგიონში მომუშავე დიალექტოლოგებს, მათ შორის ქუთაისის სახ. უნივერსიტეტთან არსებულ დიალექტოლოგთა ჯგუფს, დიალექტოლოგიური ინსტიტუტის სახელით რომაა ცნობილი.

ბ-ნი თედოს მიერ გამოკვლეულია ფერეიდნულის თავისებურებანი (ბ-ნი ჯ. გიუნაშვილსა და ქ-ნ დ. ჩხუბიანიშვილთან ერთად), ღღეს კი ისაუბრებს „იმერხელის ფონეტიკურ თავისებურებებზე“ და სხვ. მრავალი.

კონკრეტულ დიალექტურ გამოკვლევათა გვერდით ბ-ნი თედოს არაერთი თეორიული სახის ნაკვლევებიცა აქვს (იხ., მაგ., „ნასესხები სიტყვები დიალექტურ ლექსიკაში“...)

ცალკეა აღსანიშნავი ბ-ნი თედო – ქართული ენათმეცნიერული ამრის მკვლევარი, ასეთი კვლევის ერთ-ერთი მოთავე. აქ არას მოგახსენებთ ასეთი კვლევის აუცილებლობაზე, არც იმაზე, თუ რა უკეთებია მას ამ მიმართებით (თუნდაც მისი და ქ-ნი ე. ბაბუნაშვილის წიგნი „ანგონ პირველის ღრამაგია და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა“ რადა ღირს), მეუნიშნავთ, რომ იგია დამკველი მეცნიერული ჭეშმარიტებისა, როცა მავანნი და მავანნი ცდილობენ მრუდე სარკეში წარმოაჩინონ სიმართლე... ასეთი წერილი მან დასტამბა „საენათმეცნიერო ძიების“ IV ტომში სათაურით „გაუგებრობა თუ...“

აქვე მსურს ერთი ფაქტის აღნიშვნით შემოვიფარგლო:

„ქართული საბჭოთა ენცილოპედია“ რომ დგებოდა თავის ღროზე, მოგესენებათ, მის შედგენაში იმდროინდელი ჩვენი მეცნიერული ელიგის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ასე, მავალითად, სტაგია „გრა-

მაგიკა” არნ. ჩიქობავას ეკუთვნოდა – არნოლდისეული სტილისთვის დამახასიათებელი ერთი დაწერილი, მოკლე, მაგრამ გვეადი... საქართველოსადმი მიძღვნილი ცალკე ტომი რომ დაიბეჭდა, იქ უკვე სტაგია „ენათმეცნიერება” ქ-ნი თ. შარაშენიძისა და გ. ფოჩხუასია. აქ ერთგან წერია: „ჩვენს დრომდე დაყული მასალის მიხედვით, ქართული ენის შესწავლა XVII-XVIII ს.ს-ში იწყება. არის საფუძველი, ქართულ ენას მანამდეც შეისწავლიდნენ, მაგრამ იმ დროიდან არც გრამატიკას მოუღწევია, არც ლექსიკონს” (გვ. 232).

როცა ახალი ქართული ენციკლოპედიისათვის ბ-ნ თედოს ზოგი ენათმეცნიერული სტაგიის დაწერა შევთავაზეთ, პირველი, რაც ბ-ნმა თედომ ბრძანა, ის იყო, როგორია ძველად დაწერილი ანალოგიური სტაგიების ბედით. ის, რაც კარგია, არ უნდა დაიკარგოსო... ეს, რა თქმა უნდა, მეცნიერული ეთიკის უპირველესი მოთხოვნაა, რის ნიმუშსაც, თან არაერთს, იგი მუდამ უჩვენებს თავის კოლეგებსა თუ მოსწავლეებს...

და აი, მან მოგვიგანა შეპირებული სტაგიები: „გრამატიკის” თეორიულ ნაწილზე იგი გზავნის მკითხველს სქეს მე-3 ტომში დაბეჭდილ სტაგიაზე და შემდეგ იწყებს ქართული გრამატიკის შესახებ მსჯელობას: „ქართველთა გრამატიკული მეცნიერებით დაინგერესება იწყება X საუკუნიდან. გრამატიკული ამროვნების პირველი ნაკადი იქმნება X-XII საუკუნეებში ბიზანტიური მეცნიერების გავლენით”... ჩამოთვლილია ამისი დამადასტურებელი შრომები, მითითებულია ანონიმი ქართული გრამატიკოსის „სიტყვაჲ ართრონთათჳს”, მ. შანიძემ რომ გამოსცა, ი. პეტრიწის „ბოლოსიტყუაჲზე”, რომელიც ერთვის პაროკლეს „განმარტებაჲს” და ბევრი სხვა.

შემდეგაა: „მონლოლთა შემოსეუებმა და ბატონობამ ქართველები გათიმა მეცნიერულ საქმიანობას. ქართული ენის გრამატიკული კვლევა განახლდა XVIII-ში იტალიელ კათოლიკე მისიონერთა ინიციატივით”.

ბ-ნი თედო არ მიწყენს, ალბათ, ეს მცირე ამონარიდი რომ მოვიყვანეთ მისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი სტაგიიდან... ის მინდოდა მეთქვა და მეჩვენებინა, თუ როგორია ბ-ნი თედო მუდამ ახლის ძიებაში, კვლევაში... ეს კი ძველის, მასთან დაუნჯებულის გამოვლენაცაა... რაც ამ პატარა სალექსიკონო სტაგიაშიც კი მქდავნიდება...

ყოველი სიახლისადმი სწრაფვა, მისი შენობა და სხვათათვის გადაღება – ეს სტიქიაა ბ-ნი თედოსი.

ამის ერთი დადასტურება ის გახლავთ, რომ იგი ჩვენს ინსტიტუტში ხელმძღვანელობს ჯგუფს, რომელიც მუშაობს ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელების შექმნაზე, იკვლევს და სხვებიცა ჰყავს ჩაბმული მანქანური შესწავლის ლინგვისტური პრობლემებით.

გადმოსემენ, როცა მათემატიკური ლინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი, საბჭოეთში ყალიბდებოდა, არნ. ჩიქობავა იყო პირველი, რომელმაც დაუჭირა მხარი მის განვითარებას... პირველი მეცნიერებათა კანდიდატებიც, რამდენადაც ვიცი, ამ სფეროში ჩვენთან გახდნენ...

ასე რომ, გრადიცია ახლის ძიებისა და დამკვიდრებისა ჩვენში იყო და მას ასე წარმატებით ავრძელებს დღეს ბ-ნი თედო, რომლის ერთი ყველაზე დიდი საზრუნავი ხვალისდელ დღეზე ფიქრია... ხვალისდელი დღე კი მოგეხსენებათ, ადრე იჭედება, დღესვე... ამიგომაც მასზე ფიქრი ადრეა საჭირო... საჭიროა სათანადო კადრების დროული გაწაფვა, თორემ წინაპართაგან ჩაყრილი, აწყობილი საქმე შეიძლება მალე შემოგვადნეს ხელში... ეს იგრძნობა კიდევ მოგან... და, აი, ბ-ნი თედო, რაც კი მახსოვს, სულ თავის სტუდენტებსა და ასპირანტებშია და, დღეს რომ მომრავლდა, მაძიებლებთან... თავს დასტრიალებს მათ... გორში მის პედაგოგიურ ალღოსა და მოღვაწეობაზე ლეგენდები დადიოდა... ლეგენდები იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ახალგაზრდა მეცნიერი, ნიჭიერი, კვლევის უნარის მქონე სტუდენტი, თუ შეიძლება ითქვას, არ დაკარგულიყო... ასეთი არა ერთი პეოლია და ჰყავს დღესაც... ყველა ისინი მუდამ განიცდიან ბ-ნი თედოს ზრუნვასა და კეთილისმყოფელ გავლენას... ერთხელ გახარებულმა მითხრა, გელათის აკადემიაში სარგო დაგვინიშნესო და მოვახერხებ ერთ ჩემს ასპირანტს, რომელსაც ძალზე უკირდა, ფულით დავეხმარო... როცა თვითონ, ბევრი ჰუმმარიტი მეცნიერისა და კვალად, ოჯახის სარჩენი ლუკმა-პურისათვის არა ერთ ფასიან სასწავლებელშიც მუშაობს ხოლმე... სამწუხაროდ, ეს დღეს რეალობაა.

ხშირადაა, როცა ჩვენთან მოხსენებებს კითხულობენ სესიებზე ან დისერტაციას იცავენ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები, ბ-ნი თედოს სკოლა რომ გაუვლიათ... მე, როდესაც მისგან ხშირად 2-5 წუთში მომისმენია რაიმე დებულება ან ახალი მოსაზრება (ნახევრად ხუმრობით, როცა ინსტიტუტში გსურს მასთან გასაუბრება რაიმე მეცნიერულ საკითხზე, გარკვეულწილად რიგში მოგიწევს დგომა... ყველაზე კარგი იმ დროსაა მასთან ყოფნა, როცა ერთი დაწესებულებიდა მეორეში იგი ფეხით მიდის... დაემგზავრო უნდა) – გაშლილი, ახალი საილუსტრაციო მასალით სავსე... გამოწველილვით შესწავლილი სხვათაგან მომისმენია.

ცუდია ეს, თუ არა – რა თქმა უნდა, ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ხელმძღვანელს ლეთისაგან აქვს ბოძებული ეს იდეები და, რაც მთავარია, გასცემს მათ, გასცემს უშურველად – არ ემინია, რომ შემოაკლდება – ბ-ნი თედო თითქოს იდეების გამცემი ცოცხალი კონვეიერია. ღმერთმა ქნას, ეს არ მოაკლდებოდეს – ამას წინათ ერთი მისი დისერტანტის შრომაში საბჭოს ორმა წევრმა დოქტორობაც კი მოითხოვა... რა თქმა უნდა, დისერტაცია კარგად იყო შესრულებული, დისერტანტის მიერ სათანადოდ მომზადებული – იგი სადოქტორო დისერტაციასაც კი მოამზადებს, მაგრამ იმ დღეს მე უმაღ ვიგრძენი ის სიახლენი, რომელთა ერთი წილი ადრე მომისმენია ბ-ნი თედოსაგან –

მას არ ენანება იდეების გაცემა – რატომ? იმიტომ რომ იგი იმ ყაიდის მეცნიერია, რომელიც რასაც გასცემს, მეტი რჩება და, რაც მთავარია, თვითვე ხარობს იმით, რასაც მისი მოსწავლეები იმკიან... ცნობილია, რომ თვით უნიჭიერესს, არ ემინია სხვათა ნიჭიერების, პირიქით, დაეძებს მას, რომ

მეტი გაკეთდეს...

ბ-ნი თედო რაკი ენათმეცნიერებაში მთის კილოების შესწავლით შემოვიდა, მინდა მთის კილოს ორი წარმომადგენლის ბ-ნი ალექსი ჭინჭარაულისა და ბ-ნი გიორგი ცოცხანძის ორი მეტად თბილი და ადამიანური წერილიდან, გაზეთ „ბურჯი ეროვნებისაში“ რომ დაიბეჭდა, ერთი პასაჟი გავიხსენო: ორივემ ბ-ნ თედოს, თითქოსდა მოილაპარაკესო, ჭაბუკი უწოდა. მართლაც, ვინც იცნობს ამ 70 წლის ჭაბუკს ყველა სიამოვნებით მოაწერს ხელს ამ წოდებაზე. მთელი ეს დრო, რაც მან განვლო 70 წლამდე, მართლაც ჭაბუკის მიერ განვლილი გზაა... ჭაბუკური აღმაფრენით ეკიდება ის მეცნიერებას დღესაც, რომელიც მისი ცხოვრების ერთი დიდი ნაწილია... ჭაბუკური ენერგიით ეკიდება იგი სუფრის გაძლოლასაც... აქაც ჩანს მისი დიდი გული, მოყვარული გარშემო მყოფებისა და პოეტისა... დიახ, იგი პოეტია სუფრისა, ლხინი იქნება თუ ჭირი...

აი, ახლა აქ მინდა თელავში გავიხსენო ბ-ნი თედოს სადღეგრძელო, ლეგენდასავე რომ მოვიდა ჩემამდე და ბ-ნმა გიორგი ცოცხანძემ კვლავ შეგვახსენა:

1967 წლის მაგსულია... 35 წლის წინ... თუშთა სოფელი შენაქო... დიკლოსა და შენაქოს ტრაგედიის 130 წლისთავი... სტუმრობენ ბ-ნი თედოს მიერ მოწვეულნი ნოდარ დუმბაძე და არჩილ სულაკაური, სარგის ცაიშვილი და ნოდარ ებრალიძე და სხვანი და სხვანი... იყო დოლიცა და ბოლოს სუფრა, რომელსაც ბ-ნი თედო თამაძობდა... ახალგაზრდებს ღვინო მოსძალეობათ. „აგყდა დაეა, რომელიც მუშტი-კრივში გადაიზარდა... მაგრამ „პატრივცემულ პირთა დროულმა ჩარევამ“, როგორც იგონებს ბ-ნი გიორგი, „მდგომარეობა უცბადვე განმუხტა და სუფრაც თავისი რიგით გაგრძელდა“... აი, ამ დროს ბ-ნ თედოს „აღვირის“ სადღეგრძელო უთქვამს...

აღვირი, ჩემო თედო, ყველგანაა საჭირო... ბ-ნმა გიორგიმ ამის თაობაზე მართებულად შენიშნა: „აზვირთებული ვნებებისა და გრძნობების გარეშე ადამიანთა ცხოვრება არარაობაა, მაგრამ საზოგადოების უბედურებად გადაიქცევა იგი, თუ აღვირი არ აკონტროლებს და სასურველი მიმართულებით არ წარმართავს მათ“.

კარგა ხანია გვიჭირავს ეს აღვირი ჩვენს მეცნიერულ წრეში, ბ-ნო თედო! გეჭიროს დიდხანს, შენი უპირველესი მოძღვრის დარად... მისი დღეგრძელობაც დაგბედებოდეს. აკი მრძანა ბ-ნმა ალექსიმ:

„განიორწყლებულ სამშობლოს / შენფერ ვაყები სჭირდება.

(ჩუმაღ გაგიმხელ, უფალი / შენც მოძღვრის ასაკს გპირდება)“.

ჩემზე უკეთესად მოეხსენება, ბ-ნო თედო, ლექსო პაპას დაეჯერება!

1. თ. უთურგაიძე – ენათმეცნიერი. – მოხსენდა XVII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიას, რომელიც მიეძღვნა პროფ. თ. უთურგაიძის დაბადების 70 წლისთავს (თბ., 1997).

ახალგაზრდა გერმანელი კაეკასიოლოგი

გასული წლის იანვრის თვეში გამოთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ თავის მკითხველებს ამცნო, რომ გამოჩენილ გერმანულ ქართველოლოგს, ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კაეკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ ჰაინც ფენრიხს დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა.

ქართულმა სამოგადოებამ ღირსეულად შეაფასა ბ-ნ ჰაინცის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, რის დასტურად მას სხვადასხვა დროს მიენიჭა აკაკი მანძიის პრემია (1992), 1994 წელს - მარი ბროსეს სახელობის პრემია, დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით, არის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ჰ. ფენრიხი ქართველოლოგიაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად (1996) წ.).

ჰ. ფენრიხის დაბადებიდან 60 წლისთაისადმი მიძღვნილ საიუბილეო წერილს ხელს აწერენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეგრეველი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მურაბ სარჯველაძე.

„ლიტერატურული ცხინვალის“ მკითხველები დაგვიანებით ველოცავენ უცხოელ ქართველოლოგს ჰაინც ფენრიხს საიუბილეო თარიღს. ამას თავისაზე „ლიტერატურული ცხინვალის“ მთავარი რედაქტორი შეეხმინა ცხინვალის უნივერსიტეტის პრორექტორს სამეცნიერო დარგში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტს, პროფესორ გენადი ბურჭულაძეს. ბაგონმა გენადიმ არაერთი საინტერესო ეპიზოდი მოიყვანა მას და ბაგონ ჰაინცის ურთიერთობიდან. ასევე წარმოგვიდგინა ვრცელი წერილი „ახალგაზრდა გერმანელი კაეკასიოლოგი“, რომელიც 1974 წელს დაიბეჭდა ცხინვალში გამოშვებულ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთში. წერილს ავტორს (პროფ. გ. ბურჭულაძეს) ვთხოვეთ ოცდაათიოდე წლის წინ დაბეჭდილ სტატიას გაეგრძელებინა.

პროფესორი გენადი ბურჭულაძე წერილს საახალწლო ნომრისათვის შეავსებდა (ისიც ამ დროს დასტავშია!) და შეეცდნო დასაბუთებდა, ხოლო სტატიის დასრულებამდე მოვებეძღეთ ცხინვალის იმდროინდელ ქართულენოვან გაზეთსა და სტატიას და თან უერთავეთ მისივე ახლანდელ მოცულობის.

ქართველ ხალხს, მის კულტურას გერმანიის დემოკრატიულ ნიქაქურლიკაში შევსებდა ერთი უკუღიბიანი შეყვინბინიოქანი, ხოლო სტატიის დასრულებამდე მოვებეძღეთ ცხინვალის იმდროინდელ ქართულენოვან გაზეთსა და სტატიას და თან უერთავეთ მისივე ახლანდელ მოცულობის.

კავკასიოლოგი ჰაინც ფენრიხი.

ჰაინც ფენრიხი დაიბადა 1941 წელს სოფელ ჰამერში, დაამთავრა 12 კლასიანი საშუალო სკოლა და 1960 წელს დაიწყო სწავლა იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის განხრით, რომლის სრული კურსი დაასრულა 1965 წელს.

თავდაპირველად პ. ფენრიხს კლასიკური არქეოლოგია იგაცებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან მოისმინა ცნობილი ქართველოლოგის პროფ. გეტრუდ პერის ლექციების ციკლი საქართველოზე, მისი ინტერესის ობიექტი გახდა საქართველო, ქართული ენა. თუ რამდენად ინტენსიურად და ნაყოფიერად სწავლობდა იგი ქართულ ენას, იქიდანაც ჩანს, რომ მან სტუდენტობისას გამოაქვეყნა შრომები ქართული ენის სტრუქტურის საკითხებზე: „არაბულიდან ნასესხები სიტყვები ქართულში“ (დაიბეჭდა ქ. პარიზში 1964 წ. ცნობილ რუსთველოლოგიურ ჟურნალში „ბედი ქართლისა“), „ქსევის ნიშანი ი და მისი ფუნქციები ქართულ მზნაში“ (დაიბეჭდა იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის შრომებში 1965 წ.) ასე რომ, როდესაც პ. ფენრიხი საქართველოში საასპირანტო კურსის გასასვლელად ჩამოვიდა პროფ. ა. მანიძესთან (1966-68 წ.წ.). ის პრაქტიკულად უკვე მშენიერად ფლობდა ქართულ ენას.

პ. ფენრიხი ცდილობდა არა მარტო ქართული ენათმეცნიერების მიღწევათა ათვისებას, არამედ სურდა კარგად გაეცნო ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, მისი წარსული და აწმყო...

მეცნიერული და ლიტერატურული საქმიანობით უზომოდ დატვირთულმა მაინც მოახერხა თითქმის მთელი საქართველოს შემოვლა. მოიარა სევანეთი და შატილი, მოინახულა ნიკორწმინდა, სეგეცხოველი და ჯვარი, ვარძია და ანანური, გელათი და ყინწვისი... ყოველი მოგზაურობიდან აღტაცებული ბრუნდებოდა. აღტაცებული იმ კუთხით, სადაც იყო, და ხალხით... აღარ უკვირდა, თუ ვინ შექმნა ასეთი ხუროთმოძღვრული ძეგლები; ოღონდ, გაოცებული იყო ჩვენი ქარტახილიანი ისტორიით... ქართველებს, ამ მეტად ნიჭიერ და გმირული სულის მაგარებელ ხალხს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ამარჯვებინებდა მრავალრიცხოვან უცხოელ მტრებთან ბრძოლაში: ამიგომ იყო, რომ უძლებდით ამდენ შემოსევასა და რბევასო... ასეთი წარსულის მქონე ერს, უდაოდ, დიდი მომავალიც აქვსო... ამბობდა.

პ. ფენრიხმა ძირითადად ასპირანტურაში სწავლისას მოამზადა და 1969 წ. ქ. იენაში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მანქანური თარგმნის ენათმეცნიერული პრობლემები ქართულიდან გერნულად“. ამავე დროს იგი თავისავე მშობლიურ უნივერსიტეტში ენათმეცნიერების სექციაში ასისტენტად იწყებს მუშაობას.

ორი წლის შემდეგ კი, 1971 წელს, პ. ფენრიხმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და აღრინდელი საერ-

თო-ქართველური ფუძე ენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგი საკითხი". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭო ერთ-სულთან იყო თავის გადაწყვეტილებაში – პ. ფენრიხს ერთხმად მიენიჭა საძიებელი ხარისხი.

ოფიციალურმა ოპონენტმა აკად. ა. შანიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძიგურმა და პროფ. გ. გულაევამ დისერტაციას მაღალი შეფასება მისცეს. ასევე შეაფასა ნაშრომი საჯარო პაექრობაზე სიგყვით გამოსულმა აკად. არნ. ჩიქობავამ.

პ. ფენრიხი პირველი გერმანელი მეცნიერია, ვინც ქართულ ენაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ჩვენს უნივერსიტეტში. უცხოელი მეცნიერის დისერტაცია ქართულ ენაზე ამკარად განაპირობა იმ მაღალმა მეცნიერულმა დონემ, რაც ჩვენში ენათმეცნიერებას გააჩნია და ქართველოლოგიის იმ დონეზე, რაც საბლვარგარეთაა დღეს.

გზა ამ დიდ გამარჯვებამდე კი იყო გზა განუწყვეტელი მეცნიერული ძიებისა.

პირველ ხანებში პ. ფენრიხის კვლევის ობიექტი ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებია: „ქართული ერგატივი გარდაუვალზმნიან წინადადებაში“, „ქართველურ ენათა ლექსიკიდან“. ამ უკანასკნელში ორი საკითხია განხილული: 1. ხის ერთი ქართველური სახელწოდება. 2. ქართული „ფოცხვერი“ – კომპოზიტი.

როგორც ცნობილია, ქართული „ხე“ სიგყვის პარალელები ქართველურ ენებში არ დაიძებნება. „ხე“ ქართულში ნახური ენებიდან შემოსულად მიიჩნევა. პ. ფენრიხის ვარაუდით, ამ ძირის შემცველი ფუძე ქართულში სხვა შემთხვევაშიც გვაქვს. კერძოდ, ხეების სახელწოდებებში: ცაც-ხე-ი, ვერ-ხე-ი, შოთ-ხე-ი გამოყოფილია ხე – როგორც საერთო ელემენტი, ხოლო ცაც, ვერ, შოთ ძირეულ მორფემადაა მიჩნეული (ფორმულით: თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი). მამსადაბე, აქ ნასესხობა კი არ გვქონია, როგორც აქამდე ვარაუდობდნენ, არამედ საერთო მასალა.

„ფოცხვერი“ სიგყვის ანალიზისას ავგორი ხვერ- ელემენტს ცალკე ძირად გამოყოფს და მას უკავშირებს სეანურ ხვირ „ხვალი“, ასევე ლეჩხუმურ დიალექტში დადასტურებულ ხვირა „ხვალი კატა“ ფუძეებს. ამდენად, რეკონსტრუირდა ხვერ ძირი. საინტერესოა, რომ ხვირ-ს მამრი არსებისა თუ ცხოველის აღმნიშვნელად სხვა სახელებთან ერთად გამოყოფდა ივ. ჯავახიშვილიც.

პ. ფენრიხისათვის იმთავითვე იყო ნათელი, რომ ქართველური ენების წარმატებით კვლევა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისა და მისი შედეგის განზოგადების გარეშე ნაკლებ პერსპექტიულია. ამიგომაც იგი არ კარგავს დროს და თბილისშივე იწყებს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას, მონოგრაფიებისა თუ გამოკვლევების გაცნობას, ენობრივი მასალების მოპოვებას. ამ მიზნით პ. ფენრიხმა მოისმინა პროფ. ქ. ლომთათიძის ლექცი-

ბის ციკლი აფხაზური ენის შესახებ. ასევე იგი ესწრებოდა პროფ. ევ. ჯეირანაშვილისა (უდიურ ენაში) და ლოც. რ. გაგუას (ბაცბურ ენაში) ლექციებს. მას სისტემატურად ურთიერთობა ჰქონდა და აქვს დღესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მეცნიერმუშაკებთან.

ასეთი ინტენსიური მუშაობის შემდეგ მშვენივრად აისახა პ. ფენრიხის სალოტორო დისერტაციასა და იმ გამოკვლევებში, სადაც, ქართველურ ენათა გარდა, გაანალიზებულია სხვადასხვა იბერიულ-კავკასიური ენების ენობრივი მონაცემები.

სტაგიაში „ენათა გენეტიკური ნათესაობის კრიტერიუმები“ (იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის შრომები, 1971, № 5, გვ. 99-136), რომელიც მისი სალოტორო დისერტაციის ნაწილია, ანალიზის საგანს წარმოადგენს არა მარტო ქართველური ენები, არამედ აფხაზურ-ადილური და დაღესტნური ენებიც. აუტორი ხშირად იყენებს ქართველურ ენათმეცნიერთა ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, თ. შარაშენიძის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის და სხვათა ნაკვლევებს.

შრომაში „პარალელები ნაცვალსახელთა აგებულებაში ქართველურსა და დაღესტნურ ენებში“ (იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის შრომები, 1970, № 5, გვ. 757-761) ქართველურ ენებში აქ-იქ, ამ-იმ, ეს-ის, ასე-ისე, ეგე-იგი გიპის დაპირისპირებანი განხილულია დაღესტნური ენების შესაბამისი მასალის პარალელურად და მიღებულია საყურადღებო დასკვნები. ნაჩვენებია, რომ აქ გვაქვს სტრუქტურული პარალელები. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა აგებულებაში ქართველურ და დაღესტნურ ენებს შორის: 1. ერთნაირი სტრუქტურაა (ლარინგალური ან ფარინგალური თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი). 2. ეს სტრუქტურული გიპი ორად იყოფა: ლარინგალური ან ფარინგალური თანხმოვანი + ხმოვანი და თანხმოვანი. 3. მანძილის მაჩვენებელი, გოპოდეიქტური ფუნქციისა პირველი ნაწილი. 4. ანლაუტში მდგომი ლარინგალური ან ფარინგალური თანხმოვანი ლაბილურია (ცვლადია) და სხვ.

„მეღერი ფარინგალური ხმულმსკლომისათვის ქართველურ ენებში“ („ბედი ქართლისა“, პარიზი, 1971 გ. 27-ე გვ. 269-274) პ. ფენრიხი ამოგადებს რა ამ საკითხზე არსებულ ქართულ საეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, იშველიებს თაბასარანული ენის ჩრდილოური დიალექტის ფარინგალურ ხმულმსკლომს, რომელსაც სამხრულ დიალექტში მოუცია ისეთივე რფლექსი, რასაც ვარაუდობენ ქართველური ენებისათვის.

გამოკვლევაში „ენობრივი ცვლილებანი და მათი მეცნობა“ (იენის ფრ. შილერი სახელობის უნივერსიტეტის შრომები, 1972, № 5-6, გვ. 669-673) აუტორი ცდილობს, დაადგინოს ბგერათმესაგყვისობა საერთო ქართველურსა და ხუნძურ-ანდიური ენების თანხმოვანთა მოგ რიგში, ხოლო სტაგიაში „რეგულარული ფონემათმესაგყვისობანი აფხაზურ-ადილურ ენებში და მოგი

შენიშვნა ქართველურ ენათა ლექსიკაზე" (იქვე, გვ. 651-661), ერთი მხრივ, აუხაზურ-ადილურ ბგერათმესაგყვისობაზეა მსჯელობა (სადაც ავგორი ფონემათა იდენტურობასაც ბგერათმესაგყვისობად თვლის), ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენის ლექსიკის ზოგიერთი მონაცემია განხილული და აღდგენილია მათი არქეტიპი.

ახლახან გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" (26 ოქტომბრისა და 30 ნოემბრის ნომრებში) წერდა, რომ პარიზში ეურნალ „ბედი ქართლისას" 31-ე ტომში დასტამბულია პ. ფენრიხის სტატია „თანხმოვანთა მესაგყვისობანი ქართველურ და ავარიულ-ანდიურ ენათა შორის", ხოლო იენაში „სამეცნიერო ეურნალის" მესამე ნომერში – მისი „ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერება და იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზა"; აქვე დაბეჭდილია პ. ფენრიხისა და გ. მაინპოლდის ერთობლივი გამოკვლევა „აუარიული და თაბასარანული ენების ფონემატიკური შედარება".

აღსანიშნავია, რომ გერმანული ეურნალის ეს ნომერი მთლიანად ეთმობა ქართული ენის, ლიტერატურის, აგრეთვე ისტორიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ზოგად საკითხებს. ეურნალის გარეკანი შემკული ყოფილა შ. რუსთაველის ფრესკით და ქართულ და გერმანულ ენებზე წამძღვარებული ჰქონია – „ეინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მგერია". ეურნალის ეს ნომერი, როგორც ამას აღნიშნავს „ლიტერატურული საქართველო", „საუკეთესო დადასტურებაა იენისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის ამ რამდენიმე წლის წინათ დამყარებული მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე განვითარებული ნაყოფიერი მეცნიერული თანამშრომლობისა". ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეურნალის ამ ნომრის მომზადებაში არც თუ ცოტა წვლილი ექნება პ. ფენრიხსაც.

პ. ფენრიხის ადრეული შრომებიდან აღვნიშნავთ ერთსაც – „იბერიულ-კავკასიური და დრავიდული ენები", რომელიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მომომხილველში" (1972 წ. № 6-9, გვ. 69-92) რუბრიკით: „ახალი თეორიები, ჰიპოთეზები, პრობლემები" და რომელიც მან ჯერ კიდევ 1966 წელს მოახსენა უნივერსიტეტის ახალი და ძველი ქართული ენების კათედრათა გაერთიანებულ საჯარო სხდომაზე.

ქართველურ ენათა სხვადასხვა ოჯახის ენებთან დაკავშირებას კარგა ხანია ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ. გავიხსენოთ ფ. ბოპი, ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელიც ქართულს ინდო-ევროპული ენების მონათესავედ თვლიდა; მ. მიულერი – თურანულ ენათა ოჯახს აკუთვნებდა, ნ. მარი – სემიტურ ენებს და სხვ.

პ. ფენრიხი გვთავაზობს ახალ ჰიპოთეზას: იგი ეძებს იბერიულ-კავკასიურ და სხვა დრავიდულ ენათა შორის შესაძლო კავშირს. ამ თვალსაზრისის წამოყენების საფუძველი კი მისთვის, როგორც თვითონ წერს, მიუცია გამოჩენილი დრავიდოლოგების რობერტ ჰაინე-გელდერნისა და ფიურერ-ჰაიმენდორფის მოსაზრებას, რომ დრავიდები ძველად, არიული ტომების

მოსვლამდე ან ირანის ტერიტორიაზე, ან წინა აზიის ჩრდილოეთში ცხოვრობდნენო.

მსგავსებებს იბერიულ-კავკასიურ და დრავიდულ ენებს შორის პ. ფენრიხი იკვლევს. როგორც ფონოლოგიურ ასევე მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით. ამ ძიებისას იგი იყენებს ვრცელ მასალას და, რაც მთავარია, ცდილობს ეს მასალა მოგვეცეს არა ცალკეული ენების, არამედ ენათა ოჯახების მთლიანობაში. რასაკვირველია, ასეთი სახის გამოკვლევაში ავტორს ყველაფერში ვერ დავეთანხმებით (თვითონაც წერს, რომ ზოგი საკითხი დღეს მას სხვადასხვაგვარად ესმის, მაგრამ პ. ფენრიხი ფრთხილი მკვლევარია) და, ალბათ, ამიტომაც ამბობს, „რასაკვირველია, მე არ ვაყენებ საბოლოოდ დასაბუთებულ ჰიპოთეზას ამ ორი ოჯახის კავშირის შესახებ. ქვემოთ მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ფაქტს, რომლებიც დავადგინე ამ ორ ენობრივ ოჯახთა ურთიერთდაპირისპირებისას“ (გვ. 70).

ამასთან დაკავშირებით გვაგონდება აწ განსვენებული ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩი, რომელიც თავის გამოკვლევაში „მასალები ნოსტრატული ენების შედარებითი ლექსიკონისათვის“ პირდაპირ აცხადებს, რომ „ამ ენობრივი ჯგუფების (მხედველობაშია ინდო-ევროპული, ალტაის, ურალური, დრავიდული, ქართველური და სემიტურ-ქამიტური ენები – გ. ბ.). შედარება ამკარად მოწმობს მათ ნათესაობაზე“ (კრებული „ეტიმოლოგია“, 1965, მასალები და გამოკვლევები ინდო-ევროპულ და სხვა ენათა შესახებ. მოსკოვი, 1967, გვ. 321).

როგორც ვხედავთ, აქ დრავიდულსა და ქართველურ ენებს გარდა რამდენიმე ენათა ოჯახის უეჭველი ნათესაობის მტკიცებაა.

ამკარაა, ახალგაზრდა მკვლევარი ბევრად უფრო ფრთხილია თავის დასკვნებში.

წმინდა მეცნიერული ინტერესების გარდა, ჩვენი გერმანელი მეგობრის ყურადღების ცენტრშია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მოვლენა.

1966 წელს ქართველმა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ შეიმთხვეთ ალნიშნა შ. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავი. პ. ფენრიხი ამ თარიღს გამოეხმაურა თავისი მშობლიური უნივერსიტეტის შრომათა ფურცლებზე სტატიით „ქართველი პოეტის შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის“ (სტატია დაიბეჭდა ჟურნალის 1967 წლის № 1-ში, გვ. 29-33, თუმცა იგი დასაბეჭდად წარდგენილი იყო 1966 წლის ივნისში).

სტატიაში ავტორი მიმოიხილავს შ. რუსთაველის ეპოქას და შემდეგ სამართლიანად ასკვნის, რომ „ამ ეპოსის მნიშვნელობა ქართველი ხალხის თვითშეგნებისათვის ფასდაუდებელია“ (გვ. 32) და რომ იგი ორასი წლით უსწრებს აღმოსავლეთ ევროპულ რენესანსს. იქვე შ. რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტია მოთავსებული და მოყვანილია ადგილი „ვეფხ-

ისკყაოსნიდან” ქართული დაწერილობით. წერილი მთავრდება ი. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინას” ერთი თავის („მენ აქა ხარ“) ჰ. ფენრიხისეული თარგმნით.

1968 წელს ქართველმა ხალხმა იზეიმა უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი... ჰ. ფენრიხმა ამ თარიღთან დაკავშირებით იენის უნივერსიტეტის შრომებში (1968, № 4, გვ. 503-506) გამოაქვეყნა წერილი „კავკასიოლოგიის 50 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. წერილში საუბარია ქართულ საენათმეცნიერო სკოლაზე. სამართლიანადაა აღნიშნული, რომ, თუ აღრე კავკასიურ ენათა კვლევა ძირითადად ჰეგერბურგსა და დასავლეთ ევროპაში წამოებდა, დღეს ამ ენების კვლევის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. წერილში მოთხრობილია იმ დიდ ღვაწლზე, რაც ივ. ჯავახიშვილმა მიუძღვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. დაწერილებითაა განხილული ჩვენი უნივერსიტეტის ძველი და ახალი ქართული ენების, ზოგადი ენათმეცნიერებისა და კავკასიურ ენათა კათედრების, მათი წევრების საქმიანობა. იქვე მოცემულია მოკლე ცნობები იმ მუშაობის შესახებაც, რასაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ეწევიან კავკასიურ ენათა კვლევის სფეროში. ჰ. ფენრიხი მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ქართველ ენათმეცნიერთა შრომებს.

ყოველი ამის გარდა, ჰ. ფენრიხი თარგმნის და გერმანულ მკითხველს აწვდის ქართული პროზისა თუ პოემის ნიმუშებს, აქვეყნებს რეცენზიებსა და მიმოხილვებს.

1970 წელს ჰ. ფენრიხმა იენის უნივერსიტეტის შრომებში გამოაქვეყნა „კრიტიკა ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ გერმანულ თარგმანზე“

ეურნალ „ბელი ქართლისას“ წლებიდან ნომერში დაიბეჭდა მისი მოკლე მიმოხილვა პოეტ რ. მარგვიანის შემოქმედების შესახებ და სამი ლექსის („როცა შეყვარებული გზას გილოცავს“, „რიწა“, „მარილი“) ჰ. ფენრიხისეული თარგმანი.

წელს ჰ. ფენრიხმა თარგმნა და გერმანულ ენაზე გამოცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. თარგმანი, როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ, მაღალ დონეზეა შესრულებული. გერმანული მკითხველის ინტერესი თარგმანისადმი იმდენად დიდი ყოფილა, რომ, როგორც თვითონ გვწერს: „ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ – ჩემი თარგმანი სრულიად გაიყიდა, აღარ იშოვება“.

ჰ. ფენრიხი სისტემატურად ეცნობა ჩვენს პრესას, ზედმიწევნით იცის, რა ახალი წიგნი გამოვიდა. მოვიყვანთ ერთ ფაქტს:

ერთხელ მომწერა, ა. წულაძის „ეთნოგრაფიული გურია“ გამოსულა, აქ ლექციებისათვის მჭირდება, არა მაქვს და იქნებ იშოვო. მე არც კი ვიცი, რომ ასეთი წიგნი გამოვიდა და, ბუნებრივია, არც მქონდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაქის ო. კახაძის მეშვეობით ა. წულაძის ვაჟმა გაუგზავნა მამისეული წიგნი. პაინცმაყ, ჩვეული თავა-

ზიანობით, დიდი მადლობა შემოუთვალა.

აქამად ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობს თემაზე – „ქართველურ-დაღესტნური ენობრივი ურთიერთობა“ და თარგმნის ახალგაზრდა პროზაიკოსის გ. კეჭაყმაძის რომანს „ჩემი პაგარა ლანდი“ გერმანიის ახალგაზრდობის გამომცემლობა „ახალი ცხოვრებისათვის“.

აი, არასრული სურათი ჩვენი გერმანელი მეგობრის სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობისა.

დღეს კი 32 წლის ენათმეცნიერი თავის მშობლიურ უნივერსიტეტში ენათმეცნიერების სექციის მეცნიერი მუშაკია, ხელმძღვანელობს ენის თეორიის განყოფილებას, ასწავლის სტუდენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს მხარეთმცოდნეობას.

უეჭველია, ჯ. ფენრიხი მომავალშიც გაახარებს თავის ქართველ კოლეგებს ღრმა მეცნიერული ნაკვლევით, ქართულ მწერლობას – ახალი, მაღალმხატვრული თარგმნებით. ამისი საწინდარია ის დიდი სიყვარული, რაც მას საქართველოს, ჩვენი ერის მიმართ გააჩნია. ამ წერილს ჰაინცის იმ სიგყვებითვე ვამთავრებთ, ერთხელ რომ მოგვწერა: „აბა, კუჩხი ბედნიერი“ (მეგრულია და ნიშნავს: აბა, ფეხი ბედნიერი) ამ ახალ წელსაც. კუჩხი ბედნიერი ჩვენს მეგობარს უკვე დაბედებული აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში, ჩვენი ლიტერატურის თვალსაწიერზე.

უესურვოთ, ასე ყოფილიყოს მუდამ.

P. S. 1966 წელია. თბილისის სტუდენტულმა ახალი საერთო საცხოვრებელი ააშენეს. იქ მოგვეცა ბინა ზოგ ასპირანტსა და სტუდენტს. ეს საერთო საცხოვრებელი სექციებად იყო დაყოფილი – თითოში 3 ოთახი, ორი – საძილე და ერთი, შუაში, საერთო სარგებლობისა გახლდათ.

ჩვენი სექციის ერთ ოთახში მომავალი ჰიდროლოგი, ასპირანტი გივი (ეორა) მეტრეველი და მე ვიყავით გამწესებული. მეორე ოთახი ეკავათ ეურნალისტ სტუდენტებს – ქუთაისელ თამაზ წიგვივაძესა (ამჟამად ცნობილი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გაბთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი) და ბორჯომელ რ. აიწურაძეს (წარსულში რეგბისტი, შემდგომ სახელმწიფო და სპორტული მოღვაწე) ეჭირათ. მე და გივის გვაცნობეს, თქვენთან ასპირანტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ქართველოლოგი, იცხოვრებსო. ეს უცხოელი გახლდათ ჰაინც ფენრიხი, სოფელ ჰამერში დაბადებული 1941 წელს.

იმთავითვე მეგობრულად განვეწყვეთ ერთმანეთის მიმართ – განსაკუთრებით, ბუნებრივია, მე და ბ-ნი ჰაინცი... ორივენი ლინგვისტები გახლდით: მე კავკასიურ ენებს (სახელდობრ, ლაკურს) ვსწავლობდი, ბ-ნმა ჰაინცმა კი, ქართულ-ქართველურ ენათა გარდა, კავკასიურ ენათა შესწავლა განიზრახა. ესწრებოდა ლექციებს ძირითად კავკასიურ ენებში.

ბ-ნი ჰაინცი მეგალ ნიჭიერი გახლდათ, ამასთან მოყვარული ყოველი ქართლისა.

1966 წელსვე სამობაოდ შინ, გერმანიაში, გაემგზავრა. ჩამოვიდა... სპეციალურად შარვალ-კოსტუმი ჩამომიგანა საჩუქრად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, კარგა ფული დაუჯდებოდა. შეეწუხდი, მაგრამ ისე დამამშვიდა, თითქოს ასე უნდა ყოფილიყო.

მასხოვს, პროფ. შ. გაფრინდაშვილმა სპეციალური ლიგერატურიდან მასალის ამოწერა დაგვაეალა. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ამაში გარკვეულ თანხას გვიხდიდა. ბ-ნი ჰაინცი უცხოური ლიგერატურის მასალას იწერდა. იგი ამას გერმანული პედაგოგობით ასრულებდა. შესრულებულ სამუშაოში, ბუნებრივია, ისიც გარკვეულ თანხას იღებდა. სჭირდებოდა, თორემ დრო მისთვის ოქროდ ფასობდა. მაშინ მიეხვდი, ჰაინცს არ უღებინდა, მაგრამ ის ძვირფასი საჩუქარი მთელი გულით მომიძღვნა.

მეორე წელს ჰაინცი ცალკე ოთახში გადავიდა საცხოვრებლად. ფართობი სჭირდებოდა სათანადო ამოწერილი ბარათების მაგიდაზე გასამლეულად, დისერტაციაზე სამუშაოდ. როცა ოთახში ვესტუმრებოდი, სულ მუშაობდა. ამავე დროს ბევრს მოგზაურობდა, საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს ეცნობოდა. მაშინ უკვე პედაგოგიურ ინსტიტუტში ემუშაობდი ქართული ენისა და ლიგერატურის კათედრაზე. 1967 წ. ერთხელ გვესტუმრა გორში და ღრავიღული და კავკასიური ენების შესახებ მოგვითხრო. მოხსენების შემდეგ სურათიც გადავიღეთ.

მანდილოსნებს (ქ-ნი რ. ქანთარიასა და გ. იალამიდს) შორის ახალგაზრდა ჰაინცი ფენრიხია, შემდეგ გორის პედაგოგიკის რექტორი დოც. გ. ხარაული, მარცხნიდან მარჯვნივ კი დგანან პროფ. გ. ბურჭულაძე, პროფ. შ. ქურდაძე... (გაზეთში სათანადო სურათია დაბეჭდილი – გ. ბ.).

არ ვიცი, ეს სურათი, ახლა რომ ვებეჭდავთ, აქვს თუ არა ბ-ნი ჰაინცს, მაგრამ შეხვედრა ახალგაზრდულ წლებთან, ვიცი, გაახარებს ჩემს მეგობარს.

მეორე სურათზე იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისადმი მიძღვნილი II რეგიონალური სამეცნიერო სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფია გადაღებული (ამ სერიის ამსახველი ფოტო-მასალა აწ გარდაცვლილმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგემ ბ-ნმა მიხ. ჭაბაშვილმა გადმოგვცა გარდაცვალებამდე ცოცხალი ადრე). აქ ბ-ნი ჰაინცი ყველაზე მაღალი, მარჯვნიდან მეოთხეა, ჩემსა და აწ გარდაცვლილ ნიჭიერეს ენათმეცნიერს, ხუნძ ელდარ მიქაილოვს შორის. აი, სხვებიც (მარჯვნიდან მარცხნივ): ინგუმი ი. ესხაჯიევი, ქართველი ალ. ჭინჭარაული, ქართველი გ. ბურჭულაძე, გერმანელი პ. ფენრიხი, ხუნძი ყ. მიქაილოვი, წახურელი გ. იბრაგიმოვი, აწ გარდაცვლილი ლაკი ს. ხაიდაყოვი – სურათი გადაღებულია ვაკის პარკში, სესიის დახურვისას, 1967 წ. 23 სექტემბერს (გაზეთში სათანადო სურათია დაბეჭდილი – გ. ბ.).

ერთი წლის შემდეგ, 12 ოქტომბერს, უკვე ქ. იენიდან ვიღებ ჰაინცისაგან

ბარათს (რა თქმა უნდა, ქართულად დაწერილს): „გამარჯობა გენადი! როგორ ხარ? რას აკეთებ? როგორ მიდის შენი დისერტაციის საქმე?“

სამწუხაროდ, ჩემს წასვლამდე ვერ გნახე. სახლიდან მივიღე დეკემბა, რომ ავად გახდა ჩემი მეუღლე. იმიტომ საჩქაროდ წავედი სახლში. ავეჯი დაგიტოვე შენს ნაცნობთან, იმ რუს დამლაგებელთან სტუდენტულაქში.

აქ, სამშობლოში, კარგად ჩამოვედი, შევეჩვიე კიდევაც ჩვენებურ ცხოვრებას. მე დამიმატეს ერთი წელი ასპირანტურაში. ერთ წელიწადში უნდა დავეიცვა. მაინტერესებს შენი ამბავი, როდის დაიკავა? დაბეჭდილია თუ არა შენი სტატია (ბ-ნმა ჰაინცმა იცოდა, რომ ჩემი დისერტაცია მზად მქონდა, ორიოდე წელი ველოდი მისი ძირითადი ნაწილის პუბლიკაციას. რომ არა სულმნათი არლი თაყაიშვილი, რომელმაც თვით დამითმო თავისი რიგი „მაყენში“, დაცვა ალბათ საგრძნობლად დაგვიანდებოდა – გ. ბ.).

ხანდახან ხომ მომწერ წერილს?

კარგად იყავი.

ჰაინცი.

გიგზავნი ჰატარა სუვენირს, ჩვენი ქალაქის ღერბს”.

ეს მისი პირველი ბარათია. „ავეჯი დაგიტოვე შენს ნაცნობთანო“, რომ მწერს ბ-ნი ჰაინცი, ეს ეხება მის მიერ თბილისში შეძენილ მაგიდას, კარადასა და სხვა საოჯახო ნივთებს, მან რომ იყიდა თავისთვის, ოთახში ცალკე გადავიდა საცხოვრებლად, რომ ეწერდი.

აქაც, ბ-ნი ჰაინცი, ქართველისათვის დამახასიათებელი ხელგაშლილობით იქცეოდა. იცყვით, სხვა მეგობარი არ ჰყავდაო. ჰყავდა და მერე რამდენი, მაგრამ, მე რაკი სტუდენტულაქში ვცხოვრობდი, ჩემი მატერიალური ყოფიერების ამბავიც კარგად იცოდა. ამიტომ იქცეოდა ასე ბ-ნი ჰაინცი.

ჩანს, სხვები სწერდნენ მას ჩემს შესახებაც:

Friedrich-Schiller-Universität

69 Jena, den 28. 7. 1970

Fernsprecher 2 71 22

Teles 058 634

დღევრძელობა და გამარჯვება, ჩემო გენადი!

საქართველოდან შემგაცობინეს, რომ დისერტაცია ბრწყინვალედ დაიკავი. გულით და სულით გილოცავ ამ დიდ წარმატებას. მომწერე, თუ შეიძლება, შენი გეგმები, ახლა რას აპირებ, სად მუშაობ, რაზე მუშაობ? წაეიკითხე შენი წერილი ლაკური ენის ბრუნების სისტემაზე, ძალიან საინტერესო ნაშრომია. თუ თანახმა ხარ, აქ გერმანულად დავებეჭდავთ. ამაზე მომწერე, თუ შეიძლება შენი აზრი.

მომიკითხე გორის პედ. ინსტიტუტის თანამშრომლები.

იყავი სულ კარგად

ჰაინცი“.

ამას მოჰყვა ჩემი სტატიის თარგმნა გერმანულ ენაზე პ. ფენრიხის მიერ. იგი გამოქვეყნდა კიდეც იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის შრომებში 1971 წელს.

ბ-ნი ჰაინცი ძალიან ყურადღებიანი გახლავთ. როცა მივწერე ჩემი უფროსი გოგონას დაბადების შესახებ, სასწრაფოდ მიპასუხა:

„ჩემო გენადი!

როგორა ხარ, როგორ არიან შენი მახლობლები? მივიღე შენი წერილი, რამაც ძალიან გამახარა და რისთვისაც გმადლობთ. უპირველეს ყოვლისა გილოცავ ქალიშვილის დაბადებას და გისურვებ შენ, შენს მეუღლესა და შორენას ჯანმრთელობას, მშვიდობას, ბედნიერებას. არ გრცხვენია, ბიჭო, აქამდე რომ მშალავედი, ქალიშვილი რომ შეიძინე? ექვს იანვარსვე უნდა მოგეწერა ჩემთვის ეს ფრიალ სასიხარულო ამბავი.

ჩვენში ახალი არაფერია. შეილები ნელ-ნელა იზრდებიან. გოგო დადის პირველ კლასში. ეს კია ახალი; ახალ ბინაში გადავედით, ოთხ-ოთახიანში. ჩენი ახალი მისამართია:

6902 2.10/8

გენადი, რაც შეეხება იმ სტატიებს შენ, რომ გინდა, მოგიერთი სამ-წუხაროდ აღარ მაქვს. გივგავნი შემდეგს.

სხვა კონვერტში გამოგიგვავნი სტატიას, რომელიც „ბედი ქართლისა“-შია დაბეჭდილი. თუ ის დაიკარგება, დანარჩენები მაინც არ იკარგება“.

„სხვა კონვერტში გამოგიგვავნი სტატიასო“, რომ მწერს ბ-ნი ჰაინცი, იმ „ბედნიერ“ დროზე მიგვანიშნებს, როცა ბევრი სტატია „იკარგებოდა“, აღრესატამდე ვერ აღწევდა.

ამ რამდენიმე დღის წინ იმ საქალაღღეს ვათვალთვლებდი, ბ-ნი ჰაინცის გამოგზავნილი შრომები რომ მაქვს შენახული. შეუადარე პ. ფენრიხისავე შრომათა ბიბლიოგრაფიას, 2001 წელს რომ გამოქვეყნდა და მისი დაბადებიდან 60 წლისთავს მიეძღვნა. სასიამოვნოდ განვიფრებულე დავრჩი – შრომათა გადათვალთვლებამ ჩენი ძველი სტატიის სათაურის სრულ ობიექტურობაში („ახალგაზრდა გერმანელი კავკასიოლოგი“), კიდეც ერთხელ დამარწმუნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ჰაინცს რამდენიმე მონოგრაფიული სახის გამოკვლევა ქართულ-ქართველურ ენათა სფეროს განეკუთვნება. (იხ. თუნდაც, მისი და მ. სარჯველაძის ერთობლივი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომლის მეორე, შესწორებული და გადამუშავებული გამოცემა გამოქვეყნდა 2000 წელს. ამ წიგნის ინგლისური ვარიანტი ლაიდენში (პოლანდიაში) 1995 წ. დაიბეჭდა). მისი ნაშრომები მთის იბერი-

ულ-კავკასიურ ენათა კონკრეტულ საკითხებისადმი რომაა მიძღვნილი, კვლევის სიღრმითა და რიგ შემთხვევაში საკითხების ორიგინალური თვალთახედვით წარმოგვიდგება. ასეთად გვესახება, მაგალითად, მისი და ბ-ნ ზ. სარჯველაძის ერთობლივ მონოგრაფიაში გატარებული მეტად თამამი თვალსაზრისი (რაც მონოგრაფიაში პ. ფენრიხს ეკუთვნის) საერთო ქართველურში ორი სპეციფიკური ლატერალის დაშვების შესახებ.

სალექსიკონო ერთეულად ამ ორი ლატერალის ავტორისეული გამოყოფა რიგ სიტყვაში ამ პიპოთეზას (კ. პ. შმიდტისა და პ. ფენრიხის) უფრო რეალურ საფუძველს უძებნის, ვიდრე ეს აქამდე იყო. ოლონდ, ერთია, ამ თვალსაზრისის მეტ დამარწმუნებლობას მიანიჭებდა ამ ლატერალთა, როგორც სისტემის წევრების, ადგილის გარკვევა ქართველურ ენათა ისტორიულ ფონეტიკაში. დაღესტნურ ენათა ანალოგიებს თუ მოვუხმობთ, მამინ ქართულში საძებნია ამ ლატერალური სპირანტის მაგარი და აბრუპტიული ლატერალური აფრიკატის მაგარ სახეობათა კვალი. ამ თვალსაზრისის გაზიარება კი ბუერს სიახლეს შემოიგანს იკე-თა ისტორიული ფონეტიკის რიგი ახალი საკითხის დასასმელად და გადასაჭრელად. ეს იქნება ახალი სიტყვა კავკასიოლოგიაში.

ბ-ნი ჰაინცი თავის დროზე (1978) იენისა და თბილისის უნივერსიტეტების ერთობლივ სამეცნიერო ჟურნალ „Georgica“-ს აარსებს. ამით იგი საფრანგეთში გამოცემულ კავკასიოლოგიურ სამეცნიერო ორგანო „ბედი ქართლისას“ თანამონაწილე ხდება, ხოლო ამ უკანასკნელის გამოცემის შეწყვეტის შემდეგ (1984 წ.) „Georgica“ უცხოეთში ამჟამად გამომაველი ერთადერთი კავკასიოლოგიური ჟურნალია (გამოცემულია 22 გომი, გამოსაცემად მზადაა 23-ე, მზადდება 24 გომი). პ. ფენრიხი ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორია.

ასე რომ, ბ-ნი ჰაინცი ფენრიხი ის გამოჩენილი უცხოელი კავკასიოლოგთაგანია, რომელიც თავის მეცნიერულ-პედაგოგიურ (იგი ღღეს ხელმძღვანელობს იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიურ განყოფილებას) და მეცნიერულ-ორგანიზატორულ ნიჭს უშუალოდ წარმართავს კავკასიოლოგიის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.¹

1. ვაღმობეჭდილია გაზ. „ლიტერატურული ცხინვალიდან“, იანვარი, 2002, გორი, გვ. 7-8.

მშობლიური ენის ერთგული მსახური

ქართული ენის გეობის დღისათვის ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) პრორექტორმა სასწავლო-სამეცნიერო დარგში პროფესორმა გენადი ბურჭულაძემ ეს სიტყვა და მასთან ბარათიუ გვაახლა, რომელშიც წერია:

„გასული წლის 19 დეკემბერს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ამ უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორის ოთარ ქაჯაიას დაბადებიდან 75 წელი აღნიშნეს. ამ საღამოს ესწრებოდნენ სხვადასხვა სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებიდან მოწვეული სტუმრები... საღამო მიჰყავდა ჯერ პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორს პროფ. ვ. სართანიას, ხოლო შემდეგ ქართული ენის კათედრის გამგეს, პროფ. ა. ონიანს, რომელმაც თავის მხრივ ისაუბრა ბ-ნ ოთარის სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. ამ საღამოზე მოგონებებითა და გულთბილი მილოცვით გამოვიდნენ პროფ. ლ. კვაჭაძე (პედაგოგიური უნივერსიტეტი), პროფ. მ. ჭუმბურიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. თ. უთურგაიძე (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. თოფურია, პროფ. ო. ჭურღულია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვ.“

ბ-ნ ოთარ ქაჯაიამ თავისი მოღვაწეობის ახალგაზრდული წლები ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტს შეაღია, რომლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ერთ-ერთი წამყვანი წევრი გახლდათ, ხოლო შემდეგ ამავე კათედრის გამგე წლების განმავლობაში. ამიგომაც, ბუნებრივია, რომ ამ საღამოს დაესწრნენ ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებიც, რომელთა შორის ჩვენც გახლდით და მივესალმეთ იუბილარს ჩვენი ინსტიტუტის სახელით. აი, ამ გამოსვლის ტექსტია, თქვენ რომ გაახლებთ. თუ შესაძლებელია, გავაყნოთ იგი თქვენი გამეთის მკითხველებს“. პატივისცემით გ. ბურჭულაძე.

ჩვენც ვასრულებთ ბ-ნ გენადის თხოვნას და მისი გამოსვლის სრულ ტექსტს ვებჭაუთ უცვლელად. სიმბოლურია, რომ ამ წერილის დასტამბეაუ სწორედ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ დღეებანდელ „ლიტერატურულ ცხინვალში“ ხდება.

მოგეხსენებათ, ხევზე გადის სამხედრო გზა, რაც ბუნებრივია, აადელიებს ხევის კავშირს ბარის მეტყველებასთან. ამიგომაც აღნიშნავდა ა. შანიძე: „მოხეურს ყველაზე უფრო ატყვია სხვა კილოებისა და სალიტერატურო ენის გაელენაო“. ალბათ, ამანაც შეაპირობა, რომ მოხეურის შესწავლა ჯერ კ. გუგუშვილმა, ხოლო შემდეგ ო. ქაჯაიამ ითავეს.

ბ-ნი ოთარის საკანდიდატო დისერტაციაში (1954) მოხეური მეტყველებაა მონოგრაფიულად შესწავლილი. იქაა წარმოდგენილი ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა პირველ ნაწილად, ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა თვით აფტორის მიერ შეკრებილ ტექსტებს, რაც მას ჩაუწერია ყაზბეგის რაიონში

1949-50 წლებში. სიგყეების ახსნა-განმარტებას ჩვეულებრივ ახლავს სასაუბრო მეტყველებიდან დამოწმებული ფრაზეოლოგია. ეს მშვენიერად აისახა მის-სავე ვრცელ ნაშრომში „მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის“, რომელიც მოგვიანებით, 1967 წ. დაისტამბა ცხინვალის პედინსტიტუტის მეცნიერულ წერილების კრებულში (ტ. 11). ამ ვრცელი შრომის (გვ. 374-451; სულ 80-მდე გვერდის მოცულობისა) შესახებ 1985 წ. პროფ. ივ. ქავთარაძე თავის მონოგრაფიაში „ქართული ენის მოხეური დიალექტი“, რომლის დიდი ნაწილი ეთმობა „მოხეურ ლექსიკონს“ (გვ. 161-397), ბრძანებდა: „ვრცელი და საინტერესო მასალები მოხეური ლექსიკონისათვის“ დაბეჭდა ო. ქაჯაიამ 1967 წელს (ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, გვ. 375-451). სიგყეები და ტექსტები ავტორს ჩაწერილი აქვს 1949-1950 წწ. მოხეურ დიალექტზე მუშაობის პერიოდში. იმ ლექსიკონსა და წინამდებარე ლექსიკონს აქვს საზიაროცა და განსხვავებულიც როგორც რაოდენობრივად, ისე განმარტებებისა და საილუსტრაციო მაგალითების მხრივ“ (გვ. 156).

მეცნიერის აქ ნახსენებ შრომას წინ უძღოდა „მოხეური დიალექტი, I, ტექსტები“, რომელიც აგრეთვე ცხინვალში დაისტამბა ჯერ კიდევ 1959 წელს. უფრო ადრე კი ბედიზედ ქვეყნდება, ისევე ცხინვალში, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებანი თეზისების სახით: „მოხეური დიალექტის ბოგიერთი ფონეტიკური თავისებურებები, დასკვნითი დებულებანი“ (1952), „მწკრივთა წარმოების ბოგიერთი თავისებურებისათვის მოხეურში“ (1954) და მოგვიანებით, 1960 წ., „თხოვნითი კილოს წარმოებისათვის მოხეურში“. თუ ამას დაეუმატებთ ბ-ნ ოთარის მიერ საგანგებოდ შესწავლილ დიალექტურ მეტყველებას ნ. ლომოურის მოთხრობების მიხედვით, რომელიც ცალკე წერილის სახით დაიბეჭდა („ქართული კილო ნ. ლომოურის მოთხრობებში“ – ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1961 წ.), ან „შიო არაგვისპირელის ენის თავისებურებებს“ (1968 წ. თეზისები), სადაც მან აჩვენა, რომ შ. არაგვისპირელის პერსონაჟთა ენაში წარმოდგენილია ორი ნაკადი – მთიულურისა და ქართლურისა, ნათელი გახდება, თუ რა ინტენსიურ კვლევით მუშაობას ეწეოდა იგი ცხინვალში.

იმასაც თუ აღვნიშნავთ, არაერთი ცალკეული დაკვირვებები არა მარტო იმ დროისათვის მეტად ფასეული (მაგ., მახვილის ბუნების შესახებ მოხეურში; დინამიკური და გონური მახვილის თანაარსებობა; დაიძლევა გონური მახვილი და ღომინანტობს დინამიკური მახვილი; მო- და მა- მზნისწინების ხმარების პოზიციური ხასიათი. კერძოდ, მო-ს ხმარება განპირობებულია მომდევნო ფ-ის გავლენით. შემდგომ, მართალია, ეს დააბუსტეს არა მარტო ფ-ის მემობლობაში, არამედ ლაბიალი (ბ, ვ, უ) მემობლადად და არაერთი სხვა (ი. ქავთარაძე, გვ. 49), არამედ დღესაც ბ-ნი ოთარი ჩვენს თვალწინ ნათლად წარმოჩინდა როგორც ქართული დიალექტოლოგის თვალსაჩინო მკვლევარი.

უპრიანი, ითქვას, ო. ქაჯაიამ კარგი საენათმეცნიერო წრთობა მიიღო აკად.ა. შანიძის ხელმძღვანელობით. თავდაპირველად ცხინვალში რეალიზდება ბ-ნი ოთარის სამეცნიერო ნაღვაწი. ცხინვალში იყო, სადაც პირველად გაიბრწყინა მისმა არა მარტო როგორც ლექტორის, არამედ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბრწყინვალე ორგანიზატორის დიდი ნიჭმა.

ბ-ნი ოთარი სამაჩაბლოზე შეყვარებული კაცი გახლდათ და მის სამსახურში გახარჯა თავისი მოღვაწეობის ოციოდე წელი... ვისაც იქ უმუშავია, კარგად იცის (დამეთანხმება ამაში ბ-ნი ალ. ლლონგი), თუ რა წყალქვეშა რიფები ახლავს ცხინვალში მუშაობას... პედაგოგიურ ინსტიტუტში მაშინ ერთი კათედრა იყო ქართული ენისა და ლიტერატურის. ეს კათედრა ფაქტობრივ იქაური უმაღლესი განათლების ოაზისს წარმოადგენდა, და არა მარტო ამისა, ყველა იქ მოღვაწე ქართველი ინტელიგენცის, თუ უბრალოდ ქართველის, თვალში ეს კათედრა ასოციაციას ბადებდა ყოველივე ქართულთან... ამიტომაც იყო, რომ ამ კათედრის გამგე შინაგანად განაგებდა ინსტიტუტში ყოველივე ქართულს, აგებდა მასზე პასუხს. ძნელი, ძალზე ძნელი იყო იქ მუშაობა.

ბ-ნმა ოთარმა კათედრაზე, თუ არ ვეცდები, ბ-ნი შოთა გაფრინდაშვილი შეეცალა... მე ბ-ნი ოთარის კათედრის გამგეობას არ შევსწრებივარ, მაგრამ ბევრი რამ გამოწველილვით ვიცი იქ იმ დროს მომუშავე ქართველი თუ ოსი კოლეგებისაგან... ყველანი ცნობდნენ მას, როგორც კრისტალურ და რაფინირებულ ინტელიგენცს... მან პატიება იცოდა, აპატიებდა ზოგ ადამიანურ სისუსტესაც, მაგრამ არასოდეს ისეთს, რაც კათედრას, ქართულ საქმეს ავნებდა. აქ ის შეუვალი გახლდათ და ამ პრინციპის გამო იყო, რომ მისი კათედრის გამგეობისას, როგორც ამბობენ კათედრის წევრები, რომ წევრობდნენ, ასევე იყვნენ ლაბორანტებიც და ზოგი სხვა, მეცნიერებაში გასაწვრთნელად რომ ამზადებდა, – ყველას თავისი ადვილი ეჭირა. მკაცრი დისციპლინა შეხამებული მაღალ მზუობასა და დიდ კაცთმოყვარეობასთან – ძალზე გამოარჩევდა ჩვენს კათედრას სხვათაგან (სხვათა შორის, ამ კათედრის დამაარსებელი ბ-ნი ალ. ლლონგი გახლდათ). ის წლები, ბ-ნმა ოთარმა ცხინვალში რომ განვლო, გამორჩეული იყო კათედრის ცხოვრებაშიც.

ბ-ნი ოთარ! თქვენთან დღევანდელ შეხვედრის თაობაზე პროფ. იმ. ჩანგლაძემ გუშინწინ მაცნობა, გადაეცით თქვენს ინსტიტუტს ამის შესახებო. გუშინ ქ. გორში გახლდით. მოგეხსენებათ ჩვენი ლტოლვილი ინსტიტუტი იქ მოღვაწეობს. ჩვენს რექტორს, ბ-ნი ვიანორ ახალაიას გადაეუცი დღევანდელი შეხვედრის შესახებ. მან ბრძანა: გენადი, ვინ გყავს, ბ-ნი ოთარის დროს კათედრაზე რომ მუშაობდნენო... შემდეგ დასძინა: არა კათედრაზე, არამედ საერთოდ ინსტიტუტშიო... მართალია, ეს კათედრა თქვენს დროს ფაქტობრივ ხომ ქართული ინსტიტუტის მაგივრობას ეწეოდა.

გუშინ ინსტიტუტში აღმოჩნდნენ ქალბატონები ვენერა სომხიშვილი, ცისანა

ასანიძე და ქუქუნა ზეინკლიშვილი... ბ-ნ ნოდარ მესხრიკაძეს ამ დილით შევეხმიანე... ქალბატონთაგან ორი აქ გახლდათ, ერთმა ქ-ნ ვ. სომხიშილ-მა, დაწყებითი განათლების დეკანმა ვერ შეძლო ჩამოსვლა...

ვისხედით და იგონებდნენ ქალბატონები: როგორ გამოჰყევით ერთი თქვენი თანამშრომელი ქალბატონის გოგონას საქმეს თბილისში... სამუალო სკოლის სწავლების ფრიადოსანს ნიშანს აკლებდნენ... ეს ის დრო იყო, როცა მედალი ლიმიტირებული იყო... იმდროინდელ ოლქში ერთი უბრალო ლაბორანტის გოგონასთვის ვინ გაიმეტებდა ოქროს მედალს. არადა, ამ ქალბატონმა ორი შვილი მარტოხელამ აღზარდა... ბ-ნმა ოთარმა იყოღა ნამდვილი ცოდნის ფასი და ცოდნამაც იზეიმა... ოქროსმედალოსანი გოგონა ექიმი გახდა...

ან: როგორ ეხმარებოდით თქვენსავე ლაბორანტს ქ-ნ ლიდა კასრაძეს, რათა მას განეგრძო სწავლა მისი ინტერესების შესაბამისად... შემდეგ ხომ მისგან მშვენიერი სპეციალისტი დადგა, დოცენტი და... ოლონდ, სამწუხაროდ ადრე გარდაიცვალა.

როგორ ნათლად ხედავდით ჯერ კიდევ მაშინ, თუ როგორ იყო საჭირო ქართული ენისა და ლიტერატურის, და საერთოდ ქართული საქმიანობის სფეროში არაქართველთა ჩართვა... სამაჩაბლოელთა გვერდით თქვენ ოსებს, რომლებსაც სამუალო განათლება ქართულად ჰქონდათ მიღებული და ჩვენთან ინსტიტუტში ქართულ ფაკულტეტზე სწავლობდნენ, დაეხმარეთ განეგრძოთ სწავლა ასპირანტურაში, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ორი იმათგანი, ნართიკოევა და თაბუაშვილი, ახლაც რომ ცხინვალში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, დღევანდელი დღის შესახებ როცა გაიგებენ, გაიხარებენ... თქვენ ხომ მათი, და რამდენი ასეთი, მარტო ლექტორი არ ბრძანდებოდით, ისინი თქვენი ხელდასმულნი არიან, როგორც უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგნი... იხსენებენ, ბ-ნ ოთარ, თუ როგორი სიყვარულით ამზადებდით კათედრის გამსვლელ სუსიებს სამაჩაბლოს ქართულ სკოლებში... იქ ხომ ბევრი ჩვენი ინსტიტუტდამთავრებული ასწავლიდა... ამ იტომ იყო, ხშირად მთელი კვირა ცხინვალში რჩებოდით... და ბევრი სხვა. ამ ბოლო დროსაც დაგვეხმარეთ, როცა ერთი ჩვენი კურსდამთავრებულის ხელმძღვანელობა გთხოვეთ... გოგონა ჩაირიცხა ასპირანტურაში, მაგრამ ოჯახური მიზეზების გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება. როგორ წუხდით ამის გამო, ბატონო ოთარ! თქვენი დახმარება თუ დაგვჭირდა, იმეღია, უარს არც ახლა გვეყვით.

ერთი სიტყვით, ბ-ნ ოთარ, მოსალმება გამიგრძელდა, თუკი ჩვენს გამოსვლას მოსალმება ჰქვია... მინდა გთხოვოთ ჩვენი ინსტიტუტის სახელით... ალბათ, ქ. ცხინვალში მალე შევალთ... შევალთ უკვე ქართული ინსტიტუტის სახელით. თქვენს ძველ სიყვარულთან, ცხინვალთან მიახლოება კი, ეჭვიც არ მეპარება, გაგხარდებათ... როცა მობრძანდებით, ნახავთ, რომ თქვენეულმა ერთმა კათედრამ იბარგა... დღეს ექვსია... ერთი ფაკულტეტის ნაცუ-

ლად ოთხია... მობრძანდით ჩვენთან... ფირისმანი რომ იცყოდა, დაეღვათ სამოვარი, მივირთვათ ჩაი და ვისაუბროთ სამაჩაბლოს მომავალზე, მის კეთილდღეობაზე... თუშეა, ბ-ნო ოთარ, ამაჲ მაგიდასთან ღვინის ჭიქით ხელში შევძლებთ და, ალბათ, უკეთესიც იქნება... აი, მაშინ გეგყვით ბევრს.. გადაგიხდიან მადლობას იმისათვის, რომ თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები სამაჩაბლოს უანგარო სამსახურს დაუთმეთ... ამისათვის დიდ მადლობასა და სამაჩაბლოელთა დიდ სიყვარულს ახლაც ვადმოგვყვით.¹

ახალგაზრდა ენათმეცნიერის ხელდასმა

ვისაც ახსოვს ბოლოდროინდელი ცხინვალი, იმას ემახსოვრება, პედაგოგიურ ინსტიტუტში თბილისიდან ჩამოდიოდა ერთი ახალგაზრდა... კითხულობდა ქართული ენის კურსს და მთელს თავის ენერგიას ახმარდა სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. ეს ახალგაზრდა ენათმეცნიერი რამაჲ ქურდაჲე გახლდათ. შემდეგ ბ-ნი რამაზი თბილისში ვადაღის სამუშაოდ და ღღეს იგი საქვეყნოდ ცნობილი იჲ. ჯაეახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის ღოცენგია.

გაევიგეთ, რომ ბ-ნ რამაზს ახლახანს საღოქტორო ღისერტაცია დაუტაცეს. ეოკითხეთ, ვინ დაეწრო ახალგაზრდა ენათმეცნიერის ხელდასმასო და გეოთხრეს: ცხინვაღის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ღიგერატურის კათედრის წვერები, მათ შორის პროფესორი გენადი ბურჲულაჲეო. ინსტიტუტის პრორექტორს სასწაელო-სამეცნიერო დარგში, პროფესორ გენადი ბურჲულაჲეს შეხედა „ღიგერატურული ცხინვაღის“ მთაეარი რედაქტორი რობერტ ᦂდიკაჲე, სთხოეა მოეთხრო ამ ღღეჲე და სათანადო კითხეებით მიმართა მას.

რედაქტ.: ბ-ნო გენადი, თქვენ იცნობთ ბ-ნ რამაზის სამეცნიერო მოღეაწეობას, ეგების მოგეოთხროთ მის შესახებ. ხშირია კი მის ასაკში საღოქტორო ღისერტაციების დაეცა? როგორ იყო ეს თქვენს ღროს?

გ. ბ.: ბ-ნ რამაზს, ეს მაღალი მეცნიერული ხარისხი ახალგაზრდას მიენიჲა (იგი დაბადებულია 1961 წ.). შესაჲლოა, მეცნიერებათა სხეადასხეა დარგში უფრო ახალგაზრდებიც იტაცენენ საღოქტორო ხარისხს, მაგრამ ენათმეცნიერებაში ეს შედარებით იშეიათია. აჲ კარგა დიდი ღრო სჲირდება საანაღიზო მასაღის მოპოეებას, შემდეგ ანაღიზი, რომღის ღროს სჲეციაღური ღიგერატურის შესწაეღაცაა საჲირო და ბეერი სხეა. მერე და, რა ღროს მუშაობდა იგი ღისერტაციაზე... სიციეე, უშუქობა, პურის რიგებში ღგომა, ღეჲეციები სხეადასხეა სასწაელო დაწესებულებებში და, რაც მთაეარია, სამი შეიღის მამაა (მეოთხესაც ელოღება)...

1. ვადმობეჲღიღია ვამ. „ღიგერატურული ცხინვაღიდან“, აპრიღი, 1999, გორი, გვ. 7.

ჩვენ დროს კი ამ თვალსაზრისით უკეთესი პირობები გვექონდა, მაგრამ თვით ღაცვის პროცესი უფრო მკაცრი იყო. მაგალითად, ჩემს სადოქტორო დისერტაციას გარეკანზე ეწერა 1979 წ., ღაცვიანი კი 1981 წელს. ეს დრო მოუნდა ოფიციალურ მიმოწერებს მოსკოვსა და ღაცვიანში, რათა შერჩეულიყვნენ ღაცვის ოფიციალური ოპონენტები.

რედაქტ.: ბ-ნო გენადი, ვიცით, რომ თქვენც ცხინვალის პედინსტიტუტიდან გაღაცვილით თავის დროზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და მალეც ღაცვიანი სადოქტორო... ასევეა ბ-ნ რამაზი.

გ. ბ.: ხომ ხეღაც, ბ-ნ რამაზისა და ჩვენს მაგალითზე შეიღაცება ვთქვამთ: ცხინვალის ენათმეცნიერებს კარგადა აქვს ღაცვილი. აი, ახლაც, სექტემბერში, ჩვენი ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი ვიანორ ახალაია იღაცეს სადოქტორო დისერტაციას, ქ-ნ ვენერა სომხისშილს ღაცვიანი სადოქტორო დისერტაციის თემა.

რედაქტ.: ეს ცნობები ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ საკითხავია, ბ-ნი რამაზი ღაცვიანი მეცნიერებაში როგორ მოხეღაცა?

გ. ბ.: 1968-71 წლებში მე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუღაცობდი. ბ-ნ რამაზის მამა – ცნობილი მეცნიერი, საქართველოს პედაგოგიური აკადემიის ღაცვიანი-აკადემიკოსი, პროფ. შოთა ქურღაცაძე ამ ინსტიტუტის ღაცვიანი, შემღაცომ კი პრორექტორი გახლღაცათ. ბ-ნ რამაზი უკვე სკოლაში სწავლობღაცდა, რომელიც ღაცვიანი-აკადემიის 1978 წელს და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო. აქ კი გაუმართლა მომავალ ენათმეცნიერს, მას ასწავლიღაცდა ისეთი ცნობილი ენათმეცნიერი, როგორიცაა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამღაცე, პროფ. თ. უტურგაიძე (ბ-ნი თეღაცო ღაცვიანი-აკადემიის აკადემიკოსია). სწორედ მისი ხელმღაცვანელობით ღაცვიანი-აკადემიის ბ-ნ რამაზმა, ჯერ კიღაცე სტუღაცენტმა ძალზე, პერსპექტიული თემა „მრაველობითობის -ებ და -ნ-თა სუფიქსთა განაწიღაცება ქართულში“.

რედაქტ.: მერე, როგორ წარიმართა ბ-ნ რამაზის ცხოვრების გზა?

გ. ბ.: უმაღლეში სასწავლებლის ღაცვიანი-აკადემიის შემღაცე ბ-ნ რამაზი მუღაცობღაცდა სკოლაში, შემღაცე კი, 1984-1986 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია (ხელმღაცვანელობღაცდა ქართ. ენის კათედრის გამღაცე, პროფ. ე. ბაბუნაშვილი). ასპირანტურის ღაცვიანი-აკადემიისთანავე ღაცვიანი-აკადემიის საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ღაცვიანი-აკადემიისა და ფრონეს ხეობათა ქართული“.

ერთი ეპიზოდი მინღაცდა გაეღაცხენო... 1984 წელს ქუთაისში გაიღაცართა ღაცვიანი-აკადემიის რესპუბლიკური კონფერენცია. იქ მოეღაცუსმინე ბ-ნ რამაზს, რომელიც გამოვიღაცდა არა ღაცვიანი-აკადემიის გეღაცსტით, არამედ მუღაცვიანი-აკადემიის. შეეღაცხენე კიღაცე ეს ღაცვიანი-აკადემიის შემღაცე.

რედაქტ.: საკანდიდატო დისერტაციის შემღაცე სადოქტორო. ამღაცე უკეთეს რას ისურვებს მეცნიერი...

გ. ბ.: ეს ასეა, მაგრამ მთავარი მკვლევარისათვის მაინც ძიების პროცესია. ამასთანავე მეცნიერის ბედნიერება. სიახლის შეგრძნება და მისი გამოვლენა - ერთი სიამოვნებათაგანია მკვლევარისთვის. აი, თუნდაც, ბ-ნმა რამაშმა თავის სადოქტორო დისერტაციაში 330 ხმოვანმონაცვლე ფუძე გამოიკვლია (როცა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეთი ფუძეა 240), მათგან არაერთი თვით გამოავლინა. ამას დაუმატეთ იმ ფუძეთა დიალექტური ვარიანტები (კახური, ინგილოური, ფერეიდნული, მესხური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხევეური, მთიულური, გუდამაყრული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, აჭარული, გურული, იმერხეური). უდიდესი შრომის-მოყვარეობა... ამის გარეშე ძნელია სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი. სწორედ საგანგებოდ მიუთითა ერთ-ერთმა ოპონენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგემ, პროფ. მ. სარჯველაძემ: „რ. ქურდაძის ნაშრომი „ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში“ მრავალმხრივია საყურადღებო. იგი ნათლად გამოაქვს ავტორის ერუდიციას, კარგ ენათმეცნიერულ მომზადებას, საკითხთა ახლებურად დასმის უნარს, უდიდეს შრომისმოყვარეობას“.

რედაქტ.: მართლა, ვინ და ვინ იყვნენ ოპონენტები და რა შეფასება მისცეს მათ ბ-ნ რამაშის ნაშრომს?

გ. ბ.: ერთზე უკვე მოგახსენეთ. მეორე გახლდათ არნ. ჩიქობაეას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, პროფ. ა. ჭინჭარაული (გელათის აკადემიის აკადემიკოსი) და პროფ. რ. ჭიკაძე (თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ყოფილი გამგე, ამჟამად ამ ინსტიტუტის რექტორი). ასე რომ, სამივე ოპონენტი ძალზე კომპეტენტურია საენათმეცნიერო წრეებში.

რედაქტ.: მერედა შენიშვნები არ ყოფილა?

გ. ბ.: პროფ. მ. სარჯველაძისა არ იყოს, „თავისთავად ცხადია, რომ, როგორც ყველა ამ ტიპის ნაშრომისა, ისე რ. ქურდაძის გამოკვლევის მიმართაც ჩნდება გარკვეული შენიშვნები, რომელთა გაზიარება თუ გაუზიარებლობა დისერტანტის უფლებაა“.

მართალი გახლდათ პროფ. ა. ჭინჭარაული, როცა ბრძანა: „ეს კერძობითი შენიშვნა-ვარაუდები დისერტანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის ჩვეულ შეფასებაში არაფერს არ ცვლიანო“. შეფასება ოპონენტისა კი ასეთი გახლდათ - „ჩვენი საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ბატონმა რამაშ ქურდაძემ საპაექროდ და განსასჯელად წარმოადგინა მისი ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მეცნიერული რუდუნებით შექმნილი ნაშრომი“.

ანალოგიური შეხედულებისა გახლდათ ამ ნაშრომზე აგრეთვე პროფ. რ. ჭიკაძემ: „კვლევის შედეგები ფრიად მნიშვნელოვანია ზოგად ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. უმთავრესი დებულება, რომ ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა ანუ აბლაუტი ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციის საფუძველია, ფაქტობრივად სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს ქართული

ხმოვანმონაცვლე გარდამავალი და გარდაუვალი მზნების უღლების პარადიგმების შეღვენისას”.

რეღაქტ.: ბ-ნ გენადი, ჩვენ ვიციტ, რომ იმ სამეცნიერო საბჭოს, საღაც ბ-ნ რამაზმა ღაიცვა საღოქტორო ღისერტაცია, ხელმძღვანეღობს აკად. თ. გამყრელიძე. ამ პაექრობისას ის თუ ბრძანღებოღა ღა რა თქვა: ბ-ნი თამაზი ხომ თიტი ბრძანღება (გ. შაჭავეარიანთან ერთაღ) კაპიტაღური მონოგრაფიის „სონანტა სისტემა ღა აბღაუტი ქართვეღურ ენებში” ავტორო.

გ. ბ.: კარგია, რომ ბრძანეღ. ბ-ნ თამაზი არა თუ ხელმძღვანეღობღა იმ ღღეს სამეცნიერო საბჭოს, არამეღ გარკვეულ შეკითხვებთან ერთაღ ვრცეღი ღა არგუმენტირებული ღასკენებიც გააკეთა. აქ იყო საღისერტაციო ნაშრომის მისეული შეფასებაც. ფფიქრობ, იგი საინგერესო იქნება ყვეღასათვის. ამიგომ მისი გამოსეღლის ჩანაწერს, ოღნაღი შემოკლებიღ, აქვე წარმოგიღგენღ:

„...საჭირო იქნებოღა საკითხის ისგორიის უფრო კომპაქტური წარმოდგენა (ამაზე შენიშნა კიღეც ერთ-ერთმა ოპონენგმა, პროფ. რ. ჭიკაძემ – გ. ბ.), იმის მიმოხიღვა, როგორ გაჩნღა სამეცნიერო ღიგერატურაში ამ მოვეღენის შეფასება, როგორც აბღაუგისა. ისე, რომ აბღაუტი არის მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ფონეტიკური მონაცვეღობა, უკვე სრულაღ ცალსახაღ ღა ხაზგასმით აქეს აღნიშნული გიორგი ახვეღეღიანს (ვ. თოფურიამაც 1927-28 წღებში საგანგებო ყურაღღება მიაქცია აღნიშნულ მოვეღენას სვანურში – გ. ბ.). გერმინი გაჩენიღა ინღოვეროპული მასაღის გათვალისწინებით. გ. ახვეღეღიანს აქეს მოცემული, რომ სვანური უმღაუტი არის ისგორიულაღ ფონეტიკური პროცესი, რომეღიც მორფოლოგიურ ფუნქციას იძენს ღა ამ მოვეღენას მან აბღაუტი უწოღა. ჩენი მიღგომა ამ მოვეღენისაღღი ასეთია: განვიხიღავთ აბღაუგს ისგორიულ ქართვეღურში, აღვადგენთ მას საერთო ქართვეღურში. ჩვენ ცალკეული ქართვეღური ენის აბღაუგს კი არ ვადგენთ (ეს აქეს გიორგი ახვეღეღიანს, თქვენც გაქეთ ქართულში ძაღიან საფუძღელიანაღ), არამეღ საერთო ქართვეღურის ღონებე. ის, რაც მოხღა მანურში, ძაღიან ჰგავს იმას, რაც ხღება ქართუღის ღიაღექტებში ღა თქვენ აჩვენეღ ეს პროცესები. ეს არის საერთო გენღენციის გამოვეღინება.

ჩვენ ნაჩვენები გვაქეს, როგორ ხღება ღერივაცია ისგორიულ ქართულში, როგორ ხღება ნივეღირება, როგორ მარტივეღა სისტემა. ასე მოხღა ინღოვეროპულში. ის, რაც ღღეს შეცღომაღ მიგვაჩნია ინგღისურში, 50 წღის შემღვეგ იქნება ნორმა.

თქენი გამოკვეღვა ერთგვარი გაგრძეღებაა ჩენი ნაშრომისა. როგორ ხღება გამარტივეღა ისგორიული ფორმების ღა ამავე ღროს ახაღი პროცესები – ახაღი აბღაუტური მონაცვეღობანი არ ჩნღება. კარგი იქნებოღა, გამოკვეთიღაღ გვეჩვენებინა, რომ ქართულში ახაღი აბღაუტი არ ჩნღება, იმიგომ რომ აბღაუგის პროცესი ძაღიან სუსტია (ფუცი-ფიცი - ძაღიან

სუსტია) განსხვავებით სვანურისაგან, სადაც აბლაუგური პროცესები ძლიერია. ვისურვებდი ამ მიმართულებით გაგეგრძელებინათ მუშაობა და ჩაგესვათ ზოგად ტოპოლოგიურ კონტექსტში. რა პარალელები დაიძებნება ტოპოლოგიურად – ესეც საინტერესოა“.

რედაქტ. ე. ი. ბ-ნმა თამაშმა ამ მაღალი შეფასების გარდა გემი მისცა ახალგაზრდა მკვლევარს კვლევის ტოპოლოგიურ ასპექტში წარსამართავად. ასეთი აღიარება, ალბათ, ძალზე გაახარებდა არა მარტო ბ-ნ რამაშს, არამედ მის ოჯახსაც, ხომ არ წარმოუდგენდით მათ ჩვენს მკითხველს?

გ. ბ. მამის შესახებ მოგახსენეთ, დედა კი ადრე გარდაეცვალა. თუმცა ბ-ნ რამაშს არ მოჰკლებია ის კეთილისმყოფელი ყურადღება და რჩევა, რაც ქ-ნ ნუნუ ოქროპირიძეს ახასიათებს (ქ-ნი ნუნუ ბ-ნი შოთას მეორე მეუღლეა). მისი კეთილისმყოფელი დამოკიდებულება ბ-ნ რამაშს მთელი ცხოვრება გასდევს. ქ-ნი ნუნუ რაფინირებული გემოვნების მქონე ენათმეცნიერი გახლავთ – ბ-ნ ვიორგი ახვლედიანის მოწაფე.

ბ-ნ რამაშის მეუღლე ქ-ნი ნინო ჭუმბურიძე – ჩინებული ენათმეცნიერია, ფილ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი და, რაც მთავარია, საუკეთესო დედა სამი შვილისა. ქ-ნ ნინოს მშობლები და დაც ენათმეცნიერები გახლავან: ბ-ნი ზურაბ ჭუმბურიძე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორია, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (იგია ავტორი საქვეყნოდ განთქმული, გაუხუნარი წიგნისა „დედა ენა ქართული“). მისი მეუღლე, ქ-ნი ლეილა ნიკოლაიშვილი კი არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკია; და – თამარ ჭუმბურიძე ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელია, ფილ. მეცნ. კანდიდატი. ასე, რომ 27 მაისი მისი ჭუმბურიძე ენათმეცნიერული ოჯახის ზემოთ გახლდათ.

რედაქტ. ბ-ნ გენადი, გმადლობთ ამ საინტერესო ინტერვიუსთვის. ბ-ნ რამაშ ქურდაძეს კი კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ დიდ მეცნიერულ აღიარებას და ვუსურვებდით, კვლავ ასეთივე ენერგიით განეგრძოს მეცნიერული საქმიანობა. იმედი გვაქვს, იგი არც იმ ინსტიტუტს დაივიწყებს, საიდანაც დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა¹.

შოთა ქურდაძე – 75

ამ დღეებში რადიო-გადაცემამ „ენაი შემკული და კურთხეული“ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ჩვენი, ცხინვალის სახ. უნივერსიტეტის პროფესორს, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს შოთა ქურდაძეს, რომელსაც დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

1. გადმოებულილია გაზ. „ლიტერატურული ცხინვალიდან“, იელისი, 1999, გორი, გვ. 4.

ჩვენ ვთხოვეთ ამ გადაცემის ავტორს, ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს თამაზ ხმალაძეს და ჩვენი უნივერსიტეტის პრორექტორს სამეცნიერო დარგში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტს, პროფესორ გენადი ბურჭულაძეს გადაცემის ტექსტი, რომელსაც ებეჭდავთ უწყველად შოთა ქურდაძის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილ „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე.

ამ ხუთი წლის წინ ქართლის შუაგულში, გორში, ცხინვალის სახ. უნივერსიტეტის პროფესორის, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის, შოთა ქურდაძის დაბადებიდან 70 წლისთავი გაიმართა. შეიკრიბნენ ბ-ნ შოთას კოლეგები და მოწაფეები. იუბილარს თბილი სიტყვით მიმართეს და მისგანაც სამაგიეროდ ბრწყინვალედ დაწერილი გამოკვლევა „იოანე ბაგრატიონის „ხუმარ-სწავლის“ ლიტერატურული სარჩული“ მიიღეს. იგი შემდეგ დაიბეჭდა ცხინვალის სახ. უნივერსიტეტის (მაშინდელი ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის) შრომათა საიუბილეო კრებულში, რომელიც ინსტიტუტის დაარსების 65 და ქართული სექტორის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა.

და, აი, ბ-ნი შოთა ახლახანს 75 წლისა შესრულდა. საიუბილეო თარიღს მან კარგი საჩქარი მიუძღვნა. ცალკე წიგნად გამოსცა თავისი შემოქმედების ანგარიში „დაუეიწყარი გაკეთილები“. აქაა მ. ქურდაძის ერთი მოგონება, აკად. ვარლამ თოფურიას სახეს რომ წარმოაჩინს. მიხ. ჩინჩალაძემ, პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოციების სექტორების ხელმძღვანელმა, გაიხსენა: „წუხელის ბატონ ვარლამთან ვიყავი. იგი ჟურნალში დასაბეჭდ მასალას ათვალთვებდა. მრავალთავან ერთ-ერთი სტატია გამოარჩია და მითხრა: ჩემო მიხეილ, აი, რამდენი ხანია ჟურნალისათვის საჭირო მასალეს ვეცნობი და უნდა ვითხრა, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოციკაში თუ ვინმე წერილს დაწერს, აი, სწორედ ისეთი სულისკვეთებით, პედაგოგიური ხედვითა და ცოდნით უნდა დაწეროს, როგორც რომ აი, ეს სტატიაო. ვუიქრობდი, ვინ იქნებოდა ის ბედნიერი კაცი, ვინც პროფ. ვ. თოფურიას ასეთი მხარდაჭერა დაიმსახურა-მეთქი. ჩემდა გასაოცრად ბატონმა მიხეილმა ჩემი სტატიის სათაური დაასახელა. სიხარულით ცას ვეწვი. ის ღამე თეთრად გავათენე. ბატონი ვარლამის სიტყვები ჩემი შემდგომი მუშაობის დიდ სტიმულად გადაიქცა. დავრწმუნდი ჩემს შესაძლებლობაში და უფრო მეტი ინტენსიობით განვაგრძე შრომა“.

ახლაც, ხანში შესულ კაცს, როცა მომაგონდება ის დღე და ის შეფასება ჩემი პირველი სტატიისა, რაც ბატონი მიხეილისაგან მოვისმინე, სულიერად ვმალდები, თვალწინ მიყოცხლდება თმაშვეერცხილი და მუდამ პირმომღიმარი ბატონი ვარლამის ნათელი სახე და როგორც ჩემი ცხოვრების ნათელ ჩირაღდანს, ისე შეეყურებ. გვიწოდდა ჩვენი რადიომსმენელებისთვის გაგვეცნო იგი - პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ-აკადემიკოსთაგანი, თაობების აღმზრდელი და ამ ბოლო დროს მშვენიერი სალიტერატურო ენით მოუბარი მწერალი, რამდენიმე ცნობილი კრებულის ავტორი. ბ-ნი შოთას მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრების გასაცნობად მივმართეთ ცხინვალის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორს სამეცნიერო დარგში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტს, პროფ. გენადი ბურჭულაძეს და იგი მოვიწვიეთ სასაუბროდ.

– ვისმენტ, ბ-ნო გენადი.

გ. ბ.: გმადლობთ, ბ-ნო თამაზ, რომ სასაუბროდ მომიწვიეთ ისეთი ადამიანის გასაცნობად, რომელსაც ქართული პედაგოგიური საზოგადოება კი კარგად იცნობს, მაგრამ მრავალრიცხოვან რადიომსმენელთათვის იგი, შესაძლოა, პირველად წარმოვადგინეთ.

თ. ხ.: რამდენადაც ვიცი, თქვენ და ბ-ნ შოთას 30 წლოვანი მეგობრობა გაკავშირებთ — მეცნიერული, პედაგოგიური და წმინდა ადამიანურიც. პოდა, მოგვითხრეთ ბ-ნ შოთას შესახებ.

გ. ბ.: ბატონო თამაზ, თქვენ ბრძანეთ, პროფ. შ. ქურდაძემ თავის საიუბილეო დღეებში მოხსენება წაიკითხაო. — და, აი, ამან გამახსენა — 1968 წლის 18 ივნისია... თსუ თავის სააქტო დარბაზში საიუბილეო სხდომას უმართავდა თავის ერთ-ერთ უწარჩინებულეს აღმრდელს, არნ. ჩიქობავას. მისთვის ხომ თბილისის უნივერსიტეტი „Alma Mater“ გახლდათ.

აკად. გიორგი ჯიბლაძემ, მაშინდელმა განათლების მინისტრმა, ბრძანა, არნოლდის თხოვნით, მხოლოდ სესია გაიმართებო. მოსაწვეე ბარათში არნ. ჩიქობავას მოწაფეებისა და თანამოსაგრეთა გვარები იყო მომხსენებლებად ჩამოთვლილი და ბოლოს, მისალმებათა შემდეგ, ბ-ნ არნოლდის მოხსენება გახლდათ წარმოდგენილი.

ის დღეც, ბ-ნ არნოლდის დაბადებიდან 70 წელი რომ მიეძღვნა, ბ-ნ არნოლდმა მეცნიერებას დაუთმო.

ბ-ნ შოთამაც მაშინ თავისი დაბადებიდან 70 წელს მიძღვნილი დღე მეცნიერებას დაუთმო.

თ. ხ.: მე არ ვიცი, ეს შემთხვევითაა, თუ კანონზომიერი. ვფიქრობ, უფრო კანონზომიერი უნდა გახლდეთ და, ამაზე, ალბათ, ბ-ნი გენადი გვეტყვის.

გ. ბ.: მოგეხსენებათ, რომ გორის სახ. უნივერსიტეტის დღევანდელი შენობა ადრე პედაგოგიური ინსტიტუტისა იყო. იგი გახლდათ „Alma Mater“ ბატონი შოთასი. ამიტომაც არჩია ბ-ნ შოთამ თავისი საიუბილეო 70 წლის დღის აქ გამართვა და არა სხვაგან. მაშინ იქ მობრძანებულმა სტუმრებმა, ბ-ნ შოთას მეგობრებმა, კოლეგებმა თუ კეთილმსურველებმა კარგად იციან ეს. ამას მხოლოდ იმათთვის ვამბობ, ვინც ბ-ნ შოთას დღეს უსმენენ აუდიტორიებში. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიგრძნო ხაშურის რაინის სოფ. იგრიის მკვიდრმა მეცნიერების ფასი და სიყვარული. მას ასწავლიდნენ ალ. ბარამიძე და ე. მეტრეველი, ს. ქლენგი, გ. ჟორდანიას, ს. ხუციშვილი, ს. მაკალათია და ალ. ლლონგი.

ამ შენობაში შემოვიდა 18 წლის სწავლამოწყურებული ყმაწვილი, როგორც სტუდენტი და მოგვიანებით დაგოვა ეს ინსტიტუტი დიდი სინანულით, როცა ინსტიტუტმა პროფილი შეიცვალა. წლების განმავლობაში კი იგი ბრძანდებოდა დაწყებითი განათლებისა და მეთოდის, ხოლო შემდეგ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის პრორექტორი

სასწავლო-სამეცნიერო დარგში, ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

თ. ხ.: ე. ი. ბ-ნ შოთას ყველა ნაბიჯი — სტუდენტობიდან პროფესორობამდე ამ ინსტიტუტთან ყოფილა დაკავშირებული. შემდეგ კი იგი თქვენს უნივერსიტეტში მოღვაწეობს. მერე და, ახლა ხომ ცხინვალის უნივერსიტეტია ქ. გორში, ბ-ნი შოთა აპირებს მიბრუნებას უკან გორის უნივერსიტეტში.

გ. ბ.: არა მგონი. ბ-ნი შოთა 1983 წლიდან ჩვენთან განაგებს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. ერთ ხანს პრორექტორიც ბრძანდებოდა სასწავლო-სამეცნიერო დარგში. მის კათედრაზე მისი ყოფილი სტუდენტები მუშაობენ. მასწავლებელი და მოწაფე... უკეთესს რას ინატრებს კაცი.

თ. ხ.: ასე რომ, ბ-ნი შოთა ნამდვილ მახუში ბრძანებულა.

გ. ბ.: დიახ, იგი ჩვენს უნივერსიტეტში ასეთი ბრძანდება და იქნება. მე შემთხვევით ვიყავი შემსწრე იმ წუთებისა, როცა ბ-ნი შოთა ეცნობოდა ოსი კოლეგის, ბ-ნ შოთას რამდენიმე წიგნის რედაქტორის, მშვენიერი მოქართულის ქ-ნ მერი ცხოვრებოვას წერილს. ქ-ნი მერი, ბ-ნო თამაზ, ცნობილი ოსი მწერალი და მთარგმნელია. მან ბრწყინვალედ თარგმნა ოსურიდან ქართულად „ნართები“. სხვათაშორის თარგმანს ქართულად აქვს ცნობილი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის ვრცელი ნარკვევი „ოსთა ნართული ეპოსი“.

ბ-ნო თამაზ, მსურს ერთ ეპიზოდზე მოვეუბნო ჩვენს რადიომსმენელს, რისი მხილველიც მე ვახლდით.

თ. ხ.: სიამოვნებით ბ-ნ გენადი, ბრძანეთ.

გ. ბ.: 1969 წელია... ბ-ნ შოთას სადოქტორო დისერტაცია აქვს წარდგენილი თსუ-ში. ნუ მიწყენენ კოლეგები და შევნიშნავ, ეს ის დრო ვახლდით, როცა სადოქტორო დისერტაცია თითზე ჩამოსათვლელი იყო, მით უფრო არადედაქალაქიდან, პერიფერიიდანაო, - ახლაც ამბობენ.

ბ-ნი შოთას დისერტაცია რამდენიმე მეცნიერების შესაყარზე ვახლდით: ფილოლოგია, ერთი მხრივ, და პედაგოგიკა-ფსიქოლოგია მეორე მხრივ. დაცვას მეც ვესწრებოდი და ყოველივე თითქმის მახსოვს. ქართული ფილოლოგიისა და პედაგოგიკის გაერთიანებულ საბჭოს, შექმნილს საუციალურად ამ დაცვისათვის, ბ-ნი აკაკი ურუშაძე უძღვებოდა. იგი ვახლდით ცნობილი ბიზანტიოლოგი, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

ბ-ნმა აკაკიმ საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დისერტაციის განხილვის წინააღმდეგია პროფ. აკ. თოფურია, რომელმაც 14 გვერდიანი შენიშვნები წარმოადგინაო. დისერტანტმა ამას ორმოც გვერდიანი წერილობითი პასუხი გასცა, რისი გაცნობის შემდეგ დაერწმუნდით, რომ დისერტაცია ღირსია საპაექროდ დაშვებისაო.

ასეთი წინასწარი განცხადების შემდეგ საბჭოს ზოგიერთმა წევრმა მაინც მოითხოვა, გაგვაყანით პროფ. ა. თოფურიას წერილობითი შენიშვნებით.

ბ-ნი აკაკი შეტბა... და შემდეგ ბრძანა: წერილის ავტორი არ მობრძანებულა

დაცვაზე, წერილისა და მისი პასუხის შეჯერებამ გამოიწვია კიდევ ორი საბჭოს გართიანება. სიჩუმი ჩამოეგრდა და ამ დროს წამოდგა აკად. ალ. ფრანგიშვილი (მაშინ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და მკაფიოდ წარმოთქვა: რა საჭიროა იმ წერილის წაკითხვა, რომლის ავტორმა თვით არ ინება აქ მობრძანება. მან იცის, ალბათ, თავისი შენიშვნების პასუხი და არც მობრძანდებოდა. გაერთიანებული საბჭო მოწვეულია და მუშაობა დაიწყეთო. ასე შედგა ეს დაცვა, რომელმაც ბაგონ შოთას დამსახურებულად მიანიჭა სატიტული ხარისხი.

თ. ხ.: მე ჩავეიკითხავ აქ ამონარიდს პროფ. ალექსანდრე ლლონგის პირადი ბარათიდან, სადაც მასწავლებელი თავის მოსწავლეს წერდა 70 წლის საიუბილეო დღეებში: „დიდად ეაფასებ შენს მრავალწახნაგოვან მეთოდურ კვლევა-ძიებას. შენ ურყევ ბურჯად უღვახარ ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას. ის არა მარტო გაამდიდრე ფუნდამენტური შრომებით, არამედ იდეური განვითარების მწვერვალზე აიყვანე, გვაჩვენე ამ დარგის კლასიკური მემკვიდრეობა და მოამაგეთა დეაწლი. შენი სახით ქართულ მეთოდიკურ მეცნიერებას ჰყავს ერთი ღრმად ერუდირებული მკვლევარი, ფართო მასშტაბის მოაზროვნე, წინ რომ ეწევა მეცნიერებას“.

გ. ბ.: ბაგონო თამაზ! რადიო-გადაცემა ვერ დაიტევს, ბუნებრივია, იმას, რის თქმაც დღეს გესურდა. მხოლოდ იმას შევნიშნავდი, რომ იმ 12 მონოგრაფიული სახის გამოკვლევიდან, ბ-ნ შოთას რომ ეკუთვნის, სამი იმ საიუბილეო დღეების შემდეგ დაიბეჭდა (ნაბეჭდი შრომები სულ სამასამდეა). სამი კრებული მოთხრობებია, მოგონებები.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, კოლეგებმა ბ-ნ შოთას დაბადებიდან 70 წლისთავი რომ მიულოცეთ „განათლების“ ფურცლებზე, ის სიყვები მინდა გაეიმეორო:

„70 წელი – მხოლოდ შუადღეა პროფ. შ. ქურდაძისათვის. ვინც ერთხელ მოისმენს მის ღრმამინაარსიან ლექციებს, ვინც მოისმენს მის საჯარო გამოსვლებს, ვინც კითხულობს მის გამოკვლევებს, განსაკუთრებით ბოლო წლებში შექმნილს, მისთვის ცხადია, რომ ჭარმაგი მეცნიერი ახალგაზრდული ენერჯითა და ჯან-ღონითაა საფხე. ეს კი პირუთვნულად გვათქმევინებს: ბ-ნ შ. ქურდაძის სამეცნიერო-პედაგოგიური ნაღვაწის სრული შეფასება მომავლის საქმეა. გეწამს, იგი არაერთ ფასეულ შრომას შესძენს ქართულ მეცნიერებას, სტუდენტთა არაერთ თაობას დამოძღვრავს. ამკარაა, ჩვენ იუბილარს „ძალი შესწევს ქაღილისა“.

გ. ბ.: თქვენ, ბაგონო თამაზ, რომ არ იყო დეთ, რომ ეს ნათქვამია ბ-ნ შოთას დაბადებიდან 70 წლისთავზე, ამასვე დღესაც გაიმეორებდით.

თ. ხ.: ვისურვოთ, დიდხანს გაგრძელდეს ეს.¹

1. 1996 წელს პროფ. შ. ქურდაძის 70 წლისთავზე დაიბეჭდა „შუადღე“, რომლის ავტორთა შორის ამ რადიოდილოგის თანაავტორიყაა (იხ. გამ. „განათლება“, № 15 (4435), VIII, თბ., 1996; ვადმოიბეჭდა იგი გამ. „გორი“, № 25, გორი).

ილია ცერცვაძე - 80 წელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორს ილია ცერცვაძეს ამა წლის 20 ოქტომბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

პროფ. ილია ცერცვაძე დაიბადა 1917 წელს ოზურგეტის რაიონის სოფელ გოგორეთში... მან 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშივე მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი... 1965 წელს ილია ცერცვაძე წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას ენათმეცნიერების ინსტიტუტში; 1968 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორია, ხოლო 1985 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პროფ. ილია ცერცვაძე ერთი იმ რჩეულთაგანია, ვის სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ნაღვაწთანაცაა უშუალოდ დაკავშირებული ის სამეცნიერო სახე და მაღალი რეპუტაცია, რაც არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებულ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას აქვს საზოგადოდ. ეს გასაგებია, რადგან ბ-ნი ილია იყო ერთი იმათგანი, ვინც ამ საენათმეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებისა და განვითარების უშუალო და აქტიური მონაწილე გახლდათ.

პროფ. ილია ცერცვაძის პირველსავე ნაშრომებში წარმოჩნდა ის მაღალი მეცნიერული დონე, აზრის გამოხატვის ეკონომიურობა, წამოყენებულ დებულებათა სიცხადე, მეცნიერული აზროვნების მასშტაბურობა თუ თეორიული ხასიათის დასკვნა-განზოგადებანი, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია მისი შრომებისათვის. ამ თვალსაზრისით მეტად ფასეულია ბ-ნი ილიას პირველივე მონოგრაფიული სახის გამოკვლევა „ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი“ (1948წ.). ამ შრომაში, გარდა იმისა, რომ გამოწველილეთაა შესწავლილი აღნიშნული დიალექტი, ერთი ფრიად პრინციპული ხასიათის დებულებაა წამოყენებული და გადაჭრილი. კერძოდ, მკვლევარმა ანწუხური დიალექტის ორ კილოკავ - ჭადაქოლურსა და გოხურს შორის გამოაქვინა ისეთივე კანონზომიერი ხასიათის ბგერათმშესაბამისობა, როგორც დასტურდება, მაგალითად, ქართველურ ენებს შორის სიბილანტთა

რიგში.

პროფ. ილია ცერცვაძე ასკენის: „ფაქტი საინტერესოა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით: საარტიკულაციო გადახრის შედეგად ბგერათა კანონზომიერ ცვლას ერთი დიალექტის ფარგლებში შეუძლია გარკვეული შესაგყვისობის მოცემა“ და, მამასაღამე, არნ. ჩიქობავას თანახმად, „კანონზომიერი შესაგყვისობა ბგერათგადაწვეის ფაქტებზე ყოველთვის ახალ ენას როლი ნიშნავს“.

მორფოლოგიისა და ლექსიკის თვალსაზრისით კი ამ ორ კილოკავს შორის სხვაობა არაა – ისინი ერთნაირად უპირისპირდებიან ხუნძურის სხვა დიალექტებს.

მოგვიანებით, 1965 წელს, გამოქვეყნდა აკად. თ. გამყრელიძის და პროფ. გ. მაჭავარიანის ფუნდამენტალური მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში“, რომელშიც ავტორებმა წამოაყენეს პრინციპულად ნოვატორული ხასიათის დებულება, რომლის თანახმადაც, „ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესები, მიუხედავად მთელი თავისი მნიშვნელობისა, არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთადერთ და გადამწყვეტ კრიტერიუმად მონათესავე ენათა და დიალექტთა კლასიფიკაციისას... სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა მორფოლოგიურ და, განსაკუთრებით, ლექსიკურ კრიტერიუმებს, რომელთაც განსაკუთრებულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მონათესავე ენათა ისტორიული ურთიერთმიმართების აღდგენისას.“

ავტორთა მიერ წამოყენებული დებულების გასამაგრებლად და საილუსტრაციოდ სწორედ პროფ. ილია ცერცვაძის მიერ გამოვლენილი მასალა და შემოთ აღნიშნული განზოგადება-დასკვნებია მოხმობილი და გამოიარებული.

პროფ. ილია ცერცვაძემ თავის დიდ მასწავლებელ, აკად. არნ. ჩიქობავასთან ერთად შექმნა (1962 წ.) ხუნძური ენის პირველი საუნივერსიტეტო კურსი, რომლის ბადალი, სამწუხაროდ, ჩვენ არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში არ გავაჩნია. თავის დროზე ამ წიგნმა იმ დროისათვის ჩვენი უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო – პირველი საუნივერსიტეტო პრემია დაიმსახურა.

საეკაპო გახლავით მისი მონოგრაფიული სახის გამოკვლევა „ანდიური ენა“ (1965 წ.). აქ, გარდა ენის სრული და სისტემატური ანალიზისა, კილოთქმათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით დადგენილია ენობრივ მოვლენათა უწინარესობა-შემდგომადობა, ე. ი. აღწერას მოსდევს ისტორიული ინტერპრეტაცია (არნ. ჩიქობავა). მონოგრაფიაში წამოყენებული რიგი დებულება ფუძემდებლურია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის საზოგადოდ. ორიოდ ნიმუში:

პროფ. ი. ცერცვაძემ არამაგარ თანხმობანთა გადაქცევა მაგარ თანხმობენად ახსნა მომდევნო ხმოვნის დაკარგვით... მამასაღამე, ნაჩვენებია

ერთ-ერთი გზა ახალ ფონებათა გაჩენისა – შეპირობებული პოზიციით...

ცნობილი იყო ე. წ. „ქალთა ენის“ უცნაურობა ანდიურში... გაირკვა, რომ ეს დიალექტური წარმოშობისა ყოფილა...

ბ-ნი ილიას, ჩანს, ჩაფიქრებული ჰქონდა დალესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შექმნაც... ამ ციკლის ერთ-ერთ ნაშრომს, რომელიც მან მიუძღვნა ხუნძურ-ანდიურ ენათა მეხუთე ლაგერალური თანხმონის შესაგყვისობასა და რეფლექსებს სხვა დალესტნურ ენებში, ქვესათაურად აქვს „ნარკვევი დალესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკიდან“... ამ ლაგერალური თანხმონის შესაგყვისობა და მისი რეფლექსები ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში პროფ. ილია ცერცვაძემ ადრევე დაადგინა (გამოქვეყნდა 1952 წ.), შემდეგ ანალოგიური სახის ძიება ჩაატარა ლაკურის (ლაკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიის ზოგ საკვანძო საკითხს მან არაერთი ნაშრომი უძღვნა), ბოლო კი – უდიურის მიმართ. ამ უკანასკნელ ნაშრომში მან ბრწყინვალედ ახსნა მეხუთე ლაგერალის ნულოვანი რეფლექსის არსებობა, განამოგადა ეს და აჩვენა, რომ ანალოგიური სახის შესაგყვისობაა სხვა არამაგარ აბრუბკითა რიგშიც.

ეს ციკლი გამოკვლევებისა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ისტორიულ-შედარებითი ძიების კლასიკური ნიმუშია.

სამწუხარო მხოლოდ ის გახლავთ, რომ ბ-ნი ილია სწორედ მაშინ, როცა მისგან სამეცნიერო საზოგადოება ელოდა არაერთ და, რაც მთავარია, განმამოგადებელი ხასიათის სხვა ნაშრომებს, სწორედ მაშინ, როცა მეცნიერის შუაღლე დგებოდა, მძიმედ გახდა ავად და ვეღარ ეწეოდა მისთვის ჩვეულ აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, თუმცა კალამი ხელიდან არ გაუგდია. იმ ნაშრომთაგან, რომელთა პუბლიკაციაც მან მოასწრო, არაერთი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ოქროს ფონდშია შესული (ზოგ მათგანზე ბემოთაც ითქვა) გვერთა, რომ მეცნიერის არქივში არაერთი წარმოჩნდება მაღალხარისხოვანი გამოკვლევა, რომლის გამოქვეყნება ავტორმა ვერ მოასწრო).

პროფ. ილია ცერცვაძე თავისებური მეგრი გახლდათ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა, კერძოდ დალესტნურისა. ვისაც ჰქონდა ბედნიერება მოესმინა მისი ლექციები ხუნძურ ენაში, ასეთნი კი ქართველების გვერდით იყვნენ დალესტნელები და ჩაჩან-ინგუშები, აფხაზები თუ ადიღეელები და სხვანი, არ შეიძლება დაავიწყდეს ბ-ნი ილიას გამოკვეთილად მწყობრი, თითქოს ჩამოქნილი კურსი ამ ენისა... მერე და, როგორ მიჰყავდა კურსი, დინჯად, საოცარი კმაყოფილებით, [თავის საქმეზე შეყვარებულ კაცს რომ სჩვევია]... როგორც კი იგრძნობდა, აუდიგორიამ აითვისა მასალა, თვალებში სითბო ჩაუდგებოდა... მისი ყოველი ლექცია თუ სემინარული მეცადინეობა გამოირჩეოდა აკადემიურობით და ერთგვარ მეცნიერულ ძიებადაც იქცეოდა ხოლმე... ჩვენ, მსმენელნი, თვითონ ვადგენდით, მაგალითად, ხუნძურ ლაგერალთა მწყობრ რეფლექსებს, რომელთა წილი თვით მის მიერ

იყო დადგენილი... ჩვენ მის ლექციებზე ვსწავლობდით არა მარტო იმ კურსს, მას რომ ებარა, არამედ ვიძენდით სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებსაც. ამაში კი მას უთუოდ უწყობდა ხელს დიდი ინტელექტი, საუცხოო საენათმეცნიერო გაწერთნილობა (ეს კი მან მიიღო არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებულ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლაში) და უდიდესი სიყვარული იმ საქმიანობისადმი, რასაც იგი წარმატებით ეწეოდა 50-ზე მეტი წლის განმავლობაში.

დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე თავისი პირველხარისხოვანი შრომებით პროფ. ილია ცერცვაძე უთუოდ იმსახურებს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების კლასიკოსის სახელს. ეს, როგორც ადამიანი, საზოგადოდ გვჩვენებდა, ჩვენ მას სიციხლეში ვერ ვუთხარით, მაგრამ ახლა კი, როცა იგი ჩვენს შორის არ ბრძანდება, მაინც უნდა ითქვას, – ვამბობდით ჩვენ მისი დაკრძალვის დღეს.

თუ როგორ აფასებდა ბ-ნი ილიას სამეცნიერო-პედაგოგიურ ღვაწლს მისი უპირველესი მასწავლებელი აკად. არნ. ჩიქობავა, ამაზე მხოლოდ ერთ მომენტს გავიხსენებთ:

უკვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვარ; დავწერე სტაგია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ წარსაღგენად. ბ-ნი არნ. ჩიქობავა მისი წაკითხვის შემდეგ ბრძანებს: ეგებ, ბ-ნი ილიას მიუტანოთ, სთხოვეთ, წაიკითხოსო და, თუ დრო ექნება, რეცენზიაც დაწეროსო. ბ-ნმა ილიამაც სათანადო გექსტი გაამზადა:

„ფილოლ. მეცნ. დოქტორ გენადი ბურჭულაძის შრომა „დადების აღმნიშვნელი გზის თაობაზე კაპუჭურ-ჰუნზიბურ ენაში“ შეიძლება წარდგენილ იქნას დასაბუჯდად. ნაშრომი ეხება ხსენებულ ენათა მორფოლოგიის ერთ კერძო ფაქტს. მსჯელობა და დასკვნა სარწმუნო ჩანს“.

12. IV. 1985 (ბ-ნი ილიას ხელმოწერა).

ამ გექსტს, რომელიც ახლა ჩვენთანაა, გადაბუჯდვის შემდეგ ბ-ნი არნოლდის ხელითვე მინაწერი ახლავს: „თანახმა ვარ დაიბუჯდოსო“.

ასე დაიბუჯდა ეს სტაგია.

ბ-ნი ილიას მისი თანაგოლები თუ საერთოდ მის გვერდით მოღვაწენი დიდ პატივს სცემდნენ, მის გამორჩეულობასაც აღიარებდნენ.

რამდენიმე წლის განმავლობაში ბ-ნი ილია, ბ-ნი ალ. მაპომეტგოვი და მე წლიურ თემებს ერთად ვასრულებდით... ჩვენს კუთვნილ ნაშრომს რომ მოვიგანდი, ბ-ნი ალექსანდრე თავისი, ლამაზი კალიგრაფიით წააწერდა: ილ. ცერცვაძე, ალ. მაპომეტგოვი, გ. ბურჭულაძე... ბ-ნი ილია აპროტესტებდა, მაგრამ ყველაფერი ასე რჩებოდა... უცვლელად... თითქოსდა ასე იყო და, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო.

თვით ბ-ნი ილია მოწიწებასა და პატივისცემას გამოხატავდა სხვათა მიმართ, განსაკუთრებით უფროსი თაობის კოლეგის მიმართ. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ:

როცა ბ-ნმა ილიამ თავისი გვარი ბ-ნ ვარლამ თოფურისთან ერთად ნახა სასტამბოდ გამზადებულ ჩემს ავტორიუფერაგზე, პირდაპირ განაცხადა: სადაც ბ-ნ ვარლამზეა მითითება, განა საკმარისი არააო და თანაც ივავად ერთი დიდებულის ამბავი დასძინა, თუ როგორ გამოაჭრეენია ამ უკანასკნელმა ორი ხერული ცალ-ცალკე დიდი და პატარა კატისათვის: არადა, ერთი დიდი კატის ხერულში რომ ორივე გაეგოდლაო. ამ სენტეციის მიუხედავად, ავტორიუფერაგზე ორივე მასწავლებელის გვარია, მით უფრო რომ ბ-ნი ილია ჩვენი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი გახლდათ, ბ-ნ ვარლამის გარდაცვალების გამო – საკანდიდატოსი (ბოლოს კი სადოქტორო დისერტაციის კონსულტაციი).

მე მიკვირდა, თუ რატომ მითხარით თავაზიანი უარი სახელმწიფო გამოცდებზე საერთოდ მიღებული აფხაზური ენის ნაცვლად ჩამებარებიანა ხუნძური ენა... თუმცა შემდეგ აწ განსვენებულმა თანაკურსელმა ლაკმა ფათიმათ ვაიდაროვამ ამიბა მხარი და თქვენ დათმეთ: ჩვენ ხუნძური ჩაებარეთ (თავმჯდომარე კომისიისა კი ქ-ნი ქეთევანი გახლდათ და თქვენი უარიც ამ კონტექსტში გასაგებია – ქ-ნი ქეთევანი ჩვენი საერთო მასწავლებელი იყო, თანაც ქალბატონი).

წელს კი, 19 სექტემბერს, ქ-ნი რუსუდან გაგუა ტელეფონით შემეხმინა. გაუგია, ინსტიტუტში ბ-ნ ილიას დაბადებიდან 80 წლისთავს აღნიშნავენო და მესაუბრა: გენადი, იცი, მოსელა არ შემიძლია, მაგრამ ეს იყოღე (მოგუყავს ქ-ნ რუსუდანის სიტყვები) ... ცერცვაძე შესანიშნავი, შესანიშნავი... მეცნიერია... მეტად ღრმა მეცნიერი იყო... არნ. ჩიქობავა და მისი „ხუნძური ენა“ სამაგიდო წიგნია ჩემთვისო. განყოფილების სხლომებზე ხშირად მის გვერდით ვიჯექი... ამ ბოლო დროს აუადმყოფობდა, მაგრამ არ ეკუებოდა – მე კი ისეთი შორიდებით მეპყრობოდა, მეცინებოდა... ეს იმიტომ რომ მეტად ზრდილი კაცი გახლდათ, ძალზე ზრდილი და იმიტომ... ეს არა მარტო მანდილოსნების მიმართ, არამედ საერთოდ – უფროსთან თუ უმცროსთან ურთიერთობაში...

ერთხელ, ასპირანტობისას, ბ-ნ ილიას ვეკითხები: ჩემი თავი ისევე სტუდენტი მგონიაო... ვაიციანა და ისე რომ არ მწყყნოდა, ბრძანა: გენადი, ასეა მუდამ რა ხნისაც არ უნდა მოიყაროო... თუ ეს ასე არ არის, აი მაშინ იწყება სიბერეო...

ვფიქრობ, ბ-ნი ილია დღევანდელ დროს რომ მოსწრებოდა, მაინც ახალგაზრდა იქნებოდა თავის 80 წლისთავზე.

ბ-ნი ილია ბუნებით ოპტიმისტი გახლდათ. ჩანს, ეს მას ბოლომდე გაჰყვა. მისი უერთგულესი თანამგზავრი ცხოვრებაში ქ-ნი თამარი ბრძანდება, ბ-ნ ილიას მუდამ ჰქონდა იმედი, რომ ჩვეულებისამებრ გაემართებოდა თავის ალმა მაგერსა თუ მშობლიურ ინსტიტუტშიო... ვაგლახ, რომ ეს მას არ დასცალდა... მაგრამ მე შინაგანად უფრო ისინი მებრალეებიან, ვინც ვერ ეღირსა ბ-ნ ილიას მოწაფეობას – სტუდენტობაა ეს თუ სამეცნიერო სარ-

ბიელზე გასაწერთნელად შერჩეული ახალგამრდობა... არადა, რა მოძღვარი დაეკარგეთ... ჩვენს, ვისაც გეჭონდა ბედნიერება ბ-ნ ილიას საოცრად თბილი და კეთილად განწყობილი მუდმივი ყურადღების ქვეშ ყოფნისა და იმათაც, ვინც მხოლოდ შრომებით იცნობდნენ მას.

ბ-ნი ილია თავის მუდმივ სასუფეველში დამკვიდრდა. ის ახლა სამ წელზე მეტია იქაა, სადაც მას ელოდა ვერშემდგარი აღმოსავლეთმცოდნე, უნიჭიერესი და გამორჩეული ვაჟაკაცი, მისი უფროსი ვაჟი – გურამი. მჯერა, ერთმანეთს მონატრებული მამა-შვილის ბედნიერი შეხვედრისა იქ, მათ სამუდამო განსასვენებელში... მაგრამ აქ, ამ ჩვენს ცოდვიან მიწაზე, სადაც დაურჩით, ხომ კიდევ ერთხელ გავდარიბდით და მერე როგორ – დაგვაკლდა მაღალი ინტელექტისა და კაცურკაცობის ეგალონი, დიდი მეცნიერი ჩვენი ბატონი ილია...

ეს წერილი ბ-ნ ილიასეული ერთი გამონათქვამის პერიფრაზირებით უნდა დავასრულო.

ბ-ნი ი. ცერცვაძე ბრძანებდა:

„ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის ენა და მისი მკვლევარი ერთმანეთის მიმართ ასოციაციურ წარმოდგენებად იქცევიან. ასეთებად რჩება ჩვენს მეხსიერებაში, კერძოდ, ლაკური ენა და ვარლამ თოფურია (ისევე როგორც, ვთქვათ, სვანური ენა და ვარლამ თოფურია)“.

ასეთივე ასოციაციურ წარმოდგენად იქცა უკვე ჩვენს ცნობიერებაში ხუნძური ენა და ბ-ნი ი. ცერცვაძის სახელი.

მერწმუნეთ, ამაში ყველა დამეთანხმება!

„ვაი, რა მუსა წაიქცა!“

ძვირფასო რადიომსმენელებო! გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის (ქვორში) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დოც. მიხეილ ცოცხიაშვილი; ამას წინ გაზეთმა “ლიტერატურულმა საქართველომ” მას მიუძღვნა გულთბილი ნეკროლოგი, ხოლო გაზეთმა “ლიტერატურულმა ცხინვალმა” – მშვენიერი სტრიქონები საერთო სათაურით “ვაი, რა მუსა წაიქცა!” ამ გაზეთის გვერდებზე

1. დაბეჭდილია გაზ. „განათლებაში“ (25. III, 1994) სათაურით „კლასიკოსი იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებისა“, მოგი დამატება შეგანილია ჩვენი მოხსენების „ილია ცერცვაძე – იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარის“ მიხედვით, რომელიც მოხსენდა არნ. ჩიქობაეას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ივ. ჯაეახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა კათედრის სამეცნიერო სესიას და მიეძღვნა პროფ. ი. ცერცვაძის დაბადების 80 წლისთავს (2. XII, 1997).

ბ-ნ მიხეილს ეთხოვებიან საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილება, კოლეგები ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტიდან: რექტორი დოცენტი ვიანორ ახალაია, პრორექტორი, პროფ. გენადი ბურჭულაძე, ფაკულტეტის დაკანები დოცენტები ვენერა სომხიშვილი და ლევან მიდოდაშვილი, სამაჩაბლოელი პოეტები ვახტანგ კობერიძე და შოთა დარბუაშვილი, საქართველოს მწერლთა კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ჯემალ ინჯია, სტუდენტი გიორგი სომხიშვილი, ეურნალისტი თამარ ფარეხაშვილი. ეს გასაგებია, ღიღია მისი ღვაწლი საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონალური განყოფილების ჩამოყალიბებაში, გაზეთების ცხინვალის რეგიონალური "შიდა ქართლისა" და „ლიტერატურული ცხინვალის“ დაარსებაში...

ჩვენ ადრევე გვექონდა განზრახული შეხვედროდით სამაჩაბლოელ ლიტერატორებს, იქაურ საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს... ჩვენი რადიომსმენელები უკვე შეხედნენ ეთერში პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორსა და პრორექტორს ... ბ-ნი გენადი ბურჭულაძე ადრევე შეგვეპირდა ბ-ნ მიხეილთან შეხვედრას, მაგრამ ვერ მოხერხდა ... არა და, რა რიგ დასაძინია, ეს შეხვედრა რომ ვერ შედგა ბ-ნ მიხეილის სიცოცხლეში, მაგრამ რას ვიზამთ... დღეს ბ-ნი გენადი ბურჭულაძე, ცხინვალის ინსტიტუტის პრორექტორი და ბ-ნ მიხეილის მეგობარი წარმოგვიდგენს მას, სამწუხაროდ წარსულ დროში, თუმცა რატომ წარსულ დროში... ბ-ნი მიხეილის სიცოცხლე ხომ გრძელდება... თუნდაც დღეს, აი, ჩვენს ამ გადაცემაში...

გ.ბ.: ბ-ნო თამამ, მართალს ბრძანებთ, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ მიხეილი ჩვენთან აღარ არის... მაპატიეთ, აქ დღეს, მე მოგჯერ მივმართავე მას როგორც ცოცხალს, დაე, ჩემთვის ეს მასთან გასაუბრება იყოს..

თ.ხ.: სიამოვნებით, ბ-ნო გენადი, ბრძანებთ...

გ.ბ.: შენმა ღიღმა გულმა, ჩემო მიშა, ბ-ნო მიხეილ, ვერ გაუძლო შინაურსა და საქვეყნო ტკივილს.. მუდამ შემარიგებელ პოზიციაზე მდგომი, მუდამ სხვისათვის სიკეთისა და სიყვარულის გამცემი გული მაშინ შეჩერდა, როცა ასე სჭირდებოდი შენს კუთხეს – სამაჩაბლოს, შენს მშობლიურ ინსტიტუტს, რომლის ერთი პირველი მოთავეთაგან შენ იყავ...

თ.ხ.: ბ-ნო გენადი, ვკითხულობდი ბ-ნ მიხეილის „ცხინვალის ცრემლებს“ „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა... დიდი გულისტკივილითა და მომავლის იმედით შთაგონებული ეს კუბლიცისტური ნარკვევი დაუმთავრებელი დარჩა ავგორს... რა ბედი ეწევა მას და სხვა მის დაწყებულ არაერთ საქმეს?

გ.ბ. ბ-ნ მიხეილის „ცხინვალის ცრემლებს“ მისი ვაჟი, მამუკა დაამთავრებს, ალბათ, მოგ შენს დაწყებულ საქმეს შენი მეგობრები და კოლეგები გააგრძელებენ, ჩემო მიშა, მაგრამ ვინ შეძლებს შენებურ კაცურკაცობას. ამჟამად არაკეთილმოსურნეშიც რომ დადებითს ეძებდი; თუ კაცში ერთ ჯანსაღ მარცვალთაგანს შეამჩნევდი, იმას წარმოაჩენდი და გიხაროდა ბავშვივით... ჩვენო დიდო ბავშვო... გღალატობდნენ და მაინც აპატიებდი... განა ერთხელ,

ეს კი იმიტომ, რომ ყველგან და ყველაში სიკეთე გინდოდა დაგენახა. არაერთხელ გითქვამს: მევიდან ღმერთი დაგვეცქერისო...

თ. ხ.: ბ-ნი მიხეილი, ალბათ, ღრმა მორწმუნე ბრძანდებოდა, რაკი ასე ფიქრობდა...

გ. ბ.: სულ ახლახანს, აგვისტოს ხუთში, გორიჯერობის ერთ მშენიერ დღეს, გორიჯერის ეკლესია მოვიწახულებო... მე პირველად ვიყავი იქ, ის – მერამდენედ... გამომყვიო, მითხრა. აყვივით აღმართს... ეკლესიას ჯერ გარედან შემოვუარეთ; ბ-ნი მიშა ყოველ კუთხეს ეკლესიისას ვამბორებოდა, შემდეგ კი საკურთხეველის წინ სანთლები დაეანთეთ... ის გარინდებული იდგა... მთლად გათეთრებული, ლამაზი, ვაჟაკი კაცი. ახლა ფიქრობ, ჩემო მიშა, მაშინ ხომ არ გადაწყვიტა მამა უფალმა თავისთან ეხმე, დაღლილი, დიდად ნაჯაფი... არა და, გულნატკენი წაგვიხვედი... მახსოვს მისი მონაყოლი, ცხინვალის რომ იძულებით დატოვა, იმდროინდელი.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, ერთხელ ჩვენს რადიო-გადაცემაში ეს ეპიზოდი თქვენ მოუყევით კიდეც რადიომსმენელებს... თუ არ უცდება, იგი თქვენს მიერ მიცემულ გაზეთს „ივერია-ექსპრესის“ ინტერვიუში დაიბეჭდა 1993 წელს?

გ. ბ.: დიახ... მიშას მოუყოლია: მეუღლესთან, ქ-ნ რომასთან ერთად, გამომწყვდეული ყოფილა ერთ ოჯახში, ერთ მხარეს წიგნების კარადა ფარავდა... გარედან ოსი სეპარატისტები გყვივებს უმენდნენ... ღამით ბ-ნი მიხეილი ესაუბრა ჩვენი ინსტიტუტის რამდენიმე კოლეგას, ოსს, მომეშველეთო... პასუხი უარყოფითი იყო; არ შეგვიძლიაო, ამით მათ ხომ ფაქტიურად გაწირეს ცოლ-ქმარი. არა და, მე პირადად არა ერთხელ ვყოფილვარ მომსწრე, რამდენჯერ უწევიათ ერთად ძმობისა მეგობრობის სადღეგრძელო.

სამაგიეროდ, როცა ყველასათვის ძვირფასი, ოსისა თუ ქართველისათვის, ოსი რექტორი პაველ დოგუშოვი მიიყვალა ცხინვალში, ბ-ნმა მიხეილმა მას მეტად თბილი წერილი მიუძღვნა აქ, ქ. გორში...

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, ისეთ „ცხინვალის ცრემლებს“ დაეუბრუნდეთ... თქვენი აზრით, რა არის აქ მთავარი დედააზრი... ლაიგმოტივი...

გ. ბ.: „ცხინვალის ცრემლებს“ ოსებთან მშვიდობიანობის თანაარსებობის რწმენა მთლიანად გასდევს... მაისის თვეში დაბეჭდილ მონაკვეთში კარგად შენიშნავს ავტორი: ჯუღელის გვარდიის სისასტიკე სამაჩაბლოსა და ოსებს კი არ უგრძენია მარტო (ამას გახაზავენ ხოლმე ხშირად ოსი სეპარატისტები), არამედ საქართველოს ყველა კუთხეს, სადაც კი იგი თავისი გვარდიით გამოჩნდაო.

თ. ხ.: „ცხინვალის ცრემლები“ დაუმთავრებელი დარჩა ავტორს... ვინ გაასრულებს მას?

გ. ბ.: მართალია, „ცხინვალის ცრემლები“ დაუმთავრებელია. ბ-ნი მიხეილს თავის საწერ მაგიდაზე გაშლილ ხელნაწერ ფურცლებში ერთია, სიკვდილის

წინ რომ წერდა... იქ ბოლო სიტყვებია... „... ამის შესახებ...“ ეს სტრიქონი დაუმთავრებელია. რა უნდოდა ეთქვა ბ-ნ მიხეილს... ეს ნარკვევი, როგორც ვთქვით, შეიძლება დაასრულოს კიდევ მისმა ისტორიკოსმა ვაჟმა, მაგრამ მის მსგავსად ვერავინ გაასრულებს... ვერავინ გაწევს მის მაგივრობას ბევრ სხვა საქმეშიც, რასაც ხშირად მტკიცე ფარად ედგა – გაუჭირდება მისი ინიციატივით დაარსებულ „ლიტერატურულ ცხინვალსაც“. რამდენი რამ ჩამოვთვალო, მაგრამ ყველაზე მეტად შენს მეგობრებს გაგვიჭირდება... ჩემი მიზა, შენ წალი და დიდი სიყარიელე დატოვე, ამოუხსები... ვინ გაწევს შენს მაგივრობას, ვინ?

თ. ხ.: მე შესმის თქვენი, ბ-ნ გენადი, თქვენი ერთი თქვენი თანამოსაზრე დაკარგეთ, მეგობარი, ნამდვილი მეგობარი...

გ. ბ.: მართლაც, ბ-ნო თამაზ, იგი მეგობარი იყო ჩემი... სწორედ ახლა ერთი ეპიზოდი მახსენდება, ყმაწვილობისდროინდელი... ჩემი დაღესტნელი მეგობრის მამამ, ცნობილმა ენათმეცნიერმა, პროფ. შ. მიქაილოვმა თავისი კაპიტალური მონოგრაფია „ნარკვევები ხუნძური დიალექტოლოგიიდან“ მომიძღვნა წარწერით, საიდანაც რამდენსამე სტრიქონს მოვიყვან: „ძვირფასო გენადი! ყველაზე უფრო ნამდვილი და კეთილშობილური მეგობრობა ისაა, რომელიც ემყარება საერთო ინტერესებს შრომაში, შრომითი მეგობრობა. მხოლოდ ასეთი მეგობრობა გოვებს თავის კვალსაო“ და სხვა. აი, ასეთი გახლდათ ბ-ნ მიხეილთან ჩემი ურთიერთობა, ჩემს მიხასთან, მიხასთან, როგორადაც მას სიყვარულით ვეძახდით...

თ. ხ.: იქნებ, ბ-ნი მიხეილის მეცნიერული მოძღვაწეობიდან რაიმე ეპიზოდი მოგეთხროთ ჩვენს რადიომსმენელებისათვის...

გ. ბ.: სიამოვნებით... 1988 წელია... ბ-ნ მიხეილი იცავს საკანდიდატო დისერტაციას... მას ასეთ შრომად „ცხინვალის ისტორია (ფეოდალური პერიოდი)“ წარუდგენია... ამ კაპიტალურ მონოგრაფიას წინ უძვლოდა მისივე წიგნი „ცხინვალის ისტორია“...

ოპონენტები ერთსულოვანნი იყვნენ: საძიებელი ხარისხი, რასაკვირველია, უნდა მიენიჭოსო... ამის შემდეგ გამოდის სიტყვით პროფ. ი. მეგრელიძე, ახასიათებს სადისერტაციო ნაშრომს და ბრძანებს: ამ ნაშრომში მის ავტორს არა თუ საძიებელი ხარისხი ეკუთვნის, არამედ მეტიც, დოქტორისაო... ანალოგიური აზრი გამოთქვა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, ისტორიკოსმა...

თ. ხ.: საინტერესოა, მით უფრო, რომ, როგორც იცყვიან, დისერტაციის ავტორი ე. წ. პერიფერიიდან გახლდათ...

გ. ბ.: მართალს ბრძანებთ, მაგრამ ბ-ნი მიხეილის ნაშრომის ღონე იმდენად მაღალი, მეცნიერული გახლდათ, რომ ეს ითქვა არა კულუარებში, არამედ საჯაროდ... ოღონდ დაამატეს: ბ-ნი მიხეილი ამ შრომის მეორე ნაწილს, იმედია, მალე მოამზადებს და წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციადო... ახლა რომ დოქტორობა მივანიჭოთ, უმაღლესი საატესტაციო კომისია ამ დადგენილებას მაინც არ დაგვიმტკიცებსო... ასე რომ, მთავარია: დოქტორის ხარისხი ეკუთვნოდა... ყველანი ელოდნენ მისგან შემდეგ ნაწილს ამ შრომისას.

თ. ხ.: მერე, მერე რა მოხდა...

გ. ბ.: იგი დაიწერა... გადაეცა ცხინვალში დასაბუქდადაც, მაგრამ შემდეგ იმ ცნობილმა მოვლენებმა იძალეს და ვის სცალია ამ შრომისთვის. არა და, არაერთხელ შევახსენე, მიშა, იქნებ მოახერხო იმ წიგნისა თუ ხელნაწერის გამოტანა, იქნებო... სამწუხაროდ, სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ დროს ვერ პოულობდა სამაგისოდ...

ძალზე გადაგვირთული იყო... ჟურნალისგთა კავშირის წევრი კარგა ხანია გახლდათ, შემდეგ ამას დაემატა მწერალთა კავშირის წევრობა...

თ. ხ.: ალბათ, ინსტიტუტის საქმეებსაც თავისი დრო მიჰქონდა...

გ. ბ.: დიახ, ასე იყო... ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ... ერთ ხანს შეთავსებით ისტორიისა და სამოვადლოებათმცოდნეობის კათედრასაც განაგებდა... (შემდეგ მის ყოფილ სტუდენტს გადაულოცა) იყო დოცენტი. ხელმძღვანელობდა „ცოდნის“ ცხინვალის რეგიონალურ განყოფილებას და რამდენი ასეთი... თავისთვის ვერ იცდიდა... ის საკანდიდატო დისერტაციაც მეგობართა შეგულიანებით დაიცვა... ნამდვილი მეცნიერი გახლდათ, რომლისთვისაც რეგალიებს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც ადამიანი თვით სამეცნიერო შრომის პროცესსა და მის შედეგს (ამიგომაც იყო, რომ საკანდიდატო დისერტაცია გვიან დაიცვა, 51 წლისამ...)

თ. ხ.: მართალს ბრძანებთ, საინტერესო და მთავარი ნამდვილი მეცნიერისათვის მაინც ეს შრომითი პროცესია...

გ. ბ.: ბ-ნო თამამ, მინდა რადიომსმენელებს მოვეუთხრო, თუ როგორ იწერებოდა „ცხინვალის ცრემლები“ – ბ-ნ მიხეილის უკანასკნელი პუბლიცისტური შრომა...

როცა „ცხინვალის ცრემლები“ იქმნებოდა, შაბათ-კვირა თუ სხვა გამოსასული დღე მისთვის არ იყო... ეძიებდა მასალებს საჯარო ბიბლიოთეკაში... ისე კი თვით გახლდათ მომსწრე და მონაწილე ნარკვევში დახატული ვითარებისა... ვითარებისა... ცოცხალი მემგაგანე გახლდათ... სხვათაშორის, ბ-ნო თამამ, ძალზე გაეხარდა, როცა ორი საქალაქო იმდროინდელი პრესის ზოგი მისთვის საინტერესო ამონარიდისა რომ მივაწოდე... მუშაობდა თავაუღებელი... დამჯდარმა მუშაობა იცოდა. არა ერთხელ შეუწუხებია ნარკვევისათვის განკუთვნილი ფაქტი, როგორც ეს ჭეშმარიტ მეცნიერს ჩვევია ხოლმე, მაგრამ, თუ ემოციას სძლეულა, უნდოდა დაერთგუნა, ჩაეკლა... ალბათ, მუდამ ვერ ახერხებდა, უკეთ, ვერ შესძლებდა, რადგან მოსიყვარულე დიდი გული ჰქონდა...

თ. ხ.: სტუდენტებთან ურთიერთობაში როგორი იყო ბ-ნი მიხეილი, ალბათ, თბილი...

გ. ბ.: სტუდენტთათვის იგი ნამდვილი მამა გახლდათ... ყველას ჭირი და ლხინი რომ ჰქონდა გათავისებული... მახსოვს, ერთ ჩვენს კარგ სტუდენტ ვაქს უჭირდა, ფეხსაცმელი შემოაცედა ფეხთ... მიშამ უჩუმრად იმ თანხით, მწერალთა კავშირი თავის წევრებს რომ აძლევს ხოლმე, შეუძინა... მე უნებურად, შემთხვევით გავიგე, დანამამუსა, არსად არ მეთქვა ამის შესახ-

ებ... არც ახლა ვიგყოფი, ჩემო მიშა, მაგრამ ის ყმაწვილი ამ გადაცემასაც მოისმენს და მას რაღა გააჩერებს, ხომ იცყვის თავის მეგობრებში, ასეთი კაცი გარდაიყვალაო... და რამდენია ასეთი...

თ. ხ.: საქართველოს ისტორიის ჩინებული სპეციალისტი – ავტორი ფუნდამენტური მონოგრაფიისა, როგორც „ცხინვალის ისტორია“, ეურნალისტი და მწერალთა კავშირის წევრი, საზოგადოება „ყოლის“ მოთავე, თქვენი ინსტიტუტის დეკანი... ოთხი შვილის მამა, 6 შვილიშვილის პაპა...

გ. ბ.: შვილიშვილთაგანი ყველა ბოკვერია...

თ. ხ.: მოსიყვარულე პაპა იქნებოდა...

გ. ბ.: მოსიყვარულე და მერე როგორი... ისე მოგიტხრობდა თითოეულზე, გეგონებოდა უკვე ჩამოყალიბებულ პიროვნებებზე გიყვებოდა... შვილიშვილები მისი ხალისი და დასვენება იყო... მაგრამ ჰქონდა ბ-ნ მიხეილს ერთი დიდი სატკივარი, რომელსაც სხვათაგან მალაუდა, მაგრამ, ჩანს, ვერ გაუძლო...

თ. ხ.: რაზე ბრძანებთ, ბ-ნო გენადი...

გ. ბ.: მოგახსენებთ, ბ-ნო თამაზ... ახლა კი მესმის, თუ რამ გადაღალა მისი დიდი, მოსიყვარულე გული... აპრილის ერთ დღიას, წელს, ადრე, ასე დილის 7 საათზე, ტელეფონზე მირეკავენ... ავიღე ყურმილი, მესმის... მიშას ხმაა, აკანკალებული... იმ წამსვე წარმომიდგა მისი თვალები, ხშირად ცრემლებით რომ იყო სავსე სხვათა საღმობის დროს... მეუბნება:

გენადი, არ შემიძლია, არ შემიძლია... მთელი ღამე ცრემლებით დავასველე ბალიში... ავექეი, იქნებ რაიმე დავწერო და ისეე იძალეს ცრემლებმა.

ცხადი იყო, მიშას წარსულ დღეებზე მოგონება მოსძალებოდა... ვერ გაუძლო ვაკეპის გულმა შემოჯარულ სევდას და დამირეკა...

გაეამხნევე, ყურმილში ჩავძახე: არა გრცხვინია, ბიჭო, მუდამ შენი იმედი გააქვს... მოვალ, ახლავე წამოვალ...

ეკ... ჩამესმა ყურმილში... გულიდან ამოვიბერტყე ყველაფერი, შენ რომ დაგირეკე... ნუ მოხვალ, ნუ შეწუხდები... მერე თავად შეგეხმინები.

გავიფიქრე: სამაჩაბლოზე, დაუტირებელ დედასა და ძმაზე ფიქრს შეეპყრო, ალბათ.

თ. ხ.: დიახ... ასე იყო, ალბათ, მაგრამ დავბრუნდებით ცხინვალში... დიახ, დავბრუნდებით, ყველა ქართველი დაუბრუნდება წინაპართა მიწას, იმ ფუძეს, საიდანაც ახლა ისინი გამოდევნილნი არიან...

გ. ბ.: ნეტავ, იმ დროს მომასწროს ღმერთმა, ჩემო მიშა, რომ შენს მრავალრიცხოვან შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, შენს კოლეგებთან და მეგობრებთან, ყველა დევნილ სამაჩაბლოელებთან ერთად, თბილისის იმ მიწიდან, შენ რომ მიგაბარეთ, შენი ძვირფასი მეუღლის გვერდით, განახოთ ზღუდერის სასაფლაოზე გადასვენებული, სადაც შენი ძვირფასი დედ-მამა განისვენებს, ჩემო მიშა. ნეტავ, იმ დროს მომასწრო, შეეძლო შენს ნაცვლად ფეხი მოვიყარო შენგან დაუტირებელი დედისა და ძმის საფლა-

ვების წინაშე... ნეტავ, იმ დღეს შემასწრო, ქართველი კელაე ქართველობ-
დეს იმ დალოცვილ ქართულ მიწაზე, სამაჩაბლოში... მართალია, ჩემო მიმა,
შენს ბუხუნა ხმას მაშინ ვერ გავიგებთ, ადრე ვერც შენ გაივლი შენს მშობ-
ლიურ სანახებში, მაგრამ შენი შვილები და შვილიშვილები ხომ იელიან...

თ. ხ.: ასეა, ბ-ნო გენადი... იელიან, რა თქმა უნდა, ბ-ნი მიხეილის შვილე-
ბი და შვილიშვილები, შემდეგ – შვილთაშვილები... და ნოდარ დუმბაძისა
არ იყოს, ჩვენ „გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი
ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ
დავიხოცებით, აღარ დავიღვეით და აღარ გავთავადებით...“

გ. ბ.: ასე რომ, ბ-ნო თამაზ, სიცოცხლე გრძელდება... დიახ, გრძელდება...
და სანამ ასეა, ბ-ნი მიხეილი, ჩენი მიმა, ჩვენთანაა, ჩვენთანაა თავისი ფიქრ-
ებით და ოცნებებით... ხშირად განუხორციელებული!

- ჭ -

ზურაბ ჭუმბურიძე – 70

ძვიფასო რადიოსმენელებო! განვაგრძობთ გადაცემათა ციკლს „დიდ წინა-
პართა გაკეთილები“... დღეს ჩენი გადაცემის ადრესატია ცნობილი ენათმეც-
ნიერი და ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძვე-
ლი ქართული ენის კათედრის პროფესორი, ველათის აკადემიის დამაარსებელ-
აკადემიკოსი ბ-ნი ზურაბ ჭუმბურიძე... მას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა
გასულ წელს... პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე შ. რუსთაველის სახელობის ლიტერა-
ტურის ინსტიტუტის გექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია, საქართვე-
ლოს მწერალთა კავშირის წევრი, ქართული მწერლობის დიდი ქომაგი - თავად
პოეტური ბუნების კაცი. იგი გახლდათ შემფასებელი შ. ნიშნიანძის, ა. გუწაძის, ზ.
ბოლქვაძის, ნ. დუმბაძის მიერ დასტამბული პირველი წიგნებისა. დღესაც ქართულ
მწერლობას მისი სახით ჰყავს ერთი კარგი მრჩეველი და დამფასებელი, ხოლო
ქართულ ენას – ერთგული მსახური. ამიტომაცაა, რომ იგი სისტემატურად
ადევნებს თვალყურს ენის სიწმინდის დაცვას, აქვეყნებს სათანადო სტატიებს.
მანვე მიიღო მონაწილეობა ვაჟა-ფშაველას ხუთგომეულისა და ათგომეულის
მომზადებაში... მისივე მონაწილეობით მზადდება ილიას ოცგომეული და აკაკის
თერამეტგომეული და სხვა. არას ვამბობთ მის დიდ დამსახურებაზე ენათმეც-
ნიერების სფეროში. თქმულს დაესძენდით მხოლოდ, რომ იგია ავტორი ყველა
თაობის ფართო მკითხველი საზოგადოების გაუხუნარი სამაგიდო წიგნისა
„დედაენა ქართული“.

1. გადაიყა საქართველოს რადიო-გადაცემის „ენაი შემკული და კურთხეუ-
ლის“ მიერ 1997 წლის ოქტომბერში.

ბ-ნი მიხეილ ცოტნიაშვილის მოგონებას მიეძღვნა ჩენი წერილები: „ამოუ-
ვსები სიყარიელე“ (კვალი, №5 (ცხინვალის სახელმწიფო ინსტიტუტის გაზეთი),
გორი, 1997; „...ამის შესახებ...“, „ლიტერატურული ცხინვალი“, №9, გორი, 1997.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ მას ვასულ წელს სამეცნიერო სესია მიუძღვნა. ამაგდარ მეცნიერს დაბადების დღე მიულოცეს მისმა კოლეგებმა და მოწაფეებმა. მათ შორის გახლდათ ცხინვალის სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი, პროფესორი გენადი ბურჭულაძე. ამიგომაც ვთხოვეთ მას ბ-ნ ზურაბზე მოეთხრო... ისიც არ დაგვზარდა და მოვიდა ჩვენთან სასაუბროდ.

თ. ხ.: ბ-ნო გენადი, თქვენ ჩემსავით კავკასიური ენათა განყოფილება გაქვთ დამთავრებული და, ალბათ, ბ-ნ ზურაბს აქედან იცნობთ, როგორც ძველი ქართული ენისა და სვანური ენის ლექტორს...

გ. ბ.: რა თქმა უნდა, ბ-ნო თამაზ, მხოლოდ აქ მსურს ჯერ გავიხსენო, თუ პირველად როგორ შევხვდი ბ-ნ ზურაბს...

თ. ხ.: ბრძანეთ, ბრძანეთ, ბ-ნო გენადი...

გ. ბ.: ერთი გამორჩეული მასწავლებელი გვეყავდა ქართული ენისა და ლიტერატურისა ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ჩინებული მოქართულე – პანტელეიმონ იობიშვილი. მასზე დამემოწმებიან პროფ. რ. სირაძე და ე. ხინთიბიძე... ჰოდა, პანტელეიმონ მასწავლებელმა პირველმა იცოდა, რა ახალი წიგნი შემოიგანეს რაიონში გასაყიდად. აიორჩეუდა, იყიდდა და ამოიჩრიდა ხოლმე საკლასო ეურნალთან ერთად ილღიაში და შემოივლოდა კლასში იმ წიგნის შესახებ საუბრით. ერთი ასეთი წიგნთაგანი გახლდათ ბ-ნი ზურაბის „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები“, 1956 წელს რომ დაისგამბა...

თ. ხ.: სასიამოვნოა, სიტყვიერების მასწავლებელი რომ ასე გახსოვთ... რით დააინტერესა იგი ბ-ნმა ზურაბის წიგნმა...

გ. ბ.: პანტელეიმონ მასწავლებელი შეყვარებული იყო მიხეილ ჯავახიშვილზე, რომელიც როგორც მაშინ ამბობდნენ, ახალი რეაბილიტირებული იყო. სულ მის შესახებ გვიამბობდა, ბ-ნ ზურაბის წიგნში კი ვრცელი გამოკვლევაა „არსენა მარაბდელის“ ენობრივ-სტილისტიკური ეტიუდის სახით. რამდენი რამ დაიწერა მას შემდეგ მ. ჯავახიშვილის ენაზე, მაგრამ ძირითადი დებულება, რომ მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ „ენისა და სტილის მომხიბლულობის მთელი საიდუმლო მის ღრმა ხალხურობაშია, და ეს თამამად შეიძლება გავიმეოროთ მ. ჯავახიშვილის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ“, დღესაც ძალაშია.

თ. ხ.: ეს, ბ-ნო გენადი, ალბათ, პირველი წიგნი გახლდათ ბ-ნი ზურაბისა...

გ. ბ.: დიახ... ვრცლად ამის თაობაზე იმიგომ მოგახსენებთ, რომ, როცა ეს წიგნი იწერებოდა, ბ-ნი ზურაბი სრულიად ახალგაზრდა, 25-30 წლისა გახლდათ. მერედა რა ღროა, თავიანთ შესაძლებლობათა ზენიტში იმყოფებიან აკ. შანიძე და გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია, ვ. ბერიძე და სხვანი, რომელთა ყურადღების ქვეშ მუდამ იდგა ქართული სალიტერ-

აგურო ენის საკითხები. იმ დროს ცალკე ასეთი წიგნის დასტამბვა ახალგაზრდა მკვლევარის მიერ გარკვეულწილად გამბედაობაც იყო...

თ. ხ.: მაშასადამე, ამ დღიდან ქართულ მწერლობას ქომავი და მოჭირნახულე გაუჩნდა, ქართულ ენას კი ერთი ჩინებული მსახური შეეძინა, რისი დასტურიც მისი გელათის აღორძინებული აკადემიის დამფუძნებელ-აკადემიკოსად არჩევაა... ასეა არა, ბ-ნ გენადი...

გ. ბ.: დიახ, რასაკვირველია... ისე კი ეს წიგნი პირველი ენათმეცნიერული ნაშრომია, თუ არ ჩავთვლით სასკოლო გრამატიკებს, რომლებსაც სკოლაში გაეცანინა... ვერ ვიგყვი, ფილოლოგიის ფაკულტეტი ამისთვის ავირჩიეო, მაშინ სულ სხვა გეგმები მქონდა, მაგრამ ბიძგს, შინაგანს, რომელსაც ადამიანი ვერა გრძნობს ხოლმე საზოგადოდ, ალბათ, ეს ნაშრომიც მომეცადა...

თ. ხ.: თქვენ კი, მაგრამ ბ-ნ ზურაბს რამ თუ ვინ მისცა ბიძგი გამხდარიყო ენათმეცნიერი... რამდენადაც ვიცი, თაქად ბ-ნი ზურაბი გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა...

გ. ბ.: დიახ, მაგრამ პარალელურად ფილოლოგიურზეც – დაუსწრებლად... ბ-ნ ზურაბისაგან გამიგონია, პირველი გამოცდა ქართულ ენაში ვერ ჩაუბარებია სტუფანე ჩხენკელთან... რაგომაც, რომ ვკითხე, მიპასუხა: იმ დროს სასკოლო გრამატიკებში მწკრივის კატეგორია შეგანილი არ ყოფილა, გამომცდელს კი, ჩანს, რაც ნაკლებ იყო და სტუდენტმა, იმაზე გაამახვილა ყურადღება...

თ. ხ.: მერედა, პირველმა არადამაკმაყოფილებელმა შეფასებამ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე უარი არ ათქმევინა ბ-ნ ზურაბს?

გ. ბ.: არა, ჩანს, პირუკუ მოხდა... ბ-ნმა ალ. ბარამიძემ, რომელიც მაშინ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ბრძანებულია, მიუცია ნება საგნის ხელმეორედ ჩაბარებისა და აი, 10-15 დღის შემდეგ იგი კვლავ აბარებს გამოცდას... ეს ხდება 1945 წელს.

თ. ხ.: ბოდიში, ბ-ნო გენადი, ეს რომელი წელია?

გ. ბ.: 1945... ჰოდა, გამოცდაზე გასვლის წინ ბ-ნი ვარლამ თოფურია გამოჩენილა. სტუდენტები გაუანგულან... ეს გასაგებია, ბ-ნი ვარლამი შეგად მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გამომცდელი ბრძანდებოდა... ერთი სიტყვით, ბ-ნი ვარლამი დასწრებია გამოცდებს... ჩანს, მოსწონებია ბ-ნი ზურაბის პასუხი და უბრძანებია: თქვენ ენის ჩინებული ალლო გაქეთ და კარგი იქნება ენის სპეციალობას თუ აირჩევთ...

თ. ხ.: ბ-ნმა ზურაბმა რაო, რა ბრძანა?...

გ. ბ.: ჩვენთან საუბარში ბ-ნმა ზურაბმა ბრძანა, ბ-ნ ვარლამს რომ ეს არ ერჩია, ალბათ, მე ამ გზით არ წავიდოდიო... ამ დროს ომიც დამთავრდა და ბ-ნმა ზურაბმა სწავლა განაგრძო ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

თ. ხ.: ასე რომ, როგორც იცყვიან, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი განზე დარჩა...

გ. ბ.: რასაკვირველია, მით უფრო, რომ ბ-ნი ზურაბი ბავშვობიდანვე

ყოფილა გაბაკებული ქართული სიკვდიერებით... წერდა ლექსებს... ერთი მოგასმენინათ მისი მონათხრობი ქართველ მწერლებთან მისი პირველი შეხვედრისა...

თ. ხ.: პირისპირ შეხვედრაზე ბრძანებთ, ალბათ...

გ. ბ.: დიახ... ცოცხალ პოეტთან... თანაც ვისთან, ლალო ასათიანთან... ბ-ნი ზურაბი როცა ამის შესახებ მიყვებოდა, ისევ იქ იყო, 1937 წელს თავის მშობლიურ ქვედა სიმონეთში... ილიას დღეებში რომ უსმენდა ლალოსეულ დეკლამაციას... „საგურამოში ხე არის ერთი“... სკოლის ეზოში, სადაც ეს სადამო შედგა, მუხა იდგა, მაგრამ პოეტმა ის თითქოს კაკლის ხედ აქციაო...

თ. ხ.: „საგურამოში ხე არის ერთი, ხე – რხეული და რტოვებხნიერი. აქ ისვენებდა მუშების ღმერთი და შუბლმალალი ოლიმპიელი“...

გ. ბ.: ჩამოგართმევ: „მოსტაყა დიდი სინათლე დღეს და პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს აქ იჯდა იგი, ამ კაკლის ხესთან, მხრებგანიერი, ვით საუკუნე“.

ასე რომ, 11 წლის ყმაწვილისათვისაც სკოლის ეზოში მდგარი მუხა უკვე ცხადად აღიქმებოდა კაკლის ხედ...

თ. ხ.: ალბათ, აქედან გაუღვივდა ბ-ნ ზურაბს ლიტერატურის სიყვარული...

გ. ბ.: ლექსებს აქამდეც ვწერდიო, ბრძანა ბ-ნ ზურაბმა მაშინ... შემდეგ კი, 1938 წელს, 12 წლისა, იგი თბილისში „ნორჩი ლენინელის“ რედაქციას სტუმრებია, იქ დახვედრია ლალო ასათიანი... გავახსენე სიმონეთი... მიგანილი ლექსი შემეიქო და თან დაიგოვა... იქ დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსიო...

თ. ხ.: საოცარი დამთხვევაა: ბ-ნ ზურაბს პოეზიაში ნათლობა ლალო ასათიანისაგან მიუღია, ხოლო ენათმეცნიერებაში – ბ-ნ ვარლამისაგან... თვით ლალო კი ბ-ნ ვარლამის სტუდენტი ბრძანებულა ქუთაისში...

გ. ბ.: ისევ ზემოთ თქმულს რომ დავუბრუნდეთ, ბ-ნი ზურაბისაგან მსმენია: როცა ბ-ნმა ვარლამმა მირჩია ენათმეცნიერების განხრით გააგრძელეთ სწავლაო, მიუმართავეს პროფ. ილია აბულაშისათვის, მაშინდელი დეკანისათვის, კავკასიურ ენათა განყოფილებაზე მსურს სწავლაო... დეკანს უბრძანებია: ამის შესახებ ბ-ნ არნოლდის დასტურია საჭიროო... ბ-ნ ზურაბს თვით მიუმართავეს ბ-ნი არნოლდისათვის... ბ-ნი არნოლდი გასაუბრებია და უკითხავეს, რუსულს როგორ ფლობთო, რა წაგიკითხავეთ რუსულადო... რა და „Всадник без головы“-ო უპასუხია ბ-ნ ზურაბს... ვისიაო, ჩაკითხვია ბ-ნი არნოლდი: – არ მახსოვსო, გულწრფელად უთქვამს ბ-ნ ზურაბს... რუსულის გვარიანი ცოდნა საჭირო საენათმეცნიერო ლიტერატურის გასაცნობადო, – უბრძანებია ბ-ნ არნოლდს... მერე საგანგებოდ ვსწავლობდი რუსულს ერთ რუსულენოვან ოჯახშიო, – დასძინა ბ-ნმა ზურაბმა.

თ. ხ.: ასე რომ, ბ-ნმა ზურაბმა კავკასიურ ენათა განყოფილება დაამთავრა, თანაც, როგორც პროფ. ნ. ბაბუნაშვილისადმი მიძღვნილი გადაცემიდან მახსოვს, ისინი ერთად სწავლობდნენ... ბ-ნი გიორგი კაჭარაყაყ მათთან სწავლობდა, არა?

გ. ბ.: დიახ... სწავლობდნენ და მერე როგორ... მაგალითად, ბ-ნი ზურაბი IV კურსზე რომ ბრძანდებოდა, მეორე ცელაში სწავლობდნენ თურმე, ბ-ნი ზურაბი კი პირველ ცელაში ბ-ნი ვარლამის იმ ლექციებს ისმენდა, რაც პირველად არ ჰქონდა მოსმენილი... ბ-ნი ვარლამი სევანურსაყ ასწავლიდა...

თ. ხ.: აქედან ხომ არ ჩაესახა სურვილი სევანურის შესწავლისა ბ-ნ ზურაბს?

გ. ბ.: შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ჯერ ერთი მომენტი მსურს გაეხსენოთ ბ-ნი ზურაბის სტუდენტობიდან. ამასთან დაკავშირებით ბ-ნი ზურაბი იგონებდა: 1947 წ. არნ. ჩიქობაეას დაუვალეზია მევენახეობის გერმინოლოგიის ჩაწერა... სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებას რექტორი ნიკო კეცხოველიც დასწრებია (სხვადასხვა რეგიონში შეუკრებიანთ ქ-ნ ლია ლე-ვაეას და ქ-ნ ნატო ჯოხაძეს აღნიშნული გერმინოლოგია)... შრომას საუნ-ვერსიტეტო პირველი პრემია დაუმსახურებია... შემდგომ კი, 1948 წ., ეს ნაშრომი სათაურით „მევენახეობის ძირითადი გერმინები კახეთისა და იმ-ერეთის ზოგიერთ სოფელში“ დაიბეჭდა სტუდენტთა სამეცნიერო შრომე-ბის III კრებულში 1948 წელს... ეს იყო ბ-ნ ზურაბის პირველი ნაბეჭდი ნაშ-რომი...

თ. ხ.: ასპირანტურის კურსი ვისთან გაიარა ბ-ნმა ზურაბმა?

გ. ბ.: ბ-ნ აკაკი შანიძესთან... მანვე შეურჩია სადისერტაციო თემად ლენ-გებური კილოს თავისებურებანი სევანურისა... დანარჩენი მე და ბ-ნ ვარლამს გვაქვს შესწავლილიო, – უბრძანებია ბ-ნ აკაკის... ისე კი ასპირანტურაშივე დაუწყია „უდაბნოს მრავალთავის“ გადმოწერა...

თ. ხ.: ეს ხომ ის არის, 1994 წელს რომ დაისტამბა ბ-ნ აკაკი შანიძისა და ბ-ნ ზურაბის რედაქციით...

გ. ბ.: დიახ... გურიაში ნაპოვნი ეს მრავალთავი, როგორც ამოზე შენიშ-ნაეს ა. შანიძე, 1920 წელს დაუთმიათ მისთვის ბერებს... ბ-ნმა ზურაბმა წიგ-ნისათვის წამძღვარებულ წერილში „უდაბნოს მრავალთავი“ დაასაბუთა და აჩვენა, რომ „...მრავალთავში არაფერია ისეთი, რაც საეჭვოდ გახლდა მის დათარიღებას LX საუკუნით“ (გვ. 36). ასე რომ, იგი ამოუღებია გვერდით ცნობილ უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერს - 864 წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს...

თ. ხ.: საკანდიდატო დისერტაცია კი ეხებოდა სევანური ვენის დიალექ-ტოლოგიის კონკრეტულ საკითხს...

გ. ბ.: დიახ... დაცვა შედგა 1953 წელს... 15 წლის შემდეგ კი მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მყოფადი ქართველურ ენებში“... ეს შრო-მა, რომელიც 1986 წელს დაისტამბა, ფუნდამენტური სახის გამოკვლევაა, რასაც გვერდს ვერ აუვლის არა მარტო ქართველურ ენათა სპეციალისტი, არამედ ამ სფეროში მომუშავე ენათმეცნიერი საერთოდ...

თ. ხ.: ლექციების კითხვა კი როდის დაიწყო ბ-ნმა ზურაბმა?

გ. ბ.: 1952 წლიდან... ისე კი ასპირანტურაში III კურსზე რომ იყო, ბ-ნ

ზურაბს „სახელგამში“ პროფ. ნ. კეცხოველის რეკომენდაციით დაუწყო რედაქტორად მუშაობა... ვაუგია ეს ბ-ნ აკაკის და დაურეკავს: რას აკეთებთ მანდო... ვემშაობთ, უპასუხია ბ-ნ ზურაბს... მერე მე არ უნდა ვიყოლე ესო, სასწრაფოდ მოლით ჩემთანო, – უბრძანებია ბ-ნ აკაკის...

თ. ხ.: მერე... მერე...

გ. ბ.: ღამიბარა, მიველი და შემჯორა ბ-ნ აკაკიმაო, – ბრძანა ბ-ნ ზურაბმა – თქვენს ნაცელად ვინ დაასრულებს დისერტაციასო... ჩვენი დიდი წინაპრები თავის მოსწავლეებს მუდამ ასეთ მოთხოვნებს უყენებდნენ...

თ. ხ.: ამიგომაცაა, რომ ასეთი ხელხეავრიელია ბ-ნი ზურაბი... რამდენიმე მონოგრაფია, მაგალითად „ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის მოგიერთი საკითხი“... ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის განკუთვნილი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები „რა გქვია შენ“, „როგორ გაჩნდა სიგყვა“, „ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“, „დედაენა ქართული“... რამდენიმე სტატიად გამოქვეყნებული პირველხარისხოვანი შრომა... თქვენ ხომ ბ-ნი ზურაბი გასწავლიდათ, რას გაიხსენებდით... სტუდენტის თვალი...

გ. ბ.: 1961-1962 წლებში ბ-ნი ზურაბი გეასწავლიდა ძველ ქართულ ენასა და სვანურს, მაშინ ბ-ნი ზურაბი უკვე ჩამოყალიბებული, ღინჯი და მაღალი ავტორიტეტის მქონე ლექტორი ბრძანდებოდა... კავკასიურ ენათა განყოფილება, მოგეხსენებათ, მცირერიცხოვანი იყო, მხოლოდ ჩვენს ნაკადში სწავლობდნენ შედარებით მრავალნი, 8 სტუდენტი. ბ-ნ ზურაბს ეს მოეძება, ალბათ, იშვიათად რომ მისი ლექცია გაეცდინა ვინმეს, მით უფრო უმიზეზოდ... საგანგებოდ ემზადებოდით მასთან გამოცდებზე გასასვლელად. ნათლად მაგონდება, სვანურს ვაბარებდით, ჩემს თავს ვამჩნევ ბილეთის საკითხთაგანს ზოგს გამართულად ვერ უპასუხობ. იგი არაფერს ამბობს, მაგრამ გრძნობს ჩემს უხერხულობას და მიცქერს. როგორც იქნა, ამოვღერდე: ბ-ნო ზურაბ, თუ შეიძლება ფონოლოგია-ფონეტიკის იმ საკითხებზე ვისაუბრებ, რაც უკეთ მესმის. თანხმობის ნიშნად მან თავი დამიქნია. გამოცდა ურთიერთსაუბარში გადაიზარდა. ლექტორმა შეფასებად „ფრიადი“ გამიფორმა, მაგრამ ეს ამკარად უფრო აევანსი იყო ჩემი მომავალი საქმიანობისა. მან იმ დღეს გაკვეთილი ჩააგარა, როგორი უნდა იყოს აღმზრდელი, მასწავლებელი: ძირითადი სტუდენტის შეფასებისას უნდა იყოს ის, თუ როგორ აზროვნებს იგი. მთავარია ცოდნა შეგნებული იყოს, ხარვეზები შემდეგ დაიძლევა, მისი შევსება მომავლის საქმეა. ამ გაკვეთილისათვის გულწრფელად მადლობელი ვიყავი და ვარ დღესაც...

თ. ხ.: ეს თქვენი მოგონებაა... ბატონ ზურაბს ახსოვს ეს?

გ. ბ.: ეს არ ვიცი, მაგრამ ერთი ეპიზოდი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობისა გაიხსენა... გამოცდა ჰქონია ქ-ნ პროფ. იზოლდა ჩანგლაძის კურსზე... უპასუხობდნენ ქ-ნი იზოლდა და ქ-ნი მედეა როგავა... აუდიტორიაში შემოსულა ბ-ნი ე. ხარაძე, მაშინდელი რექტორი... ესაა, დაახლოებით, 1960 წელი... სტუდენტებმა მასახელეს, სვანურს კარგად ფლობდნენ... ბ-ნ ევგენის მისთვის

სანიტერესო ლექსიკა გამოუკითხავს... მაგალითად, კეირის დღეები: სეან, „ორშაბათი“ დომდომ „მთვარისა“ (მდრ. მეგრ. თუთაშხა „მთვარის დღე“)... სეან. მკელადლე „მშის დღე“ – „კეირა“ (მდრ. მეგრ. ეაშხა < ბეაჩხა < მქაჩხა...) – თ. ხ.: ამბობენ, ბ-ნი ბურაბის ოჯახი მთლიანად ენათმეცნიერულიაო, რას იცევიო?

გ ბ.: მართალია, ბ-ნო თამაზ... მეუღლე ქნი ლეილა ნიკოლაიშვილი ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნ. მუშაკია, ფილ. მკეცნ. კანდიდატი, შვილი ნინოც იმავე ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელია, ფილ. მეცნ. კანდიდატი, სიძე რამაზ ქურდაძე თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორია, ფილ. მეცნ. დოქტორია, ფილ. მეცნ. კანდიდატია მეორე ქალიშვილი თამარი – ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი... ერთი მხოლოდ, ბ-ნო თამაზ, პატარები, შვილიშვილები არ არიან ხარისხის მქონენი... არა და, ბ-ნ ბურაბის სეხნია ბურიკოს, ვგონებ, მიღრეკილება აქვს ასია...

თ. ხ.: ბ-ნო გენალი, რამდენი რამ შეიძლება ითქვას კიდეც ბ-ნ ბურაბზე, როგორც მწერლობის ქომავსა და თავად მწერალზე... მის პოპულარულ მეცნიერულ წიგნებში ხომ გამოჩენილი ენათმეცნიერის გვერდით ერთი დიდი მოჭირნახულე, თვალსაჩინო მწერალი ჩანს... ბ-ნ ბურაბს თავს ერკებისთვე დადგომია – ეამია ნაჯაფი მოსაელის მოწვევისა... ჩვენი სურვილია და ამას ჩვენი მრავალრიცხოვანი აუდიტორიაც შემოუერთდება, ვესურვიოთ მას, ბ-ნ ბურაბს – სეანური დღეგრძელობა და მის თანამედევად წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა! –

– ჯ –

„უთარილოდ“

ერთ ჩვენს საგაზეთო სტაგიაში „მინაწერი წიგნის გარეკანზე“ საუბარია პროფ. ს. ხუციშვილის ოჯახის ქალიშვილების, ქნი ნანულისა და ქნი მზიულას, ქველმოქმედებაზე: მათ „... ცხინვალის დევილ ინსტიტუტს (ამჟამად უნივერსიტეტს – გ. ბ.) ქ. გორში მამის ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი საჩუქრად გადმოსცეს“¹. აქ მრავალ წიგნს მორის აღმოჩნდა სასაჩუქრო ცალად განკუთვნილი პროფ. ე. ჯეირანიშვილის ერთი მონოგრაფია, რომელიც, როგორც წარწერიდან ჩანს, ბ-ნი სოლომონისეული გახლდათ. ბ-ნ სოლომონს წიგნზე „წახური და მუხადური (რეთულური) ენები. I. ფონეტიკა“ ასეთი ჩანიშვნა გაუკეთებია:

1. ჩაიწერა და გადაიყა საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით (18. 20 XI. 1957) (გადაცემა მიჰყავდა რადიოს ლიგერატურულ-დრამატული პროგრამის მთავარ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და ეკრანალისგ თამაზ ხმადაძეს).

აქაა სრული ტექსტი იმ გადაცემისა, რომელიც შემოკლებული სახით დაიბეჭდა გამ. „ლიგერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე 1997 წლის აგვისტოს თვეში.

„გენო ჯეირანიშვილი დღეს დაასაფლავეს! უთქვამს, წიგნი უნდა მივეყო. თვითონ ვერ მომცა, ღისშვილმა გადმომცა.“

12 ივლისი, 1984 წ.

ოცი წელი გასულა ბ-ნი ევგენის გარდაცვალებიდან. . . მის სახეს არაერთხელ უჩენია თავი ქართულ თუ უცხოელ კავკასიოლოგთა ნაშრომებში და არაერთხელ იჩენს კვლავ თავს, რადგან იგი დიდი და ცნობილი სპეციალისტი გახლდათ ლემგვიური ენების, განსაკუთრებით წახურისა და მუხადურისა, და გამორჩეულად უდიურისა.

ბ-ნი ევგენი ამ კაპიტალური მონოგრაფიის მეორე ნაწილის „წინასიტყვაობაში“ წერს: „თავდაპირველად განზრახული იყო, წახურ და მუხადურ (რუთულურ) ენათა მორფოლოგიისა და ფონეტიკის საკითხები მოქცეულიყო ერთ წიგნში, მაგრამ მონოგრაფიის სიდიდის გამო ეს ვერ მოხერხდა, – განაწილდა ორად: ფონეტიკის ნაწილი გამოიყო ცალკე, პირველ წიგნად, ხოლო მეორე წიგნად – ეს ნარკვევი (მორფოლოგია)“² (გვ. 23).

მართლაც, მეორე წიგნი 614 გვ. თუ შეიცავს, პირველი შედარებით მცირეა – 408 გვ., სულ – 1022 გვერდი³. მართლაც, ამ მოცულობის მონოგრაფიის ერთ წიგნად გამოსემა ტექნიკურადაც გაჭირდებოდა და აღქმითაც ძნელი იქნებოდა.

ჩვენ გვახსოვს ბ-ნი ევგენის სადოქტორო დისერტაცია, ალბათ, დედანი ამ მონოგრაფიისა, ისიც მეტად სქელგანიანი იყო – საბჭულ მანქანაზე გადაბეჭდილი 1153 გვერდის მოცულობისა⁴. . . სადოქტორო დისერტაციის დაცვა შედგა 1966 წლის 25 მაისს თბილისის სახ. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში . . . ოფიციალური ოპონენტები გახლდნენ პროფ. ვლ. ჟანჩვიძე, ფილ. მეცნ. დოქტორები გ. გუდავა და ი. იმნაიშვილი. ის დღე იმითაც დამამასსოვრდა, რომ დისერტაციის დაცვა აგერ-აგერაა უნდა დაიწყოს და დისერტანტი არა ჩანს . . . ბ-ნი ვლადიმერ ჟანჩვიძე შეწუხდა და მე გავედი დარბაზიდან, რომ ვამეგო რამე. . . უნივერსიტეტის ეზოს უახლოვდებოდა ბ-ნი ევგენი. . . აუჩქარებლად. . . ვუთხარი: ბ-ნო ევგენი, შეწუხებულნი არიან და გელოდებიანო . . . თანაც დისერტაცია ხელში ძალიან მძიმე ჩანდა, ჩამოვართვი (მძიმეა პირდაპირი მნიშვნელობითაც და ფაქტობრივ – მეცნიერული თვალსაზრისითაც) . . . მაშინ მითხრა: დაგვიანება, ჩანს, დამებედლო . . . საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტიც ბ-ნი ვლადიმერი გახლდათ და მაშინ თითქმის მთელი ნახევარი საათი დამიგვიანდაო. . .

სადოქტორო დისერტაციის დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა.

აქვე შეიძლებოდა მოგვეყვანა ბ-ნი ევგენის დასკვნების წილი, რომელიც მონოგრაფიაშია (ასევე, ბუნებრივია, დისერტაციაშიც), სადაც ნათლად ჩანს, რომ:

„წახური და მუხადური „ლემგვიური ჯგუფის“ ენათა შორის ყველაზე ახლოს ღვას ერთმანეთთან: მათი ლიფერენციაცია მოხდა ყველაზე გვიან. უფრო მეტიც: ეს ლიფერენციაცია ჯერ კიდევ დასრულებული არ არის და

რომ ეს ენები ერთიმეორის მიმართ ჯერ კიდევ ამქალაქებენ ერთგვარ დიალექტურ დამოკიდებულებას; ხოლო შეპირისპირებისათვის საორიენტაციოდ აღებული უდიური ენა გაცილებით უფრო ადრე დამორდა ამ ენებსაც და უფრო მეტად „ლემგიური ჯგუფის“ სხვა ენებს, თუმცა მასში მაინც დამაჯერებლად ჩანს თვისგომი ენის ბუნება“.

ამისი ბუნებრივი გაგრძელებაა მონოგრაფიის მეორე ნაწილში წარმოდგენილი დასკვნაც. „... თვისგომ ენათაგან ყველაზე გვიან ეს ენები გამოიყვნენ ერთმანეთს, და, მამასადამე, ყველაზე ახლოს ეს ორი ენაა ერთმანეთთან – იმდენად ახლოს, რომ თვალსაჩინოა ენობრივ მოვლენათა დამთხვევის ან ფარდობის ისეთი ღონე, ანდა დინამიკის ისეთი ხასიათი, რომელთა კვალობაზე შეიძლება დავასკვნათ: ამ ენებს ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ შემორჩენილი აქვთ დიალექტური დამოკიდებულების ნიშნები (რასაკვირველია, აქ ლაპარაკია ერთმანეთისაგან ძალიან დამორებული დიალექტებზე, – იმდენად დამორებულებზე, რომ წახისათივის მუხადური (რუთულური) და მუხადისათვის (რუთულელისათვის) წახური უკვე აღარ არის კომუნიკაციის – ადვილად, გაგება-გაგებინების საშუალება.“¹

მონოგრაფიისა (და განსაკუთრებით დისერტაციის) ნაწილი შედარებულია უპირველესად უდიურ ენასთან (როგორც სინქრონულ, ასევე დიაქრონიულ ჭრილში), რომელიც „სტრუქტურულად და ლექსიკურად იბერიულ-კავკასიური წრის ენათაგან ყველაზე ახლოს დგას წახურთან, მუხადურთან (რუთულურთან), ლემგიურ ანუ კიურულ ენასთან, აღულურთან, თაბასარანიულთან, აგრეთვე – ე.წ. მახ-დაღის ენებთან: ბუღუხურთან, ჯეკურთან და კრიწულთან. ამ ენათა აგებულების სიღრმეში ჩახედვით, მათი ბუნებისა და თვისების უფრო და უფრო ახლოს გაცნობით სარწმუნო ხდება, რომ სტრუქტურულად ახლოს მდგომი ეს ენები ერთი წარმომობისანი, თვისგომიანი, უნდა იყვნენ“².

წახური, მუხადური (რუთულური) ... უდიური... უდიური კი ე. ჯეირანიშვილის მშობლიური ენაა. თავის დროზე ე. ჯეირანიშვილმა შექმნა „უდიური ენის“ სახელმძღვანელო თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენათა განყოფილების სტუდენტთათვის... ეს რიგით მეორე სახელმძღვანელოა არნ. ჩიქობავასა და ი. ცერცვაძის „ხუნძური ენის“ შემდეგ³ და ფაქტობრივ „წარმოადგენს უდიური ენის ქრესტომათიის, უდიურ-ქართული და ქართულ-უდიური ლექსიკონის შედგენისა და საერთოდ ამ ენის სახელმძღვანელოს დაწერის პირველ ცდას“.

ამ წიგნზე დაწერილ რეცენზიაში ბ-ნი ალ. მაპომეტოვი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „არნ. ჩიქობავასა და ილ. ცერცვაძის მონოგრაფიით „ხუნძური ენა“ (გამოქვეყნებულია 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის მიერ) საფუძველი ჩაეყარა მონოგრაფიების სერიას მთის იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. ე. ჯეირანიშვილის მონოგრაფიას „უდიური ენა“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იბე-

რიულ-კავკასიურ ენათა მონოგრაფიების ამ სერიაში“ (გვ. 379)¹⁰.

ბ-ნი ევგენი ჩვენთან, 1958-63 წლების კავკასიოლოგებთან, კითხულობდა სწორედ „უდიურ ენას“. . . კითხულობდა თითქოს ჩვენს კურსზე გამორჩეულად . . . ასე გვეჩვენებოდა: სხვებთან რომ ამას ეიგყოდით, ელიმებოდათ. . . თურმე ქცევა ჰქონდა ბ-ნი ევგენის ასეთი – გამორჩეულად ეკითხა თითოეული ნაკადისათვის. . . განსაკუთრებით ფარანგალიზებულ ხმოვნებს წარმოაჩენდა: მაა „გენინი“–მა „სად“. . . ოაყ „უღელი“ – ოყ „ფსკერი“. . . უაქ „ექესი“– უკ „მდინარე“ და სხვა; იქვე აჩვენებდა მათ ფონემურობას...

ეს ფარანგალიზებული ხმოვნები იმდენად მჭიდროდ ჩასხდნენ მეხსიერებაში, რომ მე კარგა ხნის შემდეგაც, როცა მთის კავკასიურ ენათა სამყაროს ვეცნობოდი, მიკვირდა ბ-ნი ალ. მაჰომეტოვისა, რატომ ასე დაბეჯითებით არ სჯეროდა ჩემი მასწავლებლისა, როცა მან ექსპერიმენტულად აჩვენა მათი წმინდა ხმოვნურობა და ფარინგალიზებურობა, თუმცა. . . ბ-ნი ევგენის ასეთ რწმენას ვერ გაიზიარებს ის, ვისაც სჯერა გ. დეეგერსის დებულების, რომ ფარინგალიზაცია „არ არის ისეთი თვისება, რომელიც ახასიათებს ცალკეულ ფონებას (თახმოვანს გინა ხმოვანს), არამედ იგი „ინტონაციის მსგავსად ახასიათებს მარცვალს ან და მთელს სიტყვას“¹¹ (იხ. მისი: კავკასიური ენები, გვ.33). ამიტომაც დასჭირდა ბ-ნი არნოლდს ეთქვა: „რაკი ფარინგალიზაცია მთელი მარცვლის (სიტყვის) წარმოთქმას ახასიათებს (ინტონაციის მსგავსად), ფარინგალიზებული შეიძლება გექონდეს როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები“.¹²

და მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ევგენის უდიდესი პატივისცემა ჰქონდა ბ-ნი არნოლდისა, იგი მაინც თავის მოსაზრებაზე დარჩა – ფარინგალიზებული ხმოვნებია, რადგან, ბ-ნი ევგენისა არ იყოს, „ფაქტი პურია მეცნიერებისა და ჩვენს ვეყრდნობით მას, ვეყრდნობლით ენობრივ სინამდვილეს და არა თეორიულ ვარაუდებს“¹³

ეს ფაქტია; სადაც ფაქტს აღიქვამ, მაგრამ თეორიულად შეიძლება სხვაგვარი ვარაუდი – აქ უკვე ენობრივი ინტუიცია გაძლევს საზოგადოდ სტიმულს შენი რწმენისთვის. ბ-ნი ევგენისათვის ესეც მიუცია ღმერთს. ორიოდე ნიმუში:

ბ-ნი ილ. ცერცვაძე თავის კლასიკურ ნაშრომებში გვიჩვენებს (დალესგნურ ენებში ლატერალებს რომ ეხება): ხუნძ. გ': ლაკ. კ(>ჭ) და ა. შ.

ხუნძ. ბეტერ (ჰიდ). . . ლაკ: ბაკრ-ალ („თავისა“, „თავისამ“).¹⁴ აქვე შემოვა უდ. ბულ < * ბუყულ „თავი“; ბ-ნი ილიას განცხადებით, წახულ-რუთულური მონაცემების მიხედვით, შესაძლებლად მიაჩნია ევ. ჯეირანიშვილს¹⁵. . .

ასევეა მითითებული ბ-ნი ევგენის ნაშრომებზე სხვა შემთხვევებშიც. ბ-ნი ევ. ჯეირანიშვილი შინაგანი რეკონსტრუქციისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით აღწევს ბრწყინვალე შედეგს:

უდ. ელ < * ცელ „მარილი“¹⁶. . . უდ. ნეკ < * ნეყ < * ნეყუ „ძილი“ (შდრ. რუთ. ნეყ. წაბ. ნაკ „სიზმარი“). . . აქაც ნავარაუდები გვაქვს ბ-ნი ევგენის

მიერ ნაჩვენები ჰ-ს მიღების ცნობილი გზა: ყუ (კუ) > ყპ (ჟპ) > პ.¹⁷

პირველ შემთხვევაში, ყ არამაგარი *ყ'-საგან მომდინარეა და დაკარგულია (ყ > მ), ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, ყ-საგანაა მომდინარე და შემონახულია ყ-ს სახით; ამოსავალი ამ უკანასკნელისათვის ლაგერალით გწა.

ერთი სიტყვით, მრავალფეროვანი ფონეტიკურ გარემოა და ცვლილება-თა შედეგიც სათანადო.

ბ-ნი ევგენი, თავად ბრწყინვალე მკვლევარი, სხვათა თუნდაც მცირე ნაკვლევს ისე აღიქვამდა, როგორც საკუთარს, უხაროდა, მით უფრო, თუ იგი მისი მოსწავლისა იყო.

1967 წელია. . . გარდება ასპირანტთა XIII საუნივერსიტეტო კონფერენცია. . . ჩვენი, ენათმეცნიერების სექციის ხელმძღვანელი ბ-ნი ევგენი გახლდათ. . . სხდომას აკად. გ. ახვლედიანი ესწრებოდა. . . მან მოისმინა თავისი ასპირანტის მოხსენება და წასვლა დააპირა. . . ბ-ნმა ევგენიმ სთხოვა, დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოხსენება სპეციფიკური იყო, ლაკურს ეხებოდა. ბ-ნი გიორგი თავის ადგილას დაბრძანდა და ჩვენი მოხსენებაც მოისმინა. . . იგი ლაკურში ერთი წყების ბრუნვათა გენემის ეხებოდა. ნაჩვენები იყო, რომ ერთ ამოსავალ ბრუნვისაგან შეიძლებოდა სხვადასხვა ბრუნვის ნიშნის მიღება – ფონეტიკურ ნიადაგზე ხ' (<*ხ' < ლ' >), (<*ხ' < ლ' > ა ხომენისწინა პოზიციამი)¹⁸ და ა. შ.

ბ-ნ გიორგის მოეწონა მოხსენება და ისე ისაუბრა მასზე, თითქოს უკეთესი არ შეიძლებოდა. . . ბ-ნი ევგენი ფეხზე ამდგარი უსმენდა ბ-ნ გიორგის, სიყვარულით შესტყეროდა ჩვენში ფონეტიკა-ფონოლოგიის საფუძველის ჩამყრელს და ჩემთვის ნათელი გახდა ამ წუთების სიღიადე, რაც ბ-ნმა ევგენიმ იმ დღეს მე, მის მოწაფეს, თითქოსდა საგანგებოდ მომიწყო... ამიგომაცაა, ორმოციოდე წელი გავიდა მას შემდეგ და ბ-ნი გიორგი თავისი დინჯი საუბრითა და ბ-ნი ევგენი, კმაყოფილი სახით, თვალეში სიყვარულჩამდგარი, ისეე თვალწინაა...

ბ-ნი ევგენის გარდაცვალებიდან 20 წელი როგორ სწრაფად წამოგვეპარა... ძვირფას მასწავლებელზე საუბარი გაგვიგრძელდა... მოსაგონარი რამდენია, მით უფრო, თუ მის შრომებსაც გავისხენებთ – გაუხუნარსა და ცოცხალს... ცოცხალს, რადგან მას მობრუნება სჭირდება და არა ერთგმის... ეს მომავალ კავკასიოლოგთა ვალია...

ჩვენ ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხზე ისე, რომ გამოკვეთილად ერთ საკითხზე არ შეეჩერებულვართ... თითქოს სათაურში გამოგანილი „უთარილოდ“ მართლდება... დასათაურება არც ერთი მათგანისათვის არ მიგვიცია. ესეც, ჩანს, ღვთის ნებით, ასე უნდა მომხდარიყო: საუბარი ბ-ნ ევგენიზე, ჩვენს მასწავლებელზე, საერთოდ, უთარილოდ, დაუსრულებლად, კონკრეტული დროის მიუთითებლად, თარიღის აღნიშვნის გარეშე შეიძლება... აკი მაჩუქა ბ-ნმა ევგენიმ ასპირანტობისას, ბ-ნი გ. როგაეას მონოგრა-

ფია, რომელიც არ მქონდა და ძალიან მსურდა მისი მფლობელი გაემხდარიყავი... ბ-ნი ევგენის ეს საჩუქარი ორიგინალური წარწერთაა:

„ჩემს გენადის – ევგ. ჯეირანიშვილი – უთარილოდ.“

უთარილოდაა ეს გახსენება – ერთადერთი ამ კრებულში, რომელსაც გამოქვეყნების თარიღი არ უმის, არა აქვს მითითებული (რადგან პირველად აქ ქვეყნდება).

ლიტერატურა:

1. გ. ბურჭულაძე, მინაწერები წიგნის გარეკანზე. – „ლიტერატურული ცხინვალი“, გორი, 1999, თებერვალი, გვ. 7.
2. ევგ. ჯეირანიშვილი, წახური და მუხადური ენები. II. მონოგრაფია. – თბ., 1984, გვ. 23.
3. წიგნი I - 408 გვერდი, წიგნი II - 614 გვერდი. – თბ., 1983 (გარეკანზე 1984).
4. Е. Джейранишвили, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского (ругульского) языков. – Тб., 1960, გვ. 4.
5. ე. ჯეირანიშვილი, დასახ. წიგნი, I, გვ. 235-236.
6. იქვე, წიგნი II, გვ. 525
7. ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი. – თბ., 1971, გვ. 4.
8. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. – თბ., 1962.
9. ე. ჯეირანიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 5.
10. ა. მაპომეტოვი, რემ. „ე. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, თბ., 1971; – თსუ. შრომები, 174, მეცნიერება, 1974, გვ. 378-379.
11. ამის შესახებ წიგნში: არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. – თბ., 1979, გვ.62.
12. იქვე.
13. ევგ. ჯეირანიშვილი, წგ. I, გვ. 56.
14. ი. ცერცვაძე, ხუნძური ლატერალების ლაკურ შესატყვისობათა შესახებ. – იკე, XII, თბ., 1960, გვ.348.
15. ი. ცერცვაძე, მეხუთე ლატერალურ თანხმონის შესატყვისობისათვის უდიურ ენაში. – იკე, XIV, თბ., 1964, გვ.358.
16. ევგ. ჯეირანიშვილი, გრამატიკული კლასის გაქვეყნებული ნიშნები უდურ მზნებსა და ნაზმანარ სახელებში. – იკე, VIII, თბ., 1956, გვ.345.
17. „სიზმრის“, „ძილის“ აღმნიშვნელი ლექსემები წახურსა და მუხადურში ყუ >ჰ, მართალია, დასტურდება (ევგ. ჯეირანიშვილი. ლაბიალიმებული თანხმონები და მარცელის ზოგი სახეობა წახურ-მუხადურსა(რუთულურსა) და თვისტომ ენებში. – იკე, XV, თბ., 1966, გვ.353), მაგრამ წარმოდგენილია უდიურსა და ზოგ სხვა ენაში (Из лексики

иберийско-кавказских языков 7. Общие основы, обозначающие "сон" и "ясное видение" в дагестанских и нахских языках. — იკეწ, XV, თბ., 1988.).

18. გ. ბურჭულაძე, ერთი წყების ადგილობით ბრუნვათა ფორმების შედგენილობისათვის ლაკურ ენაში. — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1967, გვ.71.

„ადასრულა მან თვისი ვალი“

ქართულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ბესარიონ ჯორბენაძე.

პირველად რომ ბ-ნი ბესარიონთან მოეხვდი სტუმრად სახლში, მამამისი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნ. დოქტ., პროფესორის — ბ-ნი არკადი ჯორბენაძის სამუშაო მაგიდა მომხვდა თვალთ. მაგიდას დიდი ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი ამშვენებდა. შემდეგ ბ-ნმა ბესარიონმა ბ-ნი არკადისეული ერთი სურათის ფოტოპირი მომცა ძღვნად — სურათზე ჩვენი უნივერსიტეტის „პროფესორთა პირველი კოლეგია (1918 წლის 26 იანვარი ძვ. სტილით)“ იყო გამოხატული.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ხატი გახლდათ ბ-ნი არკადის თაობისათვის და, რა გასაკვირია, თუ მისი ვაჟი დიდი ივანეს კვალს გაჰყვა — ჰუმანიტარულ მეცნიერებას ეზიარა, თუმცა ჯორბენაძეანთ ეს შტო გრადიციულად სამედიცინო განათლებას ეგანებოდა.

და, აი, ახალგაზრდა ბ. ჯორბენაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. მან მოკლე დროში განვლო ემა სტუდენტიდან პროფესორამდე. ჯერ კიდევ 37 წლისამ, 1979 წელს ბ-ნმა ბესარიონმა ბრწყინვალედ დაიკვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“, რომელიც 1980 წ. ცალკე მონოგრაფიის სახითაც გამოქვეყნდა. ამ მონოგრაფიას წინ უსწრებდა (თბ., 1975) ავტორისავე „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“, რომელიც მიეძღვნა აკად. ვ. თოფურისას ხსოვნას.

ბ-ნი ვარლამი ჩვენი საერთო საფიციარი გახლდათ — ბ-ნი ბესარიონი მისი ერთ-ერთი ბოლო ასპირანტი იყო ქართულ ენაში, მე კი — ლაკურში. ჯერ ამან დაგვაახლოვა... შემდეგ კი, მოგვიანებით, როცა 1974 წელს დაიღო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, ფილოლოგი-

ის ფაკულტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა ენათმეცნიერთა ერთმა ჯგუფმა დააარსა მუდმივიმოქმედი სემინარი „საენათმეცნიერო საუბრების“ სახით, რომლის გაძღოლა ითავა ახალი ქართული ენის კათედრის მამინდელმა დოცენტმა ბ. ჯორბენაძემ. თავდაპირველად „საუბრებში“ მხოლოდ ახალგაზრდა ენათმეცნიერები მონაწილეობდნენ, შემდგომ კი მისი წრე ისე გაფართოვდა, რომ უკვე ახალგაზრდულს ვეღარ უწოდებდით. სხვადასხვა დროს „საუბრების“ საჯარო თუ რიგითს სხლომეზზე საგულისხმო მოხსენებებით გამოსულან აკად. ა. შანიძე და არნ. ჩიქობავა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ი. გიგინეიშვილი და თ. შარაშენიძე, უცხოელი თუ მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვეული მკვლევარები.

„საუბრები“ ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის კარგი სკოლაც გახლდათ – სემინარის მონაწილეთაგან ათამდე მეცნიერებათა დოქტორი გახდა, ორ ათეულამდე კი – მეცნიერებათა კანდიდატი.

ამ წლებმა ცხადად აჩვენა, რომ ბ-ნი ბესარიონი გახდა წარმმართველი ენათმეცნიერთა ამ ახალგაზრდა თაობისა.

ბ-ნი ბესარიონი უშურველი გახლდათ ენათმეცნიერებაში, დაუზარელი – პირად ცხოვრებაში, გახარჯუა იცოდა ბოლომდე. მისი ყოფილი სტუდენტები მუდამ ამბობდნენ, ლექციას როცა კითხულობდა, აუდუგორიიდან დაღლილი გადიოდაო, აუდიტორიაში კი რჩებოდნენ მოსმენილით ალტაცებულნი – არავეის დაზარდებოდა, თუ ვინმეს აინტერესებდა რაიმე ენათმეცნიერული საკითხი. ორი შემთხვევა მაგონდება:

1981 წელს თელავს გახლდათ „საენათმეცნიერო საუბრებისა“ და თელავის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ერთობლივი სესიის ჩასატარებლად; დღის წესრიგი ძალზე გადატვირთული იყო, მაგრამ ბ-ნი ბესარიონს რომ სთხოვეს, იქაური სკოლის მასწავლებელთათვის წაეკითხა ლექცია, არ დაზარდა და შეასრულა თხოვნა.

მეორედ, 1991 წელს კი, როცა გორში დიალექტოლოგთა რესპუბლიკური შეხვედრა ტარდებოდა, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ლტოლვილი ნაწილისათვის ქ. გორში ვთხოვეთ წაეკითხა ლექცია ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე... შეხვედა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, საინტერესოდ ესაუბრა მათ და თან შეჰპირდა, რომ სხვა დროსაც ესტუმრებოდა და ლექციათა ციკლსაც წაუკითხავდა, მაგრამ, ვაგლახ, რომ ეს არ დასცალდა...

ბ-ნი ბესარიონი შესამური მონდომებით უთავსებდა ერთმანეთს სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი სხვადასხვა დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის დოცენტი, შემდგომ – პროფესორი, ამავე კათედრასთან არსებული გოპონიმიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, შემდეგ – დეკანი.

ბ-ნი ბესარიონი ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჯერ მოიწვიეს უფროს მეცნიერ-თანამშრომლად ქართველურ ენათა განყოფილებაში, ხოლო შემდეგ კი, 1982-1985 წლებში, ხელმძღვანელობდა ამავე განყოფილებას. 1987 წელს იგი ერთხმად აირჩიეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 1988 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

აი, ასეთი დატვირთვის მიუხედავად, ბ-ნი ბ. ჯორბენაძე მუდმივად აქვეყნებს არაერთ პირველხარისხოვან მონოგრაფიას: „ზმნის ხმოვან-პრეფიქსული წარმოება ქართულში“ (თბ., 1983), „ქართული ენის ფაქულტეტური გრამატიკის საკითხები“ (თბ., 1985), „ქართული ზმნა“ (თბ., 1983 – რუს. ენაზე), „ბალავარი მწერლობისა“ (თბ., 1987), „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“ (თბ., 1988 – მ. კობაიძისა და მ. ბერიძის თანაავტორობით), „ქართული დიალექტოლოგია“ (თბილისი). „ქართველური ენები და დიალექტები“; (თბ., 1991 – ინგლ. ენაზე), „ონომასტიკური გულანი“ (თბ., 1993)... არ დასცალდა ბ-ნ ბესარიონს მისი ხელმძღვანელობით მომზადებული „დავითიანის“ სიმფონიის ბოლო, გაწყობილი ვარიანტის წაკითხვა... არა და, როგორ ჩქარობდა თურმე...

ბევრი რამ ვერ მოასწრო მან იმ ჩანაფიქრიდან, რაც მას ჰქონდა. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ საიუბილეო XXX ტომში (თბ., 1991), რომელიც მიეძღვნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე წლისთავს, გამოქვეყნდა ბ-ნი ბ. ჯორბენაძის მცირე მოცულობის წერილი „სამეცნიერო მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში“. ამ წერილში იმაზეა საუბარი, რაც გაკეთდა და უფრო მეტი იმაზე ითქვა, თუ რა უნდა გაკეთდეს. დასკვნაა: „გაკეთებული ბევრია, გასაკეთებული უფრო მეტი“. ვაი, რომ არ დასცალდა ბ-ნ ბესარიონს თავისი წვლილი შეეგანა ამ „უფრო მეტ გასაკეთებულში“.

არც ენათმეცნიერების ინსტიტუტს დასცალდა, ენახა თავისი ხელმძღვანელი აკადემიკოსის რანგში... იგი ენათმეცნიერების სამეცნიერო საბჭომ ერთხმად წარადგინა ამ ათიოდე დღის წინ ამ ადგილზე ასარჩევად. ყველაზე საწყენი ისაა, რომ ბ-ნ ბესარიონს არ დასცალდა დაუფრთიანებინა წყება ახალგაზრდებისა, რომელთა სამეცნიერო წვრთნას იგი თავისი ღროის დიდ ნაწილს უთმობდა.

მის ვოგონას, ნინოს სტუდენტად გახდომას კი ეღირსა ბ-ნი ბესარიონი, მაგრამ არ დასცალდა დაეაქაცებული ენახა თავისი მამის სეხნია – არკადი – აკა.

ბ-ნი ბესარიონის დაბადების წელი გასული წლის 31 აგვისტოს უნდა აღგვენიშნა, მაგრამ წინა დღით მისი უახლოესი მეგობარის ვაჟი დაიდუპა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში...

50 წელი მეცნიერისათვის შუადღეც არაა... ბ-ნმა ბესარიონმა კი ამდენი მოასწრო, თითქოს ჩქარობდა და ალბათ, ამიგომ... მან თავისი წასვლით

ყველას, ვინც კი მას კარგად იცნობდა, დაუტოვა ამოუვსები სიცარიელე... მაგრამ იმით, რაც გააკეთა, სრული უფლება გააქვს ვთქვათ, რომ „აღასრულა მან თავისი ვალი“ ქვეყნის, ერის და მეცნიერების წინაშე.

პირველი წიგნი ბ-ნმა ბესარიონმა თავის მასწავლებელს, აკად. ვ. თოფურიას ასეთი წარწერით უძღვნა: „აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ნათელ ხსოვნას უძღვნის ამ ნაშრომს ავტორი“. გვჯერა, ანალოგიური წარწერით მიეძღვნება ბ-ნ ბესარიონის ხსოვნას არაერთი ნაშრომი მისი მაღლიერი მოწაფეებისა თუ კოლეგებისაგან¹.

III. პოლემიკა . . . კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კონსონანტიზმი ქართველურ და ხუნძურ ენებში

სარეცენზიო შრომა შედგება შესავლისა და ორი თავისაგან, რომელთაგან თითოეული დაყოფილია ოთხ ქვეთავად. შემდეგ მოცემულია მოგადი დასკვნები. შრომას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და აქვს სარჩევი.

როგორც მიუთითებს ავტორი შრომის შესავალში, მისი მიზანია წარმოგიდგინოს ქართველურ ენათა და ხუნძურის კონსონანტურ სისტემათა მიმოხილვა სინქრონიულ ასპექტში. დიაქრონიას ავტორი მიმართავს მაშინ, როდესაც, მისი აზრით, ამას მოითხოვს სისტემის ზოგიერთი ფაქტის ახსნა.

ამოცანა, რომელსაც ისახავს სარეცენზიო შრომის ავტორი, რთულია და აქტუალური. ენათა სტრუქტურული მოდელების ტიპოლოგიური შეპირისპირება მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის ლინგვისტს მოცემულ ენათა სინქრონიული მდგომარეობისა და მათი ისტორიის თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ სადიპლომო შრომის ავტორმა ძირითადად წარმატებით გადაწყვიტა მის წინაშე მდგომი ამოცანა და მოახერხა ზოგი ორიგინალური დებულების წამოყენება. ავტორი ცდილობს, დაემყაროს თანამედროვე ფონოლოგიის (დიაქრონიული ფონოლოგიის ჩათვლით) მონაპოვრებს, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ფონოლოგიური მიდგომა შესასწავლი სინამდვილისადმი სარეცენზიო ნაშრომში თანამიმდევრულად არ არის გატარებული. მაგალითად, ფონოლოგიური თვალსაზრისით უმართებულოა ავტორის მსჯელობა [Φ] ბგერის ფონემატიზაციის შესახებ ქართულში. ეს ბგერა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტების

1. გამ. „სახალხო განათლება“, 14. V, 1993, გვ. 2.

უმრავლესობაში დამატებითი დისკრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფება [ვ] ბგერასთან და ამ უკანასკნელთან ერთად წარმოადგენს /ვ/ ფონემის ალოფონს. ზოგიერთ შენიშვნას იწვევს აგრეთვე ავტორის თავისთავად საინტერესო მსჯელობა [ლ] ბგერის შესახებ სვანურში: კერძოდ, ფაქტობრივს ვითარებას არ შეესაბამება მისი ღებულება, რომ [ლ] ბგერა მუდამ სიგყვის თავში გვხვდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარეცენზიო შრომის ავტორის მიზანს წარმოადგენდა ქართულ-ქართველური და ხუნძური კონსონანტიზმის შეპირისპირება სინქრონიულ ასპექტში. მიუხედავად ამისა, ავტორი განიხილავს მარცვლოვან სონანტთა პრობლემას ქართველურ ენებში. ეს პრობლემა მთლიანად დიაქრონიას განეკუთვნება და მისი განხილვა ამ ხასიათის ნაშრომში აუცილებელი არ იყო. იგივე ითქმის მკვრივი აფრიკატების პრობლემის შესახებ ხუნძურში: ამ პრობლემის განხილვას გავყავართ არა მარტო ხუნძურის, არამედ ხუნძურ-ანდიურ-დილოური ჯგუფის ფარგლებს გარეთ. მეორე მხრივ, სასურველი იყო, ავტორს განსაკუთრებით გაემახვილებინა ყურადღება თანხმოვან ფონემათა პარადიგმატული მიმართებებისა და მათი დისკრიბუციის საკითხებზე თანამედროვე ქართულსა და ხუნძურში. ამგვარი მიდგომა უფრო ნათლად გამოაქვნიდა როგორც ტიპოლოგიურ პარალელებს, ისე იმ ფუნდამენტალურ სხვაობასაც, რომელიც ამ ორი ენის კონსონანტურ სისტემებს შორის შეიძლება დავადასტუროთ.

ენა ნაშრომისა საესებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა ალაგ-ალაგ გვხვდება სტილისტიკურად გაუმართავი ფრაზები და შეცდომებიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით.

მემოთ წამოყენებული შენიშვნების მიუხედავად, სარეცენზიო ნაშრომი დადებითს შთაბეჭდილებას ახდენს. ავტორის ერუდიცია საკმაოდ სოლიდურია. უდავოა, რომ მას შესწევს უნარი დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა-ძიებისა.

გ. მაჭავარიანი

24. IV. 1963.

ბ-ნი გივის ეს დასკვნა ჩვენთვის გზის დალოცვა გახლდათ. ამ რეცენზიაში ბ-ნი გივი თითქოს მის კოლეგას ესაუბრებოდა და არა უნივერსიტეტის კურსის დამთავრებულ ახალგაზრდას¹.

1. გ. მაჭავარიანი, კონსონანტიზმი ქართველურ და ხუნძურ ენებში, — რეცენზია, ხელნაწერი, გვ. 5, თბ., 1963.

ნიადაგსახმარი წიგნი ქართულ ენაში

გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, პროფ. ა. კიბირიას „ქართული ენა (პრაქტიკული)“, რომელიც შედგენილია უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ფილოლოგიის ფაკულტეტების ქართული ენის პროგრამების მიხედვით. ეს წიგნი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ პრაქტიკული მეცადინეობისათვის ქართულ ენაში.

„ქართული ენა“ მეოთხე შეესებული გამოცემაა, ოღონდ, წინა გამოცემებთან შედარებით დამატებულია სინტაქსი. მასზე მუშაობისას ავტორს, როგორც ამას თვითონვე აღნიშნავს, უხელმძღვანელია აკადემიკოსების გ. ახვლედიანის, ე. თოფურიას, ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და გამოკვლევებით, ასევე გამოუყენებია პროფ. ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“.

სარეცენზიო წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება: I. ფონეტიკა, II. მორფოლოგია, III. ლექსიკოლოგია, IV. სინტაქსი. წინ უძღვის „ავტორისაგან“ და ბოლოს ერთვის „შემოკლებათა განმარტება“. საილუსტრაციო მაგალითები სათანადოდ და ფაქიზადაა შერჩეული პარაგრაფების მიხედვით; იგი ძირითადად ამოკრებილია XIX-XX ს. ს. მწერლობის ნიმუშებიდან. ძველი მწერლობიდან გამოყენებულია „მუშანიკის წამება“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“; ასევე, დამოწმებულია ანდაზების, გამოცანებისა და დიალექტური მეტყველების ნიმუშებიც.

„ქართული ენის“ ფონეტიკური ნაწილი, მიუხედავად მისი მცირე მოცულობისა, პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხს ასახავს. აქაა: ფონეტიკის საგანი, ქართული ენის ბგერათა კლასიფიკაცია, ხმარებიდან გამოსული ასოები და ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.

არსებითი სახელები ჯერ შინაარსის მიხედვითაა დაჯგუფებული, შემდეგ მათი ბუნების საკითხია. აღნიშნულია, რომ ბრუნვა ქართულში ექვსია (წოდებითის ჩათვლით — შვიდი); ამას მოსდევს ბრუნების პარადიგმა, სადაც გრადიციული რიგია დაცული (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი), თუმცა იქვე სწორადაა შენიშნული, რომ „მართებულია ვითარებითი ბრუნვის გადაგანა მიცემითის შემდეგ და ნათესაობითის წინ... ვითარებითს მიცემითთან აკაეშირებს სინტაქსური ფუნქციაც“. ცალ-ცალკე პარაგრაფი ეთმობა სახელის ფუძეს, ემფატიკურ ა-ს, თავისებურად ბრუნებად სახელებსა და მრავლობითი რიცხვის წარმოებას.

ზედსართავი სახელი მეტწილად გვხვდება მსამღვრელად და იბრუნვის არსებით სახელთან ერთად. ამ დროს, თუ ზედსართავი სახელი ბოლო-

თანხმონიანია, იგი „ბრუნის ნიშანს მთლიანად ინარჩუნებს სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნებში, მთლიანად იკეებს მიცემითსა და ვითარებითში, ნაწილობრივ იკეებს ნათესაობითსა და მოქმედებითში“. ამით ნათლადაა გადმოცემული მართლწერის წესები მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის დროს. ანალოგიური შემთხვევები „ქართულ ენაში“ სხვა-ცაა, რაც სტუდენტებს უსათუოდ დაესმარება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვაში.

რიცხვითი სახელი განსაზღვრულია (რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი) ან განუსაზღვრელი (როგორცაა: ბერი, მრავალი, ცოცხალი). ნაცვალ-სახელი კი გრადიციულად ათ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ესენია: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი.

ცალკეა მიმოხილული მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა. გამოყოფილია მსაზღვრელის სამი გიპი: აგრიბუკული. მართული და მართულშეთანხმებული; გათვალისწინებულია გათიშული მსაზღვრელის შემთხვევები და სხე.

გმნურ საკითხთან „ქართულ ენაში“ წარმოდგენილია: გმნის პირი (სუბიექტური და ობიექტური, მათი ნიშნები; სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა დისკრიბუცია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში) და რიცხვი, ინეერსია გარდამავალ და გარდაუვალ გმნებთან, გმნისწინი (გათვალისწინებულია მათი აგებულება და ფუნქციაც), ას-პექტი, გმნის გარდამავლობა და გვარი, ქცევა, კონტაქტი, მწკრივთა (დროკილოთა) სერიები (მწკრივთა სერიებად დაყოფის საფუძვლებითურთ). აქვე შეტანილია II ხოლმეობითიც, რომელიც ძველად გექონდა (აღნიშნავდა გმნით გამოხატული მოქმედების მრავალგმნისობას, რითაც უპირისპირდებოდა ნამყო წყვეტილს, რომელიც ერთგმნის მოქმედებას გამოხატავდა) და დღეს მთის კილოებშია მხოლოდ. ზუსტადაა განმარტებული გმნის ფუძე, ძირი და თემა. თემის ნიშნები გვარების მიხედვითაა დალაგებული. კატეგორიანაკლ გმნათაგან აქ მოხვდნენ პირნაკლი, რიცხვნაკლი, მწკრივნაკლი, გვარნაკლი გმნები. ბოლოსაა სახელგმნა, რომელიც ორგვარია: საწყისი, ანუ მასდარი და მიმღეობა. პირველი წინადადებაში გვევლინება როგორც არსებითი სახელი, ხოლო მეორე – ზედსართავის ფუნქციით.

გმნური კატეგორიები ქართულში საზოგადოდ რთულია. ამიგომაც ხშირია აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე. გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთი საკითხების კვალიფიციურად გაშუქებას, მკითხველთათვის მარტივად და გასაგებად მიწოდებას, რაც ხშირად ჭირს ხოლმე „ქართული ენა“ ასეთ შემთხვევაშიც გამოირჩევა შესაბამისი პრობლემის რაფინირებული გადმოცემით. სანიშნოდ მხოლოდ ერთ შემთხვევას მოვიყვანთ:

ინვერსია მხოლოდ გარდამავალ გზებს ახასიათებთ, ისიც – დრო-კილოთა III სერიაში. სპეციალური საენათმეცნიერო ლიგერატურიდან ცნობილია, რომ ქართულში გვხვდება გარდაუვალ გზათა ერთი ჯგუფი, რომელიც აწმყოშივე შებრუნებული წყობისაა, ასეთია, მაგალითად, ე. წ. გრძობა-ალქმის გამომხატველი გზნები მაქეს, მყავს, მსურს, მომწონს, მშია, მცივა, მცხელა, მიყვარს და მისთანანი.

სარეცენზიო წიგნში აღნიშნულია, რომ „ამ გზნებში რეალურ სუბიექტს მოუღის ობიექტური ნიშნები: მ-, გ-, ჰ-, ს-, ხოლო რეალურ ობიექტს – სუბიექტური ნიშნები: -ს, -ა“ და „გარდამავალი გზნებისაგან განსხვავებით ამ გიპის გზნები ყველა დრო-კილოში ინვერსიულია“. მამასადამე, ზემოთ მოყვანილ გზნებში ეს წყობა სტაბილური ყოფილა, მარტივია და ნათელი.

მორფოლოგიური ნაწილის ბოლოს მოცემულია ფორმალური სიტყვები და ნაწილაკები: გზნისართი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

ლექსიკოლოგია წარმოდგენილია წარმოქმნილი სახელები ფორმის მიხედვით: ოდენსუფიქსიანი, პრეფიქსუფიქსიანი ან ოდენსუფიქსიანია, ხოლო შინაარსის მიხედვით – კნინობითის, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, დანიშნულების, წინა ვითარების, ხელობისა და სხვა.

კომპოზიტი, რომელიც რთული სიტყვაა, შეიძლება იყოს ფუძეგაორკეცებული და ნაირფუძიანი. ეს უკანასკნელი შინაარსის მიხედვით ერთენობიანი ან მრავალენობიანია. ბოლოს მოცემულია შემოკლებულ კომპოზიტთა სახეები, რომლებიც შემოკლებათა სახეების მიხედვით ექვს ჯგუფადაა დაყოფილი.

IV თავის სინტაქსს ეთმობა, სადაც ჯერ სინტაქსის საგანი და წინადადების რაობა განსაზღვრული, შემდეგ მოცემულია მარტივ წინადადებათა ტიპები მოდალობის მიხედვით. აქ ავტორი ძახილის წინადადების ნაცულად გვთავაზობს ტერმინს ემოციურს, რაც კარგად ასახავს ასეთი წინადადების ბუნებას. მართლაც, ძახილის წინადადება სხვა არაფერია თუ არა თხრობითი, კითხვითი ან ბრძანებითი წინადადება გამომხატული მთქმელის სათანადო ემოციით.

ამას მოსდევს წინადადების მთავარი წევრები: შემასმენელი, ქვემდებარე, პირმომართი დამატებები. ცალ-ცალკე პარაგრაფი ეძღვნება უბრალო დამატებას, გარემოებებსა და განსაზღვრებას.

გრძობა-ალქმის გამომხატველ გარდაუვალ ინვერსიულ გზნებთან ქვემდებარედ მართებულადაა მიჩნეული მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, რადგან ასეთ შემთხვევებში, როგორც ეს აკად. ვ. თოფურიამ ნათელყო, „მიცემითში დასმული პირი, რომ მოქმედებას გრძობს, განიცდის, ეს მეორე შემასმენლით გამომხატულია: ვანოს ცხელა და მკერდს იღელს... ვანოს სძულს დავითი და ახლოს არ იკარებს...“ (ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადაო საკითხები, ქართული ენა და ლიგერატურა სკოლაში,

№ 3, 1967, გვ. 7).

მარტივი წინადადება წვერთა შედგენილობის მიხედვით სრულია ან უსრულო, გაერცობილია ან გაუერცობელი.

მარტივი წინადადება სრულია, როცა რეალურად წარმოდგენილია შესიგყვებით გათვალისწინებული მთავარი წვერები და პირუკუ. მარტივი წინადადება უსრულია, თუ მას აკლია შესიგყვებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მთავარი წვერი. ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელში შედის მარტივი წინადადების დეფექტური კონსტრუქციებიც.

გაერცობილია წინადადება მაშინ, როცა მასში წინადადების მთავარ წვერებთან ერთად მეორეხარისხოვანი წვერისაა (ან წვერებისა); თუ წინადადებაში მხოლოდ მთავარი წვერებია, იგი გაუერცობელია.

მარტივი წინადადების ამ გიქებს შორის სახელდებითი წინადადება ვერ მოთავსდა, აღარ დაურჩა ადგილი, – არც უნდა ჰქონოდა, რადგან, როგორც პროფესორი ა. კიზირია მართებულად შენიშნავს „წინადადება არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიგყვების ჯგუფი ან ცალკე სიგყვა, რომელიც დასრულებულ ამრს გამოხატავს“, ხოლო „ერთი სიგყვა დასრულებულ ამრს მხოლოდ მაშინ გამოხატავს, როცა ის მშნა“.

ჯერ კიდევ 1928 წელს აკად. არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ წინადადებად არ ჩაითვლება არა თუ უფორმო სიგყვები და ნაწილაკები, არამედ ისეთი ფორმაუცვალეზადი სიგყვებიც კი, რომლებიც ზოგჯერ ფრამასაც უღრიან, მაგრამ არ წარმოადგენენ შესიგყვებას (არნ. ჩიქობავა, დასახ. წიგნი, გვ. 122). ნათელია, წინადადებისათვის არსებითია შესიგყვების მქონეზლობა.

ცალკე სიგყვათაგან აღებულს მხოლოდ გმნას ძალუძს შეასრულოს წინადადების ეკვივალენტობა, რადგან „შეიძლებოდა გვეთქვა: ცალკე აღებული გმნა შესიგყვებაა მინიატურაშიო“ (არნ. ჩიქობავა, იქვე). ურიგო არ იქნებოდა აქ მოგვეყვანა ი. ჰავჭავაძის გამოზათქვამიც: „სადაც გმნა არ არის, იქ სომ წინადადებაც არ არის“ (ამაზე მიუთითებს პროფ. ა. კიზირია მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“, თბ., 1963, გვ. 106, მნშ. 15). ამ სწორ თვალსაზრისზე მღგომი მკვლევარი სახელდებით „წინადადებას“ მართლაც ვერ მიიჩნევს წინადადებად. ამიგომაცაა: იგი არაა შეგანილი სარეყენზიო წიგნში.

შემდეგაა შერწყმული წინადადება, მოყემული საერთოდ მიღებული კლასიფიკაციით.

განკერძობული სიგყვებისა და გამოთქმების მომღვენოდ წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებული სიგყვები და გამოთქმებია, ხოლო ბოლოს რთული წინადადებაა: თანწყობილი და ქვეწყობილი.

თანწყობილ წინადადებათა შემადგენელი წინადადებები გულისხმობს: ერთღროულობას, თანამიმღვერობასა და დაპირისპირებას. რთუ-

ლი თანწყობილი წინადადების კომპონენტ წინადადებათა ამრობრივი მიმართება ამით მკაფიოდაა წარმოჩენილი.

რთულ თანწყობილ წინადადებაში ამრობრივი მიმართების საკითხს, რამდენადაც ეს ჩვენთვისაა ცნობილი, ქართული წინადადების მონაცემთა მიხედვით საგანგებოდ პირველად პროფ. ა. კიზირიამ მიაქცია ყურადღება.

რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებისაგან; დამოკიდებული მთავარს უკავშირდება კავშირებით ან შეერთება უკავშიროა. ჩამოთვლილია დამოკიდებულ წინადადებათა სახეები ფუნქციის მიხედვით. აღნიშნულია მათი ადგილიც. იქვე მოყვანილია რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა შორის არსებულ იმ სხვაობათა ჩამოთვლა, რაც მოცემულია აკად. ვ. თოფურიას წერილში „რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივი წინადადებით შენაცვლები-სათვის ქართულში“ (მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში III, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X-XI, 1960, გვ. 4).

ბოლოსაა რთული ქვეწყობილი წინადადება (რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით) და შერეული სახის რთული წინადადება.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, წიგნში წარმოდგენილი საილუსტრაციო მაგალითები სანიმუშოდაა შერჩეული, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ეს მასალა მცირეა.

ჩვენმა სტუდენტობამ ა. კიზირიას „ქართული ენის“ სახით მიიღო დიდი სოცეარულით შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო და რაოდენ დასანანი, როცა ესოდენ საჭირო წიგნის გირაჟი სულ 2000 ცალია!

მინაწერი: სიტყვა მოხსენდა 1997 წლის 30 სექტემბერს პროფ. ანტონ კიზირიას ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას, რომელიც ჩატარდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ეს პირველი რეცენზიაა, რომელიც მე დაეწერე, ბ-ნი ანტონის დამხმარე სახელმძღვანელოზე ქართულ ენაში. . . მაშინ ცხინვალში ვმუშაობდი და ის გამომხმარებდაც იქ დაიწერა. აღენიშნავდი: „მარტივი წინადადების ამ გი-პებს შორის (რეცენზიაში ჩამოთვლილია ისინი) სახელდებითი წინადადებაა ვერ მოთავსდა, აღარ დაურჩა ადგილი“, არც უნდა ჰქონოდა, როგორც პროფ. ა. კიზირია მართებულად შენიშნავს, „წინადადება არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი ან ცალკე სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს“, ხოლო „ერთი სიტყვა დასრულებულ აზრს მხოლოდ მაშინ გამოხატავს, როცა ის გმნაა.“

წინადადებისათვის არსებითი შესიტყვების მქონებლობაა, არნ. ჩიქობავას მიხედვით. . . ცალკე სიტყვათაგან აღებულს მხოლოდ გმნას ძალუძს შეასრულოს წინადადების ეკვივალენტობა, რადგან „შეიძლებოდა გვეთქვა: ცალკე აღებული გმნა შესიტყვებაა მინიატურაში“ (არნ. ჩიქობავა) . . . „ამ სწორ თვალსაზრისზე მდგომი მკვლევარი სახელდებით „წინადადებას“ მართლაც ვერ მიიჩნევს წინადადებად. ამიტომაცაა: იგი არაა შეგანილი სარეცენზიო წიგნი“.

ეს იყო 1975 წელს. . . შემდეგ ბ-ნმა ანტონმა დაწერა მშვენიერი გვერდი წიგნი „მარტივი წინადადების გიპები წვერთა შედგენილობის მიხედვით და კომუნიკაციები“, რომელშიც ჩვენს მიერ რეცენზიაში აღნიშნული საკითხს მიუძღვნა მეორე ნაწილი წიგნისა სათაურით „კომუნიკაციები“. . . სამწუხაროდ, ეს წიგნი გამოვიდა 1987 წელს. . . ბ-ნი ანტონის გარდაცვალების შემდეგ . . . ჩემს სამუშაო ეგზემპლარს წარწერა აქვს: „ძვირფას გენადის ა. კიზირიას ოჯახისაგან“. . . ეს მისი უკანასკნელი წიგნი გახლდათ, თუმცა ახლახანს დაისტამბა მისი „ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან“, რომელსაც დამატების სახით ერთვის „სუბსტანციური მსაზღვრელი“. . . ნაშრომი დასაბეჭდად მოუშვადებია ჩვენგან უღროოდ წასულს, მის ქალიშვილს, ქ-ნ ნანას; გადაუციათ სტამბისათვის 1991 წელს და, რამდენადაც ვიცი, თუ არა ბ-ნი ვაჟა შენგელიას დიდი მონღომება, წიგნს როდის ენახავდი, ღმერთმა უწყის. . .

დღევანდელ სამეცნიერო სესიის მიძღვნაც ბ-ნი ანტონისადმი მეტწილად იუნსტიტუტის ღირექციის დამსახურებაა და ამაში მათ მაღლობა ეთქმის. . . მაღლობა ეთქმის იმისათვის, რომ ბ-ნი ანტონის გახსენებით, აღნუსხვით მისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისა, კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, თუ როგორი გახლდათ იგი, – ბრწყინვალე მეცნიერი და მოქალაქე. . .

ახლა გამოვლენ სხეებიც. . . მოიგონებენ ბ-ნი ანტონს მეტად თბილსა და იუმორით სავსეს პირად ცხოვრებაში, კოლეგისადმი მუდამ ხელგამლილს მისი ენციკლოპედიური ცოდნის გაცემაში. . . რამდენჯერ მივღვომივართ მას ამა თუ იმ საკიხთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიებისას. . . პასუხი მუდამ დადებითი და მზად ჰქონდა. . .

ჰოდა, ასეთ ადამიანს, ფრონტგამოვლილს, სიციცხლეში საჯაროდ ერთხელაც ვერ ვუთხარით მადლობა იმ დიდი შრომისათვის, რაც მან გასწია. . . ერთხელაც ვერა. . . მახსოვს, ერთ-ერთ საინსტიტუტო შეხვედრაზე აღვნიშნე, მისი, როგორც მეცნიერისა და ლექტორის, დიდი დამსახურება. . . მოგ სხვა საკითხსაც შეეხებ და უმალ პაგარა ბარათი მაახლა: „ჩემო გენადი! ბრწყინვალე მოხსენება იყო. ჩემი მხრივ უაღრესად მადლობელი ვარ ასეთი გულსხმიერებისათვის“.

ჩემთვის უხერხულია ჩენი მოხსენების „ბრწყინვალეობაზე“ საუბარი დღეს, მაგრამ ამ პაგარა ბარათში მთელი ბ-ნი ანგონია. . . მორიდებული და ადამიანურად გასაგები. მას, რომელსაც ჩვენგან დიდი მადლობა ეთქმოდა მისი მრავალრიცხოვანი მშვენიერი წიგნებისა თუ შრომებისათვის, მისი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ცხოვრებაში ეს არ ეღირსა. . . არადა, ერთხელ მაინც შევეკრებილიყავით. . . გვესაუბრა, როგორც დღეს, მიუფერებოდით. . . ამით ეგების სიციცხლის დღეებიც გახანგრძლივებოდა. თუმცა 1984 წელს, მახსოვს, ბ-ნი ბესარიონ ჯორბენაძე გახლდათ მაშინ ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, გადაეწყვიგეთ, ალგვენიშნა ბ-ნი ანგონის დაბადებიდან 70 წელი. . . თემისეზიცი კი შეიკრიბა, მეც მქონდა წარდგენილი „რეპრეზენტული მრავლობითისათვის ქართულში“ (შემდეგ სტატიის სახით დაიბეჭდა). . . რატომღაც ამ მშვენიერ წამოწყებას ვეგოდაელო. . .

რატომ?

იგყვიან, მაშინ სხეებისაც უნდა აღნიშნულიყო. . . მერედა, აღნიშნულიყო. . . ვილაყით ხომ უნდა დაწყებულიყო. . . კარგი გრადიყიაა ახლა თსუ-სა და სულხან-საბას პედაგოგიურ უნივერსიტეგებში. . . სანამ ცოცხლები ბრძანდებიან ჩენი ღრმად პატიყეგებული კოლეგები, მანამაა საჭირო ამ დიდი ღეაწლის თუნდაც ასე, შინაურ წრეში აღნიშენა. . . გარდაცვალებულსაც სჭირდება მოგონება, გახსენება, რა თქმა უნდა, მაგრამ არანაკლებ, ვფიქრობ, ცოცხლებსაც. . .

რამდენიმე ეპიზოდი მინდა მოვიგონო ბ-ნი ანგონთან დაკავშირებით. . .

ბ-ნი ვარლამ თოფურია რომ ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ ასპირანტურაში, ეს ბ-ნმა ანგონმა კარგად იყოდა. . . ამიგომ მიყუებოდა ზოგჯერ მის შესახებ. . . უყვარდა ძალიან ბ-ნი ვარლამი, ჩანდა მასწავლებლის დიდი სიყვარული და რიდი (შინაგანად უხაროდა კიდევ მათი დაბადების დღე რომ ემთხვეოდა ერთმანეთს). . . ერთხელ, როცა განყოფილების აფ-კარგვე ვსაუბრობდით, აღნიშნა – განყოფილებაში ცოგა საქმე როდი კეთდება და წარმოიდგინთ, ბ-ნი ვარლამი რომ ყოფილიყო ხელმძღვანელი, მაშინო. . . 1960 თუ 61 წელი იყო, როცა ე.წ. შეთავსებებით მუშაობა აიკრძალა. . . ან უნივერსიტეგი ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. . . მაშინ ბ-ნმა არნოლდმა დაგოვა უნივერსიტეგი, მის მიერ დაარსებული კათედრა ბ-ნი გიორგის გადაულოცა, ინსტიტუტიდან კი წაყიდა ბ-ნი ვარლამი, მაგრამ იგი უნი-

ვერსიტეტში დარჩა... არადა, ბ-ნი ვარლამი 1941-1961 წლებში, აკაკი შანიძის შემდეგ, 20 წელს განაგებდა ქართველურ ენათა განყოფილებას. . . როცა შეთავსებების საკითხი დადებითად გადაწყდა, ღირეციამ, ჩანს, ბ-ნ ანტონს დაავალა, ხლებოდა ბ-ნ ვარლამს და ეთხოვა დაბრუნება. . . ბ-ნი ვარლამი ამის მოსმენისას წამოწითლებულა. . . სასტიკი უარი განუცხადებია დაბრუნებაზე. . . ბ-ნი ანტონისაგან მახსოვს დანაწევრებით თქმული: მე მოწაფე ვიყავი ბ-ნი ვარლამისა. . . არ უნდა გაეევგზავნე. . . ინსტიტუტის ხელმძღვანელობა თვით უნდა გარჯილიყო ამაზე და თავად ხლებოდაო. .

არადა, ბ-ნი ანტონის გაგზავნა გამართლებული იყო, იგი ხომ ერთი საყვარელი მოსწავლეთაგანი ბრძანდებოდა ბ-ნ ვარლამისა, მაგრამ ბ-ნი ანტონი უფრო შორსა და ღრმად იხედებოდა. . . ბ-ნი ვარლამის არყოფნაში ხომ განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი ივ. გიგინეიშვილი გახლდათ 1961-65 წლებში... განა ბ-ნი ვარლამი იკადრებდა ამ სიტუაციაში დაბრუნებას. . . ბ-ნ ივანესთან მისი დამოკიდებულება ხომ ცნობილია . . . და სხვა რამეც.

ბევრი რამ შეიძლებოდა კიდევ მეთქვა... მაგრამ სხვა დროს... ერთს ვიტყვი მხოლოდ: როცა ბ-ნმა ანტონმა 1984 წელს უკვე მეხუთედ გამოსცა "ქართული ენა (პრაქტიკუმები)", მომიძვნა წარწერით: "ძვირფას გენადის ძმური სიყვარულით – ანტონისაგან"...3. II.84 წ. აქაც გულუხვი გახლდათ ბ-ნი ანტონი..."ძმური სიყვარულით"-ო, თავის უმრწემეს კოლეგას მაშინ მომმართა, როცა ყველაზე უფრო მჭირდებოდა იგი... ჩემი შეჭირვების ეამს... ამისათვის მისი დიდი მადლობელი ვარ და ვიქნები მუდამ...

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ახალი ორგანო

ამ ორმოცი წლის წინათ დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი თავის საპროგრამო წერილში „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში“ აღნიშნავდა: „ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გავრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომაც, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს. საქართველო უნდა ამ ენების კვლევა-ძიების უმთავრეს ცენტრად ვაქციოთ“.

ახლა დიდი მეცნიერის ნაამრევი.

ქართველური და მთის კავკასიური ენების შესწავლა ისე თვალსაჩინოდ წავიდა წინ, რომ საჭირო გახდა საერთო-საკავშირო საენათმეცნიერო ორგანოს დაარსება. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით შეიქმნა

კიდევ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“. მისი ხელმძღვანელობა დაეკისრა რედკოლეგიას, რომელიც დამტკიცებულია საკავშირო აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ბიუროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში მომუშავე ცნობილი ენათმეცნიერები: ვ. აბაევი, ს. ბარხუდაროვი, ი. ღემურიევი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), მ. კუმახოვი (მოსკოვი), რ. გაიდაროვი, უ. შეილანოვა, პ. მურყელინსკი (მაჰაჩყალა), ზ. კერაშევა (მაიკოპი), ბ. ბალკაროვი (ნალჩიკი), ი. ოზლოევი (გროზნო), შ. არისტაევა (სოხუმი), გ. თოფურია, ქ. ლომთათიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ა. მაჰომეტოვი (პასუხისმგებელი მდივანი), გ. როგავა, ლ. სანიკიძე, ვ. ფანჩიძე, ბ. ფოჩხუა, არნ. ჩიქობავა (თბილისი). „წელიწდეულის“ მთავარი რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი არნ. ჩიქობავა.

„წელიწდეული“ რეგულარული ორგანოა. უკვე გამოვიდა მისი ორი ტომი: პირველი – 1974 წ., მეორე – 1975 წელს.

„წელიწდეულის“ პირველი ტომი იხსნება არნ. ჩიქობავას წერილით „წელიწდეული“, მისი მიზანი და ზოგადლინგვისტური საფუძვლები“. აქ საუბარია: „წელიწდეულის“ მიზანსა და იბერიულ-კავკასიური ენების მიმართ გამოყენებულ ტერმინებზე, ამ ენათა შედგენილობასა და შესწავლის ძირითად ეტაპებზე, პრინციპულ ზოგადლინგვისტურ საფუძვლებზე. წერილში ნათლად გამოჩნდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პოზიცია: „ენის მეცნიერული შესწავლა ენის ისტორიასაც გულისხმობს და აღწერით ანალიზსაც (გვ. 20). მაშასადამე, მეცნიერულად გაუმართლებელია როგორც სტრუქტურული მიდგომის უნივერსალიზაცია, რაც ამჟამად შეინიშნება, ისე, ფუნქციონალიზმის უნივერსალიზაცია, რაც შეინიშნებოდა ახლო წარსულში“ (იქვე).

„წელიწდეულის“ პირველი ტომი ძირითადად მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული ფონეტიკისა და ფონოლოგიის საკითხებს ეძღვნება. ამ ტომში დასტავებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისადმი მიძღვნილ მეორე რეგიონალურ სესიაზე (ასეთი სამეცნიერო სესია კი 1965 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. მეორე სესია 1967 წელს თბილისში ჩატარდა) მოსმენილი 20 მოხსენება. აქვეა მოსკოველ, მაჰაჩყალელ, მაიკოპელ, ბაქოელ და თბილისელ ენათმეცნიერთა გამოკვლევები.

ამავე ტომშია შესული სხვა ავტორთა წერილებიც, რომლებშიც ანალიზის საგანი იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ესა თუ ის საკითხია.

I ტომს ერთვის იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასიფიკაცია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე; იქვეა „წელიწდეულში“ გამოყენებული ლათინური გრანსკრიფცია და კავკასიის რუკა. ყოველ

წერილს ახლავს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (თუ წერილი ქართულ ენაზეა, მაშინ რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ამ ტომში გამოქვეყნებულ წერილთაგან აღენიშნაეთ მხოლოდ ორი-ოღეს.

არნ. ჩიქობავას წერილში „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხები“ ცალკეა გამოსაყოფი დებულება, რომ ენათა ნათესაობა, უპირველეს ყოვლისა, წყდება ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე; უკეთ, ფორმანტა და ძველისძველი, საკუთარი ლექსიკის ერთობით. ამიგომაცაა აუცილებელი ჯერ შესადარებელ სიტყვათა მორფემული შემადგენლობის ანალიზი: მარტივია თუ ნაწარმოები ფუძე (თუ ნაწარმოებია, რა ფორმანტები გამოიყოფა – პრეფიქსი თუ სუფიქსი), ხოლო, თუ ფუძე რთულია, როგორია მისი მარტივი შემადგენელი ფუძეები. შემდეგ:

კანონზომიერი ბევრათშესაგყვისობანი სხვა არაფერია, თუ არა შედეგი ერთი ბგერის მეორეთი სისტემური შენაცვლებისა (გადასვლისა). იგი შედარების ეფექტური საშუალებაა (საშუალება და არა თვითმიზანი). კანონზომიერი ბევრათშესაგყვისობანი შეიძლება არ გამოვლინდეს ერთი ჯგუფის ენათა შორისაც კი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნათესაობაზე ეჭვიც კი არ შეაქვთ. ეს მით უფრო ითქმის ჯგუფთაშორისი გენეზისური ურთიერთობის შესახებ. ამისი მიზეზი კი ისაა, რომ დიფერენციაციის პროცესს ჩრდილავს ინტეგრაციის პროცესი, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ჩვენში, კავკასიაში, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე ბევრი ენა იყრის სოლმე თავს, მონათესავე თუ არამონათესავე; ერთ შემთხვევაში სტრუქტურულად, მსგავსი, მეორე შემთხვევაში – მკვეთრად განსხვავებული.

ქ. ლომთათიძის წერილში „მახვილის სიტყვათა და ფორმათა განსხვავებული ფუნქციისათვის აფხაზურსა და აბაზურში“ დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ აფხაზურსა და აბაზურში სხვადასხვა სემანტიკის მქონე ფუძეთა განსხვავება, რომელიც დღეს მახვილით ხერხდება, მოჩვენებითია. ამოსაეულია წარმომობით სხვადასხვა ფუძე, რომლებიც აფხაზურის მოგ დიალექტს შემოუნახავს. ასევე ჩანს ერთი და იმავე ფუძის მნიშვნელობით დაპირისპირებულ სახეობებშიც. აქაც განსხვავებული ფუძეები უნდა გვექონოდა, რომელთაც მახვილი განსხვავებულ ადგილას მოუდიოდა და სხვ.

ორჯონიკიძელი მკვლევარის ნ. კულაევის წერილში „ოსური ენის კავკასიური სუბსტრატის შესახებ“ აღნიშნულია: სუბსტრატული მოვლენები ოსური ენის სინტაქსსა, მორფოლოგიასა, ფონეტიკასა და ლექსიკაში. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ოსური ენის ფორმირებაში მონაწილეობას იღებდა ორი კომპონენტი – ირანული და კავკასიური და რომ ოსური ენა ამ ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სუბსტრატის საფუძველზე.

„წელიწადულის“ მეორე ტომი ეძღვნება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვი-

ლის ხსოვნას და იხსნება წერილებით: არნ. ჩიქობავა „აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას (1876-1940)“ და ქ. ლომთათიძე „ივ. ჯავახიშვილი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები“, რომლებშიც ავტორები აღნიშნავენ ივ. ჯავახიშვილის დიდ ღვაწლს არა მარტო ქართული მეცნიერების წინაშე, არამედ, საერთოდ, ქართველი ერის წინაშე.

ამ გომში ძირითადად დაბეჭდილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-მედარეობით შესწავლისადმი მიძღვნილი II რევიონალური სამეცნიერო სესიის (სესია ჩატარდა 1969 წ. ქ. გრომნოში) მასალები. აქ წარმოდგენილია მოსკოველ, მაჰაჩყალელ, მაიკოპელ, სოხუმელ, გრომნოელ, ჩერკესკელ, ორჯონიკიძელ, ბაქოელ, კიროვობადელ და თბილისელ მეცნიერთა წერილები. ამავე გომში დაბეჭდილია, აგრეთვე, სხვა წერილებიც.

მეორე გომს ერთვის: 1. სია (რუსულ საქციალურ ლიტერატურაში იბერიულ-კავკასიურ ენათა აღსანიშნავად გამოყენებული სინონიმური) გერმინებისა. 2. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ ცალკე გამოქვეყნებული წიგნების ბიბლიოგრაფია (1917-1972 წწ.). აქ გამოქვეყნებულ წერილთაგან შევხებით რამდენიმეს.

არნ. ჩიქობავას წერილში „დარგობლივი ლექსიკა და მათი შესწავლის მეცნიერული აქტუალობა“ ნათლადაა ნაჩვენები, რომ დარგობრივი ლექსიკა ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებებთანაა მჭიდრო კავშირში და რომ მას დღესაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, სალიტერატურო ენების გამდიდრებისა თუ გერმინოლოგიის თვალსაზრისით.

სტაგიაში თეორიულ საკითხთა გვერდით წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკაში გამოვლენილი ზოგი საერთო ლექსემა. მაგალითად, „მტრედის“ მიერ გამოცემულ ხმას ქართულში „ლულუნი“ ჰქვია: მტრედი ლულუნებს. ზოგ ანდიურ ენაში კი (ახვახურში, ბოთლიხურში) „ლურდუნ“ „მტრელსა“ ნიშნავს. ხუნძურში ჩუ „ცხენია“. ამ ძირის შემცველი სიტყვებია აფხაზურსა და ადიღეურში, ქართულში კი ცხენის აჩქარებისას ამბობენ ხოლმე აჩუ (აჩუ, ცხენო!). მართალია, „აჩუ“ დღეს შორისდებულია ქართულში, მაგრამ მისი შედარება გემოთ აღნიშნულ ენობრივ მონაცემებთან ცხადყოფს, რომ ის ძველად მნიშვნელობის მატარებელი ლექსემა უნდა ყოფილიყო.

კვირის დღეების, თვეების სახელწოდებანი კავკასიის ხალხებს საკუთარი უნდა ჰქონოდათ. იგი შენარჩუნებულია ზოგ ენაში, ზოგან კი – გამოდევნილია. მაგალითად, ქართულში კვირის დღეების სახელწოდებანი საეკლესიო გერმინებს შეუცვლია, როცა მეგრულში მხოლოდ „შაბათის“ აღმნიშვნელი სახელი გამოაძევა ბერძნულმა საბათონ-მა, დანარჩენ დღეთა საკუთარი სახელები კი შემორჩენილია. თვეების სახელწოდებებად ქართულში ფაქულტატურად იხმარება საკუთრივ ქართული გერმინებიც, როგორცაა თიბა-თვე „იენისი“ მკათა-თვე „იელისი“, მწიფობის-თვე „სე-ქემბერი“, ღვინობის-თვე „ნომბერი“ და სხვ.

ქ. ლომთათიძის წერილშიც „თვეთა სახელწოდებანი აფხაზურსა და აბაზურ ენებში“ ნაჩვენებია, რომ აფხაზურ-აბაზურ თვეთა ძველი სახელწოდებანი დაკავშირებულია სამეურნეო ყოფასთან, ბუნების მოვლენებთან, რელიგიურ რწმენასთან.

ქ. ლომთათიძის სხვა წერილში „აფხაზურისა და აბაზურის ძირთა და ფორმანგების ამოსავალი გიჰი“, რომელიც ძირითადად დებულებათა სახითაა გადმოცემული, ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ენების ძირთა და ფორმანგთა გიჰი საგრძნობლად განსხვავდებოდა მათი ისტორიულად ამოსავალი გიჰისგან.

გ. როგავას ნაშრომში „ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“, გამოარებულია დებულება, რომ ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნებთან ქართველურ ენებში ენის შინაგანი განვითარების შედეგია და არა ინდოევროპულ ან სხვა ენათა გავლენისა, როგორც ამას ზოგი უცხოელი მკვლევარი (გ. დეეტერსი, პ. ფოგტი, კ. შმიდტი) ვარაუდობს. ავტორის აზრით, ამ დებულებას მხარს უმაგრებს ის, რომ ა) იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებობს ლაბილური კონსტრუქციის ზმნები, ბ) ქართველურ ენებში, ისე როგორც რიგ სხვა ოჯახის ენებში, დროის კატეგორია ისტორიულად მეორეულია; მას წინ უსწრებდა ასპექტის კატეგორია. ამ დებულებათა საფუძველზე ავტორს სარწმუნოდ მიაჩნია გერმანელი ენათმეცნიერის გ. პეჩის მოსაზრება, რომ დროკილოთა პირველი ჯგუფის გარდამავალი ზმნები ისტორიულად გარდაუვალი, ერთპირიანი ზმნებია.

დასკვნა: ნომინატიური და დატიური კონსტრუქციის გარდამავალი ზმნები სინამდვილეში ფსევდო-გარდამავალი ზმნებია. ქართველურ ენებში ისტორიულად გარდამავალი ზმნები მხოლოდ ერგატიული კონსტრუქციისა უნდა ყოფილიყვნენ.

საყურადღებოა ლ. სანიკიძის წერილი „ადამიანისა და ნივთის სემანტიკური კატეგორიებისათვის სომხურ ენაში“. ცნობილია, რომ სომხური დღეს არ განარჩევს გრამატიკულ სქესს, რომელიც ისტორიულად მას უნდა ჰქონოდა. გრამატიკული სქესის გაქრობის ხელმეშვეობ ფაქტორად ა. მიეი და გ. დეეტერსი, დაბოლოების მოკვეცასთან ერთად, ისტორიული სომხეთის ადგილობრივ მკვიდრთა გავლენას მიიჩნევენ და ამ თვალსაზრისით პარალელს აეღებენ ქართველურ ენებთან. მკვლევრის დაკვირვებებით, ამ მოსაზრების სასარგებლდ მეტყველებს სახელთა სემანტიკური დაჯგუფების საერთო პრინციპი სომხურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ქართველურ ენათა კითხვით ნაცვალსახელებში ადამიანის (პიროვნების) კატეგორია ნივთის კატეგორიისაგან სემანტიკურადაა გარჩეული: ვინ და რა. ასევეა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. ოლონდ, იქ ასეთი დაპირისპირება თავს იჩენს მორფოლოგიურ სისტემაშიც.

ასევე: ადამიანისა და ნივთის გარჩევა ნაცვალსახელებში გეჰონდა ძველ

სომხურში და გვაქვს დღესაც. ადამიანისა და ნივთის სემასიოლოგიური კატეგორიები იქ განირჩევა სახელთა ბრუნებაშიც.

ხომ არ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ადამიანისა და არაადამიანის სემანსიოლოგიური დაპირისპირება სომხურისათვის ოდინდელი დამახასიათებელი მოვლენაა და არა სუბსტრატული, როგორც ამას ავტორი ფიქრობს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ის, რაც სომხურს აახლოებს ინდოევროპულ ენებთან, შესაძლოა, სომხურში თავდაპირველი ბუნებისა არც კი იყოს. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, საინტერესოა აკუმატივის, (ბრალდებითი ბრუნვის) საკითხი ძველ სომხურში. აკუმატივი იქ პრეფიქსით აღინიშნება, როცა ინდო-ევროპულ ენებში სუფიქსი იხმარება. ამდენად, აკუმატივი სომხურისათვის თავდაპირველად უცხო უნდა ყოფილიყო.

სპეციალისტთათვის უდავოდ საინტერესოა „წელიწდეულის“ ამ ტომებში დაბეჭდილი სხვა წერილებიც, რომლებიც სათანადო მეცნიერულ დონეზეა.

„წელიწდეულის“ რეგულარული გამოსვლა სცილდება ვიწრო დარგობლივ ფარგლებს. იგი იმდენად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველ ენათმეცნიერთა, და არა მარტო ენათმეცნიერთა ცხოვრებაში, რომ ამის თაობაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ე. ხარაძემ საგანგებოდ მოახსენა კიდევ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ დაარსება კიდევ ერთი აღიარებაა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინისა, ხოლო ამ ორგანოს თბილისში გამოსვლა – იმ დიდი შრომისა, რასაც წარმატებით ეწევიან ამ დარგში მომუშავე ქართველი ენათმეცნიერები.¹

1. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, № 101(11359), 25. V, ცხინვალი, 1976, გვ. 4.

საეგაპო ნაშრომი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა აკადემიკოს არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“; იგი ორგანული გაგრძელებაა მისივე სახელმძღვანელოსი „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, რომელიც 1965 წ. დაისტამბა. ორივე მონოგრაფია იმ თეორიული საენათმეცნიერო კურსების ჩამოყალიბების შედეგადაა შექმნილი, რომლებიც იკითხება ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ ორივე კურსი, ისევე როგორც საუნივერსიტეტო კურსები ხუნძურისა, ლაკურისა, უდიურისა, ბაცურისა, ადიღურისა (აფხაზური ადრეუკითხებოდა) პირველად იქნა შემოღებული ჩვენში, კავკასიურ ენათა განყოფილებაზე 1934 წლიდან.

ეს არ იყო შემთხვევითი.

ამ 45 წლის წინ ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ თბილისის უნივერსიტეტს „დაარსების პირველ დღითვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“. ამიგომაც იყო, რომ ი. ჯავახიშვილმა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევათა სამგომეულიდან, რომლის საერთო სათაურია „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, მეორე წიგნად ჩააფიქრებული „ქართული და

მთის კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ყველაზე ადრე გამოაქვეყნა, რადგან, მისივე თქმით, „ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემა ყველაზე რთულსა და თანაც ძირითად ამოცანას წარმოადგენს“.

ეს გასაკებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ცნობილ ფაქტს, რომ ენაა ის ფენომენი, რომელშიაც მისი მაგარებული ხალხის ისტორიული განვითარება ასახული...

ენას კი ენათმეცნიერება შეისწავლის: „...ენის შესწავლა გულისხმობს ენის მიმართებას კულტურასთან და აზროვნებასთან; ენის ისტორიის მიმართებას კულტურის ისტორიასთან და აზროვნების ისტორიასთან“.

სარეცენზიო წიგნი ანალოგიურია ი. ჯავახიშვილის „ქართული და მთის კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობისა“, რომელმაც თავის დროზე ეპოქა შექმნა კავკასიათმცოდნეობაში. მაგრამ, როგორც ცნობილია, იგი ემყარებოდა იმდროინდელ სპეციალურ ლიგურაგურას, რომელიც სრული არ იყო და ვერც იქნებოდა: ზოგი ენის შესახებ აეგორს ხელთ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები ჰქონდა. მართებულად შენიშნავდა ამის თაობაზე არნოლდ ჩიქობავა ი. ჯავახიშვილის აღნიშნულ

მონოგრაფიაზე დაწერილ საგაზეგო რეცენზიაში 1939 წ.: „ჩვეულებრივ ფსიქოლოგს, ფილოსოფოსსა თუ ისტორიკოსს ხელთ დამუშავებული ენათმეცნიერული მასალა აქვს. სამწუხაროდ, ამისი თქმა არ შეგვიძლია ქართულურ, მით უფრო, სხვა კავკასიურ ენათა შესახებ.“

დღეს კი ყველა იბერიულ-კავკასიური ენაა ინტენსიური კვლევის საგანი, როგორც ჩვენში, საქართველოში, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში: მოსკოვსა და ლენინგრადში მაჰაჩყალასა და მაიკოპში, გროზნოსა და ნალჩიკში, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ბაქოში... შეისწავლება ეს ენები უცხოეთშიც. დაიწერა არა ერთი საფუძვლიანი მონოგრაფია... ზოგი შემაჯამებელი სახის ნაშრომიც შეიქმნა. ასე რომ, ისეთი განმზოგადებელი სახის ნაშრომისათვის, როგორც სარეცენზიო მონოგრაფიაა, საკვლევი მასალის თვალსაზრისით შეუდარებლად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ იყო, როცა ი. ჯავახიშვილის აღნიშნული მონოგრაფია იწერებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არნ. ჩიქობავა თვითაა ავტორი რიგი ფუნდამენტური მონოგრაფიისა თუ გზამკვლევი ცალკეული გამოკვლევისა, როგორც ქართველური, ასევე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის შესახებ.

ამიგომაცაა სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ყოველი დებულება თუ განზოგადება-დასკვნები დამყარებული იბერიულ-კავკასიურ ენათა კონკრეტულ მასალაზე. ამ მხრივაც ნაშრომს ბადალი არ მოეპოვება.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ უპირველესად ს ა ხ ე ლ მ ძ ვ ა ნ ე ლ ო ა და ავტორიც სათანადო მასალას გადმოსცემს აუდიტორიის მომზადებისა და ცოდნის კვალად. ივარაუდება, რომ სტუდენტებმა უკვე მოისმინეს „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“... იცნობენ სათანადო ცნებებს... მათ მოსმენილი აქვთ ქართულ-ქართველურ ენათა, აფხაზურისა და ადიღურის, ხუნძურისა და უდიურის, აგრეთვე, ზოგი სხვა ენის მეცნიერული კურსები.

მთელი მასალა წიგნში ისე გადმოცემული, რომ „სტუდენტს აზროვნება ასწავლოს“; ესაა უპირველესი: „ინფორმაციის სისრულეს ვერავითარი სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს (შესასწავლს რა გამოლევს). ცოდნის შევსებას კი ახალგაზრდა შემდეგშიც შეიძლება, თუ მთავარი იცის და აზროვნება თავის დარგში შეუძლია“.

მონოგრაფიაში დასმული საკითხების გასაგებად და უბრალოდ გადმოცემა არ ნიშნავს სათანადო მასალისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების სიმარტივეს. სარეცენზიო წიგნში დასმული და გადაწყვეტილი პრობლემები (საკითხები) ფუნდამენტურია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის.

მხოლოდ ზოგიერთი საკითხის შესახებ:

იბერიულ-კავკასიურ ენებში ხმოვანთა რაოდენობა მერყევიანია; იგი ორი-

დან (აფხაზური) – ორ ათეულამდე აღწევს (სიანურის ბალსმემოური კილო, დალესტურ ენათაგან გინდიური და ბაგვალალური...), ხმოვანთა ასეთი მერყეობა კი გამოწვეულია სადა ხმოვანთა პოზიციური ცვლით: მათი ნაირგვარობანი (ნაზალიზაცია, პალატალიზაცია, ფარინგალიზაცია...) მეორეულია; ამოსავალი ვითარება ხმოვანთა სისადაევა.

ასევე მეტ-ნაკლები სირთულით ხასიათდება იბერიულ-კავკასიურ ენათა თანხმოვანთა სისტემა. მაგალითად, თუ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სულ 28 თანხმოვანია, უბიხურსა და აფხაზური ენის გაკანთურ დიალექტში თანხმოვანთა რიცხვი 80-ს აჭარბებს. აქაც, ამოსავალში კონსონანტიზმის მარტივი შემადგენლობაა საგულეებელი.

ამავე თავშია საუბარი რეგულარული ბევრათმესაკვეთისობის საკითხზე იბერიულ-კავკასიურ ენებში. აღნიშნულია ყველა ის სირთულე, რაც ამ დროს იჩენს ხოლმე თავს. მიუხედავად ამისა „კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებები ამ ენებს ისევე ახასიათებს, როგორც სხვა ენებს. ოღონდ მათი მიკვლევა ბევრად უფრო ძნელია, ვინემ სხვა მონათესავე ენებში“. ამის თაობაზე ჯერ კიდევ სამოციოდე წლის წინ მიუთითებდა არნ. ჩიქობავა: „თანდაყოლილ ცოდებათა“ გამო კავკასიურ ენათა შესწავლა იმ სახით ვერასოდეს ჩამოყალიბდება, როგორც ინდო-ევროპულ ენათა შესახებ მოძღვრება“, ხოლო ამ „თანდაყოლილ ცოდებებზე“ მიჩნეულია ის, რომ „კავკასიურ ენათა დიდი წილი მწერლობას მოკლებულია ან მოკლებული იყო დღემდე: უმწერლობო ენა ვერასოდეს ვერ მისცემს შედარებით მეტოდს იმ გასაქანს, რასაც იგი ჰპოვებდა ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას“.

შემდეგ ავგორი მსჯელობს სხვა სიძნელებზეც, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია ის, რომ შესადარებელ ენებში ვხვდებით სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ფაქტებს და, არნ. ჩიქობავასავე გამოთქმით, საჭიროა მათი „ისტორიული გაერთმნიშვნელობა“.

დასკვნაა: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებისას შესადარებელი ფაქტების ისტორიული გაერთმნიშვნელობა ისევე ძნელია, როგორც აუცილებელი“.

მაგრამა ძნელი არ ნიშნავსა შეუძლებელს; ამ სიძნელეთა გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ ენათა გამოწვლილვითი შესწავლისა და მიღებული შედეგების განზოგადების გზით: ცალკეული ენებიდან ენათა ჯგუფებამდე და შემდგომ ჯგუფთაშორისი შედარება.

ეს უდევს კვლევის პრაქტიკას საფუძვლად იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. ბუნებრივია, რომ ამ დროს აღდგეს ე. წ. ვარსკვლავიანი ფორმებიც, ოღონდ, ყველა ასეთი ფორმა უნდა ასახავდეს ენაში „... ისტორიულ ცვლათა რეალურ კანონზომიერებებს“.

ჩვეთია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პოზიცია.

მონოგრაფიის შემდეგ თავში, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა

მორფოლოგიისა და ისტორიის ზოგ საკითხებს ეძღვნება, ნაჩვენებია, რომ ა) იბერიულ-კავკასიურ ენათა ფორმაცევალებადი სიგყვა ავლუგინაციის პრინციპს ემყარება: „რამდენი ფორმანტიც გვაქვს სიგყვაში, იმდენი გრამატიკული მნიშვნელობაც უნდა გვექონდეს. და – პირუკუ“; ბ) მართალია, აღნიშნულ ენებში ფორმანტებად პრეფიქსებთან ერთად სუფიქსებიცა გვაქვს, მაგრამ „პრეფიქსიანი წარმოება უფრო ძველია, სუფიქსიანი უფრო ახალი“.

ამ პრინციპთა დადგენით „რაიც არნ. ჩიქობავამ ამ წიგნის გამოქვეყნებამდე ბევრად უფრო ადრე წარმოადგინა“, იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის ბევრი საკვანძო თუ კონკრეტული საკითხი პოეებს მართებულ გადაწყვეტილებას.

სარეცენზიო ნაშრომში ერცლადა განხილული გრამატიკული კლასკატეგორიის საკითხი. ეს გასაგებია; აღნიშნული კატეგორია „ძველად იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელს მორფოლოგიას გამსჭვალავდა“.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში არის ქართველური ენები, რომელთაც დღეს არ გააჩნიათ მოქმედი გრამატიკული კლასების სისტემა (ასეა ზოგ დაღესტნურ ენებშიც... აღიდურში, უბისურში); არ გააჩნდა იგი არც ძველ ქართულს. სწორედ ესაა ამოსავალი იმ მკვლევართათვის, რომელიც ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობას ეჭვის ქვეშ აყენებს. ისინი „ქართველურ ენებს... მთის კავკასიურ ენებს უღარებდნენ და უღარებენ იმ სახით, რაც მათ ახლა აქვთ“.

ასეთ შემთხვევებში კი ყურადღების მიღმა რჩება „...ერთი ზოგადი დებულება, რომელიც ჯერ კიდევ ა. შლაიხერმა წამოაყენა, შედარებისას შესადარებელ მოვლენათა ისტორია უნდა გავითვალისწინოთ“.

ქართველურ ენათა ისტორიის გათვალისწინებამ კი ნათელყო, რომ წინათ ამ ენებშიც გვექონია გრამატიკული კლასების მიხედვით გარჩევა, მსგავსად, მაგალითად, აღიდური ენებისა.

ამას მოსდევს სახელისა და გმნის კერძობითი მორფოლოგიური კატეგორიების ანალიზი; ჯერ სახელის მორფოლოგიაა წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ – გმნისა.

მორფოლოგიაში მკაფიოდაა წარმოჩენილი, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში „აკუმატივის უქონლობა, ერთი მხრივ, ერგატივის მქონეობა, მეორე მხრივ, ნიშანდობლივია ბრუნვათა შედგენილობისათვის“.

გმნა ერთი ურთულესი გრამატიკული კატეგორიაა ენაში. განსაკუთრებით ეს ითქმის იბერიულ-კავკასიურ ენათა გმნაზე, რომელიც ზოგ ენაში „მესიგყვებაა მინიაგურაში“, ასე, მაგალითად, ძველ ქართულში გმნაა განმსაზღვრავი მარტივი წინადადების სტრუქტურა-მექანიზმისა – შენიშვნავს სხვაგან არნ. ჩიქობავა.

ამიგომბა, რომ ჩვენი ენები გმნურ კატეგორიათა მიხედვით ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, და მაინც, რიგი კატეგორიულ საერთოა. ასე, მაგალითად:

„დროისა და კილოს კატეგორია ყველა იბერიულ-კავკასიურ ენებში მოგვეპოვება. დროსთან ხშირად შერწყმულია ასპექტის კატეგორია; იგი უფრო ძველი ჩანს დროის კატეგორიასთან“. დავსძენდით, რომ დროული ფორმები ასპექტურზეა ხოლმე დაფუძნებული, როგორც ეს თავის დროზე ქართველურ ენათა მასალის მიხედვით დაადგინა არნ. ჩიქობავამ. სწორედ ამაზე მიუთითებდა ი. მეუზანიანი: „ქართველურ ენებში ასპექტის არსებობის დადგენა გათვალისწინებული უნდა იქნეს ურარტულში გამოყოფილი ორი დროის ფორმათა ანალიზის დროს“.

ნაშრომის ამ ნაწილში ნათლადაა ნაჩვენები, რომ უღვლილების სამი ტიპი – 1. კლასოვანი, 2. კლასოვან-პიროვანი, 3. პიროვანი – იბერიულ-კავკასიურ ენათა უღვლილების პროცესის განვითარების სამ საფეხურს წარმოადგენს: 1. ამოსავალია კლასოვანი უღვლილება, 2. კლასოვან-პიროვანი უღვლილება განვითარდა კლასოვანი უღვლილების გართულებით, 3. პიროვანი უღვლილება ესაა კლასოვან-პიროვანი უღვლილების გამარტივების შედეგი. რაა ასეთი ცვლილების მიზეზი? – ამაზე მონოგრაფიაში ამომწურავი პასუხია: „მოიშალა გრამატიკული კლასების კატეგორია, გმნა კლასების მიხედვით ცვლას ვერ განაგრძობდა, ენაში კლას-კატეგორიის მოშლას გმნაში კლასოვანი უღვლილების მოშლა უნდა გამოეწვია“.

მონოგრაფიის ბოლო თავი ეთმობა იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსური სისტემისა და ისტორიის ზოგად საკითხებს; აღვნიშნავთ მხოლოდ ორს:

1. იბერიულ-კავკასიური ენების წინადადებათა კონსტრუქციითაგან ყველაზე სპეციფიკური ერგატიული კონსტრუქციაა, რაც შეპირობებულია გარდამავალი გმნის თავისებურებით. მაშასადამე, „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში გარდამავალი გმნის პრობლემაა“.

2. გარდამავალი გმნის თავისებურებაზე სპეციალურ ლიგურატურაში ძირითადად სამი, არსებითად ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებაა: ზოგი (პ. უსლარი, პ. შუხარდგი, ნ. მარი, ერთგვარად ი. მეუზანიანი, კ. ულენბეკი) ვარაუდობს, რომ ერგატიულ კონსტრუქციაში გმნა პასიურია, ზოგიც (ს. ბიხოვსკაია, ნ. იაკოვლევი) – გმნას ასეთ შემთხვევაში აქტიურად თვლის.

არის შესაძენ თვალსაზრისიც: გარდამავალი გმნა ერგატიულ კონსტრუქციაში არც აქტიურია და არც პასიური. ასეთი გარდამავალი გმნისათვის უცხოა გვარების გარჩევა: იგი გვართა მიხედვით ნეიგრალურია.

ღებულება გარდამავალი გმნის ნეიგრალური ბუნების შესახებ იბერიულ კავკასიურ ენებში მეცნიერულად დაასაბუთა არნ. ჩიქობავამ.

დანართის სახით წიგნში „ზოგადი დასკვნაა“. აქ კიდევ ერთხელაა აღნიშნული ის, რასაც სარეცენზიო წიგნის გაყნობაც ნათლად აჩვენებს: იბერიულ-კავკასიურ ენებში „ერთობა იქ დადასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს.

ამით წყდება ძირითადი საკითხი, იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი; რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო”.

სარეცენზიო წიგნს ერთვის 1955 წ. ჟურნალ „გომროსი იაზიკომნაიას“ (№ 6) ფურცლებზე გამოქვეყნებული არნოლდ ჩიქობავას წერილი „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ“. ამ საპასუხო წერილში განხილულია იმ ავტორთა შეხედულებანი, რომლებმაც 1954 წ. სსენებულში ჟურნალის ფურცლებზე მიიღეს მონაწილეობა დისკუსიაში იბერიულ-კავკასიურ ენათა შიდა და გარე ნათესაობის შესახებ. რაკი იბერიულ-კავკასიურ ენათა შიდა ნათესაობის საკითხი ფაქტიურად სარეცენზიო წიგნის ძირითადი ნაწილია, ამიტომ ქვემოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა ენობრივ ჯგუფებთან ურთიერთობის, ანუ გარე ნათესაობის გარშემო, მიღებული დასკვნებით შემოვიფარგლებით. არნ. ჩიქობავას აზრით, „იბერიულ-კავკასიურ ენებთან შეიძლება დავაკავშიროთ წინა აზიის მხოლოდ ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენები... პირველყოფლისა, აქ უნდა იქნეს განხილული პროტოხეთური, ხურიტული, ურარტული“... რაც შეეხება ბასკურის იბერიულ-კავკასიურ ენებთან კავშირს, ივარაუდება ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. იქვე დასახულია ამ საკითხების კვლევის გზებიც.

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა ამჟამად რეალობაა. მის მეცნიერულ გადაწყვეტას მუხლჩაუძღვარი შრომა დასჭირდება არაერთი კავკასიოლოგ-ბასკოლოგისა. სამუშაო საშურია, მაგრამ არა საჩქარო. ნაჩქარე დასკვნებს, თუ რაოდენ მცდარ თვალსაზრისამდე მიუყვანია ენათმეცნიერება, ამის ნიმუშს ქართული (ქართველური) ენის სხვადასხვა ენობრივ ოჯახთან განკუთვნების ისტორიაც გვეუბნება. მაგრამ ისიც ცხადია, როგორც ამის თაობაზე წერს ერთგან არნოლდ ჩიქობავა, „ძნელი საკითხი არასოდეს გადაწყდება, თუ ის კვლევის საგანი არ გახლდა“.

ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი საენათმეცნიერო ჟურნალის რედაქტორი გეორგ გ. მაიერი არნოლდ ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავზე გერმანულ საენათმეცნიერო ჟურნალში არნოლდ ჩიქობავას სხვა დამსახურებასთან ერთად აღნიშნავდა იმასაც, თუ როგორი როლი შეეძლო ეთამაშა ენათმეცნიერებაში მის „მარტივი წინადადების პრობლემას ქართულში“, იგი რომ დასავლეთელ მეცნიერთათვის იმთავითვე ყოფილიყო ცნობილი და ხელმისაწვდომიო. ამასვე იგყვიან უთუოდ ქართულის არმცოდნე ის საბჭოთა თუ უცხოელი მკვლევრებიც, როცა ისინი „ახლად“ აღმოაჩენენ სარეცენზიო წიგნს. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, არნ. ჩიქობავას „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ რაც შეიძლება მალე უნდა ითარგმნოს რუსულსა და სხვა ევროპულ ენებზე, რითაც ყველას, ვისაც აინტერესებს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პრობლემატიკა, მოგადი თუ

კერძო ხასიათისა, ექნება გზის გამკვლევი წიგნი.

შესაძლოა, სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ზოგი კონკრეტული საკითხი მომავალში დაზუსტდეს, ზოგიც – ახალი გამოვლენილი მასალის გათვალისწინებით – სხვაგვარადაც გაშუქდეს, მაგრამ ამ ნაშრომის ძირითადი დებულებები არის და იქნება ორიენტირული და სტიმულის მიმცემი იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის შემდგომ საფეხურზე.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი საენათმეცნიერო დისციპლინის შექმნა, წინსვლა და განვითარება უპირველესად არნ. ჩიქობავას და მის მიერ შექმნილი ქართული კავკასიოლოგიური სკოლის სახელთან იყო და არის დაკავშირებული, რასაც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ამ საეტაპო ნაშრომის დასტავბეაყ ადასტურებს.¹

კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა საიუბილეო ფორუმი

უკვე მეათედ შეიკრიბნენ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წარმომადგენლები თავიანთ საერთო-საკავშირო ფორუმზე. ასეთი შეკრებები კი იმართება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, მოყოლებული 1965 წლიდან, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის რომელსამე ცენტრში.

აქამდე ენათმეცნიერებს მასპინძლობდა მაჰაჩყალა, თბილისი გროზნო, ნალჩიკი, ორჯონიკიძე, მაიკოპი, სოხუმი, ჩერკესკი, ამჟამად სესია ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ ცენტრში, გროზნოში გაიმართა 12-13 სექტემბერს.

ყოველ სესიას თავისი ძირითადი სამუშაო თემა ჰქონდა.

წლებანდეღ საიუბილეო სესიაზე მსჯელობა „ღიალექტთა ლექსიკური შემადგენლობის პრობლემისა და ღიალექტური ლექსიკონების დამუშავების“ ირგვლივ წარიმართა.

სესიის სამუშაო პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენათა გეგმაზომიერი კვლევის შედეგი გახლდათ.

ცნობილია, რომ კავკასიის ოღითგანვე „ენათა მთას“ ეძახდნენ; ცნობები ამის თაობაზე ჯერ კიდეე ანტიკური სამყაროდან მოდის. მართალია, კავკასიის მიწაწყალზე გვხვდება სხვადასხვა წარმომავლობის ენა, – ინდო-ევროპული (სომხური, ოსური, თალიმური, ქართული, რუსული, უკრაინული), ალთაური ანუ თურქულ-თათრული (აზერბაიჯანული, კუმიკური, ბალყარულიყარაჩული), სემიტური (არამეულ-სირიული), უნგრულ-ფინური (ესტონური), – მაგრამ მათი უმეტესობა სხვა გერიგორიაზეა გავრცელებული.

1. გამ. „ლიგერატურული საქართველო“, 22 იანვარი, თბ., 1982, გვ. 12.

იბერიულ-კავკასიური ის ენებია, რომლებიც დღეს მხოლოდ კავკასიაში წარმოდგენილი. ამ ენათა ოჯახიდან გამონაკლისი უბიხურია, რომელმაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქეთში გადაინაცვლა, ასევე, ზანური ენის ჭანური დიალექტის წარმომადგენელთა მეტი წილი დღეს თურქეთში სახლობს (აგრეთვე, ბასკური, რომელიც აღნიშნულ ენათა ოჯახის წევრია, არაა კავკასიის გერიტორიაზე).

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხ ჯგუფში (ქართველურსა, აფხაზურ-ადიღურს, ნახურსა და დაღესტნურში) სულ 33 ენაა; აქედან ერთი ძველი დამწერლობის მქონე (ქართული), ხოლო თერთმეც (აფხაზურს, აბაზურს, ადიღურს, ყაბარდოულს, ჩაჩნურს, ინგუშურს, ხუნძურს, დარგულს, ლაკურს, ლეზგიურსა და თაბასარანულს) დამწერლობა რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული, საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეექმნათ (თუმცა დაღესტნის ზოგი ენის დამწერლობის ნიმუშები, რომლისთვისაც არაბული ანბანია გამოყენებული, როგორც ამავე დაღესტნელი მკვლევრები შენიშნავენ, XV საუკუნიდან გვხვდება. ამავე საუკუნისაა ცნობილი ხუნძური ენის წარწერები, რომლებიც ქართული ანბანითაა შესრულებული. მართალია, ზოგი მთის იბერიულ-კავკასიური ენის ნიმუში XVIII საუკუნიდან გვაქვს, მაგრამ ასეთი ცნობები ფრაგმენტულია და ნაკლოვანი, თანაც არაბუსტი (მაგ., ასეთია ვრცელი ლექსიკური ჩანაწერები ი. გიულდენშტედტისა).

სამართლიანად შენიშნავენ, ამ 33 ენაში ზოგი ისეთი ურევია, რომელიც დიალექტად მისაჩნევია, და თუ დღესდღეობით იგი ცალკე ენად ითვლება, ეს იმიტომ, რომ უდამწერლობო ენათა დიალექტების მეტი წილი შესწავლელიაო.

არადა, დიალექტთა მეცნიერული შესწავლა, როგორც უდამწერლობო, ასევე დამწერლობის მქონე ენათა, ენათმეცნიერების უპირველესი, მასთან გადაუღებელი, საქმეა, რამდენადაც ხდება დიალექტთა ნიველირება (განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში). ამიტომაცაა, რომ ქართველი კავკასიოლოგები აღნიშნულ ენებს სწავლობენ ყველა დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უდამწერლობო ენათა დიალექტების შესწავლას, რადგან ამის გარეშე ასეთი ენების ნამდვილი მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია.

უდამწერლობო ენათა დიალექტების შესწავლის მნიშვნელობაზე მაქს მიულერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში თავის პოპულარულ „ლექციებში ენათმეცნიერების შესახებ“ აღნიშნავდა: „დიალექტები, რომელთაც არასოდეს შეუქმნიათ ლიტერატურული ნაწარმოები, ველურ გომთა ქარგონები, პოტენტოტების ტაკუნა მეტყველება და ხმოვანთა გარდასვლანი ინდო-ჩინელებთან ისევე მნიშვნელოვანია, ხოლო გარკვეულ პრობლემათა თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ჰომეროსის პოეზია ანდა ციცერონის პროზა... ენის მეცნიერული განხილვის თვალსაზრისით ჰომეროსის ენას არც მეტი მნიშ-

ენელობა აქვს და არც მეტი ინგერესი ახლავს, ვინემ ჰოგენგოგების დიალექტებსო”.

მთის იბერიულ-კავკასიური ენების დიალექტთა შესწავლაზე, როგორც ამ მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის უცილობელ წინაპირობაზე, ამ ორმოცზე მეტი წლის წინათ არნ. ჩიქობავა მიუთითებდა: „მთის კავკასიურ ენათა ისტორიული შესწავლისათვის ძირითადი საშუალებაა შედარება. ეს შედარება უნდა იქნეს დაწყებული ცალკეული ენის კილოებით, შემდეგ გაერყელდეს ცალკეული ჯგუფის ენებზე და დამრთავდეს კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფების შედარებით”.

ჩვენს ენათა სინამდვილეში სწორედ შედარებაა ის უმთავრესი საშუალება, რომელიც აღნიშნულ ენათა ისტორიულ წარსულს ალგვადგენინებს. მონათესავე ენათა შედარებას კი, როგორც აღინიშნა, წინ უნდა უსწრებდეს ერთი ენის დიალექტთა მონაცემების ერთმანეთთან შედარება. სწორედ ეს უკანასკნელია, შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებას რომ გვაძლევს, რის გარეშე ენათა (განსაკუთრებით უდამწერლობო) წარსულის დანახვა შეუძლებელია.

მთის კავკასიურ ენათა (როგორც უდამწერლობო, ასევე დამწერლობის მქონეთა) შესწავლას კი, გარდა ზოგადენათმეცნიერული ინგერესებისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი, ქართველური ენების მეცნიერული შესწავლისათვის.

ჯერ კიდევ ნ. მარმა, პირველმა ენათმეცნიერთაგან, ნათლად დაინახა, რომ ქართველურ ენათა მყარი მეცნიერული კვლევა შეუძლებელია. „მთის ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე”. ჩვენში კი ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული იმთავითვე, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის განცხადებით, თბილისის უნივერსიტეტს „დაარსების პირველი დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული”.

ამ მიზნის ასრულებას ემსახურებოდა 1933 წ. თბილისის უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა კათედრის ჩამოყალიბება, ხოლო 1936 წ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში (მამინდელი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი) – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებისა. სწორედ აქ ჩატარებული ინგენიური და თავდაზოგავი კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. მისი წარმატებული კვლევის აღიარება გახლდათ გასულ წელს ქ. მოსკოვში 8 ივნისს ჩატარებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ბიუროს სხდომა, რომელმაც მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ქ. ლომთათიძის მოხსენება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერ-

რო-კვლევეთი მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ”.

ლიტერატურისა და ენის განყოფილების ბიუროს დადგენილებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხვა მიღწევებთან ერთად, საგანგებოდაა აღნიშნული „ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობა იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის, ამ ენათა ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა, დიალექტური დაყოფისა და ურთიერთმოქმედებათა შესწავლაში...”

იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის წინსვლის ერთ-ერთ დადასტურებად იქცა კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა წლევეანდელი ფორუმიც, მიძღვნილი დიალექტური ლექსიკის შემადგენლობისა და დიალექტურ ლექსიკონთა დამუშავების საკითხებისადმი. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები ამ ენათა შესწავლის თითქმის ყველა რეგიონიდან – მოსკოვიდან, მაჰაჩყალიდან, მაიკოპიდან, ნალჩიკიდან, ჩერქესკიდან, ორჯონიკიძედან, სოხუმიდან, თბილისიდან...

სესიაზე სულ მოისმინეს 58 მოხსენება, აქედან 7 – პლენარულ სხდომაზე.

მეათე რეგიონალური სამეცნიერო სესია შესავალი სიგყვით გახსნა ჩვენეთ-ინგუშეთის ისტორიის, სოციოლოგიისა და ფილოლოგიის სამეცნიერო-კვლევეთი ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ბაიბულათოვმა. პირველ პლენარულ სხდომაზე მოსმენილ მოხსენებათაგან ორი ქართველი ენათმეცნიერისა გახლდათ: აკადემიკოს არნ. ჩიქობავასი („დიალექტურის ადგილისათვის ენაში“) და ჩვენი აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის შ. ძიძიგურისა („ქართული ენის დიალექტთა შესწავლის მდგომარეობის თაობაზე“).

გროზნოელი ენათმეცნიერის ი. ოზლოვის მოხსენებაში „ნახურ ენათა შესწავლის ზოგიერთი შედეგები“ (ამ სახის ინფორმაცია გრადიციულია – ისმენენ იმ რეგიონში ჩატარებული მუშაობის შედეგებს, სადაც სესია ტარდება ხოლმე) თვალნათლივ წარმოჩნდა არა მარტო ნახურ ენათა ადგილზე შესწავლის თვალსაჩინო შედეგები, არამედ ის წვლილიც, რაც ამ ენათა შესწავლაში შექმნდათ და შეაქვეთ ქართველ ენათმეცნიერებს. მომხსენებელმა მადლიერების გრძნობით მოიხსენია აწ გარდაცვლილი, ნახურ ენათა ცნობილი საყვიალის-გა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დ. იმნაიშვილი.

პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა სექციებში წარიმართა; სულ მუშაობდა 5 სექცია (აღრინდელ სესიებში ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ ორი სექცია მუშაობდა): ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა; ნახურ, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ, ლაკურ-დარგულ, ლეზგიურ ენათა.

ენათმეცნიერები საქართველოდან მონაწილეობდნენ ყველა სექციის მუშაობაში: აკადემიკოსი ქ. ლომთათიძე, პროფესორები ა. მაპომეგოვი, ბ. ჯორბენაძე, კ. ჭრელაშვილი, ლ. ჭკადუა (სოხუმი), ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები ზ. მაპომეღბეკოვა, გ. ბურჭულაძე, უფროსი მეცნიერ თანამშრომლები თ. გონიაშვილი, გ. თოფური, ვ. შენგელია, ბ. შაფხელიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. გვანცელაძე, უმ-

ეროსი მეცნიერ თანამშრომლები გ. სიხარულიძე და რ. ფარეულიძე.

ქართულ და აფხაზურ-აღიღურ ენათა სექციას მოხსენდა, აგრეთვე, პროფესორ გ. როგავას „ფარინგალურ ხმულთა ცელილებანი ქართველურ და აფხაზურ-აღიღურ ენათა დიალექტებში“ (ავტორი სესიას ვერ დაესწრო).

სექციებზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო იმართებოდა ცხოველი კამათი, ამრთა ურთიერთგაზიარება. სექციის ხელმძღვანელებმა მეორე პლენარულ სხდომაზე შეაჯამეს გაწეული მუშაობის შედეგები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიების ჩატარებას ცილდება წმინდა მეცნიერულ მიზნებს; იგი იმავდროულად საბჭოთა ხალხების დაახლოებისა და მეგობრობის მძლავრი გამოვლენაცაა. არაერთხელ აღუნიშნავთ სესიის მონაწილეებს: ასეთი პირადი კონტაქტები ძალზე უწყობს ხელს მეცნიერული კვლევის კოორდინაციასო.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ რიგი ჩატარებული სესიის მასალები ცალკე კრებულად დაიბეჭდა. კერძოდ, დასტამბულია პირველი (მაჰაჩყალა, 1969), მეოთხე (ნალჩიკი, 1977), მეხუთე (ორჯონიკიძე, 1977), მეექვსე (მაიკოპი, 1980), მერვე (ჩერქესკი, 1983) რეგიონალურ სესიათა მასალები. თუმცა მეორე და მესამე რეგიონალური სესიის მასალები ცალკე კრებულთა სახით არ დაბეჭდილა, მაგრამ ისინი გამოქვეყნდა „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწდეულში“. აქვე უნდა ითქვას, რომ კავკასიოლოგთა ამ საერთო საკუთრო ორგანოს დაარსების საკითხი სწორედ ამ სესიებზე დაისვა. საიუბილეო სესიის თარიღს დაემთხვა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ საიუბილეო ნომერიც – იბეჭდება ჟურნალის მეათე ნომერი.

სიმბოლური გახლდათ ის ფაქტიც, რომ რეგიონალურ სესიათა ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესა და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ რედაქტორს აკადემიკოს არნ. ჩიქობავას (რომელიც სესიას ვერ დაესწრო აკადემიკოსობის გამო) მიენიჭა ჩვენთვის ინტერესის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება იმ ღვაწლისათვის, რაც მსოფლიან მეცნიერს მიუძღვის ჩვენთვის ინტერესის ასსრ სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. ბრძანებულება ამის თაობაზე წაიკითხეს სესიის გახსნისას. ამ ცნობას მეათე რეგიონალური სესიის მონაწილენი და დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტამით შეხედნენ.

მეათე რეგიონალურმა სესიამ თავისი მუშაობა დაასრულა... იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წარმომადგენლებს მომავალი შეხვედრა ორი წლის შემდეგ ულით; ამჟამად მათ მასპინძლად ივარაუდება ქ. ნალჩიკი – ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი.¹

1. გაბ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 ოქტომბერი, თბ., 1983, გვ. 14.

საუკუნეთა მიღმა გაცხადებული ერთობა

დიდ ივანე ჯავახიშვილს თავისი ფუნდამენტური გამოკვლევის – „ქართული ენის ისტორიის შესავლის“ – გამოცემა, როგორც ცნობილია, სამ გომალ პქონდა განზრახული. მან თავდაპირველად მეორე წიგნად ჩაფიქრებული „ქართული და (მთის) კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ გამოაქვეყნა (1937 წ.), რადგან, მისივე თქმით, „ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემა ყველაზე რთულსა და თანაც ძირითად ამოცანას წარმოადგენს“. პირველ წიგნად ნაეარაუდევი „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ კი დაისტამბა აკად. გ. ჩიგაიას რედაქტორობით მოგვიანებით, ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1950 წ., თუმცა, ამ მონოგრაფიის ძირითადი დებულებები მოხსენების სახით „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი პერიოდის ისტორიის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ უფრო ადრე დაიბეჭდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ქველი ისტორიის უწყებებში“ 1938 წ. (№ 4), ავტორის სიუცხლეშივე.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემების გადაჭრა დიდ მეცნიერს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში აქვს გააზრებული. ამასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილის ინტერესთა სფეროში ბუნებრივად შემოვიდა ქართული ხალხური მუსიკა და სიმღერა-გალობა, როგორც ქართველი ერის ისტორიასთან, მის წარსულთან უშუალოდ წილნაყარი და გადაჯაჭვული.

ეს ნათლად წარმოჩნდა ი. ჯავახიშვილის ცნობილ გამოკვლევაში „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები“ (1938 წ.), რომელშიაც ქართული მუსიკის წარმომავლობასთან დაკავშირებული პრობლემებია განხილული. ამ შრომით ავტორმა დიდი წვლილი შეიტანა წარმართული და მომდევნო ქრისტიანული ხანის ქართული მუსიკის შესწავლაში.

ი. ჯავახიშვილის ასეთი მეცნიერული ინტერესი კანონზომიერი გახლდათ, რადგან, ცნობილია, რომ მუსიკალური ენა სამოგადოდ ერის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა, მისი ეთნიკური თავისებურების გამომხატველი და, ამდენად, ქართული ხალხური მუსიკალური ენის წარმოშობა-განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ქართველი ერის ეთნიკურ ისტორიასთან. გასაგებია, თუ რატომ აღიარა დიდმა მეცნიერმა ქართული ხალხური მუსიკა ქართველი ერის ეთნიკური ისტორიის ერთ-ერთ კომპონენტად.

„ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებს“ ფასდაუდებელი

მნიშვნელობა სხვა მხრივაც აქვს: ამ შრომით ქართული (და კავკასიური) ხალხური მუსიკის ისტორიის მკვლევრებს მტკიცე თეორიული ბაზა შეექმნათ. ამისი ერთ-ერთი გამოვლენაა ეთნომუსიკათმცოდნის ნინო მაისურაძის მონოგრაფიული სახის გამოკვლევა „ქართული ხალხური მუსიკის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები“ (ესარგებლობთ ავტორეფერატით, თბ., 1983), რომლითაც აგრომა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა.

ნაშრომში თვით მკვლევარისა და სხვათა ძიების შედეგების განზოგადებით მეგად საყურადღებო დასკვნებია მიღებული. ამათგან გამოყოფთ ჩვენთვის საინტერესო ორ ძირითად მომენტს: ა) მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მონაცემებით შესაძლებელია არა მხოლოდ ქართულ-კავკასიური ეთნოკულტურების კავშირთა რკვევა, არამედ – უფრო შორეულ კულტურებთან მისი მიმართებისაც, ბ) ქართულ-კავკასიური მუსიკალურ-ეთნოლოგიური მასალის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ანალიზის საფუძველზე წამოყენებულია ჰიპოთეზა „ისტორიულ წარსულში კავკასიის ტერიტორიაზე საერთო-კავკასიური მუსიკალური კულტურის არსებობის შესახებ“, (დაყოფა ჩვენია – გ. ბ.).

კავკასია კი ოდითგანვე „ენათა მთადაა“ წოდებული. ისეთ მცირე გერციგორიაზე, როგორც მას უკვირავს, ორმოცდაათამდე ენაა. რა და რა წარმომავლობის ენას არ ნახავთ აქ: ინდოევროპულს (სომხური, ოსური, ქართული...), თურქული წრისას (აზერბაიჯანული, ყუშუხური, ბალყარულ-ყარაჩაული...). სემიტურს (არამეულ-სირიული), უნგრულ-ფინურს (ესტონური – გაგრის რაიონი)–

აღნიშნულ ენათა დიდი უმეტესობა სხვა გერიგორიაზეა გაერყელებული, და ეს მაშინ, როცა იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები (რომელთაც განეკუთვნება ქართველური ენები: ქართული, ზანური, სვანური) აქ, კავკასიაში, სახლობენ. გამოჩინების მხოლოდ უბიხურია, რომელმაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქეთში გადაინაცვლა. ზანური ენის ჰანური დიალექტის წარმომადგენელთა მეტი წილიც ასევე დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ხშირად ხმარობენ ხოლმე გერმინებს „კავკასიური ენები“, „კავკასიის ენები“... ისინი არაა სინონიმური: „კავკასიის ენები“ კავკასიის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ყველა ენის მიმართ იხმარება და უფრო გეოგრაფიული ცნებაა, ხოლო იმისათვის, რომ მისგან გაირჩეს „კავკასიური ენები“, ამ უკანასკნელისათვის მართებულად იყენებენ გერმინს „იბერიულ-კავკასიური ენები“, ე. ი. ენები კავკასიისა, რომლებიც იბერიულ (ქართველურ ენათა მიმართ ეს გერმინი პირველად ფ. ბოპმა, ენათმეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, იხმარა), ანუ ქართველურ ენებს წარმოშობით უკავშირდებიან. ამდენად, იბერიულ-კავკასიური ენები ისტორიულ-გენეზიური ცნებაა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემადგენლობაში კი, როგორც ცნობილია, გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: 1. ქართველური (ანუ იბერიული), 2. აფხაზურ-ადიღური, 3. ნახური, 4. დაღესტნური. ამ ჯგუფთაგან ენათმეცნიერული თვალსაზრისით ერთმანეთთან უფრო ახლოს მდგომია ქართველური და აფხაზურ-ადიღური, ერთი მხრივ, ხოლო ნახური და დაღესტნური ენები, მეორე მხრივ.

საერთოკავკასიური მუსიკალური ფენის დამლის, მისი ცალკეულ მუსიკალურ ენებად ჩამოყალიბების რთული პროცესები და მათ შორის კულტურულ-ისტორიული კავშირები, „ქართული მუსიკალური ენის მნიშვნელოვანი როლი საერთო-კავკასიური მუსიკალური კულტურის შემდგომ განვითარებაში“, ნ. მაისურაძის აღნიშნულ ნაშრომში რომ ნათლად გამოიკვეთა, ზემოთ წარმოდგენილი ენათმეცნიერული შესწავლის შედეგების ანალოგიური აღმოჩნდა – აქაც ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, ქართულ-აფხაზურ-ადიღური, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ-ნახურ-დაღესტნური მუსიკალური ურთიერთობანი (აქ და ქვემოთ, ავტორი ქართული მუსიკალური ენის ქვემ გულისხმობს საერთო ქართველურ – მუსიკალურ ენას):

„მუსიკალური ტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფხაზურ და ადიღურ სიმღერათა ინტონაციურ-პარმონიული განვითარების პროცესებში აფხაზური ასრულებდა შუალედურ როლს ქართულ და ადიღურ სიმღერებს შორის... ინტონაციურ-პარმონიული თვალსაზრისით აფხაზური სიმღერები ქართულ სიმღერებთან ნათესაობის შედარებით სრულ სურათს გვიჩვენებს, ვიდრე ადიღური, რომელშიც შეიმჩნევა წყვეტილობა, რისი გიჟოლოგიური შევსება ხერხდება აფხაზური სიმღერების მეშვეობით“ და იქვე:

„...მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველეს საფეხურებზე ჩერხურ-ინგუშური სიმღერები მელოდიის თვალსაზრისით განსაკუთრებით სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის სიმღერებთან“. მართალია, „დაღესტნური მუსიკალური მასალა არ იძლევა საშუალებას სრულად შევედაროთ იგი ქართულს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში ნათლად ვლინდება ინტონაციურ-პარმონიული კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალურ სამყაროსთან“.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ოსურის ვითარება. იგი ინდოევროპულ ენათა ირანულ შტოს განეკუთვნება და მის ფონეტიკასა (ოსურში შესულია ე. წ. კავკასიური მკვეთრები კ, წ, ჳ, გ, პ) და ლექსიკაზე დიდი გავლენა მოახდინა კავკასიურმა სამყარომ. როგორც მოსალოდნელი იყო, ოსური მუსიკალური კულტურის თვალსაზრისითაც მისდევს კავკასიურს (ამიგომაცაა შესული იგი კვლევის სფეროში): „ოსური სიმღერების ინტონაციურ-პარმონიული ანალიზის მონაცემები მოწმობს, რომ ოსურ მუსიკალურ ენას საფუძვლად უდევს კავკასიური სუბსტრატის“, – აღნიშნულია შრომაში.

ხალხური სიმღერის ფესვები კი, როგორც ეს ცნობილია, გენეზისური

თვალსაზრისით შორეულ წარსულშია საძიებელი. მას ხალხურ ლექსთან აქვს უშუალო კავშირი: სიმღერა – „ლექსის დამღერებით თქმაა“ (ა. შანიძე). ლექსმა კი ენობრივი თვალსაზრისით ხშირად მეტი არქაულობა შემოგინახა, ვიდრე – პროზამ. მაგალითად, ცნობილია, რომ ქართველურ ენათაგან ხმოვანთა სიგრძე მხოლოდ სევანურს ახასიათებს (ბალსშემოურსა და ლაშხურ დიალექტებს). ვარაუდობენ და სამართლიანადაც, რომ ისტორიულად ეს სიგრძე მეორეულია. მართლაც, სევანურმა ხალხურმა პოეზიამ გრძელი ხმოვნები საზოგადოდ არ იცის: სევანურ ლექსებში (სიმღერებში) სადა და გრძელი ხმოვნები არაა გარჩეული.

ქართული ხალხური სიმღერა არაა ოდენ ენათმეცნიერული თუ მუსიკალური კულტურის თვალსაზრისით განსახილველი, რადგან მას ჩვენს სინამდვილეში ხშირად სხვა და მეტი დანიშნულებაც ჰქონია; ცნობილია, მაგალითად, რომ იგი ქართულ ენასთან ერთად დედასამშობლოსთან შემაერთებელი ხიდი იყო, როდესაც აჭარა 300 წლის განმავლობაში იყო მოქცეული მაჰმადიანურ გარემოცვაში.

ქართული ხალხური სიმღერის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტში „კვლევის შედეგები მეტნაკლებად ასახავენ კავკასიის გერიგორიაზე მოსახლე ტომთა ეთნიკურ ისტორიას, ოდესდაც ამ ტომთა კულტურულ ერთობას და მისი დამღის პროცესს, მათ მნიშვნელობას კავკასიური ცივილიზაციის შექმნაში“ – ასკენის ამავე საკითხებთან დაკავშირებით სხვაგან ნ. მაისურაძე.

აქ უსათუოდ მოსახმობია ივანე ჯავახიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1937 წ. წინასწარმეტყველურად თქმული: „მესამე წიგნში (ასეთად იგი ვარაუდობდა „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ მესამე წიგნს, რომელშიც, მისივე სიტყვებით, „ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი იქნება წარმოდგენილი ენისა, მზე-ჩვეულებათა ანალიზისა და ნიუთიერი კულტურის არქეოლოგიური მარაგის მიხედვით“), რომელიც უძველეს კულტურას ეხება, მოყვანილი მრავალი ფაქტი თავის დროზე, იმედია, ყველას დაარწმუნებს, რომ ჯერ საერთო და შემდეგ მონათესავე ენის გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონდათ“ (ხაზგასმა ი. ჯავახიშვილისაა – გ. ბ.).

ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ძიებამ კი ჩვენი ეთნომუსიკათმცოდნევი სამართლიანად მიიყვანა სხვა იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა მუსიკალური კულტურის კვლევასთან: მათი გენეზისური ურთიერთკავშირიც წარმოჩნდა.

სწორედ ეს შედეგები იყო მოსალოდნელი, რადგან ჩვენში მუსიკალური ეთნოგრაფიის საკითხები საზოგადოდ შეისწავლება კომპლექსურად – ყოფასთან, სოციალურ და მაგერიალურ კულტურასთან ერთიანობაში, რაც გატარებულია ნ. მაისურაძის აღნიშნულ ნაშრომში. ავტორს, მისივე განცხ-

ადებით, კომპლექსურ-ინგენსიურ მეთოდთან (რომელიც გულისხმობს ბაზისურ და ზედანაშენურ მოვლენათა ისტორიულ ჭრილში განხილვას) ერთად გამოუყენებია ისტორიულ-შედარებითი მეთოდიც.

ქართული ენათმეცნიერებას ენობრივ მოვლენათა ისტორიულ ჭრილში განხილვამ და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებამ მიიყვანა თავის ღრობე ანალოგიურ თვალსაზრისამდე: ქართველურ ენათა კვლევა უშუალოდ დაუკავშირდა სხვა კავკასიურ ენათა სამყაროს.

ასეთი კავშირის საჭიროება იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის გარეგანულად ჯერ კიდევ ნ. მარმა განსჭვრიტა: ქართველურ ენათა ნამდვილი მეცნიერული კვლევა შეუძლებელია „მთის ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე“.

ჩვენში კი ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული იმთავითვე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „დაარსების პირველივე დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ფქონდა დასახული“ (ივ. ჯავახიშვილი).

ამ მიზანს ემსახურებოდა 1933 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიური ენათა კათედრის ჩამოყალიბება, ხოლო 1936 წ. მაშინდელი ენის, ისტორიისა და მაგერიალური კულტურის ინსტიტუტში – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებისა (ორსავე სასწავლო-სამეცნიერო უჯრედს სათავეში არნოლდ ჩიქობავა ჩაუდგა). სწორედ აქ ჩატარებული გეგმამომიერი და ინგენსიური კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბდა კიდევ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიღწევები კი დღეს აღიარებულია არა მარტო ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არამედ – სამოგადოდ. მისი წარმატებული განვითარების ერთ-ერთი დასტურია საერთო-საკავშირო კავკასიოლოგიური ჟურნალის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ დაარსებაც (მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა); ჟურნალის გამოცემის პატივი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ბიუროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით ქართველ კავკასიოლოგებს ხვდათ წილად. „წელიწადული“ (რომლის I ტ. დაიბეჭდა 1974 წ.; უკვე გამოცემულია თერთმეტი ტომი. იბეჭდება მეთორმეტე) ფაქტობრივ საერთაშორისო მნიშვნელობის გამოცემაა: მის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება უცხოელ მკვლევართა ნაშრომები. ამიტომაც წერდა „წელიწადულის“ შესახებ 1982 წ. საკავშირო საენათმეცნიერო ჟურნალი „ვოპროსი იაზიკომნანი“ (№ 6) თავის ფურცლებზე: იგი „საკავშირო და საერთაშორისო ლინგვისტურ პერიოდულ გამოცემად იქცაო“.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებელი არნოლდ ჩიქობავა თავის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (თბ., 1979) იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თაობაზე წერს:

„ამრიგად ერთობა იქ დადასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს.

ამით წყდება ძირითადი საკითხი, იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი: რაც უფრო შორს ვიხელებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო“ (დაყოფა და ხასგასმა ავტორისაა – გ. ბ.).

ეს მეცნიერულად კანონზომიერი დასკვნა გვახსენებს თავს ნ. მაისურაძის შემოთაღნიშნული შრომის გაცნობისას: ქართველი ეთნომუსიკათმცოდნის განზოგადობანი უეჭველსა და სანდო დასაყრდენს პოეებს ჩვენში წარმატებით წარმოებული ენათმეცნიერული კვლევის შედეგების სახით; თავის მხრივ კი, ნ. მაისურაძის გამიკვლევაში წარმოდგენილი განზოგადობა-დასკვნები საერთოკავკასიური მუსიკალური კულტურის თაობაზე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი დებულების – აღნიშნულ ენათა გენეტიკური ნათესაობის – ერთ-ერთი არაალინგვისტური გამოვლენაა.

ნიშანდობლივრივია ერთი ფაქტიც. ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულ ტერმინს – იბერიულ-კავკასიური ენები – ემყარება ამ ბოლო დროს შექმნილი მარჯვე და აღეკვამტური ტერმინიც: იბერიულ-კავკასიულ ხალხთა მითოლოგია (იხ. „მსოფლიოს ხალხთა მითები“, მოსკოვი, გ. I – 1980, გ. II – 1982). ამდენად, ხომ არ აჯობებდა აქაც გვეხმარა ტერმინი საერთო იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურა, ენა (ნაცუ-ლად საერთო კავკასიურისა), რადგან ქართველი ეთნომუსიკათმცოდნის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები აღნიშნული ცნების დამკვიდრების რეალურ საფუძველს იძლევა.

ნ. მაისურაძის „ქართული ხალხური მუსიკის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემების“ გაცნობასთან დაკავშირებით გვახსენდება სტრიქონები არნოლდ ჩიქობავას წერილიდან, გაზეთ „დაგესტან-სკაია პრავდას“ ფურცლებზე რომ დაიბეჭდა 1981 წელს ქალაქ მაჰაჩყალაში ჩატარებული იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ მეცხრე რეგიონალური სამეცნიერო სესიის დღეებში. ახლა შორს არ არის ის დღეც – ამბობდა მეცნიერი – როცა ასეთი სესიები „დაგვირგვინდება ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფებისა და ენათმეცნიერების – კავკასიოლოგების კონგრესით“!

ფასეული მონოგრაფია

სულ ახლახანს კოტე ჭრელაშვილს 80 წელი შეუსრულდა. 50-ზე მეტი წელია იგი თავისი ცხოვრებით, ინტერესებითა და საქმიანობით თბილისის მშობლიურ უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული. იგი დღესაც მხნედ არის და კვლავ ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს აქტიურ შრომას. ამისი დადასტურებაა მის მიერ 2002 წელს დასტამბული მონოგრაფია „წოვა-თუშური ენა“, რომელიც მკვლევრის მიერ ათწლეულობით მოძიებულ საკუთარ მასალას ეყრდნობა. არადა, წოვა-თუშური (ბაცბური) ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის გარიჟრაჟზე იქცევა მეცნიერთა ყურადღებას. მაგალითად, ა. შიფნერის „ცდა თუშთა ენის შესახებ“ (ს. -პეტერბურგი, 1856), „პირველს მეცნიერულ გრამატიკას წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათათვისო“, – აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა და არა მარტო ამას: „...ასი წლით აღრე ა. შიფნერმა ბაცბურ ფონემათა დისკრიბუციული ანალიზი მოგვცა: ცნებამ დაასწრო გერმინსო“, თან დასძენდა. ამიგომაცაა, ალბათ, პროფ. კ. ჭრელაშვილი ახლახანს დასტამბულ მონოგრაფია „წოვა-თუშური ენის“ (თსუ გამ-ბა, 2002, 520 გვ.) „წინასიტყვაობაში“ წერს: „მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე სვებედნიერი აღმოჩნდა წოვა-თუშური ენაო“.

წოვათუშური უდამწერლობო ენაა. ბუნებრივია, მის შესახებ მიძღვნილი ყოველიმონოგრაფია თუ ცალკეული წერილი, რომელიც წოვა-თუშურზე უშუალო დაკვირვების შედეგად იქნება შესრულებული, თავისთავად იძენს დოკუმენტური მასალის მნიშვნელობას. ასეთად გვესახება ჩვენ სარეცენზიო ნაშრომი „წოვა-თუშური ენა“, რომელიც არის გამოკვლევა ავტორის მშობლიური ენის შესახებ.

აფხაზური, წოვა-თუშური და უდიური ენები საქართველოს გერიტორიაზე წარმოდგენილი მთის იბერიულ-კავკასიური ენებია – წოვა-თუშური და უდიური უდამწერლობო, ხოლო აფხაზური – ახალი დამწერლობის მქონე. ამიგომაც ისინი კვლევის საგნად ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იქცნენ. დიდმა ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 2 მაისს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე მოხსენებაში კავკასიის მთიელთა ენების შესწავლის თაობაზე განაცხადა:

„ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთიელთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროსო“.

ამიგომაც იყო, რომ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება ლექციების კითხვა აფხაზურსა (დ. გულია – 1924-1926 წ. წ.) და წოვა-თუშურში (ა. შანიძე – 1925-1926 წ. წ.)... უფრო

ადრე კი იწყება ამ ენების შესწავლა ადგილზე: 1922-1924 წლებში რამდენიმე საექსპედიციო მუშაობა ჩაატარა უდიურის შესასწავლად დ. გეულაძემ, ხოლო წოვა-თუშურის გასაცნობად და გექსტების ჩასაწერად ა. მანიძეს ოციან წლებში ორჯერ უმოგზაურია თუშეთს; ბნ აკაის გექსტები კი ჩაუწერია, მაგრამ ვერ გამოუქვეყნებია. საინგერესოა, რომ ა. მანიძეს დაბადების ასი წლის თავზე გლევიზიის კორესპონდენტისთვის დანაწილებით განუცხადებია: „წოვა-თუშურის გექსტები დამრჩა გამოუქვეყნებელი“.

ივ. ჯაფახისილის კვალდაკვალ არნ. ჩიქობავა 1923-1924 წლებში წერდა „ქართულისა და მისი მონათესავე მეგრულ-სევანურის გარდა, სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყენებო“. ამით მან ფაქობრივ დიდი ივანეს გაკვალული გზის განგრძობა ითავა; თავისი და თანამოსაგრეების მომავალი მუშაობის გზები განჭვრიტა და დასახა.

1929 წლიდან იწყება ახალი თაობის ენათმეცნიერთა ექსპედიციები აფხაზურ-ადიღურ და დაღესტნურ ენათა ადგილზე, საეულე პირობებში გასაცნობად: ს. ჯანაშია არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია პირველნი იყვნენ, ვინც ჩაერთო ამ მუშაობაში. ამათგან: ა. მანიძე იკვლევდა წოვა-თუშურს (ბაყბურს), ს. ჯანაშია – აფხაზურსა და ადიღურს, არნ. ჩიქობავა – ხუნძურს, ვ. თოფურია – ლაკურს.

ამასთან ერთად 1933 წელს არნ. ჩიქობავა აარსებს კავკასიურ ენათა კათედრას, რომლის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად, გარდა სათანადო სამეცნიერო კადრების მომზადებისა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონოგრაფიული შესწავლა წარმოადგენდა. მანვე ამ მიზნით 1936 წ. მაშინდელ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა მთის კავკასიურ ენათა განყოფილება. ორივე ეს სამეცნიერო უკრუდი არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით ერთიანი სამეცნიერო გეგმით მუშაობდა და ერთმანეთის მუშაობას აუხებდა. როგორც ინსტიტუტში, ისე უნივერსიტეტში ფართო სამეცნიერო მუშაობა გაიშალა და დღეს, სხვა ენებზე რომ არაფერი ვთქვათ, გვინდა აღინიშნოს, რომ მთის კავკასიურ ენათა შორის წოვა-თუშური (ჩეჩნურთან და ინგუშურთან ერთად) მართლაც სეებდენიერი აღმოჩნდა, რადგან მასზე სხვადასხვა თაობის ისეთი ქართველი ლინგვისტები მუშაობენ და დღესაც მუშაობენ, როგორც არიან: რ. გაგუა, თ. გონიაშვილი, დ. იმნაიშვილი, გ. მაჭავარიანი, მ. მაჭავარიანი, მ. მიქელაძე, ლ. სანიკიძე, თ. უთურგაიძე, რ. ფარეულიძე, დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, ბ. შავხელიშვილი, მ. ჩუხუა, კ. ჭრელაშვილი, ი. ჯოლბორდი.

კოტე ჭრელაშვილი ნახური ენების აღიარებული მკვლევარია. იგი მრავალი შრომის ავტორია – მათ შორის ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევებისა, როგორცაა – „ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა“ (თსუ, 1974), „წოვა-თუშური და ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის ზოგი საკითხი“ (თსუ, 1979) და „წოვა-თუშური ენა“. აქვე უნდა დავასახელოთ 1999 წელს დასტამბული „Языки мира“-ს სერიაში „Кавказские языки“-ს

სათანადო გომში დაბეჭდილი ბატონი კოტეს მიერ ფრიად კომპაქტურად დაწერილი „Багнийский язык“.

მონოგრაფია „წოვა-თუშური ენა“ არის მრავალი წლის ნაფიქრი და შემაჯამებელი ნაშრომი, რომლის ანოტაციიში ნათქვამია: „შრომში განხილულია წოვა-თუშური ენის ფონოლოგიისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები. პირველად ამ მონოგრაფიაში დადგენილია გზნის უღლების მწყობრი სისტემა. გამოვლენილია აგრეთვე გზნათა უღლების ქრონოლოგიური ტიპები, რაც მეტად საყურადღებოა; ფუნქციონირებენ სინქრონიულ ჭრილში ერთმანეთის პარალელურად, არქაული და ინოვაციური გრამატიკული ფორმების თანაარსებობა მეტად საყურადღებო ფაქტია თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ნაშრომში დადგენილია „მონოპერსონალური“ გზნების „პოლიპერსონალურში“ გადასვლის პროცესი. აქვება გაანალიზებული ახალი თვალსაზრისით ასპექტის, გვარის, კავშირების კატეგორიები“.

როგორც ეხედავთ აქცენტი გადაგანილია გზნაზე და ეს არცაა გასაკვირი, რადგან სწორედ გზნაა მორფოლოგიის ის უბანი, რომელიც მონოგრაფიაში ყველაზე უფრო დეტალურად და სრულად არის დამუშავებული, განსაკუთრებით ეს ეხება დრო-კილოთა სისტემას, რომელიც ახლებულადაა გააზრებული და მოცემულია მისი ახალი კლასიფიკაცია.

წოვა-თუშური გზნა ყველაზე რთული, მასთან მრავალი გრამატიკული კატეგორიის მქონეა. უღლილებისას ჩანს რთული, მრავალწევრიანი თანმიმდევრული სისტემა.

წოვა-თუშურში უღლილების 4 ტიპია: 1. ნეიტრალური, 2. ოდენ პიროვანი, 3. კლასოვანი, 4. კლასოვან-პიროვანი. აქ სინქრონიულ ჭრილში ერთმანეთს ენაცვლებიან ძველი და ახალი ენობრივი ფორმები; მასთან მეტყვეულის ცნობიერებაში ეს მონაცვლეობა ბუნებრივი პროცესი გახლავთ.

ეს ოთხივე ტიპი ერთმანეთის გვერდითაა, როგორც ეს, მაგალითად, ლაკურშია. თუმცა წოვა-თუშურში შეიმჩნევა ამ ფორმათა გამოყენების ერთგვარი იერარქია – გაბატონებულია პიროვანი უღლილების ტიპი, თუმცა ეს ტიპი ცხადად მეორეულია.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ პირის ნიშნებად გაფორმდა პირის ნაცვალსახელი. როცა გზნა გარდამავალია, მაშინ სუბიექტის პირი გაფორმებულია სათანადო ნაცვალსახელის ერგაცივის ფორმით (გათვალისწინებულია სათანადო ფონეტიკური პროცესიც). თუ გზნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში გარდამავალ გზნაში პირდაპირი ობიექტური პირი გაჩნდება, იკარგება სუბიექტის ნიშანი. ბუნებრივია, გზნა მონოპერსონალურადვე რჩება, თანაც თუ გზნას ირიბი ობიექტი აქვს, იგი საერთოდ არ აისახება გზნაშიო, – დასძენს ბ-ნი კ. ჭრელაშვილი.

არც სახელია უყურადღებოდ დატოვებული. წიგნში ვრცლად არის მსჯელობა ბრუბების შესახებ – მოცემულია ცდა სინათლე და მეტი გარკვეუ-

ლობა შეიგანოს იმ სიჭრელეში, რომელსაც ბრუნების დახასიათებისას აქვს ადგილი; ასე, მაგ., ა. შიფნერს 14 ბრუნვა აქვს გამოყოფილი, ი. ლეპერიევს კი – 22 (რომელთაგან 4 ძირითადად მიაჩნია – სახ., ნათ., ერგ., მიც); რ. გაგუა 4 ძირითად ბრუნვას გამოყოფს, დანარჩენები კი ლოკატივებია. კ. ჭრელაშვილის კლასიფიკაციით ლოკატივები ორ ჯგუფად იყოფიან – მარტივ და რთულ ლოკატივებად: მარტივია – 10 ბრუნვა, ლოკატივია – 14. თითოეული მათგანის დახასიათებაა მოცემული (მორფოლოგიური, ფუნქციონალური, სემანტიკური). ნაშრომში მართებულადაა დასკვნა გაკეთებული, რომ წოვა-თუშურის ბრუნების სისტემა ასახავს ამროვნების კონკრეტიზაციას, რაც საერთო ჩანს მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.

როგორც ცნობილია, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში არა გვაქვს რთული ქვეწყობილი წინადადება: არაა მაქვემდებარებელი კავშირები ან სხვა კავშირები, რომლებიც სათანადო ენებში გამოიყენება რთული ქვეწყობილი წინადადების ასაგებად. კ. ჭრელაშვილის თანახმად, ამათგან განსხვავებით წოვა-თუშურში რთული ქვეწყობილი წინადადებისაა ე კავშირი. დავსძენდით: დ. იმნაიშვილიც ადრე აღნიშნავდა, რომ ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენასა და ჩაჩნური ენის პანკისის კილოში ქართული ენის გავლენით ჩამოყალიბდა რთული დამოკიდებული წინადადება.

ნაშრომში ცალკეა მიმოხილული „ნაწილაკები“, რომლებიც ერთიან ხოლმე სრულმნიშვნელოვან სიტყვებს და აძლევენ მას განსხვავებულ სემანტიკურ ელფერს. მართებულადაა შენიშნული, რომ ისინი თავის დანიშნულებით წოვა-თუშურში თანდებულთა და კავშირთა ბადალია, მათი გრამატიკულ-სემანტიკური წრისაა და ხასიათდება პოლისემიითაც. ამის გვერდით გამოვლენილია გრამატიკული ომონიმის შემთხვევა წოვა-თუშურში გრამ. კლასისა და მრავლობითობის ნიშანთა შეხვედრისას – ამ დროს გრ. კლასის ნიშანი ერთდროულად ითავსებს ორ გრამატიკულ ფუნქციას.

ეს სამართლიანადაა გრამატიკულ ომონიმია და ჩათვლილი. ამ კონტექსტში წოვა-თუშურის გზნა პირობითად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ორ და მით უფრო სამპირიანად. ალბათ, დაზუსტებას მოითხოვს: არა როგორც ორ ან სამპირიანი, არამედ ორ- და სამ სახელიანი.

ამაგეა საუბარი „წოვა-თუშური ენის“ თანდართულ ერთ-ერთ სტაგიაში (ასეთი კი მონოგრაფიაში თორმეტია), ხოლო მეორეში კი – წოვა-თუშური გზნის პოლიპერსონალიზმზეა მსჯელობა. აქ განხილულია ას სიმინდ დ-ივო-ს „მე სიმინდს ვთესავ“ რიგის შემთხვევები, როცა, ავტორის აზრით, „პირველი პირის ფორმაში (დ-ივო-ს, დ-ივო-ს) -ს არის სუბიექტის ნიშანი, ხოლო პრეფიქსები დ- და დ- გრამატიკული კლასის ნიშნებია და სათანადო ობიექტს გამოხატავენ“. ეს ავტორს ავონებს ქართული მიწერ-სტილის და, ამდენად, წოვა-თუშური გზნის პოლიპერსონალიზმზეა საუბარი. სათანადოა დასკვნაც: „ქართული ენის გზნის პიროვანი უღვლილებ-

ის გავლენით წოვა-თუშურის ზმნის სისტემაში კლასოვანი უღვლილების გვერდით ჩნდება პიროვანი უღვლილება. ეს სტრუქტურული ინტერფერენცია იმდენად ძლიერია, რომ ზმნაში მორფოლოგიურად დაკავშირებულ სახელს, „ობიექტს“, უჩნდება კიდევ ახალი, თუმცა განსხვავებული ფუნქცია¹ და სხვა.

აი, მოკლედ ამ კრებულის შესახებ; მასში გაერთიანებულ მონოგრაფია „წოვა-თუშურ ენასა“ და სტატიების თაობაზე დავსძენთ, რომ მონოგრაფიას თან ახლავს მცირე პროზაული და პოეზიის ნიმუშები, ჩაწერილი გასულ საუკუნეში თავისი თარგმანით; ამას მოსდევს „მცირე ლექსიკონი“, რომელშიც, კ. ჭრელაშვილის თქმით, „შესულია საკუთრივ წოვა-თუშურის“ სიტყვები, თუმცა დაინტერესებული მკითხველი იპოვის უფრო მეტს დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ – მის კორპუსში შესულია 7088 სიტყვა-სტატია საილუსტრაციო ფრაზებით, იდიომატური გამოთქმებით, წოვა-თუშური ონომასტიკითა და ტოპონიმიკით, იქვეა ზოგი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობაც. მეგაღ ფასეულია „წოვა-თუშურ ენაში“ იმ ზმნათა სრული სია, რომელთაც ახასიათებთ აბლაუტი (ასეთი სულ 60 ზმნაა). ბოლოსაა ლიტერატურის სია – სულ 103 დასახელებისა.

ერთი სიტყვით, ესაა ერთიანი მონოგრაფია-კრებული, რომელშიც პროფ. კ. ჭრელაშვილის მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის კარგა დიდი ნაწილია წარმოდგენილი, მაგრამ სარეცენზიო წიგნის ძირითადი ნაწილი მაინც „წოვა-თუშურ ენას“ ეთმობა. სამეცნიერო საზოგადოება, მთლიანად მცირერიცხოვანი წოვა-თუში ხალხი, განსაკუთრებული ყურადღებითა და დიდი ინტერესით შეხვდა პროფ. კ. ჭრელაშვილის დიდი რუდუნებითა და მშობლიური ენის სიყვარულით გაჯერებულ ნაშრომს – „წოვა-თუშურ ენას“. ჩვენს წინაა მრავალი წლის ნაფიქრი, საქმის სიყვარულითა და პროფესიონალიზმით შექმნილი წიგნი, რომელიც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს განსაკუთრებით უდამწერლობო ენათა სფეროსი შექმნილ ანალოგიურ შრომათა გვერდით¹.

1. (გ. თოფურიასთან ერთად). გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 ივნისი, 2003.

შენიშვნები:

აქაა გაერთიანებული ზოგი სხვა ნაშრომიც:

1. რეცენზია წგ-ზე: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა. – თბ., 1977, გვ. 164–175.

2. რეცენზია: С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь

დაგესტანსკის ენის. — იკეწ, IV, თბ., 1977, გვ. 306–317.

3. რეცენზია: И. Х. Абдуллаев, Категория грамматических классов и вопросы исторической морфологии лакского языка. — იკეწ, III, თბ., 1977, გვ. 322–329.

4. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ ახალი გომი. — თსუს შრომები, თბ., 1977, გვ. 264–268.

5. იბერიულ-კავკასიურ ენათა პრობლემები. — გამ. „ლიტერატურული საქართველო“. თბ., 30III, 1979, გვ. 4.

6. რეცენზია: А. Ш. Акиев, Историко-сравнительная фонетика даргинского и лакского языков. — იკეწ, VII, თბ., 1980, გვ. 334–339.

7. კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა საიუბილეო ფორუმი. — გამ. „ლიტერატურული საქართველო“. თბ., 1983, 14. X, გვ. 4.

8. მათე საიუბილეო. — გამ. „კომუნისტი“, თბ., 1983, 30.XI, გვ. 4.

9. რეცენზია: А. С. Гвинджилия, Образование множественного числа существительных в даргинском и лакском языках. — იკეწ, IX, თბ., 1982, გვ. 326–336.

10. ინტერვიუ: საუბარი ენათმეცნიერთან. — გამ. „ლენინის ღრემა“, მახარაქე, 1982, გვ. 3.

11. საენათმეცნიერო საუბრები ათი წლისა. — გამ. „კომუნისტი“, თბ., 1984, 30.VII, გვ. 4.

12. რეცენზია: Глагол языках Дагестана. — იკეწ, XI, თბ., 1984, გვ. 128–136.

13. ენა ხალხთა ისტორიის ცოცხალი მოწმე. — ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, თბ., 1984, № 12, გვ. 72–75.

14. Язык - живой свидетель истории Народа. — ჟურნ. „Коммунист Грузии“, თბ., 1984, № 12, გვ. 69–72.

15. შ. მიქაილოვი. — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. 7, თბ., 1984, გვ. 25.

16. რეცენზია: Фонетическая система Дагестанских языков. — იკეწ, XIII, თბ., 1986, გვ. 279–289.

17. რეცენზია: Категория числа в Дагестанских языках. — იკეწ, XIV, თბ., 1987, გვ. 346–352.

18. რეცენზია: შ. ქურდაძე, ქართული პედაგოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან. — ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1987, № 9, გვ. 72–75.

19. ი. ცერცვაძე. — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გ. 11, თბ., 1987, გვ. 204.

20. უკუდავისათვის არც რაიმე გვიანია. — გამ. „კომუნისტი“, თბ., 1988, 6.I. გვ. 3 (სხვებთან ერთად).

21. „განთიადი“ ჩვენი მეგობარია. — გამ. „განთიადი“ (ქ. კასპი), კასპი, 1992, 10.X. გვ. 4.

22. ინტერვიუ (პროფ. შ. ბოცვაძესთან ერთად): დალესტანი. — გამ. „კავკასიონი“, თბ., 1993, 7.X, გვ. 8–9.

23. ინტერვიუ: ცხინვალში ქართული აღარ ისმის. — გამ. „ივერია-ექსპრესი“, თბ., 1993, 23.II, გვ. 2–3.

24. ინტერვიუ: ოს კოლეგებთან ურთიერთობით. — გამ. „ცხინვალის სამრეკლო“ (გორში), თბ., 1998, № 3, გვ. 4 (გადმოიბეჭდა გამ. „შიდა ქართლში“).

25. რეცენზია: „ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“. — თბ., შრომათა კრებული, 1998, გვ. 448–451.

26. ინტერვიუ: „მოვეფეროთ, გაუფრთხილდეთ ერთმანეთს“. — გამ. „ლიტერ-

ატურული ცხინვალი“, თბ., 2000, IV, გვ. 5.

27. რეცენზია: ვ. ლომთაძე, დილოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი. – იკე, XXXIV, თბ., 2000, გვ. 236–246.

28. რეცენზია: რ. ჭიკაძე, წინადადების პარაგრაფული კონსტრუქცია ქართულში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, თბ., 2003, გვ. 43–53.

29. მთის იკ ენათა კვლევა ცხინვალში. – ცხინვალის უნივერსიტეტის III (XII) სამეცნიერო სესიის მასალები, გორი, 2002, გვ. 11-14.

30. ინტერვიუ: ინტერვიუ პრორექტორთან. – ჟურნ. „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, გორი, 2002, №2, გვ. 2–4.

წინასიტყვაობა	3
1. დიდ წინაპართა ნაკვალევზე ივანე ჯავახიშვილი	
1. „დიდი არს ძალი სიყვარულისა“.....	5
2. ივ. ჯავახიშვილი და იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის მოგი საკითხი.....	12
3. Письмо в редакцию	13
იოსებ ყიფშიძე	
უკვდავება მეცნიერის ღვაწლისა.....	26
აკაკი შანიძე	
1. ა. შანიძე და მთის იკუნების კვლევა.....	29
2. ა. შანიძისა და ს. ჯანაშიას ერთი ეტიმოლოგიური ძიების თაობაზე.....	31
გიორგი ახვლედიანი	
მასწავლებელი და მოსწავლე.....	33
არნოლდ ჩიქობავა	
1. А. С. Чикобава и Языковой мир Кавказа.....	40
2. არნ. ჩიქობავა – იბერიულ-კავკასიური ენების მკვლევარი.....	46
3. „კვდება კაცი, მაგრამ რჩება სახელი“.....	58
არნ. ჩიქობავას	
1. სახელოვანი მეცნიერი.....	60
2. უპირველესად აღმზრდელი.....	65
3. უკვდავებასთან ნაზიარები.....	68
4. Патриарх грузинского языкознания.....	70
5. არნოლდ ჩიქობავა.....	74
6. არნოლდ ჩიქობავა (ვაგროძელება).....	83
7. „იყოცხლეთ დიდხანს, ძალიან დიდხანს...“.....	90
8. დამიბრუნეთ პროგნოსის ნიშნად!.....	93
9. ფრაგმენტები არნოლდ ჩიქობავას ცხოვრებიდან.....	94
10. მოგონებათა ფრაგმენტები.....	101
11. ეთერშია ლიტერატურული პროგრამა „ენაა შემკული და კურთხეული“.....	105
12. „ენათმეცნიერების დღესასწაული“.....	117
13. „...რელაქციის გექნიკურ სქემებს ვერ მოერგო...“.....	120
14. მინაწერები წიგნის გარეკანზე.....	124
15. ასე მრუნავენდენ.....	129
16. ასე იწყებოდა... (არნ. ჩიქობავა და პირველი რეგიონალური სესია).....	131
17. არნოლდ ჩიქობავა და ევგენი ხარაძე.....	133
18. არნ. ჩიქობავას „არშემდგარი საუბარი“ და რეგიონალური	

სამეცნიერო სესიის 10 წლისთავი..... 136

ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა

1. სიმონ ჯანაშია – 100..... 141
 2. ს. ჯანაშია და დაღესტნური ენები..... 149

ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა

1. ვარლამ თოფურია და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა
 სამყარო..... 152
 2. კვალი წარუშლელი..... 154
 3. მესაძირკვლე..... 157
 4. დიდ წინაპართა გაკვეთილები..... 161
 5. დიდი ქართველი ენათმეცნიერი – სასიქადულო მეცნიერი.. 167
 6. აკადემიკოსი ვარლამ თოფურია – დიდი ენათმეცნიერი..... 175

II. მეცნიერები და მათი მოწაფენი... მასწავლებლები... კოლეგები... (ანბანთ რიგზე)

– ა –

- ვ. ა ბ ა ე ვ ი , დიდი ირანისტი-მეცნიერი..... 178
 ვ. ა ხ ა ლ ა ი ა , ვიანორ ახალაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა
 დოქტორი..... 183

– ბ –

- ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი , მნეობის დიდი გაკვეთილები..... 189
 ი. ბ რ ა უ ნ ი , ორი ბაგონის მსახური 196

– გ –

- რ. გ ა გ უ ა , ჩვენი სტუმარია დოც. რუსუდან გაგუა..... 202
 თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , აკად. თ. გამყრელიძე და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება..... 209
 შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი , შ. გაფრინდაშვილი და ცხინვალი..... 217
 ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ბ. გიგინეიშვილი – კავკასიოლოგი..... 220
 ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , ივ. გიგინეიშვილი – 90 წელი..... 226

– თ –

- გ. თ ო ფ უ რ ი ა , გ. თოფურია – არნ. ჩიქობავას პრემიის ლაურეატი 238
 გ. თ ო ფ უ რ ი ა , გურამ თოფურიას..... 240
 გ. თ ო ფ უ რ ი ა , გურამ თოფურია – 70 წლისაა..... 249

– ი –

- დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , დავით იმნაიშვილი – 80..... 252

– კ –

- ო. კ ა ხ ა ძ ე , იბერიულ-კავკასიურ ენათა მესაიდუმლე..... 260

თ. კუაშევა, დიდი აღელვანი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი.....	226
- ლ -	
ქ. ლომთათიძე, ქეთევან ლომთათიძე.....	270
ე. ლომთაძე, გამორჩენილი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი.....	275
- მ -	
ა. მარტიროსოვი, თვალსაჩინო ენათმეცნიერი.....	279
გ. მაჭავარიანი, გივი მაჭავარიანი - 75.....	283
ა. ლ. მაჰომეტოვი, დაღესტნელი - ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.....	285
მ. მიქაილოვი, ენათმეცნიერული ოჯახი.....	288
- ე -	
ს. ელენტი, ს. ელენტი და ქართული სიმღერების ენის საკითხები...	292
- რ -	
გ. როგავა, გიორგი როგავა - 90.....	298
- უ -	
თ. უთურგაძე. - ენათმეცნიერი - 70.....	301
- ფ -	
პ. ფენრიხი, ახალგაზრდა გერმანელი კავკასიოლოგი.....	311
- ქ -	
ო. ქაჯაია, მშობლიური ენის ერთგული მსახური.....	323
რ. ქურდაძე, ახალგაზრდა ენათმეცნიერის ხელდასხმა.....	327
შ. ქურდაძე, შ. ქურდაძე - 75.....	331
- ც -	
ი. ცერცვაძე, ილია ცერცვაძე - 80 წელი.....	336
მ. ცოტნიაშვილი, „ვაი, რა მუხა წაიქცა!“.....	341
- ჭ -	
მ. ჭუმბურიძე, მ. ჭუმბურიძე - 70.....	347
- ჯ -	
ე. ჯეირანიშვილი, „უთარილოდ“.....	353
ბ. ჯორბენაძე, „აღასრულა მან თვისი ვალი“.....	359

III. პოლემიკა . . . კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

1. კონსონანტიზმი ქართველურ და ხუნძურ ენებში.....	362
2. ნიადაგსახმარი წიგნი ქართულ ენაში.....	364
3. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ახალი ორგანო.....	371
4. საეტიმოლოგიური ნაშრომი.....	377
5. კავკასიოლოგი-ენათმეცნიერთა საიუბილეო ფორუმი.....	383
6. საუკუნეთა მიღმა გაცხადებული ერთობა.....	388
7. უასეული მონოგრაფია.....	394